



XIX საუკუნე



გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1984

И(Нем)
83—3
გ 367

კრებულში წარმოდგენილია XIX საუკუნის გერმანული ლიტერატურის ექვსი გამორჩენილი მწერალი, რომელთა ნაწარმოებებითაც ქართველი მკითხველი გაეცნობა მეცხრამეტე საუკუნის გერმანული პროზის საუკეთესო ნიმუშებს.

70304—023
Г———————286—84
М-602(08)—84

© გამომცემლობა „განათლება“, 1984

XIX საუკუნის გერმანული ნოველა

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია მე-19 საუკუნის დამდეგის ანდა პირველი ნახევრის გერმანული (და არა გერმანულენოვანი) პროზა, უფრო ზუსტად, ამ პროზის რამდენიმე ნიმუში (თეოდორ შტორმის „თეთრცხენიანი მხედრის“ გამოკლებით, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა). მაგრამ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ, ცხადია, იგი სრულად ვერ ასახავს მე-19 საუკუნის გერმანული პროზის სიმდიდრეს, მის მრავალფეროვნებასა და სპეციფიკას, ვერ გვიჩვენებს გასული საუკუნის გერმანული პროზის განვითარების პროცესსა და მის არსებით ტენდენციებს.

ის საერთო ნიშანი, რაც ამ კრებულში თავმოყრილ პროზაულ ნაწარმოებებს მეტნაკლებად აერთიანებს, გახლავთ ემპირიული ნამდვილობის ილუზიის შექმნაზე უარის თქმა, ანტიმიმეტურობა, პირობითობის, სიმბოლურობისა და ფანტასტიკის სიჭარბე, გროტესკულობა და პარაბოლურობა.

საერთოდ გერმანულმა და, კერძოდ, მე-19 საუკუნის პროზამ საერთო ევროპული პროზისაგან განსხვავებული განვითარება განიცადა. გერმანული პროზისთვისაც არ არის ნიშანდობლივი გრძნობად-პლასტიკური სისავსე და თხრობის გამჭვირვალე, ცოცხალი, თავშესაქცევი მანერა. მას ახასიათებს ინტერესის, ყურადღების „გარედან“ „შიგნით“ გადანაცვლება, ისიც გერმანული რომანიეით „ჩაღრმავებულია“, „გაშინაგნებული“, ინტროსპექტული, აქაც მიღწეულია არა ექსტენსიურობა, არამედ ინტენსიურობა. გერმანელი პროზაიკოსები უპირატესად გეზს იღებდნენ არა გარე სამყაროზე, არა ემპირიულ, ობიექტურ, სოციალურ სინამდვილეზე, არამედ ადამიანის, პიროვნების შინაგან, სულიერ სამყაროზე; მეტი ინტერესი იგრძნობა არა მატერიული, ნივთიერი სამყაროსადმი, არამედ „სულის ლანდშაფტისადმი“. ამიტომ გერმანულ პროზაში გამოსახული სინამდვილე რამდენადმე ასკეტურია და ფრანგული პროზის ფეროვანებას, სხიეთა თამაშსა და პლას-

ტიკურობას მოკლებული. მას ნაკლებად აქვს მოქმედების, თხრობის, ამბის ეპიკური ცხოველმყოფელობა და კონკრეტულ-გრძნობადი სახეობრიობა.

კრებული იწყება გოეთეს მშვენიერი ნოველით „მეზობლის უცნაური ბავშვები“. გოეთე, რომელიც გერმანული ნოველის მამამთავრად და გერმანიაში ნოველის პირველ თეორეტიკოსადაც გვევლინება, ამ მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებს ნოველად მიიჩნევდა (კრებულში მოთავსებული ნაწარმოებების ჟანრულ თავისებურებებზე საგანგებოდ ამ წინასიტყვაობის ბოლოში ვისაუბრებთ).

ეს ნოველა გოეთემ ჩართო თავის რომანში — „სულთა შერჩევით დანათესავება“ (1809). როგორც აღნიშნავენ, „მეზობლის უცნაური ბავშვები“ ჩანასახის ფორმით შეიცავს მთელი რომანის იდეურ შინაარსს. ოღონდ, რომანისგან განსხვავებით, ნოველას ბედნიერი ბოლო აქვს. ნოველის ძირითადი იდეაც ის არის, რომ განსაზღვრული სულიერი და ფიზიკური ორგანიზაციის ადამიანთა შორის, ისევე როგორც ბუნების გარკვეულ ელემენტებს შორის, დასტურდება ურთიერთმიზიდულება: ნოველაში განდიდებულია ძლიერი სიყვარული.

ნაწარმოებში ღრმად, დახვეწილადაა ნაჩვენები სიყვარულის გრძნობის რთული, შინაგანად წინააღმდეგობრივი, ამბივალენტური შინაარსი; თუ როგორ ვლინდება ხოლმე ქალ-ვაჟს შორის სიყვარული ზოგჯერ სიძულვილის, გაღიზიანების სახით, როგორ იქცევა იგი საწინააღმდეგო, პოლარულ გრძნობად — ეს ჯერ კიდევ ფროიდამდეა შესანიშნავად გაანალიზებული გოეთეს ამ ნოველაში, ე. ი. აქ ფროიდამდეა აღწერილი და გახსნილი ფროიდისტული სიტუაცია: სიყვარულ-სიძულვილი, მტერმოყვრობა, Haßliebe.

მეორე მხრივ გოეთეს ეს ნოველა თითქოს ოტო ვაინინგერის სქესთა შორის ურთიერთმიზიდულობის „ფორმულისა“ თუ კანონის მხატვრული ხორცშესხმაა.

ამის გარდა, გოეთეს ამ ყმაწვილების ამბივალენტურ მტერმოყვრობაში თითქოს კლაისტის აქილევს-პენთეზილეას ურთიერთობის მსგავსებაც იგრძნობა, ორივეგან გამოსახულია უზომო სიყვარულისა და უკიდურესი სიძულვილის ახლო მეზობლობა: საკმარისია ერთი მცირე ბიძგი, რომ უსაზღვრო სიყვარული ასეთივე ენერგიულ სიძულვილსა და მრისხანე-

ბაში გადაიზარდოს. გოეთეს ნოველაშიც აღწერილია შეყვარებულების შერკინება, ბიჭის მიერ გოგონას განიარაღება და ა. შ.

გოეთე თავის ნოველას პარაბოლის, იგავის სახეს აძლევს. მას კონკრეტული, ინდივიდუალური ნიშან-თვისებები კი არ აინტერესებს, ზოგადადამიანური სიტუაციების გამოსახვა სურს. ამიტომ თავის გმირებს არც სახელებს არქმევს, მოქმედების ადგილიც არ არის სახელდებული და დაკონკრეტებული (ასეთი სიტუაცია ყველგან შეიძლება შეიქმნას, მსოფლიოს ყოველ კუთხეში). გოეთეს ნოველისათვის, ისევე როგორც საერთოდ გერმანული პროზისათვის, დამახასიათებელია წინასწარგამიზნული აბსტრაქტულობა, სიმბოლურობა, პარაბოლურობა, პარადიგმატულობა (ამ მხრივ გოეთედან პირდაპირი ხაზის გავლება შეიძლება XX საუკუნის გერმანულ მწერლობამდე: თომას მანამდე, ბრეხტამდე და სხვ.).

ჰაინრიხ ფონ კლაისტის „მიხაელ კოლჰაასს“ (1810) თითქოს არ ახასიათებს ისეთი სიმბოლურობა, ისეთი შეფარული გადატანითი აზრი, რაც ჰოფმანის, შამისოსა და ჰაუფის ამ კრებულში მოთავსებული ნაწარმოებებისთვისაა ნიშანდობლივი. „მიხაელ კოლჰაასის“ აზრი თითქოს ზედაპირზეა ამოტივტივებული, მას თითქოს საგანგებო ამოხსნა და გაშიფრვა არ სჭირდება და ამდენად მისი ინტერპრეტაცია ერთი შეხედვით დიდ სიძნელეებს არ ქმნის. მართალია, კლაისტის სიმბოლურ-პარაბოლური დრამებისაგან განსხვავებით („პენთეზილეა“, „პრინცი ფონ ჰომბურგი“ და სხვ.) „მიხაელ კოლჰაასს“ საკმაოდ მკაფიო, ცხოველი ემპირიული პლანიცა აქვს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებს არ გააჩნდეს ფილოსოფიურ-სიმბოლური ასპექტი.

„მიხაელ კოლჰაასის“ შინაარსი სრულებითაც არ არის ერთი კონკრეტული დროის მონაკვეთზე მიჯაჭვული და „დაბმული“; მისი განზოგადების ძალა სხვა ეპოქებსაც სწვდება. მართალია, უშუალოდ ეს ნაწარმოები მე-16 საუკუნის, უფრო ზუსტად, გლეხთა ომების შემდეგდროინდელ გერმანიას, კიდევ უფრო ზუსტად, საქსონიას ეხება, მაგრამ მაშინვე ცხადი იყო, რომ კლაისტს თავისი თანადროული, ე. ი. მე-19 საუკუნის დამდეგის გერმანია ჰქონდა მხედველობაში. ეს კიდევ ცოტაა: „მიხაელ კოლჰაასის“ პათოსი მიმართულია საერთოდ ძა-

ლადობის, უსამართლობის, თვითნებობის, ტირანიის, პროტექციონიზმის, ამა ქვეყნის ძლიერთა და ბობოლათა დაუსჯელობის და ა. შ. წინააღმდეგ, რაც მხოლოდ ფეოდალურ ან ბურჟუაზიულ საზოგადოებას კი არ ახასიათებს, ჩვენთვისაც არ არის მთლად აქტუალობას მოკლებული.

ამას გარდა, მიხაელ კოლჰაასის ინდივიდუალისტური ჯანყი ასიმბოლოებს თვით ავტორის პოზიციას, რომელიც ასევე მარტოკა და უშედეგოდ იღვწოდა. ზოგიერთი მკვლევარი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კლაისტმა მიხაელ კოლჰაასის ამბავში საკუთარი ბედი გამოსახაო. იგი თვითონაა კოლჰაასი, რომელიც საკუთარ თავსა და სამართალს აბსოლუტურ კრიტერიუმს უყენებს, მან მარცხი უნდა განიცადოს, რადგან ამქვეყნად მარტოა, რადგან სამართლის, სამართლიანობის ძებნა მთელი საზოგადოების, მთელი თემის საქმეა და არა ცალკეული ადამიანისა, ამიტომაც სამართალიც საჭიროებს რელატივირებას, გარკვეულ შემოფარგვლას.

კლაისტი უკომპრომისო პიროვნება და მწერალი იყო, იმ დროს როცა სხვები კომპრომისების მეშვეობით არსებობდნენ და ქმნიდნენ (თუნდაც გოეთე)[1]. კლაისტსა და გოეთეს შორის პრინციპული სხვაობა რელიეფურად მჟღავნდება ანტიკურ თემაზე შექმნილ დრამებში „პენთეზილეა“ და „იფიგენია“, მათი ანტიკურობის რეცეფციაში.

კლაისტის შემოქმედებისა და ცხოვრების ძირითადი ტრაგიკული სიტუაცია მის საკუთარ აბსოლუტურ შინაგან ეგზისტენციასა და რელატიურ გარე ყოფიერებას შორის კონფლიქტია. კლაისტს აბსულუტურისაკენ ჰქონდა მისწრაფება და ყველგან კი რელატიურს აწყდებოდა. ეს კონფლიქტი სხვადასხვა ასპექტში და სხვადასხვა ვარიაციით კლაისტის თითქმის ყველა ნაწარმოებში გვხვდება (გამონაკლისია, მისი კომედია „გატეხილი დოქი“).

კლაისტი ყველაფერს აბსოლუტურს გამოსახავდა: აბსო-

---

[1] საგულისხმოა, რომ ჯანსაღი, „წარმართი“ გოეთე ვერ იტანდა ჰოლდერლინსა და კლაისტს, ჰოფმანსა და ჟან პაულის. ამის ერთ-ერთი მიზეზი სხვა მიზეზებს შორის პირველი სამის თავშეუკავებლობა, საკუთარი თავის განადგურების ჟინი (გრილპარცერი აღნიშნავდა კლაისტის სწორედ „თავშეუკავებლობასა და თვითგანადგურებას“) და თავისებური უმწიფრობა იყო.

ლუტურ სიყვარულს, რაც შეიძლებოდა აბსოლუტურ სიძულვილში გადაზრდილიყო; აბსოლუტურ ვნებებსა და გრძნობებს, რომელთაც კომპრომისები არ იციან, ამიტომ ნადგურდებიან ანდა ინადგურებენ თავს. ასეთები არიან პენთეზილეა და აქილევსი, ასეთივეა ჩვენი მიხაელ კოლჰაასიც, თითქოს მეტისმეტად პროზაული პროფესიის კაცი, დალალი.

ჰაინრიხ ფონ კლაისტის გმირი თავის გრძნობას მიიჩნევს კრიტერიუმად და ამის გამო რეალობასთან კონფლიქტი მოსდის.

კლაისტიცა და მისი გმირებიც გაწონასწორებული, ჰარმონიული, სინთეტური ადამიანების ანტიპოდები არიან.

კლაისტის შემოქმედების თემატიკა ასეც შეიძლება შემოიხაზოს: მისი აპოლონური ჰარმონიისკენ მისწრაფება, რაც კლასიკის (კლასიციზმის) კუთვნილებაა, ირღვევა, ფერხდება დიონისური ვნებებისა და გრძნობების დაჯახებით, რაც რომანტიზმის კუთვნილებაა და გონების კონტროლს არ ექვემდებარება.

ჰაინრიხ ფონ კლაისტის შემოქმედება ცხოვრების ტრაგიკული გრძნობითაა გამსჭვალული.

უკიდურესი პატიოსნების გამო გულუბრყვილო მიხაელ კოლჰაასი იბრძვის შელახული უფლებისა და დარღვეული სამართლის აღსადგენად. მართალია, კოლჰაასი ვაჭარია (თუნდაც ცხენებისა), მაგრამ მას ვაჭრული, ანგარიშიანი ჭკუა არა აქვს. იგი საბოლოოდ ორ ცხენს გადააყოლებს არა მარტო თავის სარჩო-საბადებელს, არამედ სიცოცხლესაც. მისი პრინციპულობა და სიჯიუტე მისივე სავაჭრო საქმიანობის წინააღმდეგ მიიმართება; წააგებს ქონებას და წააგებს თავსაც. აქ ალბათ თანაბრად მოქმედებს როგორც სამართლიანობისკენ მისწრაფება და უსამართლობით აღშფოთება, ასევე შურისძიების გრძნობაც. მეორე მხრივ, იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას წინააღმდეგ ბრძოლით კოლჰაასი თავისდაუნებურად ბრძოლას უცხადებს მთელს რეჟიმს, მთელს სისტემას, მთელს გაბატონებულ კლასს, მთავრობას და ამიტომაც, ცხადია, იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული.

მიხაელ კოლჰაასი აბსოლუტური სამართლიანობის მომხრეა, მას იოტისოდენადაც არ უნდა კომპრომისზე წასვლა, ის თავისებური, ბედთან შეურიგებელი დონ კიხოტია, რომელიც

ანგარიშს ვერ უწევს არსებულ რეალურ ვითარებას. ტოტალური უსამართლობის პირობებში მას უკომპრომისო ცხოვრება სურს, რაც არ არის რეალური. კოლჰაასს არა აქვს პრაქტიკული გონება, გონიერება, მაგრამ აქვს სინდისი, რომელიც საბოლოოდ მისი ერთადერთი მსაჯული აღმოჩნდება... კოლჰაასს ორი ცხენის დაკარგვა კი არ აღშფოთებს, არამედ ის უსამართლობა, რაც ამ ცხენების უკანონო მითვისებამ ამოატივტივა: ადამიანის ღირსების აბუჩად აგდება. თავდაპირველად იგი თითქოს მხოლოდ ცხენების უკან დაბრუნებისათვის იბრძვის, გულს უკლავს ნასუქალი და ნაპატივები შავრა ცხენების გაჯაგლაგება, გაცნობიერებული არა აქვს, რომ მას უსამართლობა, ამ ქვეყნის ძლიერთა ცინიზმი და დაუსჯელი პარპაში აღაშფოთებს და არა ორი ცხენის დაკარგვით გამოწვეული ზარალი. კოლჰაასიც ავტორივით აბსოლუტურისაკენ მიისწრაფვის: ან სამართლის სრული აღდგენა, ანდა სრული დაღუპვა — სხვა ალტერნატივა მისთვის არ არსებობს.

„მიხაელ კოლჰაასის“ წყარო იყო მე-16 საუკუნის ბერლინელი მასწავლებლის ჰაფტიცის ქრონიკა, რომელშიც მოთხრობილია შპრეესპირა კიოლნელი ვაჭრის ჰანს კოლჰაზეს ამბავი.

1814 წელს გამოქვეყნდა გერმანელი გვიანდელი რომანტიკოსის, ადელბერტ შამისოს რომანტიკული ზღაპრის ფორმით დაწერილი პროზაული ნაწარმოები „პეტერ შლემილის საოცარი თავგადასავალი“.

იდეა — დაეწერა ზღაპარი დაკარგული ჩრდილის შესახებ, შამისოს მას შემდეგ დაებადა, რაც რომანტიკოსმა დე ლა მოტ ფუკემ ხუმრობით ჰკითხა, მოგზაურობისას ბარგთან და ტანსაცმელთან ერთად ჩრდილიც ხომ არ დაგეკარგაო?

პირდაპირი მნიშვნელობით „შლემილი“ შეესაბამება ქართულ ღვთისოს; ღვთისავარს, ბერძნულ თეოფილეს, გერმანულ Gottlieb-ს, ებრაელების ენაზე კი, როგორც შამისო აღნიშნავს, „მოუხერხებელი და უიღბლო ადამიანების სახელია“.

„პეტერ შლემილის“ არაპირდაპირ წყაროებად მიიჩნევენ გრიმელსჰაუზენს, ტიკსა და ფრანგ ლა ფონტენს. სწორედ ლა ფონტენიდან არის აღებული ჯადოქარი კაცის მოტივი, რომელიც ყველაფერს თავისი ქურთუკის ჯიბიდან იღებს.

შამისოს „პეტერ შლემილი“ ჟანრულად, გარეგნულად,

კომპოზიციურად თითქოს რომანტიკული ზღაპარია, მისი იდეაც თითქოს რომანტიკულია, მაგრამ შესრულება, გამოსახვის მანერა, თხრობის ყაიდა რეალისტურს უახლოვდება.

ნაწარმოების ემპირიული პლანი შემდეგია: ხელმოცარული, ღარიბი ახალგაზრდა პეტერ შლემილი სიმდიდრის, მატერიალური უზრუნველყოფის მოპოვების მიზნით საკუთარ ჩრდილს მიჰყიდის „ნაცრისფერკოსტუმიან კაცს“ (ეშმაკს), რის გამოც ადამიანები დევნიან, აითვალწუნებენ. ბოლოს გაწამებული და თავის საბედისწერო შეცდომაში დარწმუნებული შლემილი უარს ამბობს ნატერის ქისაზე, რომელიც მუდამ ფულით იყო სავსე და შვიდმილიანი ჩექმებით იწყებს მსოფლიოში მოგზაურობას, ცხოვრების მიზანს ბუნებასთან სიახლოვეში, მის შესწავლასა და სამსახურში პოულობს.

როგორც დავინახეთ, შამისო თავის ნაწარმოებში იყენებს ზღაპრის მოტივებს: დაკარგული ჩრდილი, ნატერის ქისა, შვიდმილიანი ჩექმები და სხვ.

შლემილის დანაშაული ისაა, რომ ჩრდილი გაყიდა და დაუმსახურებლად, უშრომლად, საკუთარი ნიჭისა და უნარის ჩაურევლად მოიპოვა ზღაპრული სიმდიდრე, რაც ბედნიერების საწინდარი ჰგონია. თავის დანაშაულს შლემილი გამოისყიდის ადამიანებისათვის სასარგებლო მოღვაწეობით: ბუნების შესწავლა-შემეცნებითა (შამისო თვითონ ბოტანიკოსი იყო) და მსოფლიოს გარშემო მოგზაურობით, თუმცა ადამიანთა საზოგადოებას, ადამიანებს გაურბის და ბუნებას აფარებს თავს. როგორც ვხედავთ, ნაწარმოების ფინალი და საერთოდ საკითხის გადაწყვეტა, ნაწილობრივ და ერთი მხრივ, რომანტიკულია (ბუნებაში გაქცევა, ადამიანებისაგან განდგომა), მეორე მხრივ, არარომანტიკული (ბუნების შესწავლა-შემეცნებაში შვებისა და მიზნის პოვნა). არარომანტიკულია აგრეთვე ამ ნაწარმოებში იდეალურსა და რეალურს, ზღაპრულსა და ემპირიულს შორის ურთიერთმიმართება, შამისოს ახლებურად აქვს გააზრებული ეშმაკთან პაქტის დადება. სავსებით არატრადიციულია ეშმაკთან დადებული ხელშეკრულების საბოლოო შედეგი. ეშმაკი აქ დახატულია არა როგორც ტრადიციული ცხენისფლოქვებიანი სატანა, არამედ როგორც თავაზიანი, ცოტა მორიდებული, მორცხვი, შემკრთალი მამაკაცი.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იყო ჩრდილის დაკარგვის სიმ-

ბოლიკის ახსნის მრავალი, ზოგ შემთხვევაში, ურთიერთსაპირისპირო ცდა. საინტერესოა, რომ თვითონ შამისო სიტუაციას ამარტივებდა და ირწმუნებოდა, უბრალო ზღაპარი დავწერე, რომელიც თავდაპირველად ბავშვებისათვის იყო განკუთვნილიო. ცხადია, ამ მოჩვენებითი გულუბრყვილობის მიღმა ღრმა აზრი და მნიშვნელობა ივარაუდება, რისი ზუსტი ალეგორიული ერთნიშნა ახსნაც შეუძლებელია (თქმა იმისა, რომ ჩრდილი ზუსტად რაიმეს ნიშნავს, როგორც, ვთქვათ, ალეგორიათა სისტემაში ღუზა — იმედს, სასწორი — სამართალს და ა. შ., ამაო გარჯა იქნებოდა). როგორც ხელოვნების ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, „შლემილიც“ სიმბოლური მრავალმნიშვნელობისა და რთული მრავალნიშნა აზრის შემცველია და მისი ყოველი ერთნიშნა ინტერპრეტირება მარცხისთვისაა განწირული.

„პეტერ შლემილის“ სიმბოლიკას ძირითადად ორი პლანი, ორი ასპექტი აქვს: ეს ნაწარმოები შეიქმნა გერმანიის კაპიტალიზაციის, ქვეყანაში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების დასაწყისში და შამისომ ხელოვანის, მხატვრის ინტუიციით შეიგრძნო მერკანტილურ-უტილიტარული ხანის დადგომა, სწრაფვა ქონებისა, სიმდიდრისა და ძალაუფლებისაკენ, რაც ახალ ეპოქას თან მოჰქონდა. „პეტერ შლემილში“ ნაჩვენებია ოქროს, ფულის დამლუპველი ძალა, მისი გამხრწნელი, ადამიანის პიროვნების დამშლელი ზემოქმედება.

ძალიან პირობითად და მიახლოებით „პეტერ შლემილში“ ჩრდილი სიმბოლოა სინდისის, რწმენის, პირადი ადამიანური ღირსების, მეობის, ინდივიდუალური განუმეორებლობისა. ეშმაკი ყოველივე ამას ყიდულობს ოქროს, დიდძალი ფულის ფასად. გაჭირვებულ, არაპრაქტიკულ შლემილს ჰგონია, რომ ოქრო, ფული ბედნიერებას მოაპოვებინებს, მაგრამ მწარედ ტყუვდება: ფული და ოქრო არ აღმოჩნდა ყოველგვარი ბედნიერების თავი და თავი.

ეს ნაწარმოების ერთ-ერთი ინტერპრეტაციაა.

„პეტერ შლემილის“ სიმბოლიკის მეორე ასპექტის გასაღებს გვაწვდის თვით ავტორი, რომელიც თავს აიგივებდა ხოლმე შლემილთან, ფიქრობდა, რომ მასაც არ ჰქონდა ჩრდილი, ე. ი. მტკიცე საყრდენი ცხოვრებაში. ამ მხრივ საგულისხმოა მისივე ჩაწერილი საუბარი მადამ დე სტალთან 1807 წელს:

შამისოს უთქვამს, რომ იგი ფრანგია გერმანიაში და გერმანელი საფრანგეთში, კათოლიკე — პროტესტანტებს შორის და პროტესტანტი — კათოლიკებს შორის, იაკობინელი — არისტოკრატებისათვის და არისტოკრატი — დემოკრატებისათვის, — მე ვერსად ვერ მომინახავს ჩემი ადგილიო, — განუცხადებია მას.

მაშასადამე, „პეტერ შლემილი" სიმბოლურად გამოსახავს ორ სამშობლოს შორის გახირული ავტორის ბედს. ე. ი. სიმბოლიკის ეს ასპექტი შამისოს ბიოგრაფიითაა განსაზღვრული: წარმოშობით ფრანგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გერმანელებსა და ფრანგებს შორის მერყეობდა. უჩრდილო კაცი ნიშნავს უსამშობლო ადამიანს. ჩრდილის დაკარგვით გასიმბოლოებულია გერმანელ-ფრანგი ადამიანისა და მწერლის გაორება, განსაკუთრებით ნაპოლეონის ომების დროს. ფანტასტიკურ-ზღაპრულ პლანში გამოსახულია ეროვნული და სოციალური კავშირისა და საფუძვლის დაკარგვის შედეგად მწერლის განმარტოება-იზოლირება მის თანადროულ საზოგადოებაში.

ორივე ეს ინტერპრეტაცია უფლებამოსილია სხვა ნათესაურ და ანალოგიურ ინტერპრეტაციათა გვერდით.

პეტერ შლემილის ანუ ჩრდილის გაყიდვისა თუ დაკარგვის სიმბოლური მოტივი საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიო ლიტერატურაში[1].

არსებობს ამ სიუჟეტის უამრავი დამუშავება, ვარიანტი და სახესხვაობა[2]. თვით პეტერ შლემილი ე. წ. მარადიულ ანდა ზოგად ტიპად, ფაუსტის უმცროს ძმად გადაქცეულა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ნაწარმოებები, რომლებშიაც სიუჟეტი და ჩრდილის მოტივი უცვლელადაა გამოყენებული, და ნაწარმოებები, რომლებშიაც სიუჟეტი ვარირებულია, ხოლო ჩრდილი რომელიმე სხვა სიმბოლოთია ჩანაცვლებული. ამას გარდა, ცალკე გამოსაყოფია მეტ-ნაკლებად ცნობილი და

---

[1] დაინტერესებულ პირთ შეიძლება მივუთითოთ: ელიზაბეტ ფრენცელი, მსოფლიო ლიტერატურული სიუჟეტები, IV გადამუშ. გამოცემა, შტუტგარდტი, 1976 წ. ჩვენც შესაბამის მასალას მთლიანად ამ წიგნიდან ვსესხულობთ.

[2] ამ სიუჟეტმა ქართულ ლიტერატურაშიც შემოაღწია, მხედველობაში გვაქვს სერგო კლდიაშვილის „ბარველი, ლანდების კოლექციონერი".

მნიშვნელოვანი მწერლების მიერ ამ სიუჟეტის ანდა მისი ვარიანტის დამუშავება. ე. თ. ა. ჰოფმანმა, რომელმაც განიცადა შამისოს „შლემილის“ ზემოქმედება, ჩრდილის ადგილას ჩასვა სარკის ანარეკლი, რასაც ნაწარმოების გმირს გამოსტყუებენ დემონური დოქტორი და კურტიზანი ქალი („დაკარგული სარკის ანარეკლის ამბავი“ შედის „სილვესტრის ღამის თავგადასავლებში“, 1815). ჰოფმანის ეს მასალა გამოიყენა კომპოზიტორმა ჟ. ოფენბახმა თავის ოპერაში „ჰოფმანის მოთხრობები“ (1881), ხოლო ჰ. ჰ. ევერსმა სცენარში „პრაღელი სტუდენტი“ (1912). ფრანც ვერფელის დრამაში „სარკის ადამიანი“ (1920) სარკის ანარეკლს სული ჩაედგმება და თავის პატრონს იმონებს. ასევე იმონებს თავის პატრონს ჩრდილი ჰ. კ. ანდერსენის ზღაპარში „სკიგენი“ (1847), რაც ჰ. რაინჰარტმა (1921) და შემდეგ ევგენი შვარცმა (1948) გაასცენიურეს. თ. გოტიემ ეს მოტივი გამოიყენა რომანტიკულად ექსტრავაგანტური, ექსპანსიური ჭაბუკის დასახასიათებლად (მოთხრობა „ონუფრიუსი“, 1833). ჭაბუკს ეჩვენება, რომ აღარა აქვს არც ჩრდილი და არც სარკის ანარეკლი და საბოლოოდ ჭკუაზე შეიშლება.

სიმბოლო ფ. ჰაუფმაც შეცვალა: ჩრდილის ადგილას გული ჩასვა („ქვის გული“, შედის კრებულში „ფუნდუკი შპესარტში“, 1828).

ადამიანის რომელიმე ორგანოს ანდა თვისების გაყიდვის მოტივი სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება: ყიდიან ძილს, ყიდიან კუჭს ან მადას, ყიდიან სახელს, ყიდიან ნიჭს, ახალგაზრდობას, ყიდიან მოგონებას (დაინტერესებული პირები საკითხს ვრცლად გაეცნობიან დასახელებულ ელიზაბეტ ფრენცელის საცნობარო წიგნში).

ეს რომანტიზმისათვის დამახასიათებელი მოტივი მე-19 საუკუნის II ნახევარში ერთხანს თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ ნეორომანტიზმმა, სიმბოლიზმმა კვლავ გამოაცოცხლა და მოტივის თავდაპირველი სახე (ჩრდილის გაყიდვა) აღადგინა ოსკარ უაილდის ზღაპარში „მეთევზე და მისი სული“ (1892). ერთი მეთევზე თმობს თავის ჩრდილს წყლის ქალის, ალისადმი სიყვარულის გამო, ე. ი. თმობს თავის სულს, — ამიერიდან ეს სული დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობს და მეთევზეს იმონებს. მხოლოდ სიკვდილში, რაც მეთევზეს

შეყვარებულთან აერთებს, მისი სული კვლავ ერწყმის მის გულს.

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის ზღაპარსა და საოპერო ლიბრეტოში „უჩრდილო ქალი“ (1919) ჩრდილი ასიმბოლოებს შთამომავლობას, შთამომავლებს, რომელთაც მღებავის ცოლი ჰყიდის, რათა თავისი სილამაზე შეინარჩუნოს. ნიკოლაუს ლენაუს ანალოგიური მოტივი გაცილებით ადრე აქვს დამუშავებული პოეტურ ნაწარმოებში „ანა“ (1838).

ჰაინრიხ ჰაინეს ლექსში „იეჰუდა ბენ ჰალევი“ (1851) შლემილის ტიპი სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობითაა (ხელმოცარული, უიღბლო კაცი) წარმოდგენილი.

და ბოლოს, შედარებით ცნობილ მწერალთაგან შეიძლება გავიხსენოთ რიჰარდ შაუკალი და მისი მოთხრობა „შლემილები“ (1908), რომლებშიც მწერალი ხატავს უგერგილო, უფხო ადამიანის ტიპებს.

1819 წელს ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანმა გამოაქვეყნა თავისი ახალი ნაწარმოები „პატარა ცახესი“, რომელმაც მალე მსოფლიოში გაითქვა სახელი.

ხელოვნების, საერთოდ, და კერძოდ, ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწარმოებს, მართალია ეპოქა, სოციალური და ა. შ. ვითარებანი წარმოქმნიან, მაგრამ სამეცნიერო ნაშრომისაგან განსხვავებით, იგი ამ ეპოქის გადასვლასთან ერთად არ ძველდება, აქტუალობას არ კარგავს, რადგან მრავალმნიშვნელოვანი და სიმბოლური შინაარსი აქვს, რაც მეტნაკლებად, სხვადასხვა ინტენსიურობით ყველა დროსა და ყველა სოციალურ ვითარებას ეხმაურება. ხელოვნების ნაწარმოების ზემოქმედება სხვადასხვა ეპოქაში კლებულობს ან მატულობს, მაგრამ არასოდეს მთლიანად არ ქრება, არ „იხსნება“ არ უფასურდება[1].

ერთ-ერთი ასეთი მუდმივად აქტუალური ნაწარმოებია

---

[1] რასაკვირველია ,არსებობს სწრაფწარმავალი, დღემოკლე ნაწარმოებებიც, ე. წ. „ეფემერები“, ანდა, როგორც გერმანელები უწოდებენ, „ერთდღიანი ბუზები“, რომლებიც კონიუნქტურის, რომელიმე კონკრეტული სიტუაციის საჭიროებით წარმოიქმნებიან და ამ კონიუნქტურის გაქრობასთან ერთად ქრებიან, თუმცა დროის მცირე მონაკვეთში შეიძლება ძალიან პოპულარულნიც იყვნენ.

ე. თ. ა. ჰოფმანის „პატარა ცახესი“, რომელსაც ოდნავადაც არ დაუკარგავს ზემოქმედების ძალა.

კონკრეტულად და უშუალოდ მისი სატირის ობიექტი თითქოს მხოლოდ მე-19 საუკუნის დამდეგის დაქუცმაცებული გერმანიის წვრილ სამთავროთა სასახლეების ცხოვრება და ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დადგომასთან ერთად ფულადი ურთიერთობის გაბატონებაა.

პატარა ცახესი არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც გონჯია, მაგრამ მას მინიჭებული აქვს „უნარი“ დაუმსახურებლად მიიწეროს სხვათა დამსახურება, ირგუნოს სხვათა ნიჭისა და შრომის ნაყოფი, „შეიხვილიფოს“ სხვათა წილი დიდება და პატივი და ამ „უნარის“ წყალობით სულითა და ხორცით მახინჯი, უბადრუკი ქონდრისკაცი ხდება სახელმწიფოს პირველი მინისტრი, — ბატონი ცინობერი (მას უმაღლესი ორდენითაც აჯილდოებენ), რომელიც ხალხის ბედს განაგებს და რომლის ჭირვეულობასა და თვითნებობაზეა დამოკიდებული ადამიანთა ცხოვრება.

ამ ზღაპრის სიმბოლური შინაარსი მეტად ტევადი და ელასტიურია. ესაა დაუმსახურებელი პატივის, დაუმსახურებელი ჯილდოს, დაუმსახურებელი ღვაწლის (თანამდებობის, ავტორიტეტის, სახელის და ა. შ.) მოტივი, რაც ჩვენს დროსაც მშვენივრად ეხმიანება. ესაა თანამდებობით შექმნილი კაცის მოტივი, კაცისა, რომელიც არაფერი იყო ამ თანამდებობამდე და ასევე არარა დარჩა ამ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგაც, რადგან ნამდვილად არასოდეს არ ყოფილა მნიშვნელოვანი პიროვნება და ასეთად მას მოჩვენებითად მისი თანამდებობა ხდიდა. რამდენი გვინახავს ჩვენც ასეთი ცახესები, ინტელექტუალური და სულიერი ქონდრისკაცუნები, რომლებიც რბილ სავარძელში ჯდომისას თავს ქვეყანას აყვედრიდნენ, ხმას ხელოვნურად იბოხებდნენ, სიარულის მანერასაც კი იცვლიდნენ ხოლმე (ზოგჯერ მცირე ხნით მანქანიდან ჩამოსვლა რომ მოუხდებოდათ) და თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ დაგლახაკებულნი, მოღრუკულნი, გამხდარნი, ფერწასულნი, შეშინებულნი, საოცრად დამტკბარნი ყველას გულის მოგებას ცდილობდნენ პირფერობით, მლიქვნელობით, გულისამრევი თავისდამცირებით.

ესაა იმ კაცის მოტივი, რომლისადმიც პატივისცემა იწყება

თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან და მთავრდება ამ თანამდებობიდან გადაყენებისთანავე. ამიტომაა, რომ ეს კაცუნები ასეთი დაჟინებით ეპოტინებიან თანამდებობებს, თუმცა გულის სიღრმეში მშვენივრად გრძნობენ თავიანთ ფასს.

ცახესის სენი თუ „ცახესიზმი“ ერთობ გავრცელებული ავადმყოფობაა მთელს მსოფლიოში, ეს არის ერთ-ერთი „მარადიული“ თემა თუ მოტივი, რაც ალბათ მხოლოდ უკლასო საზოგადოებაში თუ დაკარგავს თავის აქტუალობას.

1827 წელს დაიბეჭდა ვილჰელმ ჰაუფის პროზაული კრებული „ალექსანდრიელი შეიხი და მისი მონები“, რომელშიაც შედიოდა „ყმაწვილი ინგლისელი“.

ეს ნაწარმოებიც თავისი უშუალო, ვიწრო დანიშნულებითა და მნიშვნელობით სატირაა ბიურგერულ საზოგადოებაზე, ფილისტერების სიბლაგვესა და შეზღუდულობაზე, მათ მოდურ ანგლომანიაზე, წამხედურობაზე, უცხოურისადმი მონურ თაყვანისცემაზე და ა. შ.

მაგრამ ამ ნაწარმოებსაც აქვს პარაბოლურ-სიმბოლური შინაარსი, რაც შორს სცილდება დროულ-კონიუნქტურულ ფარგლებს. „ყმაწვილი ინგლისელი“ საერთოდ ბრწყინვალე სატირაა სნობიზმზე, ჯოგურ ფსიქოლოგიაზე. ჰაუფის ამ ნაწარმოების გესლიანი ირონია სცილდება თავისი ეპოქის ჩარჩოებს და ჩვენამდე აღწევს. განა ცოტა შეგვხვედრია ჩვენს შორისაც ისეთი სნობები, რომლებიც აღტაცებულნი არიან ყველაფერი უცხოურით და რომელთა ოცნების ზღვარი უცხოურწარწერიანი პერანგია.

ჰაუფის „ყმაწვილი ინგლისელი“ აშკარად უახლოვდება ჰოფმანის „პატარა ცახესს“. ფილისტერები აქაც საზიზღარ ორანგუტანგს, მაიმუნს სალონის ლომად, მომხიბლავ მამაკაცად, გალანტურ კავალრად მიიჩნევენ, რადგან იგი უცხოელი, ინგლისელი ჰგონიათ. უცხოურობა, არაშინაურობა (შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს) მათ თვალში მაიმუნს სათაყვანო, იდეალურ ადამიანად აქცევს. ორანგუტანგი ცხოველურ ბგერებს უშვებდა, გარშემო მყოფნი კი მას ტკბილმოუბარ ოქროპირად აღიქვამდნენ, მისი უზნეო, უტიფარი საქციელი ახალი უცხოური მოდა ეგონათ და აღტაცებას ვერ ფარავდნენ, თვითონაც ბაძავდნენ: „... ამთქნარებდნენ, როცა რომელიმე გონიერი კაცი რაიმეს ამბობდა, მაგრამ როცა ძმისწული

(ე. ი. მაიშუნი — ნ. კ.) რაიმე სისულელეს დამტვრეული გერმანულით ჩმახავდა, ყველანი სმენად იქცეოდნენ ხოლმე", — ჰაუფის „ყმაწვილი ინგლისელის" ეს ადგილი თვალსაჩინოსა ხდის მის სიახლოვეს ჰოფმანის „პატარა ცახესთან".

ბოლოს აღმოჩნდება, რომ ყმაწვილი ინგლისელი ჩვეულებრივი ორანგუტანგი ყოფილა, რომ იგი უცხო კაცს, მათ ქალაქში რომ დასახლდა, ამ ქალაქის მკვიდრთა ჭკუის სასწავლად და დასასჯელად გაუწვრთნია.

როცა ჰოფმანის „პატარა ცახესს", შამისოს „პეტერ შლემილსა" და ჰაუფის „ყმაწვილ ინგლისელს" ვკითხულობთ, აღარ გვიკვირს ფრანც კაფკას უცნაური, პარადოქსული, კურიოზული, გროტესკული სამყარო. აშკარა ხდება, რომ კაფკა გერმანული ლიტერატურული ტრადიციებიდან გამოდგა და მისი წინაპრები სწორედ ამ მწერალთა შორისაცაა საგულვებელი.

თეოდორ შტორმის „თეთრცხენიანი მხედარი" (1888) არა მარტო ქრონოლოგიურადაა გამოყოფილი დანარჩენი ნაწარმოებებისაგან, არამედ შინაარსეულადაც, ესთეტურ-მხატვრული თავისებურებებითაც: ეს სავსებით მიმეტური, ემპირიულ-რეალისტური, ობიექტური ქრონიკის სტილით დაწერილი ნაწარმოებია, რომლის ინტერპრეტაცია არ ქმნის იმ სიძნელეებს, რომელთაც პარაბოლურ და სიმბოლურ ნაწარმოებთა ახსნისას ვაწყდებით.

ნაწარმოების მოქმედება ხდება ჩრდილოეთის ზღვის მეთევზეთა ერთ-ერთ ძველ სოფელში. სოფლები აქ მუდამ ზღვის სტიქიას ებრძვიან და ამ ბრძოლაში ადამიანები გაკაჟებულნი მაგრამ გაპირქუშებულნი, გაუხეშებულნი და ცოტა გულცივნიც არიან; ისეთივე მკაცრი, ქუფრი, მშმუნვარე, სანტიმენტებს მოკლებულნი, როგორც მათი ბუნება — ფრიზული ბუნება, ჩრდილოეთის ზღვის სანაპირო, დატბორილი ველები, ზღვის წყლით ალოკილი მარშები.

ნაწარმოები მკაცრი მამაკაცური ტრაგიკული განწყობილებითაა გამსჭვალული — აქ თითქოს არ არის ქრისტიანული ხსნისა თუ საიქიოს იმედი, „თეთრცხენიანი მხედარი" თითქოს წარმართული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, იგი პრინციპულად განსხვავდება შტორმის ადრეული, ლირიკული განწყობილების შემცველი ნოველისაგან — „იმენზეესაგან". ამ

ტორი უხვად იყენებს ფრიზულ ფოლკლორისტულ ელემენტებს, ფოლკლორიდანაა აღებული თეთრცხენიანი მხედრის სახეც. ნაწარმოების გმირი ჰაუკე ჰაიენი, ჯებირების ინსპექტორი, ერთი მხრივ, პატივმოყვარე, ეგოცენტრიკოსი, ინდივიდუალისტი, შეიძლება ითქვას, ძალაუფლების მოყვარული ძლიერი პიროვნებაა, მეორე მხრივ, საზოგადო, სახელმწიფო მოღვაწედ, თავისი სოფლის კეთილისმყოფელადაც გვევლინება. მისი დაკვირვებითა და სპეციალური შესწავლის შედეგად დადგინდება, რომ ძველი ჯებირები არასწორადაა აგებული და ტალღების შემოტევას ვერ გაუძლებენ. ჰაუკე ჰაიენი ახალ ჯებირებს აშენებს, თემისათვის ახალ საძოვარსა და საყანეს მოიპოვებს.

ჰაუკე ჰაიენს თავისდაუნებურად, თითქოსდა გაუცნობიერებლად აღმერთებენ თანასოფლელები, მაგრამ თანდათან ფეხს იკიდებს შურღლი, შური, ჭიშპი და რაც უფრო მეტად იღწვის თანასოფლელთათვის ავადმყოფურად თავმოყვარე და ამაყი ჰაუკე ჰაიენი, მით უფრო უცხოვდება, შორდება მათ, ადამიანები ალმაცერად, უნდობლადაც კი უყურებენ მის უანგარო მოღვაწეობას. იქმნება ტრაგიკული და ამავე დროს კურიოზულ-პარადოქსული სიტუაცია: თითქოს ვაჟკაცური, პატიოსანი სოფლელების თვალში ჰაუკე ჰაიენი თავისებურ „ძალად მაცხონეს“ როლში გამოდის, ზღვის სტიქიის დამორჩილებით ცდილობს უშფოთველი ცხოვრება შეუქმნას თანასოფლელებს, მაგრამ მისი არ სჯერათ.

ჰაუკე ჰაიენი გარემოსთან ბრძოლაში ეცემა, იღუპება, გარემო აქ ორმაგია: გარემომცველი საზოგადოება, თემი და ბუნება, სტიქიონი. ჰაუკე იბრძვის ცალკე თემის ცრურწმენებისა და სულმოკლეობის, ცალკე სტიქიის ბრმა ძალების წინააღმდეგ. ჰაიენის ჰეროიზმს, ჰეროიკულ ტრაგიზმს ქმნის ძლიერი პიროვნების გარემოსთან შეჯახების ეთიკური უკომპრომისობა, ძლიერი პიროვნებისა, რომელიც ამავე დროს ინდივიდუალისტურად განცალკევებული და გულზვიადია. საბოლოოდ ჰაუკე ჰაიენი თემის ბოროტებისა და შეზღუდულობის, აგრეთვე სტიქიის დამანგრეველი ძალების წინაშე მარცხდება და როცა მის ცოლსა და ბავშვს ტალღები შთანთქავენ, ჰაუკე ჰაიენიც თავისი თეთრონით ზვირთებში გადაეშვება.

„თეთრცხენიანი მხედრის“ ერთი ეპიზოდი ჩვენს „სურა-

მის ციხეს“ ეხმაურება. მუშებს სურთ, როგორც ეს მიღებული იყო, ჯებირის თითქოსდა გასამაგრებლად, ცოცხალი ძაღლი ჩაატანონ. ერთი ახალგაზრდა შენიშნავს: სადაა, თორემ, უკეთესი იყო ცოცხალი ბავშვის ჩატანებაო (ჰაუკე ძაღლს არ დაანებებს ცოცხლად დასამარხავად).

თავისი ამაყი განდგომილებით, თავისებური ინდივიდუალიზმით, სიჯიუტემდე მისული პრინციპულობით, სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან დაპირისპირებით, უკომპრომისობით, ბოლომდე ვაჟკაცური, თითქმის წინასწარი მარცხისათვის განწირული ბრძოლით, ვიტალურობით, ცხოველმყოფელობით, ულევი ენერგიითა და მიზანსწრაფულობით, ცოტა ახირებულობითაც ჰაუკე ჰაიენი მოგვაგონებს ერვინ შტრიტმატერის ოლე ბინკოპს, რომელიც აგრეთვე შეზღუდულ, ობსკურანტ თანასოფლელებთან ბრძოლაში იღუპება.

ერიჰ შმიტის თქმით, თეოდორ შტორმის ამ ნაწარმოებში ისმის „ზღვის ხმათა დამატყვევებელი სიმფონია“.

ბოლოს შევეხოთ წინამდებარე კრებულში გაერთიანებული ნაწარმოებების ჟანრულ სპეციფიკას.

ნოველის ცნების განსაზღვრება ლიტერატურის თეორიასა და საერთოდ ლიტმცოდნეობას ყოველთვის უჭირდა. სრული შეთანხმება ამ სფეროში დღესაც არ არის მიღწეული. არსებობს უამრავი აზრი და თვალსაზრისი, მათ შორის ზოგი ერთობ ნიჰილისტურიც. ჯერ კიდევ გოეთე სწერდა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტს 1896 წ., რომ ნოველა არისო „რუბრიკა, რომელშიაც უამრავ უცნაურ რასმე ათავსებენ“. ბერნჰარდ ფონ არქსი ნოველის ცნების განსაზღვრების ყველა მანამდელ ცდას უნაყოფოდ მიიჩნევს და ნოველას უწოდებს უბრალოდ „საშუალო სიგრძის მოთხრობას“. ვალტერ პაბსტი ასე სკეპტიკურად და ნიჰილისტურად აჯამებს თავისი კვლევის შედეგებს: „არ არსებობს ... ნოველა საერთოდ, არსებობენ მხოლოდ ნოველები“.

მაგრამ მაინც შეიძლება ნოველის ზოგიერთი არსებითი ნიშნის ჩამოთვლა.

ყველაზე მთავარი ნოველაში, როგორც ჩანს, უნდა იყოს, ბენო ფონ ვიიზეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთი შემთხვევით შემოფარგვლა“, ანდა, როგორც არნოლდ ჰირში წერს, „ერთი სიტუაციით შემოფარგვლა“. ამ პირობას ყველა ნოვე-

ლა აკმაყოფილებს: ნოველა იფარგლება ერთი, ერთადერთი შემთხვევით. ნოველისათვის დამახასიათებელია არა ამბავი, არა ისტორია, არამედ შემთხვევა — განსაკუთრებული, მოულოდნელი, უცნაური, გაუთვალისწინებელი, განუმეორებელი, უეცარი, არაჩვეულებრივი და ეს შემთხვევა უნდა ხდებოდეს მცირე შემოფარგლულ დროსა და სივრცეში. გოეთემ ერთხელ უთხრა ეკერმანს: „სხვა რაღაა ნოველა, თუ არ გაუგონარი შემთხვევა".

ნოველისათვის ნიშანდობლივია ეკონომიურობა, შეკრულობა, შეკუმშულობა, კონცენტრირება, ერთი მიზნისკენ მიმართულობა, დეტალების უგულებელყოფა. ნოველის ფორმა უნდა იყოს მტკიცე და „ჩაკეტილი", ნოველას არა აქვს უხარვეზო სისრულე, არა აქვს თანაბარი, თანდათანობითი განვითარება. ნოველას „ღდინში ჩაყოლა" არ უყვარს, არც განზე გახვევა, არც ზედმეტობა. ნოველა ვერ იგუებს ფართო, დაწვრილებით აღწერებსა და ფართოდ გაშლილ ეპიზოდებს. იგი კონცენტრირებულია ერთ შემთხვევაში და ეს შემთხვევა „დაწურული" უნდა იყოს. მოქმედება ვითარდება პირდაპირ, სწორხაზოვნად, ყოველგვარი განშტოების გარეშე. ნოველა უნდა მთავრდებოდეს კულმინაციით, ზოგჯერ კატასტროფით, ერთგვარი „განმუხტვით". ნოველაში სიტუაცია იძაბება სწრაფად, შეუნელებლად და შეუმზადებლად. ნოველა გამოსახავს სინამდვილის მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთს და პერსონაჟის ცხოვრების მხოლოდ ერთ, მაგრამ მნიშვნელოვან, ცენტრალურ (ზოგჯერ საბედისწერო, ტრაგიკულ) ეპიზოდს, მომენტს, რაც მისი ცხოვრების ან დასასრული, ანდა შემობრუნება-გარდატეხის წერტილი უნდა იყოს. ნოველას ახასიათებს დრამატულობა, დაძაბულობა, სწრაფი ტემპი და სცენიურობა (ნოველა ყველაზე ახლოს დრამასთან დგას. მათ შორის საერთოა: მოქმედების მნიშვნელოვანება, მოქმედების კონცენტრირება და მისი კულმინაციამდე მიყვანა).

მოთხრობა დგას რომანსა და ნოველას შორის. რომანთან მას საერთო აქვს მოქმედების სიმდიდრე, თუმც მოთხრობაში არ უნდა იყოს მოქმედების მეტისმეტად რთული განშტოება, მოთხრობა ნოველას ჰგავს სცენების, ეპიზოდების სიმოკლით, მაგრამ მოთხრობაში სცენები, ეპიზოდები და ა. შ. არ არის კონცენტრირებული ერთ ცენტრში, ერთ წერტილში. მოთხ-

რობაში შეიძლება იყოს რამდენიმე თანაბარმნიშვნელოვანი ამბავი, ნოველაში კი შესაძლებელია მხოლოდ ერთი ცენტრალური შემთხვევა; მოთხრობა ნაკლებად შეკრულია, ნაკლებად მიზანსწრაფული, მასში მოქმედების გაცილებით მეტი სიმდიდრე და სიუხვეა, მეტი ეპიკური სიფართოვე და მეტი „მოშვებულობა“, ნაწილებს შორის ნაკლები კავშირი და ნაკლები შეკრულობა.

ნოველა მშვილდის ლარივითაა მოჭიმული ისრის მიზანში მოსახვედრად. გვხვდება, რასაკვირველია, შუალედური ნაწარმოებებიც, რომლებშიც ნოველისა და მოთხრობის ელემენტები დაახლოებით თანაბარია და ძალიან ძნელდება მათი ჟანრის დადგენა.

ზემომოტანილ მასალას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დაუეჭვებლად ვთქვათ, რომ წინამდებარე კრებულში გაერთიანებულ პროზაულ ნაწარმოებთა შორის ტიპური ნოველებია გოეთეს „მეზობლის უცნაური ბავშვები“, ჰაუფის „ყმაწვილი ინგლისელი“ და შტორმის „თეთრცხენიანი მხედარი“. ამის შემდეგ დაეჭვება და ყოყმანი იწყება, რადგან კლაისტის „მიჰაელ კოლჰაასი“, ჰოფმანის „პატარა ცახესი“ და შამისოს „პეტერ შლემილი“ როგორც ნოველის, ასევე მოთხრობის ელემენტებს შეიცავენ და ძნელი დასადგენია, რას მიენიჭოს უპირატესობა, რა ჩაითვალოს არსებითად.

გოეთეს, ჰაუფისა და შტორმის ზემოდასახელებულ პროზაულ ნაწარმოებებში მოქმედება ეკონომიურია, შეკუმშული, „დაწურული“. იგი ერთი მიზნისაკენ, კულმინაციისაკენ, თავისებური „ფინიშისაკენ“, გადამწყვეტი „შემთხვევისაკენ“ მიისწრაფვის. მათში არ არის მოქმედების რთული განშტოება, განზე სვლები, დეტალებით გადატვირთვა. ამ ნაწარმოების ხასიათები არ ვითარდება, აქ საინტერესოა, ყურადღების ცენტრშია კულმინაციური, ფინალური შემთხვევა, რაც საბედისწეროა, გადამწყვეტია, „შემობრუნების წერტილია“ ნაწარმოების გმირისა ან გმირებისათვის.

რაც შეეხება კლაისტის „მიჰაელ კოლჰაასს“, იგი ნოველის მრავალ ნიშან-თვისებას მოიცავს, მისი კომპოზიცია მშვილდის ლარივით მოჭიმულია, სიუჟეტი დრამატულად დაძაბულია, გამოსახავს ექსტრემულ, ზღვრულ სიტუაციას და ა. შ., მაგრამ, მეორე მხრივ, „მიჰაელ კოლჰაასი“ მოცულობით, ეპიზო-

დების სიმრავლით, მოქმედების განტოტებით, გმირის ცხოვრების საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის გამოსახვით და ა. შ. მოთხრობისკენ იხრება.

ასევე „პატარა ცახესი“ და კიდევ უფრო მეტად „პეტერ შლემილი“ თავიანთი მოცულობით, სინამდვილის შედარებით ფართო აღქმითა და წვდომით, მოქმედების, ამბების საკმაო სიუხვით, „მოშვებულობით“, ერთი შემთხვევით შემოუფარგლელობით, სინათლის, შუქის თანაბარი განაწილებით მოთხრობას უახლოვდებიან.

რასაკვირველია, მტკიცე, ურყევი საზღვრების გავლება და აბსოლუტური ჟანრული სიწმინდე-შეურევლობა, საერთოდ, შეუძლებელია და ჩვენს კრებულში მოთავსებული ნაწარმოებებიც (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) არ იძლევიან ამ მხრივ კატეგორიული, დაუეჭვებელი, უდაო, უტყუარი მტკიცების შესაძლებლობას.

ნოდარ კაკაბაძე

მეზობლების უცნაური ბავშვები

მეზობლად მოსახლე ორი დიდგვაროვანი ოჯახი თავ-თავიანთ შვილებს იმ სანუკვარი იმედით ზრდიდა, რომ შემდგომ ერთმანეთზე დაექორწინებინათ. ბავშვები — გოგონა და ბიჭი, ასაკითაც შეეფერებოდნენ ურთიერთს და მათი მომავალი შეუღლება მშობლებს წინდაწინ ახარებდა. მაგრამ სულ მალე ორივე ოჯახმა შეამჩნია, რომ მათს იმედს აღსრულება არ ეწერა — თითოეული ცალ-ცალკე მშვენიერი ბუნების ბავშვი გახლდათ, მაგრამ ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანდნენ. ასეთი სიძულვილის მიზეზი შეიძლება ის. იყო, რომ ბავშვები თითქმის ერთი ზნე-ხასიათისა იყვნენ: ორივეს დაკვირვებული თვალი ჰქონდა, ორივემ გარკვევით იცოდა, რაც სურდა და თუკი რასმე მოინდომებდნენ, განზრახვაზე ხელს ძნელად თუ აიღებინებდი. ტოლ-ამხანაგებს ორთავენი უყვარდათ, ორთავეს პატივისცემით ეპყრობოდნენ, მაგრამ თვითონ ისინი საკმარისი იყო პირისპირ დარჩენილიყვნენ, უმალ მოსისხლე მტრებად დაუდგებოდნენ ერთიმეორეს. როცა ბავშვები თავ-თავისთვის იყვნენ, მშვიდად ერთობოდნენ, — თამაშობდნენ ან რაიმეს აშენებდნენ, ერთად ყოფნისას კი ერთი მეორის გაკეთებულს ანგრევდა ხოლმე. თუ საერთო მიზანი იყო მისაღწევი, გამარჯვებისათვის ერთად იბრძოდნენ, მაგრამ როცა პირისპირ იდგნენ, პირველობას არაფრის დიდებით არ დაუთმობდნენ ერთმანეთს. თითოეულს ცალ-ცალკე კეთილზნიანი, მოსიყვარულე ბავშვი ეთქმოდა, მაგრამ ერთად რომ შეიყრებოდნენ, ავგულობისა და ერთმანეთისადმი სიძულვილის მეტს სხვას არაფერს ამჟღავნებდნენ.

ეს უცნაური ურთიერთობა, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ გამოააშკარავეს, მოგვიანებითაც თვალში ხვდებოდა ყველას. აი, ბიჭები რომ ითამაშებენ ომობანას, — ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად დაიყოფიან და ერთმანეთს ცხარე ბრძოლას გაუმართავენ, ერთხელაც ასე დაიყვნენ. ეს ჯიუტი და უშიშარი გოგონა თავის რაზმს ჩაუდგა სათავეში და ბიჭის რაზმს ისეთი

ძალითა და გააფთრებით შეუტია, რომ სამარცხვინოდ დაამარცხებდა და გააქცევდა კიდეც, მისი პირადი მოწინააღმდეგე მედგრად რომ არ დახვედროდა, არ განეიარაღებინა და ტყვედ არ ჩაეგდო გოგონა. ტყვედქმნილი მაინც გაგულისებით იცავდა თავს. ბიჭი იძულებული გახდა აბრეშუმის ყელსახვევი შემოეხსნა და მეტოქისათვის ზურგზე გაეკრა ხელები, რომ საკუთარი თვალებიც დაეცვა და მტერიც დაუზიანებელი დარჩენილიყო.

ეს ამბავი გოგონას ბიჭისთვის არასოდეს უპატიებია. ის კი არა, უჩუმრად ყოველ ხერხსა და ხრიკს მიმართავდა, ოღონდ რაიმე ევნო მისთვის, თანაც ისეთი დაჟინებით ცდილობდა ამას, რომ მშობლებს მისი გაშმაგება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ოჯახები ერთმანეთს მოელაპარაკნენ და გადაწყვიტეს, გადამტერებული გოგო-ბიჭი ერთმანეთისთვის დაეცილებინათ და თავიანთ სანუკვარ იმედსაც გამოსთხოვებოდნენ.

ახალ გარემოში რომ მოხვდა, ბიჭმა მალე გამოიჩინა თავი, ყოველგვარ წვრთნასა და შეგონებას მისთვის სარგებლობა მოჰქონდა. კეთილისმსურველებმა და საკუთარმა მისწრაფებამ მას სამხედრო სამსახური აარჩევინეს. სადაც კი გამოჩნდებოდა, პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ყველა, კაცი იფიქრებდა, ასეთი ჩინებული ბუნების ადამიანი მხოლოდ იმისთვის იბადება, სხვებს სიკეთე და სიხარული მიანიჭოსო. თვითონ ყმაწვილს, მიუხედავად იმისა, რომ თავს არ უტყდებოდა, გულისგულში უხაროდა კიდეც, ბუნების მიერ მტრად გაჩენილ ერთადერთ არსებას რომ გაშორდა.

გოგონასაც შეეცვალა ხასიათი. წლებმა და სწავლა-განათლებამ, უფრო კი თანდაყოლილმა გულისხმიერებამ თავისი ქნა: იგი თანდათან გადაეჩვია იმ თავზეხელაღებულ თამაშს, მანამდე რომ სჩვეოდა ხოლმე. საერთოდ, ეტყობოდა, რაღაც აკლდა. ირგვლივ აღარაფერი იყო ისეთი, რაც მის სიძულვილს დაიმსახურებდა, არადა, ისეთიც არავინ ჩანდა, მისი გული რომ სიყვარულით აეთრთოლებინა.

ერთ შეძლებულ, დიდგვაროვან, საზოგადოებაში დაფასებულ და ქალების სათაყვანებელ ჭაბუკს, რომელიც გოგონას ბავშვობისდროინდელ მეტოქე-მეზობელზე უფროსი იყო ასაკით, ქალიშვილი მთელი არსებით შეუყვარდა. გოგონას ცხოვრებაში პირველად ხდებოდა, რომ ახლა მას მეგობარი, შეყვა-

რებული თაყვანისმცემელი დასტრიალებდა თავს. ქალიშვილის გულს სალბუნად ედებოდა ის ამბავი, რომ ჭაბუკმა თავის გულისსწორად იგი ამოირჩია, მას მიანიჭა უპირატესობა მიუხედავად იმისა, რომ სხვები ასაკითაც უფრო შეეფერებოდნენ, განათლებითაც და სილამაზითაც. გოგონას სიამეს ჰგვრიდა ვაჟის თავაზიანობა, მისი ერთგულება და შეუნელებელი ყურადღება, რაიც თავის მობეზრებაში არასოდეს გადადიოდა. თავისი გრძნობები ვაჟმა საცოლის მშობლებს გაუზიარა და ახლა ბედნიერების დღის მშვიდი და იმედიანი ლოდინი, — ლოდინი იმიტომ, რომ ქალიშვილი ჯერ სრულიად ნორჩი იყო, — გოგონას ვაჟის მიმართ გულთბილად განაწყობდა, რასაც ჩვეულებამ და ახალგაზრდების საქვეყნოდ აღიარებულმა ურთიერთობამაც თავისებურად შეუწყო ხელი. გოგონას ისე ხშირად იხსენიებდნენ ამ ვაჟის საცოლედ, რომ ბოლოს თვითონაც ირწმუნა ეს ამბავი, ხოლო როცა ბეჭედი გაუცვალა მამაკაცს, ამდენი ხნის განმავლობაში მის საქმროდ რომ ითვლებოდა, არც თვითონა და არც სხვას მათი სიყვარულისათვის დამატებითი გამოცდის მოწყობა საჭიროდ აღარ მიუჩნევია.

ის სიმშვიდე, რაც მთელ მათს ურთიერთობას სდევდა თან, არც ნიშნობის შემდეგ შეცვლილა. ამ ურთიერთობის შეცვლას არც ერთი მხარე არა ჩქარობდა. უხაროდათ ერთად ყოფნა და სურდათ მთელი სისავსით ისე დამტკბარიყვნენ ამ დიდებული დროით, თითქოს იგი მომავალი ცხოვრების გაზაფხული ყოფილიყოს.

ამასობაში სახლსა და ფუძეს მოშორებულმა მეზობლის ჭაბუკმა მშვენიერი განათლება მიიღო, დამსახურებულად შეიგა ფეხი ცხოვრების მომდევნო საფეხურზე, ხოლო როცა შვებულება მიაკუთვნეს, შინაურების სანახავად ჩამოვიდა. ერთი შეხედვით თითქოსდა არაფერი უჩვეულო არ მომხდარა, როცა იგი თავის მომხიბვლელ მეზობელს წარუდგა, მაგრამ ამ შეხვედრას მაინც არ ეთქმოდა ჩვეულებრივი შეხვედრა. ბოლო ხანებში ქალიშვილი საამო ოჯახურ გარემოში ცხოვრობდა, დღენიადაგ გრძნობდა გულთბილ, ალერსიან დამოკიდებულებას, გრძნობდა იმ სითბოს, საპატარძლოს მიმართ რომ იჩენდნენ და ყოველ ახალ დღეს გალაღებული ხვდებოდა ხოლმე. ასე ეგონა, ბედნიერი ვარო და თავისებურად იყო კიდეც

ბედნიერი. და აი, ამდენი ხნის შემდეგ, მან კვლავ ნახა ბავშვობის ამხანაგი. იგი აღარ იყო საძულველი, ქალიშვილს სიძულვილი აღარც კი შეეძლო, დიახ, აღარ შეეძლო ის ბავშვური სიძულვილი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, უფრო მოწინააღმდეგის შინაგანი ღირსების იდუმალ აღიარებას ნიშნავდა. ეს სიძულვილი უცებ საამო გაოცებამ, სიხარულით აღვსილმა მზერამ, თავაზიანმა გულწრფელობამ, სანახევროდ სასურველმა, სანახევროდ კი უნებურმა და მაინც აუცილებელმა დაახლოებამ შეცვალა. ორთავე გრძნობდა ამას, ხოლო რაკი ერთმანეთი დიდი ხანია არ ენახათ, ეს ამბავი საბაბადაც გამოდგებოდა, რომ საუბარი გაებათ. ამჯერად, როცა წამოიზარდნენ და ჭკუა-გონებაც მოემატათ, სასაცილოდ აღარ ყოფნიდათ ბავშვობისდროინდელი უგუნურება. ერთი სიტყვით, ისე ჩანდა, თითქოს ორივე მათგანს სურდა ის უაზრო სიძულვილი ახლა მეგობრული და ყურადღებიანი ურთიერთობით მაინც შეეცვალათ, თითქოს მაშინდელი შეუწყალებელი უპატივცემულობა ამჟამად ერთმანეთისადმი აშკარა პატივისცემით უნდა გამოესყიდათ.

ვაჟისათვის ამაში არაფერი იყო უცნაური და ქალიშვილთან ურთიერთობასაც იგი სიხარულით შეჰფოფინებდა. მართალია, მშვენიერი საპატარძლოს მეგობრული დამოკიდებულება ძალზე ახარებდა, მაგრამ ვაჟი იმდენად იყო გართული ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობით, საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის განმტკიცებაზე ზრუნვით, პატივმოყვარული ოცნებების აღსრულებაზე ფიქრით, რომ ქალიშვილის მიმართ არავითარი ზრახვა გულში არ გაუვლია; არც მისი საქმროსი შეშურებია, ვისთანაც, სხვათა შორის, საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა.

ვაჟისაგან განსხვავებით ქალიშვილი სრულიად სხვაგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასე ეგონა, აქამდე მხოლოდ სიზმარში ვიყავი და მხოლოდ ახლა გამოეფხიზლდიო. ახალგაზრდა მეზობლით მისი პირველი გატაცება ყმაწვილის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა და სწორედ ეს დაუოკებელი ბრძოლა, ახლა სახეშეცვლილი, ასეთივე დაუოკებელი, თითქოსდა დაბადებიდანვე თანდაყოლილი სიყვარულით შეიცვალა. ასე ფიქრობდა — მთელი ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ის მიყვარდაო. უწინდელი გაავება, როცა იარაღი ეპყრა ხელთ, ქა-

ლიშვილს ახლა ღიმილსა ჰგვრიდა. მისი გული ნეტარებით ივსებოდა, როცა გაახსენდებოდა, თუ როგორ განაიარაღა იგი ბიჭმა, სიამით ეკუმშებოდა გული, როცა კი წარმოიდგენდა, თუ როგორ შეუკრა მეზობელმა ხელები. საერთოდ, ყველაფერი, რასაც მაშინ ბიჭის საზიანოდ და გულის სატკენად სჩადიოდა, ახლა მხოლოდ უწყინარ საბაბად მიაჩნდა, რომ როგორმე მისი ყურადღება მიეზიდა. სწყენოდა იმ დღეს, როცა დაშორდნენ ერთმანეთს, დარდობდა იმის გამო, რომ სიზმარში იყო ამდენ ხანს, შეჩვენებას უგზავნიდა იმ შავბნელ წეს-ჩვეულებას, რომლის გადამკიდეს საქმროდ ასეთი უღიმღამო კაცი შეხვდა. ქალიშვილი შეიცვალა, შეიცვალა წარსულისა და აწმყოს მიმართ.

ვინმეს რომ გაეგო ქალიშვილის წუხილი, საგულდაგულოდ რომ უმალავდა ყველას, არავინ გაამტყუნებდა, რადგან მისი საქმრო მეზობლის ვაჟთან – ახლოსაც ვერ მივიდოდა: თუკი საქმროს ასე თუ ისე ენდობოდი მაინც, მეზობლის ვაჟი სრულ ნდობას იმსახურებდა; თუ პირველთან მხოლოდ საუბარს მოისურვებდი, მეორეს მეგობრად ამოირჩევდი, ხოლო თუ უმაღლეს თანაგრძნობაზე, განსაკუთრებულ ურთიერთობაზე იფიქრებდი, მაშინ პირველის მიმართ ეჭვი შეგეპარებოდა, მეორისადმი კი სრულ რწმენას ვერაფერი შეგირყევდა. ასეთი განსხვავების შესაცნობად ქალებს რაღაც განსაკუთრებული უნარი დაჰყვებოდათ, ხოლო ამ უნარის გამოსამზეურებლად მიზეზიც ეძლევათ და საამისო საფუძველიც აქვთ ხოლმე.

რაც უფრო ხშირად მინებდებოდა ხოლმე მშვენიერი საპატარძლო ასეთ ფიქრებს, რაც უფრო იშვიათად გაიგონებდა საქმროს სასარგებლოდ ნათქვამ სიტყვას, — როცა არავინ ააშკარავებდა თავის აზრს იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს ქალიშვილის მდგომარეობა, მისი მოვალეობა, როცა არავინ ამბობდა ყოველივე იმას, რასაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში, როგორც გარდუვალ აუცილებლობას, — ყმაწვილი ქალის ფაქიზი გული მით უფრო მეტად ემორჩილებოდა თავის პირველ გატაცებას, მიუხედავად იმისა, რომ ერთის მხრივ, უწყალოდ ბოჭავდა საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობანი, საქმრო და მისთვის მიცემული პირობა, მეორეს მხრივ კი აღზევების გზაზე შემდგარი ყმაწვილკაციც არ მალავდა თავის გეგმებსა და გაზრახვებს; მართალია, ერთი

გულ ძმასავით ეჭირა თავი, მაგრამ ერთხელაც არ ყოფილა მოსიყვარულე ძმასავით გულთბილი. ახლა კი იმაზეც ჩამოაგდო სიტყვა, მალე შინიდან უნდა გავემგზავროო. ამის გამო ქალიშვილის არსებაში თითქოს კვლავ გაიღვიძა ბავშვობის-დროინდელმა სულმა, ვერაგულმა გააფთრებამ და ახალი ცხოვრების მომდევნო საფეხურზე ასული აღშფოთებული ემზადებოდა, უფრო მეტი ძალითა და გამეტებით ემოქმედნა. გადაწყვიტა თავი მოეკლა და გულგრილობის გამო ამგვარად დაესაჯა ერთ დროს საძულველი, ახლა კი უსაყვარლესი ადამიანი. რაკი არ შეეძლო თავისად მიეჩნია, სხვა თუ არაფერი, ამით მაინც დაახსომებდა თავს და მარადიულ სანანებელს გაუჩენდა. იმას ნატრობდა, რომ ვაჟს აღარასოდეს დავიწყებოდა მკვდარი გოგონას სახე, რომ სამაგალითოდ დაესაჯა საკუთარი თავი, დაესაჯა იმის გამო, რაკი ვაჟმა ვერ გაიგო ქალიშვილის გრძნობები, ვერ შეიცნო და ვერ დააფასა ისინი.

ეს ახირებული აზრი ქალიშვილმა ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან. თავისი გულის წუხილის დაფარვას ყოველნაირად ცდილობდა და, თუმცა ადამიანები ატყობდნენ — გაღიზიანებულაო, ისეთი გულისხმიერი ან გონიერი მაინცდამაინც არავინ აღმოჩნდა, რომ მისი მღელვარების ჭეშმარიტი მიზეზი ამოეცნო.

ამასობაში მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და ათასგვარ ზეიმს აწყობდნენ. დღე ისე არ გავიდოდა, რაღაც ახალი და მოულოდნელი გასართობი არ მოეგონათ. ახლო-მახლო თითქმის არც ერთი წარმტაცი კუთხე-კუნჭული აღარ გადარჩენიათ, რომ არ მოერთოთ და მრავალრიცხოვანი სტუმრის მისაღებად არ მოემზადებინათ. სანამ გაემგზავრებოდა, ჩვენმა ჭაბუკმაც მოინდომა თავის გამოჩენა და ახალგაზრდა წყვილი და მათი ოჯახების ვიწრო წრე მდინარეზე გასასეირნებლად მიიპატიჟა. სტუმრები დიდ, ლამაზ, მდიდრულად მორთულ იახტაზე ავიდნენ, რომელიც გემბანზე პატარა დარბაზსა და კიდევ რამდენიმე ოთახს იტევდა. სტუმრებს შეეძლოთ თავი აქაც ისევე თავისუფლად ეგრძნოთ, როგორც ხმელეთზე.

ხომალდი ფართო მდინარეს დაუყვა და არე-მარეს მუსიკის ხმები მოეფინა. ცხელი დღე იდგა და საზოგადოება ქვემოთ, კაიუტებში შეიკრიბა, რათა სახალისო და აზარტული

თამაშებით შეექცია თავი. ახალგაზრდა მასპინძელი, რომელიც უქმად ვერსად ჩერდებოდა, ახლა ხომალდის საჭეს მიუჯდა და მოხუცმა მესაჭემ იქვე მიიძინა. სწორედ იმ დროს დიდი სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო, რადგან ხომალდი საშიშ ადგილს უახლოვდებოდა: ორ კუნძულს მდინარის კალაპოტი შეეეიწროებინა, ბრტყელი და რიყიანი ნაპირები ხან ერთი მხრიდან იჭრებოდა მდინარეში, ხან მეორე მხრიდან და საშიშ ფარვატერს ქმნიდა. შეფიქრიანებულმა ყმაწვილმა მესაჭის გაღვიძება დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, — ფონს ჩემითაც გავალო და ხომალდს ვიწრო გასასვლელისკენ ააღებინა გეზი. სწორედ ამ დროს ბანზე გამოჩნდა მისი წარმტაცი მოწინააღმდეგე, რომელსაც თავი ყვავილების გვირგვინით შეემკო. ქალიშვილმა გვირგვინი მოიძრო, საჭესთან მიმდგარ ყმაწვილს გადაუგდო და მიაძახა:

— აჰა, ჩემგან სახსოვრად გქონდეს!

— ხელს ნუ მიშლი! — შეჰყვირა ვაჟმა და გვირგვინი ჰაერშივე დაიჭირა. — ამ წუთას მთელი ძალ-ღონისა და ყურადღების დაძაბვა მჭირდება.

— აღარც ხელს შეგიშლი და ვეღარც ოდესმე მიხილავ! — გამოსძახა ხომალდის ქიმისაკენ გაქცეულმა ქალიშვილმა და წყალში ისკუპა.

— არიქა, უშველეთ! გადაარჩინეთ! იხრჩობა! — გაისმა ხმები.

ვაჟი საშინლად დაიბნა. ხმაურმა მოხუცი მესაჭე გამოაღვიძა, რომელმაც საჭისათვის ხელის ჩაჭიდება დააპირა, მაგრამ ადგილების შეცვლა ვეღარ მოასწრეს და გემი მეჩეჩზე შეჯდა, იმავ წამს ვაჟმა ზემო სამოსი გაიძრო, იქვე მიაგდო, წყალში გადაეშვა და მშვენიერ მოწინააღმდეგეს ცურვით დაედევნა.

წყალი იმ ადამიანს მეგობრობს, ვინც იცნობს მის ბუნებას და იცის, როგორ მოექცეს. მართალია, მდინარემ გაიტაცა, მაგრამ მარჯვე მოცურავე წყალს მაინც იმორჩილებდა. ვაჟი მალე დაეწია მორევში ჩათრეულ მომხიბვლელ ასულს, ხელი ჩასჭიდა და მხარი შეაშველა. მერე სწრაფმა დინებამ ისევე გაიტაცა ორთავე, კუნძულები და მეჩეჩი უკვე აღარც კი ჩანდა. მდინარე კლავ გაფართოვდა და დადინჯდა. ვაჟი ახლაღა მოეგო გონს, — აქამდე შეუგნებლად მოქმედებდა. თავი წყლი-

დან ამოსწია, ირგვლივ მიმოიხედა და, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა, ლამაზი ბუჩქნარით შემოსილი (დაბალნაპირიანი) ადგილისკენ გასცურა, ძვირფასი ნადავლი წყლიდან ამოიყვანა და მიწაზე დააწვინა. მაგრამ ქალიშვილი აღარ სუნთქავდა. ის იყო ვაჟი სასოწარკვეთამ მოიცვა, რომ ბუჩქნარში ჩაკარგული ბილიკი შენიშნა. ძვირფასი ტვირთი ზურგზე მოიკიდა და ბილიკს დაადგა. სულ მალე პატარა სახლს მიადგა, სადაც კეთილი ადამიანები დაუხვდნენ — ახალგაზრდა ცოლქმარი. უბედურება და გაჭირვება სათქმელს მალე ამჟღავნებს. რაც კი ვაჟმა მოითხოვა, მაშინვე აუსრულეს. ბრიალა ცეცხლი გააჩაღეს, საწოლზე მატყლის საბნები დააფინეს, თუკი რამ თბილი მოეძევებოდათ, — ჭურჭები, ბეწვის სამოსი, — ყველაფერი მოიტანეს. ქალიშვილის გადარჩენის სურვილმა ყველა სხვა სურვილი გადაავიწყათ. სწრაფად მოქმედებდნენ, რომ დამზრალი მშვენიერი შიშველი სხეულისათვის სიცოცხლე დაებრუნებინათ და დაუბრუნეს კიდეც. ქალიშვილმა თვალი გაახილა, მეგობარი შეიცნო და ღვთაებრივი მკლავები კისერზე შემოაჭდო. ასე იყო დიდხანს, შემდეგ თვალთაგან მდუღარე ცრემლი წასკდა და მისი განკურნებაც ამით დასრულდა.

— ნუთუ ახლა მიმატოვებ, როცა კვლავ გპოვე?! — აღმოხდა ქალიშვილს.

— არასოდეს! აღარასოდეს! — ენა ამოიღო ვაჟმა და ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა ან რას სჩადიოდა, დაუმატა: — ოღონდ შენი თავი შეიბრალე, იფიქრე საკუთარ თავზე, შენი და ჩემი გულისთვის!

ქალიშვილი ჩაფიქრდა და ახლაღა გაიცხადა, რა ყოფაშიც იყო. უსაყვარლესი ადამიანისა არა რცხვენოდა, მაგრამ მკლავების ტყვეობიდან მაინც გაათავისუფლა, რადგან ვაჟს საკუთარი თავისთვისაც უნდა მიეხედა — სამოსი, რაც ტანზე შერჩენოდა, მთლად სველი იყო და წყალი ჯერაც წურწურით ჩამოსდიოდა.

ახალგაზრდა მასპინძლებმა მოილაპარაკეს და ვაჟსა და ქალიშვილს თავიანთი ახალთახალი საქორწინო სამოსი შესთავაზეს, იქვე რომ ეკიდა. როცა ხიფათგამოვლილებმა ტანსაცმელი გადაიცვეს, მოიკაზმნენ და გარეთ გამოვიდნენ, ერთობ საამო სანახაობები იყვნენ. უცხო სამოსში გამოწყობილებმა ერთმანეთი გაოცებით შეათვალიერეს, ურთიერთს შეჰღი-

მეს და გრძნობამორეულები ერთმანეთს ჩაეკონენ. ახალგაზრდულმა გზნებამ და სიყვარულის აღტყინებამ ორიოდე წუთის შემდეგ კვლავ აღუდგინა ძალ-ღონე და მუსიკაღა იყო საჭირო, რომ ვაჟს ქალიშვილი საცეკვაოდ გაეწვია.

წყლიდან ხმელეთზე მოხვედრა, სიკვდილის ნაცვლად სიცოცხლეში დამკვიდრება, ოჯახურ წრეს მოწყდომა და სადღაც მიყრუებულ ადგილას გარიყვა, სასოწარკვეთილების მაგიერად ნეტარებაში დავანება, გულგრილობის მგზნებარე სიყვარულით შეცვლა — გულს არ შეეძლო ამდენი ამბის ერთბაშად გაგება, შეიძლებოდა იგი გამსკდარიყო, შეიძლებოდა კაცი გონებას გადასულიყო. ასეთ მოულოდნელობათა ასატანად გულმა მთელ თავის ძალ-ღონეს უნდა მოუხმოს.

ურთიერთზე ფიქრში ჩაფლულთ რამდენიმე ხნის შემდეგღა გააზსენდათ, თუ რა საგონებელში იქნებოდნენ შინაურები. თვითონაც შიშითა და ძრწოლით ელოდნენ მათთან შეხვედრას.

— გავიქცეთ და დავიმალოთ? — იკითხა ვაჟმა.

— ერთად ვიყოთ, — მიუგო ქალიშვილმა და ვაჟს კისერზე ჩამოეკიდა.

მასპინძელმა რომ ახალგაზრდებისგან მეჩეჩზე შემჯდარი ხომალდის ამბავი გაიგო, სხვა ამბების გამოკითხვას თავი ანება და მდინარისკენ გაეშურა. ხომალდი ამასობაში სამშვიდობოს გასულიყო და ახლა მდინარეს მოუყვებოდა; მის მდინარეში ჩაშვებას კაი გვარიანი წვალება დასჭირდა. ამჯერად ალალბედზე მოცურავდნენ, იქნებ დაკარგულებს მოვკრათო თვალი. რაკი მასპინძელი ხომალდზე მყოფთა ყურადღების მისაპყრობად ხელების ქნევასა და ყვირილს მოჰყვა, თან ნაპირზე მოსადგომად მოხერხებულ ადგილს ანიშნებდა და ყვირილსა და ხელების ქნევას განაგრძობდა, ხომალდმაც მიმართულება იცვალა და ნაპირისკენ გამოემართა. მაგრამ ეს რა სანახაობა დაუხვდათ, როცა ხმელეთს მოადგნენ!

ნაპირზე პირველად დანიშნულთა მშობლები გადმოვიდნენ. სასიძო ლამის გონებას გადამცდარიყო. ის იყო ხომალდზე შეიტყვეს, საყვარელი ბავშვები უვნებლად გადარჩენილანო, ისინიც ბუჩქებიდან გამოვიდნენ, მაგრამ უცნაურად გამოწყობილები მანამდე ვერ იცნეს, სანამ სულ ახლოს არ მივიდნენ.

— ამას ვის ხედავს ჩვენი თვალები! — შესძახეს დედებმა.

— რას ვხედავთ! — შესძახეს მამებმაც.

ხიფათგამოვლილები მათ წინაშე მუხლებზე დაეცნენ.

— თქვენს წინაშე ვართ თქვენი შვილები! — შესძახეს მათ, — ცოლი და ქმარი!

— გვაპატიეთ! — შესძახა ქალიშვილმა.

— დაგვლოცეთ! — შესძახა ვაჟმა.

— თქვენს ლოცვა-კურთხევას ნუ მოგვაკლებთ! — შესძახეს ორივემ ერთად გაოცებისგან ჩაჩუმებულებს.

— დაგვლოცეთ! — გაისმა მესამედ.

ან კი ვის შეეძლო უარი ეთქვა და ახალგაზრდები არ დაელოცა?

მიხაელ კოლჰაასი

ჩეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებში ჰაველის პირად ერთი დალალი ცხოვრობდა, სახელად მიხაელ კოლჰაასი, სკოლის მასწავლებლის ვაჟიშვილი. თავისი დროისათვის კოლჰაასი ზედმიწევნით სამართლიანი და ზოგჯერ საშინელი კაცი გახლდათ. ეს უჩვეულო ადამიანი, სანამ ოცდაათი წლისა გახდებოდა, კარგი მოქალაქის მაგალითს აძლევდა ყველას. ერთ სოფელში, რომელსაც ახლა მისი სახელი ჰქვია, კოლჰაასს კარმიდამო ჰქონდა, სადაც თავისი ხელობის წყალობით უზრუნველად ცხოვრობდა; მეუღლისგან ნაჩუქარ შვილებს ღვთის შიშით ზრდიდა, შრომისმოყვარეობასა და ერთგულებას უნერგავდა. მის მეზობლებს ამ კაცის სიქველე და სამართლიანობა გულზე მალამოდ ედებოდათ. ერთი სიტყვით, კოლჰაასის სახელი სამყაროს ლოცვა-კურთხევით უნდა მოეხსენებინა, სათნოება მეტისმეტად რომ არ მოსჭარბებოდა და სამართლიანობის გრძნობას იგი ყაჩაღად და მკვლელად არ ექცია.

ერთხელ კოლჰაასს გაუხედნავი, კარგად ნაპატიები და დაბზენილი ცხენების პატარა რემა საზღვრისაკენ მიჰყავდა, თან ყაირათიანი მეურნის დარად იმაზე ფიქრობდა, ბაზარზე ამდენს და ამდენს მოვიგებ, მოგების ნაწილს ისევ საქმეში დავაბანდებ, ნაწილს კი ოჯახს მოვახმარო. ფიქრებში გართული ელბას მიუახლოვდა. საქსონიაში, რაინდთა დიდებულ ციხე-დარბაზთან, კოლჰაასს შლაგბაუმი გადაეღობა. ასეთი რამ ამ გზაზე ადრე არასოდეს ენახა. ის იყო, რემა შეაჩერა, რომ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. კოლჰაასმა გზის გუშაგს გასძახა. სარკმელში მალე გამოჩნდა გუშაგის კუშტი სახე. გზა მომეციო, უთხრა დალალმა და, როცა კარგა ხნის შემდეგ მებაჟე საგუშაგოდან გამოვიდა, კოლჰაასმა ჰკითხა:

— ეს რა ახალი წესები შემოგიღიათ?

— კურფიურსტის* პრივილეგიაა, ეს პრივილეგია მან იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას მიანიჭა, — განუმარტა მებაჟემ და შლაგბაუმის აწევას შეუდგა.

— მართლა? — დაინტერესდა კოლჰაასი. — ამ იუნკერს ვენცელი ქვია? — იკითხა კოლჰაასმა და ციხე-დარბაზს გახედა. წვიმისგან ალაპლაპებული ციხე-დარბაზის ქონგურები გოროზად გადაჰყურებდა ველს. — რაო, მოხუცი ბატონი ხომ არ გამოსალმებია სიცოცხლეს?

— დამბლამ იმსხვერპლა, — მიუგო მებაჟემ და შლაგბაუმი ასწია.

— ჰმ, სამწუხაროა! — თქვა კოლჰაასმა. — მოხუცი ბატონი ღირსეული ადამიანი იყო, არასოდეს დაიზარებდა კეთილ საქმეს, აღებ-მიცემობას ყოველნაირად ხელს უწყობდა და სოფლის შარაგზაზე ქვაფენილიც კი დააგებინა, როცა ძველ გზაზე ჩემმა ფაშატმა ფეხი მოიტეხა. ეჰ, რას იზამ! რამდენი უნდა გადავიხადო? — იკითხა კოლჰაასმა. მოხუცმა მებაჟემ თანხა დაუსახელა. ქარისგან აფრიალებული პალტოს ჯიბიდან დალალი ფულის ამოღებას შეუდგა, თან მოხუცს ამშვიდებდა, რადგან მებაჟე აშურებდა, ჩქარა, ჩქარაო — გაიძახოდა და უამინდობას წყევლა-კრულვას უთვლიდა. — ეს ძელი რომ ისევ ტყეში მდგარიყო, უკეთესი იქნებოდა შენთვისაც და ჩემთვისაც, — დაუმატა კოლჰაასმა, ფული მებაჟეს გადასცა და წასასვლელად გაემზადა. მაგრამ ის იყო ძელის ქვეშ გაძვრა, რომ ციხე-დარბაზის კოშკიდან ვიღაცის ხმა შემოესმა — დალალო, მანდვე გაჩერდიო. კოლჰაასმა ციხისთავს მოჰკრა თვალი, რომელმაც ამასობაში სარკმელი მიხურა და ქვემოთ დაეშვა.

— ეს რაღას უნდა ნიშნავდეს? — გაიფიქრა კოლჰაასმა და ცხენები შეაჩერა.

ციხისთავმა გზადაგზა ნაპატივებ მუცელზე ჟილეტის ღილები შეიბნია, კოლჰაასს მიუახლოვდა, ქარს ზურგი შეაქცია და დალალს პასპორტი მოჰკითხა.

— პასპორტი? — გაუკვირდა კოლჰაასს, — დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი რამ არ მომეძევება, მაგრამ ჯერ განმიმარტე, პასპორტი რაღაა და იქნებ აღმომაჩნდეს კიდეც.

ციხისთავმა ალმაცერად გახედა კოლჰაასს და მიუგო, კურფიურსტის ნებართვა თუ არ გაქვს, საზღვარზე ვერ გაგატარებთო. კოლჰაასმა ციხისთავს მტკიცება დაუწყო, ერთი თხუთმეტჯერ მაინც გადაესულვარ ამ საზღვარზე ნებართვისა და მოწმობის გარეშე, კურფიურსტის ყველა განკარგულება ზეპი-

რად ვიცი, ეტყობა რაღაც გაუგებრობა მოხდა და გთხოვთ, დიდხანს ნუღარ დამაყოვნებთ, რადგან წინ შორი გზა მიძევსო. ციხისთავმა უთხრა, მეთექვსმეტედ ვეღარ გაძვრები, ეს განკარგულება სწორედ ახლახან გამოსცეს, ან პასპორტი წარმოადგინე, ანდა საიდანაც მოსულხარ, ისევ იქ წადიო.

ასეთმა უკანონობამ დალალი გააბრაზა, კოლჰაასი ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი მსახურს მიუგდო და განაცხადა, იუნკერ ფონ ტრონკას ამ საკითხზე მოველაპარაკებიო. კოლჰაასი ციხე-დარბაზისკენ გაემართა; ციხისთავიც უკან აედევნა, თან რაღაცას ბურტყუნებდა კრიჟანგ ქორვაჭრებზე, — კარგი იქნება, ცხვირიდან ძმარი დაადინოთო. ციხე-დარბაზს რომ მიუახლოვდნენ, დალალმა და ციხისთავმა ერთმანეთს თვალები დაუბრიალეს და შიგ შევიდნენ.

როცა კოლჰაასი იუნკერთან საჩივრით შევიდა, ეს უკანასკნელი რამდენიმე მხიარულ თანამეინახესთან ერთად მაგიდას უჯდა, ხელში კათხა ეჭირა და ერთი შვანკის* გამო გულიანად ხარხარებდა. იუნკერმა ჰკითხა, რა გინდაო. რაინდებმა რომ დარბაზში უცხო ადამიანი შენიშნეს, მყის ჩაჩუმდნენ. მაგრამ, როგორც კი კოლჰაასმა ცხენები ახსენა, დამხვდურნი მაშინვე პირში ეცნენ:

— ცხენები? სად არიან? — წამოიძახეს მოუთმენლად და სარკმელებთან მიიჭრენ.

დაბზენილი ცხენების დანახვაზე ყველანი ეზოში გავარდნენ. ამასობაში წვიმამაც გადაიღო. ციხისთავი, მოურავი და მსახურები რაინდებს შემოეხვივნენ და ცხენებს დაუწყეს თვალიერება. ერთი შუბლზე თეთრხალიან ზერდაგს აქებდა, მეორე — წაბლას, მესამე ხალებიან ამლაყს უსვამდა ალერსით ხელს, და ყველა ერთხმად აღიარებდა, ირმებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ცხენებს, მათზე უკეთესს ჩვენს ქვეყანაში ვერსად ნახავთო. კოლჰაასმა რაინდებს მკვირცხლად მიუგო, ამ ცხენებს თქვენისთანა რაინდები შეჰფერითო და შეაგულიანა, ბარემ იყიდეთ კიდეცო. იუნკერს ზერდაგმა მოსტაცა თვალი და კოლჰაასს ჰკითხა, რა ღირსო. მოურავმა ურჩია, ერთი წყვილი შავრა იყიდეთ, მუშა ცხენები გვაკლიაო და მეურნეობაში გამოვიყენებთო. მაგრამ როცა პატრონმა ცხენის ფასი თქვა, რაინდებს ძალზე ეძვირათ. ხოლო იუნკერმა განაცხადა, შენი ცხენები თუ ასე ძვირად ფასობენ, მრგვალი მაგიდის

რაინდებთან მომიწევს გამგზავრება, ცხენებს მეფე არტურს* შევთავაზებო. კოლჰაასმა შეამჩნია, რომ ციხისთავი და მოურავი ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ და თან წამდაუწუმ შავრა ცხენებისკენ იმზირებოდნენ. დალალს უსიამოვნო წინათგრძნობა დაეუფლა და გადაწყვიტა, ცხენები როგორმე მათთვის მიეყიდა.

— ბატონო, — მიმართა მან იუნკერს, — ეს შავრა ცხენები ექვსი თვის წინათ ოცდახუთ ოქროს გულდენად შევიძინე. ოცდაათი მომეცით და თქვენთვის დამითმია.

იქვე მდგომმა ორმა რაინდმა იუნკერს აგრძნობინა, უღირალი ფასი არ არისო. იუნკერის აზრით ზერდაგში ამდენი ფულის გადახდა კიდევ შეიძლებოდა, შავრასათვის კი მეტისმეტი იქნებოდა და წასვლა დააპირა. კოლჰაასმა შენიშნა, ცხენებს სხვა დროს რომ გამოვრეკავ, იქნებ მაშინ მოვრიგდეთო, იუნკერს გამოეთხოვა და გასამგზავრებლად ცხენს აღვირი წამოუკრიფა.

ამ დროს ციხისთავი მსახურებს გამოეყო და თქვა, როგორც ვიცი, უპასპორტოდ მისი გაშვება არ შეიძლებაო. კოლჰაასი შებრუნდა და იუნკერს ჰკითხა, მართლა ასეა, თუ არაო. თან დასძინა, ეს ამბავი მთელ ჩემ საქმეს თავდაყირა დააყენებსო.

— ასეა, კოლჰაასს, — მიუგო შეცბუნებულმა იუნკერმა და ადგილიდან დაიძრა. — ამ საქმეზე ციხისთავს მოელაპარაკე და შენს გზას დაადექ.

კოლჰაასი შეეცადა იუნკერი დაერწმუნებინა, რომ სულაც არ აპირებდა დაერღვია ახალი კანონი და აღუთქვა, დრეზდენში მოვხვდები თუ არა, ქალაქის გამგებლობაში მივალ და პასპორტს შევიძენო, თან სთხოვა, რაკი ამჯერად არ ვიცოდი, ნება მომეცით, საზღვარზე გადავიდეო.

— კარგი, — თქვა იუნკერმა, რადგან ამ დროს ტაროსი შეიცვალა. და ცივმა ქარმა ძვალ-რბილში დაუარა, — გაუშვით ეგ საწყალი. წავიდეთ! — მიმართა რაინდებს, შებრუნდა და ციხე-დარბაზისკენ დააპირა წასვლა.

ამ დროს მას ციხისთავი მიეახლა და უთხრა:

— საწინდარი მაინც დატოვოს იმის დასამტკიცებლად, რომ მოწმობას ნამდვილად შეიძენს.

იუნკერი ალაყაფის კართან შედგა.

— ფული დავტოვო თუ სხვა რამ ნივთი ამ შაერა ცხენების საწინდრად? — იკითხა კოლჰაასმა.

— ყველაფერს აჯობებს, შაერა ცხენები დატოვოს, — ჩაიბურტყუნა მოურავმა.

— ნამდვილად, — დაეთანხმა ციხისთავი, — ასე აჯობებს. პასპორტს რომ შეიძენს, მოვიდეს და ცხენები მაშინ წაიყვანოს.

ასეთი უნამუსობით გაოცებულმა კოლჰაასმა იუნკერს შეახსენა (ეს უკანასკნელი ქურთუკის შეკვრას ცდილობდა), — ცხენები გასაყიდად მიმყავსო.

ამ დროს ქარმა წვიმა და ხოშკაკალი კარიბჭეს მიაყარა და ეს საქმე რომ დროზე მოეთავებინა, იუნკერმა ბრძანა.

— თუ ცხენებს არ დატოვებს, მაშინ ისევ შლაგბაუმის იქით მიაბრძანეთ! — და იქაურობას გაეცალა.

დალალი მიხვდა — ყველა გზა მოჭრილი მაქვს და იუნკერის ბრძანების შესრულება მომიწევსო. კოლჰაასმა შაერა ცხენები გამოხსნა და იმ თავლაში შეიყვანა, რომელიც ციხისთავმა უჩვენა. დალალმა ცხენებთან მსახური დატოვა. ფული გადასცა, თან გააფრთხილა, ჩემს მოსვლამდე ცხენებს ყურადღება არ მოაკლოო, თვითონ კი ლაიფციგისაკენ მიმავალ გზას დაადგა. კოლჰაასი ამ ახალ წესს ჩაუფიქრდა, — ასეთი ბრძანება საქსონიაში ცხენების მოშენების მიზნით ხომ არ გამოიცაო.

დრეზდენში ჩავიდა თუ არა, — ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში კოლჰაასს სახლი და რამდენიმე თავლა ჰქონდა, რათა უფრო მოხერხებულად ევაჭრა და ქვეყნის პატარ-პატარა ბაზრებზე ცხენების ჩაყვანა არ გასძნელებოდა, — მაშინვე ქალაქის გამგეობაში გაემართა, სადაც ნაცნობი მრჩევლებისაგან შეიტყო, რომ პასპორტის შემოღების ამბავი მოგონილი იყო. ამას აკი თვითონაც გრძნობდა გუმანით. კოლჰაასს, რომელსაც გაბრაზებულმა მრჩევლებმა მაინც მისცეს წერილობითი საბუთი იმის დასადასტურებლად, რომ ცხენების საზღვარზე გადაყვანა აკრძალული არ იყო, გაელიმა გამხდარი იუნკერის ოინზე, თუმცაღა ამ ოინის აზრს ვერ მიმხვდარიყო. რამდენიმე კვირაში ცხენების რემა კარგ ფასად გაყიდა და ტრონკენბურგში დაბრუნდა. მართალია, ნაწყენი კი იყო, მაგრამ შეეგუა მაინც იუნკერის ოინს. ასეთი წყენა ხომ ხშირად ხვდე-

ბათ ადამიანებს. ციხისთავს, რომელსაც კოლჰაასმა საბუთი უჩვენა, ხმა არ ამოუღია, ხოლო როცა ჰკითხა, შეიძლება თუ არა ცხენები წავიყვანოო, ნება დართო. მაგრამ თაელისაკენ მიმავალმა კოლჰაასმა ერთი უსიამოვნო ამბავი შეიტყო, — ტრონკენბურგიდან მისი წასვლის შემდეგ უღირსი საქციელის გამო მსახური გაეჯოხათ და გაეგდოთ. მაინც რა ჩაიდინა ასეთი, ან მის შემდეგ ცხენებს ვინღა უვლიდაო, ჰკითხა კოლჰაასმა ჭაბუკს, რომელმაც ეს ამბავი შეატყობინა. ამის შესახებ არაფერი ვიცით, მიუგო ყმაწვილმა. დალალს ავმა წინათგრძნობამ შეუკუმშა გული. რაოდენ დიდი იყო კოლჰაასის გაოცება, როცა თავისი ნაპატიევები, დაბზენილი ცხენების ნაცვლად თაელაში გამხდარი, ჭანცაგაწყვეტილი ჯაგლაგები დაინახა. ცხენებისაგან ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი, დაუვარცხნელი ფაფარი ზურგზე ჰქონდათ აფუტკნული. ერთი სიტყვით, შეეზარდებოდა იმათი ნახვა. კოლჰაასმა, რომელსაც ცხენებმა ოდნავ გასაგონად შეჰხვიხვინეს, განრისხებით იკითხა, ჩემს შავრა ცხენებს რა დაემართაო. იქვე მდგარმა ბიჭმა მიუგო, ისეთი არაფერი მომხდარა, კარგად აჭმევდნენ, ეგ იყო, ალოობის დროს მუშა საქონლის სიმცირის გამო ცოტა წაამუშავესო. ამის გაგონებაზე კოლჰაასი ლანძღვა-გინებას მოჰყვა, ეს რა სამარცხვინო და უკადრისი საქციელიაო, მაგრამ იცოდა, რომ ველარაფერს გააწყობდა, ბედს შეურიგდა და ის იყო ცხენებითურთ უნდა გასცლოდა ამ ყაჩაღთა ბუნაგს, რომ ხმაურზე ციხისთავიც მოვიდა და იკითხა, რა ამბავიაო.

— როგორ თუ რა ამბავია? — კითხვა შეუბრუნა კოლჰაასმა. — ვინ მისცა იუნკერ ფონ ტრონკას ან მის ხალხს იმის უფლება, რომ ჩემი ცხენები მინდვრის სამუშაოებზე გამოეყენებინათ? განა ამას ადამიანი იზამს? — დაუმატა მან და შეეცადა არაჭათგამოცლილი ცხენები წკეპლის დარტყმით გამოეცოცხლებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ციხისთავმა ერთხანს დაჟინებით უმზირა კოლჰაასს, მერე შესძახა:

— ერთი ამ ხეპრეს დამიხედეთ! — ღმერთს მადლობას უნდა სწირავდე, შენი ჯაგლაგები ცოცხალი რომ ნახე! ვის უნდა მოევლო ცხენებისათვის, როცა შენი მსახური გაიქცა? განა უსამართლოდ მოიქეცით, საკვების ფასად მინდორში რომ ვამუშავებდით? ჰოდა, მორჩი ენის ტარტარს, თორემ ჩემ ნა-

გაზებს დაეუძახებ და მერე შენს თავს დააბრალეო, დაუმატა ციხისთავმა.

კოლჰაასს გული აუძგერდა, ერთი სული ჰქონდა, ეს მუცელგაბერილი უნამუსო ლაფში ჩაეგდო და ფეხით გაეთელა მისი სპილენძისფერი სახე, მაგრამ მთელ არსებაში გამჯდარი, ოქრომჭედლის სასწორივით ზუსტი სამართლიანობის გრძნობა აკავებდა. კოლჰაასმა ვერ იკისრა დამნაშავის დასჯა. ენის წვერზე მომდგარი სალანძღავი სიტყვები უკანვე ჩაყლაპა, ცხენებთან მივიდა, ფაფარი გაუსწორა, შექმნილი მდგომარეობა აწონ-დაწონა და ხმადაბლა იკითხა, რა დააშავა ჩემმა მსახურმა ისეთი, რომ ციხე-დარბაზიდან გააგდეთო.

— ჯიუტობდა და იმიტომ გავაგდეთ! არაფრით არ წაიყვანა ცხენები სხვა თავლაში, მაშინაც თავისას გაიძახოდა, როცა ამ ჯაგლაგების გამო სტუმრად მოსული ორი ახალგაზრდა რაინდის ცხენებს გარეთ დატოვება ემუქრებოდა.

კოლჰაასი ახლა არც დაფიქრდებოდა, ისე გადაულოცავდა ცხენებს იმ კაცს, ვინც მსახურს მოუყვანდა, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაეგო სიმართლე! იდგა ასე, სამურველით წმენდდა ცხენებს და ფიქრობდა, როგორ მოექცეო. უეცრად ყველაფერი შეიცვალა; ეზოში კურდღელზე ნადირობიდან დაბრუნებულმა ვენცელ ფონ ტრონკამ შემოაგელვა თავისი რაში, რომელსაც ცხენდაცხენ შემოჰყვა რაინდების მთელი გუნდი, მსახურები და ძაღლები. უცხო კაცი დალანდეს თუ არა, ძაღლებმა გაბმული ყეფა ატეხეს, რაინდები ძაღლების ჩაჩუმებას შეეცადნენ. იუნკერმა ციხისთავს ჰკითხა, რა ამბავიაო, ციხისთავმაც ისარგებლა არეულ-დარეულობით და სახელდახელოდ ტყუილიც გამოაცხო: — რაკი მისი ცხენები ცოტა წავამუშავეთ, ამ ჩარჩმა ერთი ამბავი ატეხაო. ახლა იმასაც აცხადებს, — დამცინავი სიცილით დაუმატა ციხისთავმა, — ეგ ცხენები ჩემი არ არისო.

— სწორედ ასეა, მრისხანე ბატონო! რა უგავთ ამათ იმ ცხენებს, ოცდაათ ოქროს გულდენად რომ ფასობდნენ; დამიბრუნეთ ჩემი ნაპატივები და ჯანმრთელი ცხენები!

იუნკერს სახე წამოუჭარხლდა, ცხენიდან ჩამოხტა და გაწიწმატებულმა შეჰყვირა:

— ეს არამზადა ცხენების წაყვანაზე უარს აცხადებს? რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს! წავიდეთ გუნთერ, წავიდეთ

ჰანს! — გასძახა რაინდებს, შარვლიდან მტვერი ჩამოიბერტყა და როცა დარბაზის კარს მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ შემობრუნდა, — ღვინო მოგვართვით, — უბრძანა მსახურებს და ციხე-დარბაზში შევიდა.

კოლჰაასმა განაცხადა, მირჩევნია ეს ცხენები ჩემს თვალწინ გაატყაონ, ვიდრე კოლჰაასენბრუკში, ჩემს თავლაში ჩავიყვანოო. შემდეგ ცხენებს თავი დაანება, სამართალს მე თვითონ მოვძებნიო — მიაძახა ციხისთავს, თავის წაბლისფერ ულაყს მოახტა და იქაურობას გაეცალა.

დალალმა დრეზდენისკენ გაჰქუსლა, მაგრამ ერთი ვერსიც არ ექნებოდა გავლილი, იუნკერისაგან დაბრიყვებული თავისი მსახური გაახსენდა. კოლჰაასმა ჩორთით წაიყვანა ცხენი და კოლჰაასენბრუკისაკენ მიმავალ გზას დაადგა. იფიქრა, დრეზდენში ჩასვლამდე მიჯობს მსახურს გამოვკითხო ყველაფერიო. აქ კოლჰაასი თავის თავს არ ღალატობდა, რადგან სიმართლის მოყვარული მისი გული, რომელსაც არაერთხელ ეწვნია სამყაროს უკუღმართობის სუსხი, გადატანილი შეურაცხყოფის მიუხედავად მაინც იმას კარნახობდა, ცხენების დაკარგვა უსამართლოდ არ მიიჩნიო, შეიძლება მსახური მართლაც დამნაშავეაო. იდუმალი ხმა კი ყურში ჩასძახოდა, თუ ეს ყველაფერი მართლაც განზრახ არის მოწყობილი, შეურაცხყოფისათვის შური იძიე, ამით თანამოქალაქეებსაც გაუწევ სამსახურსო. ეს აზრი დალალს ჯუაში დაუჯდა, რადგან წარამარა ესმოდა, ტრონკენბურგში თითქმის ყოველდღე ხდება ასეთი უსამართლობაო.

კოლჰაასენბრუკში რომ ჩავიდა, ჯერ ერთგული ცოლი ჩაიკრა გულში და მხიარულად აჟრიამულებული შვილები ჩაკოცნა, შემდეგ ჰერზე მოიკითხა, — ჩემი უფროსი მსახურის შესახებ ხომ არაფერი გაგიგიათო.

— როგორ არა, ძვირფასო მიხაელ, — მიუგო ლიზაბეტმა, — მთლად აგვაფორიაქა! წარმოიდგინე, ამ ორი კვირის წინათ უღმერთოდ ნაბეგვი გამოგვეცხადა, ისე იყო დაქეჯილი, ძლივს სუნთქავდა. მაშინვე ლოგინში ჩავაწვინეთ. მერე სისხლის ღებინება აუტყდა, ცოტა რომ მომჯობინდა, ამბავი ვკითხეთ, ისეთი რამ გვითხრა, ვერაფერი გავუგეთ! ან როგორ მიატოვე ტრონკენბურგში ცხენებთან ერთად, ან ის რატომ გამოაგდეს ციხე-დარბაზიდან ნაცემი და დამცირებული, ან ცხენების წამოყვანა რატომ ვერ შესძლო.

— რას ამბობ! — მიუგო კოლჰაასმა და ლაბადა მოიძრო, — ახლა როგორ არის, გამოკეთდა?

— სანახევროდ, სისხლს ისევ აღებინებს. მაშინვე მინდოდა ტრონკენბურგში შენს ჩასვლამდე ცხენების მისახედად სხვა მსახური გამეგზავნა, მაგრამ ჰერზემ ხომ ტყუილები არ იცის და სხვებთან შედარებით უფრო ერთგულია. ამიტომ ეჭვი არ შემპარვია მის ნაამბობში და მეც ყველაფერი ვირწმუნე. ასე მითხრა, ძალიან გთხოვ, ყაჩაღთა იმ ბუნაგში ნურავის გაატარებინო, დაე ისევ ცხენები დაიღუპონ, ოღონდ მათი გულისთვის ნურავის გაწირავო.

— ჯერ არ ამდგარა? — იკითხა კოლჰაასმა და ყელსახვევი შემოიხსნა.

— ეს რამდენიმე დღეა, რაც ეზოში გავიდა, — მიუგო ცოლმა. — თვითონაც დარწმუნდები, რომ სიმართლე თქვა და მთელი ეს ამბავიც ერთ-ერთი იმ მრავალი ავკაცობათაგანია, რასაც ამ ბოლო დროს ტრონკენბურგელები სჩადიან.

— ყველაფერი მე თვითონ უნდა გამოვიძიო. თუ ფეხზეა, ჩემთან მოუხმე, ლიზბეტ! — მიმართა კოლჰაასმა ცოლს და სავარძელში ჩაეშვა.

ქმრის სიმშვიდით გახარებული დიასახლისი მსახურის მოსახმობად გაეშურა.

— რა ჩაიდინე ტრონკენბურგში? — იკითხა კოლჰაასმა, როცა ქალი მსახურს შემოუძღვა, — სულაც არა ვარ კმაყოფილი შენი საქციელით.

ფერმკრთალი სახე მსახურს წამოუჭარხლდა, ჰერზე ერთ ხანს დუმდა, შემდეგ კი ასე უპასუხა:

— მართალი ბრძანდებით, ბატონო. გოგირდოვანი ზონარი ღვთის წყალობით თან აღმომაჩნდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ყაჩაღთა ბუნაგი ცეცხლისთვის მიმეცა, ელბაში გადავაგდე; ციხე-დარბაზიდან ბავშვის ტირილი შემომესმა და გაიფიქრე — დაე ღვთის ელვამ აქციოს აჩაურობა ნაცარტუტად, მე კი ხელი დამიბანია-მეთქი.

— კარგი, მაგრამ ტრონკენბურგიდან გამოგდება რით დაიმსახურე? — ჰკითხა ცოტა არ იყოს შემკრთალმა კოლჰაასმა.

— ცუდი საქციელით, ბატონო, — მიუგო ჰერზემ და და შუბლზე მომდგარი ოფლი შეიმშრალა. — მაგრამ რაც მოხდა, იმას ვეღარ შევცვლი. არ მინდოდა ცხენები მინდორ-

ზე მუშაობით ამოეხოცათ. ვუთხარი, ჯერ ზრდადაუსრულებელი და გაუხედნავი ცხენებია-მეთქი.

კოლჰაასი შეეცადა თავისი დაბნეულობა დაეფარა და ჰერზეს უთხრა, სრული სიმართლე მაინც არ გითქვამს, რადგან იმ ცხენებს, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ვაბამდით ფორანში. შარშან გაზაფხულზე ასე არ ვქენითო?

— შენ ხომ ამ ციხე-დარბაზში სტუმარივით იყავი, ჯობდა უფრო თავაზიანი ყოფილიყავი და, რაკი მოსაელის აღება სასწრაფო იყო, ერთი-ორჯერ წახმარებოდი კიდეც, — დაუმატა კოლჰაასმა.

— ასეც მოვიქეცი, ბატონო! — მიუგო ჰერზემ. — ვიფიქრე, ესენი ისეთი ავი თვალით მიყურებენ, ჯობს ცოტა წავეხმარო, ცხენებს მაინც არაფერი დაუშავდებათ-მეთქი. მესამე დილით ცხენები შევაბი და სამი გზა ხორბალი მოვიტანე.

კოლჰაასს ლამის საგულედან ამოვარდნოდა გული. დალალი იატაკს დააჩერდა და ისე თქვა:

— ეგ ჩემთვის არავის უთქვამს, ჰერზე!

ჰერზემ დაბეჯითებით გაუმეორა, ნამდვილად ასე იყოო:

— ჩემი დანაშაული ის იყო, რომ რაკი ცხენებმა შუადღისას რიგიანად ჭამა ვერ მოასწრეს, აღარ მინდოდა მათი ფორანში შებმა. ამას გარდა, როცა ციხისთავმა და მოურავმა შემთავაზეს — ცხენებს რამდენიც გინდა აჭამე, ოღონდაც შენმა ბატონმა რომ ფული დაგიტოვა, ჩვენ მოგვეციო, უარი ვუთხარი, „მეტს არაფერს ინებებთ-მეთქი?“ შემოვბრუნდი და წამოვედი.

— განა მაგისთვის გამოგაგდეს ტრონკენბურგიდან? — ჩაეკითხა კოლჰაასი.

— ღმერთმა დამიფაროს! — შესძახა მსახურმა. — უარესი დანაშაულის გამო! — ტრონკენბურგში ჩამოსული ორი რაინდის ცხენი საღამოს თაელაში შეიყვანეს, ჩემი ცხენები კი კართან მიაბეს. ციხისთავს აღვირები ხელიდან გამოვართვი და ვკითხე, ახლა ეს ცხენები სად წავიყვანო-მეთქი. იმან გალავანთან მიდგმულ ფარღალალა ფიცრულ საღორეზე მიმითითა, აი იქ შეიყვანეო.

— ესე იგი, ის გინდა თქვა, — სიტყვა გააწყვეტინა კოლჰაასმა, — რომ იმდენად ცუდი შენობა იყო, საღორეს უფრო წააგავდა, ვიდრე თაელას, არა?

— საღორე იყო, ბატონო, — მიუგო ჰერზემ, — ნამდვილად საღორე იყო, — ღორები შერბოდ-გამორბოდნენ, კაცი შიგნით ვერ გაიმართებოდა.

— ალბათ ცხენების ადგილი აღარსად იყო, — განაგრძო კოლჰაასმა, — რაინდების ცხენებს კი, რასაკვირველია, უპირატესობას მიანიჭებდნენ.

— თავლაში თითქმის აღარ იყო ადგილი, — ხმას დაუწია ჰერზემ. — ციხე-დარბაზში ახლა უკვე შვიდი რაინდი სტუმრობდა. თქვენ რომ ყოფილიყავით, ცხენებს ცოტა უფრო აწლო-ახლო დააყენებინებდით. ვუთხარი, სოფელში დავიქირავებ-მეთქი თავლას. ცხენები თვალწინ უნდა მყავდეს და ეზოდან გარეთ არ გაგაყვანინებო, მითხრა ციხისთავმა.

— ჰმ, — წარმოსთქვა კოლჰაასმა. — მერედა, ამაზე რა უპასუხე?

— რაკი მოურავმა თქვა, რაინდები მხოლოდ ამაღამ დარჩებიან და ხვალ ისევ გზას გაუდგებიანო, ცხენები საღორეში შევიყვანე. მაგრამ რაინდებს მეორე დღესაც არ მოუცლიათ ფეხი. მესამე დღეს გამოირკვა, ბატონები კიდევ რამდენიმე კვირას აპირებდნენ დარჩენას.

— როგორც ჩანს, ჰერზე, ეგ საღორე არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც პირველად მოგეჩვენა, — უთხრა კოლჰაასმა მსახურს.

— მართალია, — მიუგო მსახურმა. — ცოტა ეშველა, როცა გამოვასუფთავე. მომვლელ ქალს ორიოდე გროში მივეცი, ღორები სადმე სხვაგან შეერეკა. მეორე დღეს, ცხენები რომ გამართულად მდგარიყვნენ, სახურავს ლარტყები ავხსენი, საღამოს ისევ დავაფარე. ასე ვხსნიდი დილდილობით ლარტყებს, საღამოობით კი ვაფარებდი. იდგნენ ჩვენი ცხენები ბატებივით ყელაღერილები და ახდილი სახურავიდან საითაც უნდოდათ, იქით იყურებოდნენ.

— კი მაგრამ, ციხე-დარბაზიდან რისთვის გამოგაგდეს?

— გეტყვით, ბატონო, — მიუგო მსახურმა. — იმიტომ გამომაგდეს, რომ ჩემი თავიდან მოშორება უნდოდათ. სანამ იქ ვიქნებოდი, ცხენებს ქანცის გაწყვეტამდე ვერ ამუშავებდნენ. სადაც კი მომასწრებდნენ, ეზოში თუ საფარეშოში, მაგრძნობინებდნენ — თვალში გვეჩხირებიო. რამდენიც გინდათ,

იმდენი იჯღანეთ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის, ამიტომ შარი მომდეს და გამომაგდეს.

— მიზეზი! — შესძახა კოლჰაასმა, — რამე მიზეზი ხომ უნდა ჰქონოდათ?

— რაღა თქმა უნდა, მიზეზიც მიეცათ, — მიუგო ჰერზეჽ,— საკმაოდ კარგი მიზეზი მიეცათ. ორი დღე იყო გასული, რაც ცხენები საღორეში მყავდა და ვიფიქრე, ამოიგანგლნენ და საღამო ხანს მდინარეში ვაბანავებ-მეთქი. ცხენებიანად ჽიშკარს რომ მივადექი, ვხედავ, საფარეშოდან ციხისთავი და მოურავი მორბიან, ამათ კიდევ ხელკეტებით შეიარაღებული მსახურები და ძაღლები მოსდევენ. ყველანი ჩემკენ მორბიან, თან შეშლილებივით გაჰკივიან — „არ გაუშვათ ეგ გლახაკიო!“ გუშაგმა გზა გადამილობა. რა მოხდა-მეთქი, ვეკითხები გუშაგსა და მთელ იმ ხროვას.

— რა მოხდაო? — კითხვა შემიბრუნა ციხისთავმა და აღვირს ჩაეჽიდა. — სად მიგყავს ცხენები? — მკითხა მან და საკინძეში ჩამავლო ხელი.

— სად უნდა მიმყავდეს? ღმერთმა დაგწყეველოთ! საბანაოდ მიმყავს. ხომ არ გგონიათ, რომ... — სათქმელი აღარ დამამთავრებინეს.

— საბანაოდ? — მიყვირის ციხისთავი. — მე გასწავლი, ბანაობა როგორ უნდა კოლჰაასენბრუკის გზაზე! — ამის თქმა იყო და მოურავი ფეხზე დამეჽიდა, ცხენიდან ძირს ჩამომაგდეს, ისე მაგრად დამეჽაჩნენ, ფეხზე ვეღარ გავჩერდი და ყელამდე ჩავვარდი ლაფში. — მიშველეთ, მკლავენ! — ვიყვირე მე. გაქცევით ვერ გავიქეცი, რადგან ცხენის აღკაზმულობა, ჩულები და ხელსახოცში გამოკრული საცვლები თავლაში დამრჩა. მოურავმა ცხენები წაასხა, ციხისთავი და მსახურები კი მომადგნენ და ხელკეტები, მათრახები და წიხლები წამიშინეს. ცოცხალ-მკვდარი ჽიშკართან ჩავიკეცე. მაინც წამოვდექი და მოურავს ზოვაძეს, სად მიგყავს ჩემი ცხენები, შე ყაჩაღო-მეთქი!

— მოშორდი აქაურობას!—დამიყვირა ციხისთავმა და ძაღლები მომისია: — ეცი მაგას, კაიზერო! ეცი იეგერო! ეცი შპიც!

თორმეტამდე ძაღლი დამესია. იქვე ღობიდან ფიცარი თუ მარგილი ამოვგლიჯე, კარგად აღარ მახსოვს, რას წავავლე

ხელი და ძაღლებს დაეერიე, სამი იქვე მივაწვინე, მაგრამ ძაღლებმაც გვარიანად დამგლიჯეს. სხვა გზა არ მქონდა, იქაურობას უნდა გავცლოდი. ეს გავიფიქრე და სასტვენის ხმაც გაისმა, ძაღლები ეზოში შეცვივდნენ, ალაყაფი ჩაკეტეს და ურდული გაუყარეს. გულშეღონებული გზაზე დაეეცი.

მთლად გაფითრებულმა კოლჰაასმა, ეითომც არაფერიო, ნაძალადევი ხუმრობით უთხრა:

— ვითომ გამოპარვა არ გინდოდა, ჰერზე?

მსახური ჭარხალივით გაწითლდა და თვალები დაბლა დახარა.

— გამოტყდი, ჰერზე, — განაგრძობდა კოლჰაასი, — ალბათ საღორე არ მოგეწონა, იფიქრე, კოლჰაასენბრუკში უკეთესი თავლააო, არა?

— ღმერთმა დამიფაროს! — შესძახა ჰერზემ. — იმ საღორეში ცხენების აღკაზმულობა, ჩულები და საცვლები დამრჩა. გაპარვა რომ მეფიქრა, განა იმ სამ რაიხსგულდენს* იქ დაეტოვებდი, წითელი აბრეშუმის ხელსახოცში რომ მქონდა გამოკრული და გადამალული? რას ბრძანებთ, ხვალინდელი დღე არ გამითენდეს, გაქცევა თუ მეფიქროს! ასე რომ მელაპარაკებით, მზად ვარ ახლავე მოვძებნო ის გადაგდებული გოგირდიანი ზონარი და ცეცხლი წაეუკიდო.

— კარგი, კარგი, — თქვა კოლჰაასმა, — ცუდი არაფერი მიფიქრია. რაცა თქვი, ყველაფერი მჯერა, თითქოს აღსარება გეთქვას. ვწუხვარ, რომ ჩემს გამო ამდენი უსიამოვნება შეგხვდა. წადი ჰერზე, წადი! უთხარი ერთი ბოთლი ღვინო მოგიტანონ და დამშვიდდი — სიმართლე არ დაიკარგება!

ეს რომ თქვა, კოლჰაასი ფეხზე წამოდგა, შეადგინა იმ ნივთების ნუსხა, რაც უფროს მსახურს საღორეში დარჩა, ნივთებს თავ-თავისი ფასი მიუწერა, მერე ჰკითხა, შენს მკურნალობაზე რამდენი დაიხარჯაო. როცა ესეც გაიგო, ჰერზეს კვლავ ჩამოართვა ხელი და გაუშვა.

კოლჰაასმა ლიზბეტს ყველაფერი უამბო, აუხსნა საქმის ვითარება და გულის ნადებიც გაუმეღავნა — მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი სასამართლოს გზით სიმართლეს მივაღწიოო. კაცს გულს მოეფონა, როცა ცოლის მხარდაჭერა იგრძნო. იმ ციხე-დარბაზთან გავლა სხვებსაც მოუწევეთ, უთხრა ლიზბეტმა ქმარს, ზოგიერთი მგზავრიდან შეიძლება შენზე ნაკლებ მომთ-

მენი იყოს, ამიტომ ასეთი უმსგავსოება ახლავე უნდა აღმოიფხვრას, ამით ღმერთსაც მოიმადლიერებს კაციო. სასამართლო პროცესისათვის საჭირო თანხის გამოძებნას კი როგორმე მოვახერხებთო. კოლჰაასმა ლიზბეტი შეაქო, ჩემი საამაყო მეუღლე ხარო. ორიოდე დღე ტკბილად გაატარა ცოლ-შვილთან, მერე, როგორც კი საქმეს მორჩა, დრეზდენს გაემგზავრა, რათა სასამართლოში სარჩელი წარედგინა.

დრეზდენში ჩასვლისას კოლჰაასმა ნაცნობი იურისტის დახმარებით სარჩელი შეადგინა, სადაც დაწვრილებით აღწერა ის დანაშაული, რაც იუნკერმა ვენცელ ფონ ტრონკამ ჩაიდინა და მოითხოვა, იუნკერი კანონის შესაბამისად დაესაჯათ, — ცხენების მოვლა-პატრონობა დაევალებინათ პირუტყვების სრულ განკურნებამდე, ხოლო მოსარჩლესათვის ზარალი აენაზღაურებინა. ამ საქმეში რომ კოლჰაასი მართალი იყო, ამას წყალი არ გაუვიდოდა. ცხენების უკანონო დაკავება მთელ ამ ამბავსაც ნათელს ჰფენდა. მაგრამ ცხენების დაძაბუნება შემთხვევითი დაავადებისთვისაც რომ გადაებრალებინათ, დალალის მოთხოვნა — იუნკერმა ცხენები იმ სახით დამიბრუნოს, როგორც ჩემს ხელში იყვნენო. — მაინც სამართლიანი ჩანდა. რეზიდენციაში კოლჰაასს საკმარისი მეგობრები აღმოაჩნდნენ, რომლებმაც აღუთქვეს, რასაც შევიძლებთ, დაგეხმარებითო. ცხენებით ვაჭრობისას კოლჰაასმა პატიოსანი კაცის სახელი დაიმკვიდრა და ამიტომაც მას მრავალი გავლენიანი პირი უჭერდა მხარს. კოლჰაასმა რამდენჯერმე ისადილა და კარგი დროც გაატარა თავის დამცველთან, საკმაოდ დაფასებულ კაცთან. დალალმა მას პროცესის წასამართავად გვარიანი თანხა დაუტოვა და რამდენიმე კვირის შემდეგ დაიმედებული და დამშვიდებული კოლჰაასენბრუკში, თავის ლიზბეტთან დაბრუნდა. მაგრამ თვეს თვე მისდევდა, ლამის წელიწადიც გაილია, საქსონიიდან კი, — გადაწყვეტილებას ვინ ამბობს, ცნობაც არ მოდიოდა. კოლჰაასმა რამდენჯერმე შეახსენა ტრიბუნალს, საქმე ამდენ ხანს რატომ გაჭიანურდაო და იქიდან რომ პასუხი ვერ მიიღო, თავის დამცველს არაოფიციალური წერილი გაუგზავნა. დამცველისაგან შეიტყო, ზემოდან მითითება მოვიდა და დრეზდენის სასამართლომ თქვენი სარჩელი დაარღვიაო. დალალმა ახლა მეორე წერილი გააგზავნა, სადაც იგი გაოცებული ეკითხებოდა დამცველს, საამისოდ

რა მიზეზი არსებობდაო. დამცველმა წერილითვე უპასუხა: იუნკერი ვენცელ ფონ ტრონკა ორი ახალგაზრდა ბატონის, ჰინც და კუნც ტრონკების ნათესავი ყოფილა, ჰინცს საქსონიის კურფიურსტის კარზე მეღვინეთუხუცესის თანამდებობა უკავია, ხოლო კუნცი თვით დარბაზთუხუცესიაო. ამას გარდა, დამცველი ურჩევდა, სასამართლო ინსტანციებში სიარულს თავი დაანებე და ტრონკენბურგში დატოვებული ცხენები წაიყვანეო. იმასაც ატყობინებდა, იუნკერი ამჟამად საქსონიის დედაქალაქში იმყოფება და თავის ხალხს თქვენი ცხენების დაბრუნება დაავალაო. წერილი თხოვნით თავდებოდა, თუ ასეთი რამ ჭკუაში არ გიჯდებათ, ამ საქმესთან დაკავშირებით მე ნუღარაფერს დამავალებთო.

ამ დროს კოლჰაასი ბრანდენბურგში იმყოფებოდა, სადაც ქალაქის თავი ჰაინრიხ ფონ გოიზაუ ბრანდენბურგისათვის გამოყოფილი მნიშვნელოვანი თანხით დავრდომილთა და ღარიბ-ღატაკთათვის საქველმოქმედო თავშესაფრებს აშენებდა. კოლჰაასენბრუკიც გოიზაუს სამფლობელო იყო. ქალაქის თავს განსაკუთრებით დიდი საზრუნავი გაუჩინა მინერალურმა წყარომ, რომელიც ერთ-ერთ სოფელში მოჩუხჩუხებდა. ამ წყაროს წყალზე ამბობდნენ, მრავალ სნეულებას კურნავსო, თუმცა ეს მოსაზრება ბოლოს მაინც არ გამართლდა. ქალაქის თავმა იმ წყაროსთან სააბაზანო მოაწყო, ხოლო რაკი გოიზაუ ჯერ კიდევ სასახლის კარზე ყოფნისას იცნობდა კოლჰაასს, ამიტომ ჰერზეს, დალალის უფროს მსახურს, რომელიც ტრონკენბურგში გადატანილი უბედურების შემდეგ სუნთქვისას მკერდში ჩხვლეტას გრძნობდა, ნება მისცა სახურავქვეშ მოქცეული პატარა წყაროს სამკურნალო თვისებები საკუთარ თავზე გამოეცადა.

ქალაქის თავი სწორედ ამ აუზის პირას იდგა, სადაც ჰერზე აბაზანას იღებდა. გოიზაუ მუშებს განკარგულებებს აძლევდა და რაკი იქვე იმყოფებოდა, კარგად დაინახა, ლიზბეტის გამოგზავნილმა მაცნემ როგორ გადასცა დალალს დრეზდენელი დამცველის გულსატკენი წერილი. ქალაქის თავი ამ დროს ექიმს ელაპარაკებოდა. ჰაინრიხ ფონ გოიზაუმ თვალი შეასწრო, როგორ გახსნა და გადაიკითხა კოლჰაასმა წერილი. თვალთაგან მომწყდარი კურცხალი წერილს დაეცა; გულშეძრული ქალაქის თავი კოლჰაასს მიუახლოვდა და თანაგრძნო-

ბით ჰკითხა, რაიმე უბედურება ხომ არ შეგემთხვაო. კოლჰაასმა უხმოდ გაუწოდა წერილი. ღირსეულმა ადამიანმა კარგად იცოდა ტრონკენბურგში ჩადენილი აღმაფშოთებელი უსამართლობის შესახებ, რომელმაც ჰერზეს ჯანმრთელობა შეიწირა და მსახური ლამის ხეიბრად დატოვა. ქალაქის თავმა კოლჰაასს მხარზე ხელი დაადო და გაამხნევა — სულით არ დაეცე, ჩემი იმედი იქონიე, თუკი რამ შემეძლება, სიამოვნებით დაგეხმარებიო. საღამოხანს, როცა კოლჰაასი ქალაქის თავს სასახლეში ეწვია, ჰაინრიხ ფონ გოიზაუმ ურჩია, მოკლედ აღწერე, რაც ტრონკენბურგის კარზე შეგემთხვა, შენს წერილს დამცველის წერილიც დაურთე, ბრანდენბურგის კურფიურსტს გაუგზავნე და საქსონიაში ჩადენილი ძალადობის გამო მის უდიდებულესობას გამოსარჩლება სთხოვეო. ჰაინრიხ ფონ გოიზაუმ აღუთქვა, ბრანდენბურგის კურფიურსტს მეც მოვახსენებ შენს სათქმელს, წერილი გამზადებული მაქვსო და მისი უდიდებულესობაც, თუ ხელი არ შეეშალა, საქსონიის კურფიურსტს შეხვდება, მოელაპარაკება და დრეზდენის ტრიბუნალისთვის ესეც საკმარისი იქნება, იუნკერისა და მისი დამქაშების თარეშს ბოლო მოეღება და ტრონკენბურგის მამულში წესრიგი აღდგებაო. გახარებულმა კოლჰაასმა ქალაქის თავს გულწრფელი მადლობა გადაუხადა ესოდენ კეთილი განზრახვისათვის და უთხრა, — მხოლოდ იმას ვწუხვარ, სანამ დრეზდენში საჩივარს შევიტანდი, რატომ პირდაპირ ბერლინში არ ვიჩივლეო.

კოლჰაასი აჩქარებით გაემართა ქალაქის სასამართლოს კანცელარიაში, ყველა წესის დაცვით შეადგინა სარჩელი და ქალაქის თავს მიუტანა. ამის შემდეგ გულდაიმედებული, — საქმე კარგად დასრულდებაო, დალალი შინ, კოლჰაასენბრუკში დაბრუნდა.

მაგრამ რამდენიმე კვირაც არ იყო გასული, რომ სასამართლოს ერთმა მოხელემ, რომელიც ქალაქის თავს საქმეებზე პოტსდამში მიეგზავნა, კოლჰაასს სამწუხარო ამბავი შეატყობინა: ბრანდენბურგის კურფიურსტმა შენი თხოვნა თავის კანცლერს, გრაფ კალჰაიმს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა, იმის ნაცვლად, რომ დრეზდენის კარზე ეშუამდგომლა — საქმე გამოიძიეთ და ძალმომრეობის ჩამდენნი დასაჯეთო, დაწვრილებითი ცნობების მისაღებად იუნკერ ფონ ტრონკას მიმარ-

ალი. ბაბამაჯალოს მოხელე კოლჰაასის სახლის წინ გაჩერებულ ეტლში იჯდა და, ეტყობოდა, კოლჰაასისთვის ამ ამბის გადაცემა ჰქონდა დავალებული, ამიტომ, დალალის შეკითხვაზე, საქმე ასე რატომღა გააჭიანურესო, თითქმის ვერაფერი უპასუხია. მოხელეს, ეტყობა ეჩქარებოდა და თავის ნათქვამს ეს დაუმატა — ქალაქის თავმა დამაბარა თქვენთან, — მოთმინება იჯონიეთო. ბოლოს მოხელემ ერთი-ორი ისეთი რამ თქვა, კოლჰაასი დარწმუნდა, გრაფი კალჰაიმი ტრონკას მოყვარე იქნებაო.

ამის შემდეგ კოლჰაასს ცხენების მოშენება აღარ ახარებდა, სახლ-კარსა და ცოლ-შვილზე ხელი ჩაიქნია. დალალს მთელი თვის განმავლობაში ავი წინათგრძნობა უღრღნიდა გულს. გამოხდა ხანი. ამასობაში ბრანდენბურგიდან ჰერზე დაბრუნდა, აბაზანებს ცოტა შვება მიეცა მისთვის. მსახურმა თან რესკრიპტი და გოიზაუსაგან შემდეგი შინაარსის წერილი ჩამოუტანა: ძალზე ვწუხვარ, რომ ვერაფერში დაგეხმარე; გიგზავნი სახელმწიფო კანცელარიისგან მიღებულ რეზოლუციას და გირჩევ ტრონკენბურგში დატოვებული ცხენები წამოიყვანო, ხოლო ამ საქმეს ქვა მიაგოროო.

რეზოლუცია ატყობინებდა: დრეზდენის ტრიბუნალის აზრით მოსარჩლე აბეზარი დავაქარია და მეტი არაფერიო. იუნკერი, რომელსაც კოლჰაასმა ცხენები დაუტოვა, თანახმაა პატრონს ცხენები დაუბრუნოს. მათ წამოსაყვანად კოლჰაასს შეუძლია ციხე-დარბაზში კაცი გააგზავნოს, ან იუნკერს ის მაინც შეატყობინოს, თუ სად მოუყვანონ ცხენები. სახელმწიფო კანცელარია უმორჩილესად სთხოვს კოლჰაასს აღარავინ შეაწუხოს ასეთი შარებითა და კინკლაობითო.

კოლჰაასისთვის ცხენები როდი იყო მთავარი, დალალს მაშინაც აუფორიაქდებოდა გული, ცხენების მაგივრად ძაღლები რომ წაერთმიათ. ამ წერილის მიღებამ კოლჰაასი გააცოფა. როგორც კი ზემოდან ხმაური შემოესმოდა, გული ავისმაუწყებლად შეეკუმშებოდა ხოლმე. ასეთი რამ უწინ არასოდეს მოსვლია. დალალი სულ იმის მოლოდინში იყო, საცაა ახალგაზრდა იუნკერის ხალხი გამოჩნდება, ბოდიშს მოიხდის და შიმშილით ჩამოფხაევებულ და არაჭათგამოცლილ ცხენებს მომგვრისო, — აი, ამას კი ვერა და ვერ ეგუებოდა დალალის კეთილშობილი გული. მაგრამ კოლჰაასმა სულ მალე თავისი

ნაცნობისგან შეიტყო, შენს ცხენებს კვლავინდებურად მინდორში ამუშავებენ იუნკერის ცხენებთან ერთადო. ეს რომ გაიგო, წუთისოფლის ასეთი უკუღმართობით გამოწვეულ ტკივილთან ერთად კოლჰაასმა რაღაც შინაგანი კმაყოფილებაც იგრძნო — ამჯერად უკვე აღარ ჰქონდა სინდისი.

კოლჰაასმა თავისი მეზობელი ამტმანი* მოიწვია, რომელიც დიდი ხანია ფიქრობდა საკუთარი მამულის გაფართოებას მომიჯნავე მიწების შეძენით. დალამა სტუმარს სკამი შესთავაზა და როცა მეზობელი დაჯდა, ჰკითხა — რამდენს მომცემ ბრანდენბურგისა და საქსონიის საკურფიურსტოების სახლ-კარსა და მიწებში, მთელ ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებაშიო.

ეს სიტყვები რომ შემოესმა, ლიზბეტი საშინლად გაფითრდა, თამაშში გართული თავისი ბიჭუნა ხელში აიყვანა, შვილის წითლად გაღუებული ლოყებისთვის არც შეუხედავს, თუმცა ბავშვმა ახლა დედის ყელსახვევს დაუწყო წვალება, და სიკვდილის აჩრდილჩამდგარი თვალებით მიაჩერდა ჯერ მეუღლეს, შემდეგ მაგიდაზე დაგდებულ ქაღალდს. ამტმანმა გაკვირვებით შეხედა კოლჰაასს და ჰკითხა, ასე მოულოდნელად ეს საქმე რატომ გადაწყვიტეო.

მასპინძელმა რაც შეეძლო მხნედ უპასუხა:

— ჰაველის პირად მდებარე კარ-მიდამოს გაყიდვა ახლა არ გადამიწყვეტია. ამ საკითხზე ოჯახში ხშირად გვქონია ლაპარაკი; ამასთან ერთად, თქმა არ უნდა, დრეზდენის გარეუბნის სახლ-კარიც გაიყიდება. ერთი სიტყვით, თუ ორივე სახლ-კარს და ადგილ-მამულს იყიდი, მზად ვარ ნასყიდობის სიგელი ახლავე შევადგინო. ამ სიტყვებს კოლჰაასმა ნაძალადევი ხუმრობით დაუმატა, — მზე მარტო კოლჰაასენბრუკში ხომ არ ამოდის, შეიძლება ადამიანს ისეთი მიზნებიც გაუჩნდეს, რომ ამ მიზნებთან შედარებით ოჯახის თავგადაგებული მამის მოვალეობანი სახსენებელიც არ იყოსო. ბევრი რომ არ გავაჭიანურო, მთელი არსებით დიადი საქმეებისათვის ვარ მოწოდებული და იქნებ შენც შეიტყო რაიმე ამის შესახებო.

დამშვიდებული ამტმანი დიასახლისს მიუბრუნდა, რომელიც ამ დროს შვილს ჰკოცნიდა და მხიარულად ჰკითხა, ფულს ახლავე ხომ არ მომთხოვთო, მერე ქუდი და ხელჯოხი მაგიდაზე დააწყო, კოლჰაასს ქაღალდი გამოართვა და თვალი გადაავლო. კოლჰაასმა ამტმანთან ახლოს მიიწია და განუმარ-

— ეს ნასყიდობის სიგელი წინასწარ არის შედგენილი და ძალა მხოლოდ ოთხი კვირის შემდეგ ექნება. აქ მხოლოდ ხელმოწერა და თანხის დასახელება აკლია — არც ფასის რაოდენობაა მითითებული და არც პირგასამტეხლო იმ შემთხვევისათვის, თუ ოთხი კვირის განმავლობაში პირობა დავარღვიე და ნასყიდობა გავაუქმე.

შემდეგ კოლჰაასმა ამტმანს სთხოვა, შენი ფასი თქვიო, თან დაარწმუნა, მე იოლი დასაყოლიებელი კაცი ვარ და ბევრი ვაჭრობა არ მიყვარსო.

ქალი ოთახში მიდი-მოდიოდა. გული ძალუმად უცემდა და მხრებზე შემოხვეული შალი, რომელსაც ბავშვი უმოწყალოდ წეწავდა, ლამის ძირს ჩამოვარდნოდა. ამტმანმა განაცხადა, ახლა დრეზდენში შენ სახლ-კარს ფასი მე როგორ დავადოო. მაშინ კოლჰაასმა წინ დაულაგა საბუთები, თავისი და სახლ-კარის ძველი პატრონის წერილები და უთხრა, ას ოქროს გულდენად დაგითმობო, თუმცა ქაღალდებიდან ჩანდა, რომ თვითონ კოლჰაასს ეს მამული ორი იმდენი დაუჯდა. ამტმანმა ნასყიდობის სიგელი განმეორებით ჩაიკითხა და დარწმუნდა, რომ სიგელი მასაც აძლევდა უკანდახევის უფლებას, ამიტომ უკვე გადაჭრით განაცხადა — შენს სანაშენო ცხენებს მე ვერაფერში გამოვიყენებო. ამაზე კოლჰაასმა უპასუხა — ცხენების გაყიდვას არც ვაპირებ, ამასთანავე ჩემი იარაღის პალატიდან ზოგიერთ იარაღსაც დავიტოვებო. ამტმანი ერთხანს კიდევ შეყოყმანდა და მერე დაასახელა ძალზე მცირე თანხა, რაც კარგა ხნის წინათ, ერთად სეირნობის დროს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად უკვე შეაძლია; კოლჰაასმა მას სამელნე და კალამი მიაწოდა, ხელი მოაწერეო. მაგრამ ამტმანს ჯერ კიდევ არ სჯეროდა ეს ყველაფერი, ამიტომ კვლავ ჩაჰკითხა, ხომ არ მეხუმრებიო. მასპინძელმა მაშინვე დაარწმუნა — არა, არ გეხუმრებიო და ამტმანმაც კალამი აიღო, თუმცა, ჯერაც ორჭოფობდა. ბოლოს სიგელს მაინც მოაწერა ხელი. ამტმანმა გადახაზა ყველა პუნქტი, სადაც გაყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში პირგასამტეხლოზე იყო ლაპარაკი და თვითონ იკისრა ვალდებულება კოლჰაასის დრეზდენულ კარმიდამოს საფასურში ბედ. ასი ოქროს გულდენი დაედო — არ უნდოდა ეს სახლ-კარი ნახევარ ფასად შეეძინა. ამას გარდა, ამტმანმა კოლჰაასს ნება მისცა ორი თვის განმავ-

ლობაში პირგასამტეხლოს გარეშე გაეუქმებინა ნასყიდობის სიგელი.

ამტმანის ასეთი საქციელით გულაჩუყებულმა კოლჰაასმა მეზობელს მეგობრულად ჩამოართვა ხელი, მერე კი, როცა მთავარ პირობაზეც შეთანხმდნენ — მთელი ღირებულების ერთ მეოთხედს ამტმანი ახლავე გაანაღდებდა, ხოლო დარჩენილ თანხას სამი კვირის შემდეგ ჩარიცხავდა ჰამბურგის ბანკში, — კოლჰაასმა ღვინო მოითხოვა, რათა ბედნიერად ჩათავებული საქმე დაელოცა. მოახლე ქალმა ბოთლები შემოიტანა. კოლჰაასმა ქალს უთხრა, ჩემ მსახურ შტერნბალდს უთხარი, დედაქალაქში საქმეები მაქვს მოსაგვარებელი და ქურანა შემიკაზმოსო. მერე იქ მყოფნი მიახვედრა, მალე უკანვე დავბრუნდები და აშკარად გეტყვით იმას, რასაც ახლა ვერ გიმჟღავნებთო. ამის შემდეგ ჭიქები ღვინით შეავსო და ამტმანს ჰკითხა, რა მდგომარეობაა პოლონეთ-თურქეთის ფრონტზეო და მეზობელი პოლიტიკურ პაექრობაში ჩაითრია. ბოლოს თავიანთი საქმის გამარჯვების სადღეგრძელოც შესვა და სტუმარი გააცილა.

ამტმანი ოთახიდან გავიდა თუ არა, ლიზბეტი ქმრის წინ მუხლებზე დაეცა.

— თუ ჯერ კიდევ არ ამოგირეცხივართ გულიდან, — შესძახა მან, — თუ რაიმეს წარმოვადგენთ შენთვის მე და ბავშვები, თუკი გაუგებარი მიზეზის გამო ჯერ კიდევ არ გიკრავს ჩვენთვის ხელი, მითხარი, რას ნიშნავს ეს საშინელი სამზადისი?!

— ჩემო უძვირფასესო ადამიანო, — მიუგო კოლჰაასმა მეუღლეს, — დაე, ჯერჯერობით ნურაფერი შეგაშფოთებს. მივიღე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მატყობინებენ, შენს მიერ იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას წინააღმდეგ აღძრული საჩივარი უმართებულო შარი და კინკლაობააო. ეს, როგორც ჩანს, გაუგებრობის შედეგია, ამიტომ გადავწყვიტე საჩივარი პირადად კურფიურსტს გადავცე.

— სახლს რატომ ჰყიდი? — შეჰყვირა ქალმა და სახეშეშლილი ზეზე წამოდგა.

დალალმა მეუღლე ფაქიზად მიიკრა მკერდზე და მიუგო:

— იმიტომ ვყიდი, საყვარელო ლიზბეტ, რომ არ შემიძლია ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, სადაც ჩემი უფლებების დაცვა

არ სურთ მაშინაც კი, როცა ფეხქვეშ გათელვას მიპირებენ, მირჩევნია ძაღლი ვიყო და არა ადამიანი! ამ აზრს ალბათ ჩემი მეუღლეც გაიზიარებს.

— რატომ ფიქრობ, — გაშმაგებით შეეკითხა ცოლი, — რომ შენი უფლებების დაცვა არ სურთ? თუკი შენს თხოვნას ისეთი მოკრძალებით გადასცემ მბრძანებელს, როგორც შეგფერის, არ მგონია უდიერი პასუხით გამოგისტუმრონ.

— კარგი, — უთხრა კოლჰაასმა. — თუ ჩემი ფიქრი ამჟამად დაუსაბუთებელია, ჯერ ხომ სახლიც არ არის გაყიდული. თუ მოვახერხე კურფიურსტის ამალის გარღვევა და მასთან მივაღწიე, ეჭვიც არ მეპარება რომ სამართალს ვიპოვნი, ამ კვირაშივე გახარებული დავბრუნდები და კვლავ ჩემს ძველ საქმიანობას მოვკიდებ ხელს. აი მაშინ კი სიკვდილის კარამდე შენთან ვიქნები, — წარმოსთქვა კოლჰაასმა და მეუღლეს აკოცა. — მაგრამ ვინ იცის, ასე იქნება? ამიტომ ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყო, — განაგრძო მან. — რაკი საქმე ასეა, მინდა, რამდენიმე ხანს, თუ შეგიძლია, შენ და ბავშვები აქაურობას გაეცალოთ და შვერინში წახვიდეთ დეიდაშენთან, მის ნახვას ხომ ისედაც ნატრობდი.

— რაო? — წამოიყვირა დიასახლისმა. — შვერინში წავიდე? საზღვარი გადავიარო და შვილებთან ერთად შვერინში წავიდე?... — აღელვებისაგან ლიზბეტს ხმა ჩაუწყდა.

— ჰო, შვერინში, — მიუგო კოლჰაასმა, — და, თუ შეგიძლია, ახლავე გაემგზავრე, რათა საქმეში ხელი არაფერმა შემიშალოს.

— ოჰ, გავიგე რაც გსურს! — შესძახა ქალმა. — ახლა შენ თოფ-იარაღისა და ცხენების მეტი აღარაფერი გჭირდება, ცოლ-შვილი თუნდაც წყალმა წაიღოს, არა! — ამ სიტყვებით ლიზბეტი შებრუნდა, სავარძელში ჩაეშვა და აქვითინდა.

— რა დაგემართა, ჩემო კარგო? ღმერთმა ასეთი სიმდიდრე მომცა — ცოლი, შვილები, ადგილ-მამული და განა უცებ იმ ჭკუაზე დავდგებოდი, აღარაფერი მინდოდეს?... — გულაჩუყებული კოლჰაასი მეუღლეს მიუჯდა, რომელიც ამ სიტყვების გაგონებაზე გაწითლდა და ქმარს კისერზე შემოეხვია. — აბა, მითხარი, — განაგრძო კაცმა და ლიზბეტს შუბლიდან ნაზად გადაუწია კულულები; — მაშ როგორ მოვიქცე? მთელ ამ საქმეს მართლაც ქვა მივაგორო? მართლა ავდგე და ტრონ-

კენბურგში იუნკერს მივადგე, შევეხვეწო — ჩემი ცხენები დამიბრუნე-მეთქი, მერე მოვაჯდე ცხენს და უკან გამოვქუსლო? — ლიზბეტმა ვერ გაბედა ეთქვა. — ჰო, ჰო, ჰო, ეგრე მოიქეციო, უარის ნიშნად თავი გააქნია, ტირილს უმატა, ქმარს ზედ მიეკრო და მკერდი დაუკოცნა.

— აი, ხომ ხედავ! — წამოიძახა კოლჰაასმა, — შენც გრძნობ, რომ ჩემს საქმეს ისე ვერ განვაგრძობ, თუ ზოგიერთი უფლება არ მოვიპოვე, ამიტომ გამიხსენ ხელ-ფეხი, რომ ეს უფლებები დავიცვა კიდეც! — შემოვიდა მსახური და მოახსენა, ქურანა შეკაზმულიაო. კოლჰაასი წამოდგა და მსახურს მეორე განკარგულება მისცა: — ხვალ ორივე წაბლა შეკაზმეთ, ლიზბეტი შვერინში უნდა წაიყვანოო.

— ერთი რამ მოვიფიქრე, — თქვა ლიზბეტმა და ფეხზე წამოდგა.

კოლჰაასი საწერ მაგიდას მიუჯდა.

ლიზბეტმა თვალები შეიმშრალა და ქმარს ჰკითხა, ხომ არ აჯობებს ბერლინში მე წავიდე და კურფიურსტს შენი თხოვნა მე გადავცეო.

კოლჰაასს გული ყელში მოებჯინა, ცოლს ხელი მოჰკიდა, მუხლებზე დაისვა და უთხრა:

— არა, ჩემო კარგო, არ შეიძლება! კურფიურსტს კარისკაცები ახვევია ირგვლივ და ვიდრე მასთან მიხვალ, მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოგიწევს.

ამაზე ლიზბეტმა მიუგო, მისი ნახვა ქალისთვის ათასჯერ უფრო იოლია, ვიდრე მამაკაცისთვისო.

— მომეცი ეგ თხოვნა, — გაუმეორა ლიზბეტმა ქმარს. — და თუ იმის მეტი არაფერი გსურს, რომ ეგ თხოვნა მის ხელში მოხვდეს, შეგიძლია მე მომენდო.

კოლჰაასი ადრე არაერთხელ დარწმუნებულა თავისი ცოლის გონიერებასა და გაბედულებაში, და ახლა ჰკითხა, მაინც როგორ ფიქრობ ამის მოგვარებასო.

ქალმა თვალები დარცხვენით დახარა და უთხრა:

— კურფიურსტის ციხისთავი ახალგაზრდობაში შვერინში მსახურობდა და ჩემს შერთვას აპირებდა. ახლა იგი დაქორწინებულია და რამდენიმე შვილიც ჰყავს, მაგრამ საბოლოოდ დავიწყებული ხომ არ ვეყოლები? ერთი სიტყვით, ეს საქმე

მე მომანდე, რომ ყველა გარემოება, — ამაზე ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს, — ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენო.

გახარებულმა კოლჰაასმა ცოლი გადაკოცნა და უთხრა, ციხისთავის ცოლთან ბინად ყოფნა საკმარისია, რომ კურფიურსტის სასახლეში შეაღწიოო. მერე თხოვნა გადასცა, ეტლში წაბლა ცხენები შეაბმევინა, ცოლი ეტლში მოაწყო და შტერნბალდს, თავის ერთგულ მსახურს, ჩააბარა.

მრავალი მარცხიანი ნაბიჯი გადადგა კოლჰაასმა ამ საქმის მოსაგვარებლად, ეს ნაბიჯი კი ყველაზე დიდი უბედურების მომტანი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ შტერნბალდი უკან დაბრუნდა და ეზოში ტაატით შემოიყვანა ეტლი, რომელშიც მკერდჩაჭყლეტილი ლიზბეტი იწვა. კოლჰაასს სახეზე ნაცრისფერი დაედო, ეტლთან მიიჭრა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა, ვერ გაეგო, რა უბედურება დაატყდა თავს. მსახურმა დაწვრილებით უთხრა რაც იცოდა: ციხისთავი შინ არ დაგვიხვდა, იძულებული გავხდით სასახლის შორიახლო, ერთ ფუნდუკში გავჩერებულიყავით. მეორე დღეს თქვენმა მეუღლემ მიბრძანა, ცხენებს მიხედეო, თვითონ კი წავიდა. საღამო ხანს აი ასეთ მდგომარეობაში მოიყვანეს. ეტყობა, კურფიურისტი რომ ენახა, არაფერს მოერიდა და მისი მცველებიდან რომელიმე თავგამოდებულმა ოტროველამ ჭალს მკერდში შუბის ტარი აძგერა. შეიძლება ასე არც იყო, მაგრამ იმ ხალხმა, ვინც გრძნობაწართმეული ლიზბეტი მოიყვანა, ასე გადმომცაო. ჭალბატონს პირიდან სისხლი სდიოდა და ლაპარაკი არ შეეძლო, რამდენიმე ხნის შემდეგ კი მისი თხოვნა ვიღაც რაინდმა წაიღოო. ეს ამბავი რომ შეგვემთხვა, — დაუმატა ნათქვამს შტერნბალდმა, — დავაპირე მაშინვე თქვენკენ წამოვსულიყავი და ჩვენი უბედურება თქვენთვის შემეტყობინებინა, მერე ექიმიც გამოვიძახეთ, იმანაც გვითხრა, ავადმყოფისათვის ახლა მგზავრობა სახიფათოაო, მაგრამ ჭალბატონი ლიზბეტი არაფრით არ დარჩა, კოლჰაასენბრუკში წამიყვანეთ, წინასწარ შეტყობინება საჭირო არ არისო.

მგზავრობით გატანჯული მეუღლე კოლჰაასმა ლოგინში ჩააწვინა. ქალი სულს ძლივს ითქვამდა და ასეთ ტანჯვა-წვალებაში კიდევ რამდენიმე დღე იცოცხლა. ტყუილად ეცადნენ როგორმე გონზე მოეყვანათ, რომ მისგან სიმართლე გაეგოთ, ჭალს ვერაფერი ათქმევინეს. თვალებჩამჭრალი ლიზბეტი გა-

უნძრევლად იწვა და ხმას ვერ იღებდა. მხოლოდ სიკვდილის წინ მოვიდა გონს. როცა მის სარეცელთან ლუთერანული სარწმუნოების მღვდელი მივიდა, — ქმრის მაგალითით ლიზბეტმა სწორედ ეს ახალფეხმოკიდებული სარწმუნოება აღიარა, — და გულშიჩამწვდომი საზეიმო ხმით შეუდგა ბიბლიის ერთი თავის კითხვას, ლიზბეტმა უცებ დაბინდული მზერა მიაპყრო მღვდელს, ბიბლია ხელიდან გამოართვა, თითქოს იმის მოსმენა არ უნდოდა, რასაც უკითხავდნენო, მერე ერთ ხანს ფურცლა წიგნი, ეტყობა, რაღაც ადგილს ეძებდა და როცა იპოვნა, ლოგინზე ჩამომჯდარ კოლჰაასს თითით უჩვენა ერთი ტაეპი. „მიუტევე მტერს შენსას; კეთილი ჰქმენ მისთვისაც, ვისაც სძულხარ“, მერე სიყვარულით აღსავსე მზერა მიაპყრო ქმარს, ხელზე ხელი მოუჭირა და სული განუტევა.

„დაე ნურასოდეს მომიტევებს ღმერთი ჩემს დანაშაულს ისევე, როგორც მე არ მივუტევებ იუნკერს მისას“, — გაიფიქრა კოლჰაასმა, მეუღლეს აკოცა, თვალები დაუხუჭა და თვალებზე ცრემლმომდგარი ოთახიდან გავიდა.

კოლჰაასმა ის ასი ოქროს გულდენი აიღო, რომელიც ამტმანმა დრეზდენის ვალებში გადაუხადა და ბრძანა, ლიზბეტი დედოფლის საკადრისად დაესაფლავებინათ. გააკეთებინა მუხის კუბო, სასახლე ლითონის სალტეებით შეაჭედვინა, აბრეშუმის ბალიშები ოქროსა და ვერცხლის ფოჩებით შეამკობინა. მისი ბრძანებით სამარე რვა წყართის სიღრმეზე გაჭრეს და ქვითკირით ამოაშენეს. კოლჰაასი თვითონ იდგა სამარის პირას, უმცროსი ვაჟი ხელში ჰყავდა აყვანილი და სამუშაოს თვალყურს ადევნებდა. დასაფლავების დღეს თოვლივით თეთრი კაბით შემოსილი ცხედარი დარბაზში დაასვენეს, სადაც კოლჰაასის ბრძანებით კედლებზე შავი მაუდი იყო გაკრული. ის იყო მღვდელმა ლიზბეტის ცხედართან გულისამაჩუყებელი სიტყვა ჩაამთავრა, რომ კოლჰაასს კურფიურსტის გამოგზავნილი პასუხი გადასცეს. პასუხი ასეთი იყო: „წამოიყვანე ტრონკენბურგიდან შენი ცხენები და შემდგომ ამ საქმეზე ხმა აღარ დასძრა, თუ არა და, ციხეში ამოგალპობ“.

კოლჰაასმა წერილი ჯიბეში ჩაიდო და კუბო ცხედარსაზიდზე დაასვენებინა. როცა სამარეზე ბორცვი აღიმართა, ზედ ჯვარი დაამაგრეს და დასაფლავებაზე მოსული ხალხი წავიდწამოვიდა, კოლჰაასმა კიდევ ერთხელ მოიყარა მუხლი მეუღ-

ის სამუდამო სამყოფლის წინაშე, მერე კი შურისძიებაზე დაიწყო ფიქრი. შინ დაბრუნებული მაგიდას მიუჯდა და იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას ასეთი წერილი დაუწერა: ჩემგან მითვისებული ცხენები, რომლებსაც მინდორში მუშაობით გეერდები ჩაუცვივდათ, სამ დღეში კოლჰაასენბრუკში მომგვარე, ჩემს თავლაში მეჯინიბედ დადექი და ცხენები შენი ხელით მანამდე ჰკვებე, სანამ ძველებურად არ გაასუქებო. ერთ-ერთ მსახურს გადასცა, ცხენზე შესვა და უთხრა, როგორც კი ამ ქალაქს ტრონკენბურგში ჩაიტან, მაშინვე უკან გამობრუნდიო. რაკი სამი დღე ისე გავიდა, რომ ცხენები არავის მოუყვანია, კოლჰაასმა ჰერზე მოიხმო და თავისი განაჩენი გაუმხილა. მერე ორი კითხვა მისცა: გსურს თუ არა ტრონკენბურგში წამომყვე, რომ ახალგაზრდა ბატონი წამოვიყვანოთ და შეგიძლია თუ არა, იუნკერი გაამათრახო, თუკი იგი კოლჰაასენბრუკის თავლაში იზარმაცებსო. გაიგო თუ არა ბატონის ნათქვამის აზრი, ჰერზემ სიხარულით შესძახა — თუ გინდა, ახლავე წამოგყვებიო, და ქუდი ჰაერში აისროლა, მერე თქვა: ათნასკვიან მათრახს დავაწვნევინებ, იცოცხლე, იმას ცხენების დაურვებას ვასწავლიო. კოლჰაასმა გაყიდა სახლი, ბავშვები ეტლში ჩასხა და საზღვარს გააცილა, მერე დაღამებას დაელოდა, სულითა და ხორცით თავისი ერთგული შვიდი მსახური მოიხმო, შეაიარაღა და ცხენებზე ამხედრებული პატარა რაზმით ტრონკენბურგისაკენ გაეშურა.

უკვე მესამე ღამეს ერთი მუჭა ხალხით თავს დაესხა და ცხენებით გადათქერა მებაჟე და მცველი, რომლებიც ალაყაფის კართან არხეინად საუბრობდნენ, და ციხე-დარბაზში შეიჭრა. სანამ ცეცხლმოდებული სადგომები ლაწა-ლუწით ინგრეოდა, ჰერზე ხვეული კიბით კანცელარიის კოშკში აიჭრა, სადაც ციხისთავი და მოურავი, სანახევროდ გაშიშვლებულები ქალაქს თამაშობდნენ და შუბითა და ხმლით ორთაველს ბოლო მოუღო, ხოლო კოლჰაასი იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას დარბაზში შეიჭრა. შურისძიების ანგელოზი ციდან დაეშვა. სწორედ ამ დროს ახალგაზრდა მეგობრებით გარშემორტყმული იუნკერი დალალის გამოგზავნილ განაჩენს კითხულობდა და ყველანი ყურისწამღებად ხარხარებდნენ. ამის გამო იყო, რომ კოლჰაასის შემოსვლა ვეღარ გაიგონეს, მაგრამ იუნკერს უცბად მკვდრისფერი დაედო, მეინახეებს შესძახა: „თავს უშ-

ველეთ, ძმებო!“ და თვალს მიეფარა. დარბაზში შესვლისთანავე კოლჰაასს ხელში ჩაუვარდა მეორე იუნკერი — ჰანს ფონ ტრონკა. დალალი საკინძეში წასწვდა მას და იუნკერი კუთხისკენ ისეთი ძალით მოისროლა, რომ ამ უკანასკნელმა კედელზე ტვინი მიასხა. მერე დარბაზში კოლჰაასის მსახურები შემოვიდნენ, გონს მოსულ შეიარაღებულ რაინდებს სძლიეს და განაიარაღეს. კოლჰაასმა იკითხა, იუნკერი ვენცელ ფონ ტრონკა სად არისო. დაბნეულმა რაინდებმა ხმა ვერ გაიღეს, არავინ იცოდა იუნკერის ასავალ-დასავალი. კოლჰაასმა ფლიგელში გამავალი ორივე კარი ფეხით შეამტვრია, ვრცელი შენობა შემოირბინა, მაგრამ იქაც ვერავინ იპოვნა და ლანძღვა-გინებით ეზოსკენ დაეშვა, რათა გასასვლელებში გუშაგები ჩაეყენებინა. ცეცხლმოდებული სადგომებიდან ალმა ციხე-დარბაზისკენაც გადაინაცვლა და სქელი კვამლი ცაში აიჭრა. სანამ შტერნბალდი და სამი სხვა ხელმარჯვე მსახური ყველაფერს ცხენის ფლოქვებით თელავდნენ და ანადგურებდნენ, ჰერზე კანცელარიის ფანჯრებიდან ხარხარით ყრიდა ციხისთავის, მოურავისა და მათი ცოლ-შვილის გვამებს. კოლჰაასს ფეხებში ჩაუვარდა ნეკრისის ქარებისაგან გატანჯული მოხუცი ქალი, რომელიც ბატონის საოჯახო მეურნეობას უძღვებოდა. კოლჰაასი კიბის საფეხურზე შეჩერდა და მოხუცს ჰკითხა, იუნკერი ვენცელ ფონ ტრონკა სად არისო. მოხუცმა აკანკალებული, მძიმე ხმით ძლივს უპასუხა, მგონი, სამლოცველოს შეაფარა თავიო. მაშინ კოლჰაასმა ორი ჩირაღდნიანი მსახური მოიხმო და რაკი სამლოცველოს გასაღები არ ჰქონდათ, კარი ძალაყინითა და ცულებით შეამტვრევინა, საკურთხეველი და მერხები გადააქოთა, მაგრამ თავისდა გულის გასახეთქად იუნკერს ვერსად წააწყდა. როცა კოლჰაასი სამლოცველოდან გამოვიდა, ცხვირწინ ტრონკენბურგელთა ჭაბუკი მსახური დაინახა, რომელიც იუნკერის სალაშქრო ცხენების გადასარჩენად ფართო და ქვით ნაგები თაღლისკენ გარბოდა. იმავე წუთს კოლჰაასმა თავის შავრა ცხენებსაც თვალი მოჰკრა, რომლებიც ნამჯით დახურულ ფარდულში შეეყვანათ, და ჭაბუკს ჰკითხა:

— ის შავრა ცხენები რატომ არ გამოგყავს?

ჭაბუკმა გასაღები ქვით ნაგებ თაღლის კარს მოარგო და კოლჰაასს უპასუხა: — მაგ ფარდულს უკვე ცეცხლი უკიდიაო!

კოლჰაასმა კარიდან გასაღები გამოაძრო, კედელს იქით

გადაისროლა, ჰაბუკს დაშნა სიბრტყით შემოჰკრა, ცეცხლმოდებულ ფარდულში ძალით შეაგდო და შეკრებილთა საშინელ ხარხარში შავრები სამშვიდობოს გამოაყვანინა. კიდევ ერთი წამი და ფარდულიც ჩამოინგრა, გარეთ გამოსულ ჰაბუკს კი, რომელსაც ცხენები აღვირით ეჭირა, კოლჰაასი იქ აღარ დაუხვდა. ჰაბუკი სასახლის მოედნისკენ გაიქცა, სადაც მსახურებს მოეყარათ თავი და მათ მეთაურს ჰკითხა, ამ ცხენებს რა ვუყოო. კოლჰაასს მისთვის ზედაც არ შეუხედავს, უცბად საზე დაელმიჯა და დალალმა ფეხი ისეთი ძალით დასცხო მიწას, ჰაბუკს რომ მოხვედროდა, გასრესდა კიდეც. კოლჰაასი თავის წაბლას მოახტა და ჰიშკართან გაჩერდა გათენების მოლოდინში, მისმა მსახურებმა კი ბღლაძუნი და უხამსი ქილიკი გამართეს. გათენდა თუ არა, შავად შერუჯული კედლები გამოჩნდა. ციხე-დარბაზიდან ეს კედლებიღა დარჩენილიყო. კოლჰაასისა და მისი ხალხის გარდა ახლო-მახლო ძეხორციელი აღარ ჰაჰანებდა. კოლჰაასი ცხენიდან ჩამოხდა და მზის შუქზე კიდევ ერთხელ მოჩხრიკა ყოველი კუთხე-კუნჭული. მართალია, სულაც არ ესიამოვნა, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ციხე-დარბაზზე თავდასხმამ წარმატება არ მოუტანა. მერე ჰერზე და კიდევ რამდენიმე მსახური იუნკერის მოსაძებნად გააგზავნა, — იქნება მისი გზა-კვალი იპოვნოთო. კოლჰაასს მულდეს* პირას მდებარე კეთილშობილი დედათა მდიდარი მონასტერი ერლაბრუნი გაახსენდა, რომელსაც იღუმენი ანტონია ფონ ტრონკა წინამძღოლობდა. ანტონია ფონ ტრონკა მთელ იმ მხარეში ცნობილი იყო, როგორც ღვთისმოსავი და ქველმოქმედი ქალი. ერლაბრუნი უბედურ დალალს იმიტომ გაახსენდა, იფიქრა, თავის გადარჩენის სურვილი იუნკერს უთუოდ იმ მონასტერში მიიყვანს, სადაც ახლო ნათესავი და აღმზრდელი დაუხვდებაო. ეს ყველაფერი რომ აწონ-დაწონა, კოლჰაასი კანცელარიის კოშკში ავიდა, სადაც საცხოვრებლად გამოსადეგი ერთი ოთახი კიდევ დარჩენილიყო და ეგრეთწოდებული „კოლჰაასის მანდატი“ შეადგინა. დალალი მთელ მხარეს მოუწოდებდა, არ მიეცათ თავშესაფარი იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკასათვის, რომლის წინააღმდეგაც იგი სამართლიან ომს ეწეოდა. ყოველ მოსახლეს, მათ შორის ფონ ტრონკას ნათესავებსა და მეგობრებს, აფრთხილებდა არ დახმარებოდნენ იუნკერს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დაგსჯით, ხო-

ლო თქვენს კარმიდამოს ცეცხლს მივცემო. მოგზაურებისა და გამვლელ-გამომვლელთა დახმარებით კოლჰაასმა ეს განცხადება მთელ მხარეში გაავრცელა, ხოლო მსახურ ვალდმანს მანდატის ერთი პირი ჩააბარა და დაავალა, ეს მანდატი ერლაბრუნის წინამძღოლ ანტონიას გადაეცით. ამის შემდეგ დალალი იუნკერზე გულაყრილ რამდენიმე ტრონკენბურგელ მსახურს ესაუბრა, რომლებიც ფულს დახარბდნენ და კოლჰაასის სამსახური არჩიეს, ტრონკენბურგელები ფეხოსანი მებრძოლების კვალობაზე მშვილდ-ისრებითა და ხანჯლებით შეიარაღა და თავისი მსახურების უკან ცხენზე მეორე მხედრად ჯდომა დაავალა. როცა ბანდის ნაალაფევი ფულად აქცია და ეს ფული ბანდის წევრებს დაურიგა, კოლჰაასმა სავაგლახო საქმეს თავი ანება და რამდენიმე საათს კარიბჭის ქვეშ შეისვენა.

ნაშუადღევს ჰერზე დაბრუნდა და დაადასტურა კოლჰაასის ეჭვი, სახელდობრ ასე თქვა: იუნკერი ერლაბრუნში იმყოფება, წინამძღოლ ანტონია ფონ ტრონკასთანო. იუნკერი, ეტყობა, ციხე-დარბაზის უკანა კედელში დატანებული კარით გასულიყო გარეთ და ფარული ქვის ვიწრო კიბით ელბის ნაპირისთვის მიეღწია, სადაც რამდენიმე ნავი ყოველთვის ება ხოლმე.

— ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, — ჰყვებოდა ჰერზე, — ელბისპირა სოფელს, რომლის მოსახლეობა ტრონკენბურგის ხანძრის საყურებლად იყო წამოსული, იუნკერი შუაღამისას მოადგა პატარა უნიჩბო ნავით, მერე კი გლეხური ფორანი იშოვა და ერლაბრუნში წავიდაო.

ეს რომ გაიგო, კოლჰაასმა შვებით ამოისუნთქა.

— ცხენებს თუ აჭამეთ? — იკითხა მან, ხოლო როცა დასტური მისცეს, კოლჰაასმა ხალხი გაამზადა და სამ საათში რაზმი უკვე ერლაბრუნთან იდგა.

შორიდან ყრუდ ისმოდა ჭექა-ქუხილის ხმა. კოლჰაასის რაზმმა ჩირაღდნები აანთო და მონასტრის ეზოში შეიჭრა. წინ ვალდმანი შემოეგება და მოახსენა, — მანდატი დანიშნულებისამებრ წინამძღოლს ჩავაბარეო. სწორედ ამ დროს კოლჰაასმა იღუმენსა და მონასტრის ციხისთაეს მოჰკრა თვალი, რომლებიც გაცხარებით ლაპარაკობდნენ და მთავარი შესასვლელის კიბეებზე ჩამოდიოდნენ. თოვლივით თეთრწვერულვაშა,

ტანმორჩილ ციხისთავს მსახურები ბეგთარს აცმევდნენ. მან მტრული მზერა ესროლა კოლჰაასს და საგანგაშო ბუკის დაკვრა ბრძანა. ამ დროს მთლად გაფითრებული იღუმენი, რომელსაც ხელში ვერცხლის ჯვარცმა ეჭირა, კიბიდან ძირს დაეშვა და მოლოზნებთან ერთად კოლჰაასის ცხენის წინ დაემხო. კოლჰაასმა თვალი გააყოლა იარაღაყრილ ციხისთავს, რომელიც ამასობაში ჰერზესა და შტერნბალდს შეეპყროთ, ცხენებს შუა მოემწყვდიათ და იღუმენს ჰკითხა:

— სად არის იუნკერი ენცელი ფონ ტრონკა?

იღუმენმა სარტყელზე შემოკრული გასაღებების დიდი შეკვრა მოიხსნა და უპასუხა:

— ვიტენბერგში, კოლჰაას, ღირსეულო ადამიანო! — მერე კი ხმის ცახცახით დაუმატა: — მოერიდე ღვთის რისხვას და ნუ იზამ უსამართლო საქმეს!

დაუკმაყოფილებელმა შურისგებამ კოლჰაასს გულში ჯოჯოხეთური ცეცხლი აუგიზგიზა. დაღლილმა ცხენს სხვა მხრისკენ უქნა პირი და ის იყო რაზმელებისთვის უნდა ებრძანებინა — აქაურობა ცეცხლს მიეცითო, რომ უცბად საშინლად იშვიაშა და მის გვერდით მეხმა მიწა გაარღვია.

კოლჰაასი იღუმენს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ჩემი მანდატი ხომ მიიღე?

—ახლახან მივიღე, — მილეული ხმით უპასუხა იღუმენმა.

— როდის?

—ორი საათის წინათ, როცა ჩემი ნათესავი იუნკერი, ღმერთია მოწმე, აქედან უკვე წასული იყო.

ვალდმანმა, რომელსაც კოლჰაასმა მოჭუფრული თვალი შეავლო, ენის ბორძიკით დაადასტურა ქალის ნათქვამი, წვიმებით ადიდებულ მულდაზე გადმოსვლა ვერ მოვახერხე და დიდი ხანი არ არის, რაც აქ ჩამოვედიო. კოლჰაასმა გონება მოიკრიბა. უეცრად წამოსულმა საშინელმა თქეშმა, რომელმაც ჩირაღდნები ჩააქრო და ქვაფენილზე ტყლაშუნი ატეხა, მის ტანჯულ გულს შვება მოჰფინა. კოლჰაასმა იღუმენს ქუდი მოუხადა, ცხენს დეზი ჰკრა, რაზმელებს შესძახა: — მომყევით, ძმებო, იუნკერი ვიტენბერგშიაო! — და მონასტერი მიატოვა.

საღამო ხანს ერთ-ერთ ფუნდუკში გაჩერდნენ და ერთი დღე იქ დარჩნენ — ცხენები მეტისმეტად გადაქანცულიყვნენ.

კოლჰაასს ახლა ათი კაცი ჰყავდა რაზმში, მაგრამ რაკი ეს ხალხი ვიტემბერგის დასალაშქრავად არ ეყოფოდა, ამიტომ მეორე მანდატი დაწერა, სადაც მოკლედ აღწერა ტრონკენბურგში მომხდარი ამბავი და მის გამოთქმებს თუ ვიხმართ, „ყოველ კეთილ ქრისტიანს ფულადი ჯილდოს და სხვა ნაალაფევის“ დაპირებით მოუწოდებდა — შემომიერთდით „ყველა ქრისტიანის მტრის, იუნკერ ფონ ტრონკას წინააღმდეგ ბრძოლაშიო“. მესამე მანდატში კოლჰაასი თავის თავს „ხელმწიფისაგან თავისუფალ, ღვთისმორჩილ“ კაცს უწოდებდა, რაც თავისთავზე ავადმყოფურად შეყვარებული მახინჯი კაცის ფანტაზია იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მოწოდებამ და ფულისა და სხვა გამოსარჩენის შოვნის იმედმა პოლონეთთან ზავის დადების შედეგად ულუკმაპუროდ დარჩენილი მდაბიოები ისე მიიზიდა, რომ როცა ვიტენბერგის გადასაწვავად კვლავ ელბის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა, რაზმში უკვე ოცდაათი კაცი ჰყავდა. კოლჰაასმა ხალხი და ცხენები ერთ დაბურულ ტყეში, სანახევროდ დანგრეულ აგურის ფარდულში დააბინავა, — ასეთი ფარდულები იმ დროს ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. დალალი აქ იმდენ ხანს შეყოვნდა, სანამ ქალაქიდან მანდატის გასავრცელებლად გაგზავნილი გადაცმული შტერნბალდი დაბრუნდებოდა და მოახსენებდა, — მოსახლეობა მანდატის შინაარსს გაეცნოო. სწორედ სამების წინა ღამეს, როცა ქალაქის მოსახლეობა ღრმა ძილში იყო, რაზმელებმა ვიტენბერგის მოედანზე განლაგებულ შენობებს სხვადასხვა მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. ვიდრე მისი ბიჭები გარეუბნებს ძარცვავდნენ, კოლჰაასმა ეკლესიის კარის წირთხლზე ასეთი ქაღალდი გააკრა: „ქალაქს მე, კოლჰაასმა წავუკიდე ცეცხლი. თუ იუნკერს არ გადმომცემთ, ყველაფერს ამოვბუგავ, რომ მის დასანახად კედელს იქით გადახედვა არავის დასჭირდესო“.

კოლჰაასის ასეთმა გაუგონარმა თავხედობამ მოსახლეობა საშინლად აღაშფოთა. საბედნიეროდ, ზაფხულის უქარო ღამე იყო და ცეცხლმა სულ ცხრამეტიოდე სახლი შეიწირა, თუმცა, მათ შორის ერთი ეკლესიაც დაიწვა. გათენებისას ცეცხლი უკვე ჩამცხრალი იყო, როცა მოხუცმა ლანდფოგტმა* ოტო ფონ გორგასმა ორმოცდაათკაციანი რაზმი გაგზავნა გამძვინვარებული ბოროტმოქმედის შესაპყრობად. მაგრამ რაზმის მეთა-

ურმა, კაპიტანმა გერსტენბერგმა ბრძოლა ისე უთავბოლოდ წარმართა, რომ კოლჰაასის განადგურების ნაცვლად, დალას მეომრული დიდების მოხვეჭაში შეუწყო ხელი.

ამ ვაი-მეთაურმა რაზმი დაანაწევრა, რათა ბოროტმოქმედისათვის ალყა შემოერტყა, მაგრამ კოლჰაასმა მოწინააღმდეგეზე მთელი ძალით მიიტანა იერიში, რაზმები სათითაოდ ამოჟლიტა და გერსტენბერგი ბოლოს ისე გაანადგურა, რომ მეორე საღამოსათვის რაზმიდან, რომელსაც მთელი მხარე იმედით შეჰყურებდა, ცოცხალი აღარავინ დარჩა. კოლჰაასმა კი ამ ბრძოლაში მხოლოდ რამდენიმე კაცი დაჰკარგა. მეორე დილით დალალმა კვლავ ალში გახვია ქალაქი, თანაც ისე ოსტატურად წაუკიდა სახლებს ცეცხლი, ბევრ შენობასთან ერთად ახლა გარეუბნის თითქმის ყველა ბეღელიც დაიწვა. კოლჰაასმა რატუშის კედელზე თავის ხელით გააკრა ახალი მანდატი, რომლითაც მოსახლეობას აცნობებდა ლანდფოგტის მიერ მის წინააღმდეგ გამოგზავნილი და სამარცხვინოდ განადგურებული კაპიტან ფონ გერსტენბერგის ამბავს. კოლჰაასის უჯიათობით უაღრესად გაბოროტებულმა ლანდფოგტმა ახლა ასორმოცდაათკაციანი რაზმი შეადგინა და რამდენიმე რაინდთან ერთად რაზმს თვითონ ჩაუდგა სათავეში. იუნკერმა ვენცელ ფონ ტრონკამ წერილობით ითხოვა, გუშაგები დამიყენეთო და ლანდფოგტმაც დაცვა გამოუყო, რადგან გამწარებულ მოსახლეობას იუნკერის გაძევება სურდა. ახლომახლო განლაგებულ სოფლებსა და ქალაქის გალავანთან ლანდფოგტმა გუშაგები დააყენა და წმინდა გერვაზიუსის დღეს თავისი რაზმითურთ იმ ურჩხულის შესაპყრობად გასწია, რომელიც ქვეყანას განადგურებით ემუქრებოდა. დალალი საკმაოდ ჭკვიანი კაცი იყო და ამ რაზმთან შებრძოლებას თავი აარიდა. მოხერხებული მანევრით ლანდფოგტი ქალაქიდან ხუთი მილით დაშორებულ ადგილზე გაიტყუა, შემდეგ ასევე ეშმაკური ხერხით მას ისეთი წარმოდგენა შეუქმნა, თითქოს ჭარბი ძალებით შევიწროებული, ბრანდენბურგის სამთავროსკენ იხევდა. მესამე ღამის დადგომისას კი უცბად შემობრუნდა, სწრაფად გაქუსლა ვიტენბერგისკენ და ქალაქი მესამედ გადაწვა. ეს საქმე გადაცმულმა და ქალაქში უჩუმრად შეპარულმა ჰერზემ განახორციელა. ჩრდილოეთის ძლიერი ქარის გამო ცეცხლი ისე გამძვინვარდა, რომ სამიოდე საათში ორმოცდაორი სახლი,

ორი ეკლესია, რამდენიმე მონასტერი, სკოლა და თვით ლანდფოგტის კანცელარია ნაცარტუტად აქცია.

ლანდფოგტი, რომელსაც მოწინააღმდეგე ბრანდენბურგში ეგულებოდა, ამ ამბის შეტყობისთანავე სწრაფი მარშით დაბრუნდა მღელვარებით მოცულ ქალაქში. ათასობით ადამიანს მოეყარა თავი კოშებითა და ბოძებით შემოღობილი სახლის წინ, სადაც იუნკერი ცხოვრობდა და ღრიალით მოითხოვდა ქალაქიდან მის გასახლებას. ფორმის სამოსში გამოწყობილ ორ ბურგომისტრს მთელი მაგისტრატი შეეკრიბა და მათი დახმარებით აღელვებულ მოქალაქეებს ამაოდ უმტკიცებდნენ, აუცილებელია სახელმწიფო კანცელარიის პრეზიდენტთან გაგზავნილ მალემსრბოლს დაველოდოთ, რომელიც გაგვაგებინებს, შეიძლება თუ არა იუნკერი დრეზდენში გავგზავნოთ, სადაც ზოგიერთი მიზეზის გამო თვითონაც სურს წავიდესო. მაგრამ გახელებულ, ხელკეტებითა და კომბლებით შეიარაღებულ ხალხს არაფერი ესმოდა, ზოგიერთი უფრო მკაცრი ზომების მიღებასაც მოითხოვდა. მთელი ეს ბრბო მზად იყო აღეგავა პირისაგან მიწისა ის სახლი, სადაც იუნკერი გამოკეტილიყო. სწორედ ამ დროს ქალაქში გამოჩნდა ლანდფოგტი ოტო ფონ გორგასი თავისი მხედრებით. ამ ღირსეულმა ბატონმა, რომელიც ხალხს თავისი გამოჩენითაც კი უნერგავდა მოწიწებასა და მორჩილებას, თითქოს წარუმატებელი ლაშქრობის გამო თავისი დანაშაულის გამოსყიდვა უნდოდაო, ზედ ქალაქის მისადგომთან კოლჰაასის რაზმს ჩამორჩენილი სამი კაცი შეიპყრო. სამივესთვის ხალხის თვალწინ ბორკილი დაადებინა და მოსახლეობას წინდახედული სიტყვით მიმართა: კოლჰაასის კვალს მივაგენით, ჩემი აზრით, მალე შევიპყრობთ და ხელფეხდაბორკილს ქალაქში შემოვიყვანთო. ამ სიტყვებმა შეკრებილებს შიში გაუქარწყლა და ისინიც დრეზდენიდან მალემსრბოლის დაბრუნებამდე იუნკერის ქალაქში დარჩენასაც შეეგუენ.

ლანდფოგტი და მისი რაინდები ცხენებიდან ჩამოხდნენ, ხალხს მორებითა და ბოძებით ჩახერგილი სახლი გააწმენდინეს და იუნკერთან შევიდნენ, რომელსაც წარამარა გული უღონდებოდა, თავზე ორი ექიმი ადგა და ესენციებითა და ალმგზნები საშუალებებით ისევ გრძნობაზე მოჰყავდათ. ბატონი ოტო ფონ გორგასი მიხვდა, რომ ახლა იუნკერთან მის

სამარცხვინო საქციელზე ლაპარაკს აზრი არა ჰქონდა, ლანდფოგტმა მძულვარებით სავსე მზერაღა ესროლა იუნკერს და უთხრა, თქვენი უშიშროებისათვის აჯობებს ახლავე ჩაიცვათ და რაინდთა საპატიმროს კოშკში გამომყვეთო. იუნკერს თავზე ჩაფხუტი დაახურეს და კამზოლი გადააცვეს, მაგრამ იუნკერს სამოსი მკერდზე არ შეუკრავს, — სულს ძლივს ითქვამდა. როცა ლანდფოგტისა და თავისი სიძის, გრაფ ფონ გერშაუს მკლავებზე დაყრდნობილი იუნკერი გარეთ გამოვიდა, ხალხი საშინელი წყევლა-კრულვით შეხვდა. მოსახლეობა, რომელსაც ლანდსკნეხტები* ძლივს აჩერებდნენ, პირში აგინებდა იუნკერს, —სისხლისმსმელი და ულმობელი მტარვალი, ვიტენბერგის სახადი და საქსონიის ჭირი ხარო. ასეთი ტანჯვით განვლო იუნკერმა ნანგრევებად ქცეული ქალაქი, ჩაფხუტი რამდენჯერმე ისე გადასძვრა, არ შეუმჩნევია, ჩაფხუტს მის უკან მიმავალი რაინდი იღებდა მიწიდან და ისევ თავზე ახურავდა ხოლმე. როგორც იქნა საპატიმროს მიაღწიეს და ფონ ტრონკა ძლიერი დაცვით გამაგრებულ კოშკში გაუჩინარდა.

მალემსრბოლის დაბრუნებამ, რომელმაც კურფიურსტის რეზოლუცია მოიტანა, ქალაქს ახალი საზრუნავი გაუჩინა: კოლჰაასის შეპყრობამდე მთავრობას იუნკერის დედაქალაქში მიღების თაობაზე ერთი სიტყვის გაგონებაც არ სურდა, ამას დაჟინებით მოითხოვდა დრეზდენის მოსახლეობა. უარესიც— ლანდფოგტს იუნკერის დაცვა ეკისრებოდა. — სადაც უნდა იყოს, თვალყური არ მოაკლოო. ამასთანავე კურფიურსტი იტყობინებოდა, სახელოვან ქალაქ ვიტენბერგის დასამშვიდებლად უკვე გამოგზავნილია ხუთასკაციანი ჯარის ნაწილი პრინც ფრიდრიხ ფონ მაისენის წინამძღოლობით, რათა ქალაქი შემდგომში ბოროტმოქმედთა თავდასხმებისაგან დაიცვასო.

ლანდფოგტმა კარგად იცოდა, რომ ამგვარი რეზოლუცია ხალხს სრულიადაც ვერ დაამშვიდებდა, რადგან ქალაქთან მოპოვებულმა რამდენიმე გამარჯვებამ კოლჰაასის ძალების შესახებ მეტად გაზვიადებული და უსიამოვნო ხმების გავრცელებას შეუწყო ხელი. ისეთ გაუგონარ და უმაგალითო ომს, რომელსაც ღამ-ღამობით კოლჰაასის გადაცმული ხალხი ჩალით, კუპრითა და გოგირდით აწარმოებდა, უფრო მეტი ძალებითაც ვერაფერს დააკლებდა, არამც თუ პრინც ფონ მაისენის

ხუთასი კაცით. ამიტომ ლანდფოგტმა მცირე ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, მიღებული რეზოლუცია სულაც არ გამოეჩინა. ნაცვლად ამისა, ქალაქის რამდენიმე ადგილას გააკვრევინა ცნობა, რომლითაც მოსახლეობას აცნობებდა — ჩვენს დასახმარებლად მალე გამოჩნდება პრინც ფონ მაისენის ხუთასკაციანი ჯარის ნაწილიო. გათენებისას რაინდთა საპატიმროს ეზოდან გამოვიდა ფარდებჩამოფარებული კარეტა და ოთხი კბილებამდე შეიარაღებული მხედრის თანხლებით ლაიფციგის შარაგზას დაადგა, ისეთი ხმები კი გაავრცელეს, თითქოს პლაისენბურგში მიემგზავრებოდნენ. რაკი ხალხი შეურიგდა ქალაქში იმ უკეთური იუნკერის ყოფნას, რომლის სახელსაც ამდენი ცეცხლი და სისხლისღვრა უკავშირდებოდა, ლანდფოგტი სამასი კაცის თანხლებით პრინც ფრიდრიხ ფონ მაისენის შესახვედრად გაემართა. ამასობაში კოლჰაასის რაზმი, რომელიც იესენის იარაღის საწყობის გაძარცვის შემდეგ საუკეთესოდ იყო აღჭურვილი, უკვე ას ცხრა კაცს ითვლიდა. როცა გაიგო ორმაგი ქარიშხალი მიახლოვდებაო, კოლჰაასმა გადაწყვიტა მათ თავდასხმას არ დალოდებოდა და ელვის უსწრაფესად თვითონვე შეუტია. მეორე ღამით იგი მიულბერგთან თავს დაესხა პრინც ფონ მაისენს. ამ ბრძოლაში კოლჰაასმა დიდი მწუხარება განიცადა — პირველივე გასროლით მოუკლეს ერთგული მსახური ჰერზე, მაგრამ ამ დანაკარგით გაცოფებულმა სამსაათიან ბრძოლაში ისე გაანადგურა პრინცი, რომ ამ უკანასკნელმა მებრძოლებს თავი ვეღარ მოუყარა და გათენებისას მიღებული მძიმე ჭრილობებისა და რაზმის სრული არევ-დარევის გამო იძულებული გახდა დრეზდენისკენ გაბრუნებულიყო.

გამარჯვებით გაბრუებული კოლჰაასი ახლა ლანდფოგტის შესახვედრად შემობრუნდა, ლანფოგტმა პრინც ფრიდრიხ ფონ მაისენის დამარცხების ამბავი ჯერ კიდევ არ იცოდა. კოლჰაასი დღისით-მზისით სოფელ დემეროვოს მახლობლად გაშლილ მინდორზე შეებრძოლა ლანდფოგტს და შეღამებამდე უმოწყალოდ ჟუჟა მტერი, თუმცა თვითონაც საკმაოდ დაზარალდა. თავისი რაზმით კოლჰაასი, რასაკვირველია, მეორე დღესაც შეებრძოლებოდა მტერს, რომელიც დემეროვის სასაფლაოს შეეფარა, მაგრამ მზვერავმა ლანდფოგტს მიულბერგთან პრინცის განადგურების ამბავი შეატყობინა და ლანდ-

ფოგტმაც ვიტენბერგში დაბრუნება არჩია. ორივე რაზმის დამარცხების შემდეგ ხუთმა დღემ განვლო და კოლჰაასი ახლა ლაიფციგს მიადგა — ქალაქი სამი მხრიდან ცეცხლს მისცა.

ახალ მანდატში, რომელიც მან ამ შემთხვევის გამო გაავრცელა, კოლჰაასი თავის თავს უწოდებდა „მთავარანგელოზ მიხეილის ნაცვალს, რომელიც ამ ქვეყანას იმიტომ მოევლინა, რომ აზღვევინოს ყველას, ვინც იუნკერის მხარეზე დადგება და ცეცხლითა და მახვილით დასაჯოს ვერაგობით აღვსილი მთელი სამყარო“. ამას გარდა, ლუტცენის ციხე-დარბაზიდან, რომელიც მან მოულოდნელი თავდასხმით დაიპყრო და თავის სიმაგრედ აქცია, ხალხს მოუწოდა, უკეთესი წყობილების დასამყარებლად ჩემს ჯარს შემოუერთდითო. მანდატის ხელმოწერაში გაყოყოჩებული კაცის ზვიადობა გამოსჭვიოდა: „გამოცემულია ციხე-დარბაზ ლუტცენში, ჩვენი მსოფლიო დროებითი მთავრობის რეზიდენციაში“.

ლაიფციგის მოსახლეობის საბედნიეროდ იმ დღეს შხაპუნა წვიმა წამოვიდა და ხანძარს მაინცდამაინც დიდი ზარალი არ მოუტანია. ამასთანავე მეხანძრეებიც მარჯვედ მუშაობდნენ და პლაისენბერგის ახლო-მახლო სულ რამდენიმე საწვრილმანო დუქანი დაიწვა. მიუხედავად ამისა, ქალაქი საშინელმა მღელვარებამ მოიცვა, სიკვდილის მთესველი ტყუილად ფიქრობდა, იუნკერი ლაიფციგში იმყოფებაო. ამ დროს კოლჰაასის წინააღმდეგ გაგზავნილი რაზმიდან ას თვრამეტი დამარცხებული მხედარიღა დაბრუნდა უკან. მაგისტრატმაც, რაკი არ სურდა ქალაქის სიმდიდრე სასწორზე შეეგდო, კარიბჭეები ჩააკეტვინა და მოსახლეობას დღედაღამ ქალაქის კედლებთან გუშაგობა დაუწესა. ამაო იყო გარჯა მაგისტრატისა, რომელმაც მახლობელ სოფლებში დეკლარაციები გააკრევინა — იუნკერი პლაისენბურგში არ არისო. დალალიც ასეთივე ფურცლების საშუალებით ამტკიცებდა, იუნკერი პლაისენბურგშიაო და იქვე დასძენდა ხოლმე: კიდევაც რომ არ აღმოჩნდეს პლაისენბურგში, სანამ მის ადგილსამყოფელს არ მიჩვენებთ, მაინც ძველებურად ვიმოქმედებო. კურფიურსტმა, რომელსაც ლაიფციგის გაჭირვება ამცნეს, განაცხადა, კოლჰაასის შესაპყრობად ორი ათას კაცს ვუყრი თავს და მეთაურობასაც მე ვკისრულობო. ბატონ ოტო ფონ გორგასს კი კურფიურსტმა სასტიკი საყვედური შეუთვალა იმ სამარცხვი-

ნო ბრძოლისათვის, რომელიც მან ვიტენბერგის მიდამოებში ჩაატარა.

შეუძლებელია იმ მღელვარების აღწერა, რომელმაც მთელი საქსონია და განსაკუთრებით მისი დედაქალაქი მოიცვა, როცა ლაიფციგის ახლო-მახლო სოფლებში ვიღაც უცნობმა ასეთი ხმა გაავრცელა: იუნკერი ვენცელი დრეზდენში იმყოფება თავის ბიძაშვილებთან ჰაინცთან და კუნცთან ერთადო.

ამ ამბების გამო დოქტორმა მარტინ ლუთერმა* გადაწყვიტა გამოეყენებინა თავისი მდგომარეობა და ბრძნული რჩევა-დარიგებით კოლჰაასი ადამიანური ცხოვრებისათვის დაებრუნებინა. იგი იმედს ამყარებდა ცეცხლითა და მახვილით მოთარეშე ადამიანის გულში არსებულ კეთილ საწყისზე და ასეთი შინაარსის მოწოდება გაავრცელებინა საკურფიურსტოს ყველა ქალაქსა და სოფელში:

„კოლჰაას, იქნება ფიქრობ, ამ ქვეყანას იმისათვის მოევლინე, ხელთ სამართლიანობის მახვილი მეპყრასო?! რას სჩადიხარ, კადნიერო, ბრმა ვნებებით გონდაკარგულო, შენ ხომ თვითონ ხარ თავიდან ფეხებამდე უსამართლობაში ჩაფლული? მხოლოდ იმის გამო აჯანყდი, რომ ხელმწიფემ მხარი არ დაგიჭირა რაღაც უმნიშვნელო ქონებისათვის დავის დროს. აჯანყდი და უდაბნოს მგელივით თავს დაესხი მშვიდობიან მრევლს, რომელსაც ხელმწიფე მფარველობს?! შენ ცბიერებითა და ვერაგობით აცთუნებ ადამიანებს; იქნება ფიქრობ, ცოდვილო, უფალსაც თვალი აუხვიო მაშინ, როცა იგი ადამიანის გულის ყოველ კუთხე-კუნჭულს თავის ნათელს მოჰფენს? როგორ ბედავ იმის თქმას, თითქოს შენი უფლებები უგულებელყვეს! შენს ულმობელ გულს ხომ მხოლოდ ჯავრის ამოყრა ახსოვს! შენ ხომ პირველი წარუმატებელი ცდების შემდეგ სრულიად აღარ გიცდია დაგებრუნებინა ეს უფლებები? განა იმ სასამართლო მოხელეებისა და გამომძიებლების ხელშია ძალაუფლება, რომლებმაც მათთვის გადაცემული წერილი მიჩქმალეს, ანდა სასამართლოს განჩინება აღარ გაცნობეს? უნდა გითხრა, ღვთის მგმობელო, რომ შენს ხელისუფალს ყურმოკვრითაც არაფერი გაუგია შენს საქმეზე, თუმცა, რა აზრი აქვს ამ ლაპარაკს? შენმა ხელმწიფემ, ვის წინააღმდეგაც აღმდგარხარ, სახელიც კი არ იცის შენი და, ამდენად, როცა ოდესმე ღვთის წინაშე წარსდგები იმ იმედით, რომ მასთან უჩიველო

ხელმწიფეს, ეს უკანასკნელი სუფთა გულით იტყვის: „ამ კაცის მიმართ, მეუფეო ჩემო, უსამართლობა არ ჩამიდენია, რამეთუ არაფერი მსმენია მისი არსებობის შესახებ". იცოდე, ხელთ სისხლიანი ხმალი გიპყრია, მეამბოხე ხარ და არა ცით მოვლენილი სამართლიანი მებრძოლი, შენი ხვედრი ბორბალია და სახრჩობელა, ხოლო იმ ქვეყნად — შეჩვენება, რომელსაც ვერ გაექცევა ვერც ერთი ბოროტმოქმედი და ღვთისმგმობელი.

ვიტენბერგი და ა. შ.
მარტინ ლუთერი".

ლუტცენის ციხე-დარბაზში გამოკეტილი კოლჰაასი თავის გაწამებულ გულში უკვე აწყობდა ლაიფციგის გადაწვის ახალ გეგმას, რადგან რამდენიმე ადგილას გამოკრულ ცნობას, — იუნკერი ვენცელი დრეზდენში იმყოფებაო, არამცთუ მაგისტრატი, ხელს საერთოდ არავინ აწერდა და კოლჰაასსაც ამ ცნობისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. სწორედ იმ ხანს შტერნბალდმა და ვალდმანმა კარიბჭეზე ლუთერის მოწოდება შეამჩნიეს და თავზარი დაეცათ, მსახურები რამდენიმე დღე ამაოდ ელოდნენ, იქნება კოლჰაასმაც შეამჩნიოსო მოწოდება, — თვითონ რას გაბედავდნენ დალალისათვის იმ ქალალდის ჩვენებას! მართალია, მოღუშული და გულჩათხრობილი კოლჰაასი საღამოობით გარეთაც გამოდიოდა ხოლმე, მაგრამ თავის თავშესაფარს იგი მხოლოდ იმიტომ თუ დატოვებდა, რომ მოკლე-მოკლე ბრძანებები გაეცა და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შტერნბალდმა და ვალდმანმა მაინც მოახერხეს და კოლჰაასს ლუთერის მოწოდება აჩვენეს. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა რამდენიმე რაზმელმა ყურად არ იღო დალალის ბრძანება და ხალხი გაძარცვა, მეთაურმა კი მათი ჩამოხრჩობა ბრძანა. სწორედ დასჯის ადგილიდან ბრუნდებოდა კოლჰაასი, როცა ლუთერის მოწოდება შენიშნა. დიდი თუ პატარა გზას უთმობდა დალალს. მეთაურს რამდენიმე მსახური მიუძღვებოდა წინ, რომლებსაც ოქროს ფოჩებიანი წითელი ტყავის ბალიშზე დასვენებული „ქერუბიმის მახვილი" მოჰქონდათ, ხოლო უკან თორმეტი მსახური მოსდევდა, — ამათ ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ ხელში. თავისი ბოლო მანდატის გამოქვეყნების შემ-

დეგ კოლჰაასი ასე თუ ეჩვენებოდა ხალხს. შტერნბალდმა და ვალდმანმა დრო იხელთეს, იღლიებში გაჩრილი ხმლებით იმ სვეტს შემოუარეს, რომელზეც ლუთერის მოწოდება იყო გაკრული და მეთაურსაც იქით გაექცა თვალი.

კოლჰაასს ზურგს უკან ჰქონდა ხელები შემოწყობილი და ფიქრებში წასული კარიბჭეს უახლოვდებოდა, როცა სვეტს ახედა, უნებლიედ შეკრთა. ორივე მსახურმა მოკრძალებით დაიხია უკან. დაბნეულმა კოლჰაასმა ფეხს აუჩქარა და სვეტს მიადგა. ვინ აღწერს, რა ხდებოდა მის გულში, როცა მოწოდებას კითხულობდა. ამ მოწოდებას ხომ ყველაზე ღირსეული და პატივსაცემი ადამიანი, მარტინ ლუთერი აწერდა ხელს. კოლჰაასს სახეზე სისხლი მოაწვა, დალალმა ჩაფხუტი მოიძრო და მიმართვა თავიდან ბოლომდე ორჯერ გადაიკითხა, შემდეგ მსახურების ჯგუფს შეერია და ირგელივ უმწეოდ მიმოიხედა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს. მიმართვა ჩამოხსნა, კიდევ ერთხელ ჩაიკითხა და დაუყვირა:

— ცხენი შემიკაზმე, ვალდმან! შტერნბალდ, დარბაზში შემომყევ! — და თვალს მიეფარა.

ეს პატარა მოწოდება საკმარისი აღმოჩნდა, რომ კოლჰაასს ერთბაშად დაეყარა ფარ-ხმალი, ერთბაშად დაენახა ის ჭაობი, რომელშიაც ჩავარდა. დალალმა სასწრაფოდ გადაიცვა ტიურინგიელი მიწით მოიჯარადრის სამოსი და შტერნბალდს უთხრა, — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმის გამო ვიტენბერგში უნდა წავიდეო. ყველაზე უფრო სანდო რაზმელის თანდასწრებით მეთაურობა შტერნბალდს გადასცა, დაუბარა — სამ დღეში დავბრუნდები, ამ ხნის მანძილზე თავდასხმა მოსალოდნელი არ არისო და ვიტენბერგისკენ გაეშურა.

ფუნდუკში სხვისი სახელით გაჩერდა. როგორც კი საღამო ჩამოდგა, ორი დამბაჩა ჯიბეში ჩაიდო და ლუთერის სადგომს მიადგა. როცა ხელნაწერებსა და წიგნებში ჩაფლულმა ლუთერმა ოთახში შემოსული ვიღაც უცნაური კაცი შეამჩნია, რომელმაც კარი ურდულით ჩაკეტა, ჰკითხა ვინა ხარ და რისთვის მოსულხარო. სტუმარს ქუდი მოეხადა, მოწიწებით შეჰყურებდა ლუთერს, თითქოს შიშობდა, ვაითუ ჩემი სახელის ხსენებით მასპინძელი შეურაცხყოო. მართლაც, ის იყო თავის სახელი წარმოთქვა, — დალალი მიხაელ კოლჰაასი ვარო,

რომ ლუთერმა შესძახა: „განეედ ჩემგან!“ ზანზალაკისკენ წაიწია და ყვირილით განაგრძო: „სუნთქვა შენი შხამია, შენი სიახლოვე — სიკვდილია და განადგურება!“

კოლჰაასი ადგილიდან არ განძრეულა, დამბაჩა ამოიღო და ლუთერს განუცხადა:

— ღირსპატივსაცემო ბატონო ჩემო, თუ მაგ ზანზალაკს ჩამოჰკრავთ, ამ დამბაჩით გულგანგმირული უსულოდ დაეცემი თქვენს ფერხთა წინაშე! დაბრძანდით და მომისმინეთ. ჩემგან ისევე არ გელით საფრთხე, როგორც იმ ანგელოზთაგან, ვის ფსალმუნებსაც თქვენ იწერთ.

— რა გსურს? — იკითხა ლუთერმა და მერხზე ჩამოჯდა.

— მინდა, ჩემზე აზრი შეგაცვლევინოთ და დაგარწმუნოთ, რომ უსამართლო კაცი არა ვარ. თქვენს მოწოდებაში ამბობთ, შენს ხელისუფალს გაგონებითაც არაფერი გაუგონია შენი საქმის თაობაზეო. ასე იყოს, მაშ მიშუამდგომლეთ, უფლება მომცენ უშიშრად წავიდე დრეზდენში, რომ საჩივარი გადავცე.

— ღვთისმგმობელო, საშინელო ადამიანო! — შესძახა ლუთერმა, რომელიც კოლჰაასის სიტყვებმა დააბნია და ამავე დროს დაამშვიდა კიდეც. — როგორ გაბედე, რომ საკუთარი ნება-სურვილით თავს დაესხი იუნკერ ფონ ტრონკას და რაკი თავის ციხე-დარბაზში ვერ შეიპყარი, ცეცხლითა და მახვილით სჯი ყველას, ვინც კი მას იცავს?

— ღირსპატივსაცემო ბატონო, — მიუგო კოლჰაასმა, — ამიერიდან არავის ვერჩი! დრეზდენიდან მიღებულმა ცნობამ შემაცდინა და გამიტეხა გული! ომი, რომელსაც მე საზოგადოების წინააღმდეგ ვაწარმოებ, დანაშაულია, რამდენადაც, როგორც თქვენ დამარწმუნეთ, ამ საზოგადოებას არ მოეუკვეთივარ.

— მოუკვეთიხარ? — შესძახა ლუთერმა და კოლჰაასს გაჯავრებით შეავლო თვალი. — ეგ რა სულელური აზრები მოგდის თავში? ვის შეეძლო შენი იმ საზოგადოებიდან მოკვეთა, სადაც ცხოვრობ! სად გაგონილა ასეთი ამბავი?

— მოკვეთილად მიმაჩნია ის ადამიანი, — დაიწყო კოლჰაასმა და ხელები დამუშტა, — ვისაც კანონი არ იცავს! მე კი კანონი მჭირდება, რათა გულარხეინად ვეწეოდე ჩემს მშვიდობიან საქმიანობას. სწორედ ამას მოვითხოვ, ჩემსას ნუ დამიკარგავენ, ხოლო ვინც უარს მეუბნება, უდაბნოში, ველუ-

რებთან მაძევებს, სწორედ ის მაძლევს ხელში კეტს, რომელიც თავდასაცავად მჭირდება — ნუთუ ამას ვერ ხვდებით?

— მერედა, ვინ გითხრა უარი კანონიერ დაცვაზე? — შესძახა ლუთერმა. — აკი მოგწერე, რომ შენი თხოვნა ხელმწიფეს თვალითაც არ უნახავს-მეთქი. თუკი სახელმწიფო მოღვაწეები მის ზურგს უკან განსასჯელ საქმეს ჩქმალავენ, ან მის სახელს ბოროტად იყენებენ, ღვთის გარდა ვის აქვს უფლება, ასეთი ხელქვეითების გამო ხელმწიფეს პასუხი მოსთხოვოს? ნუთუ ფიქრობ, რომ შენ, ღვთისგან წყეულო და საშინელო ადამიანო, ამის გამო მისი დასჯა ხელგეწიფება?

— ასე იყოს, — მიუგო კოლჰაასმა, — თუკი ხელმწიფე ხელს არ მკრავს, მაშინ ისევ დავუბრუნდები იმ საზოგადოებას, რომელსაც იგი მფარველობს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ ჩემს თხოვნას — მიშუამდგომლეთ, უფლება მომცენ უშიშრად წავიდე დრეზდენში და ჩემი საჩივარი განმეორებით გადავცე ტრიბუნალს. ამის უფლებას თუ მომცემენ, ლუტცენის ციხედარბაზში თავშეყრილ რაზმს დავშლი.

ლუთერი ხმისამოუღებლად, გაჯავრებით ალაგებდა მაგიდაზე დაყრილ ქაღალდებს. აბრაზებდა ამ კაცის სიკერპე და დამოუკიდებლობა. შემდეგ ჰკითხა, — რას მოითხოვ დრეზდენის ტრიბუნალისაგანო.

— მოვითხოვ იუნკერის დასჯას კანონის მიხედვით, მოვითხოვ, რომ გამომიკვებონ და ისე დამიბრუნონ ჩემი ცხენები და კიდევ ის ზარალი ამინაზღაურონ, რაც მე და მიულბერგთან დაცემულ ჩემს მსახურს თავიანთი ძალადობით მოგვაყენეს.

— ზარალის ანაზღაურება! — შეჰყვირა ლუთერმა, — ებრაელებსა და ქრისტიანებს უამრავი ფული გამოსძალე თამასუქებისა თუ გირაოს სახით, რათა შენი უსამართლო საზღაურისთვის მოგეხმარა, ნუთუ შენ ამ თანხის გამონახვასაც შეეცდები, საქმე რომ ძიებამდე მივიდეს?

— ღმერთმა დამიფაროს! — მიუგო კოლჰაასმა. — არც სახლ-კარს ვითხოვ და არც ქონებას, არც მეუღლის დაკრძალვის ხარჯებს. ჰერზეს მოხუცი დედა წარმოგვიდგენს ვაჟიშვილის მკურნალობის ხარჯებსა და იმ ნივთების სიას, რაც მისმა შვილმა ტრონკენბურგში დატოვა. ხოლო ის ზარალი, რაც მე შავრა ცხენების იუნკერის თაელაში დატოვებამ მომა-

ყენა, მთავრობამ ამ საქმის მცოდნე ხალხს შეაფასებინოს.

— გააფთრებულო, შეუცნობელო და საშინელო ადამიანო! — კვლავ შესძახა ლუთერმა და კოლჰაასს დაჟინებით შეაცქერდა. — მას შემდეგ, რაც შენმა ხმალმა ასე სასტიკად გადაუხადა იუნკერს სამაგიერო, რაღა გაიძულებს ეცადო, რომ ახლა სასამართლომ დასაჯოს იგი, ასე სასტიკად ხომ მას აღარავინ დასჯის?

— ღირსპატივსაცემო ბატონო! — მიუგო კოლჰაასმა და ღაწვებზე ცრემლი ჩამოუგორდა, — ეს ამბავი მე ცოლის სიცოცხლის ფასად დამიჯდა. კოლჰაასს სურს ქვეყანას დაუმტკიცოს, რომ იგი სამართლიანი საქმისათვის იბრძვის. მხოლოდ ამაში დამიჭირეთ მხარი და დაე, სასამართლომ თქვას თავის სათქმელი. სხვა ყველაფერში, რა სადავო საკითხებიც უნდა იყოს, თქვენ დაგემორჩილებით.

— დაფიქრდი, რას მოითხოვ — უთხრა ლუთერმა, — თუ ხალხის ლაპარაკს დავუჯერებთ, მაშინ მართალი ყოფილხარ. თუ ხელმწიფეს ამ დავის მოგვარებას მანამდე სთხოვდი, სანამ ჯავრის თვითნებურად ამოყრას დაიწყებდი, ეჭვი არ მეპარება, ყოველ საკითხში იგი შენ დაგიჭერდა მხარს. განა უკეთესი არ იქნებოდა, ყველაფერი კარგად აგეწონ-დაგეწონა და ჩვენი მაცხოვრის სახელით შეგენდო იუნკერისთვის, გამხდარი და ჭანცგაწყვეტილი ცხენები შინ წამოგეყვანა და კოლჰაასენბრუკის საკუთარ თავლაში ისინი შენი ხელით გამოგეკვება?

— შეიძლება, — მიუგო კოლჰაასმა და სარკმელს მიადგა. — შეიძლება მართლაც უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ, შეიძლება არც ყოფილიყო უკეთესი! წინდაწინ რომ მცოდნოდა, თუ რა უბედურებას მომიტანდა ჩემი მოთხოვნა და ეს ამბავი ჩემს მეუღლეს შეიწირავდა, შეიძლება ისე მოვქცეულიყავი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ღირსპატივსაცემო ბატონო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქერს არ დავიშურებდი, მაგრამ რაკი ეს ამბავი ასე ძვირად დამიჯდა, ჩემი აზრით, ახლა ყველაფერი თავთავისი გზით უნდა წავიდეს: დაე, სასამართლომ განმსაჯოს, იუნკერმა კი ცხენები ძველებურად გამისუქოს.

ფიქრებში ჩაძირული ლუთერი კვლავ ქაღალდებს მიუბრუნდა; შემდეგ კოლჰაასს განუცხადა: კარგი, შენი საქმის თა-

ობაზე კურფიურსტს მოველაპარაკები, მანამდე მშვიდად იყავი ლუტცენის ციხე-დარბაზში. ხელმწიფის გადაწყვეტილებას გზაზე გაკრული განცხადება გამცნობსო.

— თუმცა, არ ვიცი, — განაგრძო ლუთერმა, როცა კოლჰაასმა ხელზე მთხვევა დაუპირა, — არ ვიცი, გადმოგხედავს თუ არა კურფიურსტი მოწყალე თვალით, რადგან, გავიგე, ჯარი შეუკრებია და ლუტცენის ციხე-დარბაზზე იერიშის მიტანას აპირებს. ამიტომ, როგორც გითხარი, ჩემს ცდას შეიძლება შედეგი არ მოჰყვეს.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ლუთერი ფეხზე წამოდგა და კოლჰაასს აგრძნობინა, შენთან ლაპარაკი დავამთავრეო. კოლჰაასმა მიუგო, ამ საკითხზე თქვენმა თავმდებობამ სრულიად დამამშვიდაო. ლუთერმა ხელი გამოსამშვიდობებლად ასწია, მაგრამ კოლჰაასმა უცებ მუხლი მოიყარა მის წინაშე და ლუთერს მიმართა:

— გულში კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს დარჩენილი. საომარი საქმიანობის გამო სამების დღეს ჩვეულებისამებრ საზიარებლად ვეღარ მოვახერხე ეკლესიაში მისელა დ კეთილს ხომ არ ინებებდით, რომ წინასწარი მომზადების გარეშე აღსარება მათქმევინოთ და მაზიაროთ?

ლუთერი მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე კოლჰაასს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— კარგი, გათქმევინებ! მაგრამ ზიარება რომ გინდა, ისიც უნდა იცოდე, რომ ჩვენმა მეუფემ შეუნდო თავის მტრებს, განა არა გსურს შენც შეუნდო იუნკერს, რომელმაც შეურაცხგყო, წახვიდე ტრონკენბურგში, წამოიყვანო იქიდან შენი ცხენები და შინ, კოლჰაასენბრუკში დაბრუნდე?

— ღირსპატივსაცემო ბატონო ჩემო, — წამოიწყო კოლჰაასმა, ლუთერის ხელს წაეტანა და გაწითლდა...

— ჰო, მითხარი.

— არც ჩვენს მეუფეს შეუნდვია ყველა მტრისათვის. დავიწყებ ყოველგვარ წყენას ორიენ ბატონისას, ციხისთავისა და მოურავისას, ბატონებისა ჰინცისა და კუნცისას, მაგრამ იუნკერს, თუ შეძელი, მაინც თავით ხელით გამოვაკეთებინებ ცხენებს მანამდე, სანამ ძველებურად არ დასუქდებიან.

ამ სიტყვების გაგონებაზე ლუთერმა ზურგი შეაქცია კოლჰაასს და ზანზალაკს ჩამოჰკრა. როცა წინკარში მსახური შე-

მოვიდა და სანთელი შემოიტანა, გულჩათუთქული კოლჰაასი ფეხზე წამოდგა, ცრემლები შეიმშრალა. მსახურმა ამაოდ დაუწყო ჯაჯგური ურდულგაყრილ კარს, ამასობაში ლუთერი კვლავ ხელნაწერებს ჩაუჯდა; სხვა რაღა უნდა ექნა კოლჰაასს, კართან მივიდა და ურდული გასწია. ლუთერმა ცერად გახედა უცხო სტუმარს და მსახურს მიაძახა:

— მიუნათე!

ცოტა არ იყოს დაბნეულმა მსახურმა კედლიდან სახლის გასაღები ჩამოიღო და იმის მოლოდინში, რომ გარეთ ჯერ სტუმარი გავიდოდა, ისევ უკან დაიხია. კოლჰაასი უხერხულად ჰმუჭნიდა ხელში ქუდს, მერე გაბედა და ლუთერს მიმართა:

— ღირსპატივსაცემო ბატონო, მაშ არ შეიძლება მაზიაროთ, არ შეიძლება ველოდო შეწყალებას, რასაც მთელი არსებით გთხოვდით?

— მაცხოვრისგან — არა, ხელმწიფისაგან — კი; ხომ შეგპირდი გიშუამდგომლებ-მეთქი, და დაპირებას შევასრულებ!— მოკლედ მოუჭრა ლუთერმა და მსახურს ანიშნა დაუყოვნებლივ გააცილეო. კოლჰასს წამებულს მიუგავდა სახე, ორივე ხელი გულზე დაიკრიფა, მსახურს კიბეზე ჩაჰყვა და გარეთ გავიდა.

ლუთერმა მეორე დღესვე გაუგზავნა წერილი საქსონიის კურფიურსტს, მკაცრად საყვედურობდა მისი ბრწყინვალების კარზე მყოფ ბატონ ტრონკებს — დარბაზთუხუცესს ჰინცსა და მეღვინეთუხუცეს კუნცს, რომლებმაც კოლჰაასის საჩივარი მაუდქვეშ ამოდეს. ეს ამბავი საყოველთაოდ იყო ცნობილი, ამასთანავე ლუთერი ჩვეული პირდაპირობით უცხადებდა, ამჟამად შექმნილ სამწუხარო ვითარებაში დალალის წინადადების მიღებისა და მისი საქმის ხელახლა გარჩევის გარდა სხვა გზა აღარ ჩანსო. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ის არის, — შენიშნავდა ლუთერი, რომ საზოგადოება მის მხარეზეა, კოლჰაასის მიერ სამჯერ გადამწვარ ვიტენბერგშიც კი აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც მის მოქმედებას ამართლებს. თუ მის თხოვნას უარყოფთ, მაშინ დალალი უეჭველად ფეხზე დააყენებს მთელ ხალხს, ხოლო ხალხის რისხვას სახელმწიფოს ძალაუფლებაც ვერ აღუდგება წინ. ბოლოს ლუთერი ასკვნიდა — ამ განსაკუთრებული მდგომარეობის ჟამს, როცა მოქალაქემ იარაღს მოკიდა ხელი, შეუძლებლად ნუ მიიჩნევთ

მასთან მოლაპარაკებას, რადგან მის წინააღმდეგ ჩადენილმა უსამართლობამ იგი რამდენადმე მართლაც კანონგარეშე ადამიანად აქცია, ერთი სიტყვით, ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, უკეთესია მას ისე მიუდგეთ, როგორც ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ უცხო ძალას, რაიც იგი ნაწილობრივ მართლაც არის, და არა როგორც მეამბოხეს, რომელიც თქვენს ტახტს წინ აღდგომიაო.

კურფიურსტმა ეს წერილი მაშინ მიიღო, როცა მასთან იმყოფებოდნენ რაიხის გენერალისიმუსი პრინცი ქრისტიერნ ფონ მაისენი — ბიძა მიულბერგთან დამარცხებული და ჭრილობების გამო ჯერ კიდევ ლოგინს მიჯაჭვული პრინც ფრიდრიხ ფონ მაისენისა, ტრიბუნალის გროსკანცლერი გრაფი ვრედე, გრაფი კალჰაიმი — სახელმწიფო კანცელარიის პრეზიდენტი და ორივე ბატონი, ჰინც და კუნც ტრონკები — დარბაზთუხუცესი და მეღვინეთუხუცესი — კურფიურსტის ახალგაზრდობის მეგობრები. პირველი სიტყვა დარბაზთუხუცესმა კუნცმა ითხოვა, იგი საიდუმლო მრჩევლის უფლებით სარგებლობდა, კურფიურსტის ფარულ მიმოწერას განაგებდა და შეეძლო მისი სახელი და ბეჭედი გამოეყენებინა. მან ვრცლად განმარტა — არავითარ შემთხვევაში თვითნებურად არ გადავმალავდი დალალის საჩივარს, რომელიც მან იუნკერის — ჩემი ბიძაშვილის წინააღმდეგ ტრიბუნალში აღძრა, ყალბ ჩვენებებს რომ არ შეეცდინეო, სადაც ეწერა, ეს საჩივარი სრულიად უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი ცილისწამება არისო, — და საქმის ფაქტიურ განხილვას შეუდგა. მან თქვა: ღვთისა თუ ადამიანის დაწესებული კანონები დალალს უფლებას არ აძლევდა ამ შეცდომის გამო იუნკერისთვის სამაგიერო ასე ულმობლად გადაეხადა; წარმოიდგინეთ, რა მშვენიერ გვირგვინს დავადგამთ თავზე ღვთისაგან შერისხულ კოლჰაასს, თუკი მასთან, როგორც უფლებამოსილ მხედართმთავართან დავიწყებთ მოლაპარაკებას. ერთი სიტყვით, ბატონი კუნცი ვერ ეგუებოდა იმ შეურაცხყოფას, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიაყენებდა კურფიურსტის წმიდათაწმიდა პიროვნებას. ბოლოს ბატონი კუნცი ისე გაიტაცა საკუთარმა ენამზეობამ, ისიც კი განაცხადა — უმჯობესია გაცოფებული ჯანყისთავის მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ და ჩემი ბიძაშვილი დალალის ცხენების გამოსაკვებად კოლჰაასენბრუკში გავგზავნოთ, ვიდრე დოქტორ

ლუთერის წინადადება მივიღოთო. ტრიბუნალის გროსკანცლერი გრაფი ვრედე მას სანახევროდ მიუბრუნდა და სინანულით შენიშნა — ბატონის დიდების მიმართ ესოდენ გულთბილი მზრუნველობა, რაიც ამ მართლაც და საჭოჭმანო საქმის თაობაზე ახლა გამოთქვით, პირველივე საჭიროების დროს რატომ არ გამოამჟღავნეთო. მან გაუზიარა კურფიურსტს თავისი მოსაზრება — ხელისუფლებას არ შეჰფერის უსამართლო ღონისძიებას მხარი დაუჭიროსო და მრავალმნიშვნელოვნად ისიც ახსენა, — დალალთან ამჟამად უამრავი ხალხი იყრის თავს და ამგვარად ბოროტმოქმედება უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდესო. ხელისუფლებამ თვალი უნდა დახუჭოს ჩადენილ დანაშაულზე და ამ საშინელი მდგომარეობიდან თავის დაღწევა მხოლოდ სამართლიანი გადაწყვეტილების დაუყოვნებელი მიღებით უნდა სცადოსო.

პრინცმა ქრისტიერნ ფონ მაისენმა, რომელსაც კურფიურსტმა ჰკითხა, ამ საკითხზე თქვენ რას იტყოდითო, გროსკანცლერს თავი მოწიწებით დაუკრა და განაცხადა: ეს-ესაა გამოთქმული თვალსაზრისი ქედს მახრევინებს გროსკანცლერის წინაშე, მაგრამ როცა იგი კოლჰაასის უფლებებს იცავდა, ნუთუ არ გაითვალისწინა, რომ ვიტენბერგი, ლაიფციგი, და საერთოდ დალალისაგან აწიოკებული მთელი მხარე გაწბილებული დარჩება, თუკი არ დავაკმაყოფილებთ მოქალაქეების სამართლიან მოთხოვნას; ჩვენ ან ზარალი უნდა ავუნაზღაუროთ მათ, ან არადა, ბოროტმოქმედი კანონის მიხედვით დავსაჯოთ. ეს ადამიანი სახელმწიფო წესრიგის საშიში დამრღვევია, ამიტომ, მე მხარს ვუჭერ დარბაზთუხუცესის მოსაზრებას — ჩემის აზრით საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება,— თავი უნდა მოვუყაროთ საკმარისი რაოდენობის ჯარს და ლუტცენში გამაგრებული კოლჰაასი ან შევიპყროთ, ან გავანადგუროთ.

დარბაზთუხუცესმა კედელთან მიდგმული ორი სკამი მოიტანა, კურფიურსტსა და პრინც ფონ მაისენს მოკრძალებით შესთავაზა, — დაბრძანდითო, და განაცხადა: ძალზე მახარებს, რომ ესოდენ პატივცემული, კეთილგონიერი და სამართლიანი ადამიანი ეთანხმება ჩემს აზრს, ამ საჭოჭმანო საქმის მოსაგვარებლად რომ გამოვთქვიო. პრინცმა დარბაზთუხუცესს სკამი გამოართვა, მაგრამ არ დამჯდარა, კუნცი ათვალწუნებით შეათ-

ვალიერა და მიუგო: სასიხარულო არაფერი გაქვთ, რადგან ამ საქმეში კურფიურსტის სახელი ბოროტად გამოგიყენებიათ, რისთვისაც დაპატიმრებასა და გასამართლებას იმსახურებთო. მართალია, დროდადრო იძულებული ვხდებით სამართლიანობას ზურგი ვაქციოთ და მივჭმალოთ ის ბოროტმოქმედებები, რომლებიც ერთი მეორის მიზეზით იშვნენ, თან ისე მომრავლდნენ, რომ მათ სამართალიც ვეღარ განსჯის, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დავხუჭავთ თვალს პირველ დანაშაულზე, რომელმაც ყველა დანარჩენი გამოიწვია. ყველა ის დანაშაული, რაც დალალმა ჩაიდინა, სახელმწიფოს უფლებას მისცემდა სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა მისთვის, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისი საქმე სამართლიანია და ხმალი, ახლა რომ უპყრია ხელთ, თქვენ თვითონ ააღებინეთ.

ეს სიტყვები რომ მოისმინა, სახტად დარჩენილმა დარბაზთუხუცესმა კურფიურსტს შეხედა. სახეალეწილი კურფიურსტი სარკმელთან იდგა. უხერხული სიჩუმის შემდეგ, გრაფმა კალჰაიმმა განაცხადა, ასე თუ გავაგრძელეთ, ამ მოჯადოებულ წრეს თავს ვერასოდეს დავაღწევთო. ამავე საფუძველზე სამართალში შეიძლება ჩემი ძმისწულიც, პრინცი ფრიდრიხიც მივცეთო, რადგან მანაც თვითნებურად წამოიწყო კოლჰაასის წინააღმდეგ შეტევა, მიცემული მითითებები არაერთხელ დაარღვია, თანაც ისე უღმერთოდ დაარღვია, რომ პრინციც იმათ რიცხვს უნდა მიეკუთვნოთ, ვისაც პასუხიც მოეთხოვება და ვისაც მიულბერგთან დამარცხებისათვის კურფიურსტი უნდა გაუსწორდესო.

როცა დაბნეული კურფიურსტი მეღვინეთუხუცესის მაგიდას მიუახლოვდა, აზრი ახლა ბატონმა ჰინც ფონ ტრონკამ გამოთქვა: ვერ გამიგია, რატომ ვერ გადაუწყვეტიათ ეს საკითხი სახელმწიფო საქმეებში გამოცდილ და ბრძენ ადამიანებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დალალმა პირობა დადო დაშალოს ქვეყნის ამწიოკებელი ბანდა, თუკი დრეზდენში თავისუფლად ჩასვლის უფლებას მისცემენ და მის საქმეს ხელმეორედ გაარჩევენ. ეს რასაკვირველია, იმას არ გულისხმობს, რომ დანაშაულებრივი და თვითნებური შურისძიება ეპატიოს — ეს ხომ ორი სხვადასხვა სამართლებრივი ცნებაა, რომელიც, როგორც ჩანს, ვერც დოქტორ ლუთერს განუსხვავებია ერთმანეთისაგან და ვერც სახელმწიფო საბჭოს.

— თუკი, — განაგრძო მან და თითი ცხვირზე მიიდო, — დრეზდენის ტრიბუნალი შავრა ცხენების საკითხს კოლჰაასის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ქალაქებისათვის ცეცხლის წაკიდებისა და ძარცვის გამო დალალის ციხეში ჩაგდებას ხელს მაინც არაფერი შეგიშლის — ეს იქნება საქმის სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ შემობრუნება, რომელშიც ორივე მხარის მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული და რომელსაც ყველა მოიწონებს, ჩვენი თანამედროვენიც და შთამომავლობაც.

პრინცმა და გროსკანცლერმა ბატონი ჰინცი ათვალწუნებით შეათვალიერეს და საკითხის განხილვაც თითქოს ამით დასრულდა. კურფიურსტმა განაცხადა, აქ გამოთქმულ სხვადასხვა თვალსაზრისს სახელმწიფო საბჭოს შემდეგ სხდომაზე შევაფასებთო. როგორც ჩანდა, პრინცის მიერ გამოთქმულმა აზრმა გულჩვილ კურფიურსტს შეაცვლევინა თავისი განზრახვა, და ამ უკანასკნელმაც კოლჰაასის წინააღმდეგ მომზადებული გალაშქრება გადათქვა. ასე იყო თუ ისე, კურფიურსტმა გროსკანცლერ გრაფ ვრედეს სთხოვა დარჩიო, რადგან მისი აზრი უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია. გრაფმა ვრედემ კურფიურსტს წერილი უჩვენა, რომელიც იტყობინებოდა, დალალის ძალები ოთხას კაცს ითვლისო და დარბაზთუხუცესის უღირსი საქციელის გამო ეს რიცხვი მოკლე ხანში შეიძლება ორჯერ და სამჯერ გაიზარდოსო. ამის გამო კურფიურსტმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ მიეღო დოქტორ ლუთერის რჩევა და კოლჰაასის საქმე გრაფ ვრედეს გადასცა. რამდენიმე დღის შემდეგ გამოაქვეყნეს ბრძანება, რომლის ძირითადი შინაარსი ასეთი იყო:

„ჩვენ, საქსონიის კურფიურსტი და სხვანი და სხვანი, ამით ვაცხადებთ, რომ დიდად ვაფასებთ დოქტორ ლუთერის შუამდგომლობას, რომელსაც იგი უწევს მიხაელ კოლჰაასს, ბრანდენბურგის საკურფიურსტოს დალალს და ამ უკანასკნელს დრეზდენში ჩამოსვლისა და სარჩელის ხელახლა აღძვრის უფლებას ვაძლევთ იმ პირობებით, თუკი იგი სამი დღის ვადაში იარაღს დაყრის. იმ შემთხვევაში, თუ დრეზდენის ტრიბუნალი შავრა ცხენების თაობაზე მის სარჩელს უსამართლოდ მიიჩნევს, თვითნებობისა და საკუთარი სამართალის შემოღებისათვის კოლჰაასი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება. ხო-

ლო სარჩელის კანონიერების შემთხვევაში დალალსა და მის ბანდას სრულ ამნისტიას მივანიჭებთ საქსონიაში ჩადენილი ძალმომრეობის მიუხედავად".

როგორც კი დოქტორ ლუთერისგან ბრძანების ერთი პირი მიიღო (ეს ბრძანება ყველა ქალაქში იყო გამოკრული), კოლჰაასმა მაშინვე დაშალა თავისი რაზმი, მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება საკმაოდ მკაცრ პირობებს უყენებდა დალალს. კოლჰაასმა თითოეული რაზმელი უხვად დაასაჩუქრა, მადლობა გადაუხადა, მომავლისათვის რჩევა-დარიგება მისცა და რაზმიც დაშალა. ამას გარდა, შემორჩენილი ოქრო, იარაღი თუ ჰურჭლეულობა დალალმა კურფიურსტის საკუთრებად გამოაცხადა და ეს ყოველივე ლუტცენის სასამართლოს გადასცა; შემდეგ ვალდმანს კოლჰაასენბრუკში ამტმანთან წერილი გაატანა, რომლითაც სთხოვდა, თუ შეიძლება ჩემი კარმიდამოს გამოსყიდვის ნება მომეცით, ხოლო შტერნბალდი შვერინში ბავშვების ჩამოსაყვანად გაგზავნა, უნდოდა, შვილები ახლოს ჰყოლოდა. ამ საქმეებს რომ მორჩა, დალალმა სამოსი გამოიცვალა, ლუტცენის ციხე-დარბაზი მიატოვა, ფასიან ქაღალდებად გადახურდავებული მცირეოდენი ქონება წაიღო და დრეზდენს მიაშურა.

გარიჟრაჟზე, ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, კოლჰაასი პირნას გარეუბანს მიადგა და თავისი სახლის კარზე დააკაკუნა. ეს სამფლობელო კოლჰაასს ამტმანის პატიოსნების წყალობით შემორჩა. კარი მოხუცმა მსახურმა თომასმა გაუღო. გაოცებულ მსახურს ბატონმა უთხრა, პრინც ფონ მაისენთან წადი ქალაქში და მოახსენე, დალალი მიხაელ კოლჰაასი დრეზდენში ჩამოვიდა-თქო. პრინცმა ფონ მაისენმა გადაწყვიტა, თვითონვე დარწმუნებულიყო მსახურის სიტყვების სისწორეში და რაინდების ამალითურთ სასწრაფოდ გაემართა კოლჰაასის სახლისკენ. ამასობაში პირნას გარეუბანი ხალხით გაიჭედა. როგორც კი ხმა დაირხა, სიკვდილის ანგელოზი ჩამოვიდა, რომელიც ხალხის მჩაგვრელებს ცეცხლითა და მახვილით უსწორდებაო, მთელი დრეზდენი და მისი შემოგარენი ფეხზე დადგა. ცნობისმოყვარეთა მოძალებისაგან თავდასაცავად საჭირო გახდა ეზო ურდულით ჩაეკეტათ, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა: ბიჭები გალავანზეც ავიდნენ, რათა ფანჯრებში მაინც დაენახათ მკვლელი და ცეცხლისწამკიდებელი, რომელიც ამ

დროს საუზმეს მისჯდომოდა. პრინცის ამალამ გზა გაიკაფა, სახლში შევიდა და მაგიდასთან მიმდგარ ნახევრადგახდილ კაცს ჰკითხა, ნამდვილად დალალი კოლჰაასი ხარ თუ არაო. კოლჰაასმა სარტყელზე დამაგრებული საფულედან პირადობის დამადასტურებელი ქაღალდები ამოიღო და პრინცს მოწიწებით გაუწოდა, „დიახო“ დაუდასტურა და განაგრძო: რაზმი დავშალე და კურფიურსტის ნებართვით დრეზდენში გეახელით, რომ სასამართლოში იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას ვუჩივლო ჩემი ცხენების თაობაზეო.

პრინცმა ერთბაშად აათვალ-ჩაათვალიერა კოლჰაასი, შემდეგ ქაღალდები გადაიკითხა და ჰკითხა, ამიხსენით რას ნიშნავს ლუტცენის სასამართლოს მიერ გაცემული საბუთი, რაც თქვენს საქაღალდეში ვნახე, იმის თაობაზე, რომ იქ ინახება კურფიურსტის სახელზე ჩაბარებული ძვირფასეულობაო. ამას გარდა, ამ კაცის უკეთ შესაცნობად პრინცმა სხვა კითხვებიც მისცა — ბავშვებისა და ქონების თაობაზე, იმითაც დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდა შემდგომ კოლჰაასი ცხოვრებას და რაკი დარწმუნდა, საშიში აღარაფერიაო, საფულე დაუბრუნა და უთხრა, სასამართლო პროცესი მალე დაიწყება, მანამდე კი უშუალოდ გროსკანცლერს — გრაფ ვრედეს უნდა მიმართოო. ეს რომ თქვა, პრინცი სარკმელს მიადგა, სახლის წინ შეკრებილ ხალხს თვალებდაჭყეტილი შეაცქერდა და კვლავ კოლჰაასს მიმართა:

— პირველ ხანებში, როგორც ჩანს, გუშაგები დაგჭირდება, რომ სახლშიც დაგიცვან და გარეთაც.

კოლჰაასი შეკრთა, თვალები ძირს დახარა, კრინტიც არ დაუძრავს. პრინცი სარკმელს მოშორდა და განაგრძო:

— რაც მოხდება, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალე.

ეს რომ თქვა, კარისკენ გაემართა და გასვლა დააპირა. კოლჰაასი გონს მოეგო:

— როგორც გენებოთ, მოწყალეო ბატონო! მომეცით სიტყვა, რომ გუშაგებს მაშინ დავითხოვ, როცა კი მოვისურვებ.

ამას რაღა თქმა უნდაო, მიუგო პრინცმა. ოთახში შემოსულ სამ ლანდსკნეხტს პრინცმა განუმარტა — ეს კაცი, ვის სახლშიც თქვენ გტოვებთ, თავისუფალია, თქვენ მხოლოდ ხალხისგან უნდა დაიცვათ და ქალაქში გასვლის დროს თან

ეახლოთო, მერე ხელის დაქნევით კოლჰაასს გაშოემშვიდობა და წავიდა.

შუადღე იქნებოდა, როცა კოლჰაასი სამი ლანდსკნეხტის თანხლებითა და უამრავი ხალხით გარშემორტყმული გროსკანცლერ გრაფ ვრედეს სანახავად გაემართა. ხალხი პოლიციის მიერ იყო გაფრთხილებული და დალალს არავინ აწუხებდა. გროსკანცლერმა კოლჰაასი თავაზიანად მიიღო, მთელი ორი საათი ესაუბრა, ყოველივე დაწვრილებით მოაყოლინა და სარჩელის შესადგენად სასამართლოში, ქალაქის სახელგანთქმულ ვექილთან გაგზავნა, კოლჰაასი დაუყოვნებლივ გაეშურა ვექილთან, მასთან ერთად ხელმეორედ შეადგინა სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე უარყოფილი სარჩელი, სადაც მოითხოვდა კანონის მიხედვით იუნკერის დასჯას, ცხენების ძველებურად გასუქებას და როგორც კოლჰაასის, ისე მიულბერგთან დაღუპული ჰერზეს მოხუცი დედისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, შემდეგ გარსშემოხვეული ხალხის თანხლებით ისევ შინ დაბრუნდა და გადაწყვიტა, სახლიდან მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გასულიყო.

ამასობაში ვიტენბერგში დაკავებული იუნკერიც გაათავისუფლეს. როგორც კი მან წითელი ქარი მოიშორა, ფეხზე რომ ჰქონდა, ვენცელ ფონ ტრონკა კოლჰაასის საჩივრის გამო სასამართლოში გამოიძახეს. დარბაზთუხუცესი და მეღვინეთუხუცესი მათ სახლში ჩამომხდარ ბიძაშვილს მძულვარებითა და გაბოროტებით შეხვდნენ. არ დააკლეს სალანძღავი სიტყვები — გლახაკი და ავაზაკი, ოჯახის თავის მომჭრელი და შემარცხვენელი უწოდეს, გული გაუხეთქეს — ამ პროცესის მოგების იმედი ნუ გაქვსო და არწმუნებდნენ, ჯობს ახლავე გაემზადო და ქვეყნის სასეიროდ იმ ჩარჩის ცხენების დასუქებას შეუდგე, ამ ამბავს მაინც ვერ ასცდებიო. მიკვირებულმა იუნკერმა სიტყვა ძლივს დაძრა და აკანკალებული ხმით განაცხადა, ამ ქვეყანაზე ჩემზე უბედური კაცი არ მეგულებაო. იფიცებოდა, მთელი ეს ბედუკუღმართი ამბავი, რომელმაც ამ დღეში ჩამაგდო, ყურმოკვრით თუ ვიცი და მთელი დანაშაული ციხისთავისა და მამასახლისის კისერზეა, რომლებმაც ჩემს უკითხავად ცხენები ალოობაზე გამოიყვანეს, უღმერთოდ ამუშავეს თავიანთ მინდვრებზე და დაღუპვის პირამდე მიიყვანესო. ეს რომ თქვა, სკამზე დაეშვა და ბიძაშვილებს შეეხვეწა,

უბედურებას ისედაც ძლივს დაეაღწიე თავი და ლანძღვა-გინებით ნუ ამიკლებთო. მეორე დღეს, თავიანთი ბიძაშვილის თხოვნით ბატონებმა ჰინცმა და კუნცმა, რომლებსაც გადამწყვარი ტრონკენბურგის მიდამოებში მამულები ჰქონდათ, თავიანთ მოურავსა და იჯარადარს წერილი გაუგზავნეს — ან კი სხვა რა გზა დარჩენოდათ — გაგვაგებინეთ, იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ შავრა ცხენები სად გადაიკარგნენო. მაგრამ ამ ერთიანად გაპარტახებულ მხარეში მხოლოდ იმის გაგება მოახერხეს, რომ კოლჰაასმა ერთ მსახურს ცემა-ტყეპით გამოაყვანინა ცეცხლმოკიდებული თავლიდან ის შავრა ცხენებიო. ნეკრისის ქარებისაგან გაწამებული მოხუცი შინამსახური ქალი, რომელმაც მაისენში გაქცევით უშველა თავს, კუნცების წერილს დაბეჯითებით პასუხობდა — იმ საშინელი ღამის შემდეგ მსახურმა ცხენები ბრანდენბურგის საზღვრებისკენ წაიყვანაო. მაგრამ ბრანდენბურგიდან, რამდენი არ იძიეს, ვეღარაფერი გაიგეს. როგორც ჩანდა, ეს ცნობა მცდარი იყო, რადგან იუნკერს ბრანდენბურგისა და მის ახლო-მახლო მიდამოებიდან მსახური არ ჰყავდა. რამდენიმე დრეზდენელმა, რომლებიც ტრონკენბურგის გადაწვიდან მესამე თუ მეოთხე დღეს ვილსდრუფში ყოფილან, განაცხადეს — იმ დღეებში ერთი მსახური ვნახეთ, რომელმაც თოკით ორი ცხენი მოიყვანა და რაკი ეს ცხენები ისე გასაცოდავებულები იყვნენ, რომ სიარული აღარ შეეძლოთ, ისინი ერთ მეცხვარეს დაუტოვა, რომელმაც მათი მოვლა-პატრონობა იკისრაო. მაგრამ ვილდსრუფელები ამტკიცებდნენ, მეცხვარემ ცხენები გაყიდა, ხოლო ვის მიყიდა, ეს უკვე აღარ ვიცითო. ამასთანავე ასეთი ხმაც გავრცელდა, — ვერაფრით დაადგინეს, ვინ დაყარა ეს ხმები — ცხენები რა ხანია საიქიოს არიან და მათი ძვლები ვილსდრუფის სანაგვეშია ჩაფლულიო. იოლი გასაგებია, ჰინცსა და კუნცს საქმის ასეთი შემობრუნება უფრო აძლევდათ ხელს, რადგან თუ ცხენებს მიაგნებდნენ, ბატონები იძულებული გახდებოდნენ ისინი საკუთარ თავლაში მოესუქებინათ, — მათ ბიძაშვილს ხომ თავლა აღარ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ კუნციც და ჰინციც ერთხმად გაიძახოდნენ, ცხენები დაიღუპნენ, ამ ამბავს წყალი არ გაუვაო. ბატონმა ვენცელ ფონ ტრონკამ კი, როგორც ტრონკენბურგის მამულების მემკვიდრემ და სასამართლოს უფლებით აღჭურვილმა პირმა,

ვილსდრუფის სასამართლოს წერილი გაუგზავნა, სადაც დაწვრილებით აღწერა ცხენების გარეგნობა და სასამართლოს ამცნო, ცხენები მე მყავდა ჩაბარებული და უბედური შემთხვევის წყალობით დამეკარგაო. შემდგომ იგი ითხოვდა, მათ მოძებნაში დამეხმარეთ და ცხენების ახლანდელ მფლობელს გაწეულ ხარჯებს გულუხვად ავუნაზღაურებ, თუკი ცხენებს დრეზდენში, დარბაზთუხუცეს კუნცის თავლაში მოაყვანინებთო.

რამდენიმე დღის შემდეგ დრეზდენში მართლაც გამოჩნდა ვიღაც კაცი, რომელსაც ვილსდრუფის მწყემსისგან შავრა ცხენები ეყიდა. გაძვალტყავებული ცხენები ძლივს მიათრევდნენ ფეხებს. პატრონს ისინი ფორნის ბოლოზე ჰყავდა მიბმული და ცხენები ბაზრისაკენ მიჰყავდა. ბატონი ვენცელის, უფრო კი კეთილშობილი კოლჰაასის საუბედუროდ, ეს კაცი დიობელნელი პირუტყვის გამტყავებელი აღმოჩნდა.

როგორც კი ბატონმა ვენცელმა და მისმა ბიძაშვილმა კუნცმა გაიგეს, ტრონკენბურგის ხანძარს გადარჩენილი ცხენები ვიღაცას დრეზდენში ჩამოუყვანიაო, რამდენიმე მსახური გაიყოლეს და მოედნისკენ გაემართნენ იმ იმედით, რომ თუკი ცხენები კოლჰაასისეული აღმოჩნდებოდა, გამტყავებლისათვის დანახარჯი აენაზღაურებინათ და შავრა ცხენები შინ წამოეყვანათ. მაგრამ რაოდენ შეშფოთდნენ რაინდები, როცა ბაზრის მოედანს მიაღწიეს. მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. სანახაობას დახარბებული მოსახლეობა ფორანზე გამობმულ ცხენებს შემოხვეოდა და ყურისწამღებ ხარხარში ერთმანეთს გასძახოდა — ეს ცხენები, რომელთა გამო სახელმწიფო შეიძრა, გამტყავებელს ჩავარდნია ხელშიო.

იუნკერი როგორც იქნა ახლოს მივიდა, ფორანს შემოუარა, გალეულ პირუტყვებს დააკვირდა და დარცხვენილმა თქვა:

— არა, ეს ის ცხენები არაა, მე რომ კოლჰაასს გამოვართვიო.

მაგრამ ბატონმა კუნცმა, კურფიურსტის დარბაზთუხუცესმა, ისეთი გაავებით შეხედა ბიძაშვილს, ლამის იყო ზურგზე ბოლი აადინა, შემდეგ ორდენებისა და საპატიო ჯაჭვის გამოსაჩენად წამოსასხამი გადაიწია, გამტყავებელთან მივიდა და ჰკითხა — ის ცხენებია, რომლებიც ვილსდრუფელმა მეცხვა-

რემ მიითვისა და რომლებსაც ახლა სასამართლოს მეშვეობით მათი პატრონი, იუნკერ ფონ ტრონკა დაეძებსო?

პირუტყვის გამტყავებელს ხელში წყლით სავსე ვედრო ეჭირა და ფორანში შებმულ კარგად ნაპატივებ ცხენს ასმევდა.

— ეს შავრები? — როგორც იქნა ამოღერღა კაცმა, ვედრო ძირს დადგა, ცხენს აღვირი წაჰყარა და განაგრძო: — ესენი, ფორანზე რომ არიან მიბმული, ჰაინიხენელმა მეღორემ მომყიდა, ხოლო თვითონ საიდან ჰყავდა, ვილსდრუფელი მეცხვარისაგან თუ სხვა კაცისაგან, ეგ უკვე აღარ ვიცი. ვილსდრუფის სასამართლოს შიკრიკმა ბრძანება გადმომცა, — განაგრძო მან და ვედრო ხელნას და მუხლს შუა მოიქცია, — სადაც ეწერა, ცხენები დრეზდენში, ვინმე ფონ ტრონკასთან მიიყვანეო, მაგრამ იმ კაცს, ვისაც შავრები უნდა მივუყვანო, კუნცი ჰქვია და არა ვენცელი.

ეს რომ თქვა, გამტყავებელი მიბრუნდა და ვედროში ჩარჩენილი წყალი ქვაფენილზე გადააქცია.

სეირის სანახავად მოსული ხალხი კვლავაც ხორხოცებდა. ამ აყალმაყალში დარბაზთუხუცესმა ვერაფრით ვერ მოახერხა დინჯად მოფუსფუსე ჯენელთან პირისპირ ლაპარაკი და იძულებული გახდა ხმამაღლა ეთქვა: დარბაზთუხუცესი კუნც ფონ ტრონკა მე ვარ, ეგ ცხენები კი, შენ რომ მოგიყვანია, აშკარად ჩემი ბიძაშვილისაა. ტრონკენბურგის ხანძრის დროს ეგენი ვილსდრუფელ მეცხვარესთან აღმოჩნდნენ, უფრო ადრე კი ცხენები დალალ კოლჰაასს ეკუთვნოდაო.

— ნუთუ არაფერი გაგიგია ამის შესახებ? — ჩაეკითხა კუნც ფონ ტრონკა გამტყავებელს, რომელსაც ფეხები გაეჩაჩხა და შარვალს ისწორებდა. — იქნებ ეგ ცხენები ჰაინიხენელმა მეღორემ ვილსდრუფელი მეცხვარისგან ანდა ვიღაც მესამე პირისგან შეიძინა, — საქმისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირუტყვის გამტყავებელი ფორანს ამოეფარა, მოშარდა, მერე კი განაცხადა, ეს ცხენები დრეზდენში იმიტომ ჩამომაყვანინეს, რომ ტრონკებისაგან ფული მიეღო, ხოლო წინათ რა იყო, ამისა არაფერი ვიცი. შეიძლება უწინ ცხენები პეტრესი იყო ან პავლესი, შეიძლება ვილსდრუფელი მეცხვარისაც, ეგ ამბავი სულ არ მეკითხება, რადგან ცხენები არ მომიპარიაო, შემდეგ მათრახი ფართო მხრებზე გადაიკიდა და კუ-

ჭის ამოსაყორად იქვე მოედანზე მდებარე დუქნისაკენ გასწია.

დარბაზთუხუცესი საგონებელში ჩავარდა, ვერაფრით ვერ მოიაზრა, როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუკი ჰაინიხენელი მეღორისაგან დიობელნელი გამტყავებლისათვის მიყიდული ცხენები ის ორი წყეული შაერა არ აღმოჩნდებოდა, რომლებზეც თვითონ ეშმაკმა მოინდომა საქსონიაში გასეირნება, და იუნკერს აზრი ჰკითხა. გაფითრებულმა ვენცელ ფონ ტრონკამ ათრთოლებული ბაგეებით ძლივს წარმოსთქვა, ეგ ცხენები მაინც უნდა ვიყიდოთ, გინდა კოლჰაასისა იყოს, და გინდა არაო. ამის გაგონებაზე დარბაზთუხუცესი ისე გახელდა, ბიძაშვილს მკვდარი და ცოცხალი მაღლა ამოუყარა, მერე მოსასხამი შემოიხვია და ხალხი გასწი-გამოსწია — წასვლა დააპირა. სწორედ ამ დროს დარბაზთუხუცესმა ცხენზე ამხედრებულ ერთ თავის ნაცნობს, ბარონ ფონ ვენკს მოჰკრა თვალი, ფონ ტრონკამ იგი თავისთან მოიხმო და სთხოვა — გროსკანცლერ გრაფ ვრედესთან წადით და გადაეცით კოლჰაასი ცხენების სანახავად მოედანზე მოაყვანინოსო; თვითონ ბატონმა კუნცმა მოედნიდან ფეხი არ მოიცვალა მოქირქილე ბრბოს ჯიბრზე. თავშეყრილი ხალხი დარბაზთუხუცესის წასვლას ელოდებოდა, — ერთი სული ჰქონდა პირზე აფარებული ცხვირსახოცები მოეშორებინა და სიცილით გული ეჯერებინა.

როცა ბარონი დანაბარების გადასაცემად გროსკანცლერის კაბინეტში შემოვიდა, კოლჰაასი ოთახში იყო, ხელში ქაღალდები ეჭირა. დალალი ლუტცენის საქმეზე დამატებითი ახსნა-განმარტების მისაცემად გამოეძახათ. გაჯავრებული გროსკანცლერი სავარძლიდან წამოდგა, დალალს, რომელსაც ბარონი საერთოდ არ იცნობდა, ზურგი შეაქცია და მიუბრუნდა. ბარონმა გრაფ ვრედეს ფონ ტრონკების გაჭირვება აუწყა და დაუმატა: თუ ინებებთ, სასურველია კოლჰაასი მოედანზე გააგზავნოთო.

გროსკანცლერმა სათვალე მოიხსნა და ბარონს განუცხადა, ერთბაშად ორ შეცდომას უშვებთო: ჯერ ერთი, რატომ გგონიათ, რომ თუკი კოლჰაასი ცხენებს ნახავს, ყველაფერი გაირკვევა, მერე იმაშიც ცდებით, რაკი ფიქრობთ, თითქოს მე, კანცლერი, ვალდებული ვიყო გუშაგებს კოლჰაასი იქ წავაყვანინო, სადაც იუნკერს მოესურვებაო. ამის შემდგომ მან

ბარონს დალალი წარუდგინა, თვითონ დაჯდა, სათვალე კვლავ გაიკეთა და ბარონს სთხოვა, ამ საქმეზე უშუალოდ კოლჰაასს მოელაპარაკეთო.

კოლჰაასს ერთი წამითაც არ დასტყობია სახეზე, რაც გულში უტრიალებდა და ბარონს განუცხადა, მზად ვარ გამოგყვეთ მოედანზე, სადაც გამტყავებელს ცხენები ჩამოუყვანიაო. შემკრთალი ბარონი მისკენ შებრუნდა, კოლჰაასი კი კვლავ გროსკანცლერის მაგიდასთან მივიდა, რაღაც ქაღალდები ამოიღო ლუტცენში შენახული განძის შესახებ და გროსკანცლერს სთხოვა, ნება მომეცით, გავყვეო. ფანჯარასთან მიმდგარი სახეალეწილი ბარონი გროსკანცლერს მაშინვე გამოემშვიდობა და პრინც ფონ მაისენის მიერ კოლჰაასისთვის მიჩენილი სამი ლანდსკნეხტისა და მოზრდილი ბრბოს თანხლებით ორთავენი მოედნისკენ გაემართნენ. დარბაზთუხუცესი კუნცი, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა საიდანღაც გამომტყვრალი გულშემატკივრების რჩევა-დარიგებას, ჯიუტად იდგა ერთ ადგილას, დიობელნელი გამტყავებლის პირისპირ. როგორც კი მან ბარონსა და კოლჰაასს მოჰკრა თვალი, მახვილი იღლიაში ამოიდო, ამაყი სახით მიუახლოვდა დალალს და ჰკითხა, — ფორანზე მიბმული ცხენები შენია თუ არაო. დალალმა უცნობ ბატონს ქუდი თავაზიანად მოუხადა და სიტყვის უთქმელად ფორანს მიუახლოვდა. რაინდები ფეხდაფეხ გაჰყვნენ. კოლჰაასი თორმეტ ნაბიჯზე შედგა და თვალი შეავლო თავჩაკიდულ გასაცოდავებულ ცხენებს, რომლებიც წინ დაყრილ თივას პირს არ აკარებდნენ.

— მოწყალეო ბატონო, — მიუბრუნდა დალალი დარბაზთუხუცესს, — გამტყავებელს მართალი უთქვამს, ამ ფორანზე გამობმული ცხენები ჩემია. — ეს რომ თქვა, კვლავ ქუდი მოიხადა და ლანდსკნეხტების თანხლებით იქაურობას გაეცალა. დარბაზთუხუცესი ისე სწრაფად გამობრუნდა უკან, მუზარადზე ჯიღა შეუთამაშდა, გამტყავებელს მიადგა და ფულით გატენილი ქისა გადაუგდო. ვიდრე გამტყავებელი თავის ტყვიის სავარცხლით შუბლზე ჩამოყრილ თმას ივარცხნიდა, თან ქისას თვალებით ჭამდა, დარბაზთუხუცესმა მსახური იხმო და უბრძანა: ცხენები გამოხსენი და თავლაში წაიყვანეო. ბატონის ბრძანება რომ გაიგონა, მსახური გაწითლდა, ნათესავ-მეგობრების წრეს გამოეყო, კარგა მოზრდილ წუნწუხის გუბეს გა-

დააბიჯა და ცხენებთან მივიდა. მაგრამ ის იყო, ავშარისკენ წაიღო ხელი, რომ მსახურს მისი ბიძაშვილი, ოსტატი ჰიმბოლტი მივარდა, მკლავზე ჩაეჭიდა და შეუყვირა — გამტყავებლის ჯაგლაგებს ახლოს არ მიეკაროო, მერე ხელი უბიძგა და ბიძაშვილი ფორანს მოაცილა. მსახური უკანვე დაბრუნდა, წუნწუხს გადააბიჯა, გაოცებულ დარბაზთუხუცესთან მივიდა და უთხრა, ასეთი საქმე გამტყავებლის შეგირდს დაავალეო.

გაცოფებულმა დარბაზთუხუცესმა ოსტატს ქეშად გახედა და გუშაგებს მოუხმო. ამასობაში ბარონ ვენკის ბრძანებით მოედანზე კურფიურსტის რამდენიმე მცველი და ერთი ოფიცერი გამოჩნდა. დარბაზთუხუცესმა ოფიცერს მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება — ქალაქის მოსახლეობა ბუნტს აპირებსო და არეულობის მოთავის — ოსტატ ჰიმბოლტის დაპატიმრება მოითხოვა.

— აი ამან, — თქვა ბატონმა კუნცმა და ჰიმბოლტს საკინძეში ჩაავლო ხელი, — მსახური ამიჯანყა, ფორანთან არ მიუშვა.

ჰიმბოლტმა დარბაზთუხუცესს ხელი აუკრა და მშვიდად მიუგო:

— მოწყალეო ხელმწიფევ, ოცი წლის ჭაბუკს თუ ჭკუა ვასწავლე, ამაში არაფერია დასაძრახი! აბა ერთი თვითონ მას ჰკითხეთ, სურდა თუ არა დაერღვია ჩვენი ადათწესი და ფორანს მიბმული ეგ ცხენები აეხსნა. თუ იტყვის, მსურდაო, მაშინ რაც გნებავთ ის უბრძანეთ, თუნდაც ეგ ჯაგლაგები გაატყავებინეთ!

დარბაზთუხუცესი ახლა მსახურს მიუბრუნდა და ჰკითხა, შეასრულებ თუ არა ჩემს ბრძანებას და ცხენებს საჯინიბოში თუ წაიყვანო. მსახური ხალხს შეერია და შემკრთალმა მიუგო, ვიდრე ამ საქმეს მოვკიდებ ხელს, ცხენებს ღირსება უნდა აღუდგინოთო. ამის თქმა იყო და, დარბაზთუხუცესი უკნიდან ეცა მსახურს, მოხადა ქუდი, რომელზეც ტრონკების საგვარეულო ღერბი იყო გამოსახული, ქუდი ძირს დააგდო, მერე ფეხით შედგა ზედ, იძრო დაშნა და მსახურს ზურგში გამეტებით დაუშინა ვადა; სულ ცემა-ცემით გაიგდო მოედნიდან და სამსახურიდანაც დაითხოვა.

— ძირს ეგ სისხლისმსმელი! — შესძახა ჰიმბოლტმა.

კუნცის საქციელით აღშფოთებული ხალხი გუშაგებს მი-

აწყდა და უკან დაახევინა, ხოლო ჰიმბოლტი დარბაზთუხუცესს ეცა, წააქცია, გააძრო მოსასხამი, საყელო და ჩაფხუტი, დაშნა ხელიდან გააგდებინა და ეს ყველაფერი შორს გადაუყარა. ამაოდ უხმობდა განზე გამდგარი იუნკერი ვენცელი რაინდებს, ჩემს ბიძაშვილს მიეშველეთო, მაგრამ რაინდებმა ადგილიდან ფეხიც ვერ მოიცვალეს. წაქცეული და თავგატეხილი დარბაზთუხუცესი გააფთრებულ ბრბოს ჩაუვარდა ხელში. კიდევ კარგი, შემთხვევით მოედანზე ცხენოსანი ლანდსკნეხტები გამოჩნდნენ, რომლებსაც კურფიურსტის დაცვის ოფიცერმა მოუხმო საშველად, თორემ დარბაზთუხუცესს სიკვდილი არ ასცდებოდა. ოფიცერმა, როგორც იქნა, ბრბო გაფანტა, გააფთრებული ოსტატი შეიპყრო და რამდენიმე რაიტერს* იგი ციხეში წააყვანინა, საწყალი დარბაზთუხუცესი კი ორმა მეგობარმა რის ვაი-ვაგლახით წამოაყენა ფეხზე და შინ მიაცილა. ასე დასრულდა დალალის მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამოსწორების კეთილგანზრახული და პატიოსნური ცდა. რაკი დიობელნელმა გამტყავებელმა თავისი საქმე მოათავა, ქაქალაქში დარჩენა აღარ ისურვა. როცა ხალხი მიიფანტ-მოიფანტა, გამტყავებელმა შავრა ცხენები ფარნის ბოძზე მიიბა, სადაც ისინი ბავშვებისა და უსაქმურების გასართობად მთელ დღეს უსმელ-უჭმელნი იდგნენ. ბოლოს პოლიციამ დრეზდენის გამტყავებელი გამოიძახა და შემდეგ განკარგულებამდე ცხენები ქალაქის საგამტყავებლოში წააყვანინა.

მართალია, კოლჰაასი აქ არაფერ შუაში არ იყო, მაგრამ ამ შემთხვევამ ყველაზე თვინიერი და უწყინარი ადამიანებიც კი აღაშფოთა და, რაც მთავარია, დალალის სადავო საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის მეტად არახელსაყრელი პირობები შექმნა. კოლჰაასსა და სახელმწიფოს შორის შექმნილი ურთიერთობა ხალხს აუტანლად მიაჩნდა და ოჯახებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე იმ აზრს გამოთქვამდნენ, უკეთესი იქნება, კოლჰაასს კვლავაც უსამართლოდ მოექცნენ და მისი საქმე ისევ დაარღვიონ, ვიდრე სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანონ და ამ გზით დაამტკიცონ — დალალმა გაჭიანურებული საქმე ძალმომრეობით მოიგოო. კოლჰაასის საუბედუროდ, გროსკანცლერმა გადაჭარბებული სამართლიანობისა და ტრონკების საგვარეულოსადმი სიძულვილის გამო თვითონვე შეუწყო ხელი ხალხში ამ განწყობი-

ლების განმტკიცებას. ძალზე დაუჯერებელი ჩანდა ის ამბავი, რომ ცხენები, რომლებიც ახლა დრეზდენელ გამტყავებელს ებარა, როდისმე ისევ მოიკეთებდნენ. მაგრამ თავზეც რომ გადაჰყოლოდნენ ცხენებს და ბოლოს მოეჯანიანებინათ კიდეც, ამ ამბავმა საქსონიის ერთ-ერთ უკეთილშობილეს გვარს მთელს სახელმწიფოში მოჰრა თავი და ყველა ერთ აზრს დაადგა, — დაზარალებულს ფული მაინც უნდა გადაუხადონ, ყველაზე კარგი გაწოსავალი ის იქნებაო. ამიტომ, როცა პრეზიდენტმა, გრაფმა კალჰაიმმა რამდენიმე დღის შემდეგ დარბაზთუხუცესის სახელით ეს მოსაზრება გროსკანცლერს შეატყობინა, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ კოლჰაასს წერილი გაუგზავნა და გააფრთხილა, თუკი ცხენების საფასურს შეგაძლევენ, უარი არ განაცხადოო; პრეზიდენტს კი მოკლე, არცთუ თავაზიანი პასუხი შეუთვალა, ამ საქმეში კერძო დავალებებისგან დამიხსენითო. დარბაზთუხუცესს გროსკანცლერმა ასე მოსთხოვა: დალალს თქვენ თვითონ მიმართეთ, იგი მეტად თავმდაბალი და სამართლიანი ადამიანი არისო. ბაზრის მოედანზე მომხდარმა შემთხვევამ კოლჰაასს გული გაუტეხა და გროსკანცლერის რჩევით გადაწყვიტა დალოდებოდა იუნკერის შემონათვალს — მზად იყო ყოველივე ეპატიებინა ტრონკებისათვის, მაგრამ რაინდებმა ითაკილეს დალალთან საქმის დაჭერა და მასთან მოლაპარაკება. გროსკანცლერის წერილით გაცეცხლებულმა ეს წერილი კურფიურსტს უჩვენეს, როცა ამ უკანასკნელმა მეორე დილით ავადმყოფი დარბაზთუხუცესი ინახულა. დარბაზთუხუცესმა მილეული და გულის ამაჩუყებელი ხმით ჰკითხა კურფიურსტს, განა მე, რომელმაც სიცოცხლე არ დავიშურე საიმისოდ, რომ ეს საქმე თქვენს საამებლად დასრულებულიყო, ახლა საკუთარი პატიოსნება უნდა გავწირო მთელი ქვეყნის დასაცინად და ზავი და პატიება ვთხოვო იმ კაცს, რომელმაც ყოველნაირად თავსლაფი დამასხა მეცა და ჩემს გვარსაც? კურფიურსტმა წერილი წაიკითხა და შეცბუნებულმა გრაფ კალჰაიმს ჰკითხა, რაკი ცხენების ძველებურად გამოკეთების იმედი აღარ არის, ტრიბუნალი უფლებამოსილი ხომ არ არის, ისინი დახოცილებად გამოაცხადოს და იუნკერ ფონ ტრონკას ფულის გადახდა დააკისროსო?

— მოწყალეო ბატონო, — მიუგო გრაფმა, — სახელმწიფოებრივი სამართლის თვალსაზრისით ის ცხენები მართლაც

აღარ ითვლებიან ცოცხლებში, რადგან არავითარი ფასი აღარა აქვთ, ვიდრე მათ რაინდების თავლაში გადაიყვანენ, ალბათ ფეხებსაც გაფშიკავენ.

კურფიურსტმა წერილი ჯიბეში შეინახა და განაცხადა, გროსკანცლერს ამის თაობაზე მე თვითონ მოველაპარაკებიო. დარბაზთუხუცესმა წამოიწია და მადლიერებით აღესილი საკოცნელად მის ხელს წაეტანა. კურფიურსტმა დაამშვიდა, ურჩია — ჯანმრთელობას გაუფრთხილდიო, სავარძლიდან წამოდგა, ალერსიანად გამოეთხოვა და ოთახიდან გავიდა.

ასეთი იყო საქმის ვითარება დრეზდენში, როცა ლუტცენიდან საბრალო კოლჰაასისკენ მეორე, უფრო საშინელი ქარიშხლის მომასწავლებელი ღრუბელი დაიძრა. საკმაოდ გაიძვერა და მოხერხებულმა რაინდებმა ეს ახალი ამბავი უმალ თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. კოლჰაასის ბანდის წევრმა, ვინმე იოჰან ნაგელშმიტმა რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ შეაგროვა კურფიურსტის ამნისტიის შემდეგ დაშლილი ავაზაკთა ჯგუფი, ყოველგვარი ავკაცობისათვის რომ იყო მზად, და ბოჰემიის საზღვარზე თვითნებურად განაგრძო კოლჰაასის დაწყებული საქმე. ეს უბადრუკი ყმაწვილი, ნაწილობრივ მძევრების დასაშინებლად, ნაწილობრივ მოსახლეობის თანაგრძნობის მოსაპოვებლად, თავის თავს კოლჰაასის ნაცვალს უწოდებდა. მეთაურისგან შეძენილი გამოცდილების კარნახით, ნაგელშმიტმა ხმა დაყარა, ამნისტიის მიუხედავად შინ მშვიდობიანად დაბრუნებული მრავალი რაზმელი დააპატიმრეს, თვით კოლჰაასსაც უმუხთლეს, დრეზდენში ჩასვლისთანავე ციხეში ჩააგდეს და მცველები მიუჩინესო. ამას გარდა, მანდატებში, რომლებიც კოლჰაასისეულ მანდატებს ჰგავდა, მისი ბანდა კურფიურსტის ამნისტიით გათვალისწინებული უფლებების დამცველად იყო გამოცხადებული. ეს ყველაფერი სინამდვილეში სულაც არ იყო ღვთის სამსახური და ვნება მოჰქონდა კოლჰაასისთვისაც, რომლის ბედს ჭაბუკი არ დაგიდევდათ — თვალის ამგვარი ახვევით იგი უფრო მოხერხებულად და უშიშრად შესძლებდა ძარცვა-გლეჯვას.

როგორც კი ამ ამბავმა დრეზდენში ჩამოაღწია, რაინდები სიხარულით ცას ეწიენ, რადგან დალალის საქმეს ახლა სხვა მნიშვნელობა მიენიჭა. ისინი უკმაყოფილო იერით გაიძახოდნენ, უდავო შეცდომა იყო კოლჰაასს რომ დანაშაული მიუ-

ტევეს, აკი რამდენჯერ გავაფრთხილეთ, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს და ყველა ჯურის ავაზაკსა და ბოროტმოქმედს ახლა ხელ-ფეხი გაუხსნესო. ასე ამბობდნენ, ნაგელშმიტმა იარაღს ხელი იმიტომ მოჰკიდა, რომ თავისი დაჩაგრული მეთაურის უშიშროება დაეცვაო. რაინდები ამასაც არ სჯერდებოდნენ და ამტკიცებდნენ, თითქოს ეს ყველაფერი კოლჰაასის ჩაგონებით ხდებოდა, დალალი ცდილობს მთავრობა დააშინოს და სასამართლოს თავისი მოთხოვნები დააკმაყოფილებინოსო. მეღვინეთუხუცესი, ბატონი ჰინცი, იქამდეც კი მივიდა, რომ კურფიურსტთან სადილობის შემდეგ მისაღებ ოთახში თავშეყრილ რამდენიმე კარისკაცსა და მონადირეს განუცხადა, — ის ამბავი, თითქოს კოლჰაასმა ლუტცენში შემოკრებილი ავაზაკების ბრბო დაშალა, მხოლოდ ბილწი თვალთმაქცობააო. მერე დაუნდობლად გაამასხარავა გროსკანცლერისეული ვაი-სამართალი, ეშმაკურად დაუპირისპირა ერთმანეთს სხვადასხვა გარემოებანი და დაასკვნა — ავაზაკთა ჯგუფები ახლაც წინანდებურად იმალებიან საკურფიურტოს ტყეებში და მხოლოდ დალალის ნიშანს ელოდებიან, რომ ისევ ცეცხლითა და მახვილით შემოგვესიონო.

პრინცი ერისტიერნ ფონ მაისენი ძალზე შეშფოთდა, ვაითუ საქმის ასე შემობრუნებამ ჩემს ბატონს სახელი გაუტეხოსო და მაშინვე კურფიურსტის სასახლისაკენ გასწია. პრინცი უმალ მიხვდა რაინდების განზრახვას, რომლებიც ცდილობდნენ ესარგებლათ ამ შემთხვევით და, თუ მოხერხდებოდა, კოლჰაასი გაენადგურებინათ კიდეც, ამიტომ მბრძანებელს სთხოვა, ნება მომეცით, დალალი ახლავე დავკითხოო.

უმცროს ბავშვებთან — ჰაინრიხთან და ლეოპოლდთან ხელიხელჩაკიდებული კოლჰაასი მცველის თანხლებით გაოცებული წარსდგა რატუშაში. მსახურმა შტერნბალდმა მეკლენბურგიდან სწორედ წინადღით ჩამოუყვანა კოლჰაასს ხუთივე შვილი. ზოგიერთ მოსაზრებათა გამო, რომელთა განმარტებას ახლა ვერ შეუდგებით, მამა იძულებული გახდა თან წაეყვანა ორი ბიჭი, ბავშვები გულამოსკვნით ტიროდნენ და მამას ემუდარებოდნენ აქ არ დაგვტოვოო. პრინცმა ალერსით შეათვალიერა ბავშვები, — კოლჰაასმა ისინი გვერდით მოისხა, — მერე გულთბილად გამოიკითხა, რა ჰქვიათ, რა ხნის არიანო და დალალს შემდეგღა გაუმხილა ის ავაზაკური საქციელი, რო-

მელსაც მადნის მთებში მისი ყოფილი რაზმელი ნაგელშმიტი სჩადიოდა. მერე ნაგელშმიტის მიერ გავრცელებული ეგრეთწოდებული მანდატები უჩვენა და ჰკითხა, თავის გასამართლებლად რას იტყვითო. მართალია, ამ სამარცხვინო ფურცლებმა კოლჰაასი საშინლად ააღელვა, მაგრამ თავის უდანაშაულობაში ისეთი ალალი ადამიანის დარწმუნება, როგორც პრინცი იყო, მაინც იოლად მოახერხა; დალალმა განაცხადა — ჩემი საქმე ამჟამად იმდენად კარგად მიდის, მესამე პირის დახმარება აღარ მჭირდებაო, თანაც პრინცს საბუთები წარუდგინა, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ ნაგელშმიტი არაფრით არ მოისურვებდა დახმარებოდა კოლჰაასს, რადგან ლუტცენის ბანდის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე ქალის გაუპატიურებისა და სხვა დანაშაულთა გამო კოლჰაასმა მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა და ნაგელშმიტს მხოლოდ ამნისტიამ უშველა, ერთი სიტყვით, — დაუმატა კოლჰაასმა, — ერთმანეთს მოსისხლე მტრებივით დავშორდითო. კოლჰაასმა ყურად იღო პრინცის რჩევა, დაჯდა და ნაგელშმიტის სახელზე მიმართვა დაწერა, სადაც სამარცხვინო და საზიზღარი მონაჩმახი უწოდა ნაგელშმიტის განცხადებას თითქოსდა მისი ბანდა გაყალბებული ამნისტიის დასაცავად იბრძოდა — და ატყობინებდა, დრეზდენში ჩამოსვლისას არავის დავუპატიმრებივარ და არც ყარაულები მადგანან თავზეო. პირიქით, ეს სამართლიანი საქმე სწორედ ჩემი თანხმობით მიიწევს წინო. მერე ნაგელშმიტსა და მის გარშემო შემოკრებილ ავაზაკებს შეუთვალა, ამნისტიის შემდეგ მადნის მთებში ჩადენილ დანაშაულთა გამო კანონი მთელი სისასტიკით გაგებინებთ პასუხსო. ხალხისთვის რომ თვალი აეხილა და ნაგელშმიტის ნამდვილი სახე ეჩვენებინა, კოლჰაასმა მიმართვას ლუტცენის ციხე-დარბაზში გამართული სასამართლო პროცესის ზოგიერთი მონაცემები დაურთო. კოლჰაასმა სწორედ ამ პროცესზე გაიოლაშქარავა ამ არამზადას მიერ ჩადენილი ავკაცობანი, რომელთა გამოც მან ჩამოხრჩობა დაიმსახურა და სასჯელს იმიტომ გადაურჩა, რომ კურფიურსტის ამნისტიამ მოუსწრო. მიმართვის წაკითხვის შემდეგ პრინცმა კოლჰაასი დაამშვიდა, იმ უნდობლობის ნატამალიც აღარ შემორჩა, დაკითხვამდე რომ მღრღნიდაო და დალალი დაარწმუნა — ვიდრე დრეზდენში იქნები, ამნისტია გიმფარველებსო. ბავშვებს ხელი ჩამოართვა, ლანგარზე დახ-

ვაეებული ხილი შესთავაზა, კოლჰაასს გამოემშვიდობა და გაისტუმრა. როცა გროსკანცლერმა გაიგო, დალალს საფრთხე ემუქრებაო, ყველა ღონეს მიმართა, რათა მისი საქმე მეტად ალარ გაჭიანურებულიყო, თავიდან არ გამხდარიყო გასარჩევი, რასაც კოლჰაასზე გადაკიდებული რაინდები ცდილობდნენ; თუკი ისინი იუნკერის დანაშაულს უწინ აღიარებდნენ და მისთვის მხოლოდ განაჩენის შერბილებას ცდილობდნენ, ფონ ტრონკები ახლა ეშმაკობითა და ხრიკებით ამ დანაშაულს საერთოდ უარყოფდნენ. ხან იმას ამბობდნენ, კოლჰაასის შავრა ცხენები ციხისთავმა და მოურავმა მიისაკუთრეს და ამის შესახებ იუნკერმა დაწვრილებით არაფერი იცოდაო, ხანაც ასე ამტკიცებდნენ, ცხენებს იმთავითვე საშიში სენი სჭირდათ, წარამარა ახველებდნენ, და თუ საჭიროა, ამის დასამტკიცებლად მოწმეებსაც გამოვიძახებთო. როცა სასამართლომ დიდი ხნის კვლევა-ძიებისა და კამათის შემდეგ უარყო ეს არგუმენტები, რაინდებმა საიდანღაც კურფიურსტის მიერ თორმეტი წლის წინათ გამოცემული ედიქტი გაშოქექეს, რის საფუძველზე მართლაც იკრძალებოდა საქსონიიდან ბრანდენბურგში ჰირიანი ცხენების შეყვანა. მაშასადამე, დღესავით ნათელია, რომ ამ განკარგულებით იუნკერს არა თუ უფლება ჰქონდა, მოვალეც კი იყო კოლჰაასის მიერ საზღვარზე გადმოყვანილი ცხენები დაეკავებინაო, — ასკვნიდნენ ისინი.

ამასობაში კოლჰაასმა კოლჰაასენბრუკელ პატიოსან ამტმანს ზარალის ასანაზღაურებლად მცირე თანხა გადაუხადა და თავისი კარმიდამო გამოისყიდა. როგორც ჩანს, ამ საქმის მოსაგვარებლად დრეზდენის რამდენიმე დღით მიტოვება და მშობლიურ სოფელში წასვლა განიზრახა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კოლჰაასს სხვა საშური საქმეც ჰქონდა — საშემოდგომო თესვა იწყებოდა და საჭირო განკარგულებები უნდა გაეცა, არც ის გვეეჭვება, რომ ზემონახსენები გარემოება მხოლოდ და მხოლოდ საბაბი იყო, და კოლჰაასს სინამდვილეში, ძალიან საშურიც რომ ყოფილიყო, სურდა შეემოწმებინა, თუ რამდენად უფლებაუნარიანი იყო ამ საეჭვო ვითარების ჟამს; შესაძლოა, ამ მხრივ მხედველობაში სხვა მიზეზებიც იყოს მისაღები, მაგრამ ამ მიზეზების გამოცნობა ამჯერად საკუთარი გულისხმის ერთგულთ მივანდოთ.

ასე ამრიგად, კოლჰაასი გუშაგების გარეშე ეახლა გროს-

კანცლერს, უჩვენა ამტმანის წერილი და უთხრა, ერთი-ორი კვირით ქალაქი უნდა მივატოვო და ჩემი საქმის მოსაგვარებლად ბრანდენბურგის საკურფიურსტოში წავიდე, მით უმეტეს, ვატყობ, ამ ხნის განმავლობაში სასამართლოს ჩემი თავი არ დასჭირდებაო, მერე შეჰპირდა, საქმეს მოვრჩები თუ არა, უკანვე დავბრუნდებიო.

გროსკანცლერი ჩაფიქრდა, უკმაყოფილო იერით თვალები დახარა და უპასუხა: უნდა გამოგიტყდე, შენი აქ ყოფნა ამჟამად უფრო მეტად არის საჭირო, ვიდრე ოდესმე, რადგან მოწინააღმდეგეების ბოროტი და გაუთვალისწინებელი ხრიკების გამო შესაძლოა ბევრჯერაც გამოგიძახონ სასამართლოში ახალი ჩვენებებისა და განმარტებების მისაცემადო. მაგრამ როცა კოლჰაასმა მის საქმეებში ჩახედული ვექილი დაიმოწმა, და მოკრძალებით, მაგრამ ჯიუტად მოითხოვა, გამიშვითო, გროსკანცლერმა ბოლოს მაინც თანხმობა უთხრა, მაგრამ ისიც დააყოლა, იმედი მაქვს წასვლის ნებართვას პრინც ქრისტიერნ ფონ მაისენს გამოართმევთო...

კოლჰაასი ყველაფერს მშვენივრად მიხვდა, — გროსკანცლერს შუბლზე ეწერა სათქმელი, მაგრამ თავისი განზრახვა დალამა მაინც არ გადათქვა, შორს აღარსად წასულა, დაჯდა და პრინც ფონ მაისენის სახელზე განცხადება დაწერა — რვა დღით კოლჰაასენბრუკში ვარ წასასვლელი და საბუთი მომეცითო. რამდენიმე ხნის შემდეგ დალამა რეზოლუცია მიიღო, რომელსაც ხელს აწერდა სასახლის კომენდანტი, ბარონი ზიგფრიდ ფონ ვენკი. პასუხი ასეთი შინაარსისა იყო: შენი განცხადება კოლჰაასენბრუკში წასვლის თაობაზე გადაეცემა მის ბრწყინვალება კურფიურსტს და როგორც კი მის მოწყალე თანხმობას მივიღებთ, საბუთს მაშინვე გამოგიგზავნითო. კოლჰაასმა თავის ვექილს ჰკითხა, როგორ მოხდა, რომ ჩემს განცხადებაზე გამოგზავნილი პასუხი ბარონ ზიგფრიდ ფონ ვენკისგან მივიღე და არა პრინც ქრისტიერნ ფონ მაისენისაგან, ვისაც მე მიემართეო. ვექილმა მიუგო, პრინცი სამი დღით თავის მამულში გაემგზავრა და საქმეები სასახლის კომენდანტს ბარონ ზიგფრინ ფონ ვენკს, ზემოხსენებული ბარონ ფონ ვენკის ბიძაშვილს გადააბარაო.

კოლჰაასს გული საგულეს აღარ ჰქონდა, შეშფოთებული დალალი კარგა ხანს ელოდა პასუხს, ამასთანავე ისიც ვერ გა-

ეგო, რატომ უნდა გადაეცათ მისი თხოვნა კურფიურსტისთვის. გავიდა ერთი კვირა, მეტიც, მაგრამ კოლჰაასს არც სასახლის პასუხი შეატყობინეს და არც ტრიბუნალის განაჩენი. მეთორმეტე დღეს დალალმა მტკიცედ გადაწყვიტა გაეგო მთავრობის პასუხი, — რაც მოსახდენია, მოხდესო, — დაჯდა და ახალი განცხადება დაწერა, სადაც დაჟინებით მოითხოვდა, წასვლის ნება დამრთეთო. პასუხი ამჯერადაც არ შეატყობინეს. საღამოს პირზე, თავის ამჟამინდელი მდგომარეობისა და ლუთერის მიერ გამოთხოვილი ამნისტიის თაობაზე ღრმად ჩაფიქრებული კოლჰაასი ოთახის სარკმელს მიადგა და ეზოში გადაიხედა. გვერდით მდგომ სახლზე მოდგმულ პატარა ფლიგელში დალალმა ვერავინ დაინახა, არადა მისი დრეზდენში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე აქ დაბინავდნენ პრინც ფონ მაისენის მიერ გამოგზავნილი გუშაგები. ახლა ისინი აღარსად ჩანდნენ.

კოლჰაასმა მაშინვე თავისი მოხუცი მსახური თომასი იხმო და ჰკითხა, ეს ამბავი რას უნდა ნიშნავდესო.

— ბატონო ჩემო, — ამოიოხრა თომასმა, — ჩვენი საქმე კარგად ვერ მიდის, დღეს გაცილებით მეტი ლანდსკნეხტი გვყავდა ეზოში, ვიდრე სხვა დროს გვყოლია, მაგრამ ჩამოღამდა თუ არა, გუშაგებმა ალყა შემოარტყეს სახლს, შუბითა და ფარით შეიარაღებული ორი მათგანი ქუჩაში გამავალ კართან დგას, ორი — ბაღჩის კართან დარაჯობს, ორიც დერეფანში წევს ნამჯაზე. ასე მითხრეს, — ღამითაც აქ უნდა დავიძინოთო.

კოლჰაასი გაფითრდა, ფანჯარას მოშორდა და თომასს უთხრა:

— ოღონდაც აქ იყვნენ, და სულერთია, რამდენნი იქნებიან. გადი და შუქი აუნთე, სიბნელეში ხომ არ ისხდებიან.

შემდეგ კოლჰაასი სარკმელთან მივიდა, დარაბა გამოაღო— ვითომ წყლის გადაქცევა სურდა, გადაიხედა და დარწმუნდა, რომ მოხუცმა სიმართლე უთხრა: ყარაული სწორედ ამ დროს შეიცვალა. აქ ყოფნის განმავლობაში ასეთი რამ არ შეემჩნია. კოლჰაასმა ტანთ გაიხადა და დაწვა, თუმცა მის თვალს რული არ ეკარებოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ დალალმა მოქმედების გეგმა დაისახა — არაფერი უმღვრევდა გულს ისე, როგორც ხელისუფალთა მოჩვენებითი სამართლიანობა, რადგან ისინი

თვითონვე არღვევდნენ მათ მიერვე ბოძებულ ამნისტიას. თუ დაპატიმრებული ვარ, რაშიც ძნელია ეჭვის შეტანა, მაშინ იმას მაინც შევიძლებ, დაუყოვნებლივ და პირდაპირ გავიგო, რაც მოხდაო, — ფიქრობდა კოლჰაასი.

გათენდა თუ არა, თავისი ზრახვის განსახორციელებლად ერთგულ შტერნბალდს ფორანში ცხენები შეაბმევინა და თავი ისე მოაჩვენა ყველას, ვითომ ლოკევიცში ნაცნობ მოურავთან მიემგზავრებოდა, რომელმაც დალალი რამდენიმე დღის წინათ დრეზდენში ინახულა და კოლჰაასი და მისი შვილები ოჯახში მიიპატიჟა.

ლანდსკნეხტებმა რომ ამ სამზადისს მოჰკრეს თვალი, ერთი კაცი ქალაქში უჩუმრად აფრინეს. სულ ცოტა ხანში ჩაფრების რაზმი გამოჩნდა მთავრობის მოხელის წინამძღოლობით. ჩაფრები, ვითომც რაღაც საშური საქმე ჰქონდათ, მეზობელ სახლში შევიდნენ.

კოლჰაასმა, რომელიც აქამდე ბავშვების ჩაცმას აჩვიანურებდა და სახლის წინ ფორანიც განგებ გააჩერებინა, არაფერი შეიმჩნია. მერე ბავშვები გამოიყვანა, სახლის წინ გაჩერდა და კართან მდგარ ლანდსკნეხტებს უთხრა, თქვენი გამოყოლა არ მჭირდებაო. უმცროსი ბიჭები ფორანში ჩასხა, შინ დატოვებული გოგონები, რომლებიც ტირილით ემუდარებოდნენ — ჩვენც წაგვიყვანეო, დაამშვიდა, დაკოცნა და მოხუცი მსახურის ქალიშვილს ჩააბარა.

ის იყო თვითონაც დაჯდა ფორანზე, რომ პირდაპირ მდებარე სახლიდან ჩაფრების თანხლებით მთავრობის მოხელე გამოვიდა, ფორანს მიუახლოვდა და კოლჰაასს ჰკითხა, საით აპირებთ გამგზავრებასო. როცა კოლჰაასმა უპასუხა, ლოკევიცში მივდივარ ჩემ მეგობარ ამტმანთან, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩემ ვაჟიშვილებთან ერთად შინ მიმიპატიჟაო, მოხელემ მიუგო — ორიოდე წუთს მოითმინე და პრინც ფონ მაისენის ბრძანების თანახმად რამდენიმე მხედარი გაგაცილებსო.

— ნუთუ რაიმე საშიშროება მემუქრება მეგობართან, რომელმაც რამდენიმე დღით ოჯახში მიმიპატიჟა? — სიცილით ჰკითხა ფორანზე მჯდომმა კოლჰაასმა მოხელეს.

— საშიშროება არც იმდენად დიდია, — თავაზიანად მიუგო

მოხელემ, — მაგრამ, არა მგონია რამდენიმე ლანდსკნეხტთან ერთად მგზავრობამ რაიმეში ხელი შეგიშალოთ.

კოლჰაასმა შუბლი შეიკრა და შენიშნა, ჩამოსველის პირველივე დღიდან პრინცმა ფონ მაისენმა უფლება მომანიჭა ჩემი სურვილისამებრ გამომეყენებინა ლანდსკნეხტებიო. რაკი მოხელე გაოცდა და შეეცადა ეგრძნობინებინა, ვიდრე დრეზდენში იქნები, დაცვაც მუდამ გეყოლებაო, დალალმა ის ამბავი ამცნო, რის გამოც მას გუშაგები მიუჩინეს. მოხელე შეეცადა კოლჰაასი დაერწმუნებინა, პოლიციის ახლანდელი უფროსის, ბარონ ფონ ვენკის ბრძანებით შენი პიროვნების დაცვა მე მევალებაო და სთხოვა, თუკი დაცვა არ გინდა იახლო, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამის თაობაზე პოლიციას შენ თვითონ მოელაპარაკეო. კოლჰაასმა მოხელეს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, — მიგიხვდიო, მაგრამ მაინც მტკიცედ გადაწყვიტა, საქმე ბოლომდე გამოეძიებინა და მოხელეს თანხმობა განუცხადა. გულდაწყვეტილი კოლჰაასი ფორანიდან ჩამოვიდა, მსახურს ბავშვები შინ შეაყვანინა, ფორანი და მსახური სახლის წინ დატოვა, თვითონ კი მსახურისა და ჩაფრების თანხლებით პოლიციის სამმართველოსაკენ გაემართა.

სწორედ ამ დროს სასახლის კომენდანტს, ბარონ ფონ ვენკს ნაგელშმიტის ბანდის რამდენიმე წევრი ჰყავდა დაკითხვაზე, რომლებიც წინა საღამოს ლაიფციგთან დაეპატიმრებინათ. დაკითხვას რაინდებიც ესწრებოდნენ. სწორედ ისინი იძიებდნენ საქმის არსს, როცა დალალი და მისი მხლებლები დარბაზში შემოვიდნენ. რაინდებმა დაკითხვა შეწყვიტეს, ფონ ვენკი მაშინვე კოლჰაასთან მივიდა და ჰკითხა, რა გინდაო? კოლჰაასმა თავაზიანად აუხსნა — ლოკევიცში მინდა მოურავთან სადილად წასვლა და გთხოვ ნება მომცეთ ლანდსკნეხტების გარეშე გავემგზავროო. ფონ ვენკს ფერი ეცვალა, ეტყობოდა, სხვა რამის თქმას აპირებდა, მაგრამ თავს სძლია და ესღა უთხრა, აჯობებდა შინ მჯდარიყავი და ლოკევიცელ ამტმანთან დროსტარებაზე ჯერჯერობით ხელი აგეღოო. შემდეგ საუბარი ერთბაშად შეწყვიტა, მოხელეს მიუბრუნდა და მკაცრად შენიშნა:

— ამ კაცის თაობაზე გაცემული ბრძანება ისევ ძალაშია და მისი ჭალაქიდან გასვლა მხოლოდ ექვსი ცხენოსანი ლანდსკნეხტის თანხლებით შეიძლება.

— ნუთუ საქვეყნოდ ცნობილი ამნისტია შეიცვალა და მე პატიმრად ვითვლები? — იკითხა კოლჰაასმა.

ბარონს უცბად სახე წამოუჭარხლდა, დალალს პირისპირ დაუდგა, თვალი თვალში გაუყარა და მიახალა: „ასეა, ასეა, ასეა“, მერე ზურგი შეაქცია და ისევ ნაგელშმიტის ბანდის წევრებთან მივიდა. კოლჰაასი დარბაზიდან გამოვიდა. მართალია, კი გრძნობდა, რომ ასეთი ნაბიჯის შემდეგ გაქცევა გაუჭირდებოდა და თავის დაღწევის ეს ერთადერთი შესაძლებლობაც თითქმის დაკარგა, მაგრამ თავის ამ საქციელს მაინც ამართლებდა, რადგან ამნისტიით დაკისრებული მოვალეობის უღლისაგან ხომ მაინც განთავისუფლდა. შინ რომ მიბრუნდა, ფორანიდან ცხენები გამოაშვებინა და მოხელის თანხლებით გულდამძიმებული და ხასიათწამხდარი ოთახში შევიდა. მოხელე კოლჰაასს გულისამრევი ხმით უმტკიცებდა, ეს ამბავი გაუგებრობის ბრალია და ყოველივე მალე გაირკვევაო. ამ დროს ჩაფრებმა ეზოდან გასასვლელი ყველა კარი ჩარაზეს, მოხელე კი მაინც უმტკიცებდა, მთავარი კარი ღიაა და საცა მოინდომებ, იქ წადიო.

ამასობაში ჩაფრებმა და ლანდსკნეხტებმა ისე შებოჭეს მადნის მთის ტყეებში მოთარეშე ნაგელშმიტი, რომ იგი დარწმუნდა, დამხმარე ძალების გარეშე ვერაფერს გავაწყობო და ამ საქმეში კოლჰაასის ჩათრევა გადაწყვიტა. ერთ-ერთი გამვლელისაგან ნაგელშმიტმა დაწვრილებით შეიტყო კოლჰაასის საქმის ვითარება და იფიქრა, ჩვენს შორის აშკარა მტრობის მიუხედავად, კოლჰაასი ახლა ისეთ ხასიათზე იქნება, მოკავშირეობაზე უარს არ მეტყვისო. ნაგელშმიტმა დალალთან შიკრიკი აფრინა და ასეთი შინაარსის აჩხაბაჩხა ნაწერი ბარათი გაატანა: თუ ალტენბურგში მოხვალ და კვლავ სათავეში ჩაუდგები რაზმს, რომელიც შენს მიერ განთავისუფლებული ზოგიერთი მებრძოლისაგან შევადგინე, მზად ვარ პატიმრობიდან შენს დასახსნელად ცხენებით, ხალხითა და ფულით დაგეხმაროო. ამასთანავე ჰპირდებოდა, მომავალში შენი მორჩილი ვიქნები, გამოვსწორდები, შენს ყველა განკარგულებას უსიტყვოდ შევასრულებო და გულწრფელობისა და ერთგულების დასადასტურებლად სთავაზობდა — დრეზდენის მიდამოებში მე თვითონ მოვალ, რომ შენს განთავისუფლებას ვუხელმძღვანელოო. შიკრიკს, რომელსაც ეს ბარათი გაატანა,

ბავშვობიდანვე ავი ზნე სჭირდა და დრეზდენის შორიახლო მდებარე ერთ სოფელს რომ მიაღწია, ბნედა სწორედ მაშინ მოუვიდა. საშველად მოსულმა ხალხმა ქურთუკის გადანაკეცში წერილი უპოვნა. ბნედამ რომ გაუარა, შიკრიკი შეიპყრეს და გუშაგებისა და უამრავი ხალხის თანხლებით პოლიციის სამმართველოში მიიყვანეს. სასახლის კომენდანტმა ფონ ვენკმა წერილი წაიკითხა თუ არა, მაშინვე კურფიურსტისკენ გასწია. მისაღებ ოთახში მას დახვდნენ ბატონები — ჰინცი, ლოგინიდან ახალწამომდგარი კუნცი და სახელმწიფო კანცელარიის პრეზიდენტი — გრაფი კალჰაიმი. სამივე ბატონი ერთ აზრზე იდგა, კოლჰაასი ულაპარაკოდ უნდა შეიპყრო და ნაგელშმიტთან ფარული კავშირის გამო გაასამართლოო, ბატონები იმასაც ამტკიცებდნენ — ეს წერილი პირველი არ იქნება, მათ შორის აშკარად არის დანაშაულებრივი კავშირიო. კურფიურსტი გადაჭრით უარყოფდა ამ ბრალდებას და არ უნდოდა მხოლოდ ამ წერილის გამო წაერთმია კოლჰაასისათვის თავის მიერვე მინიჭებული თავისუფლება. იგი, პირიქით, საწინააღმდეგო აზრს იზიარებდა და აცხადებდა: წერილიდან სწორედ ის უნდა დავასკვნათ, რომ მათ შორის უწინ არავითარი კავშირი არ ყოფილაო. ბოლოს, კურფიურსტი, მართალია ძაღლუმადურად, მაგრამ მაინც დათანხმდა პრეზიდენტის წინადადებას და გადაწყვიტეს, წერილი ისევ ნაგელშმიტის შიკრიკს გავატანოთ დალალთან, ვნახოთ, კოლჰაასი რას მოიმოქმედებსო.

ასეც მოიქცნენ. მეორე დილით ის ჯეელი საპატიმროდან გამოუშვეს და პოლიციაში მიიყვანეს, სადაც სასახლის კომენდანტმა ჩამორთმეული წერილი დაუბრუნა და აღუთქვა, გაგათავისუფლებთ და ყველაფერს გაპატიებთ, თუ ამ წერილს დალალს ისე გადასცემ, ვითომც არაფერი მომხდარაო. ჯეელი უყოყმანოდ დათანხმდა, თანაც პოლიციის რჩევით ასეთ ეშმაკობას მიმართა — მოხელეს ბაზრიდან კიბოები მოატანინა და შიკრიკმაც, ვითომც კოლჰაასის სახლში შეაღწია. სანამ ბავშვები კიბოებს ეთამაშებოდნენ, კოლჰაასმა წერილი წაიკითხა. სხვა ვითარება რომ ყოფილიყო, თაღლითს ქეჩოში ხელს ჩააცლებდა და იქვე, კარებწინ მდგომ ლანდსკნეხტებს მიჰგვრიდა, მაგრამ იმჟამად შექმნილ გარემოებაში თვით ასეთი ნაბიჭიც უნდა აეწონ-დაეწონა. ამას გარდა, ღრმად იყო დარწმუ-

ნებული, რომ იმ არეულ-დარეული მდგომარეობიდან თავის დასახსნელად გაქცევის მეტი არაფერი უშველიდა. ამიტომ იყო, რომ ნაცნობ ჯეელს ნაღვლიანად შეავლო თვალი, ჰკითხა, სად ცხოვრობო და უბრძანა პასუხისათვის ორიოდ საათში შემომიარეო. შემთხვევით შემოსულ შტერნბალდს უთხრა, ამ კაცისგან ცოტაოდენი კიბო იყიდეო. შტერნბალდი შიკრიკს არ იცნობდა, რამდენიმე კიბო გამოართვა და გაუშვა. კოლჰაასმა ცოტა დაახანა, შემდეგ დაჯდა და ნაგელშმიტს ასეთი წერილი მისწერა: პირველ რიგში ვიღებ შენს წინადადებას, მზად ვარ ალტენბურგში მყოფ რაზმს ვუმეთაურო; ჩემი და ჩემი ხუთი შვილის პატიმრობიდან გასათავისუფლებლად საჭირო ორცხენიანი ფორანი დრეზდენთან ახლომდებარე ნოიშტატში გამომიგზავნე; ამას გარდა, ვიტენბერგში დროზე ჩასასვლელად საჭიროა მეორე ასეთივე ორცხენიანი ფორანი, რადგან მხოლოდ ასე შემოვლით თუ შევიძლებთ შენთან ამოსვლას, მიზეზს კი შემდეგ განგიმარტავო. იმედი მაქვს ჩემზე მოჩენილ ლანდსკნეხტებს მოვისყიდი, მაგრამ თუ ძალის გამოყენება გახდა საჭირო, ნოიშტატში რამდენიმე ერთგული, მარჯვე და კარგად აღჭურვილი ბიჭი დამახვედრეო. ამასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის შიკრიკის ხელით გიგზავნი ოც ოქროს კრონს, დანარჩენი ანგარიში საქმის დასრულების შემდეგ გავასწოროთ; ჩემი განთავისუფლებისათვის შენი დრეზდენში ჩამოსვლა საჭირო არ არის, ამიტომ ჩამოსვლას გიკრძალავ და გიბრძანებ, დარჩე ალტენბურგში, რათა დროებით უხელმძღვანელო რაზმს, უმეთაუროდ მისი დატოვება არ შეიძლებაო.

საღამოს პირზე შიკრიკი დაბრუნდა, კოლჰაასმა წერილი გადასცა, უხვად დაასაჩუქრა და დაარიგა, წერილს თვალისჩინივით გაუფრთხილდიო... კალჰაასს სულ სხვა რამ ედო გულში: შვილებთან ერთად იგი ჰამბურგში აპირებდა ჩასვლას. ხოლო ჰამბურგიდან ლევანტში, ოსტინდოეთში ან სადმე სხვაგან გაემგზავრებოდა, სადაც მტრედისფერი ცა სულ სხვა ხალხს დაჰნათის თავზე. კოლჰაასი ისე იყო გაწამებული, აღარც ცხენების გახსენება სურდა და აღარც ნაგელშმიტთან საქმის დაშერა...

მიუტანა თუ არა ყმაწვილმა სასახლის კომენდანტს კოლჰაასის წერილი, გროსკანცლერი ხელად გადააყენეს და ტრი-

ბუნალის თავმჯდომარედ გრაფი კალჰაიმი დანიშნეს. კურფიურსტის მინისტრთა კაბინეტის ბრძანებით კოლჰაასს მძიმე ბორკილები დაადეს და ქალაქის საპატიმროში ჩააგდეს. ნაგელშმიტისადმი მიწერილი მისი წერილი გაამრავლეს, წერილის პირები ქალაქის ყოველ კუთხეში გამოაკრეს და დალალი სამართალში მისცეს, რაკი დაკითხვის დროს კოლჰაასმა აღიარა, წერილი საკუთარი ხელით დავწერეო. მან საკუთარი თავის დაცვა არ მოინდომა და სასამართლომ გახურებული შანთით დადაღვა, ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა, შემდეგ კი სახჩობელასა და ბორბალს შორის დაწვა მიუსაჯა.

ასეთ დღეში იყო საბრალო კოლჰაასი, როცა ბრანდენბურგის კურფიურსტმა ძალმომრეობისა და თვითნებობისაგან მის დასახსნელად თავი გამოიდო, საქსონიის სახელმწიფო კანცელარიას ნოტა გაუგზავნა, სადაც კოლჰაასი ბრანდენბურგის ქვეშევრდომად გამოაცხადა და დალალის ბრანდენბურგში ჩამოყვანა მოითხოვა; ქალაქის თავმა, კეთილშობილმა ჰაინრიხ ფონ გოიზაუმ კურფიურსტს შპრეეს ნაპირას სეირნობის დროს მოუთხრო ამბავი ამ ცოტა უცნაური, მაგრამ მაინც პატიოსანი კაცისა. გაოცებული კურფიურსტის შეკითხვებით კუთხეში მიმწყვდეული ფონ გოიზაუ იძულებული გახდა ელიარებინა ერცკანცლერის — გრაფ ზიგფრიდ ფონ კალჰაიმის უღირსი საქციელი, რაც მის მბრძანებელსაც ჩრდილს აყენებდა. გაოფთრებულმა ბრანდენბურგის კურფიურსტმა ერცკანცლერი გამოიძახა, დაჰკითხა და როგორც კი შეიტყო, რომ ყველაფრის მიზეზი ფონ ტრონკების გვართან ერცკანცლერის ნათესაობა იყო, ბევრი აღარ უფიქრია, ერცკანცლერი გადააყენა და მის ადგილას ბატონი ჰაინრიხ ფონ გოიზაუ დანიშნა.

სწორედ იმ დროს, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, პოლონეთის სამეფო კარი მტრულად იყო განწყობილი საქსონიის მიმართ. სამეფო კარს ბრანდენბურგის კურფიურსტისათვის არაერთგზის მიუმართავს დაჟინებული თხოვნით, საქსონიის წინააღმდეგ ერთობლივი კავშირი შეეკრათო. ასე რომ, მსგავს საქმეებში საკმაოდ გაწაფული ერცკანცლერი ბატონი გოიზაუ იმედოვნებდა, ამ პირობებში უთუოდ შეეძლებ მბრძანებლის სურვილის აღსრულებას, — კოლჰაასის საქმესაც სამართლიანად გადავწყვეტთ, და ერთი კაცის სიკეთისთვის საერთო სიმშვიდესაც არ დავარღვევთო. ერცკანცლერ-

მა მოითხოვა კოლჰაასი აუცილებლად და დაუყოვნებლივ გადაეცათ ბრანდენბურგისთვის, რადგანაც დრეზდენში მის მიმართ ძალზე თვითნებურ, ღვთისა და კაცის საგმობ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი კოლჰაასი მართლა დამნაშავე აღმოჩნდებოდა, მას ბრანდენბურგის კანონებით გაასამართლებდნენ იმ საბრალდებო დასკვნის მიხედვით, რომელსაც დრეზდენის კარი თავისი რწმუნებულის ხელით ბერლინში წარმოადგენდა; ამასთან ერთად, ერცკანცლერმა ვექილის მგზავრობისათვის საჭირო საბუთებიც გაამზადებინა იმ შემთხვევისათვის, თუკი ბრანდენბურგის კურფიურსტი დრეზდენში თავისი ვექილის გაგზავნას მოისურვებდა, რათა სამართლიანად მოგვარებულიყო იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას მიერ ჩადენილი აშკარა უკანონობანი. დარბაზთუხუცეს კუნცს, რომელიც საქსონიაში სახელმწიფო მოხელეების გადაყენების შემდეგ სახელმწიფო კანცელარიის პრეზიდენტი გახდა და ახლა უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა, ზოგიერთი მიზეზის გამო არ სურდა ბერლინის კარისთვის ეწყენინებინა და ბრანდენბურგიდან მიღებულ ნოტას საქმის ცუდი ვითარებით შეწუხებული თავისი მბრძანებლის სახელით ასე უპასუხა: არ შეიძლება გაოცება არ გამოიწვიოს იმ არამეგობრულმა და უსამართლო ნოტამ, რომელიც ხელყოფს დრეზდენის კარის უფლებას, გაასამართლოს კოლჰაასი იმ ქვეყნის კანონების მიხედვით, სადაც მან დანაშაული ჩაიდინა, მითუმეტეს, ყველასათვის ცნობილია, რომ იგი საკმაოდ მოზრდილ ნაკვეთს ფლობს დრეზდენში და საკუთარი თავიც საქსონიის მოქალაქედ მიაჩნია. მაგრამ რაკი პოლონეთის სამეფომ თავისი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად საქსონიის საზღვარზე ხუთიათასკაციან ჯარს მოუყარა თავი, ხოლო ბრანდენბურგის ერცკანცლერმა ბატონმა ჰაინრიხ ფონ გოიზაუმ განაცხადა, კოლჰაასენბრუკი, რომლის სახელიც ცხენებით მოვაჭრეს ჰქვია, ბრანდენბურგის საკურფიურსტოშია და ამ კაცისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა საერთაშორისო სამართლის დარღვევა იქნებაო, ამიტომ საქსონიის კურფიურსტმა დარბაზთუხუცეს კუნცის რჩევით, რომელსაც დახლართული საქმიდან მბრძანებლის დახსნა სწყუროდა, თავის მამულიდან პრინცი ერისტიერნ ფონ მაისენი გამოიძახა და ამ გონიერ კაცთან მცირე საუბრის

შემდეგ გადაწყვიტა ბრანდენბურგის კურფიურსტის მოთხოვნის თანახმად კოლჰაასი ბერლინში გაეგზავნა. მართალია, პრინცი ფონ მაისენი კოლჰაასის საქმეში დაშვებული მრავალი შეცდომით უკმაყოფილო იყო, მაგრამ თავგზადაკარგული მბრძანებლისთვის თხოვნაზე უარი აღარ უთქვამს და კურფიურსტს ჰკითხა, — როგორ დავასაბუთოთ ბერლინის უმაღლეს სასამართლოში კოლჰაასის ბრალდებაო? საქმე ის იყო, რომ არ შეიძლებოდა იმ დაწყეველილი წერილის დამოწმება, რომელიც კოლჰაასმა ნაგელშმიტს გაუგზავნა, რადგან ამ წერილის შედგენას მეტად საეჭვო გარემოებანი უსწრებდნენ წინ, ხოლო კოლჰაასის მიერ ჩადენილი დანაშაული ამნისტიით იყო ნაპატიები, ამიტომ კურფიურსტმა გადაწყვიტა ვენაში მისი ბრწყინვალება იმპერატორისათვის* ეცნობებინა საქსონიაზე კოლჰაასის შეიარაღებული თავდასხმების ამბავი, რომელიც იმპერატორის მიერ შემოღებულ საყოველთაო მშვიდობას არღვევდა და რადგანაც თვითონ ამნისტიით იყო ხელფეხშეკრული, ეთხოვა, კოლჰაასი ბერლინის სასამართლოს გადაეცით და ამ პროცესში იმპერიის ბრალმდებელმაც მიიღოს მონაწილეობაო.

რვა დღის შემდეგ ექვსი რაიტერის თანხლებით დრეზდენს ჩამოვიდა ბრანდენბურგის კურფიურსტისაგან გამოგზავნილი რაინდი ფრიდრიხ ფონ მალცანი. რაინდმა ბორკილდადებული დალალი გახურებულ ოთხთვალაზე დასვა, მოუსხა გარშემო ხუთიევ შვილი, რომლებიც მამის თხოვნით ობოლი ბავშვების სახლიდან გამოიყვანეს და ოთხთვალაც ბერლინის გზას გაუყვა.

ამ დროს საქსონიის კურფიურსტი ლანდრატ* გრაფ ალოიზიუს ფონ კალჰაიმს ეწვია ამ უკანასკნელის მიპატიჟებით, რომელსაც საქსონიის საზღვარზე კარგა მოზრდილი მამული ჰქონდა, დარბაზთუხუცეს კუნცის, მისი ცოლის — ქალბატონ ჰელოიზეს (იგი ქალიშვილი იყო ლანდრატისა და დაი პრეზიდენტისა), სხვა ბრწყინვალე ბატონებისა და ქალბატონების, უთვალავ მონადირეთა და კარისკაცთა თანხლებით დაამეში ირმებზე სანადიროდ. ეს ნადირობა ლანდრატმა კურფიურსტის საპატივცემულოდ მოაწყო. როცა ნადირობიდან მობრუნებული, ჯერ ისევ მტვერში ამოგანგლული საზოგადოება ბორცვზე აღმართულ, ალმებით მორთულ კარვებში სუფრებს მიუჯ-

და, მაღალი მუხიდან მუსიკის ჰანგები დაირხა და პაჟებმა და კეთილშობილმა ჰაბუკებმა საჭმელები ჩამოარიგეს, გზაზე ექვსი რაიტერის თანხლებით დრეზდენიდან ნელა მომავალი კოლჰაასის ოთხთვალა გამოჩნდა. კოლჰაასის ერთ-ერთი უმცროსი ბავშვის ავადმყოფობის გამო რაინდი ფონ მალცანი სამი დღით ჰერცბერგში დაყოვნდა, მაგრამ ამის თაობაზე დრეზდენის მთავრობისთვის არაფერი უცნობებია, რადგან ფიქრობდა — მხოლოდ ბრანდენბურგის კურფიურსტს ვემსახურები და პასუხსაც მის წინაშე ვაგებო. საქსონიის კურფიურსტი კი ამ დროს შუა ქეიფში იყო, საკინძე გადაეღეღა, თავზე მონადირის წესისამებრ ფრთებითა და ნაძვის ტოტებით შემკული ქუდი ეხურა და ქალბატონ ჰელოიზეს, — თავის პირველ სიყვარულს ესაუბრებოდა. უცბად ლხინის ეშხში შესულმა კურფიურსტმა განაცხადა:

— მოდი, ვინც უნდა იყოს, იმ საცოდავთან მივიდეთ და თასით ღვინო დავალევინოთ!

თვალებგაბრწყინებულმა ჰელოიზემ კურფიურსტს შეხედა, ფეხზე წამოიჭრა, იქვე მდგომ პაჟს ვერცხლის ლანგარი გამოართვა და რაც კი ხელში მოხვდა, ყველაფერი ზედ დაალაგა: ხილი, ნამცხვარი, პური. მოქეიფეებმაც ხელი წამოავლეს სხვადასხვა სასმელ-საჭმელს და ის იყო ყველანი გარეთ უნდა გამოსულიყვნენ, რომ დარცხვენილმა ლანდრატმა სტუმრები გააჩერა, სთხოვა, აქვე დარჩითო. გაოცებული კურფიურსტის შეკითხვაზე — რა მოხდაო, დარბაზთუხუცესისკენ მიბრუნებულმა ლანდრატმა ძლივს ამოღერღა — ოთხთვალაში კოლჰაასი ზისო. დაუჯერებელი ამბის გაგონებაზე — კოლჰაასი ხომ ექვსი დღის წინათ წამოიყვანეს დრეზდენიდან — დარბაზთუხუცესმა კარვისაკენ ზურგშექცეულმა ღვინო ქვიშაზე გადააქცია. სახეაპარხლებულმა კურფიურსტმა თავისი თასი თეფშზე დადგა, რომელიც დარბაზთუხუცესის ნიშანზე ერთ-ერთმა პაჟმა მიაწოდა. რაინდი ფრიდრიხ ფონ მალცანი მოწიწებით მიესალმა უცნობ საზოგადოებას, და კარვებს შორის ფრთხილად გაიკვლია გზა. ლანდრატის მიწვევით საზოგადოება ისევ კარვებში შევიდა და ამ ამბავზე ხმა არავის ამოუღია.

როგორც კი კურფიურსტი მაგიდას მიუჯდა, ლანდრატმა უჩუმრად კაცი აფრინა დაამეში და დაავალა, მაგისტრატს გა-

დაეცი, დალალი ქალაქში არ შეუშვან, პირდაპირ განაგრძონ გზაო. მაგრამ დაამეში ჩასულმა რაინდმა ფონ მალცანმა განაცხადა: გვიანია და გაჩერება მოგვიწევსო. მაგისტრატი იძულებული გახდა ყველანი დაებინავებინა. რაინდს გზიდან მოშორებით, განმარტოებით მდგარი სახლი მიუჩინეს, რომელიც მაგისტრატს ეკუთვნოდა და უთხრეს, ეს ღამე უხმაუროდ გაათიეთო.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. როცა ბატონებმა ჭამასმით გული იჯერეს და კოლჰაასთან შეხვედრის ამბავიც მთლად გადაივიწყეს, ლანდრატმა მიმოფანტულ სტუმრებს შესთავაზა, მოდით, ერთხელაც წავინადიროთ და იმ ირმების ჯოგს დავედევნოთ, ახლახან რომ გაიქროლა ტყეშიო. წინადადება ყველას მოეწონა, სტუმრებმა თოკებს წამოავლეს ხელი, ღელეები და ბუჩქნარები გადაიარეს და წყვილ-წყვილად შეერივნენ ტყეს. გამყოლმა კურფიურსტი და მის მკლავს დაყრდნობილი ჰელოიზე, რომელსაც ძალზე სურდა ნადირობისთვის ეყურებინა, მათდა გასაოცრად სწორედ იმ სახლის ეზოში შეიყვანა, სადაც კოლჰაასი და ბრანდენბურგელი რაიტერები დაბინავდნენ.

ჰელოიზემ რომ ეს გაიგო, კურფიურსტს მიმართა:

— წავიდეთ, მოწყალეო ბატონო, წავიდეთ! — და კურფიურსტის ყელზე ჩამოკიდებული ძეწკვი ხელის კეკლუცი მოძრაობით აბრეშუმის სამოსის საყელოში ჩაუმალა: — მოდი, სანამ სხვები არ წამოგვწევიან, სახლში შევიდეთ და ის უცნაური კაცი ვნახოთ!

კურფიურსტი გაწითლდა, ქალს ხელი დაუჭირა და უთხრა:

— ეგ რამ გაფიქრებინათ, ჰელოიზე?

ქალმა ფიქრიანად შეავლო თვალი კურფიურსტს, დაამშვიდა, მონადირის სამოსში მაინც ვერ გაეცნობენო და სახლისკენ წაიყვანა. შესასვლელთან ორი მონადირე შემოხვდათ, რომლებსაც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება უკვე მოესწროთ. მონადირეებმა ქალბატონი ჰელოიზე და კურფიურსტი დაარწმუნეს, ლანდრატის ღონისძიებათა შედეგად არც რაინდმა იცის, ვინ არის დაამეს მიდამოში თავმოყრილი საზოგადოება და არც კოლჰაასმაო! ახლა კი გაბედა კურფიურსტმა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და ღიმილით წარ-

მოთქვა: „რა სიგიჟეა! თავად სამყაროს განაგებ, მაგრამ ქალის ბაგეებს ემორჩილები!“

როცა კურფიურსტი და ჰელოიზე ოთახში შევიდნენ, ზურგით კედელს მიყრდნობილი კოლჰაასი ნამჯის შეკვრაზე იჯდა და ავადმყოფ ბავშვს რძეში ჩამბალ ფუნთუშას აჭმევდა. საუბარში რომ ჩაეთრია, ჰელოიზემ ჰკითხა, — ვინ ხარ, ბავშვს რა დაემართა, ან რა დააშავე ისეთი, რომ ასეთი ბადრაგით გიცავენ და საით მიჰყავხარო? კოლჰაასმა ტყავის ქუდი მოიხადა და მოკლედ, მაგრამ ამომწურავად უპასუხა ყველა კითხვაზე, თან ისევ ბავშვს აჭმევდა. მონადირეებს ზურგსუკან ამოფარებულმა კურფიურსტმა შეამჩნია, რომ კოლჰაასს ყელზე აბრეშუმის ძაფით ტყვიის მედალიონი ეკიდა და რადგან სხვა სათქმელი ვერაფრით მოიფიქრა, ესღა ჰკითხა, — მაგ მედალიონს რატომ ატარებ, ან შიგ რა არისო.

— ოჰ, მოწყალეო ბატონო! — დაიწყო კოლჰაასმა, მედალიონი მოიძრო, გახსნა და მედალიონში ჩასმული პატარა დალუქული ბარათი ამოიღო. — უცნაურია ამ მედალიონის ამბავი,—განაგრძო კოლჰაასმა.—მას შემდეგ შვიდი თვე გავიდა. მეუღლის დასაფლავებიდან მეორე დღეს, ეს ამბავი შეიძლება თქვენც გქონდეთ გაგონილი, კოლჰაასენბრუკიდან წამოვედი, რათა შემეპყრო ის რაინდი, რომლის წყალობითაც მრავალი უბედურება გადამხდა თავს. ამ დროს, პატარა სავაჭრო ქალაქ იუტერბოკში, სადაც უნდა გამეველო, ბრანდენბურგისა და საქსონიის კურფიურსტების შეხვედრა ყოფილა დანიშნული. საღამო ხანს მეგობრულ საუბარში გართული კურფიურსტები ქალაქის ქუჩებისა და აჟრიამულებული ბაზრის სანახავად გაემართნენ.

უცბად ბატონებმა ვიღაც ბოშა ქალი დაინახეს, რომელიც ტაბურეტზე იჯდა და კალენდრის მიხედვით ხალხს მომავალს უწინასწარმეტყველებდა. კურფიურსტები ბოშა ქალს მიუახლოვდნენ და ხუმრობით ჰკითხეს — ჩვენც ხომ არ გვეტყვით გულის გასახარებელ ამბავსო. სწორედ იმ დროს მე და ჩემი ხალხი ფუნდუკში დავბინავდით და მერე მოედანზე ამოვყავით თავი. მართალია, ოდნავ მოშორებით ეკლესიის შესასვლელთან ვიდექი და არ მესმოდა, რას ეუბნებოდა ბატონებს ეს უცნაური ქალი, მაგრამ ვხედავდი, რომ ხალხი იცინოდა და ერთმანეთს ეჩურჩულებოდა — ეგ ხომ ყველას არ

ეუბნება, რაც თვითონ იცისო. ცნობისმოყვარე ხალხი ერთმანეთს ავიწროვებდა, იყო ერთი გაწევ-გამოწევა. ეს ყველაფერი ნაკლებ მაინტერესებდა, ცნობისმოყვარეებს ადგილს ვუთმობდი და ბოლოს ეკლესიის შესასვლელთან მიდგმულ მერხზე ავედი. აქედან კარგად დავინახე ორივე ბატონი და მათ წინ ტაბურეტზე დამჯდარი ქალი, რომელიც ქალალდზე რაღაცას ჯღაბნიდა. უცბად ქალი ზეზე წამოდგა, ყავარჯნებს დაეყრდნო და თითქოს ვიღაცას ეძებსო, ბრბოს თვალი მოავლო. ბოლოს შემამჩნია და მომაშტერდა, თუმცა ის ქალი ჩემს დღეში არსად მენახა და არც მკითხაობით ვყოფილვარ ოდესმე დაინტერესებული. ბოშამ ძალისძალად გაარღვია ხალხი, ჩემთან მოვიდა და მითხრა: „აჰა, აიღე! თუ ბატონს თავისი ბედის გაგება სურს, შენ გკითხოს!“ ეს რომ თქვა, მოწყალეო ბატონო, თავისი გაძვალტყავებული ხელით ნაწერი გამომიწოდა, ყველა მე შემომაცქერდა და დარცხვენილმა ძლივსღა ვკითხე: „შენი ასეთი პატივისცემა რით დავიმსახურე, დედილო“? მან რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად მაინც გავიგონე ჩემი სახელი და ორიოდე სიტყვა: „ეს ავგაროზია, ცხენებით მოვაჭრე კოლჰაას! გაუფრთხილდი მას, როდისმე სიკვდილს გადაგარჩენს“ და თვალთაგან მიეფარა.

— რას ვიზამდი! — უწყინრად განაგრძო კოლჰაასმა. — სიმართლე რომ ვთქვა, დრეზდენში ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ცოცხალი მაინც გადავრჩი. ბერლინში რა მიწერია და იქაც გადავრჩები თუ არა, მომავალი გვიჩვენებს.

ეს რომ გაიგონა, კურფიურსტი მერხზე ჩამოჯდა და, მიუხედავად იმისა, რომ შეშინებული ჰელოიზეს შეკითხვას უპასუხა — არაფერი, სრულიად არაფერი მომსვლიაო, ვიდრე ქალი მასთან მისვლას მოასწრებდა, გულშეღონებული ადგილზევე ჩაიკეცა. ამ დროს რაღაც საქმისთვის ოთახში რაინდი ფონ მალცანი შემოვიდა და ეს სურათი რომ დაინახა, შემკრთალმა წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! რა დაემართა ბატონს?

— ჩქარა წყალი! — შესძახა ქალმა.

მონადირეებმა გულშეღონებული კურფიურსტი მეზობელ ოთახში გადაიყვანეს და საწოლზე დააწვინეს.

საერთო დაბნეულობამ უმაღლეს წერტილს მაშინ მიაღ-

წია, როცა პაჟის მიერ მოხმობილმა დარბაზთუხუცესმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა მისი გონზე მოყვანა და მერე გამოაცხადა — მგონი, კურფიურსტს თავში სისხლი ჩაექცაო. მეღვინეთუხუცესმა ლუკაუში ექიმის მოსაყვანად მხედარი აფრინა, ხოლო როცა მბრძანებელმა ცოტა ხნით თვალი გაახილა, იგი კარეტაში გადააყვანინა და კარეტა ნელ-ნელა გაუყენა ახლომდებარე სამონადირეო სასახლისაკენ მიმავალ გზას. კურფიურსტი გზამ ისე დაქანცა, რომ სასახლეში მისულს კიდევ ორჯერ შეუღონდა გული. კურფიურსტმა მხოლოდ მეორე დილით მოიხედა; მისი გასინჯვის შემდეგ ლუკაუელმა ექიმმა დაასკვნა: ნერვული შოკი გადაუტანიაო.

როგორც კი კურფიურსტი გონს მოეგო, მაშინვე ის იკითხა, კოლჰაასი სად არისო.

დარბაზთუხუცესმა მისი კითხვა ვერ გაიგო, მბრძანებელს ხელი დაუჭირა და სთხოვა, საშინელი ადამიანის გახსენებით თავს ნუღარ შეიწუხებთ, იმ უცნაური და გაუგებარი შემთხვევის შემდეგ იგი დაამეს შორიახლო ტყეში დარჩა და ბრანდენბურგელების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებაო. შემდეგ მოუბოდიშა და სინანულით დააყოლა, ჩემს მეუღლეს თავისი ჭარაფშუტული და უპასუხისმგებლო საქციელის გამო ძალზე ვუსაყვედურე, თქვენი კოლჰაასთან შეხვედრა ხომ მისი ბრალი იყოო.

— მაგრამ, ისეთი რა უნდა ეთქვა თქვენთვის, რომ მასთან ლაპარაკის შემდეგ გული შეგიღონდათ? — ჰკითხა ბოლოს დარბაზთუხუცესმა.

— უნდა გამოვტყდე, რაც თავს გადამხდა, ყოველივე იმ პატარა ბარათის ბრალია, კოლჰაასს ტყვიის მედალიონში რომ აქვს შენახული.

კურფიურსტმა სხვაც ბევრი თქვა ისეთი, რაც დარბაზთუხუცესს აბდაუბდად მოეჩვენა. მერე კურფიურსტმა უცებ ხელი დაუჭირა და იმის მტკიცებას მოჰყვა, მაგ ბარათის ხელში ჩაგდება ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არისო და სთხოვა, ახლავე ცხენზე შეჯექი, დაამეს გაემგზავრე და რადაც უნდა დაჯდეს, ის ბარათი აქ ჩამომიტანეო. დარბაზთუხუცესმა ძლივს დაფარა თავისი შეცბუნება და კურფიურსტს უთხრა, თუ იმ ნაწერს თქვენთვის ასეთი ფასი აქვს, ამის თაობაზე კოლჰაასმა არაფერი არ უნდა გაიგოს, თორემ მთელი თქვენი

ქონება არ ეყოფა საშინელი და შურისძიების დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილი კაცის ხელიდან მის გამოსყიდვასო. კურფიურსტის დასამშვიდებლად ესეც დაუმატა — ალბათ ამ საქმეში მესამე ,დაუინტერესებელი კაცის ჩარევა უფრო აჯობებს, ვისი დახმარებითაც შევიძლებთ ხელთ ვიგდოთ თქვენთვის ესოდენ ძვირფასი, კოლჰაასისათვის კი, ალბათ, არაფრისმთქმელი ბარათიო.

კურფიურსტმა ოფლი შეიმშრალა და იკითხა:

— იქნება ახლავე გაგვეგზავნა ვინმე დაამეში და კოლჰაასი იქ მანამ გაგვეჩერებინა, სანამ ბარათს არ გამოვართმევთ?

დარბაზთუხუცესი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა და მბრძანებელს ესღა უპასუხა: სამწუხაროდ, უნდა ვიფიქროთ, რომ დალალი ახლა დაამეს გაცილებული იქნება, საზღვარზეც გავიდოდა და ბრანდენბურგის მიწაზე მოასწრებდა ფეხის დადგმას, ამდენად დალალის დაკავება, მით უფრო მისი უკან წამოყვანა, ბევრ უსიამოვნებას გამოიწვევს და ისეთ სიძნელეებს შეგვიქმნის, რომელთა გადალახვას ვერასოდეს შევძლებთო.

კურფიურსტს სახეზე განწირულება აესახა და ისიც ბალიშზე ხმის ამოუღებლად გადაესვენა. ეს რომ დაინახა, დარბაზთუხუცესმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ჰკითხა:

— მაინც რა წერია იმ ბარათში, ან საიდან გაიგეთ, რომ ბარათში თქვენზეა ლაპარაკი?

კურფიურსტმა უნდობლად შეხედა თავის დარბაზთუხუცესს და არაფერი უპასუხა. ერთხანს გაუნძრევლად იწვა, გული საშინლად უცემდა და ხელში ჩაბღუჯული ცხვირსახოცის წვერს დაფიქრებით დასცქეროდა. მერე დარბაზთუხუცესს სთხოვა:

— იუნკერი ფონ შტაინი გამომიგზავნე, აი ის ბრგე და მარჯვე ბატონი, რომელიც უწინაც ხშირად გამომდგომია საიდუმლო საქმეების მოგვარებაში. უთხარი, ახალი საქმე გელის-თქო.

კურფიურსტმა იუნკერს საქმის ვითარება გააცნო, იმ ბარათის ამბავიც უთხრა, კოლჰაასს რომ ჰქონდა შენახული და დააყოლა, — ჩემთან მეგობრობის უფლებას მოიპოვებ, თუ კოლჰაასის ბერლინში ჩასვლამდე იმ ნაწერს დაიხსნიო. მართალია, დავალება მეუცნაურა, მაგრამ მთელი ჩემი არსებით

მზად ვარ გემსახუროთო, — უპასუხა იუნკერმა. კურფიურსტმა რომ ეს მოისმინა, იუნკერს უთხრა, ახლავე ცხენზე შეჯექი, კოლჰაასს დაეწიე და რაკი საეჭვოა ბარათი მოგყიდოს, წინდახედული საუბრით სიცოცხლე და თავისუფლება აღუთქვი, თუ საჭირო დარჩა, ცხენებით, ხალხითა და ფულით დაეხმარე ბრანდენბურგელი რაიტერებისგან განთავისუფლებაშიო.

როცა იუნკერმა მბრძანებლისაგან ამ სიტყვების წერილობითი დადასტურებაც მიიღო, დაუყოვნებლივ აიყოლია რამდენიმე მსახური, ცხენებს მოახტნენ, მთელი გზა დაუზოგავად აჭენეს და საბედნიეროდ კოლჰაასს მაშინ მიუსწრეს, როცა იგი საზღვრისპირა სოფელში რაინდ ფონ მალცანსა და ხუთივე შვილთან ერთად სახლის წინ გაშლილ მაგიდას უჯდა და საჭმელს შეექცეოდა. რაინდ ფონ მალცანს იუნკერმა შემთხვევით გამვლელად გააცნო თავი, რომელსაც ამ უცნაური კაცის ნახვა აინტერესებდა და ფონ მალცანმაც სტუმარი მაგიდასთან მიიპატიჟა. რაინდი მაგიდიდან ხშირად დგებოდა ხოლმე, რათა გასამგზავრებელი თადარიგი დაეჭირა, რაიტერები ცალკე მაგიდასთან სადილობდნენ, ასე რომ იუნკერს მალე მიეცა საშუალება დალალისათვის თავისი ვინაობა და მოსვლის მიზანი ეცნობებინა.

კოლჰაასმა კარგა ხანია იცოდა იმ პიროვნების სახელი და ტიტული, ვისაც დაამეში მედალიონის დანახვაზე გული შეუწუხდა. ბარათის შინაარსის გამხელით დალალს შეეძლო გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა მისთვის, მაგრამ არ მოისურვა, რადგან კარგად ახსოვდა კურფიურსტის მდაბალი და არაკეთილშობილური მოპყრობა და ახლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეს საიდუმლო არავისთვის არ გაემხილა.

— მაინც რა არის შენი უცნაური უარის მიზეზი, ჩვენ ხომ სიცოცხლესა და თავისუფლებას გპირდებით? — ჰკითხა იუნკერმა.

— კეთილშობილო ბატონო! — დაიწყო კოლჰაასმა, — თქვენი ბატონი რომ მობრძანდეს აქ და მითხრას: „ახლავე თავსაც მოვიკლავ და იმათაც გავანადგურებ, ვინც ქვეყნის მართვა-გამგეობაში მეხმარება“, — რაც, მოგეხსენებათ, ჩემი სანუკვარი ოცნებაა, მაინც არ დაგითმობდი იმ ბარათს, სიცოცხლეზე მეტს რომ ნიშნავს მისთვის და ასე ვეტყოდი: „შენ შეგიძლია ეშაფოტზე გამგზავნო, მე კი შემიძლია გული გატკინო და ვიზამ კიდეც ამას!“

კოლჰაასს ისეთი სახე ჰქონდა, იფიქრებდი, სიკვდილიც ვერაფერს დააკლებსო. მან ერთ-ერთი რაიტერი მოიხმო იმ საბაბით, ჯამში გემრიელი საჭმელი დარჩა და წაიღეო, მაგრამ ამის შემდეგ იუნკერისთვის ზედაც აღარ შეუხედავს. ოთხთვალაზე რომ ავიდა, გამოსამშვიდობებლად მხოლოდ მაშინ შეაელო თვალი.

ეს საბედისწერო ამბავი რომ შეიტყო, კურფიურსტი ლოგინად ჩავარდა. მისი ჯანმრთელობა ისე შეირყა, ერთხანს ექიმს ხელიც კი ჰქონდა ჩაქნეული, მაგრამ ბუნებით ჯანმრთელმა ორგანიზმმა ბოლოს მაინც დასძლია სენს და რამდენიმე კვირის შემდეგ ავადმყოფი იმდენად მომჯობინდა, რომ საბნებში შეფუთული ბალიშებზე დაასვენეს და კარეტით დრეზდენში გადაიყვანეს, სადაც კურფიურსტს სახელმწიფოს საქმეები ელოდა. დრეზდენში შესვლისთანავე მბრძანებელმა პრინცი ქრისტიერნ ფონ მაისენი მოიხმო და ჰკითხა:

— რა ისმის სასამართლოს მრჩეველ აიბერნმაიერის ვენაში გამგზავრების თაობაზე, მას ხომ მისი ბრწყინვალება კაიზერისათვის კოლჰაასის მიერ სახელმწიფოს მშვიდობიანობის დარღვევის გამო ჩვენი საჩივარი უნდა გადაეცა?

— თქვენი ბრძანების თანახმად, რომელიც დაამეში გამგზავრების წინ გამოეცით, — მოახსენა პრინცმა, — როგორც კი დრეზდენის სასამართლოში ბრანდენბურგის კურფიურსტის მიერ გამოგზავნილმა სწავლულმა იურისტმა ჰოინერმა სარჩელი აღძრა იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას წინააღმდეგ, აიბენმაიერმა დაუყოვნებლივ გასწია ვენისაკენ.

კურფიურსტს სახე აელეწა, გაუკვირდა — ასეთი აჩქარება რა საჭირო იყოო და სამუშაო მაგიდასთან მისულს გაახსენდა, აკი ვბრძანე — დოქტორ ლუთერთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე, რომელმაც კოლჰაასისათვის ამნისტია გამოითხოვა, აინბერმაიერის გამგზავრება შეაჩერეთ განსაკუთრებულ განკარგულებამდეო. უკმაყოფილო მბრძანებელმა მაგიდაზე დალაგებული წერილები და ქაღალდები მიყარ-მოყარა, — იქნებ დავმშვიდდეო. პრინცი ერთ ხანს დუმდა და გაოცებული შეჰყურებდა კურფიურსტს.

— ძალზე ვწუხვარ, — თქვა ბოლოს პრინცმა, რომ ამ საქმეში უსიამოვნება შეგახვედრეთ, მაგრამ მინდა სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება გიჩვენოთ. ამ გადაწყვეტილების

საფუძველზე მრჩეველის ვენაში გაგზავნა მე დამევალა. ისიც უნდა მოგახსენოთ, — განაგრძო პრინცმა, — რომ სახელმწიფო საბჭოში დოქტორ ლუთერთან მოლაპარაკების თაობაზე სიტყვაც არ თქმულა. ასეთი მოლაპარაკება სასულიერო პირთან, რომელიც თავმდებად დაუდგა კოლჰაასს, ადრე ალბათ მიზანშეწონილი იყო, მაგრამ ახლა, როცა გამოცემული ამნისტია ყველას თვალწინ აშკარად დაირღვა, კოლჰაასი დააპატიმრეს და დასასჯელად ბრანდენბურგს გადასცეს, ამას უკვე აზრი აღარა აქვს.

— აიბენმაიერის გაგზავნა თავისთავად არაფერს ნიშნავს, — ჩაურთო კურფიურსტმა, — მთავარი ისაა, რომ შემდგომი განკარგულების მიღებამდე იგი ბრალმდებლად არ გამოვიდეს. — ასეთი შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით კურფიურსტმა პრინცს სთხოვა შიკრიკის ხელით ეს გაფრთხილება აიბენმაიერს დაუყოვნებლივ აცნობეო.

— ამ ბრძანების გაცემა, — მოახსენა პრინცმა, — სამწუხაროდ ერთი დღით დაგვიანდათ, რადგან დღეს მიღებული ცნობის თანახმად, აიბენმაიერმა, როგორც ბრალმდებელმა, ვენის სახელმწიფო კანცელარიაში საჩივარი უკვე გადასცა.

— ასე უცებ როგორ მოასწრო ყველაფერი? — იკითხა გულგახეთქილმა კურფიურსტმა.

— მრჩევლის წასვლის შემდეგ სამი კვირა გავიდა, ხოლო მიცემული ინსტრუქციის თანახმად, იგი მოვალე იყო ეს საქმე ვენაში ჩასვლისთანავე მოეთავებინა, — შენიშნა პრინცმა და განაგრძო: — საქმის დაყოვნება სრულებით არ ივარგებდა, რადგან ბრანდენბურგელმა რწმუნებულმა ცოინერმა მკაცრად გაილაშქრა იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას წინააღმდეგ, გამტყავებლისგან ცხენების წამოყვანა მოითხოვა და მოპასუხის წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც თავისი გაიტანა.

კურფიურსტმა ზარს ჩამოჰკრა და თქვა:

— არა უშავს, ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ პრინცს რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვა მისცა, ჩემი აქ არყოფნის განმავლობაში ხომ არაფერი მოხდა, დრეზდენში რა ამბავიაო? და რაკი თავისი აღელვების დამალვას ველარ ახერხებდა, პრინცს თავი დაუკრა — აუდიენცია დამთავრებულიაო. იმავე დღეს კურფიურსტმა პრინცს წერილობით სთხოვა, კოლჰაასის საქმე მე გადმომებარე, რადგან ეს საქმე პოლიტიკურად მნიშვნელოვანია და სჯობს მე თვითონ

მოეკიდო ხელიო. კურფიურსტს იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო სიცოცხლეს გამოესალმებინათ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც იმ საბედისწერო ბარათის საიდუმლოება იცოდა. ამიტომ კურფიურსტმა კაიზერს საკუთარი ხელით მისწერა უსტარი, სადაც წერდა: საფუძვლიან მოსაზრებათა გამო, რომელთაც უმოკლეს დროში გაცნობებთ, უმორჩილესად გთხოვთ კოლჰაასის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი შემდგომი გადაწყვეტილების მიღებამდე აიბენმაიერს უკანვე დაუბრუნოთო.

კაიზერმა ამ წერილს სახელმწიფო კანცელარიაში შედგენილი ნოტით უპასუხა: ძალზე მაოცებს ეს უეცარი ცვლილება, რომელიც, ჩანს გულმა გიკარნახათ; საქსონიიდან მოსული მოხსენება წმინდა რომის იმპერიისათვისაც მეტად მნიშვნელოვანია; ამიტომ, მე, კაიზერმა, იმპერიის მეთაურმა, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე ბრანდენბურგის საკურფიურსტოში ბრალმდებლად გამოვსულიყავი; რაკი ჰოფასესორი ფრანც მიულერი, რომელსაც მე პროკურორის მოვალეობა დავაკისრე, უკვე ბერლინს გაემგზავრა, რათა კოლჰაასი, იმპერიის მშვიდობის ეს დამრღვევი, სამართალში მისცეს, ზემომოყვანილ მიზეზთა გამო მის წინააღმდეგ აღძრული საჩივარი, ბუნებრივია, არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლება უკან წაიღოთ და საქმე კანონისდა მიხედვით წარიმართება.

ეს ნოტა კურფიურსტისათვის შხამის უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. მისდა საუბედუროდ მალე ბერლინიდან კერძო წერილიც მოვიდა, რომლითაც ატყობინებდნენ, კოლჰაასის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო და მისი ვექილის მეცადინეობის მიუხედავად ბრალდებულს ეშაფოტზე აიყვანენო. ამის გამო უბედურმა მბრძანებელმა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა განიზრახა — ბრანდენბურგის კურფიურსტს საკუთარი ხელით მისწერა წერილი და სთხოვა, კოლჰაასს სიცოცხლე შეუნარჩუნეთო. ასე სწერდა: ამ კაცის სიკვდილით დასჯა ამნისტიის პირობის დარღვევა იქნებაო, ირწმუნებოდა, მოჩვენებითი სიმკაცრის მიუხედავად მისი სიცოცხლესთან გამოსალმება წუთითაც არ მიფიქრია და მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავვარდები, თუკი ბერლინში გაწეული მფარველობა მოულოდნელ უბედურებად შეეცვლება და აღმოჩნდება, რომ კოლჰაასის დრეზდენში დატოვება და მისი საქსო-

ნიის კანონმდებლობით გასამართლება აჯობებდაო.

ბრანდენბურგის კურფიურსტს წერილში ზოგი რამ ბუნდოვანი და ორაზროვანი მოეჩვენა და საქსონიის კურფიურსტს პასუხი გასცა — მისი ბრწყინვალების პროკურორმა ისე წაიყვანა საქმე, კანონს ველარ გადავუხვევ და ამდენად სურვილს ვერ შეგისრულებთო. ტყუილად სწუხხართ, — წერდა კურფიურსტი, ამნისტიას თქვენ კი არ არღვევთ, არამედ რაიხის მეთაური, ვისთვისაც ბერლინის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება სულაც არ არის ხელშეუვალიო. ბრანდენბურგის კურფიურსტი იმასაც სწერდა, კოლჰაასის სამაგალითო დასჯა ჰკუისსასწავლი იქნება ნაგელშმიტისათვის, რომელიც კვლავინდებურად დათარეშობს თავისი რაზმით და იმდენად გათავხედდა, რომ ბრანდენბურგის საზღვრებიც გადმოლახაო. ბოლოს კურფიურსტი სთხოვდა, თუ ჩემი პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, მაშინ თვით მის ბრწყინვალებას მიმართეთ, რადგან კოლჰაასის ბედი მხოლოდ მის ხელშიაო.

იმის გამო, რომ მისმა ცდებმა შედეგი არ გამოიღო, გაბოროტებული და გულგატეხილი საქსონიის კურფიურსტი კვლავ ლოგინად ჩავარდა. როცა ერთ დილას დარბაზთუხუცესმა ავადმყოფი მოინახულა, კურფიურსტმა მას ვენასა და ბერლინში მიწერილი წერილების პირები უჩვენა, რომელთა მეშვეობით იგი კოლჰაასისთვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ამ გზით სანუკვარი ბარათის ხელში ჩაგდებას ცდილობდა.

დარბაზთუხუცესი მბრძანებლის წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა, რაც კი რამ ძვირფასი და წმინდა გაგაჩნიათ, ყველაფერს გაფიცებთ, მითხარით, იმ ბარათში რა წერიაო.

— კარი ჩარაზე და ლოგინზე ჩამომიჯექი, — უპასუხა კურფიურსტმა, მერე ხელი ხელზე წაავლო, დარბაზთუხუცესი გულზე მიიკრა, ამოიოხრა და თხრობა დაიწყო: — რამდენადაც ვიცი, მეუღლემ უკვე გიამბო, რომ მე და ბრანდენბურგის კურფიურსტმა იუტერბროკში ყოფნის დროს ბოშა ქალი ვნახეთ. ბუნებით მოუსვენარმა კურფიურსტმა გადაწყვიტა, ხალხის თვალწინ გაემასხარავებინა და ნიღაბი ჩამოეგლიჯა ამ ქალისათვის, ვისი ხელოვნებაც სულ ცოტა ხნით ადრე, სადილობის ჟამს კურფიურსტმა აბუჩად აიგდო. კურფიურსტმა ხელები ზურგს უკან შემოიწყო, ქალთან მივიდა და უთხრა,

მიმკითხავეო, ოღონდ ისეთი რამ მითხარი, დღესვე ამიხდეს, თორემ რომაელი სიბილაც რომ იყო, შენსას არაფერს დავიჯერებო. ქალმა უცბად შეგვათვალიერა და გვითხრა, — ვიდრე ბაზრის მოედნიდან გახვალთ, წინ დიდი, რქაფიწალა გარეული თხა შემოგეყრებათ, რომელიც მებაღის ბიჭმა პარკში გაზარდაო. იცოდე, დრეზდენის სამზარეულოსთვის განკუთვნილი ეს თხა მაღალი ლატნებით შემოღობილ ბაკში იყო გამომწყვდეული, რომელსაც უცხო თვალისაგან პარკის მაღალი მუხები ფარავდა. ამას გარდა, მთელ პარკსა და იქვე მდებარე ნაკრძალს, რომელიც წვრილი ნადირითა და ფრინველითაა სავსე, მკაცრად იცავენ, ამიტომ გაუგებარია, რანაირად უნდა ახდეს უცნაური წინასწარმეტყველება და როგორ უნდა მოხვდეს გარეული თხა ბაზრის მოედანზე. კურფიურსტმა იფიქრა, აქ რაღაც ეშმაკობა იმალებაო, ერთი-ორი სიტყვით გამომელაპარაკა და გადაწყვიტა, რაც უნდა თქვას მკითხავმა, ყველაფერს ჩავუშლი და ამით გავაპამპულებო. ამ მიზნით სასახლეში კაცი გაგზავნა და დაავალა — გარეული თხა ახლავე დაკალით და ხვალ-ზეგ სუფრაზე მოგვართვითო. მერე ბოშა ქალს მიუბრუნდა, რომელმაც ეს ლაპარაკი გაიგონა და ჰკითხა: „ახლა რაღას მიწინასწარმეტყველებ?"

ქალმა კურფიურსტის ხელისგულს დახედა და თქვა: „სიკეთე და გამარჯვება ჩემს კურფიურსტსა და მბრძანებელს! შენი ვარსკვლავი დიდხანს იბრწყინებს მამა-პაპათა სასახლეში, უძლეველი იქნება შენი დიდებული შთამომავლობა".

კურფიურსტი დუმდა და დაფიქრებული შეჰყურებდა ქალს, მერე მე მომიბრუნდა და ხმადაბლა მითხრა, ახლა კი ვწუხვარ, რომ მკითხავის წინასწარმეტყველების ჩასაფუშად სასახლეში კაცი გავგზავნეო. იქვე მდგარმა მისმა რაინდებმა ქალს კალთაში მუჭებით ჩაუყარეს ფული, კურფიურსტმა თვითონაც ჩაიყო ჯიბეში ხელი, მკითხავს ოქრო გადაუგდო და ჩემზე ჰკითხა, ამაზეც ხომ არ იტყვი რაიმე კარგსო. ქალმა იქვე დადგმულ ყუთს სახურავი ახადა, ფული დაახარისხა, მონდომებით ჩაალაგა შიგ და ყუთს ისევ დაახურა სახურავი, მერე ხელით თვალები მოიჩრდილა, გეგონებოდა, მზის სხივები მკითხაობაში ხელს უშლიანო და, როგორც იქნა, მეც შემომხედა. ბოშა ქალს ჩემი მეგობრის კითხვა გავუმეორე და ვიდრე იგი ჩემს ხელისგულს ათვალიერებდა, კურფიურსტს

ვუთხარი: ეტყობა, სასიამოვნო რამის თქმას არ აპირებს-მეთქი. ამის გაგონება იყო და მკითხავმა ყავარჯნები მოიმარჯვა, სკამიდან წამოიმართა, ხელები უცნაურად გამოიწვდინა ჩემკენ, მომიახლოვდა და ყურში გარკვევით ჩამჩურჩულა: „არა!“ დავიბენი, ერთი ნაბიჯით დავიხიე, მკითხავი კი ისეთი გაყინული თვალებით შემომცქეროდა, იფიქრებდი, თვალები შუშისა აქვსო. ბოლოს მკითხავი ისევ სკამზე დაეშვა. „ის მაინც მითხარი, რომელი მხრიდან ემუქრება ჩემს სახლს საშიშროება?“ ვკითხე ქალს. მკითხავმა ქაღალდი და ნახშირი მოიმარჯვა, ფეხი მოხარა და შემომთავაზა, ხომ არ გირჩევნია, დაგიწეროო. დაწერე-მეთქი, ვუთხარი შეშფოთებულმა, რადგან სხვა გზა არ მქონდა. „სამ რამეს დაგიწერ, — მითხრა მკითხავმა, — შენი სასახლის ბოლო მბრძანებლის სახელს, წელიწადს, როცა იგი ტახტს დაკარგავს და იმ კაცის სახელს, ვინც იარაღით დაიპყრობს შენს სამეფოს“.

ეს ყველაფერი ხალხის თვალწინ დაწერა, ბარათს ლუქი დაასხა, მერე წამოდგა, დაჩამიჩებული ტუჩები მიადო, დაანერწყვა, და შუათითზე გაკეთებული ტყვიის ბეჭდით ლუქს ნიშანი დაადო. ერთი სული მქონდა ვიდრე გავიგებდი, რა ეწერა ბარათში. ის იყო ბარათის გამოსართმევად ხელი წავიღე, მაგრამ ბოშამ შემაჩერა: „არა, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ არ მოგცემთ!“ — და ყავარჯნი მაღლა ასწია: „ბარათს, თუ დაგჭირდება, აი იმ კაცისაგან გამოიხსნი, თავზე რომ ფრთებით შემკული ქუდი ახურავს და ხალხში ყველაზე უკან დამდგარა ეკლესიის შესასვლელთან“!

ვერც კი მოვასწარი კარგად გამეგო მისი ნათქვამი, რომ ქალმა თავის ყუთს ხელი წამოავლო, ზურგზე მოიგდო, ხალხს შეერია და გაოცებისგან ენაჩავარდნილი მოედანზე მიმატოვა. ამ დროს სწორედ რომ ჩემდა ნუგეშის საცემად გამოჩნდა ის რაინდი, კურფიურსტმა რომ ციხე-დარბაზში გაგზავნა. რაინდმა სიცილით მოგვახსენა, გარეული თხა ჩემს თვალწინ დაკლეს და ორმა მონადირემ იგი სამზარეულოში შეათრიაო. გამხიარულებულმა კურფიურსტმა ხელი ჩამკიდა, მოედნიდან ჩემი გაყვანა მოინდომა და მითხრა: „ასეც ვიცოდი, ეს მკითხაობა ჩვეულებრივი თაღლითობაა და ფული და დრო ტყუილად დავხარჯეთო!“

მაგრამ ბრანდენბურგის კურფიურსტს ჯერ დამთავრებუ-

ლიც არ ჰქონდა სათქმელი, გაოცებისაგან კინაღამ მუცელში ჩაგვივარდა ენა. მოედანზე უცებ ერთი გნიასი ატყდა და ყველანი ციხე-დრბაზიდან გამოსულ მეხორცის ნაგაზს მიაცქერდნენ. ძაღლს სამზარეულოდან დაკლული თხა დაეთრია და მოარბენინებდა, უკან კიდევ შინამოსამსახურეები მოსდევდნენ. შორს რომ ველარ წაიღო, ძაღლმა დაკლული თხა ჩვენგან სამი ნაბიჯის დაშორებით დააგდო და კუდამოძუებული სადღაც გავარდა. ასე ახდა ბოშა ქალის წინასწარმეტყველება და გარეული თხა, მართალია დაკლული, ბაზრის მოედანზე მაინც ვიხილეთ. ზამთარში რომ მეხი გავარდნილიყო, ისე არ წარმექცეთებოდა სასო, როგორც ამ თხის დანახვაზე და, როცა გარშემოხვეულ ხალხს თავი დავაღწიე, ჩემი პირველი საზრუნავი გახდა, როგორმე მომეძებნა ის კაცი, რომელსაც ბოშა ქალმა ბარათი გადასცა. სამი დღე ეძება ჩემმა ხალხმა ფრთებით ქუდშემკობილი კაცი, სად არ ეძებეს, მაგრამ მის ნაკვალევს ვერსად მიაგნეს. ახლა კი, ჩემო მეგობარო კუნც, ამ რამდენიმე კვირის წინათ, დაამეს აგარაკზე ჩემი თვალით სწორედ ის კაცი ვნახე.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე საქსონიის კურფიურსტმა დარბაზთუხუცესს ხელი გაუშვა, გაოფლილი სახე შეიმშრალა და ლოგინზე მიესვენა.

დარბაზთუხუცესმა ზედმეტად მიიჩნია საკუთარი აზრის გამოთქმა, მით უმეტეს, რომ კურფიურსტი თავის განზრახვას მაინც არ გადათქვამდა და მბრძანებელს შესთავაზა, იქნებ რაღაც ხერხი მოვიგონოთ, როგორმე ბარათს დავეუფლოთ, ის ჯეელი კი ეშმაკსაც წაუღიაო. მაგრამ კურფიურსტმა უპასუხა, საამისო საშუალებას ვერ ვხედავ, გულს მისერავს იმის გაფიქრებაც, რომ ბარათი ამ კაცთან ერთად უნდა დაიმარხოსო. მეგობრის კითხვაზე, ნუთუ არ შეეცადეთ ბოშა ქალი მაინც გეპოვნათო, კურფიურსტმა უპასუხა: როგორ არა, რაღაც მოვიმიზეზე, ბრძანება გავეცი — მოძებნეთ მეთქი, მაგრამ იმ ბოშა ქალს მთელ საკურფიურსტოში დღემდე ვერსად მიაგნეს და ზოგიერთი მოსაზრების გამო, რომელსაც ახლა ვერ გავამჟღავნებ, ვფიქრობ იგი საქსონიაში საერთოდ არ უნდა იყოს.

სწორედ იმ ხანებში დარბაზთუხუცესი ბერლინში აპირებდა გამგზავრებას იმ უზარმაზარი მამულების თაობა-

ზე, მის ცოლს მემკვიდრეობით რომ ერგო ერცკანცლერ გრაფ კოლჰაიმისგან. — გადაყენების შემდეგ გრაფი მალე გარდაიცვალა. რაკი დარბაზთუხუცესს წრფელი გულით უყვარდა კურფიურსტი, სთხოვა, ამ საქმეში მოქმედების სრული თავისუფლება მომანიჭეთო. ხოლო როცა კურფიურსტმა დარბაზთუხუცესის ხელი მკერდზე მიიკრა და უთხრა; თავი ჩემ ადგილას წარმოიდგინე და ის ბარათი როგორმე მომიტანეო, — დარბაზთუხუცესმა სასწრაფოდ მოაგვარა საქმეები და ნაჩქარევად გაეშურა ბერლინისაკენ, თან მხოლოდ რამდენიმე მსახური იახლა, ცოლი კი შინ დატოვა.

ამასობაში, როგორც უკვე ითქვა, ბერლინში ჩაყვანილი კოლჰაასი ბრანდენბურგის კურფიურსტის საგანგებო ბრძანებით რაინდთა საპატიმროში მოათავსეს, სადაც მას და მის ხუთივე შვილს პატიმრის კვალობაზე ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს. როგორც კი ვენიდან კაიზერის მიერ დანიშნული პროკურორი ჩამოვიდა, კოლჰაასი იმპერიის მშვიდობიანობის დარღვევისათვის უმაღლესი სასამართლოს წინაშე წარსდგა. თუმცა დალალმა პირველივე დაკითხვის დროს განაცხადა, ლუტცენში საქსონიის კურფიურსტთან ჩემი შეთანხმების თანახმად არ შეიძლება საქსონიის საკურფიურსტოზე შეიარაღებულ თავდასხმასა და ძალადობაში ბრალი დამედოსო, მაგრამ კოლჰაასის ამ განცხადებას ყური არ ათხოვეს და დალალს ასე განუმარტეს: მისი უდიდებულესობა კაიზერი, ვისი პროკურორიც აქ ბრალმდებლად გამოდის, ამ გარემოებას მხედველობაში ვერ მიიღებსო. ხოლო როცა დალალს შეატყობინეს, იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას წინააღმდეგ დრეზდენში აღძრული შენი სარჩელი მთლიანად დააკმაყოფილესო, კოლჰაასმა ფარხმალი დაყარა. სწორედ იმ დღეს, როცა დარბაზთუხუცესი ბერლინში ჩავიდა, სასამართლომ კოლჰაასს თავის მოკვეთა მიუსაჯა. საქმე ისე იყო არეულ-დარეული, რომ არავის სჯეროდა — განაჩენს სისრულეში მოიყვანენო. მთელი ქალაქი დარწმუნებული იყო, რაკი კურფიურსტი კოლჰაასის მიმართ კეთილად არის განწყობილი, მისი მძლეთამძლე სიტყვის წყალობით სასიკვდილო განაჩენს ალბათ ხანგრძლივი და მკაცრი პატიმრობით შეუცვლიანო.

დარბაზთუხუცესი მიხვდა, რომ თუკი თავისი ბატონის დავალების შესრულებას აპირებდა, დრო უქმად აღარ უნდა დაკ

ეკარგა და თავის საყოველდღეო ტანისამოსში გამოწყობილი საპატიმროსთან წინ და უკან სიარულს მოჰყვა. კოლჰაასი ამ დროს გულხელდაკრეფილი იდგა თავისი საკნის სარკმელთან, გამვლელებს თვალით აცილებდა. უეცრად კოლჰაასი შეკრთა და დარბაზთუხუცესმაც დაასკვნა, კოლჰაასმა უთუოდ მიცნოო. კუნც ფონ ტრონკამ განსაკუთრებული სიამოვნებით შენიშნა, რომ დალალმა უნებლიეთ ყელზე ჩამოკიდებული მედალიონი საკენ წაიღო ხელი. ეს ამბავი დარბაზთუხუცესმა კოლჰაასის სულიერი შეშფოთების გამოვლინებად ჩათვალა და ყოველივე იმის დასტურად მიიჩნია, რომ ბარათის ხელში ჩასაგდებად მოქმედება დაეწყო. ბატონმა კუნცმა ერთი ძველმანებით მოვაჭრე ყავარჯნიანი მოხუცი ქალი მოაყვანინა, — ეს ქალი ძველმანებით მოვაჭრეთა ბრბოში ადრეც ჰყავდა შენიშნული, დარბაზთუხუცესმა იგი იმ მკითხავს მიამგვანა, კურფიურსტმა რომ აუწერა. ბატონმა კუნცმა იფიქრა, კოლჰაასს ალბათ აღარც კი ემახსოვრება ის მოხუცი ქალი, რომელმაც ბარათი გადასცაო და გადაწყვიტა, სწორედ ეს ქალი მიეგზავნა დალალთან, — თუკი შესძლებს, ბოშა მკითხავის როლს დავაკისრებო. ამ მიზნით დარბაზთუხუცესი მოხუც ქალს დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს, რაც კურფიურსტსა და მკითხავ ქალს შორის მოხდა იუტერბოკში. მაგრამ რაკი დარბაზთუხუცესი არ იყო დარწმუნებული, ყოველივე კარგად გავაგებინეო, მოხუცს დაავალა, განსაკუთრებული ყურადღება მიექციე იდუმალებით მოცულ იმ სამ პასუხს, რაც ბარათში სწერია, თან სთხოვა, ეცადე გაუგებრად და ბუნდოვნად ილაპარაკო, რომ დალალს ეშმაკობით მაინც გამოსძალო საქსონიის სამეფო კარისათვის მნიშვნელოვანი ბარათიო. შემდეგ დაარიგა, კოლჰაასს უთხარი, ეგ მედალიონი შენს ხელში საიმედოდ ვერ იქნება დაცული, ამიტომ რამდენიმე დღით, სანამ საშიშროება გაივლის, მე შეგინახავ-თქო. ძველმანებით მოვაჭრე ქალმა დარბაზთუხუცესისაგან დაპირებული გასამრჯელოს ხათრით მაშინვე ითავა ამ საქმის მოგვარება და წინასწარ შეპირებული გვარიანი თანხის ნაწილიც ჩაიჯიბა. უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც მეძველმანე ქალი მიულბერგთან დაღუპული ჰერზეს დედას იცნობდა, რომელიც უფროსების ნებართვით დროდადრო საპატიმროში ნახულობდა ხოლმე კოლჰაასს და მოხუცსაც დიდად არ გასჭირვებია სატუსაღოში შესვლა. პატარა საჩუქ-

რით მან ციხის გუშაგი მოისყიდა და რამდენიმე დღის შემდეგ დალალი მოინახულა.

როგორც კი კოლჰაასმა თვალი მოჰკრა საკანში შემოსულ მოხუც ქალს, რომელსაც თითზე ტვიფრიანი ბეჭედი ეკეთა, ხოლო ყელზე მარჯნის ძეწკვი ეკიდა, იგი მაშინვე ნაცნობ ბოშა ქალად მიიჩნია, რომელმაც იუტერბოკში ეს ბარათიანი მედალიონი გადასცა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიმართლედ გასაღებული ამბავი ყოველთვის ეერაა ჰეშმარიტება და ამჯერადაც ისეთი რამ მოხდა, რაშიაც მკითხველს შესაძლოა ეჭვი შეეპაროს; როგორც აღმოჩნდა, დარბაზთუხუცესმა უდიდესი შეცდომა დაუშვა: როცა იგი ბერლინის ქუჩებში მოხუც ქალს დაეძებდა, რომელსაც მისი ჩანაფიქრი უნდა განეხორციელებინა, დარბაზთუხუცესი შემთხვევით სწორედ იმ იდუმალებით მოცულ ბოშა ქალს გადაეყარა, იუტერბოკში რომ კურფიურსტს უმკითხავა.

ასე იყო თუ ისე, მოხუცი ბოშა კოლჰაასის საკანში მოხვდა და ბავშვებს ლოყაზე მოეალერსა. მისი უცნაური შესახედაობით შემკრთალი ბავშვები მამას მიეტმასნენ. ყავარჯნებზე დაყრდნობილმა ქალმა კოლჰაასს აცნობა: უკვე დიდი ხანია საქსონიიდან ბრანდენბურგში ჩამოვედი. გავიგე, რომ ბერლინის ქუჩებში დარბაზთუხუცესი დადიოდა და გაუფრთხილებლად დაეძებდა იმ ბოშა ქალს, რომელიც შარშან გაზაფხულზე იუტერბოკში ნახაო. მაშინვე მისკენ გავეშურე და თვალში შევეჩეხე. როცა მიმიხმო, მოგონილი სახელით გავეცანი და მოცემული დავალების აღსრულება ვიკისრე.

დალალს უცებ ერთი რამ ენიშნა: ქალი საოცრად ჰგავდა მის გარდაცვლილ მეუღლეს და ეს მსგავსება იმდენად დიდი იყო, რომ კინაღამ ჰკითხა, დიდედად ხომ არ ეკუთვნი ლიზბეტსო, რადგან არა მარტო სახის ნაკვთები, მოხუც ქალს ჯერაც ლამაზი ხელები ერთთავად ლიზბეტს აგონებდა. ბოშა ქალის ყელზე კოლჰაასმა ისეთივე ხალი შენიშნა, ლიზბეტსაც რომ ჰქონდა იმავე ადგილას. დალალს ფიქრები აერია, სტუმარი სკამზე დასვა და ჰკითხა, მაინც რა დავალებით გამოგზავნა ჩემთან დარბაზთუხუცესმაო. კოლჰაასის ძაღლი ქალის კალთას ელაქუცებოდა და ალერსიანად აჭიკინებდა კუდს. მკითხავი ძაღლს ზურგზე ხელს უსვამდა, თან კოლჰაასს საქმის ვითარებას აცნობდა: დარბაზთუხუცესმა დამავალა გამე-

გო, თუ რა პასუხებია გაცემული ბარათში იმ სამ საბედისწერო კითხვაზე, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია საქსონიის კარისთვის; ამას გარდა ისიც შემოგითვალა, ბერლინში ვიღაც კაცია ჩამოსული, რომელსაც ბარათიანი მედალიონის ხელში ჩაგდება სურს და ამ ბარათს აუცილებლად წაგართმევს, თუკი შესანახად მე არ გადმომცემო. თვითონ მე კი ის მინდა გითხრა, რომ მათი მუქარა — ძალით ან ეშმაკობით როგორმე წაგართვან მედალიონი, შედეგს არ გამოიღებს და რომ შენ, ბრანდენბურგის კურფიურსტის მფარველობის ქვეშ მყოფ კაცს, სრულიადაც არ უნდა გეშინოდეს დარბაზთუხუცესისა, ხოლო ეგ ქაღალდი შენთან უფრო საიმედოდ შეინახება, ვიდრე თუნდაც ჩემთან, ოღონდ გაუფრთხილდი, ბარათი არავითარ შემთხვევაში არავის გადასცე. ამას გარდა, — დააყოლა ბოშა ქალმა, — ჩემის აზრით, გონივრულად მოიქცევი, თუკი მაგ ბარათს დანიშნულებისამებრ გამოიყენებ, ყურად იღებ იუნკერ ფონ შტაინის წინადადებას და შენთვის უკვე გამოუსადეგარ ბარათს საქსონიის კურფიურსტს სიცოცხლესა და თავისუფლებაში გაუცვლიო.

კოლჰაასი აღაფრთოვანა იმის შეგნებამ, რომ მტრისათვის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემის საშუალება მიეცა, იმ მტრისათვის, რომელმაც იგი ფეხქვეშ გათელა და ბოშას ასე მიუგო:

— ქვეყანაზე არაფრის გულისთვის არ ვიზამ ამას, დედილო, არაფრის გულისთვის! — მერე მოხუცს ხელზე ხელი წაავლო და ჰკითხა: — კი მაგრამ, ასეთი საშინელი რა წერია ამ ბარათში?

ქალმა მის ფეხებთან ჩაცუცქული კოლჰაასის უმცროსი ბიჭი ხელში აიყვანა, კალთაში ჩაისვა და დალალს უთხრა:

— შეიძლება ქვეყანაზე არაფრის გულისთვის არ გააკეთო ეს, მაგრამ აი ამ ქერა და პაწაწინა მშვენიერი ბავშვის გულისთვის მაინც უნდა დათმო, — მოხუცი მოეფერა და ფაქიზად აკოცა ბიჭს, რომელიც დიდრონი თვალებით შესცქეროდა. ბოშა ქალმა ჯიბეში თავისი თხელი ხელი ჩაიყო, ვაშლი ამოიღო და ბიჭს გაუწოდა.

— ახლა რომ ეს ბავშვები დიდები იყვნენ, საქციელს ეგენიც მომიწონებდნენ. ამ ბარათის შენახვა სწორედ მათი სიკეთისათვის მინდა. — მიუგო დაბნეულმა კოლჰაასმა. მერე

კი ჰკითხა: — იმ ამბის შემდეგ, რაც მე გადამხდა, ვინღა იქნება იმის თავმდები, რომ კურფიურსტის გულისთვის ამ ბარათსაც ისევე უსარგებლოდ არ გავწირავ, როგორც ერთ დროს ლუტცენში ჩემი მებრძოლი რაზმი გავწირე? ვინც ერთხელ გატეხავს მოცემულ სიტყვას, ის კვლავაც მიმუხთლებს. ამ ბარათს, ჯილდოდ რომ მივიღე ჩემი წვალებისათვის, მხოლოდ მაშინ დავთმობ, თუკი შენ მირჩევ.

ქალმა ბიჭი ძირს ჩამოსვა და კოლჰაასს უთხრა: ზოგ რამეში მართალი ხარ, ბარათს კი, როგორც გსურს ისე მოექეციო.

ეს რომ თქვა, მოხუცმა ბოშამ ყავარჯნები წამოკრიფა და წასვლა დააპირა. კოლჰაასმა კიდევ ერთხელ ჰკითხა, ბარათში რა წერიაო, მაგრამ ქალმა ნაჩქარევად მიუგო: — მედალიონის გახსნა თვითონაც შეგიძლია. თუმცა ასეთი საქციელი გაუმართლებელი სულწასულობა იქნებაო. კოლჰაასს ისიც აინტერესებდა, თუ ვინ იყო ეს ქალი, რატომ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, რატომ არ მისცა ბარათი იმ ადამიანს, ვისთვისაც იგი დაიწერა და ამდენ ხალხში ქალმა რაღა მაინცდამაინც მას გადასცა ბარათი, კოლჰაასი ხომ მკითხაობით არასოდეს დაინტერესებულა...

მაგრამ ამ დროს კიბეზე პოლიციელების ფეხის ხმა გაისმა, ქალი შეშინდა, ვაითუ, გუშაგებმა საკანში მომისწრონო და კოლჰაასს სახელდახელოდ გამოემშვიდობა:

— ნახვამდის, კოლჰაას, ნახვამდის! კვლავ რომ შევხვდებით ერთმანეთს, ყველა კითხვაზე პასუხს მაშინ მიიღებ! — ეს რომ თქვა, კართან მივიდა და შესძახა: — მშვიდობით, ბავშვებო, მშვიდობით! — ხუთივე ბავშვი სათითაოდ გადაკოცნა და საკნიდან გავიდა.

ამასობაში საშინელი ფიქრებით გულდამძიმებულმა საქსონიის კურფიურსტმა ორი ასტროლოგი მოიწვია, ოლდენჰოლმი და ოლეარიუსი, რომლებიც საქსონიაში დიდი პატივით სარგებლობდნენ, და მეცნიერებს ბარათის შინაარსის ამოცნობა დაავალა, იმ ბარათისა, რომელსაც მისთვის და მთელი მისი შთამომავლობისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ორივე ასტროლოგი რამდენიმე დღით დრეზდენის სასახლის კოშკში ჩაიკეტა და მთელი გულისყურითა და მონდომებით შეუდგა ვარსკვლავთა მდგომარეობის გამოკვლევას, მაგრამ რაკი ბევრი რამ აღმოჩნდა სადავო, კერძოდ, რაკი ვერ

შეთანხმდნენ რომელ საუკუნეს ეხებოდა წინასწარმეტყველება — შორეულსა თუ ახლო მომავალს, ამასთანავე, რაკი ვერ დაადგინეს, ჰქონდა თუ არა ბარათს რაიმე კავშირი საქსონიისადმი მტრულად განწყობილ პოლონეთის სამეფოსთან, — სწავლულთა ასეთმა მეცნიერულმა დავამ ისედაც სასოწარკვეთილ კურფიურსტს თავზარი დასცა და ლამის ბოლოც მოუღო. ამას კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავიც დაემატა: ამასობაში დარბაზთუხუცესმა თავის მეუღლეს დაავალა, ვიდრე ჩემთან ბერლინში ჩამოხვალ, კურფიურსტი ინახულე და როგორმე შეაპარე,—ჩემი ქმარი ბევრს ეცადა ერთი ქალის დახმარებით ბარათი ხელში ჩაეგდო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ის ქალიც თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ამჟამად ბარათის ხელში ჩაგდების ყოველგვარი იმედი გადაწურულია, თანაც ამ საქმის გულმოდგინე განხილვის შედეგად ბრანდენბურგის კურფიურსტმა სასიკვდილო განაჩენს ხელი მოაწერა და კოლჰაასის სიკვდილით დასჯა ბზობის შემდეგ ორშაბათს არის დანიშნული-თქო.

ეს რომ გაიგო, კურფიურსტს გული ჩასწყდა, სიცოცხლის ხალისი წაერთვა, მბრძანებელი თავის ოთახში გამოიკეტა, მთელი ორი დღე საქმეებისათვის ხელი არ უხლია, მესამე დღეს კი სულ ცოტა ხნით გამოჩნდა კაბინეტის წევრთა წინაშე და შეკრებილთ სასხვათაშორისოდ აუწყა, თავად ფონ დესაუსთან სანადიროდ მიევმგზავრებიო, და დრეზდენიდან გაჭრა. იმის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, მართლაც დესაუში გაემგზავრა თუ არა, ვერაფერს ვიტყვით მით უფრო, რომ წინამდებარე მოთხრობისათვის გამოყენებული ძველი ქრონიკები საოცრად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ერთ რამეში კი შეუძლებელია ეჭვის შეტანა: იმ დროისათვის თავადი ფონ დესაუ ვერსად ვერ ინადირებდა, რადგან იგი ავად იყო და ბრაუნშვაიგში, თავის ბიძის — ჰერცოგ ჰაინრიხის სახლში იწვა. ჰელოიზე გრაფ ფონ კიონიგშტაინის თანხლებით, რომელსაც იგი თავის ბიძაშვილად ასაღებდა, მეორე დღესვე გაემგზავრა ბერლინს, სადაც ქალბატონს მისი მეუღლე — ბატონი კუნც ფონ ტრონკა ელოდებოდა.

ამასობაში ბრანდენბურგის კურფიურსტის ბრძანებით კოლჰაასს სასიკვდილო განაჩენი წაუკითხეს, ბორკილები აახსნეს და დრეზდენში ჩამორთმეული საბუთები, რომლებიც და-

ლალის ყადაღადადებულ ქონებას შეეხებოდა, უკანვე დაუბრუნეს. როცა სასამართლოდან გაგზავნილმა მრჩევლებმა კოლჰაასს ჰკითხეს, სიკვდილის შემდეგ ქონების განაწილებას როგორ აპირებო, დალალი დაჯდა და ნოტარიუსის დახმარებით ანდერძი შეადგინა. მთელი თავისი ქონება კოლჰაასმა შვილებს დაუტოვა, ხოლო თავისი კეთილი მეგობარი კოლჰაასენბრუკელი ამტმანი შვილების მეურვედ გამოაცხადა. დარჩენილი დღეები კოლჰაასმა მშვიდად გაატარა, რადგან კურფიურსტის საგანგებო ბრძანებით მისი დილეგის კარი დღედაღამ ღია იყო და კოლჰაასის ნახვა ყოველ წუთს შეეძლოთ მის მრავალრიცხოვან მეგობრებს. კოლჰაასს დიდი სულიერი სიმშვიდე მიანიჭა დოქტორ ლუთერის მიერ გამოგზავნილმა თეოლოგმა ბაკობ ფრაიზინგმა და ლუთერისავე წერილმა, რომელიც, ეჭვი არ არის, მეტად ღირსშესანიშნავი იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ერთი სიტყვით, მამა იაკობ ფრაიზინგმა და კიდევ ორმა ბრანდენბურგელმა საეკლესიო პირმა კოლჰაასი საპყრობილეში მოინახულეს და ზიარება მიაღებინეს.

ამასობაში ბზობამ მოაღწია, დადგა ის საბედისწერო ორშაბათიც, როცა კოლჰაასი სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა იმ აჩქარებული წაბიჯის გამო, სიმართლის ძებნისას თვითნებურად რომ გადადგა. მთელი ქალაქი მღელვარებას მოეცვა, ხალხი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მბრძანებლის სიტყვა მსჯავრდადებულს სიკვდილისგან იხსნიდა. ის იყო, გაძლიერებული ბადრაგის თანხლებითა და თეოლოგ იაკობ ფრაიზინგთან ერთად კოლჰაასი ციხის კარიბჭეს გამოსცდა, — ორივე ბიჭი ხელში აეყვანა და მკერდზე მიეხუტებინა (ეს წყალობა კოლჰაასმა დაჟინებული თხოვნით მოიპოვა), — როცა გამოსამშვიდობებლად მოსულ დამწუხრებულ ნაცნობთა შორის კურფიურსტის შეშფოთებული ციხისთავი გამოჩნდა, რომელმაც კოლჰაასს რაღაც ქაღალდი გადასცა და უთხრა, ეს წერილი შენთან ერთმა ქალმა გამომატანაო: კოლჰაასმა ბარათი გამოართვა, ციხისთავი, რომელსაც ხეირიანად არ იცნობდა, გაოცებით შეათვალიერა და როგორც კი დალუქულ ბარათზე ბეჭდის ტვიფარი შეამჩნია, მაშინვე ჩვენთვის ნაცნობი ბოშა ქალი გაახსენდა. კოლჰაასმა დაბეჭდილი ბარათი გახსნა და კითხვას შეუდგა. ძნელია იმ გაოცების აღწერა, კოლჰაასს რომ აღებეჭდა სახეზე. ბარათში ეწერა:

„კოლჰაას, საქსონიის კურფიურსტი ბერლინშია, იგი უკვე დასჯის ადგილისაკენ გამოემართა; თუ მოისურვებ, შენ მას თეთრი და ცისფერი ფრთებით შემკული ქუდით გამოარჩევ ხალხში. ალბათ ხედები, რისთვისაც მოვიდა. დაგასაფლავებენ თუ არა, იგი შენი გვამის ამოთხრას აპირებს, რათა მედალიონი აგაცალოს და დალუქული ბარათი ხელში ჩაიგდოს... შენი ელიზაბეტი“.

უკიდურესად გაოცებული კოლჰაასი ციხისთავს მიუბრუნდა და ჰკითხა, იმ უცნაურ ქალს თუ იცნობ, ეს ბარათი რომ გადმოგცაო.

— ეგ ქალი.... — დაიწყო ციხისთავმა, მაგრამ რაღაც უცნაურად დაება ენა. ამ დროს მთელი ტანით აცახცახებული ციხისთავი მოზღვავებულმა ხალხმა გაიტაცა და კოლჰაასმა მისი სიტყვები ვეღარ გაარჩია.

დასჯის ადგილზე მისულ კოლჰაასს მთელი მოედანი ხალხით გაჭედილი დაუხვდა. აქვე იყო ცხენზე ამხედრებული ბრანდენბურგის კურფიურსტი თავისი ამალით, მათ შორის ერცკანცლერი ბატონი ჰაინრიხ ფონ გოიზაუც ერია. მარჯვენა მხრიდან კურფიურსტს სასიკვდილო განაჩენით ხელში იმპერიის პროკურორი ფრანც მიულერი ედგა, მარცხენა მხრიდან კი პროკურორი და სწავლული სამართლისმცოდნე ანტონ ცოინერი, რომელსაც დრეზდენის სასამართლოს გადაწყვეტილება ეჭირა. ხალხის ნახევარწრის შუაში ჰეროლდი იდგა, რომელსაც ერთი ხელით რაღაც ფუთა ეჭირა, მეორეთი კი აღვირები ნაპატივები და დაბზენილი ცხენებისა, მიწას რომ ურტყამდნენ ფლოქვებს. საქმე ის იყო, რომ ერცკანცლერმა, ბატონმა ჰაინრიხმა, თავისი ბატონის სახელით ჯერ კიდევ დრეზდენში ყოფნის დროს მოითხოვა ზუსტად შესრულებულიყო სასამართლო განაჩენის ის ნაწილიც, რომელიც იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას შეეხებოდა. როცა ცხენები გამტყავებლისგან წამოიყვანეს, მათ თავზე ალამი დახარეს, რათა ცხენებისათვის შეჩვენება მოეხსნათ. იუნკერის მსახურებმა მათ მოვლა-პატრონობა არ მოაკლეს, ხოლო შემდეგ, საგანგებოდ შექმნილი კომისიის თანდასწრებით, მოსუქებული ცხენები დრეზდენის ბაზრის მოედანზე პროკურორს გადასცეს.

როცა ბადრაგის თანხლებით მომავალი კოლჰაასი კურფიურსტს მიუახლოვდა, ამ უკანასკნელმა მსჯავრდებულს სიტყვით მიმართა:

— ასე და ამრიგად, დადგა, კოლჰაას, შენი განკითხვის დღე. აი, ხომ ხედავ, მე, შენი ქვეყნის გამგებელი, გიბრუნებ ყველაფერს, რაც ტრონკენბურგში წაგგლიჯეს: ცხენებს, ყელსახვევს, ოქროს გულდენებს, თეთრეულს და შენი მსახურის, მიულბერგთან დაღუპული ჰერზეს მკურნალობაზე გაწეულ ფულს. როგორ ფიქრობ, სწორედ ვიქცევი თუ არა?

კოლჰაასმა ბიჭები ძირს ჩამოსვა და ერცკანცლერის ნიშანზე თვალებგაფართოებული შეუდგა სასამართლოს მოხელის მიერ გადაცემული განაჩენის კითხვას. როცა იმ პუნქტამდე მივიდა, რომლის მიხედვითაც იუნკერ ვენცელ ფონ ტრონკას ორი წლის პატიმრობა ემუქრებოდა, გრძნობამორეულმა მკლავები მკერდზე გადაიჯვარედინა და კურფიურსტის წინაშე მუხლებზე დაეცა. შემდეგ წამოდგა და ერცკანცლერს გახარებულმა მიმართა, — ყველაზე დიდი სურვილი შემისრულდა, რაც კი ამ ქვეყნად მქონდაო. მერე ცხენებთან მივიდა, ყურადღებით შეათვალიერა, გათიმთიმებულ კისრებზე ხელი მოუთათუნა, ისევ კანცლერს მიუბრუნდა და ხალისიანად უთხრა, — ამ ცხენებს ჩემს ვაჟიშვილებს, ჰაინრიხსა და ლეოპოლდს ვჩუქნიო.

კანცლერი ჰაინრიხ ფონ გოიზაუ ცხენიდან გადმოიხარა და კურფიურსტის სახელით მოწყალედ აღუთქვა, შენი უკანასკნელი სურვილი წმინდად აღსრულდებაო, თან დასძინა, მაგ ფუთაში გამოკრული საგნები როგორც შენ გსურს ისე გაანაწილეო. კოლჰაასმა მოედანზე ჰერზეს მოხუც დედას შეასწრო თვალი, თავისთან მოუხმო, ნივთები გადასცა და უთხრა:

— აჰა, დედილო, ეს ყველაფერი შენია! — ფუთაში რომ ფული იყო, ისიც მოხუცს გადასცა და დაუმატა, სიბერის ხანს შავი დღისათვის გამოგადგებაო.

— დალალო კოლჰაას, — შესძახა კურფიურსტმა, — ახლა კი, როცა ყველა მოთხოვნა დაიკმაყოფილე, მოემზადე, რომ სახელმწიფო მშვიდობის დარღვევისათვის პასუხი აგო კაიზერის წინაშე, მისი ბრწყინვალების პროკურორიც აქა დგას!

კოლჰაასმა ქუდი მოიხადა და მიწაზე დააგდო, ბავშვები ხელში აიტაცა, მკერდზე მიიკრა, მერე კი ორთავე კოლჰაასენბრუკელ ამტმანს მიუყვანა. აცრემლებულმა ამტმანმა ბავშვები იქაურობას გაარიდა. კოლჰაასმა განაცხადა, მზად ვარო და ეშაფოტთან მივიდა. ის იყო ყელსახვევი მოიხსნა და გულსა-

ფარი გადაიღეღა, რომ ხალხში უცბად თეთრი და ცისფერი ფრთებით ქუდშემკულ ნაცნობ კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც ორ რაინდს ამოფარებოდა. კოლჰაასმა თავისი მცველები აქეთ-იქით მისწი-მოსწია, იმ კაცთან მიიჭრა, მკერდიდან მედალიონი ჩამოგლიჯა, ბარათი ამოიღო, გახსნა და გადაიკითხა. მერე მზერა თეთრი და ცისფერი ფრთებით ქუდშემკულ კაცს მიალურსმა. კურფიურსტს ტკბილმა იმედმა აუძგერა გული, მაგრამ ცხენებით მოვაჭრემ ბარათი პირში ჩაიდო, დაღეჭა და გადაყლაპა. ეს იყო და, გულშეღონებული კაცი იქვე ჩაიკეცა. დამფრთხალი მხლებლები გულშეღონებულ კურფიურსტს წამოსაყენებლად მისცვივდნენ, კოლჰაასი კი ეშაფოტზე ავიდა. ჯალათის ნაჯახით წაცლილი თავი მიწაზე გაგორდა.

ასე დასრულდა კოლჰაასის ამბავი.

ხალხში ერთი მოთქმა-გოდება ატყდა. კოლჰაასის გვამი კუბოში ჩაასვენეს და ქალაქის გარეუბნისაკენ წაიღეს, რათა ღირსეულად მიებარებინათ მიწისათვის. კურფიურსტმა დასჯილის ვაჟიშვილები მოიხმო, ხმალი სიბრტყით შემოჰკრა, რაინდებად აკურთხა და ერცკანცლერს უთხრა, ორთავე ბიჭი პაჟების სასწავლებელში მიაბარეო.

ამ ამბის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, სულიერად და ფიზიკურად განადგურებული საქსონიის კურფიურსტი დრეზდენში დაბრუნდა. რაც შემდეგ მოხდა, მკითხველი ისტორიაში ამოიკითხავს, კოლჰაასის მხიარული და ჯანმრთელი შთამომავლობა კი გასულ საუკუნეშიც ცხოვრობდა მეკლენბურგის საკურფიურსტოში.

პატარა ცახესი ცინობერად წოდებული

თავი პირველი

პატარა მაიმახი. ხუცესის ცხვირს უდიდესი საშიშროება. მოელის. როგორ შეიტანა თავადმა პაფნუტიუსმა თავის ქვეყანაში განმანათლებლობა და როგორ მოხვდა ფერია როზაბელვერდე დედათა მონასტერში.

— . —

ერთი კოპწია სოფლის შორიახლო, ზედ გზის პირას, მზისგან გახურებულ მიწაზე ვიღაც საწყალი, სამოსშემოფლეთილი გლეხის ქალი გაშოტილიყო. შიმშილით განაწამებს, წყურვილით ქანცგამოცლილს და მთლად ილაჯგაწყვეტილს მუხლი მოჰკვეთოდა. დედაკაცი ზურგზე მოგდებულ მძიმე კალათს გაეწყვიტა წელში, რომელიც რის ვაი-ვაგლახით შეგროვებული ხმელი ფიჩხით ჰქონდა სავსე. საწყალი ქალი ძლივსღა იბრუნებდა სულს, ეგონა, ახლა კი დამიდგა აღსასრულის დღე და ჩემი უნუგეშო ყოფა უცბად დასრულდებაო, მაგრამ მალე ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე, შეიხსნა თოკი, რომლითაც კალათი მოეკიდებინა ზურგზე, ნელა აფორთხდა იქვე მდებარე მწვანეზე და ხმამაღლა გოდებას მოჰყვა:

— ნეტა რა დავაშავეთ მე და ჩემმა საბრალო ქმარმა ისეთი, რომ გაჭირვებისა და უბედობის მეტი არაფერი გვერგო წილად? ვინაა ჩვენს მეტი მთელ სოფელში, დღე და ღამე გასწრებული ჰქონდეს შრომაში. თავს ვიკლავთ, მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არ იქნა, ძლივს ვშოულობთ იმდენს, რომ შიმშილით სული არ ამოგვხდეს. სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემმა ქმარმა ბაღის ბარვისას მიწაში ოქრო იპოვა. გვეგონა ბოლოს და ბოლოს ბედი კარზე მოგვადგა და ახლა ქარგი დღეები დაგვიდგებოდა. მაგრამ რა გამოვიდა? ოქრო ჭურდებმა მოგვპარეს, სახლი და ფარდული ცეცხლმა გადაგვიწვა, პურის ყანა სეტყვამ ჩარეგვა. მაგრამ განგებამ ესეც არ გვაკმარა, კიდევ უფრო რომ გავემწარებინეთ, ზეცამ ეს

პატარა მაიმახი მოგვცა. სოფელში თავი მოგვეჭრა, ცხვირი ვერ გამოგიყვია გარეთ. წმიდა ლავრენტის დღეს ბავშვი სამ-ნახევარი წლისა გახდა, მაგრამ, სიარულს ვინ ამბობს, იმ თავის ობობა-ფეხებზეც ვერ დგება, სიტყვას ვერ ამბობს, კატასავით კნავის და კრუტუნებს. ჭამით იმდენს ჭამს ეს უკეთური სახიჩარი, თითქოს სულ ცოტა რვა წლის ჯანღონიერი ბიჭი იყოს. წონაში კი გრამს არ იმატებს. ღმერთო, შენ გადმოგვხედე მოწყალე თვალით! ნუთუ ჩვენს სატანჯველად უნდა ვზარდოთ? ეს დაგვალული ჭამა-სმას თანდათან მოუმატებს, მაგრამ ვიდრე ცოცხალი იქნება, ჩხირსაც არ გადააბრუნებს. არა, არა, ასეთ ტანჯვა-წვალებას ადამიანი ვერ გაუძლებს! ოჰ! ნეტავ კი მომკლა და ამ უბედურებისათვის არ მაყურებინა!

ეს რომ თქვა, საბრალო ქალი მწარედ აქვითინდა; მანამ ტიროდა და მოთქვამდა, ვიდრე ტკივილებისაგან დაოსებულს ბოლოს არ ჩაეძინა.

სამართლიანი იყო საბრალო ქალის გოდება სამ-ნახევარი წლის წინათ გაჩენილი საძაგელი გონჯის გამო. ის, რაც ერთი შეხედვით უცნაურად დანუჟრულ შეშის ნაჭერს ჩამოგავდა, სინამდვილეში თითის სიგრძე მახინჯი ბიჭი გახლდათ, აქამდე რომ გარდიგარდმო იდო კალათში, ახლა კი დაბლა გადმოფორთხებულიყო და წუწკუნით ბალახში გორაობდა. თავი მხრებში ჩაერგო, ზურგზე კი გოგრისხელა კუზი ამოზრდოდა, ზედ მკერდზე თხილის ორი წნელივით ება პაწაწინა ფეხები. ერთი სიტყვით, ბიჭი შუაზე გაჭრილ თალგამსა ჰგავდა. მთლად დანაოჭებულ ბებრულ სახეზე დაუკვირვებელი თვალი ბევრს ვერაფერს შეამჩნევდა, დაკვირვებული კი იოლად ამოიცნობდა შავ, აბურძგვნილ თმაში გამოჩრილ გრძელსა და წვეტიან ცხვირს და ერთ წყვილ შავად აელვარებულ თვალს. ბიჭისათვის ერთხელაც რომ შეგეხედათ, უმალ პატარა ალრაუნი* გაგახსენდებოდათ.

როცა განაწამებ ქალს ღრმად ჩაეძინა და პატარა ბიჭიც დედასთან მიფორთხდა, ამ დროს სასეირნოდ გამოსულმა ფროილაინ როზენშიონმა — ახლომდებარე მონასტრის კანონისამ* ჩამოიარა. რაკი კანონისა თავისი ბუნებით სათნო და გულჩვილი იყო, ამ საცოდაობის ნახვისას გულაჩუყებული იქვე შედგა.

— ო, ღმერთო სამართლიანო, — დაიწყო მან, — მაინც რამდენი ჭირი და უბედურება სუფევს ამ დედამიწაზე! ო, ეს საბრალო, უბედური ქალი! ვიცი, რა თავწაკლული შრომობს, ისიც ვიცი, რა გაჯახირებული ცხოვრება აქვს! შიმშილითა და ვარამით განაწამები აი სად დაცემულა! ახლაღა ვიგრძენი ჩემი სიღატაკე და უძლურება! ნეტავ კი შემეძლოს ძველებურავ ვუშველო, მაგრამ იმას, რაც შემომრჩა, რაც ვერ მოაშთო ავმა ბედისწერამ, იმ მცირეოდენ უნარს, რაც ჯერჯერობით გამაჩნია, სრულად და საფუძვლიანად გამოვიყენებ, რომ ამ საცოდავს ხელი გავუმართო. ფული კიდევაც რომ მქონდეს, შე უბედურო, მაინც არ გამოგადგება, პირიქით, ფული კიდევ უფრო გაგაუბედურებს. შენ და შენს ქმარს სიმდიდრე არ გიწერიათ, ხოლო ვისაც სიმდიდრე არ უწერია, ოქრო ისე უქრება ჯიბიდან, თვითონაც ვერ იგებს. თქვენისთანა ხალხი რაც უფრო მეტ ოქროს იშოვის, მით უფრო მეტად გაღარიბდება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, სიღარიბესა და ყოველგვარ გაჭირვებაზე მეტად შენს გულს ისა ღრღნის, რომ ეგ პატარა გონჯი დაბადე, უხეირო ტვირთივით რომ გყავს აკიდებული. ყველაზე მეტად ის გაწამებს, რომ ეგ მაჯლაჯუნა მთელი სიცოცხლე შენს კისერზე უნდა იყოს. ზრდილი და ლამაზი, ღონიერი და გონიერი, შენი ყმაწვილი ვერ გახდება, მაგრამ სხვა მხრივ, მგონია, შეიძლება რამე ეშველოს.

ეს რომ თქვა, ფროილაინი ბალახზე დაჯდა და ბიჭი კალთაში ჩაისვა. ავგუსტა ალრაუნი აფართხალდა, ფეხები გაჩაჩხა, აჩხავლდა და ფროილაინის თითს საკბენად წაეტანა, მაგრამ ფროილაინმა უთხრა:

— აბა, დამშვიდდი, დაწუნარდი მაისის ხოჭოვ! — და შუბლიდან კეფამდე რამდენჯერმე ნაზად გადაუსვა ხელი. აბურძგნული თმა ბავშვს თანდათან გაუსწორდა, დაევარცხნა და ლამაზ, ფაფუკ კულულებად დაეფინა აწოწილ მხრებსა და გოგრისებურ ზურგზე. პატარა თანდათან დამშვიდდა და ბოლოს ღრმად ჩაეძინა. ფროილაინ როზენშიონმა ბიჭი ფრთხილად დააწვინა ბალახზე, დედის გვერდით, ჯიბიდან ბოთლი ამოიღო, სურნელოვანი წყალი ქალს თავზე დააპკურა და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გასცილდა.

ქალმა მალე გაიღვიძა და საოცარი სიმსუბუქე იგრძნო,

თითქოს ძალ-ღონე დაუბრუნდა, ასე ეგონა, მაძღრისად ვისადილე და ღვინოც საკმაოდ დავაყოლეო.

— ოჰო, — წამოიძახა მან, — როგორ მოხდა, რომ თვალის ოდნავ მოტყუებამ ასე გამამხნევა და გამახალისა... მაგრამ სადაცაა მზე მთებს ამოეფარება და დროა შინისკენ გავემართო!

ეს თქვა და კალათს დასწვდა, მაგრამ შიგ რომ ჩაიხედა, ბიჭი მოისაკლისა, რომელიც სწორედ იმ წუთს ბალახიდან წამოიმართა და ღნავილი მორთო. ბავშვი რომ დაინახა, ქალმა გაოცებისაგან ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიძახა:

— ცახეს, პატარა ცახეს, ვინ დაგივარცხნა ეგ თმა ასე მშვენივრად? ცახეს, პაწაწია ცახეს, როგორ მოგიხდებოდა ეგ კულულები, ყიამყრალი ბავშვი რომ არ იყო! აბა, მოდი აქ, მოდი, ჩაჯექ კალათაში!

დედას უნდოდა ბავშვისათვის ხელი წაეველო და ფიჩხზე დაეწვინა, მაგრამ ბიჭმა ხელ-ფეხი ააფანთხალა, დედას დაეღრიჭა და მკაფიოდ დაიკნავლა:

— არ მსურს!

— ცახეს, პაწაწა ცახეს! — დაიკივლა გონდაკარგულმა ქალმა, — ვინ გასწავლა ლაპარაკი? რაკი თმა ასე ლამაზად გაქვს დავარცხნილი, რაკი ასე თავაზიანად ლაპარაკობ, იქნებ სიარულიც ისწავლე?

ქალმა კალათი მხარზე შეიდგა, პატარა ცახესმა დედას წინსაფარში ჩაავლო ხელი და სოფლისკენ გასწიეს.

შინ რომ მისულიყვნენ, ხუცესის სახლთან უნდა გაევლოთ. ისე მოხდა, რომ ხუცესი და მისი უმცროსი შვილი, კალმით ნახატი ოქროსფერკულულებიანი სამი წლის ბიჭი ამ დროს სახლის წინ იდგნენ. როცა ხუცესმა მხარზე კალათშედგმული ქალი და მის კალთას ჩაბღაუჭებული პატარა ცახესი დაინახა, გასძახა:

— საღამო მშვიდობისა, ფრაუ ლიზა. როგორ გიკითხოთ? ეგ რა მძიმე ტვირთი აგიკიდიათ, ფეხზე ძლივს დგახართ, მობრძანდით, ცოტა ხანს სკამზე დაისვენეთ, მოსამსახურე გოგო ცივ წყალს მოგართმევთ!

ფრაუ ლიზამ თხოვნა აღარ გაამეორებინა, კალათი ჩამოდგა და ის იყო პირი გააღო, — ბატონ ხუცესს ჩემს გულისტკივილს გაეუზიარებო, რომ პატარა ცახესმა, რაკი დედა სწრა-

ფად შემოტრიალდა, წონასწორობა დაკარგა და ხუცესის ფეხებთან გაიშოტა. ხუცესი მაშინვე დაიხარა, ბავშვი ააყენა და თქვა:

— ო, ძვირფასო ფრაუ ლიზა, რა კარგი და ლამაზი ბავშვი გყოლიათ! ასეთი გასაოცარი სილამაზის შვილი მართლაც რომ ღვთის წყალობაა.

მერე ბავშვი ხელში აიყვანა და მიუალერსა, იმას კი სულაც ვერ ამჩნევდა, რომ ეს უმსგავსი გონჯი საშინლად კნაოდა, ჭყაოდა და, ბატონ ხუცესს ცხვირზეც კი მოუნდომა კბენა. ფრაუ ლიზა შემკრთალი იდგა ხუცესის წინ, თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა და არ იცოდა, რა ეფიქრა.

— ო, ძვირფასო ბატონო ხუცესო, — წამოიწყო ბოლოს ხმაათრთოლებულმა, — თქვენისთანა ღვთის კაცს არ ეკადრება დასცინოს ჩემებრ უბედურ ქალს, რომელიც ზეცამ, ღმერთმა უწყის რატომ და რისთვის, ამ საშინელი გონჯით დაასაჩუქრა.

— რას ამბობთ, — სერიოზული კილოთი მიუგო ხუცესმა, — რა სისულელეს ლაპარაკობთ, ძვირფასო ფრაუ! რის დაცინვა, რა გონჯი, — არაფერი მესმის! ის კი ვიცი ბრმა უნდა იყოს მშობელი, რომ ასეთი მშვენიერი ბავშვი არ უყვარდეს. აბა, ერთი მაკოცე, პატარა ჰკუისკოლოფო! — ხუცესმა გულში ჩაიკრა ბავშვი.

— არ მინდა! — წაიწკმუტუნა ცახესმა და კვლავ ხუცესის ცხვირს წაეპოტინა.

— ერთი ამ კაპასს შეხედეთ! — წამოიძახა შეშინებულმა ლიზამ.

— საყვარელო მამა, შენ ისეთი კეთილი და ალერსიანი ხარ ბავშვების მიმართ, ალბათ ყველა ბავშვს გულით უყვარხარ! — წამოიძახა ხუცესის ბიჭმა.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები! — შესძახა აღფრთოვანებულმა ხუცესმა და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა. — ფრაუ ლიზა, ცოტა ხანს უსმინეთ ამ ჭკვიან, ლამაზ ბიჭუნას, თქვენს საყვარელ ცახესს, თქვენ რომ თვალში არ მოგდით. ვატყობ, თქვენი ვაჟიშვილით კმაყოფილი მაინც არასოდეს იქნებით, რა ჭკვიანი და ლამაზი ბიჭიც უნდა დარჩეს. მისმინეთ, ფრაუ ლიზა, მე მომანდეთ თქვენი შვილის აღზრდა, მე დავაყენებ გზაზე, ამ ბავშვს კარგი მომავალი ელის. თქვენს გაჭირვებულ მდგომარეობაში შვილის რჩენა ტანჯვა-წამებას

მოგიმატებთ, მე კი ამ ბავშვის მოვლა და აღზრდა სიამოვნებას მომგვრის.

გაოცებული ლიზა გონს ვერ მოსულიყო და ერთსა და იგივეს გაიძახოდა:

— ძვირფასო ბატონო ხუცესო, ძვირფასო ბატონო ხუცესო, ნუთუ მართლა იშვილებთ ამ მახინჯს, ნუთუ მართლა აღზრდით, მე კი გამათავისუფლებთ იმ წვალებისაგან, რაც ამ გონჯის გადამკიდეს მერგო წილად?

მაგრამ რაც უფრო გონჯად წარმოაჩენდა ფრაუ ლიზა თავის ვაჟიშვილს, ხუცესი მით უფრო დაბეჯითებით უმტკიცებდა ქალს, შენი უგუნური სიბრმავის გამო არ იმსახურებ ესოდენ დიდებულ საჩუქარს, ზეცამ რომ მოგიძღვნა ვაჟიშვილის სახითო. ბოლოს ძალზე გაჯავრებულმა პატარა ცახესს ხელი ჩააცლო, სახლში შეიყვანა და ქალს ცხვირწინ მიუკეტა კარი.

სახტად დარჩენილი ფრაუ ლიზა ხუცესის სახლის წინ იდგა, აღარ იცოდა, რა ეფიქრა.

— ერთი გამაგებინა, რამ დააბრმავა ეს ჩვენი პატივცემული ხუცესი, — ჩაილაპარაკა ბოლოს თავისთვის, — ასე რამ მოაწონა ეს მაიმახი, თან ლამაზ და გონიერ ბავშვადაც რომ მონათლა! ასე იყოს! ღმერთმაც უშველოს ძვირფას ბატონს, ტვირთი მე ჩამომხსნა და თვითონ აიკიდა. დაე ზიდოს და ნახოს, როგორი სათრევია! ღმერთო ჩემო, ბუმბულივით მსუბუქი არ გახდა ეს ჩემი კალათი, რაც ცახესი აღარ მიზის შიგ?! თანაც რა კარგი პატრონის ხელში მოხვდა, გულიდან ლოდიც რომ ამეხსნა!

ეს თქვა და მხარზე შემოდგმული კალათით გახალისებული გაუყვა გზას... ამჟამად სულაც რომ გავჩუმებულიყავი და მომხდარი ამბის თაობაზე არაფერი მეთქვა, შენ, კეთილო მკითხველო, მაინც მიხვდებოდი, რომ მონასტრის წინამძღოლმა როზენშიონმა, ან როგორც თვითონ იხსენიებდა საკუთარ თავს, — როზენგრიუნშიონმა, დიდი საქმე გააკეთა. მისი იდუმალი მისნობა რომ არა, ე. ი. თავზე ხელი რომ არ გადაესვა და თმა არ დაევარცხნა ბიჭისთვის, პატარა ცახესს კეთილი მოხუცი არც მშვენიერ ბავშვად მონათლავდა და არც შვილად აიყვანდა. მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, მიუხედავად შენი ჩინებული მიხვედრილობისა, შეიძლება მაინც შეცდე, ანდა, მოთხრობის საზიანოდ, მრავალი ფურცელი გამოტოვო, რა-

თა მალე და რაც შეიძლება მეტი რამ გაიგო მონასტრის მისტიკური წინამძღვრის შესახებ. ამ მოსაზრების გამო უკეთესი იქნება თვითონ გიამბო ყოველივე, რაც ამ ღირსეული ქალის ირგვლივ ვიცი.

ფროილაინ როზენშიონი მაღალი, მოხდენილი და წარმოსადეგი გარეგნობის ქალი გახლდათ. ამაყი და მბრძანებლური იერი ჰქონდა, თუმცა შეიძლება მისი სახე სრულყოფილად მშვენიერიც მოგჩვენებოდათ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დრო და დრო უცნაურ, თითქმის საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე, განსაკუთრებით კი მაშინ, თუკი ჩაფიქრებულს ნახავდით სადმე. ეს შთაბეჭდილება, ეტყობა, იმ უცნაური ნაოჭების ბრალი იყო, რომლითაც შუბლი ჰქონდა დაღარული. საქმე ის იყო, გარკვეულად ვერ იტყოდით—ნამდვილად ჰქონდა მონასტრის წინამძღოლს შუბლზე ნაოჭები თუ არა. ხშირად, უმეტესად ვარდობის თვესა და კარგ ამინდებში ისეთი მომხიბვლელი და ნატიფი უხდებოდა სახე, ნებისმიერ ადამიანს დაატყვევებდა, მოაჯადოებდა მისი ნახვა. როცა ფროილაინ როზენშიონი პირველად ვიხილე, პირველად და უკანასკნელად ვიფიქრე, — ღმერთმა დიდი ბედნიერება მარგუნა, რომ მას სრული გაფურჩქვნის ხანაში ვხედავ-მეთქი. მისმა არნახულმა სილამაზემ, ცოტა არ იყოს, შემაშინა და დამაბნია კიდეც. ისიც ვიფიქრე, დიდხანს აღარ დაურჩება-მეთქი ეს სილამაზე, მაგრამ შევცდი. სოფლის უხუცესი ადამიანები ამტკიცებდნენ, ფროილაინს მას შემდეგ ვიცნობთ, რაც თავი გვახსოვს და სხვაგვარი არასოდეს გვინახავსო, წლები არც ემატება, არც აკლდება, სახეზე ხომ სულ არ იცვლებაო. ერთი სიტყვით, დრო ვერაფერს აკლებდა ფროილაინ როზენშიონს და ეს ამბავი მავანსა და მავანს ძალზე აოცებდა. მაგრამ ამას ემატებოდა ზოგიერთი სხვა რამ, რაც ყოველ ადამიანს, თუკი სერიოზულად ჩაუფიქრდებოდა, არანაკლებ ანცვიფრებდა და ისიც ბოლოს ისე დაიბნეოდა ხოლმე, ერთიანად აერეოდა დავთრები. უწინარეს ყოვლისა, აშკარად გამომჟღავნდა ფროილაინის ნათესაობა ყვავილებთან, ერთ-ერთი ყვავილის სახელი ხომ თავად ერქვა*. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ დედამიწაზე არც ერთ ადამიანს არ შეეძლო ათასფურცლოვანი ვარდის მისებრ გახარება. სრულიად გამხმარი ეკლიანი ტოტი, მის მიერ დარგული, საუკეთესოდ ხარობდა და დიდებულად

ყვავილობდა. ამას გარდა, ცნობილი იყო, რომ ტყეში მარტოდმარტო სეირნობისას იგი ხმამაღლა ესაუბრებოდა უცნაურ ხმებს, რომლებიც ხეებიდან, ბუჩქებიდან, წყაროებიდან და ნაკადულებიდან მოისმოდა. ერთხელ, ერთ უღრან ტყეში, ერთმა ახალგაზრდა მონადირემ იმასაც შეავლო თვალი, რომ როზენგრიუნშიონს ჰრელ-ჰრელი, ფრთაელვარა, იშვიათი ფრინველები გარს ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ. ეს ფრინველები იმ ადგილებში მანამდე არავის ენახა. მხიარული ჰიკჰიკითა და ჟღურტულით ფრინველები თითქოს რაღაც სასაცილო ამბებს უყვებოდნენ როზენშიონს და ქალიც გახარებული კისკისებდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ დადგა თუ არა ფროილაინ როზენშიონი მონასტრის წინამძღოლად, ეს ამბავი უმალ ამ მხარის მცხოვრებთა სალაპარაკო შეიქმნა. ფროილაინი დედათა მონასტერში თავადის ბრძანებით მიიღეს. ბატონმა პრეტექსტატუს ფონ მონდშაინმა, მფლობელმა იმ მამულისა, რომლის შორიახლოც მონასტერი მდებარეობდა და ქომაგმა მონასტრისა, ველარაფერი გააწყო, მიუხედავად იმისა, რომ ბარონს საშინელზე საშინელი ეჭვები ღრღნიდა. ბარონს იმ ცდამაც ფუჭად ჩაუარა, რომ რუქსნერის „ტურნირთა წიგნში"* და სხვა ქრონიკებში როზენგრიუნშიონთა გვარი ეპოვნა. ბარონი ეჭვობდა და მართალიც იყო — ვაითუ, მონასტერს ვერ უხელმძღვანელოსო, რადგან ქალის გვარი 32 წინაპრის საგვარტომო ნუსხიდან არც ერთში არ იყო მოხსენიებული. ბოლოს გულდათუთქულმა, თვალებზე ცრემლმომდგარმა სთხოვა — როზენგრიუნშიონს ნუ დაირქმევ, როზენშიონი იქმარეო, რადგან ამ გვარში რაღაც აზრი მაინც არის და წინაპრის გამონახვაც მოხერხდებაო. როზენგრიუნშიონიც დათანხმდა. გულნატკენმა პრეტექსტატუსმა, ეტყობა, სადღაც გამოთქვა თავისი უკმაყოფილება უწინაპრო ფროილაინის დანიშვნის გამო და ამით დასაბამი მისცა ფროილაინის შესახებ ბოროტი ხმების გავრცელებას. ფრინველებთან და ხეებთან საუბრებს, რომელთაც, კაცმა რომ თქვას, არავითარი ზიანი არ მოჰქონდა, სხვა საეჭვო ამბებიც დაემატა. ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა და ფროილაინ როზენშიონის პიროვნებაც იდუმალების ბურანში გაეხვია. დეიდა ანა, მამასახლისის ცოლი, გულდაჯერებით ამტკიცებდა: როცა ფროილაინი ფანჯრიდან ცხვირს ძლიერად დააცემინებს, მთელ სოფელში რძე იპრე-

ბაო. ამ ამბის სისწორეში კი დარწმუნდნენ, მაგრამ უარესიც გაიგეს: მასწავლებლის ვაჟიშვილი, მიხეილი, მონასტრის სამზარეულოში თურმე შემწვარ კარტოფილს მიირთმევდა. ის იყო, პირი დააღო, ლუკმა უნდა ჩაედო, რომ ზუსტად იმ დროს ფროილაინი დაადგა თავზე, გაულიმა და თითით დაემუქრა. ბიჭს პირი ღია დარჩენია. დადის ახლა თურმე პირდაფჩენილი, გეგონება, ცხელი კარტოფილი უთუთქავსო ენას და ამ დღიდან მოკიდებული ფართოველიან შლაპას იხურავს თავზე, რადგან შლაპის გარეშე წვიმა პირდაპირ ხახაში ჩასდის ხოლმე. მალე ისიც გაიგეს, რომ ფროილაინს ცეცხლსა და წყალთან შეეძლო საუბარი, შეეძლო მოეხმო ქარიშხალი ან სეტყვა, გამოეწვია თმის გაკვირტება და სხვა. ახლა აღარავის ეეჭვებოდა მეცხვარის მონაყოლი: ცხვარი თურმე შიშისაგან მეძრწუნებულა, როცა შუაღამისას ცოცხზე ამხედრებული ფროილაინი უხახავს. როზენშიონი ხმაურით შიაპობდა ჰაერს, მეგზურად კი უზარმაზარი რქოსანი ხოჭო ჰყავდაო. რქებს შუა ხოჭოს ლურჯი ალი უკიაფებდა და მთელი არემარე გახათებული იყოო. ყველა ამხედრდა, სურდათ ჯადოქარს წასწეოდნენ, სოფლის სასამართლომ კი, არც მეტი, არც ნაკლები, ასე გადაწყვიტა, ფროილაინი მონასტრიდან გამოეტყუებინათ და წყალში ჩაეგდოთ — ჯადოქრისათვის დაწესებულ გამოცდას გაუძლოსო*. ბარონმა პრეტექსტატუსმა ნება დართო და თავისთვის ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ასე ემართებათ უგვან, უწინაპრო ადამიანებს, რომლებიც ისეთივე ძველისძველი კეთილშობილი წარმოშობისანი არ არიან, როგორც მონდშაინები.

როცა გაიგო, საშიშროება მელისო, ფროილაინი თავადის რეზიდენციაში გაიქცა. ბარონმა პრეტექსტატუსმა იმ მხარის მფლობელი თავადისაგან მალე ბეჭდიანი ბრძანება მიიღო, რომლის თანახმად ფროილაინი არ უნდა ყოფილიყო ჯადოქარი. ამავე ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ ყველა აბეზარი ცნობისმოყვარე, ვისაც დააინტერესებდა ფროილაინის ცურვის ხელოვნება, სოფლის სასამართლო კოშკში გამოემწყვდიათ, დანარჩენი გლეხები და მათი ცოლები კი გაეფრთხილებინათ, რომ მკაცრ ფიზიკურ სასჯელს დაიმსახურებდა ყველა, ვინც ფროილაინ როზენშიონს აუგ სიტყვას აკადრებდა. ამ გაფრთხილებამ ყველანი გონს მოიყვანა, გლეხებს მუქარისა შეე-

შინდათ და იმ დღიდან მოკიდებული ფროილაინის აუგი გულშიაც აღარ გაუელიათ, რასაც, ორივე მხარისათვის — როგორც სოფლის, ისე ფროილაინ როზენშიონისთვის — სასარგებლო შედეგი მოჰყვა.

თავადის კაბინეტში კარგად იცოდნენ, რომ ფროილაინ ფონ როზენშიონი სხვა არავინ იყო, თუ არა საქვეყნოდ ცნობილი ფერია როზაბელვერდე. საქმის არსი კი შემდეგი იყო:

ამ უკიდეგანო დედამიწაზე სხვაგან ვერსად ნახავდით ისეთივე წარმტაც ქვეყანას, ეს პატარა სამთავრო რომ იყო. სწორედ ამ სამთავროში მდებარეობდა ბარონ პრეტექსტატუს ფონ მონდშაინის მამული და სწორედ აქ ცხოვრობდა ფროილაინ ფონ როზენშიონი. მოკლედ, ამ პატარა სამთავროში მოხდა ყოველივე ის, რის ვრცლად თხრობასაც, საყვარელო მკითხველო, ახლა ვაპირებ.

მაღალი მთებით შემორკალული ეს პატარა ქვეყანა თავისი მწვანე, სურნელოვანი ტყეებით, ყვავილებით მოფენილი ველებით, მორაკრაკე ნაკადულებითა და ლაღად მოჩქრიალე ჩანჩქერებით, გასაოცარ დიდებულ ბაღს წააგავდა. შეიძლება სულაც იმიტომ წააგავდა ბაღს, რომ ამ ქვეყანაში არ იყო ქალაქები, იყო მხოლოდ ლამაზი სოფლები და აქა-იქ განცალკევებით აღმართული სასახლეები. ცხოვრების ჭირ-ვარამისა აქაურებმა არაფერი იცოდნენ და თავსაც ბედნიერად გრძნობდნენ. ყველამ იცოდა, რომ ეს ქვეყანა თავად დემეტრიუსს ეკუთვნოდა, მაგრამ განმგებელის მკაცრი ხელი არავის შეხებია, ამიტომაც ყველა კმაყოფილი იყო. ვისაც კი თავიანთი საქმიანობისთვის სრული თავისუფლება, ლამაზი ბუნება და რბილი ჰავა სჭირდებოდა, ამ სამთავროზე უკეთეს სამყოფელს ვერსად ნახავდა. ამიტომ იყო, რომ სხვებთან ერთად აქ რამდენიმე კეთილი ნების წარმტაცი ფერიაც დასახლდა, რომელთა კეთილი არსი და თავისუფლების სიყვარული, როგორც ცნობილია, ყველაფერზე ვრცელდება. ალბათ, მათი დამსახურება იყო ის ამბავი, რომ თითქმის ყოველ სოფელში, უმეტესად კი ტყეებში, ხშირად ხდებოდა სასიამოვნო სასწაულები. ამ სასწაულებით გამოწვეული აღტაცებისა და ნეტარებისაგან სულერთიანად გაცისკროვნებულ ადამიანებს ყველანაირი სასწაულისა სჯეროდათ, და მათდა უნებურად, ისინი მხიარულ

და კარგ მოქალაქეებადაც ითვლებოდნენ. კეთილი ფერიები, რომლებიც თავიანთ ნებაზე, მთლად ჯინისტანულად* მოეწყვნენ, ლოცვა-კურთხევას არ აკლებდნენ და მარადიულ სიცოცხლესაც არ დაიშურებდნენ წარმტაცი დემეტრიუსისათვის, მაგრამ ამის უნარი ფერიებს არ ჰქონდათ. ბოლოს დემეტრიუსი მოკვდა და ტახტზე ახალგაზრდა პაფნუტიუსი ავიდა.

პაფნუტიუსი ჯერ კიდევ მამის განმგებლობის დროს წუხდა, გულის გულში დარდობდა კიდეც იმის გამო, ხომ ხალხი და სახელმწიფო უპატრონოდ იყო მიტოვებული, რაც, მისი აზრით, სხვა არაფერი იყო, თუ არა უსინდისობა. პაფნუტიუსი გამგებლობას შეუდგა და ტახტზე ასვლისთანავე სახელმწიფოს პირველ მინისტრად თავისი კამერდინერი ანდრესი დასვა, რომელსაც თავისი მბრძანებლისათვის, როცა ამ უკანასკნელს მთებში მიკარგულ დუქანში ქისა დარჩა, თურმე ექვსი დუკატი უსესხებია და ამით პაფნუტიუსი დიდი გაჭირვებისაგან უხსნია.

— მინდა მართვა-გამგეობას შევუდგე, ჩემო კეთილო! — უთხრა პაფნუტიუსმა ანდრესს.

ანდრესმა მბრძანებლის თვალებში ამოიკითხა ყოველივე ის, რაც პაფნეტიუსის სულში ხდებოდა, მის ფერხთა წინაშე დაემხო და საზეიმოდ წარმოთქვა:

— სირ! ჩამოჰკრა დიდებულმა წუთმა, თქვენის მეოხებით სახელმწიფო ღამის ქაოსს თავს დააღწევს და შარავანდედით გაბრწყინდება! სირ! თქვენ გევედრებათ უერთგულესი ვასალი. მისი გულიდან და ყელიდან ათასობით საწყალი უბედურის ხმა გემუდარებათ! შემოიღეთ, სირ, განმანათლებლობა!

პაფნუტიუსი მეტისმეტად ააღელვა მინისტრის ამაღლებულმა აზრებმა. მიუახლოვდა, ფეხზე წამოაყენა, მხურვალედ ჩაიკრა გულში და აქვითინებულმა წარმოსთქვა:

— ო, მინისტრო ანდრეს, შენი ექვსი დუკატი მმართებს. უფრო მეტიც, მთელი ჩემი ბედით, მთელი სახელმწიფოთი შენგან ვარ დავალებული, ერთგულო, გონიერო მსახურო ჩემო!

პაფნუტიუსს უნდოდა მაშინვე დიდი ასოებით დაებეჭდა და ყველა კუთხეში გამოეკრა ედიქტი, — ამიერიდან განმანათლებლობაა შემოღებული და ეს ამბავი ყველამ მხედველობაში მიიღოსო.

— უბრწყინვალესო სირ! — წარმოთქვა ანდრესმა, — უბრწყინვალესო სირ! ასე არ ივარგებს!

— მაშ როგორ მოვიქცე? — იკითხა პაფნუტიუსმა, მინისტრს ღილკილოში ხელი წაავლო, კაბინეტში შეიყვანა და კარი შიგნიდან გადაკეტა.

— საქმე ისაა,— დაიწყო ანდრესმა, როცა მბრძანებლის წინაშე პატარა ტაბურეტზე დაჯდა, — საქმე ისაა, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ განმანათლებლობის თაობაზე თქვენი ღირსეული ედიქტის მოქმედება შესაძლოა სათანადოდ არ იქნეს შეფასებული, თუ მას ზოგიერთ ღონისძიებას არ დაუკავშირებთ, რომელიც, მართალია, მკაცრი კი ჩანს, მაგრამ ადამიანებს კეთილგონიერებას შთააგონებს. სანამ ჩვენ განმანათლებლობას შემოვიღებდეთ, ე. ი. სანამ ტყეებს გავჩეხავთ, მდინარეს სანაოსნო გზად ვაქცევთ, კარტოფილს გავაშენებთ, სოფლის სკოლებს გავაუმჯობესებთ, აკაციებსა და ჩინარებს დავრგავთ, ახალგაზრდობას დილისა და საღამოს გალობას ორ ხმაში ვასწავლით, შარაგზებს გავიყვანთ, ძროხებს ყვავილის საწინააღმდეგო აცრებს ჩავუტარებთ, — საჭიროა თქვენი სახელმწიფოდან ფეხი ამოიკვეთოს ყველა ადამიანმა, ვინც თავისი აზროვნების წყალობით საშიში პიროვნებაა, ვინც გონიერებას ყურად არ იღებს და ხალხს მტკნარი უაზრობით ასულელებს. ძვირფასო თავადო, წაკითხული გექნებათ „ათას ერთი ღამე", რადგან ვიცი, თქვენს აწ განსვენებულ ბრწყინვალე მამა-ბატონს, ღმერთმა გაანათლოს მისი სული, უყვარდა ასეთი ფატალური წიგნები და ამ წიგნებს ჯერ კიდევ მაშინ გაძლევდათ ხოლმე წასაკითხად, როცა ჯოხის ცხენს დააჭენებდით და მოოქროვილ თაფლის კვერებს მიირთმევდით. მაშასადამე, ამ სრულიად უსარგებლო წიგნიდან კარგად გეცოდინებათ, მოწყალეო ბატონო, ეგრეთ წოდებული ფერიები, მაგრამ ალბათ ეჭვადაც არ გაგივლიათ გულში, რომ ეს სხვადასხვა საშიში პიროვნებანი თქვენს საყვარელ ქვეყანაში, აქვე, თქვენი სასახლიდან სულ ახლოს დასახლდნენ და ყოველგვარ უმსგავსობას სჩადიან.

— რაო? რას ამბობ? ანდრეს! მინისტრო! ფერიები ჩემს ქვეყანაში? — წამოიძახა თავადმა და მთლად ფერმიხდილი სავარძლის საზურგეზე მიესვენა.

— ნუ აღელდებით, მოწყალეო ხელმწიფევ! — განაგრძო

ანდრესმა. — არაფერი გვექნება სადარდო, თუკი განმანათლებელთა ამ მტრების წინააღმდეგ გონებით აღვიჭურვებით. დიახ! მათ განმანათლებელთა მტრებს ვუწოდებ, რადგან ამ ხალხმა ბოროტად გამოიყენა თქვენი განსვენებული მამა-ბატონის გულკეთილობა და საყვარელი სამშობლო ამის გამო დღესაც წყვდიადშია გახვეული. ეს ხალხი საშიშ საქმეებს სჩადის. სასწაულებს ახდენს და არ უშინდება პოეზიის სახელით გაავრცელოს ის იდუმალი შხამი, რომელიც განმანათლებლობის ხანაში ხალხს სულაც არ სჭირდება. ამასთანავე ისეთი შეუწყნარებელი და პოლიციური კანონების შეურაცხმყოფელი ჩვევები მოსდგამს, რომ ესეც საკმარისია კულტურული სახელმწიფოდან მათ გასაძევებლად. ასე, მაგალითად, თუ მოეპრიანათ, ამ თავხედებს დიდად არ შერცხვებათ, და ჰაერში ეტლით გაისეირნებენ, რომელშიც მტრედები, გედები ანდა ფრთოსანი ცხენები იქნება შებმული. ახლა გეკითხებით, მოწყალეო ბატონო, ღირს კი წვალებად დავგეგმოთ და პრაქტიკაში შემოვიღოთ აქციზური გადასახადები, როცა სახელმწიფოში ჯერაც გვყავს ადამიანები, ვისაც შეუძლია ყოველ თავქეიფა მოჭალაჭეს საკვამლე მილიდან ჩაუყვანოს დაუბეგრავი საქონელი? ამიტომ, მოწყალეო ბატონო, როგორც კი განმანათლებლობა გამოცხადდება, ფერიები უნდა განვდევნოთ. მათ სასახლეებს პოლიცია ალყას შემოარტყამს, ჩამოვართმევთ მთელ საშიშ ქონებას და, როგორც მაწანწალებს, თავიანთ სამშობლოში გავრეკავთ, იმ პატარა ქვეყანაში, რომელსაც, „ათას ერთი ღამიდან“ გეცოდინებათ, ჯინისტანი ეწოდება.

— ანდრეს, იქით ფოსტა თუ დადის? — იკითხა თავადმა.

— ამჟამად არა, — უპასუხა ანდრესმა, — მაგრამ, შესაძლოა, საჭირო გახდეს, რომ განმანათლებლობის გამოცხადების შემდეგ იქით ყოველდღიური ფოსტა დავნიშნოთ.

— მაგრამ, ანდრეს,— განაგრძო თავადმა, — ფერიების წინააღმდეგ შემოღებულ ზომებს მეტისმეტ სიმკაცრეში ხომ არ ჩაგვითვლიან? განებიერებული ხალხი არ აბუზღუნდება?

— ო, ამის წამალიც ვიცი. ჯინისტანში ყველა ფერია კი არ უნდა განდევნოთ, მოწყალეო ბატონო, ზოგი აქვე უნდა დავიტოვოთ, მაგრამ მათ ყველა საშუალება უნდა მოვუსპოთ, რომ განმანათლებლობას რაიმე არ ავნონ, ამასთანავე ყოველ

ღონეს უნდა მიემართოთ, რომ ისინი განათლებული სახელმწიფოს სასარგებლო მოქალაქეებად ვაქციოთ. თუ ქორწინებაზე არ დათანხმდებიან, მკაცრ კონტროლს დავუწესებთ და რაიმე სასარგებლო საქმეს მივუჩენთ; თუ ომი ატყდა, არმიისათვის წინდებს მოვაქსოვინებთ, ან სხვა საქმეს გამოვუნახავთ. მხედველობაში იქონიეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ფერიები რომ ხალხში გაერიონ, მაშინვე დაჰკარგავენ ხალხის რწმენას, რაც ჩვენთვის კიდევ უფრო უკეთესი იქნება. ყოველგვარი წუწუნი და ბუზღუნი თავისთავად ამოიძირკვება. რაც შეეხება ფერიების პირად ქონებას, იგი თავადის სალაროს ჩაბარდება, მათი მტრედები და გედები, როგორც მშვენიერი შესაბრაწი ფრინველები, თქვენი სამზარეულოს განმგებლობაში გადავა. ფრთოსანი ცხენები კი როგორმე უნდა მოვათვინიეროთ და სასარგებლო პირუტყვებად ვაქციოთ. ამავე დროს, ვფიქრობ, ცხენებს ფრთები უნდა შევაჭრათ და სამჯერად კვებაზე გადავიყვანოთ, რასაც განმანათლებლობასთან ერთად შემოვიღებთ.

პაფნუტიუსი მინისტრის წინადადებებით მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა და ჩამოთვლილი ღონისძიებანი მეორე დღესვე გაატარა.

ედიქტი განმანათლებლობის შემოღების თაობაზე ყველგან გააკრეს, სადაც კი გამოსაჩენი ადგილი ეგულებოდათ. მერე პოლიციამ ალყა შემოარტყა ფერიების სასახლეებს, მათ უძრავ-მოძრავ ქონებას ყადაღა დაადო და ფერიებიც შეიპყრო.

ღმერთმა უწყის, როგორ მოხდა, რომ ფერია როზაბელვერდემ ყოველივე წინდაწინ შეიტყო და დრო გამოიყენა: გედები გაათავისუფლა, მაგიური ვარდის ტოტები და სხვა ძვირფასეულობა გადამალა. როზაბელვერდემ ისიც იცოდა, რომ მისი გასახლება არ ჰქონდათ გადაწყვეტილი და ამ განაჩენს მართალია დიდი ზიზღით, მაგრამ მაინც დაემორჩილა.

სხვათა შორის, ვერც პაფნუტიუსმა და ვერც ანდრესმა ვერ გაიგო, რატომ უხაროდათ ფერიებს ამ ადგილების დატოვება და რატომ ამბობდნენ, რომ მთელი ის ქონება, რაც იძულებით დაატოვებინეს, არაფრად არ გვიღირსო.

— ბოლოს და ბოლოს, — ამბობდა პაფნუტიუსი გაჯავრებით, — ბოლოს და ბოლოს გამოდის, რომ ჯინისტანი ჩემს სა-

ხელმწიფოზე უკეთესია და ისინიც დამცინიან, დასცინიან ჩემს ედიქტსა და განმანათლებლობას, რომელიც მხოლოდ ახლა უნდა შევიდეს ძალაში.

კარის გეოგრაფსა და ისტორიკოსს დაევალათ ჯინისტანის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მოგროვება. ორივემ ერთობლივად დაასკვნა, — ჯინისტანი ერთი საცოდავი ქვეყანაა, სადაც არც კულტურაა, არც განმანათლებლობა, სადაც ვერ შეხვდებით ვერც განსწავლულ კაცს, ვერც აკაციებს, სადაც არ უცრიან ძროხებს და, საერთოდ, ეს ის ქვეყანაა, რომელიც სულაც არ არსებობსო, ხოლო ადამიანისათვის ან მთელი ქვეყნისათვის იმაზე უარესი რაღა იქნება, საერთოდ თუ არ იარსებებს?

პაფნუტიუსმა შვებით ამოისუნთქა.

მას მერე, რაც გაჩეხეს მშვენიერი აყვავებული ჭალა, სადაც ფერია როზაბელვერდეს მიტოვებული სასახლე იდგა და მეზობელი სოფლის ზარმაც გლეხებს თვითონ პაფნუტიუსმა უჩვენა, როგორ უნდა ჩაეტარებინათ აცრები, ფერია თავადს ერთ-ერთ ტყეში დაუდარაჯდა, სადაც პაფნუტიუსსა და მინისტრ ანდრესს უნდა გაევლოთ, რომ სასახლეში დაბრუნებულიყვნენ. აქ ფერიამ მარჯვე ლაპარაკითა და იდუმალი ფანდების შემწეობით, რომელსაც პოლიციამ ვერაფერი გაუგო, თავადი ისე მიიმწყვდია ჩიხში, ამ უკანასკნელმა ზეციური ფიცით აღუთქვა, ერთადერთი და, მაშასადამე, მთელს სახელმწიფოში საუკეთესო დედათა მონასტერი შენთვის მომინდეიაო და ამიერიდან რაც მოგეპრიანება, ის გააკეთე, თუ გინდა განმანათლებლობის ედიქტს ყურსაც ნუ ათხოვებო.

ფერია როზაბელვერდემ წინადადება მიიღო და დედათა მონასტერში დაბრუნდა, სადაც მან, როგორც უკვე მოგახსენეთ, თავის თავს ჯერ ფროილაინ ფონ როზენგრიუნშიონი, შემდეგ კი, ბარონ პრეტექსტატუს ფონ მონდშაინის დაჟინებული მოთხოვნით ფროილაინ ფონ როზენშიონი უწოდა.

თ ა ვ ი ე ე:ო რ ე

უცნობი ხალხის შესახებ, რომელიც მოგზაურობაში მყოფმა სწავლულმა პტოლომეუს ფილადელფუსმა აღმოაჩინა. უნივერსიტეტი კერეპესში. როგორ ჩაექროლა თავთან სტუდენტ ფაბიანს ერთმა წყვილმა სამგზავრო ფეხსაცმელმა და როგორ მიიპატიჟა პროფესორმა მოშ ტერპინმა სტუდენტი ბალთაზარი ჩაიზე.

ინტიმურ წერილებში, რომლებსაც საქვეყნოდ ცნობილი სწავლული პტოლომეუს ფილადელფუსი შორეული მგზავრობიდან თავის მეგობარ რუფინს სწერდა, არის შემდეგი ყურადსაღები ადგილი:

„ჩემო საყვარელო რუფინ, მოგეხსენება, ქვეყანაზე ისე არაფრის მეშინია, ისე არაფერს ვერიდები, როგორც მზის მწველ სხივებს, რომელიც ანადგურებს ჩემს ძალ-ღონეს და სულსაც ისერიგად ძაბავს და ქანცავს, რომ ფიქრის უნარიც აღარ შემწევს. ასეთ დროს ყველაფერი არეულ-დარეული მაქვს ხოლმე თავში. ამიტომ წლის ამ ცხელ დროს დღისით ვისვენებ, ღამით კი ვმგზავრობ. ასე ამრიგად, წუხელაც გზაში ვიყავი. კუნაპეტ ღამეში ჩემმა მეეტლემ თურმე კარგ გზას გადაუხვია და შემთხვევით ოღრო-ჩოღრო შარაზე გავიდა. ეტლი მაჯაყჯაყებდა, ხან რას მიმარტყმევინებდა თავს და ხან რას — თავზე იმდენი კოპი დამაჯდა, ქაკლით გავსებულ ტომარას ვგავდი, მაგრამ მაინც მეძინა და ღრმა ძილიდან მანამდე ვერ გამოვერკვიე, ვიდრე ბოლოს, საშინელი ბიძგის შემდეგ ეტლიდან არ გადმოვევარდი და ხმელ მიწაზე არ მოვადინე ბრაგვანი. მზე სახეში მანათებდა და შლაგბაუმს მიღმა, ჩემს ცხვირწინ რომ შევამჩნიე, დიდი ქალაქის მაღალი კოშკებიც დავლანდე. მეეტლე ჩიოდა, შუა შარაზე დაგდებულმა ლოდმა ხელნაც გატეხა და უკანა თვალიცო. ეტყობა, მე სულაც არ ვედარდებოდი. როგორც ეს ბრძენკაცს შეეფერება, გაბრაზება არ შევიმჩნიე და ყმაწვილს მშვიდად მივაძახე, დაწყეველილი თავხედი ხარ და ჯობს იმაზე იფიქრო, რომ პტოლომეუს ფილადელფუსი, თავისი დროის ცნობილი სწავლული ახლა უკან ზის და იმას უშველე, რა დროს ხელნაა-მეთქი, ხელნა ხელნად დარჩება და თვალი—თვალად. მოგეხსენება, ჩემო კეთილო რუფინ, რა უცებ შემიძლია მოვითოკო ადამიანთა გულები! ახლაც ასე მოხდა. მეეტლემ მაშინვე შეწყვიტა ჩიოვილი და გზის ზე-

დამხედველის დახმარებით, ვისი სახლის წინაც ეს უბედურება შეგვემთხვა, ფეხზე წამომაყენა. საბედნიეროდ მაინცდამაინც არაფერი მტკენია და ნელ-ნელა სიარულიც შევიძელი, მეეტლე კი რის ვაი-ვაგლახით მიათრევდა დამსხვრეულ ეტლს. იმ ქალაქის კარიბჭესთან, ცისფერი ნისლიდან რომ გამოკრთოდა, ისეთი უცნაური სახის და ისეთ საკვირველ სამოსში გამოწყობილი ხალხი შემომხვდა, ერთ ხანს გონს ვერ მოვედი, თვალებიც მოვისრისე — ცხადში ვარ თუ ამდაუბდა სიზმარმა, რომელიდაც ზღაპრულ ქვეყანაში გადამისროლა-მეთქი. ამ ხალხს, რომელიც სამართლიანად შემეძლო ქალაქის მცხოვრებლებად მიმეჩნია, რაკი სწორედ ქალაქის კარიბჭესთან ვნახე გამოსული, გრძელი და იაპონურ ყაიდაზე გამოჭრილი ძალზე ფართო შარვლები ეცვათ, ძვირფასი ქსოვილებისაგან შეკერილი: ზოგს ხავერდისა, ზოგს ბამბეულისა, ზოგსაც თბილი მაუდის ან ჰრელაჰრულად მოხატული ტილოსი. სამოსი სირმებით, ბაბთებითა და ზონრებით მდიდრულად გაეწყოთ. ღია ფერის მოკლე ჯუბები მუცელს ძლივს უფარავდათ. სულ რამდენი კაცი იყო შავებში გამოწყობილი. გაუკრეჭავი და დაუვარცხნელი თმა მხრებსა და ზურგზე ჩამოშლოდათ, თავზე კი პატარა უცნაური ქუდები ეხურათ. ზოგს, თურქებისა და ახლანდელი ბერძნებისა არ იყოს, ყელ-გული მთლად გაეშიშვლებინა, სხვებს პირიქით, ყელსა და მკერდზე თეთრი ტილოს ნაჭერი შემოეხვია, რომელიც პერანგის საყელოს წაგავდა, აი ისეთ საყელოს, საყვარელო რუფინ, ჩვენი წინაპრების სურათებზე რომ გვინახავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი ძალზე ახალგაზრდა ჩანდა, მაინც ბოხი და უხეში ხმით ლაპარაკობდა. მოძრაობა ტლანქი ჰქონდათ. რამდენიმე კაცს საულვაშეზე ვიწრო ლაქასავით ემჩნეოდა რაღაც, გეგონებოდა, აჯირჯღნილი წვერიაო. ზოგიერთს ჯუბაჩიდან გრძელი წილი მოუჩანდა, რომელზეც აბრეშუმის დიდი ფოჩები ქანაობდა. სხვებს ეს მილები ხელში ეკავა და ზედ ზოგს პატარა, ზოგს საშუალო, ზოგს კი საკმაოდ დიდი, რაღაც საოცარი ფორმის ბუნიკები ჰქონდა წამოცმული. როცა სატუჩესთან თანდათან დავიწროებულ მილებში მარჯვედ ჩაბერავდნენ, მილის მეორე ბოლოზე მიმაგრებული ბუნიკებიდან ბოლი ამოდიოდა. დანარჩენებს ხელში ფართო, ალაპლაპებული ხმლები ეკავათ, გეგონებოდა, მტრის წინააღმდეგ მიემართებიანო. რამ-

დენიმე კაცსაც პატარა, ტყავის ან თუნუქის ბუდეები გადაეკიდებინა ზურგზე ან ბალთებით შემოეკრა წელზე.

წარმოიდგინე, საყვარელო რუფინ, მე, კაცი, რომელიც ყოველ ახალ მოვლენას ვუკირკიტებ ხოლმე, რათა ცოდნა გავიმდიდრო, შევდექი და ამ უცნაურ ხალხს მივაშტერდი. ისინიც ჩემს ირგვლივ შეჭუჩდხენ, თან ყვირილი მორთეს: ფილისტერი, ფილისტერი! მერე კი საშინელი სიცილი დამაყარეს*. ამან გამაჯავრა, რადგან, საყვარელო რუფინ, დიდი სწავლულისთვის არის რაღაც შეურაცხმყოფელი, როცა იმ ხალხის წარმომადგენლად მიგიჩნევენ, რომელიც მრავალი საუკუნის წინათ სახედრის თავის ქალით ამოხოცეს! ვიფიქრე, თავს არ გავუყადრებ და ირგელივ შეკრებილ უცნაურ ხალხს ხმამაღლა, ღირსეულად განვუცხადე — იმედი მაქვს თავი ცივილიზებულ ქვეყანაში ვიგულო და შეურაცხმყოფელთა დასასჯელად პოლიციასა და სასამართლოს მივმართავ-მეთქი. ეს რომ ვთქვი, საშინელი ყაყანი ატეხეს. ამის შემდეგ იმათაც კი, ვინაც აქამდე მილიდან ბოლს არ უშვებდა, ჯიბეებიდან საამისოდ განკუთვნილი მანქანები ამოიღო და ყველამ სქელი კვამლი სახეში შემომაბოლა, ახლაღა შევამჩნიე, რომ ბოლი აუტანლად ყარდა და გონება დამიბნელდა. შემდეგ ისეთი საშინელი სიტყვებით გამლანძღეს, რომ მათი ხსენება, საყვარელო რუფინ, შენთანაც არ შემიძლია. იმ სიტყვების გახსენებისას გულზე სისხლი მომენოხევა ხოლმე. ბოლოს საშინელი დამცინავი ხარხარით მიმატოვეს და მეც ისე მომეჩვენა, თითქოს ჰაერში სიტყვა „მაძთრახი" გახმიანდა. ჩემმა მეეტლემ, რომელმაც ყველაფერი გაიგონა და დაინახა, ხელები მოიფშვნიტა და თქვა:

— ო, ჩემო საყვარელო ბატონო! მოსახდენი უკვე მოხდა, იმ ქალაქში კი, ქუდიც რომ შეგიგდონ, ნუღარ შეხვალთ! როგორც იტყვიან — ფეხებზედაც არ დაგიკიდებენ და თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებთ...

გულწრფელ მეეტლეს ლაპარაკი არ დავასრულებინე და ცხენები მთელი სისწრაფით მახლობელი სოფლისაკენ გავარეკინე. ახლა ვზივარ ამ სოფლის ერთადერთი სასტუმროს განმარტოებულ ოთახში და შენ, ჩემო საყვარელო რუფინ, ჩემს თავგადასავალს მოგითხრობ. რამდენადაც შესაძლებელი იქნება, შევკრებ ცნობებს იმ ბარბაროსებზე, ქალაქში რომ

ცხოვრობენ. ზოგი რამ უკვე გავიგე მათი ძალზე უცნაური ზნე-ჩვეულების შესახებ. ყოველივე ამას დაწვრილებით შეგატყობინებ.“

ჩემო საყვარელო მკითხველო, ალბათ გენიშნებოდა უკვე, რომ ადამიანი შეიძლება დიდი მეცნიერი იყოს, ცხოვრებაში კი სრულიად ჩვეულებრივი რამ არ იცოდეს და საქვეყნოდ ცნობილმა ამბავმაც საგონებელში ჩააგდოს, მის ახირებულ ფიქრებს ფრთები შეასხას. მართალია, პტოლომეუს ფილადელფუსი მეცნიერებას ეუფლებოდა, მაგრამ იმ დროს, როცა თავის მეგობარს უზიარებდა ამ ამბავს, ერთხელაც არ უფიქრია — სტუდენტები იქნებიანო. პტოლომეუს ფილადელფუსმა ვერც ის გაიგო, რომ იგი სოფელ ჰოხიაკობსჰაიმში მოხვდა, ხოლო ეს სოფელი, როგორც ცნობილია, კერეპესის სახელგანთქმული უნივერსიტეტიდან ორ ნაბიჯზეა.

კეთილი პტოლემეუსი სტუდენტებთან შეხვედრამ დააფრთხო, რომლებიც გასართობად ქალაქგარეთ გასულიყვნენ. მაგრამ ფილადელფუსი გაცილებით საშინელ დღეში ჩავარდებოდა, ერთი საათით ადრე რომ მოსულიყო კერეპესში და შემთხვევას ბუნებისმეტყველების პროფესორ მოშ ტერპინთან მიეყვანა, რომელსაც ქუჩაში ხმამაღალ კამათში გართული ასობით სტუდენტი შემოხვეოდა გარს. მაშინ ხომ მათი ალიაქოთი და ხორხოცი მთლად გადააცდენდა ჭკუაზე — მაშინ ხომ კიდევ უფრო ძალუმ ფრთებს შეისხამდა პტოლომეუს ფილადელფუსის ფიქრები.

მოშ ტერპინის ლექციებს ყველაზე მეტი სტუდენტი ესწრებოდა. როგორც უკვე ითქვა, იგი ბუნებისმეტყველების პროფესორი გახლდათ და ისიც თავის სტუდენტებს უხსნიდა, თუ რა მიზეზით იწვოდა ესა თუ ის საგანი, რა იწვევდა ელვასა და ქუხილს, რატომ ანათებდა დღისით მზე, ხოლო ღამით — მთვარე, როგორ და რატომ იზრდებოდა ბალახი და ასე შემდეგ. თანაც ისე აუხსნიდა ხოლმე, რომ ნებისმიერი ბავშვი გაიგებდა. მთელი ბუნება მან პატარა, მშვენიერ კომპენდიუმში მოაქცია და როცა კი დასჭირდებოდა, მოხერხებულად იყენებდა ამ კომპენდიუმს, თითქოს გამოსაწევი უჯრააო, — გამოაღებდა უჯრას და საჭირო პასუხსაც ამოიღებდა. მოშ ტერპინის დიდებას დასაბამი მისცა ფიზიკის სფეროში მრავალგზის ჩატარებული ცდების შედეგად წარმატებით მიგნე-

ბულმა დასკვნამ, რომ სიბნელეს უმთავრესად შუქის ნაკლებობა იწვევს. ამ აღმოჩენამ და კიდევ იმ ამბავმა, რომ ფიზიკის ცდებს მოშ ტერპინი დიდი სიმარჯვით გადააქცევდა ხოლმე ხელოვნების ნიმუშად (პროფესორი ამ დროს მშვენიერ ფოკუსებსაც მიმართავდა ხოლმე), მოშ ტერპინს აუარება მსმენელი დაახვია. ნება მომეცი, ჩემო კეთილო მკითხველო, რაკი შენ გაცილებით უკეთესად იცნობ სტუდენტობას, ვიდრე სახელგანთქმული მეცნიერი პტოლომეუს ფილადელფუსი და რაკი სულაც არ გადარდებს მისი უგუნური ელეთ-მელეთი, კერეპესში პროფესორ მოშ ტერპინის სახლთან სწორად იმ დროისათვის მიგიყვანო, როცა მან თავისი ლექცია დაამთავრა. ზღვა სტუდენტობაში შენს ყურადღებას მაშინვე მიიპყრობდა ერთი ოცდასამი-ოცდაოთხი წლის აშოლტილი ყმაწვილი, რომლის შავად მოელვარე თვალები მკაფიოდ ავლენენ მის დიდსულოვან, ცოცხალ ბუნებას. მისი გამოხედვა შეიძლება უტიფარ მზერადაც მოგჩვენებოდა, ფერმკრთალ სახეზე გაწოლილ ნაღველს რომ არ დაებინდა მეოცნებე ჭაბუკის თვალთა ელვარე სხივები. მისი შავი, ხავერდით გაწყობილი ნაზი მაუდის ფრაკი თითქოს ძველგერმანულ მოდაზე იყო გამოჭრილი, ფრაკს ძალზე უხდებოდა კოპწია, გაქათქათებული მაქმანის საყელო. მშვენიერ, წაბლისფერ ხუჭუჭ თმაზე ყმაწვილს ხავერდის ბერეტი ჰქონდა წამოდებული. ეს სამოსი ალბათ იმიტომ უხდებოდა, რომ თავისი ქცევით, სიდარბაისლითა და გამომეტყველებით ჭაბუკი უდაოდ გარდასული, მშვენიერი ღვთისმოშიში დროების ყალიბზე იყო გამოჭრილი და სწორედ ამიტომ ამ ყმაწვილის შემყურეს სრულად გადაგავიწყდებოდა ის კოკობზიკობა, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე თვალში გვეჩხირება ხოლმე; ზოგი წამხედურა ხომ მცდარად იგებს ახალი დროის მოთხოვნებს და ასევე მცდარად ითვისებს მათ. ეს ყმაწვილკაცი, რომელიც შენ, საყვარელო მკითხველო, ერთის ნახვით მოგეწონა, სტუდენტი ბალთაზარი გახლავს, შვილი ღირსეული და შეძლებული მშობლებისა, თავადაც გონებაგახსნილი და ბეჯითი ყმაწვილი. ბალთაზარის შესახებ, ჩემო მკითხველო, მრავალი საოცარი ამბის თხრობას ვაპირებ.

მუდამ ჩაფიქრებული ბალთაზარი პროფესორ მოშ ტერპინის ლექციიდან ქალაქის კარიბჭისაკენ გაემართა, რათა სა-

ფარიკაო მოედნის ნაცვლად თავი იმ წარმტაცი ტყისათვის შეეფარებინა, კერპესიდან ორასიოდე ნაბიჯზე რომ ეგულებოდა.

— ბალთაზარ! — ხმამაღლა გასძახა ფაბიანმა, — ბალთაზარ, ნუთუ დაზაფრული ფილისტერივით ისევე ტყეში გსურს მარტოდმარტო ხეტიალი? ხომ არ დაგავიწყდა, რომ მამაცი სტუდენტები ახლა გულმოდგინედ ეწაფებიან ფარიკაობის კეთილშობილ ხელოვნებას?! გთხოვ, ბალთაზარ, ბოლოს და ბოლოს, თავი დაანებო სისულელეებს და წინანდებურად მხნე და მხიარული გახდე. წავიდეთ, ერთი-ორჯერ ხელი გავიქნიოთ, ხოლო თუკი კვლავ მოგინდება გასეირნება, მაშინ მეც შენთან ერთად წამოვალ.

— ვიცი, კეთილი გულით მეუბნები, — უპასუხა ბალთაზარმა, — ამიტომაც აღარ გაგიწყრები იმის გამო, რომ ხანდახან ფეხდაფეხ ამედევნები და მისპობ იმ სიამოვნებას, რომლისაც შენ არაფერი გაგეგება. შენ იმ უცნაურ ადამიანებს მიეკუთვნები, ყოველ განმარტოებით მოხეტიალეს რომ დაზაფრულ, მელანქოლიით შეპყრობილ სულელად სთვლიან და თავისებურად მისი განკურნებაც სურთ; ხომ გახსოვს, ის ცბიერი კარისკაცი, ღირსეული პრინცის განკურნება რომ მოინდომა, ჰამლეტმა კი ის კაცუნა თვითონ მოაჭკვიანა, როცა ამ უკანასკნელმა განუცხადა, — ფლეიტაზე დაკვრა არ ვიცი. მაგრამ საამისოდ, ჩემო საყვარელო ფაბიან, არ მემეტები, თუმცა ერთი რამ გულწრფელად უნდა გთხოვო; რაპირითა და ესპადრონით კეთილშობილი ფარიკაობისათვის სხვა ამხანაგი გამოძებნე, მე კი თავი დამანებე.

— არა, არა, — შესძახა ფაბიანმა სიცილით, — ასე იოლად ჩემგან თავს ვერ დაიძვრენ, ძვირფასო მეგობარო! თუ საფარიკაო მოედანზე არ წამომყვები, მაშინ მე წამოგყვები ტყეში. ერთგული მეგობრის ვალია მწუხარებაშიც გვერდით დაგიდგეს, გაგამხიარულოს. მაშ წავიდეთ, საყვარელო ბალთაზარ, წავიდეთ, რაკი სხვა არაფერი გინდა.

ამ სიტყვებზე ფაბიანმა მეგობარს ხელი ჩაჰკიდა და მასთან ერთად მხიარულად გაუყვა გზას. გაჯავრებულმა ბალთაზარმა ენაზე კბილი დაიდგა და სახემოქუფრულს ხმა აღარ გაუღია, ფაბიანი კი სულმოუთქმელად რატრატებდა. რაღა თქმა უნდა, სისულელეც ბევრი წამოროშა, რადგან როცა

ადამიანი დაუსრულებლად ყვება სასაცილო ამბებს, სისულელეებსაც ბევრს გამოურევს ხოლმე.

ბოლოს სურნელოვანი ტყის გრილ ჩრდილს შეერივნენ; ბუჩქების სუნთქვა ვნებიან ჩურჩულად გაისმა, არე-მარეს მოჩქრიალე ნაკადულების წარმტაცი მელოდიები და ტყის ფრთოსანთა გალობა მოედო, მთებმაც გამოძახილი მისცეს ამ ხმებს. ბალთაზარი უეცრად შედგა, მკლავები გაშალა, თითქოს ხეებსა და ბუჩქნარს სიყვარულით უნდა ჩაეხვიოსო, და წარმოთქვა:

— ო, რა კარგად ვარ ისევ, რა ბედნიერი ვარ!

ფაბიანმა მეგობარს გაოცებით შეავლო თვალი. ეტყობა, ვერაფერი გაუგო მეგობარს და არც ის იცოდა, ახლა როგორ მოქცეულიყო. ამ დროს ბალთაზარმა ხელი ჩააელო და აღტაცებულმა წამოიძახა:

— ხომ მართალია, ძმაო, რომ გული გაგეხსნა და ტყეში განმარტოების ნეტარი იდუმალება შენთვისაც გასაგები გახდა?

— მთლად კარგად არ მესმის შენი, საყვარელო ძმაო, მაგრამ თუკი ფიქრობ, რომ ტყეში გასეირნება გულს გიხარებს, მაშინ მეც შენი აზრისა ვარ. განა მეც სიამოვნებით არ დავსეირნობ, განსაკუთრებით რჩეულ საზოგადოებასთან ერთად. მერედა, რამდენ საზრიან სიტყვა-პასუხს გაიგონებ ასედ დროს! განა ჭეშმარიტად დიდი სიამოვნება არაა, პროფესორ მოშ ტერპინთან ერთად ქალაქგარეთ გასეირნება? იგი ხომ ნებისმიერ მცენარეს, ყოველგვარ ბალახეულს იცნობს და მათი სახელიც იცის, იცის რომელ კლასს განეკუთვნებიან ისინი, გაეგება ქარისა და ამინდის...

— მოიცა! — წამოიძახა ბალთაზარმა, — მოიცა, თუ ღმერთი გწამს! შენ ისეთ საკითხზე ჩამოაგდე სიტყვა, რასაც შეეძლო გავეცოფებინე, ნუგეშად რომ არ მქონდეს ერთი რამ. როცა პროფესორი ბუნებაზე დაიწყებს საუბარს, გული მეძიძგნება ხოლმე. მეტიც, იმ დროს ისეთი საშინელი შიში შემიპყრობს, თითქოს ვხედავდე იმ ჭკუაშეშლილს, ვისაც უგუნურობის გამო თავისი თავი მეფედ და მბრძანებლად მიაჩნია, ვინც საკუთარი ხელით გამოჩორკნილ, ბზით გატენილ თოჯინას ეხვეწა და ასე ჰგონია, დედოფალს ევხვეწიო. მისი ე. წ. ექსპერიმენტები, მიმაჩნია საზიზღარ დაცინვად ღვთაებრივი არსებისა, რომლის სუნთქვა სახეზე გველამუნება, სულ-

ში კი წმინდაზე წმინდა წინათგრძნობებს აცოცხლებს. რამდენჯერ მომნდომებია დამემსხვრია მისი შუშები და კოლბები, მთელი მისი ხარახურა, მაგრამ ისევ გადამიფიქრია, რადგან მაიმუნი ცეცხლთან თამაშს მანამდე არ მოეშვება, ვიდრე თვითონ არ დაიწვავს ხელებს. აი, ფაბიან, ასეთი ფიქრებით შეპყრობილი ვუსმენ მოშ ტერპინის ლექციებს, ეს ფიქრები გულს მიწურავენ, ხოლო თქვენ ყველამ ასეთ დროს ადვილად შეიძლება მეტისმეტად გულჩათხრობილ და კაცთმოშიშ ადამიანად ჩამთვალოთ. ასე მგონია ხოლმე, სახლები თავზე ჩამომექცევა-მეთქი და აუწერელი შიში ქალაქიდან მდევნის. აქ კი ჩემი სული მალე ივსება ნეტარი სიმშვიდით. აყვავებულ მოლზე წამოწოლილი გავცქერი ზეცის უსასრულო ლურჯ კამარას, აერიამულებული ტყის თავზე ისე მინავარდობენ მოოქროვილი ღრუბლები, თითქოს შორეული სამყაროს ნეტარებით სავსე დიდებული ზმანება იყოს. ო, ჩემო ფაბიან, ასეთ დროს ჩემს არსებაში საკვირველი სული იღვიძებს და მე მესმის მისი იდუმალი საუბარი ბუჩქებთან, ხეებთან, ტყის ჩანჩქერებთან. არ ვიცი, რა სიტყვებით აღვწერო ის ნეტარება, ის საამო სევდა, მთელს ჩემს არსებას რომ ავსებს ხოლმე.

— ეჰ, — წარმოსთქვა ფაბიანმა, — ეს ხომ ისევ ის ძველი სიმღერაა სევდასა და ნეტარებაზე, მოუბარ ხეებსა და ტყის ნაკადულებზე. შენს ლექსებში ბლომადაა ეს გულისამაჩუყებელი ამბები, ყურს რომ ესალბუნება და გულს გიხარებს, ვიდრე ლექსს ლექსად კითხულობ და ამის მიღმა არაფერს ჩაეძიები. მაგრამ ერთი ეს მიბრძანე, ჩემო ნაღვლიანო მეგობარო, თუკი მოშ ტერპინის ლექციები მოთმინების ფიალას გივსებს, მაშ რისთვისღა ესწრები მის ლექციებს და გარინდებული თვალებს არ ახელ, თითქოს ოცნების ბურანში იყო გახვეული?

— ნუ მკითხავ, — უპასუხა ბალთაზარმა და თვალები ძირს დახარა, — ნუ მკითხავ ამას, ძვირფასო მეგობარო! ყოველ დილას რაღაც უხილავი ძალა მეწევა მოშ ტერპინის სახლისკენ. ჩემს ტანჯვას წინასწარ ვგრძნობ, მაგრამ არ შემიძლია ამ სურვილს წინ აღვუდგე. შავბნელი ბედისწერა მიზიდავს იქით!

— ჰა, ჰა, ჰა, — გადაიხარხარა ფაბიანმა, — რა ფაქიზად, პოეტურად, მისტიკურად მეტყველებს! ის უხილავი ძალა, მოშ ტერპინის სახლისაკენ რომ გეწევა, მშვენიერი კანდიდას მუქ

ლურჯ თვალებშია ჩამალული. ყველამ დიდი ხანია ვიცით, რომ პროფესორის მშვენიერმა ქალიშვილმა დაგიკოდა გული. ამიტომაა, ვითომენთ შენს ახირებულ საქციელს, შენს სისულელეებს; შეყვარებულებს ასე ემართებათ. შენ სიყვარულით ხარ დაავადებული, ამ სნეულების პირველ სტადიაში იმყოფები, და სიჭაბუკის ბოლო წლებში გიწევს ყველა იმ უაზრო სისულელეების ჩადენა, რომლებიც ჩვენ, მეც და სხვებმაც, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდეც სკოლაში მოვითავეთ ისე, რომ მაინცდამაინც ბევრი მაყურებელი არ დაგვისწრია, მაგრამ მერწმუნე, სული ჩემი...

ფაბიანმა თავის მეგობარ ბალთაზარს ისევე ჩასჭიდა მკლავში ხელი და მასთან ერთად სწრაფი ნაბიჯით გაუყვა გზას. ის იყო ტევრიდან ფართო გზაზე გავიდნენ, რომელიც ზედ შუა ტყეზე გადიოდა, რომ მოშორებით ფაბიანმა მტვრის კორიანტელში გახვეული ცხენი დაინახა, ჭენებ-ჭენებით რომ მოგელავდა მათკენ.

— ჰე ჰეი! — შესძახა მან, — შეხე, როგორ მოჰქრის ეს დაწყეველილი ჯაგლაგი. ეტყობა, მხედარი გადმოუგდია. ცხენი დავიჭიროთ და მერე პატრონიც მოვძებნოთ.

ეს თქვა და ზედ შუა გზაზე დადგა.

ცხენი თანდათან ახლოვდებოდა. ახლოდან კი ისე ჩანდა, თითქოს ცხენის ორივე ფერდზე ჩექმები იყო ჩამოკონწიალებული, ხოლო უნაგირზე რაღაც შავი ფართხალებდა. ზედ ფაბიანის ცხვირწინ გაისმა გაჭიანურებული მჭახე „დრრრ — დრრრ“, იმავე წუთში ფაბიანის თავთან ერთმა წყვილმა მხედრულმა ბოტფორტმა ჩაიქროლა, ხოლო მის ფეხებთან რაღაც უცნაურმა საგანმა გაადინა ზღართანი. უზარმაზარი ცხენი ადგილზე გაქვავებულიყო და კისერწაგრძელებული სუნავდა თავის პაწაწინა მხედარს, რომელიც ქვიშაში გორავდა და ბოლოს წვალებით ფეხზე წამოდგა. დაგვალულ ციდა კაცს ამოყრილ მხრებში ჩაეარდნოდა თავი. მკერდსა და ზურგზე ამოზრდილი კუზით, პატარა ტანითა და მაღალი ობობისებური კანჭებით იგი ჩანგალზე წამოგებულ ვაშლსა ჰგავდა, რომელზეც უცნაური სიფათი გამოეკოპიტებინათ. როგორც კი ფაბიანმა ეს საკვირველი მახინჯი თავის წინ გაჭიმული დაინახა, ხმამაღალ ხარხარს მოჰყვა. ჯუჯამ მიწაზე დაგდებული ბერეტი შუბლზე ჩამოიფხატა, ფაბიანს გამსჭვალავი მზერა ესროლა და უხეში, ხრინწიანი ხმით ჰკითხა:

— ეს გზა კერეპესისაკენ მიდის?

— დიახ, ბატონო ჩემო! — უპასუხა ბალთაზარმა დინჯად. მიწაზე დაყრილი ბოტფორტები აიღო და ჩიაკაცს გაუწოდა. ჩიაკაცმა ვერას დიდებით ვერ ჩაიცვა ჩექმები, ხან ერთ მხარეს წაიქცეოდა, ხან მეორე მხარეს და კვნესა-კვნესით ქვიშაში ფორთხავდა. ბალთაზარმა ორივე ბოტფორტი წყობისად დააყენა, პატარა კაცი ფრთხილად აიყვანა ხელში და ისევ მოფრთხილებით ორივე ფეხი ძალზე ძვირფას ჩექმებში ჩააყოფინა. პაწიამ უმალ ცალი ხელი წელზე შემოიდო, მეორე ხელი ბერეტთან მიიტანა და ამაყი სახით წამოიძახა „gratias", ბატონო ჩემო!" მერე ცხენისკენ გაემართა და ღვინო ხელში მოიქცია, მაგრამ ვერც უზანგს მისწვდა და ვერც ცხენზე შეცოცდა. ბალთაზარი წელანდელივით სერიოზული და თავაზიანი სახით მივიდა მასთან და უზანგზე შეაყენა. ეტყობა, ჩიამ ვერ მოზომა, — მეტის-მეტად მარჯვედ აიქნია ტანი, ცხენს გადაახტა და ისევ მიწაზე გაიშხლართა.

— ასე ნუ გაცხარდებით, ძვირფასო მუსიო! — შესძახა ფაბიანმა და ისევ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— ეშმაკია თქვენთვის ძვირფასი მუსიო, — უპასუხა გაცოფებულმა ჯუჯამ და სამოსიდან ქვიშა ჩამოიბერტყა. — მე სტუდენტი გახლავართ და თუ თქვენც სტუდენტი ხართ, ამ უტიფარი დაცინვისათვის ხვალ კერეპესს დუელში გიწვევთ!

— ღმერთმა დალახვროს, — სიცილი არ შეუწყვეტია, ისე შეიცხადა ფაბიანმა, — ღმერთმა დალახვროს! რაც შეეხება გამბედაობასა და სტუდენტურ წრთობას, — ეს ყრმა თურმე თავზეხელაღებული და მარჯვე ჯეელი ყოფილა, — თქვა ფაბიანმა და მიუხედავად იმისა, რომ ჩიაკაცი ჯიუტობდა და ფართხალებდა, მაინც აიყვანა ხელში და ცხენზე დაასკუპა. ცხენმა მაშინვე მხიარული ხვიხვინით გააჭენა პატარა მხედარი. ფაბიანმა დოინჯი შემოიყარა, სიცილისგან სულს ძლივს ითქვამდა.

— არ გეკადრება დასცინო ადამიანს, რომელიც ბუნებამ ასე საშინლად დასაჯა. — თქვა ბალთაზარმა. — თუ მართლა სტუდენტია, მის წინააღმდეგ ბრძოლა მოგიწევს, ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკადემიური წესების დარღვევა იქნება, დამბაჩით უნდა შეებრძოლო, რადგან პაწია მხედარი ვერც რაპირას მოიხმარს და ვერც ესპადრონს.

— შენ რა, ნუთუ ასე ახლოს მიიტანე ეგ ამბავი გულთან? საწყენად არაფერი მითქვამს, დაცინვა გულშიაც არ გამოვლია. მაგრამ ერთი ეს მითხარი, განა შეიძლება, რომ ასეთი კუზიანი ცეროდენა ცხენზე იჯდეს და ცხენის კისრის იქით ვერ იხედებოდეს? განა შეჰფერის გაწვნიკულ კანჭებზე ასეთი დაწყვეტილი ფართო ჩექმების ამოცმა? შეჰფერის ამდენი ზონრებით, ყაითნებითა და ფოჩებით გაწყობილი ასეთი ვიწრო ქურთუკი ანდა ასეთი უცნაური ხავერდის ბერეტი? შეჰფერის ასეთი ქედმალალი და ზვიადი ფერი? ასეთი ბარბაროსული, ჩახლანძული ხმით ლაპარაკი? გეკითხები, შეჰფერის ყველაფერი ეს? და ამის შემდეგ განა არ იმსახურებს ჩემგან სამართლიან დაცინვას ეს ზედგამოჭრილი მასხარა?.. მაგრამ შინ უნდა წავიდე, ჩემი თვალით უნდა ვნახო ის აურზაური, რასაც ამაყ მერანზე ამხედრებული ამ რაინდის ქალაქში შესვლა გამოიწვევს. ისეთი დაძმარებული ხარ, დღეს შენთან ლაპარაკი მაინც არ ღირს. კარგად მენახე! — გამოემშვიდობა ბალთაზარს და ქალაქისკენ აჩქარებით გასწია.

ბალთაზარმა გზიდან ხშირ ბუჩქნარში გადაუხვია და მტანჯველი ფიქრებით გათანგული ხავსმოდებულ კოლობოზზე ჩამოჯდა. იოლი შესაძლებელი იყო, მართლაც უყვარდა მშვენიერი კანდიდა, მაგრამ ამ უსაზღვრო და ფაქიზ სიყვარულს, როგორც დიდ საიდუმლოს, ბალთაზარი ყველას უმალავდა. საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა ამ სიყვარულში. მაგრამ ახლა, როცა ფაბიანმა პირდაპირ და უბოდიშოდ უთხრა ყველაფერი, ასე ეჩვენებოდა, თითქოს იმ წმინდა ხატებას, რომლის ხელისხლებას თვითონ ვერ ბედავდა, უტიფარი ხელით ჩამოაგლიჯეს საფარველი და ამიერიდან ეს წმიდათა-წმიდა ხატებაც სამარადისოდ შეიძულებდა. დიახ, ასე ეჩვენებოდა, თითქოს ფაბიანის სიტყვებმა მთელი მისი არსება, ყველა მისი უტკბილესი ოცნება შეურაცხყო.

— მაშ შეყვარებულ ყმაწვილად მთვლი, ფაბიან! — წარმოსთქვა წყენით გულავსილმა ბალთაზარმა. — მთვლი სულელად, რომელიც მოშ ტერპინის ლექციებზე იმიტომ დარბის, რომ მშვენიერ კანდიდასთან ერთ ჭერქვეშ ერთი საათი მაინც გაატაროს, მთელი ატაცებულ ყეყეჩად, რომელიც მარტოდმარტო იმიტომ დაეხეტება, რომ შეყვარებულს წყალწყალა ლექსები უძღვნას, ხოლო როცა შეთხზავს, ეს ლექსები კიდევ

უფრო გააწყალოს; ესე იგი მთელი იმ ადამიანად, ვინც სულელური ვენზელების ამოჭრით ხეებს სიცოცხლეს უსპობს, ხოლო შეყვარებულის თანდასწრებით ერთ გონივრულ სიტყვასაც ვერ ამბობს, მხოლოდ ოხრავს, მხოლოდ ხვნეშის და სახე ისე ჩამოსტირის, თითქოს კრუნჩხვები ემართებოდეს; გამოდის, რომ ისეთ კაცად მიგაჩნივარ, ვინაც დამჭკნარ ყვავილს, ქალს რომ გულზე ებნია, ან ქალის დაკარგულ ხელთათმანს შიშველ მკერდზე იხუტებს — ერთი სიტყვით, ათას ბავშვურ სისულელეს სჩადის? და ამის გამო მახელებ, ფაბიან, ამის გამო დამცინიან სხვა სტუდენტები, ამის გამო მიგდებენ მახხარად მეც და ჩემს აზრებს, ჩემს სულს, მთელს ჩემს ბუნებას,... ხოლო წარმტაცი, საყვარელი, მშვენიერი კანდიდა...

როგორც კი ეს სახელი წარმოსთქვა, გულში თითქოს ხანჯალი გაუყარესო. ის იმ წუთას რაღაც შინაგანმა ხმამ მკაფიოდ ჩასჩურჩულა, რომ სწორედ კანდიდას გულისათვის დადის მოშ ტერპინის სახლში, რომ სწორედ მისთვის წერს ლექსებს, მისი სახელი გამოყავს ხეების კანზე, რომ მასთან ყოფნისას ენას ვერ სძრავს, ოხრავს, რომ მისი ხელიდან გავარდნილი დამჭკნარი ყვავილი მკერდით დააქვს, რომ ამგვარად, მაღლა სჩადის ათას სისულელეს, რასაც ფაბიანი ეუბნებოდა... ახლაღა იგრძნო, რა ძლიერ უყვარდა მშვენიერი კანდიდა. მაგრამ ამასთანავე ისიც იგრძნო, რომ ეს უწმინდესი, გულში ჩაკირული სიყვარული ზოგჯერ უცხო თვალისათვის ქარაფშუტული მოჩანს და ცხოვრება ამ სიყვარულს იმ ღრმად დაფარულ ირონიულ სახეს აძლევს, რომელიც ბუნებას ყოველგვარი ადამიანის მოქმედებისთვის დაუდია საფუძვლად.

შეიძლება მართალიც იყო, რასაც ფიქრობდა, მაგრამ ამის გამო მაინც არ უნდა გაბრაზებულიყო. ბალთაზარი ოცნებათა ბურუსიდან გამოერკვა, ახლა ტყის ჩურჩულსაც დაცინვად აღიქვამდა. ყმაწვილი შემობრუნდა და აჩქარებული ნაბიჯით კერეპესისაკენ გაეშურა.

— ბატონო ბალთაზარ mon cher* ბალთაზარ, — მოესმა ვიღაცის ხმა.

ბალთაზარმა მიიხედა და ადგილზე მოჯადოებულივით შედგა: მისკენ მოშ ტერპინი მოდიოდა, პროფესორს ხელკავით მოჰყავდა თავისი ქალიშვილი.

კანდიდამ მისთვის ჩვეული მხიარული და მეგობრული სალამი უთხრა ქანდაკებასავით გაქვავებულ ყმაწვილს.

— ბალთაზარ, mon cher ბალთაზარ, — წარმოსთქვა პროფესორმა, — თქვენ მართლაც უბეჯითესი და ჩემი უსაყვარლესი მსმენელი ხართ. ო, ჩემო კეთილო, ვამჩნევ, ბუნება მთელი თავისი სასწაულებით ისევე გიყვართ, როგორც მე; ბუნების სიყვარულმა ხომ ლამის ჭკუაზე შემშალოს! ჩვენს პატარა ტყეში ალბათ კიდევ შეკრიბეთ მცენარეული ნიმუშები, არა? რაიმე საყურადღებო თუ იპოვეთ? მოდი, უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი! მომინახულეთ ხოლმე, — ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნებით. შეგვიძლია ცდებიც ერთობლივად ჩავატაროთ. უკვე ნახეთ ჩემი ჰაერის საქაჩი?.. ხვალ საღამოს, mon cher, მეგობრები მყავს დაპატიჟებული, თქვენც მობრძანდით, მოგართმევთ ჩაის და ბუტერბროდებს, თან ერთურთს სასიამოვნო საუბრით გავამხიარულებთ. გაგვაბედნიერეთ თქვენი მობრძანებით, გაგაცნობთ ძალზე მიმზიდველ ყმაწვილ ქაცს, რომელმაც განსაკუთრებული რეკომენდაციებით გაგვაცნო თავი. Bon soir*, mon cher!—მშვიდობის საღამოს გისურვებთ უძვირფასესო, au revoir!* — ნახვამდის! ხვალ ხომ მოხვალთ ლექციებზე? აბა, mon her, adieu* — უთხრა და ბალთაზარის პასუხს არც კი დალოდებია, პროფესორი მოშ ტერპინი ქალიშვილთან ერთად იქაურობას გაეცალა.

გაბრუებულმა ბალთაზარმა კანდიდას თვალიც ვერ გაუსწორა. მაგრამ ქალიშვილის მზერა მაინც გულმკერდს უწვავდა, გრძნობდა მის სუნთქვას და ტკბილი ჟრუანტელი მთელს არსებას უვსებდა.

უგუნებობამ ერთბაშად გაუარა და აღტაცებული მანამდე უყურებდა ტანკენარ კანდიდას, ვიდრე ქალიშვილი ტალავერს მიეფარებოდა. მერე ნელი ნაბიჯით ტყეში შებრუნდა, რათა ისეთი ტკბილი ოცნებისათვის მიეცა თავი, რაც ჯერაც არ ზმანებია.

თავი მეხსამე

როგორ მოხდა, რომ ფაბიანმა არ იცოდა, რა ეთქვა. კანდიდა და ქალიშვილები, რომლებსაც თევზი არ ეჭმებოდათ. მოშ ტერპინის სახლში მოწყობილი ლიტერატურული საღამო და ჩაის სმა. ახალგაზრდა პრინცი.

— . —

ფაბიანი ტყეში გაკაფულ ბილიკზე გარბოდა, ფიქრობდა, გზას მოეჭრი და უცნაურ ცეროდენას ქალაქში ჩასვლას და-

ვასწრებო. მაგრამ შეცდა. ის იყო, ტყის პირს მიაღწია, რომ კარგა მოშორებით ისევ მოჰკრა თვალი ცეროდენას, რომელსაც ახლა მეორე ტანადი მხედარი ამგზავრებოდა. მხედრები კერეპესის კარიბჭის მიღმა გაუჩინარდნენ.

— ჰმ, მართალია, ამ ჩხართვმა თავისი ცხენით კი გამისწრო, მაგრამ ქალაქში ატეხილ აურზაურს მაინც მივუსწრებ. ერთი ვნახოთ, როგორ დახვდებიან კერეპესში მის მიბრძანებას. თუ ეს შეპრეტილი ჯეელი მართლაც სტუდენტია, მაშინ მას „ფრთოსან რაშს“ მიასწავლიან, ხოლო როცა იგი თავისი გამყინავი ხმით „პრის“ შესძახებს და ცხენს გააჩერებს, როცა ბიტფორტები წასძვრება და თეითონაც ზღართანს მოადენს, სტუდენტების სიცილზე კი ყინჩაობას და ჯგიმვას დაიწყებს, — აი, სეირსაც მაშინ ვნახავ!

როცა ფაბიანი ქალაქში შევიდა, დარწმუნებულიც იყო, სასტუმრო „ფრთოსანი რაშისაკენ“ მიმავალ ქუჩებში ხარხარსა და ხორხოცს გავიგონებო. მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა: გამვლელები მშვიდად, დადინჯებით მიდი-მოდიოდნენ თავ-თავის გზაზე. ფაბიანმა აკადემიკოსების* ერთ ჯგუფსაც მოჰკრა თვალი; ისინი „ფრთოსანი რაშის“ წინ მოედანზე შეკრებილიყვნენ და ერთმანეთთან დარბაისლურად საუბრობდნენ. ფაბიანმა იფიქრა, ეტყობა, ცეროდენა აქ არ გამოჩენილაო, მაგრამ როგორც კი სასტუმროს შესასვლელისკენ გაიხედა, ცეროდენას ცხენი დალანდა, რომელიც თავლისაკენ მიჰყავდათ. ფაბიანი ერთ-ერთ ნაცნობს მივარდა და ჰკითხა, ქალაქში შემოსული ძალზე უცნაური ცეროდენა ხომ არ დაგინახავსო? ამის თაობაზე ფაბიანის ნაცნობმა არაფერი იცოდა, უცნაური მხედარი ვერც სხვებმა გაიხსენეს, მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილი დაწვრილებით უყვებოდა შეკრებილთ ცეროდენა სტუდენტის თავგადასავალს. გამვლელებმა ბევრი იცინეს, მაგრამ მხედარი მაინც ვერ გაიხსენეს. ირწმუნებოდნენ, ასეთი სულიერი, შენ რომ აღწერე, ქალაქში საერთოდ არ გამოჩენილა, მაგრამ სასტუმრო „ფრთოსან რაშში“ კი ამ ათიოდე წუთის წინათ ორი წარმოსადეგი მხედარი ჩამოხტაო.

— ერთ-ერთი მათგანი იმ ცხენზე ხომ არ მჯდარა, ახლა რომ თავლაში წაიყვანეს? — იკითხა ფაბიანმა.

— დიახ, სწორედ მაგ ცხენზე იჯდა, — უპასუხა რომელიღაც სტუდენტმა. — მართალია, ამ ცხენის პატრონი, ცოტა არ

იყოს ტანმორჩილი, მაგრამ მოხდენილი აღნაგობის მხედარი იყო და თან ისეთი მშვენიერი გრუზა თმა ჰქონდა, თვალი ვერ მოვაშორე. ამასთანავე ჩინებული მხედარი ჩანდა: ცხენიდან ისე მოხდენილად, ისეთი ღირსებით ჩამოხტა, ჩვენი თავადის მეჯინიბეთუხუცესსაც არ დაუდებდა ტოლს.

— ესე იგი, არც ბოტფორტი წასძრობია ფეხიდან, არც თავად გაგორებულა მიწაზე, არა? — წამოიძახა ფაბიანმა.

— ღმერთო დაგვიფარე! — ერთხმად წამოიძახა ყველამ. — რას ამბობ! ამ ყმაწვილისნაირი მხედარი იშვიათად შეგეხვედრია!

ფაბიანმა აღარ იცოდა, რა ეთქვა. უცბად ქუჩაში ბალთაზარი გამოჩნდა. ფაბიანი მისკენ გაქანდა, ბალთაზარი თავშეყრილ სტუდენტებთან მიიყვანა და უთხრა, ის კაცუნა, შარაზე რომ ზღართანი მოადინა, ეს-ესაა ქალაქში ჩამოსულა და თავისი გარეგნობითა და ცხენზე ჯდომის ოსტატობით ყველა მოუხიბლავსო.

— აი, ხომ ხედავ, — თქვა ბალთაზარმა მშვიდად, — ხომ ხედავ, საყვარელო ძმაო ფაბიან, რომ ყველა შენსავით უღმერთოდ როდი დასცინის იმ უბედურს.

— ო, ღმერთო ჩემო, — სიტყვა შეაწყვეტინა მას ფაბიანმა, — აქ ლაპარაკი დაცინვასა და უღმერთობაზე როდია. საქმეც ისაა, სამი მტკაველის სიმაღლე თალგამა ქონდრისკაცს თუ შეიძლება მოხდენილი მამაკაცი უწოდო?

ბალთაზარი იძულებული გახდა დაედასტურებინა პატარა სტუდენტის სიმაღლესა და გარეგნობაზე ფაბიანის მიერ გამოთქმული აზრი. დანარჩენები ამტკიცებდნენ, პატარა მხედარი სასიამოვნო შესახედაობის მოხდენილი მამაკაციაო, ხოლო ფაბიანი და ბალთაზარი კვლავ თავისას გაიძახოდნენ, — ამ ჯუჯაზე საშინელი არსება ალბათ არსად გეყოლებათ ნანახიო.

ორივე მხარე თავის აზრს ადგა. ბოლოს, საგონებელში ჩავარდნილი სტუდენტები წავიდ-წამოვიდნენ.

ამასობაში კარგა დაბნელდა და ორივე მეგობარი შინისკენ გაუდგა გზას. უცბად ბალთაზარმა თავისდაუნებურად წამოროშა, პროფესორ მოშ ტერპინს შევხვდი, ხვალ საღამოს ოჯახში მიმიპატიჟაო.

— აი, ბედნიერება! — შესძახა ფაბიანამა, — შენ უბედნიერესი კაცი ხარ! იქ შენს საყვარელ, მშვენიერ მამზელ* კანდიდას ნახავ, მოუსმენ და ესაუბრები.

შეურაცხყოფილი ბალთაზარი წუთით ფაბიანს ჩამოსცილდა, იფიქრა, მარტო წავალო, მაგრამ თავი შეიკავა, წყენა გულში ჩაიკლა, შეჩერდა, და ფაბიანს უთხრა:

— შესაძლოა მართალი იყო, საყვარელო ძმაო, რომ მე, უგუნურ, შეყვარებულ ლაზღანდარად მთელი. შეიძლება მართლაც ასეთი ვარ, მაგრამ ეს უგუნურება ჩემი სულის მტკივნეული ღრმა ჭრილობაა და თუკი მას მოურიდებლად შეეხებიან, შესაძლოა უნებლიეთ სისულელეც ჩავიდინო. ამიტომ, გთხოვ, ჩემო ძმაო, თუკი მართლა გიყვარვარ, კანდიდას სახელს ნუღარ მიხსენებ!

— საყვარელო მეგობარო ბალთაზარ, საგნებს კელავ ძალზე ტრაგიკულად უყურებ, თუმცა შენს დღეში ჩავარდნილ კაცს სხვა რა მოეთხოვება, — უთხრა ფაბიანმა. — მაგრამ შენთან უსიამოვნო შეხლა-შემოხლას რომ თავი ავარიდო, გპირდები, კანდიდას სახელი იმაზე ადრე აღარ წარმოვთქვა, ვიდრე შენ თვითონ არ მომცემ ამის საბაბს. დღეს კი, იმის ნება მაინც მომეცი, გითხრა: შენი სიყვარულის გადამკიდეს ბევრი უსიამოვნება შეგხვდება. ეს ამბავი წინდაწინ ვიცი. კანდიდა ძალზე ფაქიზი, დიდებული ქალიშვილია, მაგრამ შენს მელანქოლიურ, მეოცნებე ხასიათს სრულიად არ შეეფერება. რაც უფრო ახლო გაიცნობ მის მხიარულ, მარტივ ბუნებას, მით უფრო მეტად იგრძნობ ნაკლებობას პოეზიისას, რომელსაც შენ ისედაც ვერსად პოულობ. ბოლოს იდუმალი მეოცნებე გახდები და ყოველივე საშინელი ტანჯვითა და სასოწარკვეთილებით შემოგიბრუნდება. სხვათა შორის, სახვალიოდ მეც მიწვეული ვარ პროფესორთან, რომელიც მშვენიერი ექსპერიმენტებით გაგვართობს! ახლა კი ღამე მშვიდობისა, იდუმალო მეოცნებევ! გამოიძინე, თუკი დაგეძინება ისეთი მნიშვნელოვანი დღის წინ, როგორიც ხვალ გელის.

ამ სიტყვებით ფაბიანი გასცილდა მეგობარს, რომელიც ღრმა ფიქრებში ჩაფლულიყო. ფაბიანი შესაძლოა არც ცდებოდა, როცა ბალთაზარსა და კანდიდას მრავალი უსიამოვნება და ამაღლებული ტანჯვის წუთები უწინასწარმეტყველა, რადგან ორთავეს პიროვნება, მათი სულიერი წიაღი ასეთი ვარაუდისათვის საკმაო საბაბს იძლეოდა.

კანდიდას შუქმფინარი თვალებისა და ოდნავ დაბუშტული ბაგეების ხილვა ადამიანს გულს აუჩქროლებდა. ქალიშვი-

ლი, — ამ ამბავს ყველა აღიარებდა, — მართლაც რომ კალმით ნახატს ჰგავდა. არ ვიცი რას შევადარო, ან რა ფერი ვუწოდო მის მშვენიერ დალალებს, მაგრამ ის კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მის დალალებს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა. რაც უფრო დიდხანს უცქერდი, თმა უფრო და უფრო უმუქდებოდა, დალალებს სულ უფრო და უფრო ედებოდა წაბლისფერი. ტანი მოხდენილი და წერწეტი ჰქონდა, მსუბუქი სიარული იცოდა, ხოლო როცა მას მხიარულ ყმაწვილებს შორის დაინახავდით, კანდიდა მართლაც მშვენიერებისა და გრაციის განსახიერებად წარმოგიდგებოდათ. მისი ესოდენ მიმზიდველი გარეგნობა უთუოდ თვალს დაგახუჭინებდათ იმ გარემოებაზე, რომ ხელ-ფეხი შეიძლება უფრო პატარა და მოხდენილი ჰქონებოდა. კანდიდას წაკითხული ჰქონდა გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“, შილერის ლექსები და ფუკეს „ჯადოსნური ბეჭედი“, მაგრამ თითქმის ყველაფერი, რაც ამ წიგნებიდან შეითვისა, კვლავ გადაივიწყა. კანდიდა საკმაოდ კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და ხანდახან დაამღერებდა კიდეც. ცეკვით უახლეს ცეკვებს, — გავოტენსა და ფრანგულ კადრილს ცეკვავდა, ხოლო გასარეცხი თეთრეულის სიას გარკვევით, ფაქიზად გადაწერდა ხოლმე. თუკი მაინცდამაინც ნაკლის გამონახვა მოგინდებოდათ, შეიძლება ამ მიმზიდველი ქალიშვილის უხეში ხმა დაგეწუნათ ან ტანზე მეტისმეტად შემოტმასნილი კაბებისათვის გაგეკიცხათ.

დიდად საქებარი არც ის უნდა ყოფილიყო, რომ კანდიდას საკმაოდ დიდხანს არ უნელდებოდა ახალი ქუდის შეძენით გამოწვეული სიხარული და კიდევ ის, რომ ჩაიზე ბლომ-ბლომად გეახლებოდათ ნამცხვრებს. აგზნებულ პოეტებს შეიძლება ბევრი სხვა ნაკლიც გამოეძებნათ, მაგრამ ამათ რომ ყური უგდო, მიზეზები არ გამოელევათ!

უწინარეს ყოვლისა, ამ პოეტებს ისა სურთ, რომ ქალიშვილს ყოველივე აღაფრთოვანებდეს და აბრუებდეს, რასაც კი ისინი იტყვიან, ამასთანავე, ეს ქალიშვილი უნდა ოხრავდეს, თვალებს ატრიალებდეს, დროდადრო მას გულიც უნდა შეუღონდეს ან სულაც თვალები დაუბრმავდეს, რაც ქალურობის უმაღლესი საფეხურია. ამ ხსენებულმა ქალიშვილმა პოეტის ლექსებზე თავად უნდა დაწეროს მუსიკა, — საკუთარი გულის სიმღერა, უნდა მოსდიოდეს ელეთ-მელეთი და თა-

ვადაც უნდა შეთხზას ლექსი, მაგრამ მისი გამოქვეყნებისა უნდა რცხვენოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ქალი თვითონ გადასცემს სურნელოვან ქაღალდზე ფაქიზი ხელით დაწერილ ლექსს პოეტს, რომელსაც შემდგომ აღტაცებისაგან თვითონაც მოუვა ელეთ-მელეთი, რაიც მას დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალოს. არიან პოეტური ასკეტები, რომლებიც უფრო შორს მიდიან და ფიქრობენ, რომ თუ ქალიშვილი იცინის, ჭამს, სვამს და მოდისდამიხედვით ფაქიზად იცმევს, ეს ამბავი ყოველგვარ ქალურ სიფაქიზეს ეწინააღმდეგებაო. ასეთი პოეტები წმინდა, ჰიერონიმეს* ემსგავსებიან, რომელიც ქალიშვილებს საყურეების ტარებასა და თევზის ჭამას უკრძალავს. მათ უნდა ჭამონ, როგორც წმინდანი ბრძანებს, მცირედ შეკაზმული მხალეული, მუდამ მშივრები უნდა იყვნენ, მაგრამ შიმშილს ვერ უნდა გრძნობდნენ, ტანზე ეს ქალიშვილები უხეში ნაჭრის ცუდად შეკერილ ტანსაცმელს უნდა იცვამდნენ, რომელიც სხეულს დაუფარავს, უპირველეს ყოვლისა კი, ისეთი ამხანაგი ქალი უნდა შეარჩიონ, რომელიც სერიოზული, ფერმკრთალი, მჭმუნვარე და ცოტა დაუდევარი იქნება.

მხიარულება და სითამამე კანდიდას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და ამიტომ ჰაეროვანი, უწყინარი იუმორით შეზავებული და მსუბუქი ფრთებით მოფარფატე საუბარი ყველაფერს ერჩია. გასართობ ამბავზე კანდიდა გულიანად იცინოდა ხოლმე, არასოდეს ოხრავდა, თუკი ანგარიშში არ ჩავთვლით მის ხვნეშასა და კვნესას, როცა წვიმა განზრახულ გასეირნებაზე ხელს ააღებინებდა ანდა მის ახალთახალ შალს ლაქა დააჩნდებოდა. თუკი ოხვრის მიზეზი მართლაც გაჩნდებოდა, მაშინ კანდიდას წრფელი და ალალი მჭმუნვარება შეიპყრობდა ხოლმე, რაც არასოდეს გადადიოდა გაცვეთილ სენტიმენტალობაში და მე და შენ, საყვარელო მკითხველო, პოეტებისაგან განსხვავებით დაწუნარებულ ხალხს, კანდიდა უთუოდ მოგვხიბლავდა. მართალია, ბალთაზარის საქმე შეიძლება სხვაგვარად შეტრიალებულიყო, მაგრამ სულ მალე იმის მოწმენი გავხდებით, თუ რა სწორად იწინასწარმეტყველა პროზაულმა ფაბიანმა.

ბალთაზარმა რომ განსაკუთრებული მღელვარებისა და აუწერლად ტკბილი თრთოლვის გამო მთელ ღამეს ვერ მოხუჭა თვალი, სავსებით ბუნებრივი ამბავი გახლდათ. შეყვარებულ-

ზე ფიქრით გატაცებული ბალთაზარი მაგიდას მიუჯდა და საკმაოდ ბევრი ტკბილხმოვანი სტრიქონი დაწერა, რომლებიც ძოწისფერი ვარდის მიმართ ბულბულის სიყვარულზე მოგვითხრობდნენ. ამ ლექსში საკუთარი სიყვარულის ამბავი მისტიკურად იყო გადმოცემული. ბალთაზარი ლექსის წაკითხვას მოშ ტერპინის ლიტერატურულ ჩაის საღამოზე აპირებდა, რითაც კანდიდას უმწეო გულზე იერიშს მიიტანდა.

ფაბიანს კიდეც გაეღიმა, როცა წინასწარდათქმულ დროს ბალთაზარის წასაყვანად მივიდა და მასპინძელი მეტისმეტად კოპწიად გამოწყობილი ნახა. პერანგის საყელო ბალთაზარს ბრიუსელური უფაქიზესი დაკბილული მაქმანით გაეწყო, ტანზე ხავერდის სახელოჩაჭრილი ქურთუკი ემოსა. ფეხზე მაღალი, ქუსლებწაწვეტებული და ვერცხლის ფოჩებით შემკული ფრანგული ჩექმები ეცვა, თავზე უნაზესი კასტორის ინგლისური შლაპა დაეხურა, ხელზე კი დანიური ხელთათმანები წამოეცვა. ამრიგად, ბალთაზარი სულ ერთიანად გერმანულად იყო გამოწყობილი. ეს სამოსი განსაკუთრებით უხდებოდა, მით უფრო, რომ თმაც მშვენიერად დაეხვია, ხოლო პატარა ულვაშები მოხდენილად ჩამოევარცხნა.

აღტაცებისაგან ბალთაზარს კინაღამ გული ამოუვარდა საგულედან, როცა მოშ ტერპინის სახლში მისულს ერთიანად ძველგერმანული ქალწულის სამოსში გამოწყობილი კანდიდა შემოეგება. ქალიშვილის სალამს, დახვედრას ახლაც ალერსისა და სინაზის სურნელი ასდიოდა.

— ჩემო წარმტაცო ფროილაინ! — ამოიკვნესა ბალთაზარმა, როცა კანდიდამ, თვით უტკბილესმა კანდიდამ, მას ერთი ფინჯანი ცხელი ჩაი მიაართვა.

ქალიშვილმა ბალთაზარს გაბრწყინებული მზერა შეაგება და უთხრა:

— ინებეთ რომი და მარაჭინო, ორცხობილა და პუმპერნიკელი, პატივცემულო ბატონო ბალთაზარ! მიირთვით, რაც გესიამოვნოთ!

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ რომის და მარაშინოს, ორცხობილასა და პუმპერნიკელის გემო გაესინჯა, გაბრუებულმა ბალთაზარმა ვერა და ვერ მოაცილა წარმტაც ქალიშვილს მწველი სიყვარულითა და ტანჯვით აღსავსე მზერა, თან ისეთ სიტყვებს ეძებდა, რომლებიც უკეთ გამოხატავდნენ მის განცდებსა

და გულის შორეულ კუნჭულებში მიმალულ გრძნობებს. სწორედ ამ დროს ბალთაზარს მხარზე ესთეტიკის პროფესორმა დაადო ხელი, — მაღალმა, ჩაფსკვნილმა კაცმა ყმაწვილი თანავისკენ შემოაბრუნა, რის გამოც ბალთაზარს იატაკზე ჩაი დაეღვარა, და ძლიერი ხმით დაიბუბუნა:

— ძვირფასო ლუკას კრანახ*, ნუ ყლურწავ ამ საზიზღარ წყალს, მაგ გერმანულ კუპს მთლად გაიფუჭებ. მეორე ოთახში ჩვენს დიდებულ მოშს კეთილშობილი რაინვაინით სავსე მშვენიერი ბოთლების მთელი არმია ჩაუმწკრივებია. აბა, წამომყევი, ახლავე შევეჯიდოთ! — და ესთეტიკის პროფესორმა საწყალი ყმაწვილი მეორე ოთახისაკენ წაათრია.

მაგრამ უცებ პროფესორი მოშ ტერპინი შემოეფეთათ, რომელსაც ძალზე უცნაური პატარა კაცუნა მოჰყავდა და ხმამაღლა იძახდა:

— კეთილშობილო ქალბატონებო და ბატონებო, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ იშვიათი ღირსებებით დაჯილდოებული ყმაწვილკაცი, რომლისთვისაც ძნელი არაა დაიმსახუროს თქვენი ყურადღება და კეთილი განწყობა. ეს გახლავთ ახალგაზრდა ბატონი ცინობერი, რომელიც სამართლის შესასწავლად გუშინ ჩამობრძანდა ჩვენს უნივერსიტეტში!

ფაბიანმა და ბალთაზარმა პირველი შეხვედრისთანავე იცნეს საოცარი ცეროდენა, სწორედ ის ცეროდენა, ცხენიდან რომ ჩამოვარდა.

— ნეტავ რა იარაღი გამომადგება მაგ ალრაუნის წინააღმდეგ საბრძოლველად, სალამური თუ ხარაზის სადგისი? ასეთი საშიში მტრის წინააღმდეგ სხვა იარაღს ნამდვილად ვერ ვიხმარ! — წასჩურჩულა ფაბიანმა ბალთაზარს.

— გრცხვენოდეს, — მიუგო ბალთაზარმა, — გრცხვენოდეს, ნუ დასცინი დაკუტებულ ადამიანს, რომელიც როგორც გაიგონე, იშვიათი თვისებებითაა შემკობილი და ამრიგად სულიერი ღირსებებით ანაზღაურებს იმას, რაც ბუნებამ მის აღნაგობას დააკლო.

შემდეგ იგი ცეროდენას მიუბრუნდა და უთხრა:

— იმედი მაქვს, ძვირფასო ბატონო ცინობერ, თქვენს გუშინდელ ცხენიდან ჩამოვარდნას ცუდი შედეგი არ მოჰყოლია?

ცინობერი საჯდომით დაეყრდნო პატარა ჯოხს, რომელიც

ჩვეულებრივ ხელში ეჭირა ხოლმე, ფეხის თითებზე აიწია და ბალთაზარს წელამდეც კი მისწვდა, მერე თავი უკან გადაიგდო; ბალთაზარს ბოროტად ანთებული თვალები მიაპყრო და საოცრად ხრინწიანი ბანით წარმოთქვა:

— წარმოდგენა არა მაქვს, რა გსურთ, რაზე მეკითხებით, ბატონო ჩემო! ცხენიდან ჩამოვვარდი?... მე ჩამოვვარდი ცხენიდან? თქვენ, ეტყობა, არ იცით, რომ ჩემზე უკეთესი მხედარი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება, ეტყობა არ იცით, რომ ცხენიდან არასოდეს ჩამოვვარდნილვარ, რომ კირასირებთან ერთად მოხალისედ მილაშქრია და ოფიცრებსა და კარისკაცებს მანეჟზე მხედროსნობას ვასწავლიდი! — ჰმ, ჰმ! ცხენიდან ჩამოვვარდი, — მე ჩამოვვარდი ცხენიდან!?

ამის თქმისთანავე წასვლა დააპირა, მაგრამ ის იყო ზურგი შეაქცია, რომ ჯოხი, რომელსაც ეყრდნობოდა, იატაკზე გაუსრიალდა და ცეროდენა ბალთაზარის ფეხებთან რამდენიმეჯერ გადაკოტრიალდა. ბალთაზარი დაიხარა, ცეროდენას ადგომაში დაეხმარებიო, მაგრამ როცა მისკენ წაიღო ხელი, უნებლიეთ კაცუნას თავს შეეხო. ცეროდენამ ისე ყურისწამღები კივილი მორთო, მთელი დარბაზი შესძრა და შეშინებული სტუმრებიც ადგილებიდან წამოცვივდნენ, ბალთაზარს შემოეხვივნენ და კითხვები დააყარეს,— ასე საშინლად რად დაიკივლეო.

— ცუდად ნუ გამიგებთ, ძვირფასო ბალთაზარ, — მიმართა პროფესორმა მოშ ტერპინმა, — მაგრამ მეტად უცნაური ხუმრობა გამოგვივიდათ. ალბათ კატის გამოჯავრება გინდოდათ, ვითომდა ვიღაცამ კატას კუდზე დაადგა ფეხი, არა?

— კატა, კატა! სასწრაფოდ მოაშორეთ აქაურობას! — დაიძახა ერთმა ნერვებაშლილმა ქალბატონმა და მაშინვე გული შეუღონდა. „კატა, კატა"-ს ძახილით ორი ხანშიშესული, იდიოსინკრაზიით დაავადებული ბატონი კარს ეცა.

კანდიდა, რომელმაც გულშეღონებულ ქალბატონს მთელი შუშა საყნოსებელი სითხე დაასხა, ბალთაზარს მიუბრუნდა და წყნარად უთხრა:

— ეს რა უბედურებას გადაგვკიდეთ, საყვარელო ბატონო ბალთაზარ, ამ თქვენი საშინელი კივილითა და კნავილით!

ბალთაზარს ვერაფერი გაეგო. წყენისა და სირცხვილისაგან სახეალეწილმა კრინტიც ვერ დასძრა, ვერაფრით ვერ მოახერ-

ხა იმის თქმა, რომ ასე საშინლად პატარა ბატონმა ცინობერმა დაიკივლა და არა მან.

პროფესორმა მოშ ტერპინმა შეამჩნია, რომ ყმაწვილკაცი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ბალთაზარს მიუახლოვდა და მეგობრულად უთხრა:

— არა უშავს რა, ძვირფასო ბატონო ბალთაზარ. დამშვიდდით. ყველაფერი კარგად დავინახე. თქვენ საუკეთესოდ მიჰბაძეთ გაბრაზებულ ავ კატას. სხვა დროს მე თვითონაც ძალიან მიყვარს ნატურალისტურ-ისტორიული ხასიათის ასეთი თამაშობანი, მაგრამ ახლა, ამ ლიტერატურული ჩაის სმის დროს...

— მაგრამ, უპატივცემულესო ბატონო პროფესორო, ეს ხომ მე არ ვყოფილვარ! — როგორც იქნა წამოიძახა გაჯავრებულმა ბალთაზარმა.

— არა უშავს რა, არა უშავს რა! — შეაწყვეტინა პროფესორმა.

ამასობაში მათთან კანდიდა მივიდა.

— დაამშვიდე, გეთაყვა, პატივცემული ბალთაზარი, — მიმართა თავის ქალიშვილს პროფესორმა, — მომხდარი უსიამოვნების გამო იგი ძალზე შემკრთალია.

კეთილ კანდიდას გულწრფელად შეებრალა საწყალი ბალთაზარი, რომელიც მთლად დაბნეული ჩანდა და თვალებდახრილი ახლა მის წინ იდგა. ქალიშვილმა ვაჟს ხელი გაუწოდა და მომხიბვლელი ღიმილით მიმართა:

— მართლაც რომ სასაცილო ხალხია! ასე როგორ უნდა შეგაშინოს კატამ?

ბალთაზარმა მხურვალედ მიიკრა ბაგეებზე კანდიდას ხელი. ქალის გრძნობით აღსილი ცისფერი თვალები ვაჟს შესცქეროდნენ. ვაჟმა მეშვიდე ცაზე იგრძნო თავი და ცინობერიცა და კატის კნავილიც ხელად გადაავიწყდა.

თანდათანობით ყველა დამშვიდდა, მიჩუმდა. ნერვებაშლილი ქალი ჩაის სვამდა, რომში ამოვლებულ ორცხობილას მიირთმევდა, თან მსმენელებს უმტკიცებდა, რომში ამოვლებული ორცხობილა ბოროტი ძალებისგან შეშინებულ ადამიანს ამ..ნევებს და გულს იმედით უვსებსო. გარეთ გავარდნილი ორი მოხუცი ბატონიც, რომლებსაც ქუჩაში მართლაც გაუძვრა ფეხებშუა კატა, დამშვიდებული უკანვე შემობრუნდნენ და სხვებთან ერთად სათამაშო მაგიდას მიუსხდნენ.

ბალთაზარი, ფაბიანი, ესთეტიკის პროფესორი და კიდევ რამდენიმე ყმაწვილკაცი მანდილოსნებს ესაუბრებოდნენ. ბატონმა ცინობერმა ამასობაში ფესის დასადგმელი პატარა სკამი მოაჩოჩა, მერე სკამზე ახოხდა, სკამიდან დივანზე აძვრა, ორ ქალს შუა ჩაჯდა და თავშეყრილ სტუმრებს ამაყი მზერა გადაავლო.

ბალთაზარმა იფიქრა, — ახლა კი ხელსაყრელი დროა ძოწისფერ ვარდზე შეყვარებული ბულბულის ლექსი წავიკითხოო და სათანადო მოკრძალებით, როგორც ეს ახალგაზრდა პოეტებს სჩვევიათ, განაცხადა: ვფიქრობ თავს შევაწყენთ, მაგრამ პატივცემული საზოგადოების კეთილშობილური შენდობის იმედი რომ მქონდეს, გავბედავდი და ჩემი მუზის უახლეს ქმნილებას — ერთ ლექსს წაგიკითხავდითო.

რაკი ქალებმა უკვე გული იჯერეს ჰორაობით, ქალიშვილებმა ამასობაში პრეზიდენტთან მოწყობილი უკანასკნელი მეჯლისიც გაიხსენეს და, ასე განსაჯეთ, უახლოესი მოდის შლაპების საკითხზეც შეთანხმდნენ, ხოლო მამაკაცები ორ საათს მაინც აღარ მოელოდნენ რაიმე დასალევს, — ბალთაზარს ყველამ ერთხმად სთხოვა, ესოდენ დიდ სიამოვნებას ნუ მოგვაკლებთო.

ბალთაზარმა სუფთად გადაწერილი ხელნაწერი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

ბალთაზარის ლექსი, რომელიც ჭეშმარიტი პოეტური გრძნობითა და მგზნებარებით იყო დაწერილი, ავტორს თანდათან იტაცებდა, კითხვისას მის ხმას სულ უფრო და უფრო ემატებოდა მგზნებარება, რაც ბალთაზარის შეყვარებული გულის შინაგან ცეცხლს ააშკარავებდა. აღფრთოვანებისაგან პოეტი მთლად ათრთოლდა, როცა ქალების ჩუმმა ოხერამ და მამაკაცთა წამოძახილმა — „დიდებულია, ჩინებული, ღვთაებრივი!“ — დაარწმუნა, ლექსმა ყველა მოხიბლაო.

ბოლოს კითხვა დაასრულა.

— ო, რა ლექსია! რა აზრები, რა ფანტაზია! რა ლამაზი რითმებია, რა ტკბილხმოვანებაა! გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო ბატონო ცინობერ, ღვთიური ნეტარების მონიჭებისათვის!— გაიძახოდა ყველა ერთად.

— რაო, ეს როგორ? — წამოიყვირა ბალთაზარმა, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ყველანი ცინობერს მისც-

ვივდნენ, რომელიც დივანზე ინდაურივით იფხორებოდა და საზიზღარი ხმით წიოდა:

— უმორჩილესად გმადლობთ, უმორჩილესად გმადლობთ, ნუ დამემდურებით! ეს უმნიშვნელო რამაა, წუხელ სახელდახელოდ დავწერე.

მაგრამ ესთეტიკის პროფესორმა დაიყვირა:

— უძვირფასესო, ღვთისსადარო ცინობერ! გულითადო მეგობარო, დედამიწაზე შენ პირველი პოეტი ხარ ჩემს შემდეგ! მშვენიერო სულო, მოდი, მკერდში ჩაგიკრა, — ამ სიტყვებით მან ცეროდენა დივანიდან ხელში აიტაცა და გადაკოცნა.

ცინობერი ძალზე უკადრისად მოიქცა: პროფესორის მცხვილ მუცელს თავისი პაწაწინა ფეხები დაუშინა და აწივლდა.

— გამიშვი, გამიშვი, მტკივა... გამიშვი, თორემ თვალებს ამოგჩიჩქნი, ცხვირს შუაზე გადაგიხრავ!

— არა! — წამოიძახა პროფესორმა და ცეროდენა დივანზე დასვა. — არა, ძვირფასო მეგობარო, რა საჭიროა ასეთი თავმდაბლობა!

მოშ ტერპინმა ბანქოს სათამაშო მაგიდა მიატოვა, ცინობერთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და სერიოზულად უთხრა:

— ჩინებულია, ჭაბუკო, დიდებულია! ამას როგორ წარმოვიდგენდი, თურმე ძალზე ცოტა უთქვამთ ჩემთვის იმ გენიაზე, თქვენს სულს რომ აცისკროვნებს!

— რომელი თქვენთაგანი, — კვლავ წამოიწყო აღტაცებულმა ესთეტიკის პროფესორმა, — ქალწულებო, რომელი თქვენგანი დააჯილდოებს ბრწყინვალე ცინობერს ამბორით იმ ლექსისათვის, რომელშიც უწმინდესი სიყვარულის ფაქიზი გრძნობაა გამოხატული?

კანდიდა ადგა, — ქალიშვილს ღაწვები შეფაკლოდა, — მიუახლოვდა ცინობერს, დაიჩოქა და ბილწ ლურჯ ტუჩებში აკოცა.

— დიახ, — წამოიყვირა გახელებულმა ბალთაზარმა, — დიახ, ცინობერო, ღვთაებრივო ცინობერო, ნამდვილად შენ დაწერე მელანქოლიური ლექსი ბულბულისა და ძოწისფერი ვარდის შესახებ, ამიტომ, შენვე გეკუთვნის ეგ დიდებული ჯილდო, ახლა რომ მიიღე!

ამ სიტყვებზე მან ფაბიანს ხელი წაავლო, მეზობელ ოთახში გაიყვანა და უთხრა:

— მიყავ სიკეთე, კარგად შემომხედე და გულწრფელად მითხარი, მართლა სტუდენტი ბალთაზარი ვარ, თუ სხვა ვინმე, მითხარი, მართლა ფაბიანი გქვია თუ მეშლება? გამაგებინე ერთი, მოშ ტერპინის სახლში ვართ, თუ სადმე სხვაგან? ვეღარ გავარკვიე, — სიზმარში ვარ თუ ჭკუაზე გადავცდი? მოდი, ერთი, ცხვირზე მომჭაჩე ან შემაჯანჯღარე, იქნება ასე მაინც მოვიცილო თავიდან ეს დაწყეველილი მოჩვენებები!

— როგორ შეგიძლია, — უპასუხა ფაბიანმა, — როგორ შეგიძლია ასე გაშმაგდე მხოლოდ ეჭვის გამო, რადგან კანდიდამ იმ ცეროდენას აკოცა. საჭიროა შენსავე თავს გამოუტყუდე, რომ მისი ლექსი მართლაც ჩინებული იყო.

— რას ლაპარაკობ, ფაბიან! — წამოიყვირა უკიდურესად განცვიფრებულმა ბალთაზარმა.

— ნამდვილად! მაგ ცეროდენამ გასაოცარი ლექსი წაიკითხა, მე კი კანდიდას კოცნა შემშურდა, — თქვა ფაბიანმა. — სხვათა შორის, ამ პატარა კაცუნაში ბევრი რამ ისეთი იმალება, რაც კარგ ტანადობაზე უკეთესია. რაც შეეხება მის გარეგნობას, ცინობერი ახლა ისე საშინელი აღარ მეჩვენება, როგორც ადრე. ლექსის კითხვისას მისი სახე შინაგანმა აღმაფრენამ ისეთი წარმტაცი გახადა, რომ იგი ხშირად მიმზიდველი, ტანადი ყმაწვილი მეჩვენებოდა, მიუხედავად იმისა, მაგიდის სიმაღლეც არაა. მოეშვი უსარგებლო ეჭვიანობას და როგორც პოეტი დაუმეგობრდი პოეტს!

— რაო? — წამოიყვირა გაცოფებულმა ბალთაზარმა, — რაო? დავუმეგობრდე კიდეც მაგ ეშმაკის მაშხალას, რომელსაც ამ ხელებით სიამოვნებით დავახრჩობდი?!

— ამრიგად, ყურნი შენნი გონიერების ხმას აღარ ისმენენ, — თქვა ფაბიანმა. — ახლა კი დარბაზში დავბრუნდეთ, ეტყობა, რაღაც ამბავია — ტაშის ხმა მესმის.

ბალთაზარი უნებლიეთ მეგობარს გაჰყვა.

დარბაზში შესვლისთანავე მეგობრებმა შუა ალაგას მარტოდ დარჩენილი პროფესორი მოშ ტერპინი დაინახეს, რომელსაც ჯერაც ხელში ეკავა ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ალბათ რომელიღაც ფიზიკური ცდა ჩაეტარებინა. პროფესორს სახეზე უდიდესი განცვიფრება აღბეჭდოდა. მთე-

ლი საზოგადოება პატარა ცინობერის ირგვლივ შეკრებილიყო, ჯოხს დაყრდნობილი ცინობერი კი ცერებზე შემდგარიყო და ყოველი მხრიდან წამოსულ ქება-დიდებას ამაყი იერით ისმენდა. ამის შემდეგ კვლავ პროფესორს შემოეხვივნენ, რომელიც ახლა სხვა, სამაგალითო ფოკუსს უჩვენებდა სტუმრებს. მაგრამ დაასრულა თუ არა ფოკუსის ჩვენება, ყველანი ისევ ცეროდენას გარშემო შეიკრიბნენ, თან გაიძახოდნენ: „დიდებულია, ჩინებულია, პატივცემულო ბატონო ცინობერ!“

ბოლოს, თვითონ მოშ ტერპინიც მივარდა ცინობერს და ყველაზე ხმამაღლა შესძახა: „დიდებულია, ჩინებულია, პატივცემულო ბატონო ცინობერ!“

სტუმართა შორის თავადი გრეგორიც იმყოფებოდა, რომელიც უნივერსიტეტში მეცნიერებებს ეუფლებოდა. იგი ლამაზთა შორის ულამაზესი გარეგნობის ყმაწვილკაცი გახლდათ. ამასთანავე ისეთი კეთილშობილი და ძალდაუტანებელი მანერები ჰქონდა; ხელად მოხვდებოდით, მაღალი წარმოშობისა უნდა იყოსო. და აი, სწორედ ეს თავადი გრეგორი წუთითაც არ სცილდებოდა ცინობერს და დაუსრულებელ ხოტბას ასხამდა მას, როგორც ბრწყინვალე პოეტსა და ფიზიკოსს.

უცნაური სანახავი იყო ეს წყვილი. გრეგორის დიდებულ გარეგნობასთან შედარებით პაწაწინა კაცუნა საოცარ არსებას ჰგავდა,— ცხვირაბზეკილი რის ვაი-ვაგლახით დაკინკილებდა წვრილ კანჭებზე, მაგრამ ქალები რატომღაც სწორედ ცინობერს არ აშორებდნენ თვალს, თავად გრეგორს კი აინუნშიაც არ აგდებდნენ. კაცუნა წარამარა ფეხის წვერებზე დგებოდა ხოლმე და კარტეზიულ ალქაჯს ემსგავსებოდა.

პროფესორი მოშ ტერპინი ბალთაზართან მივიდა და უთხრა:

— რას იტყვით ჩემს მეურვეობაში მყოფ საყვარელ ცინობერზე? ამ კაცს უამრავი ღირსება გააჩნია და როცა მას ვაკვირდები, ვგრძნობ, განსაკუთრებული ადამიანი უნდა იყოს. პასტორი, რომელმაც იგი აღზარდა და მე წარმომიდგინა, ბატონ ცინობერის წარმოშობას იდუმალებით მოსავს. მაგრამ აბა დაუკვირდით მის კეთილშობილურ მანერებს, დაუკვირდით, რა უშუალოდ და ღირსეულად უჭირავს თავი. ეჭვი არაა, მის ძარღვებში თავადური სისხლი ჩქეფს, შესაძლოა, იგი პრინციც კი იყოს!

ამძლობაში სტუმრები მაგიდასთან მიიწვიეს. ცინობერი უხერხული ტორტმანით მიუახლოვდა კანდიდას, უშნოდ წაავლო ხელი და სასადილო დარბაზისკენ წაიყვანა.

გახელებული, უბედური ბალთაზარი უკუნი ღამით, ქარსა და წვიმაში, სახლისაკენ გარბოდა.

თავი მეოთხე

როგორ დაემუქრა იტალიელი ვიოლინისტი სბიოკა ბატონ ცინობერს — კონტრაბასში ჩაგაგდებთო და როგორ ვერ მოხვდა რეფერენდარიუსი პულხერი საგარეო საქმეთა სამინისტროში. საბაჟოს მოხელეებისა და გაუქმებული საოჯახო დანიშნულების საოცრებათა თაობაზე. ბალთაზარის მოკვდოება ბუნიკის საშუალებით.

— . —

ბალთაზარი მიყრუებულ ტყეში, კლდის ხავსმოდებულ ქიმზე იჯდა და ჩაფიქრებული დაჰყურებდა ორ ფრიალოს შორის მოქცეულ შამბიან ნაპრალს, სადაც გაცხარებით მიჩხრიალებდა აქაფებული წყარო. ცაზე შავი ღრუბლები მოჰქროდნენ და მთის გადაღმა იკარგებოდნენ. ხეთა შრიალი და წყაროთა ჩქრიალი ყრუ გოდებად გაისმოდა. ამ ხმებს მტაცებელ ფრინველთა ჩხავილი ერთვოდა, რომლებიც ჩაბნელებული ჭალებიდან აიჭრებოდნენ ვრცელი ლაჟვარდისკენ და ღრუბლებს კვალში ჩაუდგებოდნენ.

ბალთაზარს ტყის უცნაურ ხმებში ბუნების უნუგეშო გოდება მოესმოდა, ასე ეგონა, თვითონ უნდა შთანთქმულიყო ამ გოდებაში, თითქოს მთელი მისი არსება ძლიერი, უკურნებელი ტკივილით იყო შეპყრობილი. მწუხარებისაგან გული გახეთქვას ლამობდა და, როცა ბალთაზარს თვალთაგან ცრემლი წასკდა, ყმაწვილს მოეჩვენა, თითქოს ტყის ჩანჩქერთა სულები თვალმოუშორებლად შესცქეროდნენ და ტალღებიდან მისკენ იწვდიდნენ თეთრ ხელებს, რათა ცივ სიღრმეში ჩაეთრიათ.

უცბად შორიდან ბუკის მხიარული ხმა მოიჭრა და მის გულს მალამოდ მოეცხო, მკერდში კვლავ აბორგდა ვნება და ტკბილმა იმედმაც გაიღვიძა. ვაჟმა მიმოიხედა და სანამ ბუკის ხმა ჰაერს არხევდა, ტყის ბნელი ჩრდილები ისე დაღვრემილად აღარ ეჩვენებოდა, აღარც ქარი გოდებდა თითქოს,

აღარც ბუჩქნარი ჩურჩულებდა გულდამწუხრებით და ბალთაზარმა ენა ამოიდგა:

— არა — წამოიყვირა მან, მერე ზეზე წამოიჭრა და მოელვარე თვალები სივრცეს მიაპყრო — არა, ჯერ კიდევ ყველა იმედი არ გამქრალა! უეჭველია, რაღაც ჯადო, ბოროტი სული შეეხო ჩემს ცხოვრებას, მაგრამ სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ამ ბოროტებას მაინც დავძლევ. როცა სიყვარულისაგან გატანჯული, თავგზააბნეული და გულდათუთქული ბოლოს და ბოლოს გამოვუტყდი მშვენიერ კანდიდას, განა არ ამოვიკითხე მის თვალებში თანაგრძნობა, განა არ მიგრძვნია ჩემდამი გულისხმიერება ხელის ჩამორთმევისას: მაგრამ გამოჩნდება თუ არა ის დაწყევლილი გონჯი, კანდიდა უმალ ამ კაცუნათი იხიბლება, თვალს ვეღარ აშორებს ამ შეჩვენებულ მახინჯს და გულიდანაც ვნებიანი ოხვრა აღმოხდება ხოლმე, როცა კი ეს უმგვანი მიუახლოვდება, ან ხელზე ხელს შეახებს. ნამდვილად რაღაც იდუმალი ამბავი უნდა იყოს და ბებიასეული სულელური ზღაპრების დაჯერება რომ შემეძლოს, იმის მტკიცებასაც მოვყვებოდი, ეს ჯუჯა კაცი თილისმითაა შეკრული და ხალხისთვის თვალის ახვევა შეუძლიამეთქი. განა სიგიჟე არაა ის ამბავი, რომ ყველა დასცინის და ამასხარავებს იმ მახინჯ, ბედისაგან დაჩაგრულ კაცუნას, მაგრამ საკმარისია, ხალხში გაერიოს, მაშინვე ქება-დიდებას ასხამს ყველა, როგორც დამსწრეთა შორის ყველაზე ჭკვიანს, განსწავლულს, მოხდენილი გარეგნობის ბატონ სტუდენტს?! ო, რას ვამბობ! თვითონაც რამდენჯერ მიფიქრია, ცინობერი ჭკვიანი და ლამაზი ადამიანია-მეთქი. მხოლოდ როცა კანდიდას შორიახლო ვიმყოფები, მაშინ ვერ სჭრის ჩემზე ის ჯადო და ბატონი ცინობერი გონებაბლაგვი, საზიზღარი ალრაუნია და სხვა არაფერი. ერთი სიტყვით, რაც უნდა მოხდეს, ბოროტ ძალებს მაინც წინ აღუდგები, გაურკვეველი წინათგრძნობა მკარნახობს, რომ შემთხვევა ხელში ჩამიგდებს იარაღს იმ ბოროტი ურჩხულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბალთაზარი კერეპესისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. უცებ გზაზე პატარა დატვირთული კარეტა შეამჩნია, საიდანაც ვიღაც კაცი მეგობრულად უქნევდა თეთრ ხელსახოცს. ბალთაზარი კარეტას მიუახლოვდა და ბატონი ვინჩენცო სბიოკა შეიცნო, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსი, რომელსაც იგი მე-

ტისმეტად აფასებდა ვიოლინოზე დიდებული, სულში ჩამწვდომი დაკვრის გამო. ბალთაზარი ხომ ეს ორი წელიწადია სწორედ მასთან ეუფლებოდა ვიოლინოზე დაკვრას.

— ო, რა კარგია, — დაიძახა სბიოკამ და კარეტიდან გადმოხტა. — ო, რა კარგია, ჩემო ძვირფასო ბატონო ბალთაზარ, ჩემო საყვარელო მეგობარო და მოწაფევ, რომ კვლავ გნახე და შემიძლია გულითადად დაგემშვიდობო.

— როგორ? — გაიოცა ბალთაზარმა, — როგორ, ბატონო სბიოკა, სამუდამოდ ხომ არ მიემგზავრებით კერეპესიდან, სადაც ყველას უყვარხართ და პატივს გცემენ, სადაც ყველა მოგისაკლისებთ?

— დიახ, — უპასუხა სბიოკამ და სიბრაზისაგან სახე წამოუჭარხლდა. — დიახ, ბატონო ბალთაზარ, ვტოვებ ადგილს, სადაც უკლებლივ ყველამ ჰკუა-გონება დაკარგა, ვტოვებ ქალაქს, რომელიც უზარმაზარ საგიჟეთს დაემსგავსა. თქვენ გუშინ ჩემს კონცერტს არ დასწრებიხართ, ქალაქგარეთ ყოფილხართ, თორემ თქვენ მაინც დამიცავდით იმ გახელებული ხალხისაგან, რომელმაც ლამის ფეხით გამთელა.

— რა მოხდა, ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ რა მოხდა? — წამოიყვირა ბალთაზარმა.

— ვუკრავ, — განაგრძო სბიოკამ, — ვიოტის* უძნელეს კონცერტს. ამ კონცერტის შესრულებით ვამაყობ, მიხარია მისი დაკვრა. თქვენც მოსმენილი გაქვთ, და აღფრთოვანებულიც დარჩენილხართ. გუშინ, უნდა გამოგიტყდეთ, მშვენიერ გუნებაზე გახლდით — anima*, ვფიქრობ, საოცრად გულგახარებული — spirito alato, ვფიქრობ. ამ უკიდეგანო ქვეყნის რომელიმე ვიოლინისტი კი არა, თვით ვიოტიც კი ვერ დაუკრავდა უკეთესად. როგორც კი დავამთავრე, ატყდა ტაშის გრიალი. furore* ვფიქრობ, ასეც მოველოდი. ვიოლინოთი ხელში წინ წავიწიე, რომ თავაზიანად მადლობა მომეხსენებინა, მაგრამ, რომ იცოდე, რა ვნახე, და გავიგონე! ვხედავ ყველანი დარბაზის კუთხისაკენ მიისწრაფვიან, მე ზედაც არ მიყურებენ თან ყვირიან: „bravissimo, bravissimo, ღვთაებრივო ცინობერ! აი, ეს გვესმის! ეს რა სიფაქიზე იყო, რა ხელოვნებაა!“ მაშინვე იქით გავიქეცი და ხალხი გავარღვიე. შუა წრეში ვიღაც ერთი ციდა ჯოჯო იდგა და საზიზღარი ხმით წრიპინებდა: „უმორჩილესად გმადლობთ, უმორჩილესად გმად-

ლობთ. ისე დაუკარი, როგორც შემეძლო. ახლა, მართალია, ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების საუკეთესო მევიოლინე ვარ...“

„ეშმაკის კერძი, — შეუყვირე მე, — ვინ უკრავდა, ბოლოს და ბოლოს, მე თუ ეგ მატლი?!“ ხოლო როცა იმ დაგვალულმა ისევ განაგრძო წრიპინი. — „უმორჩილესად გმადლობთ, უმორჩილესად გმადლობთ“, მისკენ გადავხტი, რომ ეს ბილწი ჯოჯო შუაზე გამეხლიჩა, მაგრამ მაყურებლებმა ხელიდან გამომტაცეს, რას არ მიწოდებდნენ: „შურიანო, ეჭვიანო, ჯიბრიანოო“. უცბად ვიღაცამ დაიყვირა „მერედა რა კომპოზიცია იყო!“ და ყველა აჰყვა: „ო, რა კომპოზიცია იყო! ღვთაებრივი ცინობერი! გამოჩენილი კომპოზიტორი!“ მე კიდევ უფრო მეტად გავცოფდი და შევძახე: „ნუთუ აქ დამსწრე ყველა გიჟია? კონცერტი ვიოტისაა, შესრულებით მე შევასრულე, სახელგანთქმულმა ვინჩენცო სბიოკამ!“ ახლა კი მეცა ხალხი, აქეთ-იქიდან გამქაჩეს და იტალიურ ცოფზე დაიწყეს ლაპარაკი. — rabbia, ვფიქრობ. მერე იშვიათი შემთხვევები ახსენეს, ბოლოს ძალისძალად შემათრიეს მეზობელ ოთახში და ისე მომექცნენ, ჰკუაზე გადამცდარ კაცს რომ მოეპყრობიან. დიდხანს არ გაუვლია, ოთახში სენიორა ბრაგაცი შემოვარდა და გონმიხდილი იატაკზე დაეცა. სენიორასაც იგივე ამბავი გადახდა თავს, რაც მე, ჩაათავა თუ არა არია, დარბაზი შეძახილებმა შეძრა: „bravc, bravissimo, ცინობერ!“ თურმე, ყველა ყვიროდა, — ცინობერის სადარ მომღერალს დედამიწაზე ვერსად ნახავთო. ცინობერი კი თავისას გაიძახოდა: „უმორჩილესი მადლობა, უმორჩილესი მადლობა“. სენიორა ბრაგაცის ციება დააწყებინა და მალე სულს განუტევებს, მე კი გაქცევით ვუშველე თავს. კარგად ბრძანდებოდეთ, ძვირფასო ბატონო ბალთაზარ! როგორც კი სენიორ ცინობერს ნახავთ, გადაეცით, რომ ცხვირი არ შემოჰყოს ჩემს კონცერტებზე, თორემ იმ თავის კაუჭა ფეხებზე რომ წავაველებ ხელს, თავით ჩავტენი კონტრაბასში. იყოს შიგნით და ვიდრე არ მოსწყინდება, გინდა უკრას და გინდა იმღეროს. კარგად იყავით, ჩემო საყვარელო ბალთაზარ, ვიოლინოზე დაკვრას თავი არ დაანებოთ!“ ბატონი ვინჩენცო სბიოკა გაოცებისაგან გაშტერებულ ბალთაზარს მოეხვია, შემდეგ კარეტაში ჩაჯდა და იქაურობას ნაჩქარევად გაეცალა.

— მაშასადამე მართალი ვყოფილვარ, — ეუბნებოდა ბალთაზარი თავის თავს, — მაშასადამე მართალი ვყოფილვარ, როცა ვიფიქრე, ეს საზიზღარი მახინჯი, ცინობერი მოჯადოებულია და სხვებსაც თვალებს უბრმავებს-მეთქი?..

სწორედ იმ წუთს ბალთაზარს ვიღაც ყმაწვილმა კაცმა ჩაუქროლა, რომლის ფერმკრთალი შეშლილი სახე გონგადასულობასა და სასოწარკვეთას გამოხატავდა. ბალთაზარს გული დაეთუთქა. ყმაწვილკაცი თავის ერთ-ერთ მეგობრად მიიჩნია და ტყეში ფეხდაფეხ შეუყვა.

ოცი, ოცდაათი ნაბიჯი არც ექნებოდა გაევლილი, რომ რეფერენდარიუსი პულხერი დაინახა ,რომელიც დიდი ხის ქვეშ იდგა და ზეცისკენ თვალებაპყრობილი გოდებდა:

— არა, ასეთი სირცხვილის მოთმენა აღარ შეიძლება! სიცოცხლის ყოველი იმედი დაკარგულია! მხოლოდ სამარეღა დამრჩენია, მშვიდობით სიცოცხლევ, მშვიდობით ქვეყნიერებავ. მშვიდობით ჩემო იმედებო, ჩემო სატრფოვ!

ეს სიტყვები წარმოთქვა თუ არა, სასოწარკვეთილმა რეფერენდარიუსმა უბიდან რევოლვერი ამოიღო და საფეთქელზე მიიდო.

ბალთაზარი ელვის სისწრაფით მიეჭრა მეგობარს, რევოლვერი წაართვა, იქით მოისროლა და პულხერს შესძახა:

— რა დაგემართა, პულხერ, რას შვრები. ღმერთო გვიშველე!

რამდენიმე წუთს რეფერენდარიუსი გონს ვერ მოეგო და სანახევროდ ცნობაწართმეული იჯდა. ბალთაზარი გვერდით მიუჯდა და მის დამშვიდებას შეუდგა, თუმცა პულხერის სასოწარკვეთის მიზეზი არ იცოდა.

ათასჯერ ჩაჰკითხა ბალთაზარმა, ისეთი საშინელი რა დაგემართა, რომ თვითმკვლელობამდე მიხვედიო? ბოლოს რეფერენდარიუსმა ღრმად ამოიოხრა და თხრობა დაიწყო:

— შენ ხომ იცი, საყვარელო ბალთაზარ, რა გაჭირვებულ მდგომარეობაშიც ვარ. ისიც იცი, თუ რა დიდ იმედებს ვამყარებდი საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო ექსპედიტორის ვაკანტურ ადგილზე იცი, როგორი მონდომებითა და დაჟინებით ვემზადებოდი. წარვადგინე ჩემი თხზულებები, რომლებიც, ჩემდა სასიხარულოდ, მინისტრმა მთლიანად მოიწონა. რა იმედით წარვსდექი დღეს დილას ზეპირ გამოც-

დაზე! ოთახში ვიღაც მახინჯი ჯუჯა დამიხვდა, მიხვდები ვიზეც ვლაპარაკობ, — ბატონი ცინობერი. ლეგაციონსვრატი, რომელსაც გამოცდის მიღება ჰქონდა დავალებული, ჩემკენ გამოემართა და მითხრა, — იმ ადგილზე, რომელიც თქვენ გსურდათ მიგეღოთ, ბატონმა ცინობერმაც განაცხადა სურვილი და ამრიგად ორივეს გამოგცდითო. მერე ყურში ჩამჩურჩულა: „თქვენი მეტოქისა სრულიად არ უნდა გეშინოდეთ, ძვირფასო რეფერენდარიუს, პატარა ცინობერის მიერ წარმოდგენილი თხზულებანი სასაცილოდ არ მეყო".

დაიწყო გამოცდა. მრჩევლის არც ერთი კითხვა არ დამიტოვებია უპასუხოდ, ცინობერმა კი არაფერი იცოდა, სრულიად არაფერი. პასუხის გაცემის ნაცვლად რაღაც გაუგებარს ჩხაოდა და ყიპყიპებდა, თან ფეხებს უხერხულად იქნევდა და რამდენჯერმე მაღალი სკამიდანაც ჩამოვარდა. სკამზე მე ვსვამდი ხოლმე. გული სიამოვნებით მეკუმშებოდა: იმ გონჯისაკენ მიმართული მრჩევლის მეგობრული მზერა მწარე ირონიად მივიჩნიე. გამოცდა დასრულდა. მაგრამ ვინ აღწერს ჩემს შეძრწუნებას, როცა მოულოდნელმა მეხმა მიწას გამაკრა, რადგან მრჩეველი კაცუნას მოეხვია და უთხრა... „საოცარი ადამიანი ბრძანდებით! რა ცოდნა გაქვთ, რა ნიჭი, რა მახვილი გონება!" მერე კი მე მომიბრუნდა: „თქვენ სრულიად გამიქარწყლეთ იმედი, ბატონო რეფერენდარიუს პულხერ. სრულიად არაფერი გცოდნიათ! ნუ მიწყენთ, თუ გეტყვით, რომ გამბედაობა, რითაც თქვენ გამოცდებზე წარმოსდექით, ეწინააღმდეგება ყოველგვარ წესს, ყოველგვარ ზრდილობას! სკამზეც კი ვერ შეძელით წესიერად ჯდომა. წარამარა ძირს ვარდებოდით და ბატონი ცინობერი გაყენებდათ. დიპლომატებს კი დიდი სიფრთხილე და საზრიანობა მოეთხოვებათ. Adieu, ბატონო რეფერენდარიუს!"

თავდაპირველად ყველაფერი ხუმრობად ჩავთვალე. გავბედე და მინისტრის ნახვა მოვინდომე. ასე შემომითვალა, როგორ ბედავს ჩემთან მოსვლას მას შემდეგ, რაც გამოცდაზე თავი შეირცხვინა, მე ყველაფერი მომახსენესო!.. ის ადგილი, რომელიც მე მსურდა მიმეღო, უკვე ბატონ ცინობერს მიეღო! ამრიგად, ბოროტმა ძალამ წამართვა ყოველი იმედი და მეც ნებაყოფლობით ხელს ვიღებ სიცოცხლეზე,

რომელიც შავბნელი ბედისწერის ხელში აღმოჩნდა! მარტო დამტოვე!“

— არავითარ შემთხვევაში, — დაიძახა ბალთაზარმა. — ჯერ მე მომისმინე!

ბალთაზარმა პულხერს ყველაფერი უამბო, რაც კერეპესის ჰიშკართან ცინობერის პირველი გამოჩენის დღიდან იცოდა, უამბო თუ რა შეემთხვა ცეროდენას გამო მოშ ტერპინის სახლში, რაც ამ ცოტა ხნის წინათ ვინჩენცო სბიოკასაგან შეიტყო.

— მხოლოდ ერთ რამეში არ შეიძლება ეჭვის შეტანა, — განაგრძო ბალთაზარმა, — იმ უკეთური მახინჯის ყველა საქმეს რაღაც იდუმალი ძალა უდევს საფუძვლად და, დამიჯერე, მეგობარო პულხერ, თუკი ამაში რაღაც ჯადოქრობაა, მაშინ ამ ჯადოქრობას მტკიცედ უნდა აღვუდგეთ წინ, ხოლო სადაც სიმტკიცეა, იქ გამარჯვებაცაა. ამიტომ, ნურც სასოს წარიკვეთავ და ნურც სწრაფ გადაწყვეტილებას მიიღებ. დაე, შევერთდეთ და გაბედულად შევებრძოლოთ ჯადოქრების ამ მოციქულს.

— ჯადოქრების მოციქული, — აღტაცებით წამოიძახა რეფერენდარიუსმა, — დიახ, ჯადოქრების მოციქული, მართლაც რომ ჯადოქრების მოციქულია ეგ დაგვალული, ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ, ძმაო ბალთაზარ, ეს რა დაგვემართა, სიზმარში ხომ არა ვართ? ჯადოქრობა, ავსულობა... ამ ამბებს ხომ რა ხანია ბოლო მოეღო! აკი მრავალი წლის წინათ თავადმა პაფნუტიუს დიდმა შემოიღო განმანათლებლობა და სახელმწიფოდან ყველა ავსული და საეჭვო პირი განდევნა! ნუთუ მაინც შემოიპარა დაწყეველილი კონტრაბანდა? ღმერთმა დალახვროს! ეს ამბავი ახლავე უნდა შეიტყონ პოლიციამ და საბაჟოს მოხელეებმა, თუმცა არა, მხოლოდ ადამიანთა უგუნურებამ და უზარმაზარმა ქრთამმა ჩაგვაგდო ასეთ უბედურ დღეში. დაწყეველილი ცინობერი უთუოდ ძალზე მდიდარია. ამასწინათ იგი ზარაფხანის წინ იდგა, ხალხი ცინობერსაკენ თითს იშვერდა და გაიძახოდა: „შეხეთ ამ დალეულ ლამაზ ბაბუას! აი, მაგას ეკუთვნის მთელი ის ლაპლაპა ოქრო, რასაც მანდ სჭრიან!“

— ჩუმად, — უთხრა ბალთაზარმა, — ჩუმად, ძმაო რეფერენდარიუს, ოქროთი როდია ეგ უწმინდური ძლიერი, აქ სხვა

რაღაც უნდა იყოს! მართალია, თავადმა პაფნუტიუსმა განმანათლებლობა გამოაცხადა თავისი ხალხისა და შთამომავლობის სასარგებლოდ და საამებლად, მაგრამ ზოგიერთი უცნაური და გაუგონარი რამ კვლავაც შემორჩა ქვეყანას. მე მგონია, ერთი-ორი საოჯახო დანიშნულების სასწაული მაინც იქნა შემონახული. მაგალითად, უმსგავსი თესლეულიდან კვლავაც იზრდებიან ტანადი, ულამაზესი ხეები და, ასე განსაჯე, ხარობს მრავალგვარი ხილეული და მარცვლეული, რითაც ჩვენ მუცელს ვიყორავთ. ასევე, ფერად-ფერად ყვავილებს და მწვრებს ხომ შეუძლიათ შეიღებონ ფურცლები და ფრთები უბრწყინვალესი ფერებით და ზედაც სრულიად გასაოცარი ასო-ნიშნები გამოიყვანონ, ამასთან, კაცი ვერ გაიგებს ზეთის საღებავებითაა ეს ფერები დახატული, გუაშით თუ აკვარელით. ვერც ერთი დახელოვნებული კალიგრაფი ვერ შესძლებს ამ ღვლარჭნილი ნაწერის წაკითხვას, მის გადაწერაზე რომ არაფერი ვთქვათ. ეჰ, რეფერენდარიუს, გამოგიტყდები, ჩემს სულში ხანდახან უცნაური რამ ხდება ხოლმე. გადავდებ გვერდზე ჩიბუხს და ოთახში წინ და უკან ვიწყებ სიარულს. ამ დროს რაღაც ხმა ჩამძახის ყურში, რომ თვით მეც სასწაული ვარ, შემომიჩნდება ჯადოსნური მიკროკოსმოსი და მაიძულებს ყოველგვარი სისულელე ჩავიდინო! მაგრამ, რეფერენდარიუს, ამ დროს სახლიდან გამოვრბივარ ხოლმე, ბუნებას ვაფარებ თავს და ყველაფერს ვიგებ, რასაც მელაპარაკებიან ყვავილები, წყალი... და მეც ზეციური ნეტარება მიპყრობს!

— ციებიანივით გაბოდებს! — შესძახა პულხერმა, მაგრამ ბალთაზარს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ვნებიანი გატაცებით შეპყრობილმა მკლავები წინ გაიშვირა და ისევ განაგრძო:

— ყური მიგდე, რეფერენდარიუს, რა ზეციური მუსიკის ხმებითაა გაჟღენთილი ტყეში მონავარდე საღამოს ქარი! ხომ კარგად გესმის, როგორ უმატებს სიმღერას წყაროებმა? ხომ გესმის, რა ნაზად უწყობს ხმას ბუჩქნარი და ყვავილნარი?..

რეფერენდარიუსი სმენად იქცა, რათა მუსიკის ხმები გაეგონა,

— ნამდვილად, — წამოიწყო პულხერმა, — ტყიდან ნამდვილად მოისმის ისეთი წარმტაცი, ისეთი ზებუნებრივი ხმები,

ჩემს სიცოცხლეში რომ არ მსმენია და ეს ხმები სულს მიტკბობს.. არა მგონია ნიავის ჩურჩული იყოს, ეს არც ბუჩქნარის სიმღერაა, არც ყვავილებისა, ეფიქრობ, ჩვენს ყურთასმენას ჰარმონიკის შორეული, ნაზი წკრიალი აღწევს.

პულხერი მართალი გამოდგა. მუსიკის აკორდები სულ უფრო მძლავრად ისმოდა და ეს მშვენიერი ჰანგები თანდათან ჰარმონიკის ხმას ემსგავსებოდა. ოღონდ ეგ იყო, გაუგონარი სიდიდისა და სიძლიერის იქნებოდა საკრავი. როცა მეგობრებმა გზა განაგრძეს, თვალწინ იმდენად მომხიბვლელი და უცნაური სანახაობა წარმოუდგათ, მოჯადოებულნი ადგილზევე გაშეშდნენ: შორიახლო ვიღაც კაცი დაინახეს, რომელსაც თითქმის ჩინურ ყაიდაზე ეცვა. ოღონდაც თავზე ამ კაცს გაფუშფუშებული ბერეტი ეხურა, ლამაზი ფრთებით გაწყობილი. მისი კარეტა პირგადახსნილ, ათასფრად მბრწყინავი ბროლისაგან გაკეთებულ ნიჟარას ჰგავდა, და ორივე დიდი თვალიც ბროლისა უნდა ჰქონოდა. თვლების ყოველი ბრუნი ჰარმონიკის დიდებულ ჰანგებს გამოსცემდა. სწორედ ეს ჰანგები გაიგონეს მეგობრებმა. კარეტა ოქროს მოსართაველიან ორ თოვლივით თეთრ მარტოეშეს მიჰყავდა. მეეტლის ნაცვლად კოფოზე ვერცხლისფერი ხოხობი იჯდა, რომელსაც ნისკარტით ეჭირა ოქროს სადაველები. კარეტის ბოლოში ოქროსფერი ხოჭო იჯდა, რომელიც ელვარე ფრთებს აქნევდა და იმ უცნაურ კაცს ნიჟარაში ჰაერს უნიავებდა. როგორც კი მეგობრებს გაუსწორდა, კაცმა თავი ალერსიანად დაუკრა. იმავე წამს დიდი ხელჯოხის მოელვარე ბუნიკიდან ბალთაზარს სხივი დაეცა და ყმაწვილმაც მკერდში მწველი ჩხვლეტა იგრძნო, ყრუდ დაიგმინა და გაჟრჟოლა, კაცმა კვლავ შეხედა ბალთაზარს და წეღანდელზე უფრო ალერსიანად დაუქნია თავი. როგორც კი ჯადოსნური ეტლი ხშირ ბუჩქნარს მიეფარა, ხოლო ჰარმონიკის ნაზმა ჰანგებმა ჰაერი დაარხია, ნეტარებისა და აღმაფრენისაგან გონდაკარგული ბალთაზარი კისერზე მოეხვია მეგობარს და შესძახა:

— რეფერენდარიუს, ჩვენ გადავრჩით! აი ეგ კაცი დაუდებს ზღვარს ცინობერის დაწყევლილ ჯადოქრობას.

— არ ვიცი, — გაეხმიანა პულხერი, — არ ვიცი, ამ წუთას რა მემართება, მღვიძავს თუ ბურანში ვარ, ერთი კი ცხადია, რალაც ჯერ უცნობი ნეტარება მეღვრება სხეულში, ხოლო სულს კვლავ ნუგეში და სასოება იპყრობს.

როგორ მიირთვა თავადმა ბარზანუფმა ლაიფციგის ტოროლები და დანციგის ოქროს არაყი, როგორ დაილაქავა ჭონით ჭაშმირის შარვალი და როგორ დაწინაურა ცინობერი საიდუმლო მდივნის თანამდებობიდან საგანგებო საქმეების საიდუმლო მრჩევლის თანამდებობაზე. დოქტორ პროსპერ ალპანუსის ნახატებიანი წიგნი. როგორ უკბინა კარისკაცმა სტუდენტ ფაბიანს, როგორ ჩაიცვა მან შლეიფიანი კაბა, რისთვისაც იგი მასხარად აიგდეს. ბალთაზარის გაქცევა.

საჭირო არაა კვლავაც დავმალოთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც ბატონი ცინობერი საიდუმლო ექსპედიტორის თანამდებობაზე მიიღო, შთამომავალი გახლდათ, ბარონ პრეტექსტატუს ფონ მონდშაინისა, რომელიც ფერია როზაბელვერდეს გვარს ტურნირთა წიგნსა და ქრონიკებში ეძებდა. მასაც თავისი მამა-პაპისდა გვარად პრეტექსტატუს ფონ მონდშაინი ერქვა. იგი გამოირჩეოდა დიდი განათლებითა და უფაქიზესი მანერებით, არასოდეს ურევდა ბრუნვებს, თავის სახელს ფრანგულად წერდა და საერთოდ, უნდა ითქვას, გარკვევით იცოდა წერა, ზოგჯერ აკი, ასე გასინჯეთ, თვითონაც წაიმუშავებდა ხოლმე, განსაკუთრებით უამინდობის დროს. თავად ბარზანუფს, დიდი პაფნუტის ერთ-ერთ მემკვიდრეს, ფაქიზი სიყვარულით უყვარდა თავისი მინისტრი, რადგან ამ უკანასკნელს ყველა წამოჭრილ საკითხზე მუდამ მზად ჰქონდა პასუხი, გარდა ამისა, დასვენების საათებში ბარონი ფონ მონდშაინი თავადს კეგლის ეთამაშებოდა, კარგად ერკვეოდა ფულის ოპერაციებში და უბადლოდ ცეკვავდა გავოტს.

ერთხელ ისე მოხდა, რომ ბარონმა პროტექსტატუს ფონ მონდშაინმა თავადი საუზმეზე მიიწვია, ლაიფციგის ტოროლებსა და ერთ ჭიქა დანციგურ ოქროს არაყს გაგასინჯებთო. როცა თავადი მონდშაინების სახლში მივიდა, ვესტიბიულში სხვა წარჩინებულ ბატონ დიპლომატებთან ერთად პატარა ცინობერიც დაუხვდა. ჯოხს დაბჯენილმა ცინობერმა ერთი კი შეავლო თავადს პაწაწა მოელვარე თვალები, მაგიდიდან დათრეული შემწვარი ტოროლა პირისკენ გააქანა და თავადისათვის აღარ შეუხედავს. როგორც კი თავადმა ცეროდენა შეამჩნია, მოწყალედ გაუღიმა და თავის მინისტრს უთხრა:

—მონდშაინ, ვინ არის ეს პატარა, მშვენიერი საზრიანი ყმაწვილკაცი? ეს ალბათ სწორედ ის ყმაწვილია, რომელიც ესოდენ მოხდენილი სტილით და მშვენიერი ხელით ადგენს მოხსენებებს, ამ უკანასკნელ ხანს რომ ვღებულობ თქვენგან, არა?

— მართალს ბრძანებთ, მოწყალეო ხელმწიფევ, — უპასუხა მონდშაინმა. — სწორედ ბედმა გამომიგზავნა მისი თავი, ყველაზე გონიერი და დახელოვნებული მოხელეა ჩემს კანცელარიაში. ცინობერს უწოდებენ. ამ ყმაწვილკაცს დიდი მონდომებით ვუწევ რეკომენდაციას თქვენი სიკეთისა და მოწყალების წინაშე, ჩემო ბრწყინვალე თავადო! სულ რამდენიმე დღეა ჩემთან მუშაობს.

— სწორედ ამის გამოა,— ჩაურთო სიტყვა ერთმა ლამაზმა ყმაწვილკაცმა, რომელიც ამ დროს მოსაუბრეთ მიუახლოვდა, — თუ თქვენი ბრწყინვალება ნებას დამრთავს, შევნიშნავ, სწორედ. ამის გამოა, რომ ჩემს ახალგაზრდა კოლეგას ჯერჯერობით სრულიად არაფერი გამოუგზავნია თქვენთვის. ცნობები, რომლებიც აგრე რიგად მოეწონა უბრწყინვალეს თავადს, ჩემი შედგენილია.

— თქვენ რაღა გნებავთ! — გაბრაზებით მიმართა მას თავადმა.

ამასობაში მათ ცინობერი მიუახლოვდა, რომელიც ხარბად ახრამუნებდა შემწვარ ტოროლას. ყმაწვილკაცი მართალს ამბობდა, მართლაც მისი შედგენილი იყო მოხსენებები, მაგრამ თავადმა მაინც შეუტია:

— თქვენ რაღა გნებავთ, თქვენ ხომ კალამიც არ აგიღიათ ხელში? ახლა კი, უტიფრად ახრამუნებთ შემწვარ ტოროლას, ჩემდა სამწუხაროდ ქონითაც დამილაქავეთ ახალი ჭაშმირის შარვალი. ეს ყველაფერი, ვგონებ, საკმარისია, რომ დიპლომატიურ სარბიელზე თქვენი უვარგისობის თაობაზე აზრი გამოვთქვა. უმჯობესია შინ მიბრძანდეთ და თვალით აღარ დამენახოთ, ვიდრე ჩემი ჭაშმირის შარვლიდან ლაქის საიმედო ამოსაყვან საშუალებას არ მომიტანთ... მხოლოდ ამის მერე შეიძლება თქვენს მიმართ კვლავ შემწყალე გავხდე!

შემდეგ თავადი ცინობერს მიუბრუნდა:

— ისეთი ყმაწვილები, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ძვირფასო ცინობერ, სახელმწიფოს იმედსა და სიამაყეს წარ-

მოადგენენ და გამორჩევით მოპყრობას იმსახურებენ! თქვენ საგანგებო საქმეთა საიდუმლო მრჩეველი ხართ, ჩემო ძვირფასო!

— უმორჩილესად გმადლობთ! — დაიყრანტალა ცინობერმა და უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, მერე ორივე ხელით პირი მოიწმინდა. — უმორჩილესად გმადლობთ, საქმეს ისე მოვკიდებ ხელს, როგორც საჭიროა.

— გაბედული გულდაჯერებაა, — თქვა თავადმა რიხით, — გაბედული გულდაჯერება მომდინარეობს შინაგანი ძალიდან, რომელიც სახელმწიფოს ღირსეულ მოხელეს უნდა გააჩნდეს! — ეს სენტენცია რომ წარმოთქვა, თავადმა მინისტრის მიერ მირთმეული ჭიქა ოქროს არაყი გადაყლაპა და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა.

წესისა და კანონის თანახმად ახალი მრჩეველი თავადსა და მინისტრის შუა უნდა დამჯდარიყო. ბატონი ცინობერი წარმოუდგენელი მადით ნთქავდა შემწვარ ტოროლებს, სვამდა მალაგის ღვინოსა და ოქროს არაყს, თან ცხვირში რაღაცას თუთხუნებდა, ხოლო რაკი წვეტიან ცხვირს ძლივს უწვდენდა მაგიდას, გამწარებით აფართხალებდა ხელ-ფეხს.

საუზმის დამთავრებისას ორივემ, თავადმა და მინისტრმა, ერთხმად განაცხადა: ჩვენს საიდუმლო მრჩეველს დიდებული მანერები აქვსო.

— ძალზე მხიარული ჩანხარ, — უთხრა ფაბიანმა თავის მეგობარ ბალთაზარს. — ძალზე მხიარული ჩანხარ, თვალები განსაკუთრებული ცეცხლით გიბრწყინავს. ბედნიერი ხარ? ო, ბალთაზარ, შესაძლოა მშვენიერი ზმანება გეწვია, მაგრამ უნდა გამოგაფხიზლო, როგორც შენი მეგობარი, თავს მოვალედ ვთვლი!

— რა დაგემართა, რა მოხდა? — იკითხა შემკრთალმა ბალთაზარმა...

— დიახ, — განაგრძო ფაბიანმა, — დიახ, უნდა გითხრა! გამხნევდი. იფიქრე იმაზე, რომ ქვეყანაზე შეიძლება არაფერია ასე მტკივნეული, მაგრამ ასეთი უბედურება ადამიანს მალე გადაგავიწყდება ხოლმე. კანდიდა...

— მითხარი ღვთის გულისათვის, — შესძახა ბალთაზარმა საშინელი ხმით, — კანდიდა! რა დაემართა კანდიდას? ხომ არ გარდაიცვალა?

— დამშვიდდი, — განაგრძო ფაბიანმა, — დამშვიდდი, ჩემო მეგობარო! კანდიდა არ მომკვდარა, მაგრამ შენთვის მკვდარია! ახლა იცოდე, დაგეალული ციხოერი საგანგებო საქმეთა საიდუმლო მრჩეველი გახდა და თითქმის დანიშნული ჰყავს მშვენიერი კანდიდა, ღმერთმა უწყის, რა მოხდა და როგორ, მაგრამ კანდიდა ლამისაა გაგიუდეს, ისე შეუყვარდა ბატონი ციხობერი.

ფაბიანს ეგონა, ბალთაზარი გაშმაგდება, სასოწარკვეთილ გოდებასა და კრულვას დაიწყებსო, მაგრამ მოტყუვდა. ბალთაზარს გაელიმა და მშვიდად თქვა:

— თუ მეტი არაფერია, მაშ არაფერი მომხდარა ისეთი, რაც მე დამაღონებდა.

— განა კანდიდა აღარ გიყვარს? — იკითხა გაოცებულმა ფაბიანმა.

— მიყვარს, — უპასუხა ბალთაზარმა, — მიყვარს ის ანგელოსი, ის წარმტაცი ქალიშვილი, მიყვარს სულითა და გულით, მიყვარს ფიქრით, ოცნებით, მიყვარს მგზნებარედ, როგორც ეს ახალგაზრდა კაცს შეუძლია! მე ისიც ვიცი, — ო, ისიც ვიცი, რომ კანდიდასაც ვუყვარვარ, ვიცი, რომ ქალიშვილის სული შეჩვენებულ ჯადოქარს უპყრია ხელთ, მაგრამ მალე გავარღვევ ამ ჯადოსებრ ქსელს, მოვსპობ ურჩხულს, რომელმაც საბრალო კანდიდას თვალები დაუბრმავა.

ბალთაზარი დაწვრილებით მოუყვა მეგობარს საოცარ კაცზე, ტყეში რომ შეხვდა თავისი უცნაური კარეტით და დაასკვნა: როგორც კი ამ მისნის ბუნიკიდან ამოვარდნილი სხივი მკერდზე დამეცა, ჩემში იფეთქა მტკიცე რწმენამ, რომ ციხობერი ჯადოქარია და ამ ჯადოქარს ის კაცი მოუღებს ბოლოს.

— ეჰ, ბალთაზარ, — თქვა ფაბიანმა, როცა მეგობარმა თხრობა დაასრულა, — ეჰ, ბალთაზარ, როგორ შეიძლება ასეთი სულელური რამ გაივლო თავში? ის კაცი, შენ რომ მისნად მიგაჩნევია, დოქტორი პროსპერ ალპანუსია, ქალაქგარეთ ცხოვრობს საკუთარ ვილაში! ის კი მართალია, რომ მის შესახებ საოცარი ხმები დადის და ლამის მეორე კალიოსტროდ მიიჩნიონ, მაგრამ ამაში თვითონაა დამნაშავე. მას უყვარს თავისი პიროვნების მისტიკურ სამოსელში გახვევა, ბუნების უდიდეს საიდუმლოებებს ნაზიარები ადამიანის იერის მიღება,

რომელიც უცნობ ძალებს განაგებს. ამასთანავე, ამ კაცს ახირებული ამბებიც ახასიათებს. ასე, მაგალითად, იმდენად უცნაური კარეტით დასეირნობს, რომ შენისთანა მგზნებარე და ცხოველი ფანტაზიის კაცმა, ჩემო მეგობარო, შეიძლება ყოველივე რაიმე გიჟურ, ზღაპრულ ხილვად ჩათვალოს. მაშ მოისმინე! მისი კაბრიოლეტი ნიჟარის ფორმისაა და მთლად მოვერცხლილია; თვლებს შორის არღანიჲ ჩადგმული, რომელიც კარეტის დაძვრასთან ერთად თავისთავად იწყებს დაკვრას. ის, რაც შენ ვერცხლის ხოხბად მიიჩნიე, სინამდვილეში თეთრებში გამოწყობილი მისი პატარა ჟოკეი იყო, ხოლო გაშლილი ქოლგა, დარწმუნებული ვარ, ოქროს ხოჭოს ფრთებს მიამსგავსე. კარეტაში შებმულ ორ თეთრ ცხენს იგი განგებ დიდ ეშვებს ადგამს შუბლზე, რათა მათ ნამდვილად ზღაპრული იერი ჰქონდეთ. სხვათა შორის, ისიც მართალია, რომ დოქტორ ალპანუსს თან დააქვს მშვენიერი ესპანური ხელჯოხი, რომელსაც თავზე ელვარე ბროლის ბუნიკი უკეთია. ამ ბუნიკის სასწაულთმოქმედებაზე ბევრს ლაპარაკობენ, მეტწილად ტყუილებს. ამბობენ, ამ ბროლის სხივი თვალისათვის აუტანელიაო. ხოლო როცა დოქტორი ბროლს თხელ ნაჭერს შემოაფარებს და ისე დაგახედებს ბუნიკზე,— ჩაზნექილი სარკეაო თითქოს, — შიგ იმ ადამიანის სახეს დაინახავ, ვინაც გულის სიღრმეში გყავს ჩამალულიო.

— მართლა?! — შეაწყვეტინა ბალთაზარმა მეგობარს. — მართლა ამბობენ ამას? კიდევ რას ამბობენ ბატონ დოქტორ პროსპერ ალპანუსზე?

— ეჰ, — უთხრა ფაბიანმა, — ნუ მათქმევინებ იმ სულელურ აბდაუბდას. შენც კარგად მოგეხსენება, ჯერ კიდევ არიან ისეთი უცნაური ადამიანები, რომლებსაც საღ აზრს ვერ შეაგონებ და სინამდვილეზე მეტად სასწაულისა სჯერათ.

— უნდა გამოგიტყდე, — განაგრძო ისევ ბალთაზარმა, — რომ იძულებული ვარ მეც მივათვალო ჩემი თავი საღი აზრის მოწინააღმდეგეთა რიგებს. ესე იგი, მოვერცხლილი ხე ბრწყინვალე გამშვირვალე ბროლი არაა, არღანი ჰარმონიკასავით არ უკრავს, ვერცხლისფერი ხოხობი ჟოკეისავით არ უზის წინ და არც ქოლგაა ოქროს ხოჭო, ხომ? ის კაცი, რომელსაც მე შევხვდი, ან დოქტორ პროსპერ ალპანუსი არ იყო, ან არადა

დოქტორი ნამდვილად ფლობს განსაკუთრებულ საიდუმლოებას.

— უცნაური ზმანებებიდან შენი სრული განთავისუფლებისათვის უკეთესი იქნება, ახლავე წაგიყვანო დოქტორ პროსპერ ალპანუსთან. მაშინ თვითონვე გაიგებ, რომ დოქტორი ერთი ჩვეულებრივი ექიმია და მარტო — ეშვებისა, ვერცხლისფერი ხოხბებისა და ოქროს ხოჭოების თანხლებით სასეირნოდ არ დაბრძანდება.

— შენ იმას ამბობ, — უპასუხა ბალთაზარმა და თვალები გაუბრწყინდა, — შენ იმას ამბობ, ჩემო მეგობარო, რაც ჩემი სულის ნანატრი სურვილია. მოდი ახლავე გავუდგეთ გზას.

ისინი მალე ალმოჩნდნენ პარკის წინ, რომლის გისოსებიანი კარი დაკეტილი დაუხვდათ. შუა პარკში დოქტორ ალპანუსის ვილა იდგა.

— როგორ შევიდეთ? — იკითხა ფაბიანმა.

— ვფიქრობ, უნდა დავაკაკუნოთ, — თქვა ბალთაზარმა და ხელი ლითონის სარეკელას წააელო, რომელიც იქვე კლიტესთან ეკიდა.

სარეკელა ასწია თუ არა, მოხუცებული ქუხილივით გაისმა მიწისქვეშა გუგუნი, რომელიც თითქოს უღრმეს ქვესკნელში ხმიანობდა. გისოსებიანი კარი ნელ-ნელა გაიღო, მეგობრები პარკში შევიდნენ და ფართო, გრძელ ხეივანს დაადგნენ, რომლის ბოლოში ვილა იდგა.

— აბა, რა არის აქ განსაკუთრებული, ჯადოქრული? — ჰკითხა ფაბიანმა.

— იცი, ძალზე უცნაურად გაიღო გისოსებიანი კარი, — უპასუხა ბალთაზარმა. — ამას გარდა, არ ვიცი რატომ, აქ ყველაფერი საოცარი და მაგიური მეჩვენება. განა სადმე მინახავს ასეთი დიდებული ხეები? ზოგიერთი ხე და ბუჩქი ისე ბზინავს, ისეთი ზურმუხტისებური ფოთლები აქვს, ნამდვილად უცნობი ქვეყნისა უნდა იყოს.

ფაბიანმა ხეივნის გარდიგარდმო უჩვეულო ზომის ორ ბაყაყს მოკრა თვალი, გისოსებიანი კარიდანვე რომ აედევნენ უკან.

— განა შეიძლება, მშვენიერი უწოდო პარკს, — შეჰყვირა ფაბიანმა, — სადაც ასეთი ქვეწარმავლები ბუდობენ?! — და კენჭის ასაღებად დაიკუზა, რომ აბეზარი ბაყაყებისათვის ეს-

როლა. ბაყაყები ბუჩქებში შეძვრნენ და ფაბიანს ადამიანის თვალებით დაუწყეს ცქერა.

— დამაცალეთ ერთი, — დაიძახა ფაბიანმა, დაუმიზნა და ერთ-ერთს ესროლა.

— ხეპრე! რას ერჩი პატიოსან ადამიანებს, რომელთაც, ლუკმაპური რომ იშოვნონ, ბაღში მუშაობით ხვითქი გადასდით! — ამოიოხრა გზის პირას მოკალათებულმა საზიზღარი სახის ჩია დედაკაცმა.

— წავიდეთ, წავიდეთ, — ჩაიდუდუნა შეშფოთებულმა ბალთაზარმა, რადგან საკუთარი თვალით ნახა, რომ ბაყაყი უცებ დედაბრად გადაიქცა. მერე ბუჩქს შეავლო თვალი და დარწმუნდა, — მეორე ბაყაყი, რომელიც ახლა პატარა ბებრუცუნად ქცეულიყო, მარგვლას შესდგომოდა.

ვილის წინ დიდ მანძილზე გაფენილიყო მშვენიერი მოლი, სადაც ორი მარტოეშვა ბალახობდა, ჰაერში კი უმშვენიერესი აკორდები გაისმოდა.

— ხედავ, გესმის? — წარმოსთქვა ბალთაზარმა.

— ორი პატარა თეთრი ცხენის მეტს, რომლებიც ბალახობენ, ვერაფერს ვხედავ. ჰაერში კი, ალბათ, სადღაც ჩამოკიდებული ეოლის ქნარის* ხმა ისმის.

უბრალო, მაგრამ გემოვნებით ნაგებმა ერთსართულიანმა, ზომიერი სიდიდის ვილამ ბალთაზარი აღაფრთოვანა. ხელი ზარის ჩამოსაკრავი ზონარისაკენ წაიღო თუ არა, კარი თავისით გაიღო და მეგობრებმა ოქროსფრად აელვარებული სირაქლემასმაგვარი დიდი ფრინველი დაინახეს, რომელიც, ეტყობა, კარისკაცის მოვალეობას ასრულებდა.

— აბა, შეხედე, — უთხრა ფაბიანმა ბალთაზარს, — ერთი შეხედე ამ სულელურ ლივრეას! კიდეც რომ გინდოდეს ამ ჯეელს ერთი ჭიქის გადასახუხი მისცე, სადა აქვს ხელები, რომ ფული ჟილეტის ჯიბეში ჩაიდოს?

ამ სიტყვებზე იგი სირაქლემას მოუბრუნდა, ჩარბს ქვემოთ, ლამაზ, ყაბოსმაგვარ რბილ, გაფუმფულებულ ოქროსფერ ბუმბულში წაავლო ხელი და უთხრა:

— შეატყობინე, ჩემო უძვირფასესო მეგობარო, ბატონ დოქტორს ჩვენი მოსვლა!

სირაქლემამ „კრრრ“ დაიძახა და ფაბიანს თითზე უკბინა.

— ფუი, დაგლახვროს ეშმაკმა,— დაიყვირა ფაბიანმა, — წყეული ფრთოსანი არ ბრძანებულა ეს ჯეელი!

იმავე წუთს შიგნითა კარი გაიღო და მეგობრებს თვითონ დოქტორი გამოეგება, — პატარა, გალეული კაცი. თავზე ხავერდის პატარა ჩაჩი ეხურა, მხრებზე მშვენიერი გრძელი თმა ჩამოშლოდა. ტანზე დოქტორს ინდური ხალათი ემოსა, გრძელი, მოყვითალო-მოშავო ფერისა, ფეხზე კი პატარა, წითელ-ზონრიანი ჩექმები ეცვა, ვერაფრით ვერ გაარჩევდით, ფერადი ბეწვით იყო ეს ჩექმები გაწყობილი თუ ფრინველის ელვარე ბუმბულით. დოქტორის სახეზე სიმშვიდე, თვით კეთილ-მოწყალეობა აღბეჭდილიყო, თუმცა, უცნაური იყო — თუკი ახლოდან შეხედავდით და ყურადღებით დააკვირდებოდით, ასე მოგეჩვენებოდათ, თითქოს მისი სახიდან შუშის ბუდეში ჩასმული კიდევ ერთი პატარა სახე იმზირებაო.

— დაგინახეთ, — მიმზიდველი ღიმილით დაიწყო პროფესორმა ალპანუსმა მშვიდად და, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებით, — ფანჯრიდან დაგინახეთ. რაც შეგეხებათ თქვენ, ძვირფასო ბატონო ბალთაზარ, ვიცოდი, რომ მინახულებდით. გთხოვთ გამომყვეთ, გეთაყვათ!

პროსპერ ალპანუსმა სტუმრები მრგვალ, მაღალჭერიან ოთახში შეიყვანა, რომელსაც კედლებზე ცისფერი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. შუქი გუმბათში გაჭრილი ფანჯრიდან ჩამოდიოდა და შუა ოთახში სფინქსზე დაყრდნობილ მარმარილოს გაკრიალებულ მაგიდას ეცემოდა. ამის გარდა ოთახში უცნაურს სხვას ვერაფერს შეამჩნევდით.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — იკითხა პროსპერ ალპანუსმა.

ბალთაზარმა ძალ-ღონე მოიკრიბა და მოჰყვა ყველაფერს, რაც პატარა ცინობერთან კერეპესში მისი გამოჩენის პირველი დღიდანვე შეემთხვა და დაამთავრა იმ მტკიცე რწმენით, რომ პროსპერ ალპანუსი კეთილისმყოფელი მოგვია, რომელიც ცინობერის უმსგავს, საზიზღარ ჯადოსნობას ბოლოს მოუღებს.

ღრმად ჩაფიქრებული პროსპერ ალპანუსი დუმდა. ბოლოს, რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, დაბალი ხმით დინჯად დაიწყო:

— იმის მიხედვით, რაც თქვენ მომიყევით, ბალთაზარ,

ირკვევა, რომ პატარა ცინობერთან დაკავშირებულ ამ ამბავში რაღაც განსაკუთრებული საიდუმლოება იმალება. მაგრამ უპირველესად ყოელისა საჭიროა იცნობდე მტერს, ვისი დამარცხებაც განგიზრახავს, საჭიროა იცოდე ის მიზეზი, რომლის ზემოქმედების გაქარწყლებაც გინდა. შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ პატარა ცინობერი ალრაუნია. ამას ახლავე შევამოწმებთ.

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, პროსპერ ალპანუსმა ჭერზე გამობმული აბრეშუმის ზონრებიდან ერთ-ერთი მოჭიმა. უცებ შრიალით გადაიხსნა ფარდა და მთლად მოოქროვილ ყდებში ჩასმული ფოლიანტები გამოჩნდა. ზემოდან კედრის ხის ქარივით მსუბუქი კიბე ჩამოეშვა. პროსპერ ალპანუსი კიბეზე ავიდა და ზედა თაროდან ერთ-ერთი ფოლიანტი ჩამოიღო, მერე ფოლიანტს ფარშავანგის დიდი და მბზინვარი ფრთით მტვერი გადაწმინდა და მარმარილოს მაგიდაზე დადო.

— ამ ტრაქტატში, — დაიწყო ალპანუსმა, — ყველა ჯურის ალრაუნია აღწერილი. იმედია, მათ შორის იცნობთ თქვენდამი მტრულად განწყობილ ცინობერს და მაშინ იგი ჩვენს ხელთ იქნება.

როგორც კი პროსპერ ალპანუსმა წიგნი გადაშალა, მეგობრებმა გულდაგულ გაფერადებული გრავიურები დაინახეს, სადაც გამოსახული იყო საშინლად დაღრეჯილი, მახინჯი კაცუნები. შეახო თუ არა პროსპერ ალპანუსმა ფურცელზე დახატულ ერთ-ერთ კაცუნას ხელი, იგი მაშინვე გაცოცხლდა, წიგნიდან ამოხტა და მარმარილოს მაგიდაზე სასაცილოდ დაიწყო ხტუნვა, ტორტმანი. ალრაუნი თითებს ატკაცუნებდა, დაკვრანჩხული ფეხებით კი უმშვენიერეს პირუეტებსა და ანტრაშეებს აკეთებდა. ათასნაირად იგრიხებოდა და მღეროდა „კვირ-კვარ, პირ-პარ“. მერე პროსპერმა თავში წაავლო ალრაუნს ხელი და კვლავ წიგნში ჩააბრუნა. სადაც იგი მაშინვე ფერად სურათად განერთხო.

ამგვარად გასინჯეს წიგნის ყველა გრავიურა, მაგრამ რამდენჯერაც არ დააპირა ბალთაზარმა წამოეძახა: „აი ესაა, ესაა ცინობერი“, შუაზე გაუწყდა სიტყვა: — დააკვირდებოდა უკეთ და მისდა სავალალოდ რწმუნდებოდა, რომ ამჯერადაც შეცდა.

— საოცარი ამბავია, — თქვა პროსპერ ალპანუსმა, როცა

წიგნის ბოლოში გაეიდნენ. მაგრამ, — განაგრძო მან, — შესაძლოა ცინობერი მიწის სული იყოს. ესეც შევამოწმოთ.

ალპანუსი იშვიათი სიმარდით ისევ ავიდა კედრის ხის კიბეზე, ჩამოიღო მეორე ფოლიანტი, გულმოდგინედ გაწმინდა, დადო მარმარილოს მაგიდაზე, გადაშალა და თქვა:

— ეს წიგნი მიწის სულებისაა. ცინობერს ალბათ აქ მაინც შევიპყრობთ.

მეგობრებმა ამ წიგნშიც ნახეს გაფერადებული გრავიურები, რომლებიც საზიზღარ ყვითელ-ყავისფერ ურჩხულებს გამოხატავდნენ და, როცა პროსპერ ალპანუსი მათ თითს შეახებდა, მიწის სულების წრიპინა ხმით იწყებდნენ გოდებას, მერე რის ვაი-ვაგლახით გადმოდიოდნენ სურათებიდან და მარმარილოს მაგიდაზე ოხვრითა და ხვნეშით იწყებდნენ ხოხვას, ხოხავდნენ მანამდე, ვიდრე, დოქტორი ისევ წიგნში არ ჩასტენიდა ხოლმე.

ბალთაზარმა აქაც ვერ მიაგნო ცინობერს...

— საოცარია, ძალზე საოცარი,— თქვა დოქტორმა და ფიქრებში ჩაეფლო.

— ხოჭოების მეფე, — კვლავ განაგრძო ალპანუსმა, — ხოჭოების მეფე არ უნდა იყოს, რადგან დანამდვილებით ვიცი, რომ ახლა იგი სხვა ადგილას საქმიანობს. არც ობობების მარშალი იქნება, რადგან ობობების მარშალი, მართალია, საზიზღარი შესახედავია, მაგრამ გონიერია, მოხერხებული, ამასთან იგი საკუთარი შრომით ირჩენს თავს და სხვის ნამუშევარს არ ითვისებს... საოცარია, ძალზე საოცარი.

შემდეგ დოქტორი რამდენიმე წუთით ისევ დადუმდა. ახლა მკაფიოდ ისმოდა ის ყოვლად საოცარი ხმები, რომლებიც ხან თითო-თითო ბგერად ეფინებოდა არემარეს, ხანაც მძლავრ აკორდებად გაისმოდა.

— თქვენთან აქ ყველგან ჭეშმარიტად წარმტაცი მუსიკის ხმები იღვრება, პატივცემულო ბატონო დოქტორო, — თქვა ფაბიანმა.

პროსპერ ალპანუსი, როგორც ჩანდა, ფაბიანს სრულიადაც არ აქცევდა ყურადღებას, მხოლოდ ბალთაზარს შესცქეროდა. მერე დოქტორმა ორივე ხელი მისკენ გაშალა და თეთრი თითები ისე აამოძრავა, თითქოს უხილავი წვეთები დააპკურაო ბალთაზარს. ბოლოს ორივე ხელი ჩაჰკიდა და ალერსიანი ხმით სერიოზულად უთხრა:

— დუალიზმის კანონის მიხედვით მხოლოდ ფსიქიკური საწყისის უწმინდეს თანახმიერობას შეუძლია კეთილად დააბოლოროს ის ოპერაცია, რომლის ჩატარებასაც ახლა ვაპირებ. გამომყევით!

მეგობრები გაჰყვნენ დოქტორს, რომელმაც რამდენიმე ოთახი გაიარა. რამდენიმე უცნაური ცხოველის გარდა, რომლებიც წერა-კითხვაში, ხატვასა და ცურვაში ვარჯიშობდნენ, არაფერი საყურადღებო არ შეუნიშნავთ, სანამ არ გაიღო წყვილი ორსაგდულიანი კარი და მძიმე ფარდის წინ არ აღმოჩნდნენ. ალპანუსი ფარდის მიღმა გაუჩინარდა, ხოლო ისინი კუნაპეტ სიბნელეში დარჩნენ. ბოლოს ფარდა შრიალით გადაიხსნა და მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ ისინი კვერცხისებურ დარბაზში იმყოფებოდნენ, რომელსაც მაგიური შუქ-ბნელი ეფინებოდა. თუ კედლებს დააკვირდებოდით, გეგონებოდათ, თვალმიუწვდომელ მწვანე ჭალაკებსა და აყვავებულ ველებს ვუყურებო, მოჩუხჩუხე წყაროებითა და ნაკადულებით რომ იყო მკერდმოქარგული. დარბაზს ამოუცნობი სურნელება ეფინებოდა, რომელსაც თითქოს ჰარმონიკის ტკბილი ჰანგი მიმოჰქონდა. პროსპერ ალპანუსი ბრამინივით თავიდან ფეხებამდე თეთრებში ჩაცმული გამოვიდა, დარბაზის შუაში დიდი მრგვალი ბროლის სარკე დადგა და სარკეს დოლბანდი გადააფარა.

— აი, აქ დადექით ბალთაზარ, — უთხრა დოქტორმა ყრუ და საზეიმო ხმით, — დადექით ამ სარკის წინ, მთელი თქვენი ფიქრები მტკიცედ მიაპყარით კანდიდას და მთელი სულით ისურვეთ, რომ იგი ამ წამს წარმოგიდგეთ თვალწინ, იმ დროსა და სივრცეში, რომელშიც იგი ახლა იმყოფება.

ბალთაზარი ისე დადგა, როგორც უთხრეს. პროსპერ ალპანუსი ბალთაზარს ზურგს უკან დაუდგა და ორივე ხელით წრის შემოხაზვა დაიწყო.

რამდენიმე წამში სარკეს მოცისფრო ნისლი აუვიდა. გამოჩნდა კანდიდა, ტანკენარი, სიცოცხლით სავსე მშვენიერი ქალიშვილი. მის გვერდით კი, სულ ახლოს მასთან, საზიზღარი ცინობერი იჯდა. ჯუჯა ეხვეოდა, კოცნიდა ქალიშვილს და კანდიდაც ცინობერის ალერსს ალერსითვე პასუხობდა. ის იყო ბალთაზარმა კინაღამ ხმამაღლა წამოიყვირა, მაგრამ პროსპერ

ალპანუსმა ორივე ხელი მხრებში მაგრად ჩასჭიდა და ბალთაზარმა ყვირილი გულში ჩაიკლა.

— დაწყნარდით, — უთხრა ალპანუსმა მშვიდად, — დაწყნარდით, ბალთაზარ! — აიღეთ ეს ჯოხი და უთაქეთ მაგ კაცუნას, ოღონდ ისე, რომ ადგილიდან არ გაინძრეთ.

ბალთაზარი ასეც მოიქცა. როცა წაქცეული, იატაკზე გაშხლართული და ტკივილისაგან მოკუნტული ცეროდენა დაინახა, ბალთაზარს ცოტა არ იყოს, გულზე მოეშვა, მაგრამ მაინც ისე იყო გაცოფებული, წინ გადახტა და მოჩვენებაც ნისლსა და ბურუსში ჩაიკარგა, ხოლო პროსპერ ალპანუსმა გახელებული ბალთაზარი ყვირილით დააბრუნა უკან:

— შესდექით! დაამსხვრევთ მაგიურ სარკეს და ყველანი დაიღუპებით! გავიდეთ სინათლეზე!

მეგობრებმა დოქტორის ბრძანებაზე დარბაზი დატოვეს და მეზობელ, ნათელ ოთახში გავიდნენ.

— მადლობა ღმერთს, — ხვნეშით თქვა ფაბიანმა, — მადლობა ღმერთს, რომ იმ დაწყევლილი დარბაზიდან გამოვაღწიეთ, დახშულმა ჰაერმა სუნთქვა შემიკრა, თანაც ეს სულელური იშკილაბაზობა, რომელიც გულს მირევს...

ბალთაზარმა შეპასუხება დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში პროსპერ ალპანუსი შემოვიდა.

— ახლა კი ცხადია, — დაიწყო მან, — რომ გონჯი ცინობერი არც ალრაუნია და არც მიწის სული. ჩვეულებრივი ადამიანია. მაგრამ ამ თამაშში უდავოა რომელიღაც ჯადოქარია გარეული, ვისი ვინაობაც, უნდა გამოვტყდე, ჯერჯერობით ვერ დავადგინე, ამდენად ვერც დახმარებას გაგიწევთ. მოგვიანებით ისევ მინახულეთ, ბალთაზარ. მერე ვნახოთ, რასაც მოვიფიქრებ. ნახვამდის.

— მაშასადამე, — თქვა ფაბიანმა და დოქტორს მიუახლოვდა, — მაშასადამე, თქვენ ჯადოსანი ხართ, ბატონო დოქტორო და მთელი თქვენი ჯადოსნური ხელოვნების მიუხედავად, არ შეგიძლიათ იმ საბრალო დაგვალულ ცინობერს გაუსწორდეთ? იცოდეთ, რომ მე, მთელი თქვენი ფერად-ფერადი სურათებით, თოჯინებით, მაგიური სარკეებითა და მაიმუნური ხარახურით ნამდვილ გაიძვერად გვთვლით! ბალთაზარი შეყვარებული ყმაწვილია და ლექსებსა წერს, მას შეგიძლიათ ყველაფერი შთააგონოთ, ჩემთან კი არაფერი გაგივათ! მე გა-

ნათლებული კაცი გახლავართ და არაეითარი სასწაულებისა არ მჯერა.

— ისე იფიქრეთ, როგორც გენებოთ, — უპასუხა პროსპერ ალპანუსმა და გულიანად გაიცინა, რაც მისგან ნაკლებად იყო მოსალოდნელი. — ისე იფიქრეთ, როგორც გენებოთ. მაგრამ თუ ჯადოსანი არა ვარ, რამდენიმე ლამაზ ფოკუსს ხომ ვფლობ?

— ვიგლების მაგიიდან ან სხვა ასეთი წიგნებიდან, არა? — წამოიძახა ფაბიანმა, — ამ საქმეში თქვენ ვერაფრით ვერ მიედრებით ჩვენს პროფესორ მოშ ტერპინს, ახლოსაც ვერ მიხვალთ მასთან, რადგან ის პატიოსანი ადამიანი ყოველთვის იმას გვიჩვენებს, რაც ბუნებრივად მიმდინარეობს და თქვენებრ არასოდეს თავს არ უყრის იდუმალებით მოცულ ხარახურას, ჩემო ბატონო დოქტორო, მაქვს პატივი გამოგეშვიდობოთ!

— ეჰ, ნუთუ ასეთი გაბრაზებული დამემშვიდობებით? — იკითხა დოქტორმა.

ამ სიტყვებზე მან ფაბიანს რამდენჯერმე წყნარად ჩამოუსვა ორივე ხელი მხრებიდან ხელის მტევნებამდე ისე, რომ ფაბიანი შეცბა და წამოიძახა:

— რას მიშვრებით, ბატონო დოქტორო!

— წაბრძანდით ბატონო, — თქვა დოქტორმა, — ვიმედოვნებთ თქვენ, ბატონო ბალთაზარ, კვლავ მალე გინახულებთ. მალე გავიგებთ, რით უნდა გიშველოთ.

— ჭიქა არაყის გადასახუხად მაინც ვერ მოგარმევ ერთორ გროშს, მეგობარო! — გასძახა ფაბიანმა გამოსვლის დროს ოქროსფერბუმბულიან პორტიეს და ხელი ჯაბოში წაავლო. პორტიემ კვლავ არაფერი უპასუხა, ისევ ამოიკრუშკრუშა და ფაბიანის თითებს წაეტანა.

— ეშმაკმა დალახვროს! — შესძახა ფაბიანმა და იქაურობას გაეცალა.

ორივე ბაყაყმა მეგობრები თავაზიანად მიაცილა ალაყაფის კარამდე, რომელიც ყრუ გრიალით გაიღო და კვლავ დაიხურა.

— არ ვიცი, — თქვა ბალთაზარმა, როცა ფაბიანს ფეხდაფეხ გაჰყვა, — სრულიად ვერ მიმხვდარვარ, ძმაო, რატომ ჩაგიცეამს დღეს ასე უცნაური, საშინლად გრძელკალთებიანი და მოკლესახელოებიანი სერთუკი.

თავისდა გასაოცრად ფაბიანმა შეამჩნია, რომ მოკლე სერთუკის კალთა მიწამდე დაგრძელებოდა, ხოლო ჩვეულებრივი, საკმაოდ გრძელი სახელოები იდაყვებამდე აკაპიწებოდა.

— ეშმაკმა დალახვროს, რა ხდება? — წამოიძახა მან, სახელოები ჩამოიკეცა და მხრებში გასწორდა. ამან თითქოს საქმეს უშველა, მაგრამ როგორც კი ქალაქის კარიბჭეში შევიდნენ, სახელოები კვლავ თავისით აეკეცა, სერთუკის კალთა კი გრძელდებოდა და გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფაბიანი წარამარა ჩამოიწევდა ხოლმე სახელოებს, მაინც ვერაფერი მოახერხა; სახელოები მაინც თავისით იგორგლებოდა; ფაბიანს ბოლოს შიშველი მკლავებიც კი გამოუჩნდა, ხოლო სერთუკის კალთას იგი ახლა შლეიფივით მიათრევდა. ვინც კი გზაზე შემოხვდა, ყველამ სიცილი დააყარა. ქუჩაში თავშეყრილი ბიჭ-ბუჭობა უკან დაედევნა, ყიჟინითა და ჟრიამულით ადგამდნენ ფეხს მის მოსასხამს და დაგრძელებულ სერთუკს უხევდნენ. ფაბიანი ეცემოდა, ცხვირ-პირს იმტვრევდა, მაგრამ როცა კვლავ წამოდგებოდა ფეხზე, შლეიფს ერთი გოჯიც არ აკლდა, პირიქით, უფრო დაგრძელებული ჩანდა. ხარხარი, ყიჟინი და ჟრიამული თანდათან მატულობდა, სანამ ბოლოს ნახევრად გონებადაკარგული ფაბიანი ერთ ღია სახლში არ შევარდა. შლეიფიც მაშინვე გაქრა.

ბალთაზარს საიმისო დროც არ დარჩა, რომ სახტად დარჩენილს თუნდაც რაიმე ეთქვა ფაბიანის უცნაური მოჯადოების გამო. აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო, რომ რეფერენდარიუს პულხერმა ხელი ჩაავლო, მიყრუებული ქუჩისკენ გაიტაცა და უთხრა:

— როგორ შეიძლება, რომ ისევ აქა ხარ. პედელს შენი დაპატიმრების ბრძანება აქვს ხელში და სადღა არ დაგეძებს!

— რაო? რას ლაპარაკობ? — ჰკითხა გაოცებულმა ბალთაზარმა.

— შენ ისე გაგიტაცა, — განაგრძო რეფერენდარიუსმა, — უგუნურმა ეშვიანობამ, რომ ოჯახის ხელშეუხებლობა დაარღვიე, მტრული განზრახვით შეიჭერი მოშ ტერპინის სახლში, ცინობერს მისი საცოლის თანდასწრებით დაესხი თავს და იმ ჯუჯას იმდენი ურტყი, რომ ლამის სიკვდილის პირას მიიყვანე.

— კი მაგრამ, — დაიყვირა ბალთაზარმა, — მე ხომ მთელ

დღეს არ ვყოფილვარ კერებესში, ეს ყველაფერი ბილწი ცილისწამებაა!

— ო, ჩუმად, ჩუმად, — შეაწყვეტინა პულხერმა. — რომ იცოდე, ფაბიანის სულელურმა და უაზრო გამოგონებამ, იმ შლეიფიანმა კაბამ გიშველა. ახლა ყურადღებას არავინ გაქცევს. ოღონდ, როგორმე სამარცხვინო დაპატიმრებას დაუძვერი ხელიდან და დანარჩენს ჩვენ მოვაგვარებთ. ბინაში აღარ დაბრუნდე. მომეცი შენი გასაღები, რაც საჭიროა, ყველაფერს გამოგიგზავნი. აბა ჩქარა, ჰოხიაკობსჰაიმში!

რეფერენდარიუსმა ბალთაზარი მიყრუებული ქუჩაბანდებით ქალაქიდან გაიყვანა და სოფელ ჰოხიაკობსჰაიმის გზაზე დააყენა, სადაც სახელგანთქმული სწავლული პტოლომეუს ფილადელფუსი ხალხთა უცნობ ჯგუფზე — სტუდენტებზე წერდა თავის ღირსშესანიშნავ წიგნს.

თავი მეოცდაცხრა

როგორ ივარცხნიდა თავს საგანგებო საქმეთა საიდუმლო მრჩეველი და როგორ მიიღო მან ბაღში ნამის აბაზანა. მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენი. თეატრის თერძის ბედნიერი გამოგონება. როგორ გადაესხა ფროილაინ ფონ როზენშიონს კაბაზე ყავა და როგორ არწმუნებდა მას პროსპერ ალპანუსი თავის მეგობრობაში.

— . —

პროფესორი მოშ ტერპინი ნეტარების ზღვაში დაცურავდა. „განა შეიძლება, — ეუბნებოდა იგი თავის თავს, — განა შეიძლება იმაზე უფრო დიდი ბედნიერება ეწვიოს ადამიანს, მე რომ მეწვია: შემთხვევის წყალობით სადღეისოდ ყველასთვის ცნობილი და ღირსეული საგანგებო საქმეთა საიდუმლო მრჩეველი ხომ ჩემს ბინაზე ჯერ კიდევ თავისი სტუდენტობის დროს გვესტუმრა. ბატონ ცინობერს ჩემი ქალიშვილის ცოლად მოყვანა აქვს განზრახული. ქორწილის მერე იგი ჩემი სიძე გახდება, მისი მეშვეობით კი მე წარჩინებულ თავად ბარზანუფის კეთილგანწყობას მოვიპოვებ და რამდენიმე საფეხურით ავიწევ იმ კიბეზე, რომელზეც ჩემი დიდებული პატარა ცინობერი ადის. მართალი რომ ვთქვა, ხშირად თვითონაც არ მესმის ხოლმე, ისე როგორ მოაწონა ამ პატარა კაცუნამ ჩემს ქალიშვილს თავი, რომ ლამის ჰკუაზე შეშალოს

კანდიდა. ქალები ხომ, ჩვეულებრივად, უფრო მოხდენილ გარეგნობას უყურებენ, ვიდრე სულის განსაკუთრებულ ნიჭიერებას. ხანდახან, როცა ამ საგანგებო საქმეთა მრჩეველ კაცუნას შევცქერი, ვფიქრობ, იგი არამც თუ მთლად მოხდენილი, კუზიანიც კი არის-მეთქი, — ჩუმად, ჩუ-ჩუ, კედლებსაც ყური აქვთ... იგი თავადის სიყვარულით სარგებლობს, თანდათან დაწინაურდება კიდეც, ამასთანავე, დღეს თუ არა ხვალ იგი ჩემი სიძე იქნება!

მოშ ტერპინი მართალი იყო. კანდიდა ამ კაცუნას მიმართ აშკარად არ იყო გულგრილი და თუკი ვინმე, ვისაც ცინობერის უცნაური ჯადოქრობა ჯოხივით არ გადაატყდა საკუთარ თავზე, ნართაულებით მიანიშნებდა ქალიშვილს. — საგანგებო საქმეთა მრჩეველი გულისამრევი მახინჯიაო, კანდიდა მაშინვე ცინობერის საოცრად მშვენიერ თმაზე იწყებდა ლაპარაკს, რომლითაც იგი ბუნებას დაეჯილდოებინა.

კანდიდას ამ სიტყვებზე ისე ვერაგულად არავის ეღიმებოდა, როგორც რეფერენდარიუს პულხერს, რომელიც ცინობერს ფეხდაფეხ დასდევდა.

პულხერს ერთგულ თანაშემწეობას უწევდა საიდუმლო მდივანი ადრიანი, სწორედ ის ყმაწვილკაცი, რომელიც ცინობერის ჯადოქრობის გამო კინაღამ გამოაბრძანეს მინისტრის კანცელარიიდან. თავადის კეთილგანწყობა მან ძლივს მოიპოვა მას მერე, რაც ლაქების საუკეთესო ამოსაყვანი საშუალება იშოვნა და თავადს მიართვა.

საგანგებო საქმეთა მრჩეველი ცინობერი ერთ მშვენიერ სახლში დასახლდა, რომელსაც ირგვლივ კიდევ უფრო მშვენიერი ბაღი ერტყა. შუა ბაღში, ხშირი ბუჩქნარით გარშემოვლებულ პატარა მდელოზე მშვენიერი ვარდები ჰყვაოდნენ. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ყოველ მეცხრე დღეს ცინობერი განთიადისას დგებოდა ხოლმე, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ტანისამოსს თვითონ ჩაიცვამდა, ბაღში ჩავიდოდა და იმ ბუჩქნარისაკენ გასწევდა, მდელოს რომ ეფარებოდა.

პულხერი და ადრიანი გუმანით გრძნობდნენ, რომ აქ რაღაც საიდუმლოება უნდა ყოფილიყო. ერთ ღამეს, მას მერე, რაც ცინობერის კამერდინერისაგან გაიგეს, რვა დღე გავიდა, რაც ბატონი ბაღში არ ჩასულაო, მეგობრებმა ბაღის კედელზე გადაძვრომა გაბედეს და ბუჩქნარში გაუჩინარდნენ.

ინათა თუ არა, პულხერმა და ადრიანმა თვალი მოჰკრეს მათკენ ტორტმანით მომავალ ქონდრის კაცს, რომელიც წარამარა ცხვირს აცემინებდა, ქსუტუნებდა, რადგან ყვავილნარში სიარულისას ნამიანი ღერო-ყლორტი ცხვირზე უღიტინებდა.

როგორც კი ცინობერი ვარდნარას შეერია, ბუჩქნარს ამო ნიავმა გადაუარა და იქაურობა ვარდთა საამო სურნელმა დაატკბო. მერე საიდანღაც მოსასხამში გახვეული ბეჭებზე ფრთებგამოსხმული ქალი ჩამოფრინდა, დაჯდა ვარდებში ჩადგმულ პაწაწინა სკამზე, წყნარად მოუხმო პატარა ცინობერს — საყვარელო ბიჭუნი, ჩემთან მოდიო, და ოქროს საყვარცხლით ჩამოუვარცხნა გრძელი თმა, რომელიც ცინობერს ტალღებად დაეფინა ზურგზე. ცინობერს ეტყობა ძალზე ეამა, რადგან დავარცხნეს თუ არა, თვალები აუციალდა, მერე ჯუჯამ ფეხები გაფშიკა და კატასავით მოჰყვა კრუტუნს. კარგა ხუთ წუთს გაგრძელდა ეს ამბავი, შემდეგ ჯადოქარმა ცინობერს საქოჩრეზე გადაუსვა თითი და პულხერმა და ადრიანმა ცინობერის თავზე ცეცხლისფრად მოლაპლაპე ვიწრო ზოლი შეამჩნიეს. ბოლოს ქალმა თქვა: „ნახვამდის, ჩემო კარგო ბიჭუნი! იყავ გონიერი, რაც შეგიძლია გონიერი!“ პატარამ უპასუხა:

„Adieu, დედიკო, მე საკმარისად გონიერი ვარ და სულაც არაა საჭირო ამის ხშირად შეხსენება“.

ქალი ნელა წამოდგა და გაქრა.

პულხერი და ადრიანი გაოცებისაგან გაშეშდნენ, მაგრამ როგორც კი ცინობერმა წასვლა დააპირა, რეფერენდარიუსი ბუჩქებიდან გამოხტა და ხმამაღლა შიესალმა:

— დილა მშვიდობისა, ბატონო საგანგებო საქმეთა საიდუმლო მრჩეველო! ო, რა დიდებულად დაგივარცხნიათ თმა!

ცინობერმა უკან მოიხედა და როგორც კი რეფერენდარიუსი დაინახა, გაქცევა დააპირა. მაგრამ გაყინაჭულ ფეხებზე შემდგარმა თავი ვერ შეიმაგრა, წაიბორძიკა, მაღალ ბალახში ჩაემხო, შიგ ჩაიმალა და ნამის აბაზანაც მიიღო. პულხერმა მასთან მიირბინა, ფეხზე წამოაყენა, მაგრამ ცინობერმა შეუღრინა:

— როგორ მოხვდით, ბატონო, აქ, ჩემს ბაღში? დაიკარგეთ აქედან, ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! — და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახლისაკენ წაუყანყალდა.

ეს საოცარი ამბავი პულხერმა ბალთაზარს მისწერა და შეჰპირდა, იმ მახინჯ ჯადოსანს თვალყურს არ მოვაკლებო.

ცინობერი, ეტყობა, განცდილის გამო უქეიფოდ შეიქმნა. სახლში მისვლისთანავე ლოგინი გააშლევინა, დაწვა და ისეთ კვნესა-გოდებას მოჰყვა, რომ მისი მოულოდნელი ავადმყოფობის ამბავმა მინისტრ მონდშაინისა და თავად ბარზანუფის ყურამდე მიაღწია.

თავადმა ბარზანუფმა თავის პატარა საყვარელ მრჩეველს დაუყოვნებლივ გაუგზავნა საკუთარი ექიმი.

— ჩემო უწარჩინებულესო საგანგებო საქმეთა საიდუმლო მრჩეველო, — თქვა კარის ექიმმა, როგორც კი პულსი გაუსინჯა, — თქვენ თავს სწირავთ სახელმწიფოს. დაძაბულმა მუშაობამ ლოგინად ჩაგაგდოთ, ხანგრძლივი გონებრივი შრომა თქვენი ენით უთქმელი ტანჯვის მიზეზი გახდა, რაც იძულებით უნდა აიტანოთ. ძალზე ფერდაკარგული და ავადმყოფური იერი გაქვთ, ღირსეული თავი კი საშინლად გაქვთ გახურებული! ოო... ტვინის ანთება ხომ არა გაქვთ? ნუთუ ეს ამბავი სახელმწიფოზე ზრუნვამ გამოიწვია? რაღაც მთლად ასე არ უნდა იყოს! მაგრამ, ნება დამრთეთ...

ცინობერის თავზე ალბათ კარის ექიმმაც შეამჩნია იგივე წითელი ზოლი, რაც პულხერმა და ადრიანმა აღმოაჩინეს. ექიმმა ჯერ შორიდან გაუკეთა ავადმყოფს რამდენიმე მაგნიტური მასაჟი, ყველა მხრიდან შეუბერა სული, რის გამოც ცინობერმა კატასავით დაიჩხავლა და დაიკნავლა. მერე ექიმმა მისთვის თავზე ხელის გადასმა მოინდომა და უნებლიეთ თითები წითელ ზოლს შეახო. ახლა კი ზეზე წამოხტა გაცოფებული ცინობერი და მის თავთან დახრილ კარის ექიმს გაძვალტყავებული ხელი ისე მაგრამ სტკიცა ყურის ძირში, რომ ლაწანის ხმა მეხივით გავარდა ოთახში.

— რა გნებავთ, — დაიყვირა ცინობერმა, — რა გნებავთ ჩემგან, რატომ აფათურებთ ხელებს ჩემს თმაში! სულაც არა ვარ ავად, კარგად ვარ, სრულიად ჯანსაღად, ახლავე ავდგები და კონფერენციაზე გავემგზავრები. მოშორდით აქედან!

შეშინებული ექიმი ცინობერს აჩქარებით გაეცალა. მაგრამ როცა ექიმმა თავად ბარზანუფს გადასცა, რაც თავს გადახდა, თავადმა აღტაცებით წამოიძახა:

— რა გულმოდგინე მსახურია სახელმწიფოსი! როგორი

ღირსება, როგორი სიდიადე გამოსჭვივის მის მოქცევაში! ო, რა ადამიანია ეს ცინობერი!

— ჩემო უსაყვარლესო საგანგებო საქმეთა საიდუმლო მრჩეველო, — მიმართა მინისტრმა პრეტექსტატუს ფონ მონდშაინმა პატარა ცინობერს, — რა თავდადებაა თქვენის მხრივ, რომ ავადმყოფობას ყურადღება არ მოაქციეთ და მაინც მოხვედით კონფერენციაზე. აი, ეს მემორანდუმი კაკატუკოა კარის მნიშვნელოვანი საქმის თაობაზე მე თვითონ შევადგინე და გთხოვთ თავადს ეს ყოველივე თქვენ მოახსენოთ, რადგან თქვენი გონივრული სიტყვა მკაფიოს გახდის მოხსენების დედააზრს, რომლის ავტორადაც თავადი შემდგომ მე მიმიჩნევს.

ეს მემორანდუმი, რითაც პრეტექსტატუსს საკუთარი თავის გამოჩენა სურდა, სინამდვილეში ადრიანის მიერ იყო შედგენილი.

მინისტრი ცინობერთან ერთად თავადისაკენ გაემართა. ქონდრისკაცმა ჯიბიდან მინისტრის მიცემული მემორანდიუმი ამოიღო და კითხვას შეუდგა, მაგრამ რადგან ხეირიანი არაფერი გამოუვიდა და მხოლოდ რაღაც გაუგებარ აბდა-უბდას ჩმახავდა, ქაღალდი მინისტრმა გამოართვა და თვითონ წაიკითხა.

როგორც ჩანდა, თავადი აღფრთოვანებული იყო და მოწონების ნიშნად წარა-მარა გაიძახოდა:

— მშვენიერია!.. კარგადაა ნათქვამი!.. დიდებულია!.. ო, რა ზუსტია!

როგორც კი მინისტრმა კითხვა გაათავა, თავადი პატარა ცინობერისკენ გაეშურა, ხელში აიყვანა, მიიკრა მკერდზე ზედ იმ ადგილას, სადაც მას, ე ი. თავადს, მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენი ეკეთა და ენის ბორძიკითა და ცხარე ცრემლების ფრქვევით შესძახა:

— რა დიდებული ადამიანია... რა ტალანტი! ასეთი გულმოდგინება... საქმის ასეთი სიყვარული... ეს მეტისმეტია, მეტისმეტი! — შემდეგ უფრო თავშეკავებით განაგრძო: — ცინობერ! ამიერიდან ჩემს მინისტრად გნიშნავთ! იყავით სამშობლოს ერთგული და კეთილმოყვარე, იყავით სახელოვანი მსახური ბარზანუფისა, რომელიც თქვენ დაგაფასებთ, შეგიყვარებთ.

შემდეგ თავადი უკმაყოფილო სახით მინისტრს მიუბრუნდა:

— ვამჩნევ, საყვარელო ბატონო ფონ მონდშაინ, რომ ეს რამდენიმე ხანია ენერგია მოგაკლდათ. საკუთარ მამულში რომ დაისვენოთ, ვფიქრობ, გამოკეთდებით! მშვიდობით!

მინისტრი ფონ მონდშაინი გაუგებრად ალუღლუღდა, გაალმასებული თვალები ცინობერს მოავლო და იქაურობას გაეცალა; ცინობერმა კი, როგორც სჩვეოდა, ზურგს უკან ხელჯიხი შეიდგა, დაებჯინა, მერე თითის წვერებზე აიწია და ამაყი, უტიფარი მზერა იქაურობას მოავლო.

— თავი მოვალედ მიმაჩნია, — დაიწყო თავადმა, — მოვალედ მიმაჩნია, რომ თქვენი დამსახურების გამო, საყვარელო ცინობერ, დაგაჯილდოოთ. ამიტომ მიიღეთ ჩემი ხელიდან მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენი!

თავადმა კამერდინერს სასწრაფოდ მოატანინა ორდენის ბაფთა, ცინობერს მხარზე გადაუკიდებო, მაგრამ ცინობერის მახინჯ სხეულს ორდენის ბაფთა სრულიად არ მოადგა; ბაფთა ხან უშნოდ აიჩეჩებოდა, ხან დაბლა დაეკიდებოდა.

ამ საქმეში, ისევე როგორც სხვა მსგავს საქმეებში, რომელიც სახელმწიფოს ჰეშმარიტ კეთილდღეობას ეხებოდა, თავადი ძალზე შეუპოვარი გახლდათ. ბაფთაზე მოთავსებული მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენის ნიშანი ირიბად უნდა ყოფილიყო დამაგრებული ბარძაყსა და კუდუსუნს შორის, უკანასკნელიდან დუიმის სამი მეთექვსმეტედით დაცილებულ მანძილზე. მაგრამ ბაფთა ასე ვერ დააყენეს. კამერდინერმა, სამმა პაუმა და თავადმა ცდა არ დააკლეს, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ეს მუხანათური ბაფთა აქეთ-იქეთ ცურდებოდა და ცინობერი უკმაყოფილო ყიყინს მოყვა:

— რას მაჯანჯღარებთ ასე უმსგავსად, მოეშვით, ბოლოს და ბოლოს, ისე ეკიდოს ეგ სულელური ჭინჭი, როგორც თვითონ სურს. უმაგისოდაც მინისტრი ვარ და მინისტრად დავრჩები!

— რისთვისღა, — დაიწყო თავადმა გაჯავრებით, — რისთვისღა მყავს ორდენის საბჭო, თუკი ბაფთის გაკეთებისას შემოღებული ეს სულელური წესები ჩემს სურვილს ეწინააღმდეგება? მოითმინეთ, ჩემო საყვარელო მინისტრო ცინობერ! სულ მალე სხვაგვარად აეწყობა ყველაფერი!

თავადის ბრძანებით შეიკრიბნენ ორდენის საბჭოს წევრები, მათთან ერთად ორი ფილოსოფოსი და ერთი მოგზაური ბუნებისმეტყველი, რომელიც ეს-ეს იყო ჩრდილოეთ პოლუსიდან დაბრუნებულიყო. შეიკრიბნენ, რათა გადაეწყვიტათ საკითხი, თუ როგორ მოერგოთ მინისტრ ცინობერის ტანზე მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენის ბაფთა. ასეთი მნიშვნელოვანი თათბირისათვის საჭირო ძალ-ღონე რომ მოეკრიბათ, საბჭოს ყველა წევრს ურჩიეს — თათბირამდე რვა დღის განმავლობაში არაფერზე არ იფიქროთო, შაგრამ დავალებისათვის უკეთესად რომ გაერთმიათ თავი და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ რაიმე გაეკეთებინათ, ამ დროის მანძილზე თვლაში უნდა ევარჯიშათ. იმ სასახლის ახლომდებარე ქუჩებში, სადაც ორდენის საბჭოს, ფილოსოფოსებისა და ბუნებისმეტყველის ბჭობა იყო დანიშნული, სქელ ფენად დაყარეს ნამჯა, რათა ეტლების ხმაურს ბერიკაცები არ შეეწუხებინა. ამავე მიზეზით სასახლის ირგვლივ აიკრძალა დოლისა და მუსიკის დაკვრა და ხმამაღალი ლაპარაკი. სასახლეში უკლებლივ ყველა თექის სქელი ფაჩუჩებით დადიოდა და თუკი სალაპარაკო ჰქონდათ, სათქმელს ხელებით აგებინებდნენ ერთმანეთს.

შვიდი დღის მანძილზე ალიონიდან გვიან ღამემდე გრძელდებოდა ბჭობა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც ვერ გამოიტანეს.

მოთმინებადაკარგული თავადი წარამარა კაცს აგზავნიდა საბჭოში რა ღმერთი გაგიწყრათ, ბოლოს და ბოლოს, რაღაც გონივრული მოიფიქრეთო. მაგრამ საქმეს არაფერი შველოდა.

ბუნებისმეტყველმა შესაძლებლობის ფარგლებში გამოიკვლია ცინობერის აღნაგობა, მისი კუზის სიმაღლე, გარსშემოწერილობა, და ორდენის საბჭოს მისი ზუსტი მონაცემები წარუდგინა. მანვე წამოაყენა წინადადება, — კარგი იქნებოდა ბჭობაზე თეატრის თერძიც მოგვეწვიაო.

რაოდენ უცნაურიც უნდა ყოფილიყო ეს წინადადება, შიშისა და შეჭირვების გამო მაინც ერთხმად მიიღეს.

თეატრის თერძი, ბატონი კეესი განსაკუთრებული მოხერხებისა და მიხვედრილობის კაცი იყო. გაიგო თუ არა, რაში იყო საქმე და ბუნებისმეტყველის მონაცემებსაც გადაავლო თვალი, კეესმა მაშინვე მოიფიქრა ბაფთის სათანადოდ და-

მაგრების საუცხოო საშუალება. სახელდობრ: მკერდსა და ზურგზე უნდა დაეკერებინათ განსაზღვრული რაოდენობის ღილები და ორდენის ბაფთაც ღილებით დაემაგრებინათ. ცდამ წარმატებით ჩაიარა.

თავადი აღფრთოვანებული დარჩა და ორდენის საბჭოს წინადადება მოიწონა. ამიერიდან რამდენიმე ხარისხის მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენი დაწესდა ღილთა იმ რაოდენობის მიხედვით, რომლებსაც ბაფთასთან ერთად გადასცემდნენ დაჯილდოებულს. მაგალითად, დაწესდა მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენი ორი ღილით, სამი ღილით და ა. შ. მინისტრმა ცინობერმა, სრულიად საგანგებო წარჩინების ნიშნად, რომელსაც სხვა კაცი ვერაფრით მიაღწევდა, მიიღო ორდენი ოცი ბრილიანტის ღილით, რადგან ბაფთა რომ მის უცნაურ ტანზე გაეჩერებინათ, სწორედ ოცი ღილი დასჭირდათ.

თერძმა კეესმა მიიღო მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორი ოქროსღილიანი ორდენი და თავადის ნამდვილი გროსკოსტიუმერის ჩინი, თუმცაღა გონივრული გამოგონების მიუხედავად თავადი მას მაინც თერძად მიიჩნევდა და თავისთვის არაფერს აკერინებდა.

დოქტორი პროსპერ ალპანუსი თავისი ვილის ფანჯრიდან ჩაფიქრებული გადაჰყურებდა პარკს. მთელი ღამის განმავლობაში ადგენდა ბალთაზარის ჰოროსკოპს და ამასობაში ზოგი რამ ისეთიც გაიგო, რაც პატარა ცინობერს ეხებოდა. მაგრამ მისთვის უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, თუ რა შეემთხვა კაცუნას იმ დღეს, როცა მას ბაღში ადრიანი და პულხერი დაუდარაჯდნენ. პროსპერ ალპანუსი ის-ის იყო თავისი მარტოეშვების დაძახებას აპირებდა პოხიაკობსჰაიმში გასამგზავრებლად, რომ გაისმა კარეტის ხმაური, რომელიც გისოსებიან ალაყაფის კართან გაჩერდა. პროსპერ ალპანუსს მოახსენეს, მონასტრის წინამძღოლს, ქალბატონ ფონ როზენშიონს ბატონ დოქტორთან საუბარი სურსო.

— კეთილი იყოს მისი მობრძანება, — თქვა პროფესორმა ალპანუსმა და ქალიც შემოვიდა. მონასტრის წინამძღოლს გრძელი შავი კაბა ეცვა და მატრონასავით პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული. პროსპერ ალპანუსი რაღაც უცნაურმა წინათგრძნობამ შეიპყრო. დოქტორმა თავისი ხელჯოხი აიღო და ბუნიკის ელვარე სხივები ქალისაკენ მიმართა. ეს იყო და,

ჭალი თითქოს ელვამ გაანათაო, დოქტორმა გამჭვირვალე თეთრ სამოსს, მხრებზე ჭრიჭინას დაკეცილ მოლაპლაპე ფრთებსა და თმაში ჩაწნულ თეთრ და წითელ ვარდებს მოჰკრა თვალი. „მდაა“... — ჩაიდუდუნა პროსპერმა და ხელჯოხი თავის ხალათში დამალა. ქალს ახლა ისევ შავი სამოსი ეცვა.

პროსპერ ალპანუსმა სტუმარი მეგობრულად მიიწვია, დაბრძანდითო, სთხოვა. ფროილაინმა დრო იხელთა და წამოიწყო, — რამდენი ხანია ვაპირებდი ბატონი დოქტორი თავის ვილაში მომენახულებინა, მინდოდა გავცნობოდი იმ უაღრესად ნიჭიერ და კეთილისმყოფელ ადამიანს, რომლის ქება ამ მიდამოში ყველას პირზე აკერიაო. ალბათ ჩემს თხოვნას შეიწყნარებთ და როგორც ექიმი, ყურადღებას მიაქცევთ ახლომდებარე დედათა მონასტერს, რადგან მოხუცი ქალები ხშირად ავადმყოფობენ და ექიმის დახმარება ესაჭიროებათო.

პროსპერ ალპანუსმა თავაზიანად განუცხადა, თუმცა უკვე დიდი ხანია საექიმო პრაქტიკა მივატოვე, მაგრამ გამონაკლისის სახით, როცა საჭირო იქნება, მონასტრის ქალებს მოვინახულებო. შემდეგ ჰკითხა, — თქვენ თვითონ, ფროილაინ ფონ როზენშიონ, რაიმე ავადმყოფობა ხომ არ გაწუხებთო. ფროილაინმა ასე უპასუხა: დროდადრო, როცა დილით გასასეირნებლად გამოვდივარ, რევმატული ტკივილები მაწუხებს, ახლა კი სრულიად ჯანმრთელი ვარო და შემდეგ უმნიშვნელო ამბებზე დაიწყო საუბარი.

პროსპერმა ჰკითხა, რამდენადაც ჯერ კიდევ ადრიანი დილაა, ფინჯან ყავას ხომ არ ინებებთო. როზენშიონმა გაიცხადა, მონასტრის ქალები მსგავს ამბავზე უარს არასოდეს ამბობენო. ყავა შემოიტანეს, მაგრამ რამდენს არ ეცადა პროსპერი მის დასხმას, ფინჯნები მაინც ცარიელი რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყავადანიდან სითხე გადმოდიოდა.

— ოჰ, — ჩაიღიმა პროსპერ ალპანუსმა, — ეს რა ჯიუტი ყავაა! იქნებ თქვენ ინებოთ, ჩემო ღირსეულო ფროილან და ფინჯანი თვითონ შეიცსოთ?

— სიამოვნებით, — თქვა ფროილაინმა და ყავადანს დასწვდა.

ამჯერად ყავადანიდან წვეთიც არ გადმოსხმულა, ფინჯანი კი პირამდე გალიცლიცდა, მაგიდაზე დაიქცა და ფროილაინს კაბა დაესვარა. ფროილაინმა ჭურჭელი გვერდზე გადასდგა და

ყავადანიც უკვალოდ გაჰქრა. ორივენი, პროსპერ ალპანუსი და ფროილაინი, რამდენიმე ხანს მდუმარედ და გაოცებით შესცქეროდნენ ურთიერთს.

— ბატონო დოქტორო, როცა შემოვედი, რაღაც საინტერესო წიგნს კითხულობდით, — დაიწყო ქალმა.

— მართალია, — უპასუხა დოქტორმა, — ამ წიგნში მართლაც ბევრია საინტერესო და საოცარი ამბავი.

ალპანუსმა მოოქროვილ ყდაში ჩასმული პატარა წიგნის გადაშლა დააპირა, რომელიც მის წინ მაგიდაზე იდო, მაგრამ ამაოდ დაშვრა: გადაშლილა თუ არა, წიგნი გაიტკაცუნებდა და ისევ დაიხურებოდა.

— აჰ,... — თქვა პროსპერ ალპანუსმა. — აბა ერთი, თქვენ თვითონ სინჯეთ ამ თავნება წიგნის გადაშლა, ჩემო ძვირფასო ფროილაინ!

ალპანუსმა წიგნი ქალს გაუწოდა, ფროილაინი შეეხო თუ არა, წიგნი თავისით გადაიშალა, მაგრამ იქიდან ყველა ფურცელი ამოფრინდა, ერთმანეთს გადაება და თაბახებად აშრიალდა.

დაშინებულმა ფროილაინმა უკან დაიხია. დოქტორმა წიგნი ძალით დახურა და ფურცლებიც გაქრა.

— კი მაგრამ, — დაიწყო პროსპერ ალპანუსმა თავაზიანი ღიმილით და ადგილიდან წამოიწია, — კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მოწყალეო ფროილაინ, რატომ ვკარგავთ დროს ასეთ უმსგავს ოინბაზობაზე. აქამდე ხომ გაცვეთილ ფოკუსებს ვაკეთებდით, ახლა შედარებით ამაღლებულ ხელოვნებაზე გადავიდეთ.

— უნდა წავიდე! — თქვა ფროილაინმა და ზეზე წამოდგა:

— ჩემი ნებართვის გარეშე თქვენი წასვლა ვერ მოხერხდება. მინდა მოგახსენოთ, მოწყალეო ფროილაინ, რომ ახლა თქვენ მთლიანად ჩემს ხელთა ხართ.

— თქვენს ხელთ?! — წამოიძახა გაცეცხლებულმა ფროილაინმა, — თქვენს ხელთ, ბატონო დოქტორო? ასეთი სისულელე რამ გაფიქრებინათ?!

ამ სიტყვებზე მისი აბრეშუმის კაბა გაიშალა და ჰერისკენ აფრინდა უმშვენიერესი ვანესა-ანტიოპა. მაგრამ მას მაშინვე ზუზუნითა და ბზუილით დაედევნა პროსპერ ალპანუსი, რომელსაც მარდი ჯუჯუმკალის სახე მიეღო. დაქანცული ვანესა-

ანტიოპა ახლა დაბლა დაეშვა, პატარა თაგვის სახე მიიღო და იატაკზე სირბილს მოჰყვა, მაგრამ ჯუჯუმკალი რუხ კატად გადაიქცა და ქშუტუნითა და კნავილით უკან დაედევნა. თაგუნამ უცებ ფრთაელვარე კოლიბრის სახე მიიღო და კვლავ ჰერისკენ აიჭრა, იმავე წამს ვილის გარშემო ყოვლად უცნაური ხმები გაისმა, ზუზუნით მოფრინდნენ საოცარი მწერები, ტყის საკვირველი ფრინველები, ფანჯრებზე კი ოქროს ბადე ჩამოეშვა. უცებ, შუა ოთახში, მთელი თავისი ბრწყინვალებით მშვენიერ თეთრ სამოსში გამოწყობილი ფერია როზაბელვერდე გამოჩნდა. წელზე მოლაპლაპე ალმასის სარტყელი შემოერტყა, ხოლო შავ თმაში თეთრი და წითელი ვარდები ჩაეწნა. მის წინ მოოქროვილ მოსასხამში გახვეული მოგვი იდგა, რომელსაც თავზე მოელვარე გვირგვინი დაედგა, ხელში კი ცეცხლისმფრქვეველბუნიკიანი ხელჯოხი ეჭირა.

როზაბელვერდემ მოგვისკენ წაიწია, მაგრამ იმავ წუთს თმიდან ოქროს სავარცხელი ჩამოუცურდა და, მარმარილოს იატაკზე ისე დაიფშვნა, თითქოს შუშისა ყოფილიყოს.

— ვაიმე, ვაიმე! — წამოიძახა ფერიამ.

ახლა ყავის მაგიდასთან ისევ მონასტრის წინამძღოლი — გრძელ შავ კაბაში გამოწყობილი ფროილაინ ფონ როზენშიონი იჯდა, მის პირდაპირ კი დოქტორი პროსპერ ალპანუსი.

— მე მგონია, — ძალზე მშვიდად დაიწყო პროსპერ ალპანუსმა და ჩინურ ფინჯნებში დაუბრკოლებლად ჩამოასხა მოკა-სურნელოვანი ცხელი ყავა, — მე მგონია, ჩემო ძვირფასო მოწყალეო ფროილაინ, ახლა ჩვენ საკმარისად გავიცანით ერთმანეთი. ვწუხვარ, რომ თქვენი სავარცხელი ჩემი ოთახის მაგარ იატაკზე დაიმსხვრა.

— ჩემი უგერგილობის ბრალია, — უპასუხა ფროილაინმა და ყავა სიამოვნებით მოსვა. — ძალიან უნდა გაფრთხილდეს კაცი, რომ ამ იატაკზე არაფერი დაუვარდეს, რადგან, თუ არ ვცდები, ეს ფილები უცნაური იეროგლიფებითაა მოფენილი, ზოგიერთმა საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა კი ისინი მარმარილოს ჩვეულებრივ ძარღვებად შეიძლება მიიჩნიოს.

— ჩემო მოწყალეო ფროილაინ, ეგ ფილები გაცვეთილი თილისმებია და სხვა არაფერი, — უპასუხა პროსპერმა.

— მაინც როგორ მოხდა, ძვირფასო დოქტორო, — წარმოთქვა ფროილიანმა, — როგორ მოხდა, რომ აქამდე არ გიც-

ნობდით, ერთხელ მაინც ხომ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს?

— განსხვავებული აღზრდის ბრალია, ძვირფასო ფროილაინ, — უპასუხა პროსპერ ალპანუსმა. — ეს ამბავი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი განსხვავებული აღზრდის ბრალია! მაშინ როცა თქვენ, იმედით აღსავსე გოგონა ჯინისტანში ცხოვრობდით და თქვენი მდიდარი ბუნებით, თქვენი ბედნიერი გენიით ტკბებოდით, მე დამწუხრებული სტუდენტი გახლდით და პირამიდებში გამოკეტილი პროფესორ ზოროასტროს შეგონებებს ვისმენდი, რომელსაც, მართალია, ბებერი ბუზღუნას სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ თავისი ცოდნით არავის უდებდა ტოლს. ამ მშვენიერ კუთხეში ჯერ კიდევ, ღირსეული თავადის დემეტრეუსის მმართველობის დროს დავსახლდი და მას მერე აქ ვცხოვრობ.

— კი მაგრამ, განა თავად პაფნუტიუსის მიერ განმანათლებლობის გამოცხადების შემდეგ არ განუდევნიხართ? — იკითხა გაკვირვებულმა ფროილაინმა.

— სრულიადაც არა, — უპასუხა პროსპერმა, — პირიქით, მე საკუთარი არსების მიჩქმალვა მოვახერხე და ჩემს ნაწერებში განმანათლებლობის თაობაზე განსაკუთრებული ცოდნის გამოჩენას ვცდილობდი. ამ ნაწერებს თვითონვე ვავრცელებდი. ვამტკიცებდი, რომ თავადის სურვილის გარეშე არც დაიჭუხებდა, არც გაიელვებდა და რომ კარგ ამინდსა და უხვ მოსავალს მხოლოდ და მხოლოდ თავადსა და მის კეთილშობილ მახლობელთა გარჯას უნდა ვუმადლოდეთ, რომლებიც ოთახებში ბჭობისათვის იკრიბებიან და გონივრულად მსჯელობენ იმ დროს, როცა უბირი ხალხი გარეთაა გამოფენილი, მინდვრებს ხნავს და თესავს.

მაშინ თავადმა პაფნუტიუსმა განმანათლებლობის ობერპრეზიდენტობა მომანიჭა, ხოლო როცა საშიშროებამ განელო, ნდობა ჩემს ნიღაბთან ერთად მაშინვე თავიდან მოვიშორე, ამასთანავე იდუმალ და სასარგებლო საქმეებსაც ვაკეთებდი, ე. ი. ისეთ რამეს, რასაც ჩვენ, მე და თქვენ, ჩემო მოწყალეო ფროილაინ, ჰეშმარიტად სასარგებლო საქმედ ვთვლით. ნუთუ არ იცით, რომ სწორედ მე დაგიცავით განმანათლებელთა პოლიციის შემოტევისაგან, რომ სწორედ ჩემი მადლიერი უნდა

იყოთ, რაკი კვლავ ფლობთ მაგ მოხდენილ ფოკუსებს, რომელიც ეს-ესაა მიჩვენეთ?

ო, ღმერთო ჩემო! ერთი გაიხედეთ, დედათა მონასტრის საყვარელო წინამძღოლო ამ ფანჯრიდან! ნუთუ ვეღარა სცნობთ იმ პარკს, სადაც თქვენ ხშირად მხიარულად დასეირნობდით და კეთილ სულებს ელაპარაკებოდით, რომლებიც ბუჩქებსა, ყვავილებსა და წყაროებში ბინადრობენ? ეს პარკი ჩემი ცოდნით გადავარჩინე. პარკი კვლავაც იმავე სახითაა შემონახული, მოხუცი დემეტრეუსის დროს რომ იყო. თვით ბარზანუფს, მადლობა ღმერთს, ჯადოქრობა სულაც არ ედარდება, იგი შემწყნარებელი კაცია და ყველას ნებას აძლევს იმდენი იჯადოქროს, რამდენიც სურს, ოღონდ სააშკარაოზე ნუ გამოიტანს და ხარკიც სრულად იხადოს. ჰოდა, მეც ვცხოვრობ აქ, ისევე ბედნიერად და უდარდელად, როგორც თქვენ თქვენს მონასტერში!

— ეს რა მითხარით, დოქტორო! — წარმოსთქვა ფროილაინმა და თვალთაგან ცრემლი წასკდა, — რა გულახდილობაა!.. დიახ, მე ვცნობ ამ ჭალას, სადაც უნეტარესი სიხარული განმიცდია! დოქტორო, თქვენ ის უკეთილშობილესი ადამიანი ხართ, რომლისაგანაც მე ასე ვარ დავალებული! მაშ, ნუღარ გამიმეტებთ და ნუ შეავიწროვებთ ჩემს კალთას შეფარებულ პატარა არსებას!

— თქვენ, — უპასუხა დოქტორმა, — ძვირფასო ფროილაინ, გაგიტაცათ თქვენმა თანდაყოლილმა სიკეთემ და მთელი მადლი ამ უღირსს შეალიეთ. თქვენი კეთილი ძალმოსილების მიუხედავად, ცინობერი არის და — ახლა, როცა თქვენი ოქროს საკვარცხელი დაიმსხვრა, — დარჩება კიდეც პატარა მახინჯ ოინბაზად. იგი ამჟამად მთლად ჩემს ხელთაა.

— ო, დოქტორო, შეიბრალეთ იგი! — შეევედრა ფროილაინი.

— კეთილი ინებეთ და მოიხედეთ, — უთხრა პროსპერმა და გაუწოდა მას ბალთაზარის ჰოროსკოპი, რომელიც მან შეადგინა.

ფროილაინმა ჰოროსკოპში ჩაიხედა და მწუხარებით წამოიძახა:

— დიახ, თუკი ეს ასეა, მაშინ მე უკან ვიხევ უზენაესი ძალის წინაშე... საწყალი ცინობერი!..

— გამოტყდით, ძვირფასო ფროილაინ, — დაიწყო დოქტორმა ღიმილით, — გამოტყდით, რომ ქალებს ხშირად გახასიათებთ ხუშტურები, ახირება, რომელიც უცბად, ერთ წამში წარმოიქმნება და რომელსაც დაუდევრად, დაუღალავად ემსახურებით, ხოლო სხვა გულსატკენ ვითარებას ვეღარ ამჩნევთ! ცინობერი დაისჯება, მაგრამ მანამდე იგი მაინც მიაღწევს პატივს, რომელიც მას არ დაუმსახურებია. ამით მე დავადასტურებ ჩემს პატივისცემას თქვენი სიძლიერის, თქვენი სიკეთის, თქვენი საონოების წინაშე, ჩემო უძვირფასესო და უმოწყალესო ფროილაინ!

— დიდებული, ჩინებული ადამიანი ბრძანდებით, დარჩით ჩემს მეგობრად! — შესძახა ფროილაინმა.

— სამარადისოდ, — უპასუხა დოქტორმა. — ჩემი მეგობრობა, ჩემი შინაგანი სწრაფვა თქვენდამი, მშვენიერო ფერია, არასოდეს შესუსტდება. გაბედულად მომმართეთ ცხოვრებაში შეხვედრილ ყოველგვარ საეჭვო გარემოებათა დროს და მობრძანდით ხოლმე ჩემთან ფინჯან ყავაზე, როდესაც კი მოგენებოთ.

— მშვიდობით ჩემო უღირსეულესო მოგვო, არასოდეს დავივიწყებ თქვენს კეთილგანწყობილებას და ყავას! — წარმოსთქვა ფროილაინმა და ათრთოლებული გამოსამშვიდობებლად წამოდგა.

პროსპერ ალპანუსმა ქალი გისოსებიან ჭიშკრამდე მიაცილა. არემარეს ტყის უცნაური და უტკბილესი ხმები ავსებდა.

ალაყაფის წინ, ფროილაინის კარეტის ნაცვლად დოქტორის მარტოეშვებშებმული ბროლის ნიჟარა იდგა, ნიჟარის კიდეზე დასკუპებულ ოქროს ხოჭოს თავის ნაირფერად მოლაპლაპე ფრთები გაეშალა, კოფოზე კი ვერცხლისფერი ხოხობი იჯდა, ნისკარტით აღვირი ეჭირა და ფროილაინს გონიერი თვალებით შესცქეროდა.

როცა ბროლის კარეტა გზას გაუყვა და სურნელოვან ტყეს მუსიკის ტკბილი ჰანგები მოეფინა, მონასტრის წინამძღოლს ეგონა, ფერიათა დიდებული ცხოვრების უნეტარეს დროში გადამიყვანესო.

როგორ იკვლევდა ბუნებას პროფესორი მოშ ტერპინი თავადის ღვინის სარდაფში. Mycetes beelzebub. სტუდენტ ბალთაზარის სასოწარკვეთა. კეთილმოწყობილი ვილის კეთილი გავლენა ოჯახურ ბედნიერებაზე. როგორ გადასცა პროსპერ ალპანუსმა ბალთაზარს კუს ნიქარის კოლოფი, შემდეგ კი იქაურობას გაეცალა.

— . —

ბალთაზარმა, რომელიც სოფელ ჰოხიაკობსჰაიმში იმალებოდა, კერეპესიდან რეფერენდარიუს პულხერის წერილი მიიღო:

„ჩვენი საქმეები, ძვირფასო მეგობარო ბალთაზარ, სულ უფრო და უფრო ცუდად მიდის. ჩვენი საერთო მტერი, ბილწი ცინობერი, საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს და მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ოცღილიანი დიდი ორდენით დააჯილდოეს. ცინობერი თავადის უსაყვარლესი ადამიანი გახდა, იგი ყველაფერს აღწევს, რასაც მოისურვებს. გაამაყებული პროფესორი მოშ ტერპინი ისე იბღინძება, ვეღარ იცნობ. თავისი მომავალი სიძის დახმარებით მან სახელმწიფოს ბუნების საქმეთა გენერალ-დირექტორის ადგილი მიიღო, რომელსაც მისთვის დიდი ფული და სხვა აურაცხელი სარგებლობა მოაქვს. როგორც გენერალ-დირექტორი, იგი კონტროლს უწევს მზისა და მთვარის დაბნელებას, ამინდის წინასწარმეტყველებას სახელმწიფოს მიერ ნებადართულ კალენდრებში და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბუნების გამოკვლევას თავადის რეზიდენციასა და მის შემოგარენში. ამ საქმიანობისთვის მისთვის თავადის ტყეებიდან უიშვიათესი ფრინველი და ცხოველი მოაქვთ, რომელთაც იგი აბრაწვინებს და გემრიელად შეექცევა. აქაოდა ცდების საწარმოებლად მჭირდებაო. ამჟამად მოშ ტერპინი წერს (ყოველ შემთხვევაში, ამტკიცებს, ვწერო) შრომას იმის თაობაზე, თუ რატომ აქვს ღვინოს წყლისაგან განსხვავებული გემო და რატომ ამღღავნებს იგი განსხვავებულ თვისებებს. პროფესორმა განაცხადა, ეს შრომა ჩემს სასიძოს უნდა მივუძღვნაო. ცინობერმა სასიმამროს შრომა მოიმიზეზა და იმას მიაღწია, რომ მოშ ტერპინს ახლა ყოველდღე შეუძლია თავადის ღვინის სარდაფში თავისი გამოკვლევების ჩატარება. მან უკვე გამოიკვლია ნახევარი ოქსჰორტი-

ძველი რაინვაინი, გამოიკვლია რამდენიმე დუჟინი შამპანური და ახლა ალიკანტეს კასრს მიადგა. მეღვინე მხრებსღა იჩეჩავს. ამგვარად, პროფესორს, რომელიც, შენც კარგად მოგეხსენება, დიდი მსუნაგი ვინმე ბრძანდება, ღმერთი შეეწია და მის იღბალს ალბათ ძაღლი არ დაყეფდა, დროდადრო სოფლებში რომ არ იყოს წასასვლელი. როცა მინდერებს სეტყვა ჩარეგვავს, მოშ ტერპინი იძულებული ხდება ნაუცბათევად გაემგზავროს სოფლებში, რათა თავადის მოიჯარადრეებს განუმარტოს, თუ რატომ მოვიდა სეტყვა, აუხსნას და უთხრას ამ ღვთის გლახებს, თუ როგორ დაიცვან თავი სეტყვისაგან და არც იჯარის შემცირება მოითხოვონ, რადგან ამ საქმეში თვითონვე არიან დამნაშავენი.

მინისტრს დღესაც ახსოვს ის უსიამოვნება, შენ რომ მიაყენე. ცინობერმა დაიქადნა, შურს ვიძიებო. ამიერიდან კერეპესში აღარ ჩამოგესვლება. ის დაგვალული მეც ნამეტნავად მდევნის, რადგან დავუდარაჯდი და ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაავარცხნინა მინისტრმა თავი ვიღაც იდუმალ ქალბატონს, რომელსაც მხრებზე ფრთები ჰქონდა ამოზრდილი. ვიდრე თავადს მინისტრი ცინობერი ასეთ პატივში ეყოლება, ვფიქრობ, რიგიან თანამდებობას არავინ მაღირსებს. ამ ჩემი უბედური იღბლის გამოისობით, ჩემდა საუბედუროდ, დღე არ გავა, მახინჯ ცინობერს არ გადაეყარო. ამას წინათ. მორთულმოკაზმული დაშნით, ვარსკვლავითა და ორდენის ბაფთით მკერდდამშვენებული მინისტრი ზოოლოგიურ კაბინეტში ვნახე. თავის ხელჯოხს დაბჯენილი ცინობერი ფეხის წვერებზე იდგა იმ შემინული კარადის წინ, სადაც უიშვიათესი ამერიკული მაიმუნების ფიტულებია გამოფენილი. ამასობაში ვიღაც უცხო დამთვალიერებლები მოგვიახლოვდნენ და ერთმა მათგანმა, რომელმაც ეს ალრაუნი შეამჩნია, ხმამაღლა წამოიყვირა: „ო, რა საყვარელი მაიმუნია! რა ლამაზია! ეს მაიმუნი მთელი კაბინეტის მშვენებაა!.. რა ჰქვია ამ კოპწია მაიმუნს? რომელი ქვეყნისაა?“

კაბინეტის ზედამხედველი ცინობერის მხრებს შეეხო და ძალზე სერიოზულად თქვა: „დიახ, ძალზე მშვენიერი ეგზემპლარია, დიდებული ბრაზილიელია ე. წ. Mucetes Beelzebub —

Simia Beelzebub Linnei — niger, barbatus, podiis caudaque apice brunneis ღრიალა მაიმუნია.

„ბატონო, — აუჯუჯღუნდა დაგვალული ზედამხედველს, — ბატონო ჩემო, მე მგონია, თქვენ ჰკუაზე მწყრალადა ხართ, ანდა სულ გადაირიეთ, არავითარი Beelzebub caudaque მე არა ვარ, რის ღრიალა მაიმუნი? მე ცინობერი გახლავართ, მინისტრი ცინობერი, მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ოცღილიანი ორდენის კავალერი!“ ეს ამბავი რომ მოხდა, მე იქვე ვიდექი და სიცილისაგან ვიფხრიწებოდი, სიკვდილითაც რომ დავეცაჯე, თავს მაინც ვერ შევიმაგრებდი.

„თქვენც აქა ხართ, ბატონო რეფერენდარიუს?“ — შემომიღრინა და ამ ავსულს თვალთაგან ნაპერწკლები გადმოსცვიოდა.

ღმერთმა უწყის რა მოხდა ასეთი, მაგრამ უცხო ხალხი მას მაინც მაიმუნთა შორის უიშვიათეს მაიმუნად მიიჩნევდა. ცინობერს თხილით უმასპინძლდებოდნენ. ახლა კი ისე გაცოფდა მინისტრი, რომ სულს ვეღარ ითქვამდა და ფეხზეც ძლივს იმაგრებდა თავს. მერე კამერდინერმა მოირბინა, ცინობერს ხელი ჩაჰკიდა და კარეტისკენ წაიყვანა.

თვითონაც ვერ გამიგია, რატომ მიღვიძებს ეს ამბავი იმედის ნაპერწკალს. ეს იყო პირველი დარტყმა, რომელიც მოჯადოებულმა პატარა მაიმახმა აწვნია.

რამდენადაც ვიცი, ამას წინათ ცინობერი ბაღიდან გაჯავრებული დაბრუნებულა. ეტყობა, ფრთოსანი ქალბატონი იმ დილით არ გამოჩენილა, რადგან ცინობერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მშვენიერი კულულები არც არასოდეს ჰქონიაო. ამბობენ, ახლა თმები უშნოდ აქვს მხრებზე ჩამოწეწილი და თავად ბარზანუფსაც უთქვამსო: „ძვირფასო მინისტრო, თმის დავარცხნას ნუ ითაკილებთ, ჩემს დალაქს გამოგგზავნითო“. ამაზე ცინობერს ძალზე თავაზიანად მოუხსენებია, — „როგორც კი ის ჯეელი ჩემთან ფეხს მოადგამს, ფანჯრიდან გადავაგდებო“. „დიდებული სულის ადამიანი ხართ! თქვენ კაცი სიახლოვესაც ვერ გაგეკარებათო!“ — უთქვამს თავადს და გულამოსკვნით ატირებულა.

აბა შენ იცი, საყვარელო ბალთაზარ! იმედს ნუ დაკარგავ და თავს გაუფრთხილდი, ხელში არ ჩაუვარდე შენს მტრებს!“

მეგობრის წერილმა ბალთაზარი სასოწარკვეთილებაში ჩა-

აგდო, ყმაწვილი ტყის უღრანს შეერია და ხმამაღალ გოდებას მოჰყვა.

— იმედი ვიქონიოთ, — წამოიძახა მან, — კვლავ იმედი ვიქონიოთ, როცა ყოველგვარი იმედი დაკარგულია, როცა ყველა მანათობელი ვარსკვლავი გაქრა და ბნელი, პირქუში ღამე თავზე ჩამომემხო მე უსასოოს? მსახვრალო ბედო! ბალთაზარი ბნელეთის ძალამ იმსხვერპლა, შეიწირა მისი სიცოცხლე. უგუნურებაა, რომ შველას მოველი პროსპერ ალპანუსისაგან, იმ კაცისაგან, რომელმაც თავისი ჯოჯოხეთური ხელოვნების წყალობით იმდენი ქნა, კერეპესიდან გამიტაცა და საქმე ისე მოაწყო, რომ ის სილაქები, რაც ცინობერის გამოსახულებისათვის სარკეში უნდა მიმეცხო, ნამდვილად მის ზურგს დაატყდა სეტყვად! ოჰ, კანდიდა!.. ნეტავ ამ ანგელოსის დავიწყება მაინც შემეძლოს! ჩემს სულში ახლა კიდევ უფრო ძლიერად, უფრო ძალუმად კიაფობს ნაპერწკალი სიყვარულისა. საითაც არ გავიხედავ, ყველგან მისი სახე მელანდება, ტკბილი ღიმილით პირგაბადრული კანდიდა ჩემკენ იწვდის ხელებს, ჩემკენ მოილტვის. კარგად ვიცი, ვერ დაგიხსენი იმ საშინელი ჯადოსნობისაგან, შენ რომ შეგბოჭა! — მოღალატე პროსპერ, რა დაგიშავე, რომ ასე სასტიკად მასულელებ?

ამასობაში მწუხრი ჩამოწვა, ტყის ფერადოვნება ნაცრისფერ სიბნელეში ჩაიკარგა. უცბად ხეებსა და ჩირგვებში უცნაურმა შუქმა გაიელვა, გეგონებოდა, დაისს ცეცხლი წაეკიდაო და ჰაერში ფრთების შარიშურითა და ზუზუნით ათასობით მწერი აიჭრა. ოქროსფერი მანათობელი ხოჭოები აქეთიქით დაფრინავდნენ, დაფარფატებდნენ ნაირფერადი პეპლები და ირგვლივ ყვავილთა სურნელოვან მტვერს აბნევდნენ; შარიშური და ზუზუნი თანდათან უტკბეს მუსიკად გადაიქცა, რომელიც ბალთაზარის დაწყლულებულ გულს მალამოდ დაედო. თავს ზემოთ ბალთაზარს კაშკაშა შუქი დასდგომოდა. ყმაწვილმა მაღლა აიხედა და გაოცებულმა პროსპერ ალპანუსი შეამჩნია, რომელიც უცნაურ მწერზე გადამჯდარიყო და მისკენ მოფრინავდა. მწერი დიდებული ფერებით ელვარებდა და შორიდან ნემსიყლაპიას წააგავდა.

პროსპერ ალპანუსი ბალთაზარისკენ გაემართა, გვერდით დაუჯდა, ხოლო ნემსიყლაპია ბუჩქნარში გაუჩინარდა და თავისი საგალობელი გააგრძელა.

ალპანუსმა ყმაწვილის შუბლს საოცრად ხასხასა ფერადი ყვავილები შეახო, ხელში რომ ეჭირა და ბალთაზარის სულში მაშინვე სიმხნევე და სიხალისე ჩაიღვარა.

— საყვარელო ბალთაზარ, დიდ უსამართლობას სჩადიხარ, — დაიწყო პროსპერ ალპანუსმა ალერსიანი ხმით, — რომ მე გულქვა მოღალატედ მსახავ სწორედ იმ დროს, როცა თითქმის ხელში ჩავიგდე ჯადოქარი, რომელმაც ასე არია შენი ცხოვრება, შენს საპოვნელად და დასამშვიდებლად მე ჩემს საყვარელ მერანზე ავმხედრდი და შენკენ გამოვეშურე, ამასთანავე ყველაფერი თან წამოვიღე, რაც შენს განკურნებას დასჭირდება. სიყვარულით გამოწვეულ ტკივილზე ძნელი არაფერია ქვეყანაზე. არაფერი შეედრება სიყვარულსა და გზნებაში სასოწარკვეთილი სულის მოუთმენლობას... მაგრამ არა უშავს რა, მომიტევებია შენთვის, რადგან არც მე მადგა კარგი დღე: ამ ორიათასი წლის წინათ ინდოეთის პრინცესა მიყვარდა, სახელად ბალზამინე და ჩემს საუკეთესო მეგობარს, ჯადოქარ ლოტოსს, სასოწარკვეთილმა წვერიც კი დავაგლიჯე, რის გამოც, ხომ ხედავ, წვერს აღარ ვატარებ, ვფრთხილობ, მეც არ დამაგლიჯონ წვერი... ახლა საიმისო გუნებაზე არა ხარ, რომ ყოველივე დაწვრილებით გიამბო, ყოველ შეყვარებულს ხომ მხოლოდ თავისი სიყვარულის შესახებ სურს ლაპარაკი, ისევე როგორც ყოველი პოეტი მხოლოდ საკუთარ ლექსებს ისმენს სიამოვნებით. ამიტომ, საქმეზე ვილაპარაკოთ!.. იცოდე, ცინობერი ერთი ღარიბი ქალის შვილია, მისი ნამდვილი სახელია — პატარა ცახესი. ამ პატარა მახინჯმა ქედმაღლობის გამო დაირქვა ცინობერის ამაყი სახელი. ქალთა თავშესაფრის წინამძღოლმა ფონ როზენშიონმა, იგივე ცნობილმა ფერია როზაბელვერდემ,—ეს ქალი სხვა არავინაა თუ არა ფერია, — ეგ პატარა გონჯი გზაზე იპოვნა. ფერია ფიქრობდა, რაც ბუნებამ ამ მაიმახს მიაკლო, ყველაფერს ავუნაზღაურებო და ამ მიზნით ცინობერი იშვიათი, საიდუმლო უნარით დააჯილდოვა. ამ უნარის წყალობით, ირგვლივ მყოფთა შესანიშნავი აზრი, ნათქვამი ან საქმე, ცინობერის აზრებად, ცინობერის საქმედ გასაღდებოდა, ამავე უნარის მეოხებით, თუკი მას მოხდენილ, განათლებულ და გონებაგახსნილ ხალხთან ერთად მოუწევდა ყოფნა, თვითონაც მოხდენილი, განათლებული და გონებაგახსნილი პიროვნება გამოჩნდებოდა

სხვის თვალში და საერთოდ, ვისაც არ უნდა გამოლაპარაკებოდა ცინობერი, მას ყოველთვის ადამიანთა მოდგმის უსრულყოფილეს წარმომადგენლად მიიჩნევდნენ.

ეს უჩვეულო ჯადოქრობის ძალა ჩაქსოვილია თმის სამ ცეცხლისფერ ღერში, კეფაზე რომ აქვს კაცუნას. მის თმაზე და, საერთოდ, თავზე ხელის შეხება ცინობერისათვის მტკივნეულია, მეტიც, შეიძლება დამღუპველიც კი იყოს მისთვის. ამიტომაა, რომ ფერიამ მისი ბუნებით თხელი და აბურძგნული თმა, სქელ, მოხდენილ კულულებად გადააქცია, რომელიც კაცუნას თავსაც იცავს, თმის სამ წითელ ღერსაც მალავს და ჯადოსაც ინარჩუნებს. ყოველ მეცხრე დღეს თვით ფერია უვარცხნიდა ხოლმე თმას ოქროს მაგიური სავარცხლით. ამ დავარცხნის შემდეგ ქარწყლდებოდა ყოველგვარი ღონისძიება, რაც მისი ჯადოს წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ ეს სავარცხელი დაამსხვრია ძლიერმა თილისმამ, რომელიც კეთილ ფერიას მაშინ შევაპარე, როცა იგი ჩემთან იყო სტუმრად.

ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ როგორმე ამოვაგლიჯოთ ეს სამი ცეცხლისფერი თმა და ჩიაკაციც წინანდელ არარაობად გადაიქცევა! ამ ჯადოს გაბათილება შენი ხვედრია, ჩემო საყვარელო ბალთაზარ. შენ გაგაჩნია საამისო გამბედაობა, ძალა და მოხერხება, შენ ისე შეასრულებ ამ საქმეს, როგორც საჭიროა. აჰა, აიღე ეს პატარა გაკუთხული შუშა, სადაც კი წააწყდები ცინობერს, ნუ დააყოვნებ, მივარდი, დაჟინებით მიაშტერდი ამ შუშით მის თავს და თმის ის სამი ღერიც ცინობერს ამოეჩრება თავზე. წაავლე ხელი მაგრად, ყურადღებას ნუ მიაქცევ გამსჭვალავ კატისებურ ჩხავილს, რასაც იგი მოჰყვება, ერთბაშად სამივე ღერი ამოგლიჯე და ადგილზევე დასწვი. სამივე ღერი აუცილებლად ერთბაშად უნდა ამოგლიჯო და მაშინვე დასწვა, რადგან თუ ასე არ გააკეთე, კიდევ ბევრ უსიამოვნებას გადაეყრები. ამიტომ, მხედველობაში იქონიე, დაგვაჯულს მაშინ უნდა მიუვარდე და თმა ისეთ დროს ამოჰგლიჯო, როცა ახლომახლო ცეცხლი ან სანთელი ენთება.

— ო, პროსპერ ალპანუს, — წარმოსთქვა ბალთაზარმა, თქვენი ესოდენი სიკეთე, ესოდენი კეთილშობილება ჩემი უნდობლობით არ დამიმსახურებია! სულის სიღრმეში ვგრძნობ,

რომ ახლა კი მოეღება ბოლო ჩემს ტანჯვას და ზეციური ნეტარება გამიღებს თავის ოქროს კარს!..

— მე მიყვარს, —განაგრძო პროსპერ ალპანუსმა, — მიყვარს ახალგაზრდები, რომლებიც შენს მსგავსად, ჩემო ბალთაზარ, დაუოკებელ სწრაფვასა და სიყვარულს წმინდად ინახავენ გულში, რომელთა სულში კვლავ გაისმის გამოძახილი იმ დიდებული აკორდებისა, შორეული ღვთაებრივი სასწაულების სამშობლოდან, ჩემი სამშობლოდან რომ მოისმის. ასეთი შინაგანი მუსიკით დაჯილდოებული ბედნიერი ადამიანები ერთეულებია ქვეყნად. მათ შეიძლება პოეტები ეწოდოთ, თუმცა ამ სიტყვით ხანდახან ისეთ კაცსაც მონათლავენ, ვინაც პირველად დაუკრავს კონტრაბასზე, რადგან უხეში ხელით ათრთოლებული სიმების ჟღრიალი დიდებულ მუსიკად მიაჩნიათ, მათივე საკუთარი გულის სიღრმიდან რომ მომდინარეობს. ვიცი, საყვარელო ბალთაზარ, შენ ხანდახან ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს გესმოდეს წყაროთა ლიკლიკის, ხეთა შარიშურისა, ასე მგონია, თითქოს მეწამულად აელვარებული დაისი შენს საცნაურად ლაპარაკობდეს! დიახ, ჩემო ბალთაზარ, ამ წუთებში შენ მართლაც გესმის ბუნების იდუმალი ხმები, რადგან შენი სულის სიღრმიდან მოედინება ღვთაებრივი ხმა, რომელსაც ბუნების იდუმალებათა საოცარი ჰარმონია წარმოშობს. პოეტო, შენ ფორტეპიანოზე უკრავ და გეცოდინება, რომ მთავარ ტონს მისი მსგავსი ტონები აძლევენ ბანს. ბუნების ეს კანონი უადგილო შედარება ნუ გეგონება. დიახ, პოეტო, შენ ბევრად უკეთესი ხარ, ვიდრე ზოგს ჰგონია, იმ ხალხზე უკეთესი, ვისაც უკითხავდი შენს პირველ ცდებს — კალმითა და მელნით ქაღალდზე გადატანილ შინაგან მუსიკას. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთო, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით შენ მაინც კარგ წარმატებას მიაღწიე, როცა პრაგმატული სიზუსტით აღწერე ბულბულის სიყვარული მეწამული ვარდის მიმართ, აღწერე ამბავი, რომლის მოწმე მე თვითონა ვარ. ეს ძალზე ჩინებული ნაწარმოებია...

პროსპერ ალპანუსი გაჩუმდა. შეცბუნებული ბალთაზარი ფართოდ გახელილი თვალებით უმზერდა დოქტორს. ყმაწვილმა ჟერაფერი უპასუხა ალპანუსს, როცა მან ისტორიული ხასიათის ცდად გამოაცხადა ბალთაზარის ის ლექსი, რომელიც

თვითონ ბალთაზარს ყველაზე ფანტასტიკურ ნაწარმოებად მიაჩნდა.

— შეიძლება, — ისევ წამოიწყო პროსპერ ალპანუსმა და საწდომიანმა ღიმილმა სახე გაუცისკროვნა, — შესაძლოა გაგაოცოს ჩემმა სიტყვებმა, შესაძლოა ჩემს პიროვნებაში ზოგიერთი რამ უცნაურიც მოგეჩვენოს, მაგრამ დაფიქრდი ამაზე, მე ხომ ყველა გონიერი ადამიანის აზრით ისეთი პიროვნება ვარ, რომელიც მხოლოდ ზღაპრებში შეიძლება შეგხვდეს, ხოლო ჩემნაირი ადამიანები, მოგეხსენება, უცნაურად იქცევიან ხოლმე და ისინი იმდენ სისულელეს ლაყბობენ, რამდენიც სურთ, მეტადრე, თუკი ამ სისულელის მიღმა ისეთი რამ იმალება, რასაც ვერ უარყოფ. მაგრამ განვაგრძოთ საუბარი. თუკი ფერია როზაბელჯერდე იმ მახინჯ ცინობერზე ასე გულმოდგინედ ზრუნავს, შენ, ჩემო ბალთაზარ, ახლა მთლიანად ჩემს მფარველობაში იმყოფები, მაშ მომისმინე, აი, რა მინდა შენთვის გავაკეთო!..

გუშინ ჯადოქარმა ლოტოსმა მინახულა. მან გადმომცა უამრავი სალამი და უამრავი საყვედური ბრინცესა ბალზამინესი, რომელსაც გამოღვიძებია და ჩარტაჰ-ბჰადის, ჩვენი პირველი სიყვარულის ამ დიდებული ლექსის ტკბილი ჰანგებით გაბრუებული ჩემკენ იწვდის მონატრებულ მკლავებს. ჩემი ძველი მეგობარი, მინისტრი იუხიც მეგობრულად მიქნევს ხელს პოლარული ვარსკვლავიდან. შორეულ ინდოეთში უნდა წავიდე! არ მინდა ჩემს მამულს, აქ რომ ვტოვებ, შენს გარდა სხვა ვინმე დაეპატრონოს. ხვალ კერეპესში წავალ და ნაჩუქრობის ფორმალურ ბარათს შევადგენინებ, სადაც შენს ბიძად გამოვაცხადებ თავს. როგორც კი ცინობერის ჯადოს გააქარწყლებ, წარუდექი პროფესორ მოშ ტერპინს, როგორც დიდებული მამულის, დიდძალი ქონების მფლობელი, სთხოვე კანდიდას ხელი და ისიც დიდი სიხარულით დაგთანხმდება. ეს კიდევ ცოტაა! თუ შენ და კანდიდა ჩემს ვილაში დასახლდებით, თქვენს ბედნიერ ცოლ-ქმრობას ვეღარაფერი შეუშლის ხელს. ჩემს მშვენიერ ბაღში ყველაფერი იზრდება, რაც ოჯახისთვისაა საჭირო. ჩინებული ხილის გარდა იქ შესანიშნავ კომბოსტოს მოიწევთ და, საერთოდ, ბაღში ისეთ მწვანილეულს ნახავთ, რომლის ბადალი არსად მოიპოვება. ყველაზე

ადრე შენს მეუღლეს ექნება ხოლმე სალათა და სატაცური. სამზარეულო ისეა მოწყობილი, ქოთნები საჭმელს არ მიიწვავს, არც მოხრუკავს, რამდენი ხანიც უნდა იდგეს ცეცხლზე. ხალიჩებს, სკამებს და სავარძლებს ისეთი თვისებები გააჩნიათ, რომ ყველაზე უგერგილო მსახურიც ვერ დაალაქავებს. ასევე არ იმტვრევა ფაიფურისა და შუშის ჭურჭელი, რამდენიც უნდა ეცადოს მსახური, მაინც ვერ დაამსხვრევს, თუ გინდა ქვის იატაკზე ურტყას. ყოველთვის, როცა შენი ცოლი სარეცხს გაარეცხინებს, სახლის უკან ველზე მუდამ იქნება მზიანი ამინდი, ირგვლივ წვიმა, ელვა და ქუხილიც რომ იყოს. მოკლედ რომ გითხრა, ჩემო ბალთაზარ, ყველაფერი ისეა შექმნილი, რომ შენს მშვენიერ კანდიდასთან ერთად დატკბე მშვიდი და უშფოთველი ოჯახური ბედნიერებით!

ახლა კი დროა, შინ გავბრუნდე და მეგობარ ლოტოსთან ერთად ჩემი გამგზავრების თადარიგს შევუდგე. მშვიდობით, ჩემო ბალთაზარ!

პროსპერმა ერთ-ორჯერ დაუსტვინა და ნემსიყლაპია მაშინვე ბზუილით მოფრინდა. პროსპერმა აღვირი ამოსდო და უნაგირს გადაახტა. პატარა მანძილი რომ გაიფრინა, პროსპერ ალპანუსი უკან მიბრუნდა ბალთაზართან.

— კინაღამ დამავიწყდა, — თქვა პროსპერმა, — ცოტა ზედმეტი მომივიდა, და შენი მეგობარი ფაბიანი მეტისმეტად მკაცრად დავსაჯე. ამ კოლოფში ისაა, რაც მას დაამშვიდებს.

პროსპერმა ბალთაზარს კუს ბაკანისაგან გაკეთებული პატარა გაკრიალებული კოლოფი გაუწოდა. ეს კოლოფი და ცინობერის ჯადოს გასაქარწყლებლად მიცემული ლორნეტი ბალთაზარმა ერთად შეინახა.

პროსპერ ალპანუსმა შარიშურით გაიარა ბუჩქნარი და ტყის ხმებიც ამ დროს უფრო მძლავრად და საამოდ გაისმა.

ბალთაზარი ჰოხიაკობსჰაიმში დაბრუნდა. გული სავსე ჰქონდა ნეტარებითა და უტკბესი იმედით.

თავი მერვე

როგორ მიიჩნიეს ფაბიანი სექტანტად და შარისთავად, რაკი მის ფრაკს გრძელი კალთები ჰქონდა. როგორ ამოეფარა ბუხრის თეჯირს თავადი ბარზანუფი და როგორ გადააყენა მან ბუნების საქმეთა გენერალ-დირექტორი. ცინობერის გაქცევა მოშ ტერპინის სახლიდან. როგორ სურდა მოშ ტერპინს ფარვანაზე ამხედრება, კაიზერად დადგომა, და იმის შესახებ, თუ როგორ წავიდა იგი დასაძინებლად.

— . —

აისის ბინდ-ბუნდში, როცა გზებსა და ქუჩებში ჯერ კიდევ არავინ ჩანდა, ბალთაზარი ფარულად ჩავიდა კერეპესში და მაშინათვე თავის მეგობარ ფაბიანს მიაკითხა. როგორც კი კარზე დააკაკუნა, სუსტი, ავადმყოფური ხმა მოესმა:

— შემოდით!

გაყვითლებული, არაქათგამოცლილი, სახეზე უიმედო მწუხარებით დაღდასმული ფაბიანი ლოგინზე იწვა.

— ღვთის გულისათვის, — შესძახა ბალთაზარმა, — ღვთის გულისათვის, მითხარი, რა დაგემართა, მეგობარო?

— ოჰ, მეგობარო,— წარმოთქვა ფაბიანმა გაბზარული ხმით და ზეზე გაჩირვებით წამოიმართა. — ჩემი საქმე წასულია, სულ მთლად წასული. წყეულმა ჯადომ, რომელიც კარგად ვიცი, სამაგიეროს სურვილით შეპყრობილმა პროსპერ ალპანუსმა გამიკეთა, დაღუპვის პირას მიმიყვანა.

— სარწმუნოა ვითომ? — იკითხა ბალთაზარმა. — ჯადოსნობა! თილისმის გაკეთება! წინათ ხომ არასოდეს გჯეროდა მსგავსი ამბებისა?

— ეჰ, — განაგრძო ფაბიანმა და ხმა აუთრთოლდა, — ეჰ, ახლა ყველაფრისა მჯერა, მჯერა გრძნეულისა და ჯადოქრისა, მიწისა და წყლის სულებისა, ვირთაგვების მეფისა და ალრაუნთა ფესვებისა, მჯერა ყველაფრისა, რასაც ინებებ! ვისაც ისეთი ამბავი გადახდება, რაც მე გადამხდა, ყველაფერს ირწმუნებს! გახსოვს ის ჯოჯოხეთური აურზაური, ჩემი სერთუკის გამო რომ ატყდა, როცა პროსპერ ალპანუსისაგან ვბრუნდებოდით? დიახ! ამით რომ დამთავრებულიყო ყველაფერი, კიდევ არაფერი! აბა, ერთი, ჩემს ოთახში მიმოიხედე, საყვარელო ბალთაზარ!..

ბალთაზარმა ოთახი შეათვალიერა და ყველგან ნაირფერა-

დი, სხვადასხვა თარგზე გამოჭრილი ურიცხვი ფრაკი, სერთუკი და ქურთუკი მოხვდა თვალში.

— შენ რა, ტანისამოსით ვაჭრობას მიჰყავი ხელი? — წამოიყვირა ბალთაზარმა.

— ნუ დამცინი, ჩემო მეგობარო. ამ ტანისამოსს მე სხვადასხვა ცნობილ თერძს ვაკერინებდი იმ იმედით, იქნება ბოლოს და ბოლოს განვთავისუფლდე იმ საბეჭდისწერო წყეველისაგან, რაც ჩემს სერთუკებს უწერია-მეთქი, მაგრამ ამაოდ. როგორც კი ახალ, მშვენიერ სერთუკში გამოვეწყობი, ჩამოსხმულივით რომ მადგას ტანზე და რამდენიმე წუთს გავივლგამოვიელი, სახელოები მხრებისკენ აიკეცება, ხოლო კალთები ისე დაგრძელდება, რომ ექვსი წყრთის სიგრძე კუდივით მივათრევ. სხვა რომ ვეღარაფერი ვიღონე, აი ეს სპენსერი შევაკერინე უგრძესი სახელოებით, როგორც პიეროს ჰქონდა. „აბა, დაცურდი, სახელოებო, — ვამბობ ჩემთვის, — აბა, დაგრძელდი კალთებო და ყველაფერი რიგზე იქნება", მაგრამ ორიოდ წუთში ამ ქურთუკსაც იგივე დაემართა, რაც სხვა ტანსაცმელს. ყველაზე დახელოვნებული თერძი თავისი ნიჭითა და უნარით ვერაფერს გახდება ამ საზიზღარი ჯადოს წინააღმდეგ! თავისთავად გასაგებია, სადაც კი გამოვჩნდებოდი, ყველგან დამცინოდნენ და მასხარად მიგდებდნენ, მაგრამ ჩემმა უდანაშაულო შეუპოვრობამ — მაინც გავსულიყავი გარეთ, მალე ახალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველაზე მცირე უბედურება ის იყო, რომ ქალები უსაზღვრო ქედმაღლობასა და უხამსობას მსაყვედურობდნენ, რადგან ეთიკის ყოველგვარი ნორმების საწინააღმდეგოდ, სრულიად შიშველი მკლავებით ვეჩვენებოდი საზოგადოებას. მათი აზრით, ამას იმიტომ ვაკეთებდი, თითქოს ჩემი მკლავებით თვითონ ვიყავი აღფრთოვანებული. თეოლოგებმა კი სექტანტის სახელი შემარქვეს და ერთმანეთში კამათი გააჩაღეს — სახელოიანთა სექტას მივაკუთვნოთ თუ კალთიანთა სექტასო. ერთ რამეში კი მტკიცედ შეკრეს პირი: ორივე სექტა უკიდურესად საშიშია, რადგან სურვილის სრულყოფილ თავისუფლებას ქადაგებს და ყველაფრის გაფიქრებას ბედავს, რაც მოეპრიანებაო. დიპლომატებს საზიზღარ შფოთისთავად მივაჩნივარ. ისინი ამტკიცებენ, თითქოს სერთუკის გრძელი კალთებით ხალხში უკმაყოფილების გამოწვევა და მთავრობის წინააღმდეგ ხალხის ამხედრება

მსურდეს. ასე ამბობენ, რომელიღაც საიდუმლო ჯგუფის წევრია, რომლის ნიშანი მოკლე სახელოებიაო. ამბობენ, დიდი ხანია ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებაო მოკლესახელოებიანთა კვალი, რომლებიც იეზუიტებივით საშიშნი არიან, მეტიც, უფრო საშიშნიც, რადგან ისინი ყოველ სახელმწიფოში მავნე ხასიათის პოეზიის გავრცელებას ცდილობენ და თავადთა უცოდველობაში ეჭვი შეაქვთო. მოკლედ, მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სერიოზული ხდებოდა, სანამ ბოლოს რექტორმა არ გამომიძახა. წინასწარ ვგრძნობდი, რა უბედურებასაც მომიტანდა სერთუკის ჩაცმა, და რექტორთან ჟილეტით გამოვცხადდი. რექტორი სასტიკად გააცოფა ჩემმა ჩაცმულობამ, რადგან იფიქრა, — დამცინისო, და ყვირილით მომვარდა: „ქეთილი ინებეთ და ერთ კვირაში სტუდენტის შესაფერისი სერთუკით გამოცხადდით ჩემთან, არა და, ყოველგვარი შეწყალების გარეშე გაირიცხებითო“. სწორედ დღეს მითავდება დანიშნული ვადა. რა მეშველება, მე უბედურს! ო, წყეულიც იყოს პროსპერ ალპანუსი!

— მოიცა, — დაიძახა ბალთაზარმა, — მოიცა, საყვარელო მეგობარო ფაბიან! ნუ მილანძღავ საყვარელ, ძვირფას ბიძას, რომელმაც მამული მაჩუქა. არც შენთვის ფიქრობს ცუდს, თუმცა კი, გამოგიტყდები, მკაცრად დაგსაჯა იმ კადნიერების გამო, მასთან მისვლისას რომ გამოამეღავნე. პროსპერ ალპანუსმა აი ეს კოლოფი გიფეშქაშა, რომელიც საზღვარს დაუდებს შენს ყოველგვარ ტანჯვას.

ეს რომ თქვა, ბალთაზარმა ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო და შეშფოთებულ ფაბიანს გადასცა.

— აბა, ეგ სულელური კოლოფი რას მიშველის? ამ კოლოფმა რა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ჩემი სერთუკის თარგზე?

— ეგ არ ვიცი, — უთხრა ბალთაზარმა, — მაგრამ ჩემი საყვარელი ბიძა არ მომატყუებდა, მე მას სრულიად ვენდობი. გახსენი, ჩემო ფაბიან, კოლოფი, ვნახოთ, შიგ რა დევს.

ფაბიანმა კოლოფი გახსნა და იქიდან გადმოიშალა წმინდა მაუდის მშვენივრად შეკერილი ფრაკი. ორივემ, ფაბიანმა და ბალთაზარმა თავი ვერ შეიმაგრა, რომ უკიდურესი გაოცება ხმამაღლა არ გამოეხატათ.

— აჰა, ახლა კი მესმის შენი, — დაიძახა აღტაცებულმა

ბალთაზარმა, — ახლა კი მესმის შენი განზრახვა, ჩემო პროსპერ, ჩემო ძვირფასო ბიძაჟ! ეს ფრაკი მოერგება ფაბიანს და ყოველგვარ ჯადოს გააქარწყლებს.

ფაბიანს თავპატიჟი არ დაუწყია, ჩაიცვა ფრაკი და მართლაც ისე მოხდა, როგორც ბალთაზარი ფიქრობდა: ძვირფასი სამოსი ფაბიანს ტანზე ჩინებულად მოერგო. სახელოების აკეცვისა ან კალთების დაგრძელებისა ფრაკს არაფერი ეტყობოდა.

სიხარულისაგან გონდაკარგულმა ფაბიანმა გადაწყვიტა ახალ, მოხდენილ ფრაკში გამოწყობილი მაშინვე წასულიყო რექტორთან და ყველაფერი მოეგვარებინა.

ბალთაზარმა მეგობარს დაწვრილებით გადასცა, რაც მასა და პროსპერ ალპანუსს შორის მოხდა, როგორ მისცა მან საშუალება ბოლო მოეღო იმ კოთხო ჯუჯა კაცის საშინელი უხამსობისათვის. ფაბიანი, რომელიც სრულიად გამოიცვალა, რადგან ყოველგვარი ეჭვისაგან განიკურნა, უსაზღვროდ აქებდა პროსპერის უკიდურეს კეთილშობილებას და ცინობერის ჯადოს გაქარწყლებაში მეგობარს დახმარება შესთავაზა.

სწორედ ამ წუთას ბალთაზარმა ფანჯრიდან თვალი მოკრა თავის მეგობარს, რეფერენდარიუს პულხერს, რომელიც ძალზე დანაღვლიანებული ქუჩაში მიდიოდა.

ბალთაზარის თხოვნით ფაბიანმა ფანჯარაში გაჰყო თავი და რეფერენდარიუსს დაუძახა, თანაც ხელით ანიშნა, — ახლავე ჩემთან ამოდიო.

— ეს რა დიდებული ფრაკი გიშოვნია, საყვარელო ფაბიან! — ოთახში შესვლისთანავე შესძახა პულხერმა. ფაბიანმა უთხრა, უველაფერს ბალთაზარი აგიხსნისო და რექტორთან გაეშურა.

როცა ბალთაზარმა რეფერენდარიუსს დაწვრილებით მოუყვა მომხდარი ამბები, პულხერმა უპასუხა:

— სწორედ რომ დროა, ბოლო მოეღოს ამ საზიზღარ ურჩხულს. დღეს იგი კანდიდასთან ნიშნობას იხდის, ხოლო ხვალ ივმოყვარე მოშ ტერპინი დიდ ნადიმს აპირებს, ზეიმზე თვით თავადიც მოუწვევია. სწორედ ნადიმის დროს უნდა შევიდეთ პროფესორის სახლში და იმ დაგვალულს თავს დავესხათ. დარბაზში უამრავი სანთელი იქნება და ბოროტების მთესველ თმის ღერებსაც იქ დავწვავთ.

მეგობრებმა ითათბირეს, ყოველივე აწონ-დაწონეს და ამასობაში სიხარულით გაცისკროვნებული ფაბიანიც დაბრუნდა.

— ჩემმა ფრაკმა, — დაიწყო მან, — ყველა ჩემი იმედი გაამართლა. როგორც კი რექტორთან შევედი, კმაყოფილებით გამიღიმა. „ოჰო, — მომმართა მან, — ვხედავ, საყვარელო ფაბიან, გონს მოსულხართ. რას იზამ! თქვენნაირი ფიცხი ხალხი ხანდახან უკიდურესობაში გადავარდება ხოლმე. თქვენი ქცევა არასოდეს მიმაჩნდა რელიგიურ ფანტაზიად. ამ ამბავს, უფრო ყალბად გაგებული პატრიოტობით, საარაკო საქმეებისადმი თქვენი მიდრეკილებით ვხსნიდი, რაიც გარდასულ დროთა გმირობის გამოძახილია. აი, ეს მესმის! რა მშვენიერია! სწორედ თქვენს ტანზე მორგებული ფრაკია! ვაშა ჩვენს სახელმწიფოს, ვაშა მთელ სამყაროს, რაკი კეთილშობილ ყმაწვილებს ასეთი ფრაკები აცვიათ, ასეთი შესაფერისი სახელოებითა და კალთებით. ძვირფასო ფაბიან, უერთგულეთ, ნუ უღალატებთ, თქვენს სათნოებას, ესოდენ კეთილშობილურ აზრებს, სწორედ აქედან აღმოცენდება გმირთა სიდიადე!“ რექტორმა გულში ჩამიკრა და თვალთაგან ცხარე ცრემლი წასკდა. მე კი ჯიბიდან რატომღაც ეს კოლოფი ამოვიღე. „ნება დამრთეთ“, მომმართა რექტორმა და ცერი და საჩვენებელი თითი კოლოფისაკენ წაიღო. არ ვიცოდი, იქნებოდა თუ არა შიგ თამბაქო, მაგრამ მაინც გავხსენი. რექტორმა ერთი მწიკვი ამოიღო, დაყნოსა, შემდეგ ხელი დამიჭირა, მაგრად ჩამომართვა და თვალთაგან ისევ წამოუვიდა ცრემლები. ბოლოს, გულაჩუყებულმა მითხრა: „ო, რა დიდებული ბურნუთია, კეთილშობილო ჰაბუკო! ყველაფერი მიპატიებია თქვენთვის და ყველაფერი დაივიწყეთ! მობრძანდით დღეს ჩემთან სადილად!“ ახლა ხედავთ, მეგობრებო, რომ ჩემს ყოველგვარ ტანჯვას ბოლო მოეღო, ხოლო თუკი დღეს ცინობერის ჯადოს გაქარწყლებაც მოვახერხეთ — სხვაგვარად არც უნდა მოხდეს, — ამიერიდან თქვენც ბედნიერი იქნებით!

ასობით სანთლით განათებულ დარბაზში მეწამულ სამოსში გამოწყობილი პატარა ცინობერი იდგა, მკერდზე მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ოცღილიანი ორდენი დაემაგრებინა, თეძოზე დაშნა ჰქონდა ჩამოკიდებული, ხელში კი ფრთით შემკული ქუდი ეჭირა. გვერდით პატარძლის ტანსაცმელში მორთული ტურფა კანდიდა ედგა — სიყმაწვილისა და მშვე-

ნიერების განსახიერება. ცინობერს მისი ხელი ჩაებღუჯა, დროდადრო ტუჩებთან მიიტანდა ხოლმე მის ხელს, კბილებს შემაზრზენად გააღრჭიალებდა და ჩაიფრუტუნებდა. როცა კი ხელზე აკოცებდა, კანდიდას ალმური აუვიდოდა, სახეზე და ისიც წრფელი სიყვარულით აღსავსე მზერით პასუხობდა ცეროდენას ალერსს. შემაზრზენი იყო ამ წყვილის ცქერა. მხოლოდ და მხოლოდ ცინობერის ჯადოს მოქმედებით მოხდა, რომ თვალები დაუბრმავდა ყველას და კანდიდას ასეთი უსინდისო მოტყუებით არავინ აღშფოთებულა, თორემ, ჯადო რომ არა, ამ გალეულ გრძნეულს ალბათ დაიჭერდნენ და ბუხარში უკრავდნენ თავს. წყვილის შორიახლო, როგორც ეს მიღებულია ხოლმე, საზოგადოებას მოეყარა თავი. მხოლოდ თავადი ბარზანუფი იდგა კანდიდას გვერდით და თავს იმდენად იწუხებდა, რომ ირგვლივმყოფთ მრავალმნიშვნელოვანი, მოწყალე თვალით გადახედავდა დროდადრო, რასაც ამ დროს, არავინ აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ყველა ნეფე-დედოფალს უყურებდა, თვალს არ აშორებდნენ ცინობერის ტუჩებს, რომელიც ჟამიდან ჟამზე რამდენიმე გაურკვეველ სიტყვას წაიბურძღუნებდა, რასაც, უაღრესი გაოცების ნიშნად, საზოგადოების წყნარი „ოჰ!“ მოსდევდა ხოლმე.

დადგა საქორწინო ბეჭდების გაცვლის დრო. მოშ ტერპინი ნეფე-დედოფალს მიუახლოვდა და ოდნავ ჩაახველა. პროფესორს ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც ბეჭდები ელვარებდნენ. ცინობერი ფეხის წვერებზე შედგა და საცოლეს იდაყვებამდე მისწვდა. სტუმრები დაძაბული ელოდნენ საზეიმო წამს. ამ დროს ვიღაც უცხო ხალხის ხმები გაისმა. კარი გაიღო და დარბაზში ბალთაზარი, პულხერი და ფაბიანი შემოიჭრნენ. მოსულებმა მექორწინეთა წრე გაარღვიეს.

— ეს რასა ჰგავს, რა სურთ ამ გადამთიელებს? — ეკითხებიან ერთმანეთს გაოცებული დამხვდურნი.

— აჯანყება, ამბოხება! დაცვას მოუხმეთ! — განწირული ხმით აყვირდა თავადი ბარზანუფი და ბუხრის თეჯირს ამოეფარა.

მოშ ტერპინმა ბალთაზარი შეიცნო, რომელიც ამასობაში ცინობერს თავზე წამოადგა, და დაუყვირა:

— ბატონო სტუდენტო! ხომ არ გაგიჟდით? ჭკუა ხომ არ დაკარგეთ? როგორ გაბედეთ აქ შემოჭრა ნიშნობის დროს! ხალხო, ბატონებო! მსახურებო, მიაბრძანეთ ეს ხეპრე გარეთ!

ბალთაზარმა ეს ამბავი აინუნშიც არ ჩააგდო, ამოიღო პროსპერ ალპანუსის ლორნეტი და ცინობერის თავს დააშტერდა. თითქოს ელექტროსხივი მოხვედროდეს, ცინობერმა ყურებწამღები ჰყავილი მორთო, გულშეღონებული კანდიდა სკამზე მიესვენა. შეჯგუფული ხალხი დაიშალა. ბალთაზარი მკაფიოდ ხედავს ცეცხლისფრად მოკიაფე თმის ზოლს, მირბის ცინობერთან და მინისტრს მკლავებში მოიგდებს. ცინობერი ფეხებს აფხარკალებს, იკბინება, და ბალთაზარს ფრჩხილებით კაწწავს.

— დაიჭირეთ! დაიჭირეთ! — ყვირის ბალთაზარი.

ფაბიანმა და პულხერმა დაგვალული ისე გაჭაჩეს, ჯუჯას თითის განძრევაც აღარ შეუძლია. ბალთაზარი ფრთხილად, მაგრამ ხელის ერთი წავლებით ამოაძრობს წითელი თმის ღერებს, მირბის ბუხართან და თმებს ცეცხლში აგდებს. თმის ღერები ტკაცა-ტკუცით იწვის, ისმის გამაყრუებელი გრიალი, ყველა გამოფხიზლდება, თითქოს აქამდე ეძინათო. და აი, იატაკიდან ძლივს წამომდგარი პატარა ცინობერი დგას, ილანძღება, იგინება და განკარგულებას იძლევა — ახლავე დაიჭირეთ და ბნელ საკანში ჩაყარეთ ეს თავხედი შფოთისთავები, რომლებიც სახელმწიფოს პირველი მინისტრის წმიდათაწმიდა პიროვნებას თავს დაესხნენო. მაგრამ დამსწრენი ერთმანეთს ეკითხებიან: „საიდან გაჩნდა ასე უცბად ეს პატარა ოჩოფეხა? რა უნდა ამ პატარა ჯოჯოს?“ და რადგან ჯუჯა ისევ შმაგობს, იატაკს ფეხებს ურტყამს და გაჰკივის: „მე მინისტრი ცინობერი ვარ, მინისტრი ცინობერი! ოცღილიანი მწვანედ დაფოთლილი ვეფხვი!“ — ყველა ხარხარს იწყებს. ჯუჯას გარს ეხვევიან და მამაკაცები ბურთივით ათამაშებენ. კაცუნას ზედიზედ აწყდება ორდენის ღილები, უვარდება შლაპა, დაშნა, სძვრება ფეხსაცმელი. თავადი ბარზანუფი ბუხრის თეჯირს შორდება და სტუმრებს უერთდება. მის დანახვაზე ჯუჯა კივის: „თავადო ბარზანუფ... თქვენო ბრწყინვალებავ! უშველეთ თქვენს მინისტრს, თქვენს საყვარელ არსებას! გვიშველეთ! გვიშველეთ! სახელმწიფო საფრთხეშია!.. მწვანედ დაფოთლილი ვეფხვი... ო! ვაი! ვაი!..“ გაცეცხლებულმა. თავადმა ერთი კი გადახედა ჯუჯას და სასწრაფოდ გაემართა კარისაკენ. მოშტერპინი თავადს გზაზე გადაუდგა. თავადმა ხელი ჩაავლო, მოშ

ტერპინი კუთხეში გაიყვანა და თვალებანთებულმა რისხვით ჩაუსისინა:

— ისე გათავხედდით, რომ თქვენს თავადს, სახელმწიფოს მამას, სულელური კომედიების მოწყობა მოუნდომეთ?.. რამდენადაც მახსოვს, თქვენ ჩემი ღირსეული მინისტრისა და თქვენი ქალიშვილის ნიშნობაზე მომიწვიეთ, ხოლო ჩემი ცინობერის მაგივრად, ვიღაც უსაზიზღრესი, გონჯი დამახვედრეთ მდიდრულ სამოსელში გამოწყობილი. ბატონო ჩემო, იცით თუ არა, რომ ასეთი ხუმრობა სახელმწიფოებრივ ღალატს ნიშნავს, და მეც მკაცრად დაგსჯიდით, ჭკუაშერყეული რომ არ იყოთ! დღეიდან ბუნების საქმეთა გენერალ-დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებული ხართ! ჩემს სარდაფში ყოველგვარ შემდგომ შტუდირებას გიკრძალავთ! მშვიდობით!

ეს თქვა და თავადი გარეთ გავარდა.

გაცოფებისაგან აკანკალებული მოშ ტერპინი კაცუნას მივარდა, ჩამოწეწილ გრძელ თმაში ხელი ჩაავლო, ფანჯრისკენ წაათრია და დაუღრიალა:

— წაეთრიე აქედან, შე ბილწო, საზიზღარო გონჯო, შენ მომატყუე ასე უსირცხვილოდ, შენ გამომაცალე ხელიდან ბედნიერება!

მოშ ტერპინს უნდოდა კაცუნა ღია ფანჯრიდან გადაეტყორცნა, მაგრამ იქვე მყოფი ზოოლოგიური კაბინეტის ზედამხედველი მოშ ტერპინს მივარდა და კაცუნა ხელიდან გააგდებინა.

— შეჩერდით, — შესძახა ზედამხედველმა, — შეჩერდით, ბატონო პროფესორო, ნუ ხელყოფთ თავადის საკუთრებას, ეგ მახინჯი გონჯი კი არა, მუზეუმიდან გამოქცეული მაიმუნია, — „Mycetes Beelzebub, Simia Beelzebub“. — „Simia Beelzebub!“ „Simia Beelzebub!“ — გაისმოდა ყოველი მხრიდან. ყველა ხარხარებდა.

მაგრამ როგორც კი ზედამხედველმა კაცუნა ხელში აიყვანა და კარგად შეათვალიერა, წყენით წამოიძახა:

— ამას რას ვხედავ!.. ეს დაგვაჯული Simia Beelzebub-ი არაა, ეს ხომ ბილწი და საზიზღარი ალრაუნია! ფუ!... ფუ!..

ზედამხედველმა დაგვალული შუა დარბაზში დააგდო. სტუმრები, ხალხი ხმამაღლა ხარხარებდნენ, ჯუჯა კი წკმუი-

ლითა და კნავილით კარისკენ გაეშურა, ჩაირბინა კიბე, — შორს, შორს აქედან, ოღონდაც სახლს შეაფაროს თავი და არც ერთმა მსახურმა არ შეამჩნიოს.

სანამ დარბაზში არეულობა იყო, ბალთაზარი იმ ოთახში გავიდა, სადაც, როგორ ყური მოჰკრა, გულშეღონებული კანდიდა გაეყვანათ. ბალთაზარი ფეხებში ჩაუვარდა კანდიდას, გაუთავებლად უკოცნიდა ხელებს, საალერსო სიტყვებს ჩურჩულებდა. კანდიდამ ბოლოს ღრმად ამოიოხრა და თვალი გაახილა. როგორც კი ბალთაზარი შეამჩნია, უკიდურესი შეშფოთებით წამოიძახა:

— აქ ხარ, ბოლოს და ბოლოს ჩემთან ხარ, ჩემო ძვირფასო ბალთაზარ?! სიყვარულის კაეშანით და ამდენი ტანჯვით ლამის სული ამომხდეს! მართალი გითხრა, ყურში კი მუდამ ჩამესმოდა ბულბულის სტვენა, რომლის სიყვარულით მეწამული ვარდის მკერდი სისხლიდან იცლება!

კანდიდამ ყველაფერი დაივიწყა, რაც მის ირგვლივ მოხდა და ბალთაზარს მოუყვა, თუ როგორ დაუბნელა გონება საზარელმა ავმა სიზმარმა, როგორ ეჩვენებოდა, თითქოს გულზე საშინელი ურჩხული დასწოლოდა, რომელიც იძულებით უნდა შეეყვარებინა, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ამ ურჩხულს შეეძლო თავი ისე მოეჩვენებინა მისთვის, თითქოს ბალთაზარი ჰყოლოდეს გვერდში; ისიც როგორ იტანჯებოდა, როცა ბალთაზარს ცხადად წარმოიდგენდა. მართალია, გრძნობდა, რომ ეს ურჩხული ბალთაზარი არ იყო, მაგრამ იგი სწორედ ბალთაზარის გულისთვის უნდა შეეყვარებინა.

ეაჟი შეეცადა მომხდარი ამბები ქალისთვის ისე გადაეცა, რომ ისედაც დაბნეულ კანდიდას მთლად არ არეოდა თავგზა. შემდეგ, როგორც ეს ჩვეულებრივად შეყვარებულებს სჩვევიათ ხოლმე, ერთმანეთი ათასგზის დაარწმუნეს, ათასგზის შეჰფიცეს ერთიმეორეს მარადიული სიყვარული და ერთგულება. ახალგაზრდები ერთმანეთს ეხვეოდნენ და უმაღლეს ნეტარებას ნაზიარებნი, ჰეშმარიტი სინაზით იკრავდნენ ურთიერთს მკერდში.

ამ დროს ოთახში შეწუხებული მოშ ტერპინი შემოვიდა. პროფესორს ფეხდაფეხ შემოჰყვნენ პულხერი და ფაბიანი, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ მის დამშვიდებას.

— არა, — შეჰყვირა მოშ ტერპინმა, — არა, საბოლოოდ

დავიღუპე! აღარც ჩვენი ქვეყნის ბუნების საქმეთა გენერალ-დირექტორი ვარ, აღარც შტუდირების უფლება მაქვს თავადის სარდაფში... თავადმაც ამითვალწუნა... ვფიქრობდი, მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენს მივიღებ-მეთქი, სულ ცოტა ხუთი ღილით მაინც... ახლა ყველაფერი დაკარგულია!.. რას იტყვის ახლა მისი ბრწყინვალება, ღირსეული მინისტრი ცინობერი, როცა გაიგებს, რომ ბილწ მახინჯად, Simia Beelzebub cauda prehensili-ად მივიჩნიე? ეს როგორ შემეშალა! ო, ღმერთო, ათვალწუნება და სიძულვილი მისგანაც მძიმე ტვირთად დამაწვება მხრებზე! ალიკანტე!.. ალიკანტე!..

— მოგვისმინეთ, ძვირფასო პროფესორო, — ამშვიდებდნენ მეგობრები, — პატივცემულო გენერალ-დირექტორო, გაიგეთ, რომ ახლა არავითარი მინისტრი ცინობერი აღარ არსებობს! თქვენ სრულიადაც არ მოტყუებულხართ. მახინჯმა ჯუჯამ, იმ ჯადოს მეშვეობით, რომელიც მან ფერია როზაბელვერდესაგან მიიღო, თქვენც ისევე შეგაცდინათ, როგორც ყველა ჩვენთაგანი.

ბალთაზარმა პროფესორს დაწერილებით მოუყვა ყოველივე. მოშ ტერპინი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. როცა ბალთაზარმა თხრობა გაათავა, პროფესორმა წამოიძახა:

— მღვიძავს თუ ძილში ვარ? განა დასაჯერებელია ეს სისულელე, — ჯადოქრები, ქაჯები, ფერიები, მაგიური სარკე და ამისთანობა?!..

— ო, უსაყვარლესო ბატონო პროფესორო, — წამოიწყო ფაბიანმა, — ერთ ხანს თქვენც რომ გცმოდათ გრძელკალთებიანი და მოკლესახელოებიანი სერთუკი, ყველაფერს ისე დაიჯერებდით, მზე მაღლა იქნებოდა.

— დიახ, — თქვა მოშ ტერპინმა, — დიახ, ყველაფერი ასეა, ასე! მოჯადოებულმა გონჯმა გამაბახა... ფეხზე ვეღარ ვდგავარ... ჰერისკენ მივფრინავ... პროსპერ ალპანუსს მივყავარ თან... ფარვანაზე ამხედრებული მივეშურები... ფერია როზაბელვერდეს დავავარცხნინებ თმებს... გავხდები მინისტრი... მეფე... კაიზერი!..

ეს რომ თქვა, მოშ ტერპინი ოთახში სტვენას მოჰყვა, თან ისე ყვიროდა და ყიჟინებდა, იქ მყოფნი შეშინდნენ, ჰკუაზე ხომ არ გადაცდაო. ბოლოს, არაჩათგამოლეული პროფესორი საავარძელში ჩაეშვა. მასთან მაშინვე კანდიდა და ბალთაზარი

მივიდნენ და გამოუტყდნენ, რომ წრფელი სიყვარულით უყვართ ერთმანეთი, უთხრეს, რომ ამ ქვეყნად ყველაფერზე მეტად ერთმანეთთან ყოფნა უხარიათ, რომ არ შეუძლიათ უერთმანეთოდ სიცოცხლე. ყოველივე ეს სევდიანად ჟღერდა, მოშ ტერპინმა ცოტა წაიტირა კიდეც.

— ყველაფერი ისე იყოს, — სლუკუნით თქვა მოშ ტერპინმა, — როგორც თქვენ გინდათ, ბავშვებო! იქორწინეთ, გიყვარდეთ ერთმანეთი, იშიმშილეთ ერთად, რადგან კანდიდას გროშსაც ვერ გავატან მზითევში!..

— რაც შეეხება შიმშილს, — ღიმილით თქვა ბალთაზარმა — იმედი მაქვს ხვალ დაგარწმუნოთ, ბატონო პროფესორო, რომ შიმშილი არასოდეს არ მოგვიწევს, რადგან ბიძაჩემმა, პროსპერ ალპანუსმა, ამაზე უკვე იზრუნა.

— ასე ჰქენ, — მისუსტებული ხმით უთხრა პროფესორმა, — თუკი შესძლებ, ასე ჰქენ, ჩემო საყვარელო ვაჟიშვილო, დღეს არა, ყველაფერი ხვალისთვის გადაედოთ, რადგან ახლავე თუ არ ჩავწექი ლოგინში, ან გონება წამერთმევა, ანდა თავი გამისკდება!..

მოშ ტერპინი სწორედ ასე მოიქცა.

თავი მეცხრე

ერთგული კამერდინერის შეშფოთება. როგორ აურდაურია ყველაფერი ბებერმა ლიზამ და როგორ დაუსხლტა ფეხი მინისტრ ცინობერს, როცა თავქუდმოგლეჯილი შინისაკენ გარბოდა. რა უცნაურად ახსნა ცინობერის უეცარი სიკვდილი თავადის კარის ექიმმა. როგორ დადარდიანდა თავადი ბარზანუფი და როგორ ჰამდა იგი ხახვს. ცინობერის დაკარგვა, ანუ აუნაზღაურებელი დანაკლისი.

თითქმის მთელი ღამის განმავლობაში იდგა მინისტრ ცინობერის კარეტა მოშ ტერპინის სახლის წინ. ეგერს რამდენჯერ უთხრეს, მისმა ბრწყინვალებამ ალბათ უკვე დიდი ხნის წინათ დასტოვაო საზოგადოება, მაგრამ ეგერი მაინც არ იჯერებდა, — მისი ბრწყინვალება ასეთ ჭარსა და წვიმაში სახლში ფეხით ხომ ვერ წავიდოდაო. როცა ბოლოს და ბოლოს შუქი ჩააქრეს და კარები ჩარაზეს, ეგერი ცარიელი კარეტით გაუდგა გზას, მაგრამ მინისტრის სასახლე'ში მისვლისთანავე კამერდინერი გააღვიძა და ჰკითხა, ღეთის გულისთვის მითხარი, დაბ-

რუნდა თუ არა მინისტრი და თუ დაბრუნდა, ვინ მოიყვანაო.

— მისი ბრწყინვალება — ჩასჩურჩულა ყურში კამერდინერმა, — მისი ბრწყინვალება გუშინ გვიან ღამით დაბრუნდა შინ, ამას წყალი არ გაუვა, ახლა ლოგინში წევს და ძინავს... მაგრამ, ოჰ, ჩემო კეთილო, რომ იცოდეთ რასა ჰგავდა! ყველაფერს მოგიყვებით, ოღონდ კრინტი არსად დასძრათ, თორემ დავიღუპები, თუკი მისი ბრწყინვალება გაიგებს, რომ ბნელ ტალანში თვალი შევასწარი! სამსახურს დავკარგავ, მისი ბრწყინვალება მომცრო ტანის მიუხედავად საშინლად ფიცხი ადამიანია, ერთ წამში გაბრაზდება ხოლმე და თუ გაბრაზდა, მერე უკან აღარ დაიხევს. გუშინ ერთი წინდაუხედავი თაგვი, რომელმაც მისი ბრწყინვალების საწოლ ოთახში კუნტრუში გაბედა, გალაპლაპებული დაშნით აკუწა. კეთილი და პატიოსანი, ახლა მთავარ ამბავს მოგიყვები. ის იყო პალტო წამოვისხი და ფეხაკრეფით სამიკიტნოსაკენ გავემართე, რომ ერთიორი ხელი ქაღალდი წამეთამაშა. ვხედავ, კიბეზე რაღაც ამოდის, ფრთხვინავს, ფეხსაცმელებს აბაკუნებს. მერე ბნელ ტალანში ლაჯებშუა გამიძვრა, იატაკზე დაეპერტყა და ისეთი ჩხავილი, ისეთი ტრუხუნი ატეხა, რომ... ოჰ, ღმერთო! ჰაბუკო, თქვენ კეთილშობილი ადამიანი ხართ, ამაზე სიტყვა არ დაგცდეთ, თორემ ზიარება აღარ მეღირსება!.. ცოტა ახლოს მოდით... ჰოდა, ისე ტრუხუნებდა, ჩვენმა მოწყალე ბრწყინვალებამ რომ იცის ხოლმე, როცა მზარეული ხბოს ბარკალს ვერ შეუწვავს კარგად, ანდა, როცა ისეთი რამ მოხდება, რაც მის ბრწყინვალებას არ მოსწონს.

კამერდინერმა პირზე ხელი მიიფარა და ეს ბოლო სიტყვები ეგერს ყურში ჩასჩურჩულა. ეგერი უკან გადახტა, სახეზე უნდობლობა აესახა და იკითხა:

— რას ბრძანებთ?

— დიახ, — განაგრძო კამერდინერმა, — ეჰვი არაა, სწორედ ჩვენი მოწყალე კეთილშობილება გახლდათ ის კაცუნა. ტალანში რომ ფეხებს შუა გამიძვრა. ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ახრიგინებდა სკამებს, როგორ აღებდა ზედიზედ კარებს, ვიდრე თავის საძინებელ ოთახში შევიდოდა. ვერ გავბედე უკან გავყოლოდი, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მისი საძინებელი ოთახის კართან მივიპარე და ყური მივუგდე. ჰოდა, პატივცემული ბრწყინვალება ისე ხვრინავდა, რო-

გორც სჩვევია ხოლმე, როცა მეორე დღეს დიდი საქმეები მოელის. ეგერო, ბევრი რამ ხდება ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ! — ეს სიტყვები ერთხელ თეატრში ყოფნის დროს გავიგონე მელანჭოლიური პრინცისაგან,* რომელიც თავიდან ფეხებამდე შავებში იყო გამოწყობილი. პრინცი ლამის ცახცახებდა ვიღაც კაცის წინაშე, თავზე მუყაოს ჩაჩი რომ ჰქონდა ჩამოფხატული. გუშინ, ეტყობა, ისეთი საოცარი ამბავი მოხდა, რომ მისი ბრწყინვალება იძულებული გახდა სახლისთვის შეეფარებინა თავი. გუშინ პროფესორთან თავადიც იყო სტუმრად. შეიძლება თავადს წამოსცდა, ურიგო არ იქნება ერთი პატარა რეფორმა გავატაროთო და მინისტრმაც მაშინვე საქმეს მიჰყო ხელი, გამოიქცა ნიშნობიდან და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ შრომას შეუდგა. ისე ხვრინავდა, უთუოდ ასე უნდა იყოს. ჰო, უთუოდ რაღაც დიდი, ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა! ვინ იცის, ხვალ თუ არა ზეგ, იქნება ისევ მოგვიწიოს ნაწნავებით სიარული! მაგრამ მოვეშვათ ამ ამბებს, ძვირფასო მეგობარო, ავიდეთ ზემოთ და, როგორც ერთგულ მსახურებს შეჰფერით, მისი საწოლი ოთახის კარს ყური მივუგდოთ, გავიგოთ, ისევ მშვიდად თუ წევს ლოგინში მისი ბრწყინვალება და სულის შინაგან ხმას თუ ესაუბრება.

კამერდინერი და ეგერი ფეხაკრეფით მიიპარნენ ოთახის კართან და ყური მიუგდეს. ცინობერი ხრუტუნებდა, ხრიალებდა და უცნაურად უსტვენდა. ორივე მსახური მოწიწების ნიშნად ადგილზე გაიტრუნა. მერე გულაჩუყებულმა კამერდინერმა თქვა:

— რაც გინდა თქვი, მაგრამ ეს ჩვენი მოწყალე ბატონი ცინობერი ნამდვილად დიდებული ადამიანია.

მეორე დღეს, დილასისხამზე, მინისტრის სასახლის პირველ სართულზე ხმაური და ალიაქოთი ატყდა. კარგა ხნის გახუნებულ საგარეო კაბაში გამოწყობილი ვიღაც საწყალი, მოხუცი გლეხის ქალი ძალით შეიჭრა სასახლეში და კარისკაცს დაუჟინა, გინდა თუ არა, ახლავე წამიყვანე ჩემს ვაჟიშვილთან, პატარა ცახესთანო. კარისკაცმა ქალს განუმარტა, სასახლეში მისი ბრწყინვალება ბატონი მინისტრი ფონ ცინობერი ცხოვრობს, მწვანე დაფოთლილი ვეფხვის ოცეილიანი ორდენის კავალერი, ხოლო მსახურთა შორის პატარა ცახესის სახელით

ან მეტსახელით არავინ არისო ცნობილი. ამის გაგონებაზე გახარებულმა დედაკაცმა გადარეულივით წამოიძახა, სწორედ ეგ ოცი ღილის პატრონი, ბატონი მინისტრი ცინობერი არის ჩემი საყვარელი ვაჟი, — პატარა ცახესიო. დედაკაცის ყვირილსა და კარისკაცის დაურიდებელ ლანძღვა-მუქარაზე ყველა მსახურმა იქ მოიყარა თავი. ღრიანცელი თანდათან მატულობდა. როცა დაბლა კამერდინერიც ჩამოვიდა, რომ ხალხი გაეფანტა, ასე ურცხვად რომ უფრთხობდა დილის ძილს მის ბრწყინვალებას, ქალი უკვე სასახლიდან გარეთ გაეგდოთ, ყველა დარწმუნებული იყო, ვიღაც ჭკუაზე შეშლილიაო.

ქალი ქუჩის მეორე მხარეს, ერთ-ერთი სახლის ქვის კიბეზე ჩამოჯდა და ქვითინსა და გოდებას მოჰყვა იმის გამო, რომ იმ უგულო ხალხმა არ შეუშვა თავის საყვარელ ვაჟიშვილთან, პატარა ცახესთან, რომელიც თურმე მინისტრი გამხდარაო. მის გარშემო ნელ-ნელა ხალხმა მოიყარა თავი, ქალი კი ისევ გაიძახოდა, — მინისტრი ცინობერი ჩემი ვაჟიშვილია, პატარა რომ იყო, ცახესს ვეძახდიო, ქალი იმდენ ხანს მოთქვამდა და გოდებდა, რომ შეკრებილი ხალხი საგონებელში ჩავარდა, აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ, — დაეჯერებინათ, თუ ჭკუიდან გადამცდარი ქალის როშვად ჩაეთვალათ მისი სიტყვები.

მოხუცი ქალი ცინობერის ფანჯრებს თვალს არ აცილებდა. უცბად ხმამაღლა გადაიხარხარა, ტაში შემოჰკრა და გახარებულმა მთელი ხმით შესძახა:

— აგერ ისიც, ჩემი კაცუნა, ჩემი პატარა ავსულიო... დილა მშვიდობისა, პატარა ცახეს! დილა მშვიდობისა, პატარა ცახეს!

ყველამ სასახლისაკენ გაიხედა. როგორც კი პატარა ცინობერს თვალი ჰკიდეს, მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ორდენის ბაფთა რომ გადაეკიდებინა მეწამული ფერის ნაქსოვ ხალათზე, თავშეუკავებელი სიცილი ატეხეს. ცინობერი უზარმაზარი ფანჯრის წინ იდგა და მის დაგვალულ ტან-ფეხს ყველა კარგად ხედავდა. ქუჩაში თავშეყრილი ხალხი ხორხოცობდა, გაჰყვიროდა: „პატარა ცახესი — პატარა ცახესი! შეხედეთ ერთი, ამ პატარა მოკაზმულ პავიანს, დამთხვეულ გონჯს, ალრაუნს! პატარა ცახეს, პატარა ცახეს!“

კარისკაცი, ცინობერის ყველა მსახური გარეთ გაცვივდა იმის გასაგებად, თუ რატომ იცინოდნენ გამვლელები. ის იყო,

მსახურებმა თვალი შეავლეს თავიანთ ბატონს, რომ თვითონაც დაიწყეს ხარხარი და ღრიალი: „პატარა ცახეს, პატარა ცახეს! ცეროდენა! დაგვალულე! ალრაუნი!..“

ეტყობა მინისტრი ახლაღა მიხვდა, რომ ქუჩაში შეკრებილი ხალხი მას დასცინოდა. უცბად ფანჯარა გააღო, ხალხს სიბრაზით ანთებული თვალები გადაავლო, გაანჩხლდა, აყვირდა და გაცოფებისაგან თავგზააბნეული უცნაურ ხტუნვას მოჰყვა, თან იმუქრებოდა, — თქვენ თავს დავაჭერინებ, ციხეში ამოგალპობთ ყველასო.

მაგრამ, რაც უფრო მეტს კაპასობდა მისი ბრწყინვალება, მით უფრო მატულობდა ყიჟინა და ღრიანცელი. უბედურ მინისტრს ყველაფერს ესროდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ, — ხილს, ბოსტნეულს, ქვებს. ცინობერი იძულებული გახდა ოთახში დამალულიყო.

— ღმერთო დიდებულო, — წამოიძახა თავგზააბნეულმა კამერდინერმა, — ეს რა საზიზღარმა პატარა მახინჯმა გადმოიხედა მისი მოწყალე ბრწყინვალების ფანჯრიდან? რას ნიშნავს ეს? როგორ მოხვედა ეს ჯუჯა მის ოთახში? — კამერდინერი ზევით ავარდა, მაგრამ მინისტრის საძილე ოთახი წელანდელივით დაკეტილი დაუხვდა. კამერდინერმა როგორც იქნა გაბედა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა, მაგრამ ოთახიდან არავინ გაეპასუხა.

ამასობაში, ღმერთმა უწყის, რა იყო მიზეზი, ხალხი ხმადაბალ მითქმა-მოთქმას მოჰყვა, ფანჯრიდან გადმომდგარი პატარა სასაცილო გონჯი მართლაც პატარა ცახესია, რომელმაც ცინობერის ამაყი სახელი დაირქვა და ყოველად უღირსი ტყუილებითა და თაღლითობით წარჩინებას მიაღწიაო. სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა შეძახილები: — ძირს ეგ მოწრუპული გაიძვერა, ძირს! გააძრეთ მინისტრის კურტაკი!.. ჩაამწყვდიეთ გალიაში, ბაზარში ჩამოატარეთ და ფული აკრიფეთ! შემოსეთ თითბრის ბრჭყვიალებით და გასართობად ბავშვებს აჩუქეთ! აბა, ზევით ავიდეთ!“ და ხალხი სასახლის კარს მიაწყდა.

სასოწარკვეთილი კამერდინერი ხელებს ასავსავებდა და ყვიროდა:

— ეს ხომ ჯანყია! ამბოხებაა! გააღეთ კარი, თქვენო

ბრწყინვალებავ! თავს უშველეთ! — მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა, შიგნიდან მხოლოდ ჩუმი გმინვა ისმოდა.

ხალხმა სასახლის კარი შეამტვრია და ბრახა-ბრუხითა და ღრიანცელით ზევით აცვივდა.

— ახლა კი დროა! — თქვა კამერდინერმა და კაბინეტის კარს ისეთი ძალით ეძგერა, რომ იგი ჭრიალითა და ლაწანით მოსწყდა ანჯამებს. მისი ბრწყინვალება ცინობერი კი არსად ჩანდა!

— თქვენო ბრწყინვალებავ! მოწყალეო ბრწყინვალებავ! ნუთუ ამბოხების ხმაური არ გესმით? თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ბრწყინვალებავ! სადა ხართ? ღმერთო, შენ შეგინდე შეცოდებანი ჩემი, მაგრამ სად ინებეთ თავის შეფარება? — გაჰყვიროდა სასოწარკვეთილი კამერდინერი და ოთახებში დარბოდა, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა, სიტყვა არავის გაუცია, ეგ იყო, კამერდინერის ყვირილს მარმარილოს კედლები ეხმიანებოდა და ოთახს დამცინავი გამოძახილი ავსებდა. ცინობერი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

ჭუჩაში ხალხი დაშოშმინდა. კამერდინერმა ჭუჩიდან წკრიალა ხმა გაიგონა, ფანჯრიდან გადაიხედა და ვიღაც ქალი დაინახა, რომელიც ხალხს სიტყვით მიმართავდა. გამვლელები დაშლას აპირებდნენ, თან ეჭვის თვალით ამოხედავდნენ ხოლმე სასახლის ფანჯრებს.

— აჯანყება თითქოს ჩაქრა, — ჩაილაპარაკა კამერდინერმა, — ახლა კი გამოვა მისი მოწყალე ბრწყინვალება თავისი თავშესაფრიდან.

კამერდინერი კვლავ საწოლ ოთახში შებრუნდა, იფიქრა ბოლოს და ბოლოს, იქ მაინც აღმოვაჩენო მინისტრს.

დაკვირვებით მოავლო თვალი ოთახს და უცბად დაინახა, რომ ვერცხლის სახელურიანი ლამაზი ჭურჭლიდან, რომელიც მუდამ ტუალეტის გვერდით იდგა ხოლმე, რადგან მინისტრს იგი თავადისაგან მიღებულ უძვირფასეს საჩუქრად მიაჩნდა, — ნეკისოდენა გალეული კანჭები ამოშვერილიყო.

— ღმერთო, ღმერთო! — აკივლდა შეშფოთებული კამერდინერი. — ღმერთო, ღმერთო! თუ არ ვცდები, ეს კანჭები მისი ბრწყინვალების, ბატონ მინისტრ ცინობერის, ჩემი მოწყალე ბატონისა უნდა იყოს! — კამერდინერი ახლოს მივიდა, შიშისაგან აცახცახებულმა ჭურჭელში ჩაიხედა და შეჰყვირა: —

თქვენო ბრწყინვალებავ! თქვენო ბრწყინვალებავ! ღვთის გულისათვის, რას სჩადიხართ... მანდ რას აკეთებთ?

მაგრამ რაკი ცინობერი ხმას არ იღებდა, დაშინებულმა კამერდინერმა, — მისი ბრწყინვალება მთლად არ ჩავარდესო შიგნით, რიდი და მოწიწება დაივიწყა, ცინობერს ფეხში წაავლო ხელი და ზემოთ ამოსწია. მაგრამ, ღმერთო, მკვდარი იყო მისი პატარა ბრწყინვალება, მკვდარი!.. კამერდინერი ხმამაღალ გოდებას მოჰყვა. ოთახში ეგერი და მსახურები შემოცვივდნენ. ზოგი თავადის კარის ექიმის მოსაყვანად გაიქცა. ამასობაში კამერდინერმა სუფთა პირსახოცებით გაწმინდა თავისი უბედური ბატონი, ლოგინში ჩააწვინა, ირგვლივ აბრეშუმის ბალიშები ისე შემოუწყო, რომ მიცვალებულს ნაოჭებით დაღარული მუშტისოდენა სახეღა მოუჩანდა.

ამ დროს ოთახში ფროილაინ ფონ როზენშიონი შემოვიდა. მონასტრის წინამძღოლმა როგორღაც მოახერხა და თავდაპირველად ხალხი დაამშვიდა, შემდეგ უსულო ცინობერს მიუახლოვდა. ფერიას მოხუცი ლიზა მოჰყვებოდა ფეხდაფეხ — პატარა ცახესის ალალი დედა. მიცვალებული ცინობერი ახლა უფრო ლამაზი ჩანდა, ვიდრე სიცოცხლეში ყოფილა როდისმე. მინისტრს პაწაწინა თვალები დაეხუჭა, ცხვირი ძალზე გასთეთრებოდა, ბაგეზე ნაზი ღიმილის ოდნავი კვალი დარჩენოდა და, რაც მთავარია, მუქი წაბლისფერი თმა მშვენიერ კულულებად დახვეოდა. ფროილაინმა კაცუნას თავზე ხელი გადაუსვა და თმაში იმავ წუთს წითელი ზოლის მქრქალი შუქი გამოკრთა.

— აჰ! — წარმოსთქვა ფროილაინმა და სიხარულისაგან თვალები აუციმციმდა. — აჰ, პროსპერ ალპანუს! დიდო ოსტატო, შენ შეასრულე დანაპირები! აღსრულდა მისი ბედი და ყოველგვარ წყევლას და შეჩვენებას ბოლო მოეღო!

— ოჰ, — ჩაილაპარაკა მოხუცმა ლიზამ, — ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ჩემი პატარა ცახესი არ არის, ჩემი ცახესი არასოდეს ყოფილა ასე ლამაზი. სულ ტყუილუბრალოდ ჩამოვედი ქალაქში, თქვენც რომ ვერაფერი კარგი ვერ მირჩიეთ, მოწყალეო ფროილაინ!

— ოღონდ ნუ იწუწუნებ, ბებერო, — უპასუხა ფროილაინმა, — შენ რომ ჩემი დარიგებისათვის გეგდო ყური და უჩემოდ ამ სახლში არ შემოჰრილიყავ, ყველაფერი კარგად ავის-

რულდებოდა. კვლავ გიმეორებ, ეგ პატარა, ლოგინში რომ წევს, ნამდვილად შენი ვაჟიშვილი ცახესია.

— ჰოო? — წამოიძახა გახარებულმა ქალმა, — რახან მისი ბრწყინვალება მართლაც ჩემი შვილია, მაშ ეს სახლი და ყველაფერი, რაც აქაა. მე დამრჩება მემკვიდრეობით?

— არა, — უთხრა ფროილაინმა, — ეს ყველაფერი ახლა განზე დაგრჩება, ხელსაყრელი დრო დაკარგე, რათა ფული და ქონება მიგეღო, შენ, აკი გითხარი, გამდიდრება არ გიწერია-მეთქი.

— მაშინ იმის ნება მაინც არა მაქვს, რომ ჩემი საბრალო კაცუნა წინსაფარში გავახვიო და შინ წავიღო? — იკითხა ქალმა და თვალთაგან ცრემლები წამოსცვივდა. — ჩვენს ბატონ მოძღვარს ფრინველებისა და თრითინების უამრავი ფიტული აქვს, ჩემი პატარა ცახესის ფიტულსაც გააკეთებს; სამახსოვროდ მეჭნება, მინდა კარადაზე შემოვდგა. აი ასეთი, წითელ ფრაკში გამოწყობილი, მხარზე ფართო ფაბთით და მკერდზე დიდი ვარსკვლავით.

— ო, რას ამბობ! — შესძახა განაწყენებულმა ფროილაინმა. — ეს ხომ სრულიად უაზრო განზრახვაა, ამის გაკეთება როგორ შეიძლება!

ახლა კი მოჰყვა ქალი სლუკუნსა და მოთქმა-გოდებას:

— მე რა მიმემატა იმით, რომ ჩემმა პატარა ცასესმა მაღალ ღირსებას და სიმდიდრეს მიაღწია! ჩემთან რომ დარჩენილიყო, ღარიბულად გავზრდიდი, არასოდეს იმ დაწყევლილ ვერცხლის ჭურჭელში არ ჩავარდებოდა, ახლაც იცოცხლებდა და ალბათ სიხარულსა და სიკეთეს მომიტანდა. ჩავსვამდი კალათში და ისე ვატარებდი ქვეყნად. ხალხიც შემიბრალებდა, ვინ იცის, იქნებ ზოგიერთს ოქროს ფულიც მოეცა ჩემთვის, ახლა კი...

წინკარში ფეხის ხმა გაისმა, ფროილაინმა მოხუცი ქალი გარეთ გაიყვანა და უთხრა, — დაბლა მომიცადე, სანამ წავიდოდე, ისეთ ხერხს გასწავლი, შენს მწუხარებასა და გასაჭირს ერთბაშად მოეღება ბოლოო.

როზაბელვერდე კიდევ ერთხელ მიუახლოვდა პატარა ცახესს და ტკბილი, ღრმა თანაგრძნობისაგან აცახცახებული ხმით უთხრა:

— საბრალო ცახეს! ბუნების გერო! შენთვის მე სიკეთე

მოვინდომე. რასაკვირველია, სისულელე იყო იმის ფიქრი, თითქოს ის გარეგნული მომხიბვლელობა, რითაც დაგაჯილდოვე, შენს სულს გაანათებდა, გაგიღვიძებდა შინაგან ხმას და გეტყოდა: „შენ არა ხარ ის, რადაც ხალხს მიაჩნიხარ, მაგრამ ეცადე გაუტოლდე მას, ვისი ფრთებითაც, შე უსუსურო, უფრთო არსებავ, მაღლა მიფრინავ!“ მაგრამ შენში შინაგანმა ხმამ არ გაიღვიძა. შენმა უღიმღამო, სიცოცხლედაშრეტილმა სულმა ვერ შეიძლო აღზევება, ვერა და ვერ დააღწიე თავი სისულელეს, სიტლანქესა და უხამსობას. აჰ! შენ რომ არაფრის მაქნისი, პატარა და გაუთლელი ბოთე დარჩენილიყავი, ამ სამარცხვინო სიკვდილს ასცდებოდი! პროსპერ ალპანუსმა იზრუნა იმაზე, რომ სიკვდილის შემდეგაც იმავ არსებად მიგიჩნიონ, რაც სიცოცხლეში მიაჩნდი ყველას. თუ კვლავ პატარა ხოჭოდ, მარდ თაგვად ან ცქვიტ თრითინად გადაქცეულს გნახავ, უსათუოდ გამეხარდება!.. იძინე მშვიდად, პატარა ცახესო!..

ის-ის იყო როზაბელვერდე წავიდა, რომ ოთახში თავადის კარის ექიმი და კამერდინერი შემოვიდნენ.

— ღვთის გულისათვის, — შესძახა ექიმმა, როგორც კი მკვდარი ცინობერი დაინახა და დარწმუნდა, რომ მისი გაცოცხლება აღარაფრით შეიძლებოდა, — ღვთის გულისათვის, მითხარით, ეს როგორ მოხდა, ბატონო კამერდინერო?

— ოჰ, ძვირფასო ბატონო დოქტორო, — დაიწყო კამერდინერმა, — მისაღებ ოთახში ჯანყისა თუ რევოლუციის, სულ ერთია, როგორც გსურთ ისე უწოდეთ, საშინელი ხმაური და ალიაქოთი მძვინვარებდა. თავისი ძვირფასი სიცოცხლე რომ გადაერჩინა, მისმა ბრწყინვალებამ, იფიქრა, ტუალეტს შევაფარებო თავს, ფეხი დაუცურდა და...

— მაშასადამე, — წარმოსთქვა დოქტორმა გრძნობამორეული, ამაღლებული კილოთი, — მაშასადამე, არ მოკვდეო ფიქრობდა, და სწორედ ამისაგან მოკვდა!

კარი ყურთამდე გაიღო და ოთახში გაფითრებული თავადი ბარზანუფი შემოვარდა. თავადს ფეხდაფეხ შემოჰყვა შვიდი გაფითრებულზე გაფითრებული კამერჰერი.

— ნუთუ მართალია ეს ამბავი? ნუთუ მართალია? — იძახდა თავადი. მაგრამ როგორც კი ცახესის გვამს მოჰკრა თვალი, უკან დაიხია, თვალები ზევით აღაპყრო და გულისშემძვრელი

ხმით წარმოსთქვა: — ოჰ, ცინობერ! — და შეიდმა კამერჰერმაც გაიმეორა—ოჰ, ცინობერ! შემდეგ, თავადის წაბაძვით, ჯიბეებიდან ცხვირსახოცები ამოიღეს და თვალთან მიიტანეს.

— ოჰ, რა აუნაზღაურებელი დანაკარგია, — დაიწყო თავადმა რამდენიმე ხნის ჩუმი ქვითინის შემდეგ, — რა აუნაზღაურებელი დანაკარგია სახელმწიფოსათვის! სადღა ვიპოვი კაცს, ვინც ისეთივე ღირსებით ატარებს მწვანე დაფოთლილი ვეფხვის ოცღილიან ორდენს, როგორც მას ჩემი ცინობერი ატარებდა! თქვენ კი, კარის ექიმო, თქვენ ვერაფერი გააკეთეთ ასეთი ადამიანის გადასარჩენად!.. მითხარით, რა მოხდა, რა იყო მიზეზი, რისგან გარდაიცვალა მისი ბრწყინვალება?

კარის ექიმმა მეტისმეტი გულისყურით გასინჯა მიცვალებული, ხელი მაჯაზე დაადო, იმ ადგილზე, სადაც უწინ პულსი ფეთქავდა, მინისტრს თავზე გადაუსვა ხელი და თქვა:

— ჩემო უმოწყალესო ბატონო! თვალის ერთი გადავლებით მინისტრი იმის გამო გარდაიცვალა, რომ სასუნთქმა გზებმა უმტყუნა, სასუნთქმა გზებმა იმიტომ უმტყუნა, რომ მინისტრს სუნთქვა გაუჭირდა, ეს ამბავი კი, თავის მხრივ იმან გამოიწვია, რომ იგი გარკვეულმა ელემენტებმა, კერძოდ, იუმორმა იმსხვერპლა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მინისტრი იუმორისტული სიკვდილით გარდაიცვალა. მაგრამ ასეთი ზერელე დასკვნისაგან ღმერთმა დამიფაროს, შორს იყოს ჩემგან ის სურვილი, რომ ბილწი ფიზიკური პრინციპებით ავხსნა ყველაფერი ის, რაც მხოლოდ ფსიქიკურ სამყაროში პოულობს თავის ბუნებრივსა და უცილობელ საფუძველს... დაე, პირდაპირი იყოს კაცური კაცის სიტყვა, ჩემო უმოწყალესო თავადო!.. პირველმიზეზი მინისტრის სიკვდილისა გახლდათ მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ოცღილიანი ორდენი!..

— რაო! — შესძახა თავადმა კარის ექიმს და თვალებიდან ცეცხლი დააყარა. — რაო! რას ბრძანებთ?.. განა მინისტრის სიკვდილის მიზეზი მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ოცღილიანი ორდენი იყო, რომელსაც აწ გარდაცვლილი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ასეთი სიამაყითა და ღირსებით ატარებდა? ან დამიმტკიცეთ თქვენი ნათქვამი, ან... კამერჰერებო, რა აზრისა ხართ ამაზე?

— უნდა დაამტკიცოს, ან... — შესძახა შეიდმა გაფითრებულმა კამერჰერმა, ხოლო კარის ექიმმა ისევ განაგრძო:

— ჩემო საუკეთესო, მოწყალეო თავადო, ამას დავამტკიცებ, არავითარი ან! საქმე შემდეგში მდგომარეობს: ბაფთაზე ორდენის მძიმე ნიშანი, უმეტესად კი ზურგზე დაბნეული ღილები, მავნე ზემოქმედებას ახდენდა მის ხერხემალზე. ამავე დროს ორდენის ვარსკვლავი სამფეხასა და ჯორჯალის ძარღვს შორის მოთავსებულ იმ კვანძოვან-ბოჭკოვან შენაზარდს აწვებოდა, რომელსაც ჩვენ მზიურ წნულს ეუწოდებთ და რომელსაც ნერვთა წნულის ლაბირინთულ ქსოვილში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს. ეს გაბატონებული ორგანო ცერებრალურ სისტემასთან მრავალგვაროვან ურთიერთობაშია, ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ხერხემალზე მავნე ზემოქმედება მინისტრისთვისაც საზიანო იყო. და განა ცერებრალური სისტემის თავისუფალი მოქმედება აუცილებელი პირობა არ არის აზროვნებისთვის, პიროვნებისთვის, რომელიც მთლიანობის ერთ ფოკუსში უსრულყოფილესი შეერთების გამოხატულებაა? განა სასიცოცხლო პროცესი ორივე სფეროს — განგლიებისა და ცერებრალური სისტემის მოქმედებას არ წარმოადგენს? ამრიგად, ამ მავნე მოქმედებამ დაარღვია ორგანიზმის ფსიქიკური ფუნქციები. ჯერ ორდენის მტკივნეული ტარების გამო სამშობლოსათვის გაუცნობიერებელი თავისშეწირვის მავნებელი იდეები და მისი მსგავსი აზრები გაჩნდა. მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, საშიშიც შეიქნა, ბოლოს კი, ხერხემლისა და ცერებრალური სისტემის სრულმა დისჰარმონიამ აზროვნების შეწყვეტა, პიროვნების საბოლოო განადგურება გამოიწვია. აი ასეთ მდგომარეობას აღვნიშნავთ ჩვენ სიტყვით „სიკვდილი!“ დიახ, მოწყალეო ბატონო, მინისტრს უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი პიროვნება, მაშასადამე, უკვე სიცოცხლედაცლილი იყო, როცა იმ საბედისწერო ჭურჭელში ჩავარდა. ამრიგად, მისი სიკვდილის მიზეზი ფიზიკური კი არ იყო, არამედ გაცილებით უფრო ღრმა, — ფსიქიკური.

— კარის ექიმო, — დაიწყო თავადმა უკმაყოფილოდ, — კარის ექიმო, უკვე ნახევარი საათია ყბედობთ, მაგრამ წყეული ვიყო, თუ ერთი სიტყვა მაინც გამეგოს. რას გულისხმობთ ფიზიკურსა და ფსიქიკურ სიკვდილში?

— ფიზიკური პრინციპი, — კვლავ წამოიწყო ექიმმა, — წარმოადგენს ვეგეტატური სიცოცხლის პირობას, ფსიქიკური კი განაპირობებს ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლისუნარი-

ანობას. იგი მხოლოდ სულში, აზროვნების უნარში პოულობს თავისი არსებობის მამოძრავებელ ძალას.

— მაინც ვერ გაგიგეთ, — დაიძახა გაგულისებულმა თავადმა, — მაინც ვერაფერი გაგიგეთ, რა გაუგებარი ადამიანი ხართ!

— ჩემი აზრით, თქვენო ბრწყინვალებავ, — განაგრძო ექიმმა, — ფიზიკური განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ვეგეტატურ სიცოცხლეს, რომელსაც, მცენარეთა მსგავსად, აზროვნების უნარი არ გააჩნია, ფსიქიკური კი აზროვნების უნარს მიეკუთვნება. რამდენადაც ეს უკანასკნელი მბრძანებლობს ადამიანის ორგანიზმში, ექიმმა ყოველთვის აზროვნების უნარიდან, სულიერი სფეროდან, სულიდან უნდა დაიწყოს, ხოლო სხეული მხოლოდ სულის ვასალად უნდა მიიჩნიოს, რომელიც მაშინვე უნდა დამორჩილდეს, როგორც კი ამას მბრძანებელი მოისურვებს.

— ოჰო! — შესძახა თავადმა, — ოჰო, მოეშვი ამ ამბებს! უმკურნალეთ ჩემს სხეულს, ხოლო ჩემს სულზე, რომელსაც მე ჯერჯერობით არ შევუწუხებივარ, ნუ იზრუნებთ. სხვათა შორის, ექიმო, თქვენ თავგზააბნეული კაცი ხართ და ახლა რომ ჩემი მინისტრის ნეშტთან არ ვიდგე და გულაჩუყებული არ ვიყო, მე ვიცი, რასაც გიზამდით. აბა, კამერჰერებო, კვლავ ვაპკუროთ ცრემლი ამ უკვდავი კაცის სარეცელს და შემდეგ საშველს მივუსხდეთ.

თავადმა თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა და აქვითინდა, კამერჰერებმაც მას მიბაძეს, შემდეგ კი იქაურობას გაეცალნენ.

კართან მოხუცი ლიზა იდგა, მკლავზე ისეთი მშვენიერი ოქროსფერი ხახვის რამდენიმე გალა ჰქონდა გადაკიდებული, რომ ადამიანი უკეთესს ვერსად ნახავდა. თავადს უცბად თვალში მოხვდა ხახვის გალა. შეჩერდა, სახეზე მწუხარება გაუქრა, ალერსიანად და მოწყალედ გაიღიმა და თქვა:

— ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მინახავს ასეთი მშვენიერი ხახვი, ალბათ, გემოც საუკეთესო ექნება. მომყიდეთ თქვენი ხახვი, კეთილო ქალო!

— აუცილებლად, — უპასუხა ლიზამ და თავი მოწიწებით დაუკრა. — აუცილებლად, თქვენო უმოწყალესო ბრწყინვალებავ. ხახვის გაყიდვითღა გამაქვს თავი. ეს ხახვი თაფლივით ტკბილია. გემოს ხომ არ გაუსინჯავდით, მოწყალეო ბატონო?

ამ სიტყვებით ქალმა ყველაზე მსხვილი და ყველაზე ლამაზი ხახვების გალა გადასცა თავადს. თავადმა ქალს ხახვი გამოართვა, ჩაიცინა, ენა გააწკლაპუნა და დაიძახა:

— კამერჰერებო, ერთ-ერთმა ჯაყვა მომცეს!

თავადმა ფაქიზად და მოხდენილად გაფცქვნა ხახვი და გემო გაუსინჯა.

— ო, რა გემრიელია! რა ტკბილია! რა დიდებულია! რა ცეცხლოვანია! — შესძახა აღტაცებულმა თავადმა და თვალები გაუბრწყინდა. — ასე მგონია, თვალწინ განსვენებული ცინობერი მედგას, მანიშნებდეს და ჩამჩურჩულებდეს: „იყიდეთ, ჰამეთ ეს ხახვი, თავადო ჩემო, ამას მოითხოვს სახელმწიფოს კეთილდღეობა!“

თავადმა მოხუც ლიზას რამდენიმე ოქრო ჩაუდო ხელში და კამერჰერებმაც ხახვით გამოიტენეს ჯიბეები. ამას გარდა, თავადმა ბრძანა, საუზმისათვის ლიზას გარდა ხახვი არავისგან შეეძინოთო. მართალია, პატარა ცახესის დედა არ გამდიდრებულა, მაგრამ გაჭირვებასა და სიღარიბეს ბოლოს მაინც დააღწია თავი, და ამაში, ალბათ, ფერია როზაბელვერდეს იდუმალი თილისმა დაეხმარა.

მინისტრი ცინობერი ისეთი ზარ-ზეიმით დაასაფლავეს, მსგავსი რამ კერეპესში საერთოდ არ ენახათ. ღრმად დამწუხრებულნი მიაცილებდნენ მიცვალებულს თავადი და მწვანე დაფოთლილი ვეფხვის ორდენის კავალერები. მთელი მონდომებით რეკავდნენ ზარებს, ასე გასინჯეთ, რამდენჯერმე ის ორი მორტირიც კი გაისროლეს, რომელიც თავადმა დიდ ფასად შეიძინა ფეიერვერკისთვის. მოჭალაქენი, ხალხი, ყველა მოთქვამდა და გოდებდა, რადგან სახელმწიფომ დაკარგა თავისი საუკეთესო შვილი და საერთო კეთილდღეობისათვის სახელმწიფოს სათავეში ვეღარასოდეს ჩადგებოდა ცინობერისთანა ძლევამოსილი გონების, დიდი სულისა და გულის, მოუღლელი სიბეჯითის ადამიანი.

და მართლაც ეს დანაკარგი აუნაზღაურებელი დარჩა, რადგან აღარასოდეს გამოჩენილა ისეთი მინისტრი, რომელსაც მწვანედ დაფოთლილი ვეფხვის ოცღილიანი ორდენი ისევე კარგად მორგებოდეს ტანზე, როგორც იგი თავის დროზე განსვენებულ, დაუვიწყარ ცინობერს მოერგო.

თავი უკანასკნელი

მკმუნვარე ავტორის თხოვნა. როგორ დამშვიდდა პროფესორი მოშ ტერპინი, ხოლო კანდიდა ვეღარასოდეს შესძლებდა გაბრაზებას. როგორ ჩაჰბზუვლა ოქროს ხოკომ რაღაცა დოქტორ პროსპერ ალპანუსს ყურში, როგორ გაემგზავრა დოქტორი და როგორ ეწია ბალთაზარი ბედნიერი ცოლ-ქმრობის სიხარულს.

— . —

ახლა კი, საყვარელო მკითხველო, დადგა დრო, რომ ის ადამიანი, ვინც შენთვის წერს ამ ფურცლებს, გამოგემშვიდობოს, თუმცა მას მწუხარება და შიში იპყრობს. კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეეძლო მას პატარა ცინობერის უცნაურ საქმეებზე მოეთხრო შენთვის, ჩემო მკითხველო, დიდის სიამოვნებით მოგიყვებოდა კიდეც ყველაფერს, რადგან სწორედ სულიერმა გატაცებამ აღუძრა დაუძლეველი სურვილი ეს ამბავი აღეწერა, მაგრამ რაკი წინა ცხრა თავში აღწერილი მოვლენები გაითვალისწინა, იგრძნო — აქამდე მოთხრობილ ამბებშიც საკმაოდ ბევრი რამ არისო საოცარი, სულელური, საღი გონების საწინააღმდეგო, ხოლო თუკი შენს მოთმინებას კვლავაც ბოროტად გამოიყენებს, მაშინ, საყვარელო მკითხველო, შეიძლება შენთან ურთიერთობა სავსებით გაუფუჭდეს. დაწერა თუ არა ავტორმა სიტყვები: „თავი უკანასკნელი", მისი გული უეცრად მწუხარებამ და შიშმა შეიპყრო. დანაღვლიანებული და შეწუხებული ავტორი მოგმართავს: ძნელი როდია სიამოვნებით შეეგუო, მეგობრულადაც კი განეწყო მას, რასაც პოეტი ფანტაზუსს — სულის ზეშთაგონებას უნდა უმადლოდეს და რომლის ახირებულ, მიზეზიან ბუნებას ალბათ მეტისმეტად მინებდა. ამიტომ ნუ გაებუტები ნურც პოეტსა და ნურც ამ მიზეზიან ბუნებას! ხოლო თუ, ძვირფასო მკითხველო, ზოგიერთ რამეზე გულში გაგეცინა, მაშინ იმ განწყობაზე მდგარხარ, ამ სტრიქონების დამწერს რომ სურდა შეექმნა და თუ ასეა, ფიქრობს, ბევრ რამესაც აპატიებ!

კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი პატარა ცინობერის ტრაგიკული სიკვდილით შეგვეძლო დაგვესრულებინა, მაგრამ, განა უფრო სასიამოვნო არ იქნება, მწუხარე დასაფლავების ნაცვლად მხიარული ქორწილი რომ აღვწეროთ?

ამრიგად, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ წარმტაცი კანდიდასა და ბედნიერი ბალთაზარის ამბავი.

ასე იყო თუ ისე, პროფესორი მოშ ტერპინი მაინც განათლებული, ცხოვრებაგამოვლილი კაცი გახლდათ, ვისაც თავის დროზე შეეგონებინა ბრძნული ნათქვამი: Nil admirari* და მრავალი, მრავალი წლის მანძილზე ამ ქვეყნად აღარაფერი უკვირდა. მაგრამ ამჯერად პროფესორმა ხელი აიღო ყოველგვარ სიბრძნეზე და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ბოლოს ჩივილს მოჰყვა — აღარ ვიცი, ნამდვილად ის პროფესორი მოშ ტერპინი ვარ, ვინაც უწინ ქვეყნის ბუნების საქმეებს განაგებდა თუ მეშლებაო, ეეღარც ის გამიგია, ქვეყანა წაღმა ტრიალებს თუ უკუღმაო.

ჯერ იყო და, მოშ ტერპინი მაშინ გაოცდა, როცა ბალთაზარმა მას დოქტორი ალპანუსი თავის ბიძად გააცნო, ხოლო ამ უკანასკნელმა სიგელი გადასცა ბალთაზარს, რომლის საფუძველზეც ბალთაზარის საკუთრება უნდა გამხდარიყო კერეპესიდან ერთი საათის სავალზე დაშორებული ტყით შემოკრული ვილა თავისი სახნავითა და მდელოთი. მოშ ტერპინმა თვალს არ დაუჯერა, როცა საინვენტარო წიგნში ჩამოთვლილი ძვირფასი ნივთების სია გადაიკითხა. ჯერ მარტო ოქროსა და ვერცხლის ზოდების ღირებულება აღემატებოდა თავადის ხაზინის მთელ სიმდიდრეს. პროფესორი მაშინაც გაოცდა, როცა ბალთაზარის ლორნეტში გაიხედა და ძვირფასი კუბო დაინახა, რომელშიაც ცინობერი იწვა. პროფესორს უცებ მოეჩვენა, მინისტრი ცინობერი არც არასოდეს ყოფილა, სინამდვილეში იყო ერთი პატარა, გაუთლელი გონჯი ცეროდენა, რომელიც შეცდომით ბრძენთაბრძენ მინისტრ ცინობერად მიიჩნიესო.

მაგრამ მოშ ტერპინის გაოცებამ უკიდურეს საზღვარს მაშინ მიაღწია, როცა პროსპერ ალპანუსმა იგი თავის სახლში შეიყვანა, ბიბლიოთეკა და სხვა საოცრებანი უჩვენა და ორიოდ ოშვიათ მცენარესა და ცხოველზე მარჯვედ ჩაატარა რამდენიმე ცდა.

პროფესორს თავში გაუელვა, ჩემს მიერ ჩატარებული ბუნების კვლევა ჩირადაც არ ღირდაო, ახლა კი დიდებულ, ფერადოვან საოცრებათა სამყაროში ისე ვარ გამოკეტილი, როგორც კვერცხშიო. ამ აზრმა პროფესორი ისე ძლიერ შეაშ-

ფოთა, რომ ბოლოს ბავშვივით მოჰყვა გოდებასა და ტირილს. ბალთაზარმა სიმამრი მაშინვე ვრცელ მარანში ჩაიყვანა, სადაც მოშ ტერპინმა კრიალა კასრები და ლაპლაპა ბოთლები დაინახა.

— აქ უკეთესად შეგეძლებათ შტუდირება, ვიდრე თავადის მარანში, ხოლო მშვენიერ პარკში ბუნების კვლევითაც იჯერებთ გულს, — უთხრა ბალთაზარმა.

ამ სიტყვებმა პროფესორს გული მოუფონა.

ქორწილი ბალთაზარმა ვილაში გადაიხადა. ბალთაზარი და მისი მეგობრები, პულხერი და ფაბიანი გაოცებულნი იყვნენ კანდიდას უებრო სილამაზით, მომხიბვლელობით. კანდიდას სამოსიც კი უჩვეულო ეცვა. ქალიშვილი მართლაც ჯადოთი შეკრულს გავდა, რადგან ფერია როზაბელვერდემ ყოველგვარი გაბოროტება დაივიწყა და მექორწილეთ თავშესაფრის წინამძღოლის როზენშიონის სახით ესტუმრა, კანდიდა საკუთარი ხელით გამოაწყო და ულამაზესი ვარდებით მორთო. ხოლო საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ სამოსი ყველას ტანს მოხდენილად დაადგება, თუკი ამ საქმეს ფერია მოჰკიდებს ხელს. ამას გარდა, როზაბელვერდემ წარმტაც პატარძალს საუცხოოდ მოელვარე ყელსაბამი აჩუქა, რომლის მაგიური ზემოქმედება იმაში მდგომარეობდა, რომ როგორც კი კანდიდა მას ყელზე შეიბამდა, აღარასოდეს გაბრაზდებოდა წვრილმანი ამბების თუ ცუდად შეკრული ბაფთის გამო, აღარ გააჯავრებდა უხეირო ვარცხნილობა ან დალაქავებული თეთრეულის დანახვა.

ყელსაბამის ასეთი თვისება კანდიდას სახეს განსაკუთრებულ მომხიბვლელობასა და სიკეკლუცეს ანიჭებდა.

თვითონ ნეფე-დედოფალი ხომ ბედნიერების მწვერვალზე იყვნენ, მაგრამ, ბრძენი ალბანუსის იდუმალი ჯადოს წყალობით სტუმრებმაც გაიხარეს. მასპინძლებს უურადღება არ მიუკლიათ გულითადი მეგობრებისათვის. პროსპერ ალპანუსმა და როზაბელვერდემ იმისათვისაც იზრუნეს, რომ ქორწინების დღე უმშვენიერესი სასწაულმოქმედებებით აღენიშნათ. ყოველი ბუჩქიდან და ხიდან სიყვარულის ტკბილი ხმები გაისმოდა, ყოველ ნაბიჯზე იშლებოდა ნუგბარი საჭმელებით დახუნძლული და ბროლის სურებით დამშვენებული ტაბლაკები, სურებიდანაც მოედინებოდა და მოედინებოდა უკეთილშო-

ბილესი ღვინო, სიცოცხლის ელექსირად რომ იღვრებოდა სტუმართა ძარღვებში.

როგორც კი დაღამდა, პარკი ცეცხლის ცისარტყელებმა გაანათა, ჰაერში მოელვარე ფრთოსნები და მწერები აფარფატდნენ, რომლებიც ფრთების ყოველ გაქნევაზე მირიად ნაპერწკალს აფრქვევდნენ ირგვლივ, არემარეს ათასგვარი ლამაზი ფიგურა მოეფინა; ისინი ცეკვავდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, შემდეგ კი ბუჩქნარში უჩინარდებოდნენ. სულ უფრო ძალუმად გაისმოდა ტყის მუსიკა, გაუთავებლად დუდუნებდა ღამის იდუმალი სიო და მიდამოს ამო სურნელით ავსებდა.

ბალთაზარმა, კანდიდამ და მათმა მეგობრებმა ყოვლისშემძლე ალპანუსის ჯადოქრული ხელოვნება აღიარეს, ხოლო შემთვრალი მოშ ტერპინი ხმამაღლა იცინოდა და ყველას არწმუნებდა, ეს სანახაობა თავადის ერთმა გაქნილმა მსახურმა, ოპერის დეკორატორმა და ფეიერვერკის ოსტატმა მოაწყოო.

გაისმა ზარების მჭახე ხმა. ციდან მოელვარე ოქროს ხოპო ჩამოფრინდა, პროსპერ ალპანუსს მხარზე დააჯდა და ბზუილ-ბზუილით რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

პროსპერ ალპანუსი წამოდგა, მერე დინჯად და საზეიმო კილოთი განაცხადა:

— ძვირფასო ბალთაზარ, მომხიბვლელო კანდიდა, მეგობრებო! ჩემი წასვლის დრო დადგა, ლოტოსი მიხმობს, უნდა დაგემშვიდობოთ!

შემდგომ იგი ნეფე-დედოფალთან მივიდა და ხმადაბალი საუბარი გაუბა. ბალთაზარი და კანდიდა ძალზე გულაჩუყებული უსმენდნენ დოქტორს, როგორც ჩანდა, პროსპერმა მათ ათასგვარი კეთილი რჩევა-დარიგება მისცა, მერე ორივე სიყვარულით გულში ჩაიკრა.

ბოლოს, პროსპერ ალპანუსი ფროილაინ ფონ როზენშიონს მიუბრუნდა და ერთ ხანს მასაც ესაუბრა, ეტყობა, ქალი ჯადოქრობისა და ფერიათა შესახებ დავალებებს აძლევდა დოქტორს, რომელიც ალპანუსმა სიამოვნებით იდო თავს.

ამასობაში მაღლიდან ბროლის პატარა კარეტა დაეშვა, რომელშიც ორი მოელვარე ჭრიჭინა იყო შებმული, ხოლო კარეტის კოფოზე ვერცხლისფერი ხოხობი იჯდა.

— მშვიდობით, მშვიდობით! — დაიძახა პროსპერ ალპანუსმა, ჩაჯდა კარეტაში და მოელვარე ცისარტყელისაკენ ამა-

ღლდა. ბოლოს მისი კარეტა პატარა მოციალე ვარსკვლავად გადაიქცა და ღრუბლებს მიღმა გაუჩინარდა.

— მშვენიერი მონგოლფიერია,* — ჩაიბურტყუნა მოშ ტერპინმა და ღვინით გამობრუჟულს იქვე მიეძინა.

ბალთაზარი, რომელსაც ახსოვდა პროსპერ ალპანუსის შეგონებანი და მისგან ნაჩუქარ მამულს ჭკვიანურად განაგებდა, მართლაც კარგი პოეტი დადგა. მოლოდინი გაამართლა ეზოყურეს თვისებებმაც, რაიც პროსპერმა მშვენიერ კანდიდას გაანდო. ამას გარდა, კანდიდა არასოდეს იცილებდა მონასტრის წინამძღოლის, ფროილაინ ფონ როზენშიონის მირთმეულ ყელსაბამს, ამიტომ რაღა გასაკვირია, რომ ბალთაზარი ისეთი ნატარებითა და ბედნიერებით აღვსილ ცხოვრებას ეწია, როგორსაც პოეტი ინატრებდა თავისთვის და თავისი ახალგაზრდა მომხიბვლელი მეუღლისათვის.

ასე და ამრიგად, ცინობერად წოდებული პატარა ცახესის ზღაპარი მხიარულად და ბედნიერად

დ ა ს რ უ ლ დ ა.

პეტერ შლემილის უცნაური თავგადასავალი

I

ბედნიერი, მაგრამ მეტად მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ, ჩვენმა ხომალდმა ნავსადგურს მიაღწია. როგორც კი ნავით ხმელეთს მივადექით, წამოვკრიფე ჩემი მცირეოდენი ბარგი-ბარხანა, გაველრიე მოფუსფუსე ხალხში და ნავსაყუდელის შორიახლო ერთ პატარა სახლში შევედი, რომელსაც სასტუმროს ფირნიში ამშვენებდა. ოთახი მოვითხოვე. მსახურმა თვალით ამზომა-დამზომა და მანსარდაში ამიყვანა. ცივი წყალი რომ მოვატანინე, დაწვრილებით გამოვკითხე, თუ სად შემეძლო ბატონ თომას ჯონის ნახვა.

— ჩრდილოეთის კარიბჭესთან ცხოვრობს, ხელმარჯვნივ, პირველივე დიდ ვილაში, წითელი და თეთრი მარმარილოთი ნაგები სვეტებიანი ახალი სახლია, — მიპასუხა მსახურმა.

კეთილი. ჯერ კიდევ დილა იყო. გავხსენი ფუთა, ამოვიღე ახლად გადაბრუნებული შავი სერთუკი, გამოვეწყე საუკეთესო სამოსში, სარეკომენდაციო წერილი ჩავიდე და იმ კაცის საძებნელად გავემართე, ვინც ჩემი მოკრძალებული სურვილების განხორციელებაში უნდა დამხმარებოდა.

როგორც კი ჩრდილოეთის გრძელი ქუჩა ავიარე და კარიბჭეს მივაღწიე, თვალში მეცა მწვანეში ჩაფლული სვეტების ბრწყინვალება.

„ალბათ ეს სახლი თუ იქნება-მეთქი“, — გავიფიქრე, ფეხსაცმელი ცხვირსახოცით გადავიწმინდე, ჰალსტუხი გავისწორე, ღმერთი ვახსენე და ზარი დავრეკე. კარი გაიღო. წინკარში დაკითხვა მომიწყვეს. ბოლოს, მეკარის ბრძანებით ბატონს ჩემი მოსვლა მოახსენეს და პარკშიც მიმიწვიეს. მცირეოდენი ამალის თანხლებით აქ დასეირნობდა ბატონი ჯონი.

დანახვისთანავე ვიცანი ბატონი ჯონის ახოვანი ტანი და მისი თვითკმაყოფილი პირისახე. ძალზე კარგად მიმიღო, თუკი შეიძლება მდიდარმა კაცმა კარგად მიიღოს ვინმე ბოგანო, ჩემკენ შემობრუნებაც კი ინება, თუმცა, თანმხლებთათვის

თვალი არ მოუშორებია და გაწვდილი წერილი გამომართვა.

— კარგია, კარგი. მაშასადამე, ჩემი ძმისაგან ხართ, არა? კარგა ხანია მისი ალარაფერი გამიგია. ხომ არაფერს უჩივის?— პასუხისთვის არც დაუცდია, წერილიანი ხელი ბორცვისაკენ გაიშვირა და თანმხლებთა გასაგონად განაგრძო:

— აი იქ ვაშენებ ახალ სახლს.

მერე კონვერტი გახსნა, თუმცა ლაპარაკი მაინც არ შეუწყვეტია. საუბრის თემა ახლა სიმდიდრეს ეხებოდა:

— ვისაც, სულ ცოტა, ერთი მილიონი მაინც არა აქვს, ის, უკაცრავად პასუხია, უბადრუკი სალახანაა.

— ო, რა სწორს ბრძანებთ! — წამოვიძახე გრძნობამოზღვავებულმა.

ეტყობა, მოეწონა ეს ჩემი წამოძახილი, რადგან გამიღიმა და მითხრა:

— დარჩით აქ, ჩემო მეგობარო. მოგვიანებით ალბათ გამოვძებნი დროს, რომ აი ამის თაობაზე მოგელაპარაკოთ. — წერილზე მიმანიშნა და ბარათი ჯიბეში ჩაიდო. მერე ისევ სტუმრებს მიუბრუნდა. მკლავი ერთ-ერთ ყმაწვილ ქალს შესთავაზა, სხვა ლამაზმანებს დანარჩენი ბატონები ეახლნენ, თითოეულმა თავ-თავისი მოსაწონი შეარჩია, დაწყვილდნენ და აყვავებული ვარდებით მოფენილი ბორცვისაკენ გაემართნენ.

მეც ფეხდაფეხ გავყევი. ჩემი იქ ყოფნით არავინ შემიწუხებია, რადგან ყურადღებას უკვე აღარავინ მაქცევდა. სტუმრები თავს ირთობდნენ — ხუმრობდნენ, ლაზღანდარობდნენ, დროდადრო რაიმე უმნიშვნელო ამბის გამო სერიოზულ სჯა-ბაასს გამართავდნენ, მნიშვნელოვან ამბავს კი სასხვათაშორისოდ მოიხსენიებდნენ ხოლმე. განსაკუთრებული სიამოვნებით იმ მეგობრებს იგდებდნენ მასხარად, ვინც იმჟამად მათ წრეს აკლდა. ამ საზოგადოებაში უცხო ვიყავი და მათი ნაუბარიდან ბევრი რამ ვერც გავიგე, ხოლო საკუთარ ფიქრებსა და საზრუნავში იმდენად ვიყავი ჩაფლული, რომ იმის თავიც აღარ მქონდა, ასეთი გამოცანების აზრსა და მნიშვნელობას ჩავძიებოდი.

ვარდნარს მივაღწიეთ. მშვენიერმა ფანიმ, რომელიც ეტყობა, ამ დღის დედოფალი უნდა ყოფილიყო, თვითონვე მოინება აყვავებული ვარდის ტოტის მოტეხვა, მაგრამ თითი ეკალზე გაიკაწრა და ნაზი ხელიც თითქოს წითელი ვარდიდან გადმო-

დენილი სისხლით შეეღება... ამ ამბავმა ყველა ააფორიაქა და ინგლისური სალბუნი მოიკითხეს. ვიღაც აწოწილმა, უთქმელმა, სახეგალახულმა და მობერებულმა კაცმა, რომელიც აქამდე ვერ შევამჩნიე, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ერთად დასეირნობდა, ხელი მაშინვე ძველ ფრანგულ ყაიდაზე შეკერილი ნაცრისფერი აბრეშუმის ფრაკის ჯიბეში ჩაიყო, პატარა საფულე ამოიღო, გახსნა, ქალს მორჩილად დაუკრა თავი და მალამო გაუწოდა. ფანის მისთვის არც ყურადღება მიუქცევია, არც მადლობა უთქვამს. ჭრილობა რომ შეუხვიეს, ისევ ბორცვისაკენ წავიდნენ, სადაც პარკის მწვანე ლაბირინთი და უსაზღვრო ოკეანე მზერას ატკბობდა.

სანახაობა მართლაც რომ დიდებული და მიმზიდველი იყო. ჰორიზონტზე ჩამუქებულ ტალღებსა და ლურჯ ცას შორის რაღაც ნათელი წერტილი გამოჩნდა.

— მომეცით ჭოგრიტი, — დაიძახა ჯონმა და სანამ მის ბერძანებაზე მოსული მსახურები გაინძრეოდნენ, ნაცრისფერმა კაცმა ფრაკის ჯიბეში ჩაიყო ხელი, მშვენიერი დოლონდი* ამოიღო, ბატონ ჯონს გადასცა, თან თავი მორჩილად დაუკრა. როგორც კი ჯონმა ჭოგრიტი თვალთან მიიტანა, სტუმრებს აცნობა, ეს ის გემია, აფრები გუშინ რომ აუშვა და პირქარის გამო ღია ზღვაში ვერ გავიდაო. ჭოგრიტი ხელიდან ხელში გადადიოდა და პატრონს აღარ დაბრუნებია. მე გაოცებული ვაკვირდებოდი ნაცრისფერ ბატონს და ვერ ამეხსნა, როგორ თავსდებოდა ამხელა საგანი მის ასეთ პატარა ჯიბეში, მაგრამ, როგორც ჩანდა, ეს ამბავი სხვას არ აწუხებდა და ჩემი არ იყოს, ნაცრისფერ კაცსაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

პირის გასასველებლად ძვირფასი ლანგრებით მოგვართვეს იშვიათი ხილი. ბატონმა ჯონმა სტუმრები თავაზიანად მოიპატიჟა და ხელმეორედ მომმართა:

— ისიამოვნეთ. ზღვაზე მგზავრობისას ასეთი ხილი არ გექნებოდათ.

თავი დავუკარი, მაგრამ ბატონ ჯონს ჩემთვის აღარ შემოუხედავს, სხვას ელაპარაკებოდა.

ბორცვის ამწვანებული ფერდობიდან მშვენიერი ხედი გადაიშალა და, მიწა ნოტიო რომ არ ყოფილიყო, სტუმრები ალბათ აქვე მოკალათდებოდნენ.

— რა ღმერთივით მოვეწყობოდით, თურქული ხალიჩა რომ გვქონდეს, — თქვა ვიღაც სტუმარმა.

ამის თქმა ვერ მოასწრო, რომ ნაცრისფერფრაკიანმა მაშინვე ჯიბეში ჩაიყო ხელი და მოკრძალებული, მორჩილი სახით ოქრომკედით ნაქსოვი თურქული ხალიჩა ამოიღო. მსახურებმა, ვითომც აქ არაფერიო, ჩამოართვეს ხალიჩა და მოხერხებულ ადგილას გაშალეს. სტუმრებმაც არაფრად ჩააგდეს ეს ამბავი, ხალიჩაზე მოკალათდნენ, მე კი შეშფოთებული შევყურებდი ამ კაცს, მის ჯიბეს, ხალიჩას, რომელიც სიგრძით ოც და სიგანით ათ ნაბიჯზე მეტი იქნებოდა, თვალებს ვიფშვნეტდი და აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა, მით უფრო, რომ არავის არაფერი უკვირდა.

ძალიან მსურდა გამეგო, ვინ იყო ეს კაცი, მაგრამ არ ვიცოდი, ვისთვის მეკითხა, რადგან ბატონთა მსახურებს უფრო ვუფრთხოდი, ვიდრე მსახურთა ბატონებს. ბოლოს გამბედაობა მოვიკრიბე და ერთ ახალგაზრდა კაცთან მივედი, რომელიც სხვებთან შედარებით მდაბიო პიროვნებად შევიცანი, რაკი ხშირად განმარტოებით იდგა ხოლმე. ჩუმად ვკითხე, — ვინ არის ეს ნაცრისფერსამოსიანი, დაუზარელი მამაკაცი-მეთქი.

— აი ის, ძაფივით რომ გაწნიკულა, თითქოს ნემსის ყუნწში უნდა გაძვრესო?

— დიახ, აი ის, მარტო რომ დგას.

— არ ვიცი, — მიპასუხა და, ჩემთან საუბრისათვის რომ თავი აერიდებინა, მეორე კაცს რაღაც უმნიშვნელო ამბებზე ჩამოუგდო სიტყვა.

ამასობაში მზემ დააცხუნა და ქალები შეწუხდნენ. მშვენიერი ფანი დაუდევრად მიუბრუნდა ნაცრისფერფრაკიან ბატონს, რომელსაც რამდენადაც მახსოვს, აქამდე არავინ გამოლაპარაკებია და დაუფიქრებლად ჰკითხა, კარავიც ხომ არ გექნებათო ჯიბეში? კაცმა ისე მდაბლად დაუკრა თავი, გეგონებოდა, დაუმსახურებელი პატივი დასდესო. მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი და ერთიმეორის მიყოლებით ამოალაგა ტილო, პალოები, თოკები, რკინის საყრდენები, ერთი სიტყვით, ამოალაგა ყველაფერი, რაც დიდებული კარვის გასაწყობად იყო საჭირო. ყმაწვილკაცები კარვის გაშლაში მიეხმარნენ. საჩრდილობელი მთელ ხალიჩას გადასწვდა. არც ეს გაჰკვირვებია ვინმეს.

კარგა ხანია ტანში მცრიდა, შიში მზარავდა, მაგრამ წარმოიდგინე, რა დღეში ჩავვარდებოდი, როცა სულ მალე საკუთარი თვალებით დავინახე, როგორ ამოიყვანა ამ კაცმა ჯიბიდან სამი ცხენი — ჰო, ჰო, — სამი მშვენიერი რაში, თავ-თავისი უნაგირითა და მოსართავებით. ღმერთია მოწმე, სამი შეკაზმული ცხენი ამოიყვანა იმ ჯიბიდან, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინათ ჯერ საფულე ამოაძვრინა, მერე ჭოგრიტი ამოიღო, ამას ოცი ნაბიჯი სიგრძისა და ათი ნაბიჯი სიგანის ხალიჩა მოაყოლა, იმაზე ჯიბიდან ამოალაგა სალაღობო კარავიცა და კარვის გასამართავი მოწყობილობაც. ეს ყველაფერი საკუთარი თვალით რომ არ მჭონდეს ნანახი, რაღა თქმა უნდა, არ დავიჯერებდი.

მართალია, თავად მოკრძალებული და დარცხვენილი ჩანდა, მართალია, იქ მყოფნიც თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ მისი ფერმკრთალი სახე, თვალს რომ ვერ ვაშორებდი, მაინც იმდენად შემზარავი მეჩვენებოდა, ვფიქრობდი ამ კაცის სიახლოვეს დიდხანს ვერ ავიტან-მეთქი.

გადავწყვიტე აქაურობას შეუმჩნეველად გავცლოდი, მით უმეტეს, თვალში არავის უნდა დავკლებოდი, — ამ საზოგადოებაში ხომ ფრიად უმნიშვნელო პიროვნება გახლდით. ქალაქში ვაპირებდი დაბრუნებას. მეორე დილით ბატონ ჯონთან კიდევ ვცდიდი ბედს და, თუ გამბედაობა მეყოფოდა, იმ უცნაური და ნაცრისფერი ბატონის შესახებაც ვკითხავდი რამეს. მანამდე კი ერთი სული მქონდა, ამ ადგილს გავშორებოდი.

უჩუმრად გავძვერი ვარდნარში, ბორცვს მივაღწიე და მდელოზე შევჩერდი. რაკი გზაზე არ მივდიოდი და ბალახს ვქელავდი, შევშინდი, არავინ მნახოს-მეთქი და დაკვირვებით მიმოვიხედე. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა შორიახლო ნაცრისფერფრაკიანი კაცი დავლანდე. თურმე ფეხდაფეხ მომდევდა. ახლოს რომ მოვიდა, ქუდი მოიხადა და თავი ისე მდაბლად დამიკრა, კაციშვილი რომ არ მომსალმებია ჯერ. ეჭვი არ იყო, ჩემთან საუბარი უნდოდა და, უზრდელობაში რომ არ ჩამოერთმია, უნდა შევჩერებულიყავი. მეც ქუდი მოვიხადე, თავი დავუკარი და ასე თავშიშველი, გაშეშებულივით ვიდექი მზეზე. გახევებული ვუყურებდი და გველისაგან მონუსხული ჩიტივით ვგრძნობდი თავს.

თვითონაც დამფრთხალი ჩანდა. ჩემთვის არც შემოუხე-

დავს, კიდევ რამდენჯერმე დამიკრა თავი, კიდევ უფრო მომიახლოვდა და მათხოვარისა არ იყოს, კრძალვით, ხმადაბლა მომმართა:

— პომიტეევეთ, თავს რომ გაბეზრებთ. ერთმანეთს ჯერ არ ვიცნობთ, მე კი მაინც დაგაყოვნეთ, ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. თუ ნებას მომცემთ...

— ბრძანეთ. ღვთის გულისათვის, ბატონო ჩემო! — შევაწყვეტინე შიშით, — რით შემიძლია ვემსახურო კაცს, ვინც...

ამ სიტყვებზე ორთავენი შევკრთით და, როგორც მომეჩვენა, გავწითლდით კიდეც.

წუთიერი დუმილის შემდეგ ისევ ნაცრისფერფრაკიანმა წამოიწყო ლაპარაკი:

— ნება მიბოძეთ, ბატონო ჩემო, გამოგიტყდეთ, რომ იმ მცირე ხნის განმავლობაში, თქვენს ახლოს ყოფნით რომ გამაბედნიერეთ, ჭეშმარიტად ენით უთქმელი აღტაცებით ვაკვირდებოდი იმ მშვენიერ, მშვენიერ ჩრდილს, მიწაზე რომ აფენთ. ამავე დროს, თქვენდა შეუმჩნეველად, კეთილშობილური დაუდევრობით ეპყრობით თქვენს ფეხებთან გაწოლილ დიდებულ ჩრდილს. იმედია, მაპატიებთ თავხედობას, მაგრამ ერთი რამ მინდა გკითხოთ, ხომ არ ისურვებდით და თქვენს ჩრდილს ხომ არ დათმობდით?

მერე გაჩუმდა. თავმა ისეთი გუგუნი დამიწყო, გეგონებოდა, წისქვილის დოლაბი არახრახდაო შიგნით. რა პასუხი უნდა გამეცა ასეთ უცნაურ თხოვნაზე? „შეშლილი თუ არისმეთქი", გავიფიქრე, და შეცვლილი ხმით, რომელიც მის მოკრძალებულ ტონს უფრო შეესატყვისებოდა, მივუგე:

— ეჰ, ჩემო კეთილო მეგობარო, განა ერთი ჩრდილი თქვენთვის საკმარისი არ არის? მეტად უცნაური გარიგება გამოგვდის.

ნაცრისფერფრაკიანმა პასუხი არ დააყოვნა:

— ჯიბეში ზოგი რამ ისეთი მაქვს, რაც თქვენთვის მთლად უღირალი არ უნდა იყოს, ამ ფასდაუდებელი ჩრდილისათვის ნებისმიერ გასამრჯელოს გავიღებ.

მისი ჯიბე რომ გამახსენდა, ტანში კვლავ ჟრუანტელმა დამიარა. ველარ გამეგო — რამ გამაბედინა და „ჩემო კეთილო მეგობარო" რამ მათქმევინა. ლაპარაკი ისევ მე. წამოვიწყე.

ამჯერად გადაჭარბებული თავაზიანობით ვცადე მისი გული მომეგო.

— მაპატიეთ, ბატონო, თქვენს უქვეშევრდომილეს მონას. მთლად კარგად ვერ გავიგე ნათქვამი, როგორ შემიძლია ჩემი ჩრდილი...

ნაცრისფერფრაკიანმა სიტყვა გამაწყვეტინა:

— მე მხოლოდ იმის ნებას გთხოვთ, რომ ეხლავე ავიღო თქვენი უკეთილშობილესი ჩრდილი და ჩემთან შევინახო. ამას როგორ მოვახერხებ, — ჩემი საქმეა. ნიშნად ჩემი მადლიერებისა, ამოირჩიეთ ნებისმიერი ძვირფასეულობა ჩემი ჯიბიდან: გნებავთ ნამდვილი შპრინგვურცელი,* ვექსელფენიგი,* რაუბტალური*, გნებავთ როლანდის საჭურველთმტვირთველთა ნატვრის სუფრა ან ალრაუნეურცელი*... მაგრამ ეს ის არაა, თქვენ რომ გჭირდებათ, ვფიქრობ, თითქმის ახალთახალი ნატვრის თვალი უფრო გამოგადგებათ. იქნებ ფორტუნატის ნატვრის ქისა* გირჩევნიათ...

— ფორტუნატის ნატვრის ქისა, — გავაწყვეტინე სიტყვა და მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ვფრთხილობდი, ჩემი ნათქვამის აზრს მაინც უმალ მიხვდა, უცებ თავბრუ დამეხვა და თვალები ისე ამიჭრელდა, გეგონებოდა ოქროს დუკატებმა მომჭრაო თვალი.

— კეთილი ინებეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თვითონ ნახეთ ქისა, თვითონ გასინჯეთ.

ამ სიტყვებზე მან ხელი ჯიბეში ჩაიყო და საკმაოდ დიდი, მტკიცედ ნაკერი კორდოვული ტყავის ორზონარგაყრილი ქისა გადმომცა. ქისას ხელი წავაველე და იქიდან ათი ოქრო ამოვიღე, მერე კიდევ ათი და კიდევ ათი. ხელი სწრაფად გავუწოდე და შევძახე:

— თანახმა ვარ. ამ ქისაში გაგიცვლით ჩემს ჩრდილს.

მან ხელი დამირტყა. მერე დაიხარა და ჩემი ჩრდილი საოცარი სიმარჯვით ააძრო ბალახს, დაახვია, დაკეცა და ჯიბეში შეინახა. საქმეს რომ მორჩა, ადგა, კვლავ თავი დამიკრა და ვარდნარის გავლით უკან გაბრუნდა. მომეჩვენა, თითქოს თავისთვის ჩაიცინა. ქისის ზონრები მაგრად მეჭირა ხელში. მზე დედამიწას უხვად აყრიდა სხივებს, მე კი გონს ჯერაც ვერ მოვსულიყავი.

II

როგორც იქნა, გონს მოვეგე და იმ ადგილს სასწრაფოდ გავეცალე, სადაც, ჩემი აზრით, აღარაფერი მესაქმებოდა. ჯერ ჯიბეები გამოვიტენე ოქროს ფულით. მერე ქისა უბეში შევინახე და ქისის ზონრები კისერზე ერთმანეთს გადავაბი.

პარკიდან შეუმჩნევლად გამოვედი, შარას მივაღწიე და ქალაქისკენ გავემართე. ფიქრებში წასული კარიბჭეს ვუახლოვდებოდი, როცა ზურგს უკან ძახილი მომესმა:

— ყმაწვილო! ყმაწვილო! ერთი წუთით!

უკან მოვიხედე. მოხუცი ქალი მეძახდა:

— ფრთხილად იყავით ბატონო, ჩრდილი დაგკარგვიათ!

— გმადლობთ, დედილო! — ვუპასუხე მოხუცებულს, ქეთილი რჩევისათვის ქალს ერთი ოქრო გადავუგდე და თავი ხეს შევაფარე.

კარიბჭეში რომ გავდიოდი, გუშაგმა შემაჩერა:

— სად მიატოვეთ, ბატონო, თქვენი ჩრდილი?

მერე ვიღაც ორმა ქალმა ჩაილაპარაკა:

— ღმერთო მაღალო, ამ საბრალოს ჩრდილი არა აქვს!

ეს ამბავი სულ უფრო და უფრო მაღიზიანებდა. ვერიდებოდი მზეს, მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ მოვახერხებდი ჩრდილში სიარულს. ერთ-ერთ ფართო ქუჩაზე რომ გადავდიოდი. მზეს ვერც მაშინ დავემალე. ჩემდა საუბედუროდ, ქუჩაზე გადავლამ მაინცდამაინც იმ დროს მომიწია, როცა მოწაფეები ბრუნდებოდნენ სკოლიდან. ვიღაც წყეულმა კუზიანმა ოინბაზმა, — იმ ბიჭს ახლაც ცოცხლად ვხედავ, — მაშინვე შეამჩნია, ჩრდილი რომ არ მახლდა. ერთი ამბავი დაწია, ყვირილი მორთო, მომისია გარეუბნის რჩეული ახალგაზრდობა, მასხარად ამიგდეს, ტალახის გუნდები დამაყარეს, თან მთელ ქუჩაზე გაჰყვიროდნენ:

წესიერი კაცი თავის ჩრდილს არ კარგავსო.

თავი რომ დამეღწია, ერთი სავსე მუჭა ოქრო გადავუყარე და ეტლში ჩავხტი, რომელიც კეთილმა ადამიანებმა მომგვარეს.

როცა ეტლში განვმარტოვდი, თვალზე სიმწრის ცრემლი მომადგა. ამასობაში უკვე მივხვდი, რომ თუმცა ამქვეყნად ოქრო მეტად ფასობს, ვიღრე დამსახურება ან ახალგაზრდობა — ჩრდილს, თურმე, ოქროზე მეტი ფასი ჰქონია. თუკი უწინ

სიმდიდრეზე ვთქვი უარი, ოღონდაც სინდისი მქონოდა სუფთა, ახლა სწორედ ამ ოქროებზე გავცვალე საკუთარი ჩრდილი. რა ბედი უნდა ეწიოს ცხოვრებაში ჩემნაირ კაცს?

ჯერ კიდევ ვერ ვიყავი სრულ ჰკუაზე, როცა კარეტა ჩემი ძველი სასტუმროს წინ გაჩერდა. იმის გაფიქრებაც კი მაშინებდა, რომ ისევ მანსარდაში უნდა ავსულიყავი. ჩემი ნივთები ჩამოვატანინე, ზიზღით მოვკიდე ხელი ფუთას, მსახურს რამდენიმე ოქრო გადავუგდე და მეეტლეს ვუბრძანე, საუკეთესო სასტუმროში მიმიყვანე-მეთქი. ეს სასტუმრო ჩრდილოეთისკენ იყო მიქცეული და მზისა არ უნდა მშინებოდა. მეეტლეს ოქრო მივეცი, საუკეთესო ოთახები ვიქირავე და შესვლისთანავე ჩავიკეტე. რომ იცოდე, რა მომივიდა, ჩემო კარგო შამისო, — იმ ამბის გახსენებაზე ახლაც ვწითლდები ხოლმე. უბეში შენახული ჩემი ვაი-ქისა ამოვიღე და გაგულისებულმა — ბრაზი აგიზგიზებული კოცონივით სულ უფრო და უფრო მეკიდებოდა, — ამოვყარე და ამოვყარე ქისიდან ოქრო, კიდევ და კიდევ, ჯერ იატაკზე მივფანტ-მოვფანტე, მერე ზედ გავიარ-გამოვიარე, გული მოვიძღე ელვარე ოქროს ცქერით, სმენა დავიტკბე მისი წკრიალით. ვიღებდი და ვიღებდი ფულს, ვიდრე დაღლილ-დაქანცული იმ დახორავებულ ოქროზე არ დავეცი. აღტაცებული ვგორაობდი ოქროების ამ ხალიჩაზე, ფულში ვბანაობდი.

ასე გაილია მთელი დღე. ოთახიდან არსად გავსულვარ, კარიც არ გამიღია; როცა სულ ჩამობნელდა, ისევ ოქროს ხალიჩაზე ვიყავი გაშოტილი. მერე ძილმა წამართვა თავი.

სიზმარში შენ გნახე. ასე მესიზმრა, თითქოს შენი პატარა ოთახის მინის კარს უკან ვიდექი, თავად შენ კი საწერ მაგიდას უჯექი. მაგიდის ერთ მხარეს ჩონჩხი დავინახე, მეორე მხარეს — გამხდარი მცენარეების კონები. მაგიდაზე წიგნები გქონდა გადაშლილი: ჰალერი, ჰუმბოლტი და ლინე.* დივანზე გოეთეს ტომი და „ჯადოქრული ბეჭედი“* იდო. დიდხანს გაკვირდებოდი, მერე საგნებს დავაცქერდებოდი, მერე ისევ შენ შემოგხედავდი. გიცქერდი, მაგრამ შენ ერთხელაც არ განძრეულხარ, სუნთქვითაც არ სუნთქავდი, ბოლოს მივხვდი, მკვდარია-მეთქი.

გამეღვიძა. ძალზე ადრე იყო. ჩემი საათი გაჩერებულიყო. მთელი სხეული დალეწილივით მქონდა, თან მშიოდა, მწყუ-

როდა. მთელი ერთი დღე პირში ლუკმაც არ ჩამედო. ზიზღითა და გაბრაზებით გავფანტე ოქრო, რომელიც გუშინ ასე ატკბობდა ჩემს უგნურ გულს. ხასიათწამხდარმა ახლა აღარ ვიცოდი, ამდენი ოქრო სად წამეღო: ასე დაყრილს ხომ არ დავტოვებდი. ვცადე ისევ ჭისაში ჩამებრუნებინა ოქროები, მაგრამ ქისამ თითქოს პირი შეიკრა — ფული აღარ ჩაიბრუნა. ზღვისკენ მიქცეული არც ერთი ფანჯარა არ იღებოდა. რის ვაი-ვაგლახით მივხვეტე მთელი ეს გროვა დიდ კარადასთან, რომელიც ჩემს კაბინეტში იდგა, და ოქრო კარადაში შევყარე. სახარჯოდ მხოლოდ რამდენიმე ოქრო დავიტოვე. როგორც კი საქმეს მოვრჩი, არაქათგამოცლილი სავარძელში ჩავესვენე და დაველოდე, როდის გაიღვიძებდა სასტუმრო. საშუალება რომ მომეცა, მაშინვე საჭმელი მოვატანინე, შემდეგ სასტუმროს პატრონი მოვახმობინე და ჩემი ბინის მოწყობის თაობაზე ვესაუბრე. მისი რჩევით პირად მსახურად ბენდელი ავიყვანე, რომლის ერთგულმა და გონივრულმა გამომეტყველებამ მაშინვე მომხიბლა. სწორედ ამ ბენდელის ერთგულება მიწევდა მეგზურობას ჩემი შემდგომი ცხოვრების მწარე დღეებში, სწორედ ბენდელმა გადამატანინა ჩემი შავბნელი ბედი. მთელი ის დღე ოთახში გავატარე მსახურებთან, ხარაზებთან, მკერავებთან და ვაჭრებთან ერთად, ვაწყობდი ჩემს ოთახებს, ვყიდულობდი დიდძალ ძვირფასეულობას და პატიოსან თვლებს, ოღონდაც ფულის ნაწილი მაინც დამეხარჯა, მაგრამ ოქროს გორას თითქოს არაფერი აკლდებოდა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში ეჭვებისაგან გათანგული ვიყავი. კარს იქით ფესი არ გამიდგამს. საღამოობით, დარბაზში ორმოც სანთელს ვანთებინებდი, მანამდე კი ბნელში ვიჯექი, შიში ამიტანდა ხოლმე, როცა კი მოწაფეებთან ის ჩემი საზარელი შეხვედრა გამახსენდებოდა. მართალია, ძალზე მიჭირდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ერთხელ კიდევ შემემოწმებინა საზოგადოებრივი აზრი. იმ ხანად მთვარიანი ღამეები იდგა. კარგა რომ შეღამდა, პალტო მოვისხი, თვალებზე ქუდი ჩამოვიფხატე და ბოროტმოქმედივით დამფრთხალ-დაფეთიანებული სახლიდან გავედი. კარგა მანძილი ვიარე სახლების ჩრდილში, ბოლოს მთვარის შუქით განათებულ ქუჩაზე გავედი, რადგან მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ჩემი განაჩენი ქუჩაში მოსიარულეთაგან გამეგო.

ნუ გამამეორებინებ, ჩემო საყვარელო მეგობარო, იმ მტკივნეულ ამბავს, რაც მაშინ თავს გადამხდა. ქალები ღრმა თანაგრძნობას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ ჩრდილი არ მქონდა, მაგრამ ასეთი თანაგრძნობა ნაკლებად როდი მისერავდა გულს, ვიდრე ახალგაზრდების დაცინვა და ქედმაღლური სიძულვილი მამაკაცებისა, განსაკუთრებით იმ ზორბა მამაკაცებისა, რომლებსაც ფართო ჩრდილი დასდევდათ თან.

მშვენიერმა ფაქიზმა გოგონამ, რომელიც ეტყობა, თავის მშობლებთან ერთად მოდიოდა და დაფიქრებული დაბლა იყურებოდა, უცებ გაბრწყინებული თვალები შემომანათა. როგორც კი შემამჩნია, ჩრდილი არ მქონდა, აშკარად შეკრთა, მშვენიერ სახეზე პირბადე ჩამოიფარა, თავი დახარა და გვერდით უჩუმრად ჩამიარა.

მეტის ატანა აღარ შემეძლო, თვალთაგან ცრემლები წამსკდა, ფეხი ამერია და გულდასერილი ისევ ბნელს შეეფარე. კედელ-კედელ მივდიოდი, რომ არ დაეცემულიყავი. ნელ-ნელა მივაბიჯებდი და შინ გვიან მივედი.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. დილით ჩემი პირველი საფიქრალი ის იყო — რადაც უნდა დამიჯდეს, ნაცრისფერ-ფრაკიანი კაცის ადგილსამყოფელს უნდა მივაგნო და მოველაპარაკო-მეთქი. ვინ იცის, იქნება ისიც ჩემსავით ნანობდა ამ სულელურ გარიგებას. ჰო, რა ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, ასე რომ ყოფილიყო! ბენდელს მოვუხმე, — ხერხიანი და მარჯვე ყმაწვილი ჩანდა. ზუსტად ავუწერე კაცი, ვისაც ჩემი განძი დაეუტოვე, განძი, ურომლისოდაც ტანჯვად მიმაჩნდა სიცოცხლე. ბენდელს ყველაფერი დაწვრილებით ვუთხარი, დროც, ადგილიც, სადაც იგი ვნახე, ავუწერე ყველა, ვინც მაშინ იქვე იყო და ერთიც დავუმატე — ზუსტად გამოიკითხე დოლონდის ჰოგრიტის, ოქრომკედით ნაქსოვი თურქული ხალიჩის, დიდებული სალაღობო კარვისა და შავი ბედაურების ამბავი-მეთქი. ყველა ეს ამბავი სწორედ იმ იდუმალ კაცთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ვინაც დაარღვია ჩემი მყუდროება, ჩემი ბედნიერება, თუმცა, სხვების თვალში იგი ერთობ შეუმჩნეველი კაცი გახლდათ.

ეს რომ ვუთხარი, იმდენი ოქრო გამოვუზიდე, რამდენსაც მოვერიე, თან ძვირფასი თვლებიც ზედ დავუწყე.

— ბენდელ, — მივმართე მე, — აი, ეს თუ გაქვს, გზები

იოლი სავალი ხდება, შეუძლებელი რამ კი — ადვილი მისაღწევი. იყავ ჩემსავით ხელგაშლილი და გაახარე შენი ბატონი იმ ამბით, რაც თავის ერთადერთ იმედად მიაჩნია.

ბენდელი წავიდა. შინ გვიან ღამით, ძალზე მოწყენილი დაბრუნდა. ბატონი ჯონის არც ერთ მსახურს, მის არც ერთ სტუმარს, — ბენდელს სათითაოდ გამოუკითხავს ყველა, — არაფერი სცოდნია ნაცრისფერფრაკიანი კაცის შესახებ. ბენდელს ახალი ჰოგრიტი საკუთარი თვალით უნახავს, მაგრამ ვერავინ ვერ გაიხსენა ვისი მოტანილი იყო. კარავიცა და ხალიჩაც კვლავ გორაკზე ყოფილა გაშლილი. მსახურები თავიანთი ბატონის სიმდიდრეს აქებდნენ, თუმცა არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა ეს ახალი განძეულობა. თვით ბატონ ჯონს ეს სიმდიდრე დიახაც რომ გულს უხარებდა, მაგრამ წუთითაც არ შეუწუხებია თავი იმის გამოსარკვევად, თუ საიდან გაჩნდა ის ბედაურები, რომლებითაც მაშინ სტუმრებმა ისეირნეს. ბედაურები ახლა თავიანთ საჯინიბოებში ჰყოლიათ სტუმრებს, ისინი ბატონ ჯონის გულუხვობას აქებდნენ, — ცხენები მისგან მიუღიათ საჩუქრად. აი ეს გავიგე ბენდელის მონათხრობიდან.

გულმოდგინებისა და მუყაითობის გამო ბენდელს მადლობა გადაუხადე, თუმცა ჩემი დავალება შეუსრულებელი დარჩა. შემდეგ ხასიათწამხდარმა ხელით ვანიშნე, მარტო დამტოვე-მეთქი.

— ჩემო ბატონო, — დაიწყო კვლავ ბენდელმა, — აქამდე თქვენთვის მეტად მნიშვნელოვანი საქმის თაობაზე მოგახსენებდით, მოგახსენეთ ის, რისი გაგებაც შევძელი, ახლა კი ერთი დავალება დამრჩა შესასრულებელი. ეს დავალება ვიღაც კაცმა მომცა ამ დილით, როცა თქვენი დავალების შესასრულებლად მივდიოდი, აი მისი სიტყვები: გადაეცით პეტერ შლემილს, რომ იგი აქ ვეღარ მნახავს, ზღვის იქით მივემგზავრები; ხოლო რაკი ზურგის ქარი ამოვარდა, ახლავე ნავსადგურისკენ უნდა გავეშურო, ერთი წლისა და ერთი დღის შემდეგ პატივი მექნება, იგი თვითონვე მოვინახულო და შევთავაზო სხვა გარიგება, რომელიც მისთვის ეგებ უფრო მისაღები აღმოჩნდესო. გადაეცით ჩემი მოწიწებული სალამი და მადლობა.

— როგორი სახისა იყო ეს მამაკაცი? — წამოვიძახე უეცრად და მივხვდი, ვინც იქნებოდა იგი.

ბენდელმა დაწვრილებით ამიწერა ნაცრისფერფრაკიანის სახის ნაკვთები.

— ვაი, შე უკუღმართო! — წამოვიძახე ხელების მტვრევით, — ეს ხომ ის კაცი იყო, ვის მოსაძებნადაც გაგაგზავნე!

ბენდელს თითქოს თვალებიდან ბისტი გადაეცალა.

— დიახ, ეს მართლაც ის იყო, ნამდვილად ის! — წამოიძახა შეშინებულმა. — მე კი, თვალებდასათხრელმა, გამოყეყეჩებულმა, ვერც ვიცანი, ვერ ვიცანი და ჩემს ბატონს ვუღალატე.

საბრალო ბენდელმა ცხარე ცრემლები გადმოყარა და სასოწარკვეთილი ისე დაუზოგავად მოჰყვა საკუთარი თავის ლანძღვას, რომ დასამშვიდებელი თვითონ გახდა. ვუთხარი, შენს ერთგულებაში ეჭვიც არ შემპარვია-მეთქი და მაშინვე ნავსადგურში გაეგზავნე, იქნებ იმ უცნაური კაცის კვალს მიაგნო-მეთქი. მაგრამ იმ დილით დედამიწის სხვადასხვა კუთხისაკენ მრავალი გემი გასულიყო, რომლებიც პირქარს მანამდე ნავსადგურში დაებრკოლებინა და ნაცრისფერფრაკიანი კაციც ჩრდილივით უკვალოდ გამქრალიყო.

III

მიჯაჭვულსა და შებორკილს განა ფრთები რას უშველის? ასეთ კაცს საშინლად წარეკვეთება იმედი! მსგავსად ფაფნირისა* ადამიანებისაგან გარიყული და გაწამებული ჩემს განძთან ვიწექი, მაგრამ ოქრო აღარ მიხარებდა გულს, ვწყეველიდი მის გაჩენას, რადგან სწორედ ამ განძის წყალობით ვიყავი ცხოვრებისაგან გარიყული.

ჩემს საშინელ საიდუმლოებას გულში ვმალავდი, ვერიდებოდი ყოველ მსახურს, მშურდა მათი, რადგან ჩრდილი ჰქონდათ და თავისუფლად შეეძლოთ მზეზე სიარული, მე კი, გულდამძიმებული და მარტოდმარტო, დღე და ღამე ჩემს ოთახში ვიჯექი და ნაღველი გულს მისერავდა.

ჩემთან ერთად კიდევ ერთი ადამიანი იტანჯებოდა, — ჩემი ერთგული ბენდელი. იგი გაუთავებლად ლანძღავდა საკუთარ თავს იმის გამო, რომ ბატონის დავალება ვერ შეასრულა, ვერ შეიცნო ის კაცი, ვისი მოძებნაც დაავალეს და ვისთანაც, მისი აზრით, ჩემი საშინელი ბედი იყო გადახლართული. ბენდელს ვერ დავადანაშაულებდი, რადგან ვიცოდი, ამ შემთხვევის მი-

ზეზი თვითონ იმ უცნობის იდუმალებით მოცული ბუნება იყო.

რა ღონეს არ მივმართე; ერთხელ ბენდელი ქალაქის ყველაზე ცნობილ მხატვართანაც მივაგზავნე, თან ბრილიანტის საყურეები გავატანე და მხატვარი ჩემთან მოვიპატიჟე. მხატვარი მოვიდა. მსახურები დავითხოვე, კარი ჩავკეტე და სტუმარს გვერდით მივუჯექი. მხატვარს ჯერ ხელოვნება შევუქე, მერე გულდამძიმებული ჩემ საქმეზე გადავედი, მანამდე კი სიტყვა ჩაბოვართვი, რომ არავისთან არ გამთქვამდა.

— ბატონო პროფესორო, — დავიწყე მე, — შეგიძლიათ თუ არა ხელოვნური ჩრდილი მიუხატოთ იმ ადამიანს, ვისაც ეს ჩრდილი რაღაც უბედური შემთხვევის გამო დაეკარგა?

— თქვენ საგნების ჩრდილს გულისხმობთ?

— დიახ.

— კი მაგრამ, რა ღმერთი გაუწყრა, რა მოუვიდა ისეთი, რომ თავისი ჩრდილი დაკარგა? — იკითხა მხატვარმა.

— რა მოხდა და როგორ, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. ეს ამბავი რუსეთში მოხდა, — ურცხვად განვაგრძე თხრობა, — სადაც იგი შარშან ზამთარში მოგზაურობდა. ერთხელაც, განსაკუთრებული ყინვა ყოფილა, მისი ჩრდილი დედამიწას ისე მიჰყინვია, მიწიდან აძრობა ვეღარაფრით მოუხერხებია.

— მე კი დავხატავ, — თქვა პროფესორმა, — მაგრამ ჩემს მიერ დახატული ჩრდილი პატრონს ვერ აედევნება. გაინძრევა თუ არა, ჩრდილს ხელად დაკარგავს. მით უმეტეს, როგორც თქვენი გადმოცემიდან ჩანს, ის კაცი საკუთარ ჩრდილთანაც ვერ ყოფილა მტკიცედ დაკავშირებული. ვისაც ჩრდილი არა აქვს, მზეზე ნუ გამოჩნდება, ეს უფრო ჭკვიანური იქნება, ამასთანავე, თავსაც უფრო უშიშრად იგრძნობს.

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, პროფესორი ადგა და განშორებისას ისეთი გამსჭვალავი მზერა მესროლა, თავი დავხარე, სავარძლის საზურგეს მივეყრდენი და სახეზე ხელები ავიფარე.

როცა ოთახში ბენდელი შემოვიდა, ისევ სავარძელში ვიჯექი. შემატყო სასოწარკვეთილება და ჩუმად დააპირა წასვლა. თვალი გავახილე. დარდისაგან ილაჯგაწყვეტილმა ვიფიქრე, ჩემს მწუხარებას გავუზიარებ-მეთქი.

— ჩემო ბენდელ, — გავძახე მსახურს, — მოდი ჩემთან, შენა ხარ ერთადერთი კაცი, ვინც საკუთარი თვალით ხედავს ყველაფერს და ჩემს ტანჯვას პატივს სცემს, თუმცა, მიზეზს

არ იძიებს და მშვიდად, მოკრძალებით მიწევს თანაგრძნობას. მოდი ჩემთან, გაიზიარე ჩემი ვარამი, ვით გულითადმა მეგობარმა. ოქრო არ დამიმალავს შენთვის, ახლა არც გულისტკივილს დაგიმალავ. ნუ მიმატოვებ, ბენდელ! კარგად იცი, რომ მდიდარიცა ვარ, კეთილიც, გულუხვიც. შენი აზრით, ყველა თაყვანს უნდა მცემდეს, მაგრამ ხომ ხედავ, — ადამიანებს ვერიდები და მარტოდმარტო ვარ გამოკეტილი. ბენდელ, ადამიანებმა გამომიტანეს განაჩენი და გამინაპირეს. ალბათ შენც შემაქცევ ზურგს, როცა ჩემს საშინელ საიდუმლოებას გაიგებ. მართალია, მდიდარიცა ვარ, გულუხვიც, გულკეთილიც, მაგრამ, ჰოი, ღმერთო! მე უბედურს ჩრდილი არა მაქვს!

— ჩრდილი არა გაქვთ?! — შეეშინდა საბრალო ჭაბუკს და თვალთაგან ცრემლთა ნაკადული წასკდა. — ვაი მე საწყალს, ნუთუ ჩრდილდაკარგული ბატონის მსახურად ვყოფილვარ გაჩენილი?!

ბენდელი დადუმდა. მე კვლავ სახეზე ავიფარე ხელები.

— ბენდელ! — მივმართე აკანკალებულმა კარგა ხნის შემდეგ. — ახლა შენ უკვე იცი ჩემი საიდუმლოება და შეგიძლია გამცე კიდეც.

ეტყობა, საკუთარ თავს ებრძოდა. ბოლოს ჩემს წინაშე მუხლებზე დაეცა, ხელი გამომტაცა და ცრემლებით დამილბო.

— არა, ო, არა! ვისაც რა უნდა, ის თქვას. რაკი ჩრდილი არა აქვს, ამის გულისთვის ჩემს კეთილ ბატონს არ მივატოვებ. რასაც გული მიკარნახებს, ისე მოვიქცევი, თქვენთან დავრჩები, დაგეხმარებით, თუკი შევძლებ, ჩემს ჩრდილსაც გათხოვებთ, თუ არა და, თქვენთან ერთად მაინც ვიტირებ.

მისი ასეთი კეთილშობილებით გაოცებული, ბენდელს კისერზე მოვეხვიე, დარწმუნებული ვიყავი, ამას ოქროს გულისათვის არ სჩადიოდა.

იმ დღიდან მოკიდებული ჩემი მძიმე ხვედრი ცოტათი შემიმსუბუქდა. ენა ვერ აღწერს იმ მოწადინებასა და ზრუნვას, რასაც ბენდელი იჩენდა, ოღონდაც ჩემი ნაკლი დაეფარა. ყველგან თან მახლდა ხოლმე, ხან წინ გამისწრებდა, ხან გვერდით გამომყვებოდა, ყოველივეს წინასწარ ითვალისწინებდა, თადარიგს იჭერდა და თუ სადმე საშიშროება დამემუქრებოდა, თავის ჩრდილს ხელად წამომაშველებდა ხოლმე. უნდა ითქვას, ასერხებდა კიდევ ამას, იგი ხომ ჩემზე მაღალიც იყო

და ჩემზე სრულიც. ასე ამრიგად, კვლავ გავბედე ხალხში გამოჩენა და ქალაქში სახელიც კი გავითქვი. რაღა თქმა უნდა, ჭირვეულობასა და ახირებას ყველა მპატიობდა. მდიდარ კაცს ასეთ ჭირვეულობას არავინ ჩამოართმევს ცუდად და მეც, ვიდრე ჩემი საიდუმლოება გამომჟღავნდებოდა, ამ ჩემი ოქროს წყალობით პატივისცემითა და ღირსებით ვსარგებლობდი, ახლა უფრო დაშვიდებული ველოდებოდი იმ იდუმალებით მოცული უცნობის გამოჩენას, ერთი წლისა და ერთი დღის შემდეგ რომ უნდა ჩამოსულიყო.

აშკარად ვგრძნობდი, უნდა მოვრიდებოდი იმ ადგილზე დიდხანს ყოფნას, სადაც ვინმეს ენიშნებოდა — ჩრდილი არა აქვსო, უნდა მოვრიდებოდი, რათა ჩემი საიდუმლოება შემენახა. ამასთანავე ვერც ის დავივიწყე, — ჩემს მეტს ალბათ აღარავის ახსოვდა ის ამბავი, — ბატონ ჯონს რომ ვეახლე. ეს მოგონება ლოდად მაწვა გულზე. ყოველივე, ეტყობა, საიმისო გამოცდა თუ იყო, რომ სხვა ადგილას უფრო თავისუფლად და საიმედოდ მეგრძნო თავი. მაგრამ იყო ერთი მიზეზი, რაც ამ ქალაქში მაჩერებდა. ეს მიზეზი ჩემი პატივმოყვარეობა გახლდათ — ადამიანის ყველაზე მტკივნეული ადგილი.

მშვენიერმა ფანიმ, ვინც სამჯერ მნახა ერთ-ერთ საერთო ნაცნობთან და აქამდე ვერ დამიმახსოვრა, ამჯერად ყურადღებაც კი მომაქცია, რადგან ახლა სიტყვაც მიჭრიდა და გონებაც, საუბარს დავიწყებდი თუ არა, მაშინვე სმენად იქცეოდა ყველა. ეს კია, თვითონაც ვერ ამეხსნა, როგორ ვახერხებდი ასე თავისუფლად და ლაღად ლაპარაკს. ვცდილობდი ამ ლამაზმანზე შთაბეჭდილება მომეხდინა, რასაც მივაღწიე კიდევაც. ამ ამბავმა ხომ მთლად ჰკუაზე შემშალა. ფანისაც ეს უნდოდა. ახლა სადაც კი შემეძლო, ქალიშვილს ყველგან თან ვახლდი, თუმცა, ხან რას მოვიმიზეზებდი და ხან რას, ოღონდაც ჩრდილიან ან ბნელ ადგილებს შევფარებოდი.

რა საჭიროა, თავიდან ბოლომდე გაგიმეორო მთელი ეს სულელური თავგადასავალი? თავადაც ხომ ხშირად გიამბნია ის ამბები, რაც სხვებს, ღირსეულ ადამიანებს გადახდომიათ თავს. ჰოდა, ის ძველისძველი, ყველასათვის კარგად ცნობილი პიესა, რომელშიც ერთ-ერთ უწყინარ როლს ვთამაშობდი, ბოლოს, სრულიად მოულოდნელად კატასტროფით დასრულდა ჩემთვისაც, ფანისთვისაც და სხვებისთვისაც.

ერთ მშვენიერ საღამოს, ჩვეულებისამებრ სტუმრები მოვიწვიე ბაღში. ფანისთან განმარტოებული, ხელიხელგაყრილი დავსეირნობდი მოშორებით, ვცდილობდი ჩემი ბაასით მომეჯადოებინა ქალიშვილი. იგი მოკრძალებით ხრიდა თვალებს და როცა ხელს ხელზე მოვუჭერდი, ისიც ნაზად მიპასუხებდა ხოლმე. უცებ ჩვენს ზურგს უკან ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა და... ქალიშვილმა მიწაზე მხოლოდ ერთი ჩრდილი შეამჩნია. ფანი შეკრთა და შეშფოთებული ხან მე შემომაცქერდებოდა, ხან მიწას დახედავდა, — ჩემს ჩრდილს ეძებდა. დაფეთიანებული ქალიშვილი ისე აწრიალდა, ალბათ გადავიხარხარებდი კიდეც, თავად რომ არ ავეტანე შიშს.

გულშემოყრილი ფანი მივატოვე, გაოგნებულ სტუმრებს შორის ისარივით ჩავიქროლე, კართან მივიჯერი, იქვე გაჩერებულ პირველსავე ეტლში ჩავხტი და ქალაქში დავბრუნდი. ჩემდა საუბედუროდ, წინდახედული ბენდელი იმ დღეს არ მხლებია. ჩემმა დანახვამ ბენდელი შეაშინა, უმალ მიხვდა, რა უბედურებაც შემემთხვა. მაშინვე საფოსტო ცხენები გამოვიძახეთ; თან მხოლოდ ერთი მსახური წავიყვანე, ერთი თავზეხელაღებული გაიძვერა, სახელად რასკალი,* ვინაც თავისი მოხერხებულობის წყალობით ჩემთვის საჭირო კაცი გახდა. რასკალმა დღევანდელი ამბისა არაფერი იცოდა. იმავე ღამეს ოცდაათი მილი გავიარეთ. ბენდელი ქალაქში დარჩა, რომ სახლი პატრონისათვის ჩაებარებინა. ამასთანავე ბენდელს ოქრო უნდა გაეცა სამოწყალოდ და ჩემთვის საჭირო ნივთებიც ჩამოეტანა. მეორე დღეს, როგორც კი ბენდელი ვიხილე, მაშინვე მკერდში ჩავეკარი და შევფიცე, — მსგავს სისულელეს აღარ ჩავიდენ, უფრო ფრთხილად მოვიქცევი-მეთქი. შეუჩერებლად გადავლახეთ საზღვარი, გადავიარეთ მთა და, როცა მეორე მთის ფერდობს მივაღწიეთ, — იმ დათარსულ ქალაქს ახლა მაღალი მთა გვაშორებდა — მხოლოდ მაშინ დავემორჩილე ბენდელის თხოვნას და ამდენი გაჭირვების შემდეგ თავს უფლება მივეცი ერთ ახლომდებარე კურორტზე დამესვენა, რომელსაც ხალხი დიდად არ ეტანებოდა.

IV

ამ ჩემს ნაამბობში ერთი-ორი სიტყვით მოვიხსენიებ იმ დროებას, რომელზეც სიამოვნებით ვილაპარაკებდი მეტხანს,

მაშინდელი სულისკვეთებისა და გუნება-განწყობილების აღდგენა რომ შემეძლოს. მაგრამ ის ფერადოვნება, რაც მოგონებებს აცოცხლებდა და ახლაც გააცოცხლებდა, — გაიცრიცა, ვაჭრა და როცა მოვისურვებ გულში კვლავ მოვიძიო ის განცდები, ასე ჭარბად რომ მქონდა იმ დროს — ტკივილები, ბედნიერება, საამო ილუზიები, — ამაოდ ვახლი ხოლმე თავს სალ კლდეს, რომელიც აღარ მასაზრდოებს მაცოცხლებელი ნაკადულით და ვფიქრობ, ღმერთმა ზურგი შემაქცია-მეთქი. ახლა სულ სხვა თვალით შევყურებ იმ გარდასულ დროებას! კურორტზე ყოფნისას ტრაგიკული როლი ჰეროიკულად უნდა შემესრულებინა, მაგრამ სცენაზე ახალბედა ვიყავი, როლი ცუდად დავისწავლე და პიესაში მხოლოდ ერთი წყვილი ცისფერი თვალის თავდავიწყებით შეყვარება შევიძელი. მშობლები, რომლებიც ჩემმა თამაშმა შეცდომაში შეიყვანა, ყოველგვარ ძალ-ღონეს ხმარობდნენ, რომ სწრაფად მოეგვარებინათ ჩვენი ურთიერთგარიგება, მაგრამ ეს უგვანი ფარსი ჩემი აბუჩად აგდებით დასრულდა. დიახ, ასე დასრულდა ის ამბავი. ყოველივე, რაც ერთ დროს ნეტარებით მივსებდა სულსა და გულს, ახლა სისულელედ, უაზრობად და საშინელებად მეჩვენება. მინა! როგორც მაშინ მივტიროდი შენს დაკარგვას, ახლაც ასევე მივტირი ჩემს დამჭკნარ გრძნობებს. ნუთუ ასე დავბერდი? ო, გულის შემბოჭველო გონიერებავ! ნეტავ ერთხელ მაინც განმაცდევინა მაშინდელი გულის ძგერა, ნეტავი წამით მაინც დამაბრუნებინა ის მირაჟები. მაგრამ, არა! მარტოსული მივყვები შეუწყალებელი გონების მივარდნილ ნაკადს და უკანასკნელ სირჩაშიც რა ხანია შამპანური აღარ შუშხუნებს.

ბენდელს რამდენიმე ტომარა ოქრო გავატანე და წინ გავგზავნე, რომ იმ პატარა ქალაქში ბინა გამოეძებნა და ჩემი გეშოვნების შესაფერისად მოეწყო. ჩემმა მსახურმა ბევრი ფული გაანიავა და ბუნდოვანი ხმებიც გაავრცელა — მე ერთი წარჩინებული უცხოელის მსახური ვარ, ჩემ ბატონს კი არ უნდა, მისი ვინაობა ვინმემ გაიგოსო. გულუბრყვილო მოქალაქენი ასეთმა სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო, ათას უცნაურ ამბავს თხზავდნენ. როცა ბენდელმა ყველაფერი მოამზადა, ჩემს წასაყვანად უკანვე დაბრუნდა და ჩვენც გავემგზავრეთ.

ქალაქამდე დაახლოებით ერთი საათის სავალი იყო დარჩენილი, რომ მზიან ვაკეზე უცებ საზეიმოდ გამოწყობილმა

ხალხმა გზა გადაგვიჭრა. ეტლი გაჩერდა. ახმიანდა მუსიკა. ატყდა ზარების რეკვა, წარამარა გაისმოდა ქვემეხების შედლუხი. ხმამაღალი „გაუმარჯოს“ ჰაერს აზანზარებდა. ეტლის კარს თეთრ სამოსში გამოწყობილი, ყალმით ნახატი ლამაზმანები მოადგნენ. მათ შორის ერთ-ერთი ისე გამოირჩეოდა თავისი მშვენიერებით, როგორც მზე ვარსკვლავთა გუნდში. ღაწვებშეფაკლული, მორცხვი და ტანკენარი გოგონა მეგობართა წრეს გამოეყო, ჩემ წინ მუხლებზე დაიჩოქა და აბრეშუმის ბალიშზე დადებული დაფნის, ზეთისხილისა და ვარდის რტოებისაგან დაწნული გვირგვინი გამომიწოდა, თან მცირე მისასალმებელი სიტყვით მომმართა. ქალიშვილის ლაპარაკიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გავარჩიე. ჩემს ყურთასმენას ერთთავად „თქვენო უდიდებულესობავ“ — ჩაესმოდა. მართალია, მისალმების შინაარსი ვერ გავიგე, მაგრამ მისი ხმის ჯადოსნურმა ჟღერადობამ დაიპყრო ჩემი სმენა და გული. ისე მომეჩვენა, თითქოს ეს ზეციური ქმნილება უკვე მენახა სადღაც. შემდეგ მომღერალთა გუნდმა კეთილი მეფისა და მისი ბედნიერი ქვეშევრდომების სადიდებელი წამოიწყო.

წარმოიდგინე, ჩემო მეგობარო, ეს ყოველივე თაკარა მზეზე ხდებოდა! ქალიშვილს ჯერაც მუხლი ჰქონდა მოყრილი, მისგან ორი ნაბიჯი მაშორებდა, მე კი, ჩრდილდაკარგულს, არ შემეძლო იმ უფსკრულის დაძლევა, რაც მისგან მყოფდა, არ შემეძლო ამ ანგელოზის წინაშე მუხლებზე დავმხობილიყავ! ო, რას არ მივცემდი, ოღონდ მაშინ ადამიანის ჩრდილი მქონოდა! სირცხვილი, შიში და სასოწარკვეთა რომ დამეფარა, ეტლის კუნჭულში შევიყუჟე. გაჭირვებიდან ისევ ბენდელმა მიხსნა. უმალ მოიფიქრა რაღაც და ეტლის მეორე მხრიდან ძირს გადახტა. მსახური უკანვე მოვიხმე, ალმასებით პირთამდე ავსებული ყუთიდან უძვირფასესი გვირგვინი ამოვიღე, რომელსაც მშვენიერი მინა უნდა შეემკო და ბენდელს გადავეცი. მსახურმა თავისი ბატონის სახელით განაცხადა, რომ ჩემს ბრწყინვალებას არც სურს და არც შეუძლია მიიღოს ასეთი პატივი. ალბათ, რაღაც გაუგებრობა მოხდა, მაგრამ ქალაქის კეთილ მცხოვრებლებს კეთილი ზრახვებისათვის მადლობას უცხადებსო. ამ სიტყვებით ბენდელმა ბალიშზე დასვენებული გვირგვინი აიღო და მის ადგილას ალმასებით მოჭედილი გვირგვინი დადო. შემდეგ მშვენიერ ქალიშვილს მოწიწებით ხელი

გაუწოდა და ფეხზე წამოაყენა. მერე სამღვდელოებას, ქალაქის თავკაცებსა და დანარჩენ წარმოგზავნილთ ხელით ანიშნა, — გზა მოგვეცითო. ბენდელმა ჩემამდე არავინ მოუშვა, ბოლოს ეტლში შემოხტა და ცხენებმაც ელვის სისწრაფით გაგვაჭენეს. ქალაქის ზღურბლზე ხალხს ფოთლებითა და ყვავილებით მორთული თაღი აღემართათ. ქვემეხების შედლუხი არ შეჩერებულა. ეტლი ჩემი სახლის წინ შეჩერდა. სწრაფად გადმოვხტი და აჩქარებით გავარღვიე ხალხი, რომელიც აქ ცნობისმოყვარეობას მოეყვანა. ბრბო ჩემი ფანჯრების ქვეშ შეგროვილიყო და გაუმარჯოსო — გაიძახოდა. მსახურებს ვუბრძანე — დუკატების წვიმა დაუშინეთ-მეთქი. საღამო ხანს ქალაქი სადღესასწაულოდ იყო განათებული.

ჯერაც ვერ გამეგო, რას ნიშნავდა ასეთი დახვედრა, ვინ ვეგონე და რად მიმიჩნიეს. ამბის გასაგებად ქალაქში რასკალი გავუშვი. მსახურს ასე შეატყობინეს, სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, ქალაქებსა და სოფლებში გრაფის სახელით ინკოგნიტოდ მოგზაურობსო პრუსიის კეთილი მეფე. ასე უთქვამთ, ხალხმა თავად მეფეც შეიცნო და მისი ადიუტანტიცო. მოსახლეობას თურმე ძალზე გახარებია, რომ ამ ქალაქში მომხსურვებია დარჩენა. ახლა, რასაკვირველია, ყველამ შეიგნო, რომ რაკიღა ჩემი პიროვნების კონფიდენციალობას ასე მკაცრად ვიცავდი, დეპუტაცია უტაქტოდ მოიქცა, როცა ასე დაჟინებით მოისურვა ჩემი ეტლისათვის ფარდა აეწია. მერე ისიც უთქვამთ, გაბრაზდებოდა ალბათ, მაგრამ მაინც კეთილშობილი პიროვნებაა და, უეჭველია, კეთილ ადამიანებს ამ საქციელს აპატიებსო.

ჩემ თავზეხელაღებულ მსახურს ეს ამბავი ისე ართობდა, რომ ორჭოფული სიტყვებით იქვე უცდია გულალალი მოქალაქენი თავიანთ შეცდომებში უფრო მეტად დაერწმუნებინა. ეს ყველაფერი რასკალმა კომიკურად გაღმომცა და როცა დაინახა, მისმა ნაამბობმა ძალზე გამამხიარულა, ჩემიც აღარ მოერიდა და თავისი ბოროტი ხუმრობის გამო სიცილი დაიწყო. გულახდილად ვიტყვი, — ჩემს თავმოყვარეობას მაინც ეამა, რომ ხალხმა გვირგვინოსნად მიმიჩნია.

ბრძანება გავეცი, ხვალ საღამოს ჩემი სახლის წინ ხეებით დაჩრდილულ მოედანზე საზეიმო სუფრა გაშალეთ და მთელი ქალაქი მოიპატიჟეთ-მეთქი. ჩემი იდუმალებით მოცული ჭესის

ულეველი ძალის, ბენდელის მუყაითობისა და რასკალის გერგილიანობის წყალობით, ჩვენ დროც კი დავამარცხეთ. მართლაც საოცარი იყო ის ამბავი, რომ სულ ორიოდე საათის განმავლობაში ყველაფერი მოვასწარით, სუფრაზე ჩიტის რძეც არ გვაკლდა. წვეულების ბრწყინვალება და ბარაქა გულს მიხარებდა, განათება კი ისე გონივრულად იყო მოწყობილი, რომ თავს სავსებით უშიშრად ვგრძნობდი, ჩემი ჩარევა არაფერში საჭირო არ გამხდარა. მსახურების ქების გარდა რაღა დამრჩენოდა!

საღამოც დადგა. სტუმრები თანდათან იკრიბებოდნენ და მეცნობოდნენ. მართალია, „თქვენო უდიდებულესობაო" — ალარ მომმართავდნენ, მაგრამ უდიდესი მოწიწებითა და მორჩილებით „ბატონ გრაფად" მიხსენიებდნენ. აბა, რაღა მექნა? მეც შევიფერე გრაფის ტიტული და ამ წუთიდან გრაფი პეტერი გავხდი. ამ ზარზეიმში ჩემი სული მხოლოდ ერთისკენ მიიისწრაფოდა. ზეიმზე იგი გვიან გამოცხადდა. ჩემი გვირგვინით თავშემკული, მართლაც რომ გვირგვინოსანს ჰგავდა. მორცხვად მოჰყვებოდა თავის მშობლებს უკან და ეტყობა ვერც კი გრძნობდა, რომ სტუმართა შორის ულამაზესი იყო. წარმოიდგინეს ბატონი მთავარი მეტყევე, მისი მეუღლე და ქალიშვილი. მოხუცებს მოხდენილი ქათინაურებით გავუმასპინძლდი, ქალიშვილის წინაშე კი დასჯილი ბავშვივით ვიდექი და ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. ბოლოს ენის ბორძიკით ძლივს ვთხოვე, ჩვენი ზეიმი გააბედნიერეთ და ის ადგილი დაამშვენეთ, რომელიც თავსამკაულის მიხედვით გეკუთვნით-მეთქი. დარცხვენილმა ქალმა გრძნობით აღვსილი თვალები შემომანათა და დამინდეთო, — მთხოვა. მინაზე მეტად მე ვიყავი დარცხვენილი, მაგრამ ქალიშვილი მაინც დავარწმუნე, თქვენს მონა-მორჩილად და თაყვანისმცემლად მიგულეთ-მეთქი. გრაფის ერთი ნიშანი სტუმრებმა ბრძანებად მიიჩნიეს, რომლის შესრულებას ყველა სიხარულით შეეცადა. მხიარულმა ზეიმმა ყველა მოხიბლა. ამ დიდებულ სანახაობას არც ბრწყინვალება აკლდა, არც სინატიფე და არც უმანკოება. მინას ბედნიერი მშობლები ფიქრობდნენ, ამდენი პატივი შვილის წყალობით შეგვხვდაო. მე თვითონ უცნაურად ვიყავი გაბრუებული. ბრძანება გავეცი, მთელი ჩემი ძვირფასეულობა, რომელიც მაშინ შევიძინე, როცა იატაკზე დახორაგებული

ოქროს თავიდან მოცილება მიხდოდა, ყველა ჩემი მარგალიტი თუ პატიოსანი თვალი, ორ თავდახურულ ლანგარზე დაეწყოთ და ზეიმის დედოფლის სახელით ჩამოერიგებინათ მინას მეგობრებისა და დანარჩენი ქალებისათვის. ამავე დროს ღობესთან მოჯარულ მოზეიმე ხალხსაც შეუწყვეტლივ უყრიდნენ ოქროს ფულს.

მეორე დილით ბენდელი გამომიტყდა, — რასკალის პატიოსნებაში დიდი ხანია ეჭვი მეპარებოდა და ახლა ყველაფერში დავრწმუნდი: გუშინ რამდენიმე ტომარა ოქრო მოგპარათო.

— არა უშავს რა, — ვუპასუხე მე, — დაე, მაგ გაქუცულმა ცუღლუტმა ცოტაოდენი ქონება შეიძინოს. ყველას სიამოვნებით ვურიგებ ოქროს და რასკალს რატომ არ უნდა ერგოს? გუშინ ხომ მაგანაც და სხვა მსახურებმაც პატიოსნად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და ხელი გამიმართეს მხიარული ზეიმის მოწყობაში.

ქურდობის ამბავი აღარ გაგვიხსენებია. რასკალი ჩემს მსახურად დარჩა, ბენდელი კი ჩემი მეგობარი და მესაიდუმლე გახდა. ბენდელი მიეჩვია იმ აზრს, რომ ჩემი ქონება ამოუწურავი იყო და არც არასოდეს უკითხავს, ამდენ ოქროს სად შოულობთო. უფრო მეტიც, იგი წინასწარ იგებდა ჩემს ფიქრს და რა ხერხს არ იგონებდა, რომ რაც შეიძლება ბეტი ფული გამეფანტა. იმ უცნობი ფერმკრთალი გაიძვერას ამბავი მხოლოდ ბენდელმა იცოდა, იცოდა, რომ ბოლოდ მას შეეძლო ჩემთვის იმ შეჩვენების ახსნა, უღელივით რომ მადგა კისერზე. ბენდელმა ისიც იცოდა, რომ მეშინოდა იმ ადამიანისა, რომელიც ჩემი ერთადერთი მხსნელიც იყო და ჩემი ერთადერთი იმედიც. სხვათა შორის, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნაცრისფერფრაკიანი ყველგან მომაგნებდა. მე კი ვერსად მივაკვლევდი მის ასავალ-დასავალს და ამიტომ იყო, ველოდი დათქმულ დროს და იმ კაცის ამაო ძებნაზე ხელი ავიღე.

ჩემს მიერ მოწყობილმა ბრწყინვალე ზეიმმა, ჩემმა სიტყვა-პასუხმა, ქცევამ გულუბრყვილო ქალაქელებს ერთი ხანობა კვლავ განუმტკიცა ადრინდელი რწმენა. მართალია, გაზეთებიდან მალე გაირკვა, პრუსიის მეფის მთელი ეს საიდუმლო მგზავრობა უსაფუძვლო ჭორიაო, მაგრამ რაკი მეფედ შემრაცხეს, ისევ მეფედ უნდა დავრჩენილიყავი, ამასთანავე ყველაზე მდიდარ, ღირსეულ მეფედ, — მეფეთა-მეფედ, თუმცა

ეს კია, ზუსტად არავინ უწყოდა, რომელი სამეფოს ბატონ-პატრონი ვიყავი. ამ ქვეყანას ხომ, მით უმეტეს ჩვენს დროში, არასოდეს მოჰკლებია მეფენი და მბრძანებელნი. სახეგაბრწყინებული კეთილი ადამიანები, რომლებსაც მეფისათვის თვალიც არ მოუკრავთ, ხან ერთ სამეფოს მომიძღვნიდნენ, ხან მეორეს. გრაფი პეტერი კი მუდამ იმ კაცად რჩებოდა, რაც სინამდვილეში იყო.

ერთხელ, მოაგარაკეთა შორის ვიღაც კომერსანტი გამოჩნდა, ვისაც სიმდიდრის შესანარჩუნებლად თავი გაკოტრებულად გამოეცხადებინა. ამ კაცმა მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. კომერსანტმა, რომელსაც მართალია, ოდნავ ფერმიხდილი, მაგრამ საკმაოდ ფართო ჩრდილი ჰქონდა, სიმდიდრის საქვეყნოდ ჩვენება მოინდომა და შეჯიბრებაში გამომწვია. მე ჩემი ქისა გავსარჯე და სულ მალე ის საბრალო იქამდე მივიყვანე, თავი კვლავ გაკოტრებულად გამოაცხადა და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა — სახელი მაინც არ შემირცხვენია. ასე მოვიშორე ეს კაცი თავიდან, მაგრამ სხვა ბევრი უმაქნისი და უქნარა ადამიანი გავაჩინე ამ მიდამოებში!

მეფური ბრწყინვალებითა და უთვალავი ფულის ფლანგვით ყველაფერი დავიმორჩილე, თუმცა თავად მე ძალზე უბრალოდ და კარჩაკეტილად ვცხოვრობდი. უდიდესი სიფრთხილე წესად მქონდა დადებული; ბენდელის გარდა არავის შეეძლო ჩემს ოთახში შემოსვლა. ვიდრე მზე გადავიდოდა, ბენდელთან ერთად ოთახში ვიყავი ჩაკეტილი და მომსვლელთ ეუბნებოდნენ, გრაფი თავის კაბინეტში მუშაობსო. ეს ჩემი ბონაგონი რომ დაეჯერებინათ, ყოველ წვრილმან საქმეზე შიკრიკებს წინ და უკან დავარბენინებდი. სტუმრებს ან საღამოობით ვიღებდი, ანდა, ბენდელის რჩევით, მოხერხებულად და ჭარბად განათებულ დარბაზში. თუკი ამ გარემოს დავტოვებდი, ბენდელი თავისი არგუსის თვალით* მდარაჯობდა ხოლმე. წასვლით კი, მეტყევის ბაღში თუ წავიდოდი, ისიც ერთი მიზეზით: შინას სიყვარული წარმოადგენდა ჩემი ცხოვრების აზრსა და მიზანს.

ო, ჩემო კარგო შამისო, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ჯერაც არ გექნება დავიწყებული სიყვარულს უადრი. დაე, დანარჩენი თვითონ წარმოიდგინე. მინა მართლაც რომ მოკრძალებული, გულჩვილი და სიყვარულის ღირსი ქალიშვილი

იყო. ყველა მისი აზრი და ფიქრი მე დავატყუვევე. მეტისმეტად მოკრძალებული მინა ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რაღა მაინცდამაინც მას ვაქცევდი ყურადღებას და თავისი უბიწო გულის ახალგაზრდული მგზნებარებით სიყვარულზე სიყვარულითვე მპასუხობდა. ისე ვუყვარდი, ქალს რომ შეუძლია მხოლოდ, — უკიდურესი გატაცებით, მთელ თავის არსებას მსხვერპლად მწირავდა, ვუყვარდი თავდავიწყებით, უანგაროდ — ე. ი. ჰეშმარიტად ვუყვარდი.

მე კი — ო, რა საშინელი საათები იყო, საშინელი, მაგრამ ამასთანავე ისეთი ტკბილი, რომ ახლაც მსურს მათი ხელახლა განცდა! ბენდელის მკერდზე ხშირად დამიფრქვევია ცრემლი. პირველი უგუნური გაბრუებიდან რომ გონს მოვეგე, მკაცრად განვსაჯე საკუთარი თავი, რადგან უჩრდილოდ დარჩენილი, ჩემი ვერავული თავკერძობის დასაკმაყოფილებლად ავბედითი გზისაკენ ვუბიძგებდი ამ ანგელოზს, ვატყუებდი მის წმინდა სულს, და ყოვლად უღირსი, სიყვარულს ვპარავდი. ხან ვფიქრობდი, მინას ყველაფერში გამოეუტყდები, ხან მტკიცე ფიცს ვდებდი, ჩამოვშორდები და შორს გადავიკარგები-მეთქი. მერე ისევ ცრემლი წამსკდებოდა და ბენდელთან ერთად ვბჭობდი, როგორ მომეხერხებინა მისი ნახვა.

დროდადრო თავს ვიტყუებდი ხოლმე და ნაცრისფერფრაკიან უცნობთან მოახლოებულ შეხვედრაზე დიდ იმედებს ვამყარებდი, შემდეგ, როცა თავს ამითაც ვერ დავიმშვიდებდი, კვლავ ავტირდებოდი. ზუსტად გამოვითვალე ის დღე, როცა ამ საშინელ კაცთან მომიწევდა შეხვედრა. მან ხომ ერთი წელი და ერთი დღე დამიდო ვადად და მეც მჯეროდა მისი სიტყვისა.

მინას მშობლები კეთილი, პატივსაცემი მოხუცები იყვნენ. ძალზე უყვარდათ ერთადერთი ქალიშვილი. ჩვენი ურთიერთდაახლოება რომ გაიგეს, გაოცდნენ და აღარ იცოდნენ, რა ეღონათ. უწინ გაფიქრებასაც ვერ გაბედავდნენ, რომ გრაფი პეტერი მათ ქალიშვილს თუნდაც შეხვედრის ღირსად გახდიდა, ახლა კი გაირკვა, მათი შვილი თურმე შეჰყვარებია კიდეც. დედამისი ეტყობა საკმაოდ პატივმოყვარე ქალი გახლდათ, რაკი ჩვენი შეუღლება შესაძლოდ მიიჩნია და ამ საქმეს ყოველმხრივ ხელს უწყობდა. საღად მოაზროვნე მოხუცი მეტყველი კი შორს იყო ასეთი გულზვიადობისაგან. ორივენი დარ-

წაუნებული იყვნენ ჩემი სიყვარულის უანგარობაში და სხვა არა დარჩენოდათ რა იმის გარდა, რომ თავიანთი შვილისათვის ელოცათ.

ხელთა მაქვს ის წერილი, რომელიც იმ დროს მომწერა მინამ. ამ წერილში ჩანს მინას ხასიათი, მისი ბუნება. ამ წერილს შენც გადმოგიწერ.

„მე სუსტი და უგუნური ვარ, რადგან წარმოვიდგინე, რომ ჩემი შეყვარებული არ დამიკოდავს გულს, მე — საბრალო ქალიშვილს, რადგან იგი მთელი არსებით, მთელი ჩემი შინაგანი არსებით მიყვარს. ო, რა კეთილი ხარ, როგორ წარმოუდგენლად კეთილი, მაგრამ ცუდად არ გამიგო. ჩემი გულისათვის ნურაფერს გაწირავ, ასეთი რამ ფიქრადაც ნუ მოგივა. ო, ღმერთო ჩემო! საკუთარ თავს შევიძულებდი, შენ რომ ეს გექნა. არა! უსაზღვრო ბედნიერება მომაგე, რადგან მასწავლე შენდამი სიყვარული, წადი აქედან! მე ხომ ვიცი, როგორია ჩემი ბედი, კარგად ვიცი, რომ გრაფი პეტერი მე არ მეკუთვნის, იგი მთელი ქვეყნისაა, მინდა ვიამაყო, როცა გავიგონებ: „გრაფი იქ გამოჩნდა“, „ეს კვლავ გრაფი იყო“, „ეს საქმე გრაფმა გააკეთა“, „ისინი გრაფს ეთაყვანებიან“, ისინი გრაფს აღმერთებენ“. იცი, როცა ამაზე ვფიქრობ, შენზე ვბრაზობ, რადგან ჩემთვის, — ისეთი უბრალო გოგონასათვის, როგორიც მე ვარ, შენი მალალი მოწოდება გადაიეწყე. წადი აქედან, თორემ კიდევ უფრო მეტად გამაუბედურებს იმის ფიქრი, რომ შენ, ო, ღმერთო! ასეთი ბედნიერება და ასეთი ნეტარება მაგრძნობინე. განა მეც არ ჩავაწანი შენს ცხოვრებაში ზეთისხილის რტო და ვარდის კოკორი, როგორც იმ გვირგვინში, მაშინ რომ გადმოგეცი? გულში ხატად მყავხარ, ჩემო სიყვარულო. ნუ შეგაკრთობს ჩემთან დაშორება, ნეტარებით, გამოუთქმელი ნეტარებით მოვკვდები შენთვის“.

თავადაც მიმიხვდები, როგორ დამისერავდა გულს ეს სიტყვები. ვუთხარი, რომ მე ის არ ვარ, რადაც მიმიჩნიეს, მხოლოდ მდიდარი და საოცრად უბედური ადამიანი ვარ-მეთქი. ვუთხარი, რომ კისერზე ტვირთად მაწევს საშინელი შეჩვენება, რაც ჩვენს შორის საიდუმლოდ უნდა დარჩეს, რადგან ჯერ კიდევ არ დამიკარგავს ამ შეჩვენების გამოსყიდვის იმედი. სწორედ ერთი რამ წამლავს ჩემს ცხოვრებას, მეშინია, რომ ისიც — ჩემი ცხოვრების ერთადერთი ნათელი წერტილი, ერ-

თადერთი ბედნიერება, ერთადერთი საგანძური ჩემი გულისა, ამ უფსკრულში არ ჩავითრიო-მეთქი.

ჩემი უბედურების ამბავი რომ მოისმინა, ქალი კვლავ ატირდა. ო, რა წარმტაცი, რა კარგი იყოს ჩემი ერთი ცრემლისთვის ნეტარებით გასწირავდა თავის სიცოცხლეს.

მაგრამ სწორედ ვერ გამიგო. ეტყობა, ერთ-ერთი თავადი ვეგონე, დიდი ტიტულის მქონე პირი, ვისაც მძიმე სასჯელი ედო და ქალიშვილიც თავისი ფანტაზიის წყალობით ალბათ რაინდის შესაფერის შარავანდედით მამკობდა.

ერთხელ ვუთხარი: „მინა, მომავალი თვის უკანასკნელ დღეს შეიძლება ბედი შემიტრიალდეს. თუ არ გამიმართლა, — მოვკვდები, რადგან არ მინდა შენი უბედურების მიზეზი გავხდე!“ ატირებულმა მინამ სახე ჩემს მკერდში ჩამალა.

— თუ ბედი გეწევა, შე ისიც მეყოფა, რომ ბედნიერი იქნები, სხვა არაფერი მსურს. ხოლო თუ იღბალმა გიმუხთლა, მაშინ მეც შენთან მამყოფე, შენი ჭირ-ვარამი გამაზიარებინე.

— დაიბრუნე ბაგეთაგან აჩქარებით წამოცდენილი მოუფიქრებელი სიტყვები. შენ ხომ არ იცი, რა მტანჯავს, რა მაწამებს! შენ ისიც არ იცი, ვინაა შენი შეყვარებული... არ იცი, რომ იგი... განა ვერ ხედავ, როგორ ვცახცახებ იმ იდუმალი ამბის გახსენებისას?

აქვითინებული მინა ჩემს ფეხებთან დაემხო და თხოვნა ისევ გამიმეორა.

ამასობაში მეტყეველ მოგვიახლოვდა და მეც ვაუწყე ჩემი განზრახვა:

— ერთი თვის თავზე, მომდევნო თვის პირველ რიცხვში მსურს ქალიშვილის ხელი გთხოვოთ. ეს ვადა იმიტომ დავდე, რომ მანამდე შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რასაც შეუძლია ჩემი მდგომარეობა შეცვალოს, თვით ჩემი გრძნობა კი თქვენი ქალიშვილის მიმართ მტკიცეა და შეურყეველი.

ამ სიტყვებმა კეთილი მოხუცი შეაკრთო, კისერზე მომეხვია, მერე თავისი საქციელის გამო მთლად დაიბნა, გონს რომ მოეგო, ჩემს ნათქვამს ჩაუფიქრდა. ბოლოს მზითევზე ჩამოაგდო სიტყვა, შელაპარაკა თავისი საყვარელი ქალიშვილის მომავალსა და უზრუნველ ცხოვრებაზე. მე მადლობა გადავუხადე, ვუთხარი, აქ მსურს დავსახლდე, სადაც ხალხს მგონი ვუყვარვარ, და ბედნიერად ვიცხოვრო-მეთქი. ვთხოვე გასა-

ყიდი მამულებიდან თავის ქალიშვილის სახელზე ყველაზე საუკეთესო ეყიდა და ფასის გადახდა ჩემთვის დაეკისრებინა. ამ საქმეებში სასიმამროზე მეტად არავინ გამომადგებოდა. მეტყევეს ბევრი გარჯაც მოუწია, რადგან ყველა საქმეში ვიღაც უცხოელი ასწრებდა ხოლმე. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა და ერთ მილიონად შეფასებული მამული შეიძინა.

ის ამბავი, რომ სასიმამროს მამულის ყიდვა დავავალე — ჩემი მხრიდან პატარა ეშმაკობით იყო ნაკარნახევი. გამოვტყდები, მისი თავიდან მოცილება მინდოდა, — აბეზარი კაცი გახლდათ. მის კეთილ ცოლს კი ცოტა ყურს აკლდა და მეუღლისაგან განსხვავებით ბატონ გრაფთან საუბარი დიდ პატივად არ მიაჩნდა.

მინას დედა ჩვენთან მოვიდა. ბედნიერი მოხუცები დაჟინებით მთხოვდნენ, საღამო ჩვენთან გაატარეთო, მაგრამ წუთითაც ვეღარ შევყოვნდებოდი: ცისკიდური ამომავალ მთვარეს გაენათებინა. ჩემი დრო ამოწურულიყო.

მეორე საღამოს კვლავ მეტყევის ბაღისკენ გაეემართე. მხრებზე ფართო წამოსასხამი მოვისხი, თავზე ქუდი ჩამოვიფხატე. პირდაპირ მინასთან მივედი. როგორც კი მინამ თვალი შემავლო, უნებლიეთ შეცბა. ჩემს გონებაში იმ ღამის სამინელმა მოგონებამ გაიელვა, როცა მე, ჩრდილდაკარგულმა ადამიანმა, გავბედე და მთვარიანი ღამით გარეთ გამოვედი. თურმე, სწორედ მინა შემხვედრია მაშინ. ნუთუ ახლაც მიცნო? ფიქრებში ღრმად ჩაფლული მინა სდუმდა. გულზე მძიმე ლოდი დამაწვა. მე ფეხზე ავდექი, უხმოდ აქვითინებული ქალი მკერდში ჩამეკრო. უკან გამოვბრუნდი.

ახლა ქალიშვილი ატირებული მხვდებოდა ხოლმე. გული სულ უფრო და უფრო მიმძიმდებოდა. მხოლოდ მინას მშობლები იყვნენ აუწერელ ნეტარებაში. ახლოვდებოდა საბედისწერო დღე, საავდრო ღრუბელივით შავბნელი და შემზარავი, აი, უკანასკნელი საღამოც. სულს ძლივს ვითქვამდი. წინდახედულად რამდენიმე ყუთი ოქროთი ავავსე. შუაღამეს ველოდი. აგერ საათმაც თორმეტჯერ ჩამოკრა.

ვიჯექი და თვალს არ ვაცილებდი საათის ისრებს. წუთებს, წამებს ვითვლიდი. თითოეულ წამს ხანჯლის დარტყმასავით ვგრძნობდი გულში. ყოველი ჩქამის გაგონებისას ფეხზე ვხტებოდი. დილაც გათენდა. ტყვიასავით დამძიმდა დრო, საათი

სააოს მისდევდა. შუადღე გახდა, შუადღეს საღამო მოჰყვა და ბოლოს ღამეც ჩამოწვა. საათის ისრები წინ მიიწევდნენ, იმედი კი მიქრებოდა. თერთმეტმა ჩამოჰკრა. არავინ გამოჩენილა, უკანასკნელი საათის ბოლო წუთებიც მიიწურა და კვლავ არაფერი შეცვლილა. გაისმა თორმეტი საათის პირველი რეკვა, მერე მეორე... ბოლოს, როცა საათმა მეთორმეტედ ჩამოკრა, იმედწარკვეთილი საწოლზე დავემხე. თვალთაგან მღუღარე ცრემლი წამსკდა. მეორე დილით ალბათ სამუდამოდ ჩრდილდაკარგულს უნდა მეთხოვა შეყვარებულის ხელი. გამწარებულს, როგორც იქნა, გათენებისას ჩამეძინა.

V

ჯერ კიდევ ადრე იყო, როცა ხმაურმა გამომაღვიძა, მოსაცდელი ოთახიდან ხალხის ყაყანი ისმოდა. ყური მივუგდე. ბენდელი ჩემი ოთახის კართან იდგა. რასკალი ილანძღებოდა, გაჰყვიროდა, — ჩემი ტოლი კაცის ბრძანება რატომ უნდა შეესრულოო, თან ოთახში შემოჭრას ცდილობდა. კეთილი ბენდელი არწმუნებდა, ამ სიტყვებს რომ ბატონმა ყური მოკრას, შენს შემოსავლიან ადგილს დაემშვიდობებიო. რასკალი ბენდელს ემუქრებოდა, თუ არ შემიშვებ, ცხვირდაუნაყავი ვერ გადამირჩებიო.

სახელდახელოდ ჩავიცვი, გაცოფებულმა კარი გამოვაღე და რასკალს მივეჭერი.

— რა ამბავს ტეხავ, არამზადავ?

მან ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ცივად მომიგო:

— უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო გრაფო, ერთხელ მაინც მიჩვენოთ ჩრდილი. თქვენი ეზო ახლა ისე ლამაზადაა მზით განათებული.

თითქოს მეხი დამეცა, გავშეშდი, კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე.

— როგორ შეიძლება მსახურმა თავის ბატონს...

რასკალმა აუღელვებლად გამაწყვეტინა სიტყვა:

— მსახური შეიძლება ძალიან პატიოსანი ადამიანი იყოს და არ მოისურვოს ჩრდილდაკარგული კაცის სამსახური. მე მოვითხოვ ჩემი ნამსახურევის ანაზღაურებას.

შევეცადე რასკალს სხვა მხრიდან მივდგომოდი.

— კი მაგრამ, ძვირფასო რასკალ, ვინ ჩაგაგონა ეს აზრი, როგორ იფიქრე, რომ?..

რასკალმა ისევ მშვიდი კილოთი განაგრძო:

— ხალხი ამბობს, პატივცემულ გრაფს ჩრდილი არ აქვსო. რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, — მაჩვენეთ თქვენი ჩრდილი ან ნამსახურევი გამინაღდეთ!

გაფითრებულმა და აცახცახებულმა ბენდელმა, მაინც ჩემზე ადრე მოიკრიბა გონება და ნიშანი მომცა. მეც ოქრო ამოვიღე, რომელიც ყოველგვარ უსიამოვნებას ადვილად აქარწყლებს ხოლმე, მაგრამ ოქროსაც დაეკარგა თავისი ძალა: რასკალმა ოქრო ფეხებთან მომიყარა და შემომძახა:

— იმ კაცისაგან, ვისაც ჩრდილი არ გააჩნია, მე არაფერს არ ვიღებ, — მერე ზურგი შემაქცია, კეფაზე დაუდევრად მოიგდო ქუდი და ოთახიდან სტვენა-სტვენით გავიდა. მე და ბენდელი გაოგნებული ვიდექით, სუნთქვა შეგვეკრა და მიმავალ რასკალს უაზროდ ვუყურებდით.

მომაკვდინებელი შხამით დაგესლილი სულს ძლივს ვითქვამდი. ბოლოს, დაპირებისამებრ მეტყევის ბაღში გამოვცხადდი, როგორც დამნაშავე მოსამართლეთა წინაშე. ჩამოვხტი ბნელ ფანჩატურში, რომელსაც ჩემი სახელი ერქვა. მასპინძლები ამჟამადაც აქ მიცდიდნენ. მინას დედა სიხარულით შემომეგება, მინა კი ფანჩატურში იჯდა, მშვენიერი, ნაზი, იმ პირველი თოვლივით ლამაზი, გვიან შემოდგომაზე უკანასკნელ ყვავილებს რომ დაკოცნის და მაშინვე წყლად იქცევა. მეტყევეს რაღაც ქაღალდი ეჭირა ხელში, გაცხარებით სცემდა ბოლთას და ეტყობოდა, სიბრაზეს გულში იკლავდა. გახევებული სახე ახლა ხან აუჭარხლდებოდა, ხან ისევ მიტკალივით გაუთეთრდებოდა. როგორც კი ფანჩატურში შევედი, მაშინვე ჩემთან მოვიდა და აღელვებულმა, ენისკიდებით მთხოვა, ცალკე მინდა მოგელაპარაკოთო. ბაღის ის მხარე, საითაც მან წაყოლა მთხოვა, მოტიტვლებული იყო და მზით გაჩახჩახებული. ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე და იქვე ჩუმად დავჯექი. დიდხანს ხმა არ ამომიღია. სიჩუმის დარღვევა მინას გულმხიარულმა დედამაც ვერ გაბედა.

აღელვებული მეტყევე კვლავ ბოლთას სცემდა ფანჩატურში. უცბად ჩემს წინ ხმის ამოუღებლად შეჩერდა, თვალი ქა-

ღალდს გადაავლო, მერე გამომცდელი მზერა მესროლა და მკითხა:

— ბატონო გრაფო, ხომ არ იცნობთ ვინმე პეტერ შლემილს?

მე ხმას არ ვიღებდი.

— მშვენიერი ხასიათისა და განსაკუთრებული ნიჭის კაცს, — განაგრძო მინას მამამ და პასუხს დაელოდა.

— მე თვითონ რომ ვიყო ის კაცი?

— ვინაც თავისი ჩრდილი დაჰკარგა! — დაუმატა მეტყველმ. — ო, რა მართალი გამოდგა ჩემი ეჭვი?

— დიახ, დიდიხანია ვეჭვობდი, რომ ჩრდილი არ ჰქონდა! — წამოიძახა მინამ და დედის მკერდს მიეხუტა. შიშით აცახცახებულმა დედამ შვილი გულში ჩაიკრა და საყვედურებით აავსო, — შენს სატანჯველად ამ საშინელ საიდუმლოს რატომ მალავდიო. მინა კი არეტუზას* მსგავსად ცრემლის ნაკადულად იქცა. ჩემი ხმის გაგონებაზე ქალიშვილმა ტირილს უმატა, ხოლო როცა მივუახლოვდი, ცრემლები მდინარედ გადმოაფრქვია თვალთაგან.

— და თქვენ ამ გაუგონარი თავხედობით მოგვატყუეთ ისიცა და მეც, — გაბრაზებით განაგრძო მეტყველმ, — ამასთანავე სინდისი კი არ გქონიათ, პირიქით, თავი ისე მოგაქვთ, თითქოს გიყვარდეთ კიდეც მინა. აი, სადამდე მიიყვანეთ, ხედავთ როგორ ცახცახებს, როგორ იღვრება ცრემლად. ო, რა საშინელებაა! რა საშინელება!

ამ სიტყვების მერე თავგზა ამებნა, თვითონაც არ ვიცოდი, რას ვლაპარაკობდი:

— ბოლოს და ბოლოს ჩრდილია და მეტი არაფერი, — წამოვიწყე მე, — კაცი უამისოდაც გაიტანს თავს ცხოვრებაში. სად გაგონილა ამის გამო ასეთი ხმაურის ატეხა. — მაგრამ ჩემი ლაპარაკი მე თვითონ ისე დაუსაბუთებელი მეჩვენა, რომ, ვიდრე მეტყველ რაიმე პასუხს მაღირსებდა, სიტყვა შუაზე გამიწყდა. მერე კი დავუმატე: — გარდა ამისა, ისიც შესაძლებელია, რომ დაკარგული ისევ იპოვოს-მეთქი კაცმა.

მეტყველ გააფთრებით მომვარდა:

— გამოტყდით, ბატონო, გამოტყდით, როგორ დაკარგეთ საკუთარი ჩრდილი?

სხვა გზა არ მჭონდა, ისევ ტყუილი უნდა მეთქვა:

— ერთმა გაუთლელმა ოტროველამ ისე უხეშად დაადგა ფეხი ჩემს ჩრდილს, რომ კარგა მოზრდილი ნაკერი ჩამოახია. ახლა ის ჩემი ჩრდილი შესაკეთებლად მივეცი, ოქროს ხომ ბევრი რამ შეუძლია, — გუშინ უნდა დაებრუნებინათ.

— კეთილი, ჩემო ბატონო, კეთილი და პატიოსანი, — მითხრა მეტყველმ. — თქვენ ჩემი ქალიშვილის ხელს მთხოვთ, მაგრამ მის ხელს სხვაც მთხოვს. მე, როგორც მამამ, ჩემი ქალიშვილის ბედ-იღბალზე უნდა ვიზრუნო. გაძლევთ სამი დღის ვადას, ამ დროის მანძილზე უნდა დაიბრუნოთ თქვენი ჩრდილი. თუ ამ სამი დღის განმავლობაში თქვენს ტანზე მოჭრილი ჩრდილით გამომეცხადებით, სიამოვნებით მიგიღებთ, მეოთხე დღეს კი, — ამას ახლავე გეუბნებით, — მინა სხვისი მეუღლე გახდება.

მინდოდა მინასთვის ერთი სიტყვა კიდევ მეთქვა, მაგრამ ქალიშვილმა ტირილს უმატა და დედის მკერდს ჩაეკრო. დედამისმა ხელით მანიშნა, წადიო. ძლივს წამოვლასლასდი. ასე მეგონა, მთელი სამყარო შავ უკუნეთში ჩაიძირა.

საყვარელი ბენდელის ზედამხედველობას დავუძვერი და დაბნეული დავეხეტებოდი ტყეებსა და მინდვრებში. შუბლიდან ჭირის ოფლს ვღვრიდი, მკერდიდან ყრუ გმინვა ამომდიოდა, მთლად შეშლილს დავემსგავსე.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩემი ასეთი ყოფა, ვიღაცას რომ მზით გაბრწყინებულ ველზე ჩემთვის მკლავში არ წაეყლო ხელი და არ შევეჩერებინე. უკან მოვიხედე, ჩემს წინ ნაცრისფერ ფრაკში გამოწყობილი კაცი იდგა, რომელსაც, მე რომ დამწეოდა, ეტყობა, ბევრი ერბინა.

— ხომ დაგპირდით, რომ დღეის დღეს გეახლებოდით, თქვენ კი არ დამელოდეთ, — წამოიწყო მან. — მაგრამ ამით ჯერჯერობით არაფერი წამხდარა, მიიღეთ ჩემი რჩევა, გამიცვალეთ თქვენი ჩრდილი, რომელსაც აქვე გთავაზობთ და უკანვე დაბრუნდით. მეტყველ კვლავ სიამოვნებით მიგიღებთ და მთელი ეს ამბავი ხუმრობად ჩაივლის, რასკვლს კი, მაგ ჯეელს, რომელმაც გიღალატათ და თქვენი საცოლის შერთვას ცდილობს, მე მოვუვლი.

ისე ვიდექი, თითქოს ძილისაგან ვერ გამოვფხიზლებულიყავი.

— დღეისათვის დამპირდით მოსვლას?

დრო ერთხელ კიდევ გამოვითვალე. ნაცრისფერფრაკიანი მართალი გამოდგა, მე კი შევმცდარვარ, ერთი დღით ნაკლები მიანგარიშია. მარჯვენა ხელი უბეში ჩავიყავი, ჭისა მოვძებნე. ნაცრისფერფრაკიანი განზრახვას მიმიხვდა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— არა, ბატონო გრაფო, ეგ ჭისა კარგ პატრონს აქვს, თქვენვე დაგრჩეთ.

გაოგნებული, სახეში მივაშტერდი. ნაცრისფერფრაკიანმა ისევ განაგრძო.

— სამახსოვროდ მე მხოლოდ უმნიშვნელო რამეს გთხოვთ, კეთილი ინებეთ და აი ამაზე მომიწერეთ ხელი.

გამოწვდილ პერგამენტზე ეწერა:

„ამ ხელმოწერის საფუძველზე ქალაღდის მფლობელს ანდერძით რჩება ჩემი სული, იმ დღიდან მოყოლებული, როცა იგი ჩემს ხორცს ბუნებრივი სიკვდილის შემდგომ გასცილდება“.

გაოცებული და ენაჩავარდნილი ხან ნაწერს შევცქეროდი, ხან ნაცრისფერფრაკიან უცნობს. ამასობაში მან ახლად წვერწათლილი კალამი ჩემ ხელზე ჩამონადენ სისხლში ამოაწო, — ხელი ეკალზე გავიკაწრე, — და მე გამომიწოდა.

— ვინა ხართ, ბოლოს და ბოლოს? — ვკითხე მე.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? — მომიგო მან და განაგრძო: — განა გარეგნობაზე არ მეტყობა, ვინც უნდა ვიყო? ერთი საწყალი ბოგანო ვარ, თუ გნებავთ იმ სწავლულად ან ფიზიკოსად მიმიჩნიეთ, ვინაც მეგობრებისაგან თავისი სიმარჯვისა და მოხერხებულობის საზღაურად უმადურობას იმკის და ამ ქვეყანაზე ერთადერთ გართობად მხოლოდ ის მიაჩნია, რომ მცირეოდენი ექსპერიმენტები მოაწყოს. მაგრამ ისა ჯობს, აი აქ, მარჯვნივ მოაწეროთ თქვენი სახელი და გვარი: პეტერ შლემილი.

მე თავი გავაქნიე და მივუგე:

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო ჩემო, ამას კი ხელს არ მოვაწერ.

— არა? — მკითხა გაოცებულმა, — რატომ არ მოაწერთ?

— ცოტა არ იყოს, საეჭვო საქმედ მიმაჩნია ჩემი სულის ჩემსავე ჩრდილზე გადაცვლა.

— კეთილი, კეთილი! ე. ი. საეჭვო საქმედ მიგაჩნიათ! —

გაიმეორა ჩემი ნათქვამი და ხმამაღლა გადაიხარხარა. — მაგრამ ნება მომეცით გკითხოთ, — რის მაქნისია ეგ თქვენი სული? გინახავთ კი ოდესმე? ანდა რისთვის გამოიყენებთ მას, როცა ერთხელაც იქნება, გარდაიცვლებით? კიღეც უნდა გიხაროდეთ, რომ აღმოჩნდა მსურველი, რომელიც თქვენს სიცოცხლეშივე, რამდენადმე რეალურ საფასურად, სახელდობრ, თქვენი სხეულის ჩრდილით იხდის ამ იქს მემკვიდრეობას, ამ გალვანურ ძალას, ანდა პოლარიზებულ ქმედებას, ან რაღაც სულელურ უმაქნისობას; გიცვლით იმ ჩრდილში, რომლის წყალობითაც შეგიძლიათ თქვენი შეყვარებული შეირთოთ და ყოველი თქვენი სურვილი აღისრულოთ. ნუთუ ის გირჩევნიათ, რომ საბრალო, ნორჩი ქმნილება იმ ბილწ გაიძვერა რასკალს ჩაუგდოთ ხელში? არა, უმჯობესია საკუთარი თვალით ნახოთ. წამომყევით, მე ჩემს უჩინმაჩინის ქუდს გათხოვებთ (მან ჯიბიდან რაღაც ამოიღო) და უჩუმრად მივადგეთ მეტყევის კარს.

უნდა გამოვტყდე, ძალზე ვფრთხილობდი ამ კაცის სამასხარო არ შევიქნე-მეთქი. ნაცრისფერფრაკიანი მთელი ჩემი არსებით მძულდა და ვფიქრობ, სწორედ ამ სიძულვილის ბრალი უფრო იყო, ვიდრე ჩემი პრინციპულობისა, რომ თავს ვიკავებდი და არაფრით არ მინდოდა, თუნდაც ერთი ხელისმოწერის საფასურად გამომესყიდა ჩემი ჩრდილი.

არც მეტყევის ბაღში მინდოდა მასთან ერთად წასვლა. გულზე ცეცხლი შემომენთებოდა ხოლმე იმის გაფიქრებისას, რომ ეს საზიზღარი გაიძვერა, ეს ცინიკოსი კობოლდი* ჩადგებოდა სისხლისგან დაწრეტილ ორ გულს შორის, ჩემსა და ჩემს შეყვარებულს შორის. ყოველივე რაც მოხდა, ჩემს ბედიღბალს მივაწერე, უბედურება — აუცილებელ ამბად მივიჩნიე, ნაცრისფერფრაკიანს მიეუბრუნდი და ვუთხარი:

— ბატონო ჩემო, ჩემი ჩრდილი ამ ჩინებული ქისის საფასურად მოგყიდეთ და შემდგომში საქმაოდ ვინანე ჩემი საქციელი. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ჩვენი გარიგება კვლავ დაირღვეს.

მან თავი გააქნია და სახე მთლად მოექუფრა. მე კი ისევ განვაგრძე:

— ჩემი საკუთრებიდან აღარაფერს მოგყიდით, საკუთარი ჩრდილიც რომ დამიბრუნოთ სანაცვლოდ, არაფერზე არ მო-

გიწერთ ხელს. აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ თქვენი უჩინმაჩინის ქუდით სიარული, რაც თქვენ შემომთავაზეთ, ერთნაირი გასართობი როდი იქნება ჩვენთვის. გთხოვთ მომიტევოთ და, რადგან ვერაფერზე შევთანხმდით, დავშორდეთ ერთმანეთს.

— ძალიან ვწუხვარ, მუსიო შლემილ, რომ თქვენ ჯიუტად უარყოფთ იმ გარიგებას, რაც ასე მეგობრულად შემოგთავაზეთ. ეგებ შემდგომისათვის უფრო გამიმართლოს ბედმა. ნახვამდის! Apropos,* ნება დამრთეთ გიჩვენოთ, რომ შესყიდულ საგნებს ნიავსაც კი არ ვაკარებ.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჯიბიდან ჩემი ჩრდილი ამოიღო, ველზე მოხერხებულად გაშალა და მზის მხარეზე გაფენილი ჩრდილი საკუთარ ფეხებთან გაასწორა. ნაცრისფერფრაკიანი ახლა მიწაზე გაწოლილ ორ ჩრდილს — ჩემსა და საკუთარ ჩრდილს შორის იდგა... შემდეგ გაიარ-გამოიარა. ჩემი ჩრდილიც ისევე ემორჩილებოდა მის ყველა მოძრაობას, როგორც საკუთარი ჩრდილი. როცა ამდენი ხნის შემდეგ კვლავ ვიხილე ჩემი საბრალო ჩრდილი და თანაც ამ ვიგინდარას შეურაცხმყოფელ მორჩილებაში ვნახე სწორედ იმ დროს, როცა უჩრდილობის გამო ასეთ აუწერელ მწუხარებაში ვიმწყოფებოდი, გული შემეკუმშა და ქვითინი ამივარდა. ის საზიზღარი კი ჩემგან წაღებული ნადავლით თავს იწონებდა და თავისი ურცხვი წინადადება გამიმეორა.

— ჯერ კიდევ არაა გვიან, მხოლოდ კალმის ერთი მოსმა და საბრალო უბედური მინა იმ ბილწის ბრჭყალებიდან დიდად პატივცემულ ბატონ გრაფის მკლავებში მოხვდება, — მხოლოდ კალმის ერთი მოსმა.

ცრემლები ღაპა-ღუპით წამომივიდა. შევბრუნდი და ხელით ვანიშნე, — გამცილდი-მეთქი.

ჩემი ჯავრით დადარდიანებულმა ბენდელმა, რომელიც უკან გამომყოლოდა, სწორედ ამ დროს მომისწრო. ერთგულმა, მოკრძალებულმა მსახურმა შეამჩნია, რომ ვტიროდი. ბენდელმა ისიც დაინახა, რომ ჩემი ჩრდილი ნაცრისფერფრაკიანის ფერხთით გაშოტილიყო და მყისვე გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, პატრონისთვის დაებრუნებინა ჩრდილი, მაგრამ ბენდელმა არ იცოდა, როგორ მოპყრობოდა ასეთ ფაქიზ საგანს. ამიტომ მაშინვე იმ უცხობს შეუტია და ბოდიშების

გარეშე უბრძანა, ჩრდილი ახლავე პატრონს დაუბრუნეო. ნაცრისფერფრაკიანმა ბენდელი პასუხის ღირსიც არ გახადა, უდანაშაულო ყმაწვილს ზურგი შეაქცია და წავიდა. ბენდელი ფეხდაფეხ დაედევნა, ხეშავას კეტი მოიმარჯვა და რამდენჯერმე გაუმეორა, ჩრდილი პატრონს დაუბრუნეო. სიტყვამ რომ არ გასჭრა, მკლავის ძალაც აგრძნობინა. ნაცრისფერფრაკიანმა, გეგონებოდა, შეჩვეულიაო ასეთ ამბებს, თავი ბრებში ჩარგო, მოიკუზა, და სიტყვის უთქმელად, დინჯად განაგრძო გზა. წავიდა, თან ჩემი ჩრდილი და ერთგული მსახური გაიყოლა. ამ უკაცრიელ ადგილას კიდევ დიდხანს ისმოდა ცემა-ტყეპის ყრუ ხმა, ბოლოს ეს ბათქა-ბუთქიც მიწყდა. მე კი, ამ ჩემ უბედურებასთან ერთად კვლავ მარტო დავრჩი.

VI

ტრიალ მინდორში მარტო დარჩენილი გულამოსკვნით ავტირდი, რომ ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა საბრალო გულის აუწერელი ტკივილი. ვტიროდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი გამოსავალს, აღარ ვიცოდი რა მეღონა, არ ვიცოდი, როგორ დამეხსნა თავი ამ ენით უთქმელი მწუხარებისაგან და გაშმაგებული დავეწაფე იმ ახალ საწამლავს, უცნობმა რომ ჩემს ჭრილობაში ჩააწვეთა.

როცა ისევ მინაზე დავიწყე ფიქრი, თვალწინ ფერმიხდილი და თვალცრემლიანი საყვარელი არსება წარმომიდგა. ასეთი იყო მინა, როცა უკანასკნელად ვნახე, ჩემი შერცხვენის დღეს, მაგრამ ახლა, წარმომიდგა თუ არა თვალწინ, ჩვენს შორის უმალ რასკალის უტიფარი და მოურიდებელი ჩრდილი ჩადგა. სახეზე ხელები ავიფარე და უდაბური ადგილებისაკენ გავიჭერი, მაგრამ ის ამაზრზენი ხილვა არ მშორდებოდა, ყველგან თან მსდევდა, ვიდრე სუნთქვაშეკრული ძირს არ დავეცი და მიწა ცრემლთა ახალი ნაკადით არ დავალტე.

ამდენი ტანჯვა-ვაება ჩრდილის გამო შემხვდა! ეს ჩრდილი კი კალმის ერთი მოსმით შეიძლება უკანვე მიმეღო. ჩაეფიქრდი ამ უცნაურ წინადადებას და ჩემს უარს. მთელი ჩემი არსება სიცარიელეს მოეცვა. ჭკუა-გონება აღარ მეკითხებოდა.

დღე მიიწურა. შიშმილი ტყის ნაყოფით, წყურვილი კი იქვე მოჩხრიალე მთის ნაკადულით მოვიკალი. ჩამოღამდა. ერთი ხის ქვეშ მოვიკალათე. ძილი შფოთიანი მქონდა: საკუთარი

ხმა მესმოდა, — მომაკვდავივით ვხრიალებდი. ნოტიო დილამ გამაღვიძა. ბენდელმა ჩემი კვალი ალბათ დაკარგა. ამის გაფიქრებამ შვება მომგვარა. აღარ მსურდა დავბრუნებოდი ადამიანებს, რომელთაც მთის ფრთხილი ნადირის მსგავსად, დაშინებული გავურბოდი. ასე გავატარე სამი საშინელი ღამე.

მეოთხე დღეს მზით განათებულ, ქვიშიან ვაკეზე აღმოვჩნდი. ვიჯექი კლდის ნაშალზე და მზეს დანატრებული, ახლა სიამოვნებით ვეფიცხებოდი მის სხივებს. მშვიდად ველოლიავებოდი ჩემი გულის ტკივილს. უცებ რაღაც შარიშურმა შემაკრთო. გასაქცევად მოვემზადე და ირგვლივ მიმოვიხედე. ახლო-მახლო არავინ იყო, მზით განათებულ ქვიშაზე კი ადამიანის ჩრდილი დავლანდე, ჩემკენ მოეშურებოდა. ჩემი ჩრდილი არ უნდა ყოფილიყო; ვიფიქრე, ეტყობა პატრონს გამოექცა და მარტოდმარტო დაეხეტება-მეთქი.

უცებ ჩრდილის დაჭერა მოვინდომე. ამ სურვილმა ლამის გამაშმაგა და გულში ვთქვი: „ჩრდილო, ჩრდილო, შენს პატრონს ხომ არ დაეძებ? მოდი, მე ვიქნები-მეთქი შენი პატრონი“. მერე კი, ჩრდილი რომ ხელში ჩამეგდო, ადგილიდან ვისკუპე, თან ვფიქრობდი: თუ მოვახერხებ და ჩრდილს ისე დავადგამ ფეხს, რომ ჩემს ტანს მოერგოს, მაშინ შეიძლება შემრჩეს და დროთა გითარებაში კიდეც შემეჩვიოს-მეთქი.

როგორც კი მისკენ წავიწიე, ჩრდილი გამექცა. ძალდაუტანებლად გარბოდა, მე ხვნეშა-ხვნეშით მივდევდი უკან და იმის ფიქრი, შეიძლება თავი ვიხსნა-მეთქი, ძალას მმატებდა. ჩრდილი შორი-ახლო მდებარე ტყისაკენ გარბოდა, სადაც რასაკვირველია, თვალს მიეფარებოდა. ამას რომ მივხვდი, გულმა რეჩხი მიყო, და ფრთებშესხმულივით გავქანდი. ბოლოს წამოვეწიე და ხელმისაწვდომზე მივუახლოვდი. ჩრდილი უცბად შედგა და ჩემკენ შემობრუნდა. მეც ვისკუპე და ისე ვეცი, ლომი რომ თავის მსხვერპლს მივარდება ხოლმე. მინდოდა ჩრდილი ხელში ჩამეგდო, მაგრამ მოულოდნელად რაღაც მაგარ საგანს წავაწყდი. ფერდში ისეთი ძლიერი დარტყმა ვიგემე, — კაციშვილს არ მოხვედრია ჯერ.

ტანში შიშმა დამიარა და აცახცახებული ორივე ხელი მარწუხივით შემოვხვიე ჩემს წინ მდგომ უხილავ არსებას. მოძრაობა ისეთი მკვეთრი გამომივიდა, მიწაზე გავიშოტე. ჩემს

ქვეშ ვიღაც კაცი მოჰყვა. დღის სინათლეზე კაცი თანდათან საცნაური ხდებოდა.

ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. ამ კაცს უჩინმაჩინის ქუდი ეხურა თავზე, როცა ამ ქუდს დაიხურავ, უხილავი ხდები, თუნცა ჩრდილი მაინც დაგყვება. სირბილის დროს, ეტყობა, ქუდი გადასძვრა. მიმოვიხედე და ქუდის ჩრდილი დავინახე. ზეზე წამოვხტი, ვეცი და ძვირფასი ნადავლი ხელში ჩავიგდე. აქამდე ხომ ჩრდილი არ მქონდა, ახლა უხილავიც შევიქენი — თავზე უჩინმაჩინის ქუდი მეხურა. კაცი უცბად ზეზე წამოიჭრა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება, რომ თავისი ბედნიერი დამმარცხებელი დაენახა, მაგრამ მზით განათებულ ვაკეზე ვერც კაცი შეამჩნია და ვერც მისი ჩრდილი. უჩვეულოდ შეშინებული ყურს უგდებდა ყოველ ჩქამს. ის ამბავი, რომ ჩრდილი არ მქონდა, ადრე ვერ შეემჩნია. წარმოდგენითაც რას წარმოიდგენდა ამას. ხოლო როცა დარწმუნდა, ვეღარ ვიპოვნიო, სასოწარკვეთილმა თმის გლეჯა დაიწყო. მე კი, ასეთი ნადავლის პატრონს ახლა უკვე შემეძლო და სურვილიც გამიჩნდა, კვლავ გავრეულიყავი ადამიანებში. საიმისო მიზეზი ბევრი მქონდა, რომ ეს უმსგავსო ძარცვა გამემართლებინა საკუთარი თავის წინაშე, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ასეთი რამ არც მჭირდებოდა. მსგავსი აზრები რომ თავიდან მომეშორებინა, ჩემი გზით გავწიე. იმ უბედურისაკენ კი ერთხელაც აღარ მიმიხედავს, თუმცა, მისი შესაბრალისი გოდება კიდევ დიდხანს მესმოდა. ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა მაშინ ყველაფერი.

ერთი სული მქონდა, როდის მივაღწევდი მეტყევის ბაღს, რომ საკუთარი თვალით მენახა იმ ბილწის მიერ გადმოცემული ამბავი. მაგრამ არ ვიცოდი, იმჟამად სად ვიმყოფებოდი. მიდამოს დასათვალიერებლად უახლოეს ბორცვზე ავედი. აქედან დავინახე, რომ პატარა ქალაქიცა და მეტყევის ბაღიც აქვე იყო, სულ ახლოს. გული ამიძგერდა და თვალზე ცრემლები მომადგა. მაგრამ ეს ცრემლი ადრინდელს არ ჰგავდა, მე ხომ კვლავ ვნახავდი მინას! მისი ნახვის წადილმა ნაბიჯი ამაჩქარებინა და მეც უმოკლესი ბილიკით თავქვე დავეშვი, თუმცა, ეს კია, გულში მაინც რაღაცის მეშინოდა. შეუმჩნეველად ჩავუარე გლეხებს, რომლებიც ბაზრიდან ბრუნდებოდნენ. ჩემზე, რასკვლია და მეტყევეზე ლაპარაკობდნენ. არაფრის გაგონება არ მინდოდა და გლეხებს გვერდი ავუარე.

ბაღში რომ შევედი, ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. უცებ ყურში სიცილი ჩამესმა. ტანში შემზარა და სწრაფად მიმოვიხედე ახლო-მახლო არავინ ჩანდა. გზა გავაგრძელე. ისე მომეჩვენა, თითქოს ვიღაცა მომყვებოდა მხარდამხარ, მაგრამ დანახვით ვერავის ვხედავდი. ვიფიქრე, ყურმა მომატყუაო. მეთქი. ჯერ ისევ ადრე იყო. გრაფი პეტერის ფანჩატურში არავინ ჩანდა, არც ბაღში იყო ვინმე. ნაცნობი ბილიკები სწრაფად გავიარე და სახლს მივადექი. წეღანდელი ხმაური ახლა უფრო მკაფიოდ ჩამესმა. შიშისაგან ათრთოლებული, სახლის პირდაპირ, მზიან ადგილას დადგმულ მერხზე ჩამოვჯექი. შერე მომეჩვენა, თითქოს ვიღაც მომიჯდა გვერდით, მომერვენა ისიც, — ვიღაც ურცხვი კობოლდი დამცინის მეთქი. ბოლოს გასაღების ჩხაკუნი მომესმა. კარი გაიღო და მეტყევე გარეთ გამოვიდა. ხელში ქაღალდები ეჭირა, უცბად ვიგრძენი, რომ გონება დამენისლა. უკან მივიხედე და ჰოი, საშინელებავ! ჩემს გვერდით ნაცრისფერფრაკიანი იჯდა და სატანური ღიმილით შემომცქეროდა. ნაცრისფერფრაკიანმა თავისი უჩინმაჩინის ქუდი მეც დამახურა. მის ფერხთით ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდად გაწოლილიყო ჩემი და მისი ჩრდილები. იგი დაუდევრად ათამაშებდა ხელში ჩემთვის ნაცნობ პერგამენტს. ვიდრე მეტყევე ქაღალდებს ათვალიერებდა და ფანჩატურის ჩრდილში წინ და უკან დადიოდა, ნაცრისფერფრაკიანი ჩემკენ დაიხარა და ყურში სანდომიანი ხმით წამჩურჩულა:

— ასე და ამგვარად, თქვენ მაინც მიიღეთ ჩემი წინადადება და ახლა ორ ადამიანს ერთი უჩინმაჩინის ქუდი გვაბურავს. აი ეს მომწონს, კარგია, კარგი! ახლა კი, ეგ ჩემი ქუდიც დამიბრუნეთ, მაინც აღარ გჭირდებათ, მითუმეტეს ისეთი პატიოსანი კაცი ბრძანდებით, ძალით არ წამართმევთ. არა, მადლობის თქმა სულაც არაა საჭირო, მერწმუნეთ, ალალი გულით გათხოვეთ.

ნაცრისფერფრაკიანმა უნდობლად ჩამომართვა უჩინმაჩინის ქუდი, ჯიბეში ჩაიდო და დამცინავად გადაიხარხარა, ამჯერად ისე ხმამაღლა გაიცინა, მებაღემ ჩვენკენ მოიხედა. მე გაქვავებული ვიჯექი სკამზე.

— გამოტყდით, — განაგრძო მან, — რომ ასეთი ქუდი ძალიან კარგი რამეა. მარტო პატრონს კი არ გააუჩინარებს, არამედ მის ჩრდილსაც და კიდევ იმდენ კაცს, რამდენსაც

თან იახლებ. აი, ხომ ხედავთ, ამ ჭუდმა დღეს ორი ადამიანი გახადა უხილავი.

ნაცრისფერფრაკიანმა გაიცინა და კვლავ განაგრძო:

— ერთი რამ გახსოვდეთ, შლემილ! რასაც კაცი ნებით არ გააკეთებს, ძალით გააკეთებინებენ. ვფიქრობ, მაინც გამოისყიდით იმ თქვენს ჩრდილს, დაიბრუნებთ საცოლეს (რადგან ჯერ კიდევ გვიან არ არის), ხოლო რასკალს ხეზე ჩამოვკიდებთ. ამის გაკეთება არ გაგვიჭირდება — თოკს ყველგან იშოვის კაცი. ჩრდილს ჩრდილად დაიბრუნებთ და ამასთან ერთად, თუ გნებავთ, უჩინმაჩინის ჭუდსაც დაგითმობთ.

ამასობაში დედაც გამოვიდა გარეთ და ცოლ-ქმარმა საუბარი გააბა:

— მინა რას შვრება?

— ტირის.

— რამ გაასულელა? ტირილით რას უშველის!

— რა თქმა უნდა, ვერაფერს უშველის, მაგრამ ასე უცბად ახლა სხვა კაცზე გათხოვება... ეჰ, ადამიანო, სულ არ გეცოდება საკუთარი შვილი.

— არა, ჩემო კარგო, კარგად ვერ გაგიგია. როცა ბიბა თავისი ბავშვური ცრემლებით გამოიტირებს თავის სიყვარულს და ნახავს, რომ მდიდარი და პატივცემული მამაკაცის ცოლი გახდა, დამშვიდდება, ეს მწუხარება სიზმრად მოეჩვენება, და ღმერთსა და ჩვენ მადლობას შემოგვწირავს. აი, ნახავ, თუ ასე არ იქნება!

— ღმერთმა ინებოს!

— მართალია, ჩვენს ქალიშვილს ახლა მშვენიერი მამულები აქვს, მაგრამ მთელი იმ უსიამოვნების გადამკიდე ხომ არ ფიქრობ, რომ დღესვე ნახავ ბატონ რასკალისნაირ შეხაფერ სასიძოს? მარტო ჩვენს მხარეში ექვსი მილიონის დაუბეგრავი მამულები შეიძინა, ნაღდი გადაუხდია. საბუთები საკუთარი თვალით ვნახე. ეს ხომ ის კაცია, ვინც თვალსა და ხელს შუა მაცლიდა ყველა კარგ მამულს, როცა მეც დავდიოდი მამულების საყიდლად, ამას გარდა, თომას ჯონისგან დაახლოებით ოთხ-ნახევარი მილიონის თამასუქი აქვს.

— კარგა ბლომად კი მოუპარავს.

— აბა, ეგ რა ლაპარაკია! კაცმა ჭკვიანურად დაზოგა, როცა სხვები ქონებას ანიავებდნენ.

— ეგ მაინც ის კაცია, ვისაც ლივრეა ეცვა.
— სულელო! სამაგიეროდ უზადო ჩრდილი აქვს.
— მართალი კი ხარ, მაგრამ...

ნაცრისფერფრაკიანმა გაიცინა და შემომხედა. მერე სახლის კარი გაიღო და ბაღში მინა გამოჩნდა. ქალიშვილი მსახური ქალის მკლავს ეყრდნობოდა, მშვენიერსა და ფერმკრთალ სახეზე ჩუმი ცრემლები ჩამოსდიოდა. ცაცხვის ჩრდილში სავარძელი დაუდგეს და მინაც დაჯდა. მამა გვერდით მიუჯდა, ნაზად მოჰკიდა ხელზე ხელი და ალერსიანად შეუდგა შვილის დარიგებას, მინამ კი ტირილს უმატა.

— ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო, ჭკვიანი გოგონა ხარ და გულს არ მოუკლავ შენს მოხუც მამას. მე ხომ შენი ბედნიერება მსურს. მესმის, ჩემო სიხარულო, როგორც იმოქმედა შენზე ამ ამბავმა, შემთხვევით გადაურჩი უბედურებას! ვიდრე იმ ურცხვი მატყუარას ამბავს გავიგებდით, იგი ხომ ჩვენც ძალზე გვიყვარდა. ყველაფერი მესმის და იმიტომ არ გსაყვედურობ. თვითონაც მიყვარდა, ვიდრე კეთილშობილი წარმოშობის კაცად ვთვლიდი. მაგრამ ახლა ხომ ხედავ, როგორ შეტრიალდა საქმე. აბა წარმოიდგინე, ძაღლი რომ ძაღლია, იმასაც თავისი ჩრდილი აქვს. ჩემი ერთადერთი, საყვარელი შვილი კი უნდა გაჰყოლოდა კაცს... არა, შენ ამას აღარც ფიქრობ. მომისმინე, მინა. ახლა შენს ხელს მთხოვს კაცი, რომელსაც მზისა არ ეშინია. პატივცემული ადამიანია, მართალია, თავადიშვილი არ არის, მაგრამ ათი მილიონის ქონება აქვს, ეს ათჯერ მეტია შენს ქონებაზე. ამ კაცთან ბედნიერი იქნები, ჩემო საყვარელო. ნუ შემეპასუხები, წინააღმდეგობას ნუ გამიწევ, იყავ კეთილი, დამჯერი გოგონა, ხოლო შენზე ზრუნვა მამას მიანდე, ცრემლებსაც ის ამოგიშრობს! აღმითქვი, რომ ბატონ რასკალზე გათხოვდები. მითხარი, მპირდები თუ არა?..

მინამ ჩამკვდარი ხმით უპასუხა:

— ამ ქვეყნად საკუთარი ნება და სურვილი აღარ გამაჩნია. დაე, აღსრულდეს, რაც მამაჩემს სურს.

ზუსტად იმ წამს ოჯახის წევრებს ბატონ რასკალის მოსვლა აცნობეს და ისიც უტიფარი იერით გამოცხადდა. მინას გული წაუვიდა. ჩემმა საზიზღარმა თანამგზავრმა გაჯავრებით შეიხმხედა და სწრაფად ჩამჩურჩულა:

— და თქვენ ამ ამბავს გულდამშვიდებული უმზერთ? სისხლი გიდუღთ ძარღვებში თუ რა? — მერე სწრაფად გამოკაწრა ხელი, წამომდგა სისხლი, თვითონ კი განაგრძო: — ო, თურმე სისხლი გქონიათ, წითელი სისხლი! აბა, მოაწერეთ!

ეს თქვა და ხელში პერგამენტი და კალამი შემაჩეჩა.

VII

შენს განაჩენს, საყვარელო შამისო, დავემორჩილები და თავის მართლებას არ მოვყვები. კარგა ხანია თვითონვე მკაცრად დავისაჯე თავი, — ჩემი გულის მღრღნელი ჰყია საკუთარი სისხლით ვკვებე. მეხსიერებაში შემდგომ წარამარა ამოტივტივდებოდა ხოლმე ჩემი ცხოვრების საბედისწერო წუთი და ამ წუთთან დაკავშირებულ განცდებს მხოლოდ მორჩილებითა და მონანიებით ვუმზერდი. გულითადო მეგობარო, ვინც სწორი გზიდან თუნდაც ერთხელ გადაუხვევს, უნებლიეთ ისეთ გზას დაადგება, რომელიც სულ უფრო და უფრო დააშორებს ჭეშმარიტებას. გზასაცდენილი ასეთი კაცი სულ ტყუილად დაიწყებს თავისი მანათობელი ვარსკვლავის ძებნას. ასეთ კაცს არჩევანის საშუალება აღარ აქვს, იგი შეუჩერებლად დაეშვება უფსკრულში და ნემეზიდას* თვითონვე ემსხვერპლება. იმ აჩქარებული და დაუფიქრებელი ნაბიჯის შემდეგ, ღვთის რისხვად რომ მომევლინა, სიყვარულითაც ცოდვა ჩავიდინე, რადგან სხვა ადამიანსაც მოვუშხამე სიცოცხლე. რაღა უნდა მექნა იმის გარდა, რომ თავაღებით მივვარდნილიყავი ჩემგან გაუბედურებულ ადამიანს, ვინაც შველას ელოდა ჩემგან და მეშველა, რადგან ამასობაში უკანასკნელმა წუთმა ჩამოჰკრა. ნუ იფიქრებ ჩემზე უკადრისად, ჩემო ადალბერტ, არ იფიქრო, თითქოს საფასური მეძვირა. ახლაც არაფერს დავიშურებდი, არ დავიშურებდი არც ოქროს, არც სხვა სიმდიდრეს. საქმე ის იყო, რომ იმ უცნობი გაიძვერას მიმართ, რომელიც გზებს მიხვლანჯავდა ყველგან, დაუძლეველი ზიზღით აღვივსე. შეიძლება უსამართლოდაც მოვექეცი, მაგრამ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა მაღშფოთებდა. ახლაც ისევე მოხდა, როგორც სხვა დროს მომხდარა ჩემს ცხოვრებაში, მოხდა ისევე, როგორც საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში ხდება ხოლმე: შემთხვევამ ხელი ამაღებინა განზრახვაზე. მოგვიანებით ჩემს თავს თვითონვე შევურიგდი. უპირველესად ვისწავლე აუცილებლობის წინაშე ქედის მოხრა, და მართლაც, რა არის აღს-

რულებულ ამბავზე, მომხდარ შემთხვევაზე უფრო მნიშვნელოვანი? შემდგომ ვისწავლე გარდაუვალის, — ამ გონივრული განგების პატივისცემა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ბედ-იღბლის ჩარხი, ის უზარმაზარი მანქანა, სადაც ჩვენ მხოლოდ ჩვენივე მამოძრავებელი ბორბლების მართვას ვუწყობთ ხელს. რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს, რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა კიდეც, მაგრამ ყოველივე ეს არ მომხდარა იმ განგების გარეშე, რომლის პატივისცემა, ბოლოს და ბოლოს, ვისწავლე როგორც საკუთარი, ისე იმ ადამიანთა ბედ-იღბლის მაგალითზე, ვინც ჩემს ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული.

არ ვიცი, რას მივაწერო, რაც შემდეგ მოხდა — იყო ეს ჩემი სულიერი დაძაბულობის თუ იმ ფიზიკური დაუძლურების ბრალი, რაც უკანასკნელ დღეებში უჩვეულო გაჭირვებას მოყვა. არ ვიცი, შეიძლება იმ ნაცრისფერ უწმინდურობასთან ურთიერთობამ აღმაშფოთა და გონება ამირია, მაგრამ, როცა საქმე ხელის მოწერაზე მიდგა, გული შემიღონდა და დიდხანს ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს სიკვდილის პირზე ვყოფილიყავი. გონს რომ მოვეგე, ნაბიჯების ხმა და წყევლა-კრულვა ჩამესმა. თვალები გავახილე. დაღამებულიყო. ჩემი საძულველი თანამგზავრი ლანძღვა-გინებით თავს დამტრიალებდა.

— ეს ვის გადავეყარე, რა დედაბერივით დაჩაჩანაკებული კაცი ყოფილა! აბა, ფეხზე წამოხტით და შეასრულეთ დანაპირები. ან ეგებ გადათქვით და ახლა წუწუნით ამიკლებთ?

რის ვაი-ვაგლახით წამოვდექი და ხმის ამოუღებლად ირგვლივ მიმოვიხედე. გვიანი საღამო იყო. გაჩახჩახებული მეტყევის ბაღიდან მხიარული მუსიკა ისმოდა. ბაღის ბილიკებზე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდა. ერთი წყვილი სულ ახლოს მოვიდა ჩვენთან და იმ სკამზე დაჯდა, წელან რომ ვიჯექი. ისინი მდიდარ ბატონ რასკალისა და მინას ამდილანდელ ნიშნობაზე ლაპარაკობდნენ. მაშასადამე, მოსახდენი მომხდარიყო.

თავიდან მოვიძრე უჩინმაჩინის ქუდი, და იმავე წამს ნაცრისფერფრაკიანიც თვალთაგან გაქრა. ხმა არ ამომიღია, გრაფ პეტერის ფანჩატურს ჩაუარე და ბაღის გასასვლელისკენ გავეშურე. ბილიკ-ბილიკ მივდიოდი, გზადაგზა სიბნელეში ჩაძირულ ბუჩქებს ვეფარებოდი. ჩემ ჯალათს კი უჩინმაჩინის ქუდი ჩამოეფხატა თავზე, ფეხდაფეხ მომდევდა და ყურში ჩამჩხაოდა:

— ასე მიხდით მადლობას იმის გამო, რომ მთელი დღე ნერვებდასუსტებულ ბატონს გადაგყევით, არა? იცეკვე ახლა ამ სულელის დაკრულზე! კარგი და კეთილი, თავნებავ, ირბინეთ რამდენიც გინდათ, მაინც ვერსად წამიხვალთ, ჩვენ ხომ განუყრელები ვართ: თქვენ ჩემი ოქრო გაქვთ, მე თქვენი ჩრდილი. ამიტომ ვერც ერთს ვერ მოგვისვენია. გაგონილა სადმე, რომ ჩრდილი მის პატრონს ჩამორჩენოდეს? თქვენი ჩრდილი სულ თქვენს კვალში მატარებს, სანამ არ ინებებთ და არ დაიბრუნებთ. რასაც ახლა არ აკეთებთ საკუთარი ნება-სურვილით, იმას მოგვიანებით მაინც გააკეთებთ ჯავრისა და მოწყენილობის გამო — ბედს ხომ ვერსად გაექცევით!

ასეთი საუბარი მას არ შეუწყვეტია, მე გავრბოდი, მაგრამ ამაოდ, ნაცრისფერფრაკიანი ერთი ნაბიჯითაც არ ჩამომრჩენია და გამწარდავი ხმით სულ ოქროზე და ჩრდილზე ლაპარაკობდა. აღარაფრის თავი არ მქონდა, დაცარიელებული ქუჩებით სახლისკენ გავეშურე. სახლს რომ მივაღწიე, შევდექი და შევათვალიერე: ძლივს ვიცანი ჩემი ფანჯრებჩალეწილი სახლი, რომელიც უკუნეთს მოეცვა, ყველა კარი დაეკეტათ, მოსამსახურეთა ბაიბური აღარ ისმოდა. უცბად ზედ ჩემს ყურთან ხარხარი გაისმა:

— ესეც ასე, ასე მოგიხდებათ! თქვენი ბენდელი კი ისევ სახლში დაგიხვდებათ, ის უბედური ახლახან დაბრუნდა შინ. ისეა გატანჯული, გარეთ ვეღარ გამოდის. — ნაცრისფერფრაკიანმა კვლავ გადაიხარხარა. — აბა ის მოგიყვებათ კარგ ამბებს, აი! ასე იყოს! დღეისათვის კარგად ბრძანდებოდეთ! ნახვამდის, ნახვამდის!

რამდენჯერმე დავრეკე. სახლში შუქი აინთო. ბენდელმა იკითხა, ვინ რეკავსო. როცა კეთილმა ბენდელმა ჩემი ხმა გაიგონა, სიხარული ძლივს დაფარა. კარი უცბად გამოგლიჯა და ატირებულები ერთმანეთს ჩავეხვიეთ. მთლად შეცვლილიყო, დასნეულებული და მოჭანცული ჩანდა, მე კი მთლად გამთეთრებოდა თმა.

ბენდელმა გაძარცულ ოთახებში გამატარა და უენებლად გადარჩენილ ოთახში შემიყვანა. სასმელ-საჭმელი შემოიტანა, დავსხედით. ბენდელმა კვლავ ტირილი დაიწყო. შემდეგ მომიყვა, რომ იმ ნაცრისფერ, გამხდარ კაცს, ვისაც ჩემი ჩრდილი ჰქონდა, თურმე იმდენი ურტყა, რომ ბოლოს ჩემი კვალი

დაუკარგავს და არაქათგამოცლილი მიწაზე დაცემულა. შემდეგ რაკილა ვეღარსად მნახა, ისევ შინ დაბრუნებულა. სულ მალე სახლში რასკალის მიერ წაქეზებული ბრბო შემოჭრილა, ფანჯრები ჩაულეწიათ და ნგრევის ჟინი დაუკმაყოფილებიათ. ასე გადაუხადეს სამაგიერო თავიანთ კეთილისმყოფელს. ჩემი მსახურები გაფანტულან, ადგილობრივმა პოლიციამ კი, როგორც საეკვო პიროვნებას, ამიკრძალა ქალაქში ყოფნა და წინადადება მომცა 24 საათში დამეტოვებინა იქაურობა. რასკალის გამდიდრების, მისი და მინას ნიშნობის ამბავი უკვე ვიცოდი. ბენდელმა სხვა ამბებიც მითხრა. იმ ბილწმა რასკალმა, რომელმაც ამდენ უსიამოვნებას გადამყარა, ეტყობა იმთავითვე გაიგო ჩემი საიდუმლოება. ალბათ ოქრომ მოხიბლა, ჩემი ნდობა მოიპოვა და პირველსავე დღეებში ხელთ იგდო სეიფის გასაღები, — ისეთი ქონება დააგროვა, სიკვდილამდე ეყოფოდა.

მიყვებოდა ბენდელი ნანახსა და განცდილს, თან სიმწრის ცრემლები ნაკადულად ჩამოსდიოდა. მერე სიხარულისაგან ატირდა, ატირდა, რაკი ისევ მნახა, რაკი კვლავ ჩემთან იყო, უხაროდა, რადგან ჩემი ნახვის იმედი კარგა ხანია დაკარგული ჰქონდა. ახლა ბენდელის თვალში ისევ მხნედ გამოვიყურებოდი. დიახ, ასე იცვალა იერი ჩემმა სასოწარკვეთილებამ. ჩემი უბედურება იმდენად შემზარავი მეჩვენებოდა, ვფიქრობდი, აღარაფერი მეშველება-მეთქი, იმდენი ცხარე ცრემლი დავღვარე, ახლა ხმასაც ვერ ვიღებდი. გულგრილად და აღუშფოთებლად მივანდე უბედურებას ჩემი იმედდაკარგული თავი.

— ბენდელ, — დავიწყე მე, — კარგად მოგეხსენება ჩემი ბედის ამბავი. ეს მძიმე სასჯელი წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო მხვდა წილად. შენ კი, უდანაშაულო კაცი, ნუღარ დამიკავშირებ შენს ბედს. არ მსურს. შემიკაზმე ცხენი. ამაღამვე უნდა გავემგზავრო, გავემგზავრები მარტო, შენ კი დარჩი, ასე აჯობებს. აქ ალბათ კიდევ არის რამდენიმე ყუთი ოქრო, შენთვის დაიტოვე. მე ამ ქვეყნად მარტოდმარტო ვიხეტიალებ. მაგრამ თუ კი ცხოვრებაში ბედი კვლავ გამიღიმებს, ერთი ნათელი სხივი მაინც თუ გამომინათებს, გავიხსენებ შენს თავდადებას, რადგან მძიმე წუთებში მრავალჯერ მ~ტირია შენს ერთგულ მკერდზე.

სულის სიღრმემდე შეძრწუნებული ბენდელი იძულებული გახდა გულისტკივილით დამორჩილებოდა თავისი ბატონის უკანასკნელ ბრძანებას.

რა არ მითხრა, როგორ არ მემუდარა, მაგრამ ყური არ ვათხოვე და არც მისი ცრემლები ჩავაგდე რამედ. ბენდელმა ცხენი მომგვარა. ატირებული მსახური ერთხელაც ჩავიხუტე გულში, ცხენს მოვახტი და ღამის საბურველში გახვეული, ჩემი ცხოვრების სამარეს გავცილდი. სულ არ დავეძებდი, საით წამიყვანდა ცხენი, რადგან ამ ქვეყნად არც მიზანი მქონდა, არც სურვილი და აღარც იმედი გამაჩნდა.

VIII

მალე ქვეითად მომავალ მგზავრს წამოვეწიე. ერთ ხანს მგზავრი ჩემი ცხენის გვერდით მოაბიჯებდა. რაკი ჩემი გზა ჰქონდა, მთხოვა, თუ შეიძლება პალტო უნაგირს უკან მომითავსეთო. თხოვნა უსიტყვოდ აღვუსრულე. ამ პატარა სამსახურისათვის თავი ოდნავ დამიკრა — მადლობა გადამიხადა, შეაქო ჩემი ცხენი, ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით, რათა მდიდრების ბედი და ძლევამოსილება პატივით შეემკო და არ ვიცი, როგორ მოხდა, ბოლოს თავისთვის დაიწყო საუბარი. მე მხოლოდ მისი მსმენელი ვიყავი.

მგზავრმა ჯერ ვრცლად გამოთქვა თავისი აზრი ცხოვრებასა და სამყაროზე. მერე მეტაფიზიკაზე დაიწყო საუბარი, რომლის დანიშნულებაც იმ სიტყვის პოვნა უნდა იყოს, ნებისმიერ გამოცანას რომ ამოხსნისო. ეს გამოცანა მან ძალზე ნათლად ჩამოაყალიბა და შემდგომ განმარტა კიდეც.

შენ მაინც იცი, ჩემო მეგობარო, რომ მას შემდეგ, რაც ფილოსოფოსების ლექციები მოვისმინე, მიეხვედი, ფილოსოფიური ჭვრეტისთვის არ გამოვდგებოდი და ამ სფეროს სრულიად ჩამოვცილდი. მას შემდეგ ათას რამეზე ავიღე ხელი, უარი ვთქვი შემესწავლა და გამეგო ბევრი რამ და როგორც თვითონ მირჩიე, ჩემს ჭეშმარიტ არსს მივენდე, მიენდე ჩემს შინაგან ხმას და ვცდილობდი საკუთარ გზას დავდგომოდი. ახლა კი ისე მეჩვენებოდა, თითქოს ეს ოქროპირი დიდი ხელოვნებით აგებდა მტკიცედ შეკრულ შენობას, რომელსაც თავისსავე წიაღი, თავისსავე საფუძველი ასაზრდოებდა. ამ ნაშენის ამოყვანა თითქოს და რაღაც იდუმალი აუცი-

ლებლობით იყო ნაკარნახევი და ისიც სულ ზევით და ზევით მიიწევდა. მაგრამ ამ ნაშენში სწორედ იმას ვერ ვხედავდი, რასაც ვეძებდი. ამრიგად, ეს შენობა იყო მხოლოდ ხელოვნების ნიმუში, რომლის ნატიფი სრულყოფილება და სილამაზე მხოლოდ თვალს იტაცებდა. მიუხედავად ამისა, სიამოვნებით ვუსმენდი ამ ოქროპირს, ვინც ჩემი ყურადღება მიიქცია და უამურ ფიქრებს თავი ამარიდებინა. ალბათ სიამოვნებით დავყვებოდი მის ნება-სურვილს, მგზავრს რომ ჩემი გულის სიმებზეც ისევე ემოქმედა, როგორც ჩემს გონებაზე მოქმედებდა.

ამასობაში დროც გაილია და აისმა ცისკიდური შეფაკლა. როცა ზევით ავიხედე და აღმოსავლეთით მზის ამოსვლის მაუწყებელი დიდებული ნაირფერებით აელვარებული ჰორიზონტი დავინახე, შევკრთი, რადგან ეს ის დრო იყო, საგანთა ჩრდილები მთელი თავიანთი სიგრძით რომ იწონებენ თავს, ტრიალ მინდორზე კი არსად მოჩანდა თავშესაფარი. მარტოც რომ არ ვიყავი! ჩემს თანამგზავრს შეეხედე და კიდევ უფრო მეტად შემეშინდა: ისევ ის კაცი იყო, ნაცრისფერფრაკიანი!

შეშინებული რომ დამინახა, ნაცრისფერფრაკიანმა გაიღიმა და ლაპარაკი ისევ თვითონ დაიწყო, მე კი ხმის ამოღების საშუალება არ მომცა.

— დაე, როგორც ამ ქვეყნის წესია, ცოტა ხნით მაინც გამოვადგეთ ურთიერთს, ერთმანეთთან დაშორებას ყოველთვის მოვასწრებთ. თუ წინდახედულად განსჯით, ამ გზით მოგიწევთ სიარული, თუმცა, ამ საკითხზე, ეტყობა, ჯერ არ დაფიქრებულხართ. ეს გზა ამ მხარეში ერთადერთია, მთებს გასდევს. ასე და ამრიგად, ბარში ვერ ჩახვალთ, ხოლო მთებში დაბრუნებას, საიდანაც მოდიხართ, თვითონვე არ მოისურვებთ. აი, მეც სწორედ იქითკენ მაქვს გზა. შეგატყვეთ, როგორ გაფითრდით, მზე რომ ამოვიდა. ვიდრე ერთად ვიმგზავრებთ, მე გათხოვებთ თქვენს ჩრდილს, თქვენ კი როგორმე უნდა შემეგუოთ. ბენდელი ხომ მაინც არ გყავთ თან, მის მაგივრობას მე გაგიწევთ. სამწუხაროა, რომ არ გიყვარვართ, მაგრამ მაინც მიმიღეთ და მიმსახურეთ. ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ფიქრობენ. მართალია, გუშინ გამაბრაზეთ, მაგრამ ის ამბავი აღარც კი მახსოვს. ამასთანავე, აკი თავადაც დარწმუნდით, ჩემი საუბრებით ისე გაგართეთ, ერთიორად შეგიმოკ-

ლეთ გზა. აბა, ინებეთ ეს თქვენი ჩრდილი და ტანზე მოირგეთ.

მზე ამოვიდა. გზაზე მგზავრები გვხვდებოდნენ. მისი წინადადება მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი სულით ხორცამდე მძულდა. ნაცრისფერფრაკიანმა გაიღიმა, მიწაზე ჩემი ჩრდილი გაშალა, რომელმაც მაშინვე დაიკავა თავისი ადგილი — მიუსკუპდა ცხენის ჩრდილს და გალაღებული ამედევნა. უცნაური გრძნობა დამეუფლა. ჩავუარე გლეხების ერთ ჯგუფს. გლეხებმა ქუდი მოიხადეს და მე, მდიდარ ბატონს, მოწიწებით დამითმეს გზა. მივუყვებოდით შარას და ლამის თვალებით ვეჭამდი, გულის ფანცქალით შევყურებდი ერთ დროს ჩემეულ ჩრდილს, რომელიც ახლა ვიღაც გადამთიელისაგან, ჩემი მოსისხლე მტრისაგან მქონდა ნათხოვარი.

ნაცრისფერფრაკიანი გვერდით მომყვებოდა და უდარდელად უსტვენდა. ის ფეხით მოდიოდა, მე ცხენზე ვიჯექი. ცდუნებამ თავბრუ დამახვია: აღვირს მივუშვი, ცხენს დეზები შემოვარტყი და დაოთხილი ცხენი სხვა გზაზე გავიყვანე. მაგრამ ჩემი ჩრდილი ვერ გავიტაცე: მოსახვევში ეს ჩემი ჩრდილი ცხენის ჩრდილიდან ჩამოცურდა და თავის კანონიერ მფლობელს დაელოდა. შერცხვენილი და გაწბილებული, იძულებული გავხდი უკანვე მიმებრუნებულიყავი. ნაცრისფერფრაკიანმა, ვითომც არაფერი მომხდარაო, — სტვენაც არ შეუწყვეტია, დაცინვით გამომხედა, ჩრდილი კვლავ მომარგო ტანზე და დამარიგა, — ჩრდილი მხოლოდ მაშინ დარჩება თქვენთან, როცა მისი კანონიერი მფლობელი გახდებითო. შემდეგ განაგრძო:

— თქვენივე ჩრდილით საიმედოდ მყავხართ დაჭერილი, ვერსად გამექცევით. თქვენისთანა მდიდარი კაცისათვის ჩრდილი აუცილებელია, რას იზამთ, ასეა. თქვენ მხოლოდ ისა გაქვთ სასაყვედურო, რომ ეს ამბავი ადრე ვერ გაითვალისწინეთ.

ისევ ძველ გზას დავადექი. ახლა კვლავაც შემეძლო მესარგებლა ფუფუნებით და დიდებით, აღარ ვიყავი შებოჭილი, რაკიღა ჩრდილი თან მომდევდა, თუმცა ეს ჩრდილი ცოტა ხნით მათხოვეს. ყოველ ნაბიჯზე ისეთი პატივით მეგებებოდნენ, ამა ქვეყნის ძლიერთ რომ ხვდებიან ხოლმე, მაგრამ გულში სამსალა მქონდა. ჩემი უცნაური გამცილებელი,

რომელიც საკუთარ თავს ყველაზე მდიდარი კაცის უღირს მსახურად ასაღებდა, განსაკუთრებული თავაზიანობით მემსახურებოდა. ზომაზე მეტად მოხერხებული და უნარიანი იყო. ამასთანავე ჯიბესქელი კაცის კამერდინერის ჭეშმარიტ განსახიერებას წარმოადგენდა, მაგრამ გვერდიდან არ მცილდებოდა, თან გაუთავებლად მეჩიჩინებოდა: დარწმუნებული ვარ, ბოლოს მაინც შევთანხმდებით და ჩრდილს გამოისყიდით, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემგან თავი დააღწიოთო. ეს კაცი ისეთივე აბეზარი გახლდათ, როგორი საზიზღარიც იყო. მის წინაშე გვარიან შიშს ვგრძნობდი. იმ ამბავმა, რომ ნაცრისფერფრაკიანმა კვლავ მაგრძნობინა ცხოვრების ეშხი და ლაზათი, რასაც ჩემი ნებით განვერიდე, ამ კაცზე დამოკიდებული გამხადა. ახლა მის ხელთ იყო ჩემი სიცოცხლე. იძულებული ვიყავი მისი სიტყვაუხვობა ამეტანა, მაგრამ იმასაც კარგად ვგრძნობდი, რომ მართალი იყო. მდიდარს ჩრდილი აუცილებლად სჭირდებოდა და, თუკი ჩემი მდგომარეობის განმტკიცება მსურდა, რასაც იგი მთავაზობდა კიდეც, მხოლოდ მისი შემოთავაზებული გზით უნდა მესარგებლა. მე კი ერთი რამ მტკიცედ მჭონდა გადაწყვეტილი: მას შემდეგ, რაც გავწირე ჩემი სიყვარული და ჩემთვის სიცოცხლემ ფასი დაჰკარგა, სულს მთელი ქვეყნის ჩრდილების გულისთვისაც არ მივყიდდი ამ ბილწ არსებას. არ ვიცოდი, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი.

ერთხელაც იმ გამოქვაბულის წინ ვისხედით, რომელსაც ჩვეულებრივად უცხოელები ათვალიერებენ ხოლმე, როცა ამ მთებში მოგზაურობენ. თვალჩაუწვდენელი ქვესკნელიდან მიწისქვეშა დინების ღრიალი ისმოდა. როდესაც ქვესკნელში ქვას აგდებენ, ისეთი ხმაურით ვარდება და ეს ხმა იმდენ ხანს ისმის, გეგონება, ქვა ვერასოდეს ვერ ჩააღწევს ფსკერსო. ნაცრისფერფრაკიანმა მისთვის ჩვეული წარმტაცი ფანტაზიით და თვალისმომჭრელი ფერადოვნებით დამიხატა გულდაგულ მოფიქრებული სურათები იმ მოღვაწეობისა, რასაც ჩემი ქისის წყალობით აღვასრულებდი, თუკი ჩემს ჩრდილს დავიბრუნებდი. მუხლებზე იდაყვებდაბჯენილმა სახე ხელებში ჩავმალე და ამ თაღლითის ლაპარაკს ყური მიეუგდე. ერთის მხრივ, ცთუნება, მეორეს მხრივ კი მკაცრი ნებისყოფა გულს ორად

მიპობდა. შინაგანად ასე გაორებული, დიდხანს ვერ გავძლებდი და გადამწყვეტ იერიშზე გადავედი.

— თქვენ, ბატონო ჩემო, როგორც ჩანს, დაგავიწყდათ, რომ მე მხოლოდ გარკვეული პირობით დაგთანხმდით გაცილებაზე, ჩემთვის კი სრული თავისუფლება დავიტოვე.

— თუ მიბრძანებთ, ჩემი ჩრდილიანად ახლავე გაგეცლებით.

ასეთი დამუქრება ხშირად იცოდა ხოლმე. გავჩუმდი. ნაცრისფერფრაკიანი მაშინვე ჩემი ჩრდილის დახვევას შეუდგა. ფერი წამივიდა, მაგრამ ხმა არ ამომიღია. დიდხანს კრინტიც არ დაგვიძრავს. ბოლოს ისევ ნაცრისფერფრაკიანმა წამოიწყო:

— თქვენ ვერ მიტანთ, ბატონო, გძულვართ. ეს მე კარგად მომეხსენება. მაგრამ რატომ გძულვართ? ნუთუ იმიტომ, რომ შარაგზაზე თავს დამესხით და შეეცადეთ ძალით წაგერთმიათ ჩემი უჩინმაჩინის ქუდი? იქნება იმიტომ, რომ ქურდულად სცადეთ მოგეპარათ ჩემი ქონება, — ჩემი კუთვნილი ჩრდილი, რადგან გეგონათ, რომ იგი თქვენს პატიოსნებას ანდეს? ასეთი საქმეები კი ჩაიდინეთ, მაგრამ მე მაინც არ მძულხართ. ბუნებრივად მიმაჩნია, რომ თქვენი უპირატესობის გამოყენებას ცდილობთ, ცდილობთ გამოიყენოთ ძალა და ცბიერება, ეს ყოველივე ბუნებრივია, მე არც თქვენი პრინციპების წინააღმდეგი ვარ და არც თქვენი, ასე ვთქვათ, მოუსყიდავი პატიოსნებისა. თუმცა, თვითონ ვერ ვარ თქვენნაირი პრინციპული და მკაცრი. მე, თუ შეიძლება ითქვას, ვაკეთებ იმას, რასაც თქვენ მხოლოდ ფიქრობთ. განა როდისმე ძალა დაგატანეთ, რათა ხელში ჩამეგდო ეგ თქვენი ძვირფასი სული? ან იქნებ იმ ჩემი ქისის წასართმევად მოგიჩინეთ ვინმე მსახური? იქნება მითხრათ, გაქცევა ან გაპარვა გინდოდათო?

ბრალს მართლაც ვერაფერში დავდებდი. ნაცრისფერფრაკიანმა კვლავ განაგრძო:

— კეთილი, ბატონო, როგორც გაგეხარდებათ, ისე იყოს. ვიცი, გძულვართ, ესეც შემიძლია გავიგო და ამის გამო არ გადანაშაულებთ. ისიც მესმის, რომ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს. კაცმა რომ თქვას, თქვენც საკმაოდ მომაბეზრეთ თავი, ამიტომ, მომავალში რომ ბოლო მოეღოს ჩვენს ერთად ყოფნას, — თქვენ ხომ გესირცხვილებათ ჩემთან ურთიერთობა, ერთხელ კიდევ გირჩევთ: გამოისყიდეთ თქვენი ჩრდილი.

ქისა გავუწოდე და შევძახე:

— ამ ფასად!

— არა!

მძიმედ ამოვიხვნეშე და განვაგრძე:

— როგორც გენებოთ. უნდა დავცილდეთ ერთმანეთს. თქვენგან, ბატონო, მოვითხოვ, რომ შემდგომში გზაზე აღარ გადამელობოთ. ვიმედოვნებ, ეს ქვეყანა ორივეს გვეყოფა.

— მივდივარ, მაგრამ ვიდრე წავალ, მინდა გასწავლოთ, როგორ გამომიძახოთ, თუკი როდესმე თქვენი მონა-მორჩილის ნახვას მოინდომებთ. ამისათვის საკმარისია ისე გააჩხარუნოთ თქვენი ქისა, რომ ოქროებმა დაიწკარუნონ. მათ ხმაზე მაშინვე თქვენთან გაუჩნდები. ამ ქვეყნად ყველა თავის სარგებელს ეძებს. მე კი, როგორც ხედავთ, თქვენს სარგებელსაც არ ვივიწყებ, მე ხომ ახალ უფლებასაც განიჭებთ. ო, ეს ქისა! თქვენი ჩრდილი ჩრდილმაც რომ შეუპაროს კიდეც, ეგ ქისა მაინც მტკიცე ჯაჭვით დაგვაკავშირებს. საკმარისია! თქვენ ჩემი ოქროთი გიპყრივართ. ცხრა მთას იქითაც რომ ვიყო, მაინც მოგემსახურებით. მოგეხსენებათ, ჩემს მეგობრებს სამსახურზე უარს არ ვეუბნები, განსაკუთრებით მდიდრებთან მაქვს კარგი ურთიერთობა, ამაში უკვე დარწმუნდებოდით კიდეც, მაგრამ თქვენს ჩრდილს, გახსოვდეთ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი პირობით დაიბრუნებთ.

გამოვლილი ამბები თვალწინ წარმომიდგა და სწრაფად ვკითხე:

— ბატონმა ჯონმა თუ მოგიწერათ ხელი?

— ბატონ ჯონთან იმდენი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, ამის თხოვნა არც დამჭირვებია, — მითხრა ღიმილით.

— ახლა სადაა? ღმერთია მოწმე, ძალიან მინდა ამის გაგება.

ნაცრისფერფრაკიანმა უხალისოდ ჩაიყო ჯიბეში ხელი და იქიდან თმით ამოათრია თომას ჯონის სანთლისფერი, დამახინჯებული სხეული. თომას ჯონი ოდნავ ამოძრავებდა დაჩამიჩებულ ბაგეებს და ძლივს გასაგონად ამბობდა: Justo judicio. Dei judicatus sum; Justo judicio Dei conolemnatus sum*.

თომას ჯონის დანახვამ თავზარი დამცა. წამიც არ გასულა, ოქროებით მოწკრიალე ქისა უფსკრულში გადავაგდე და

ნაცრისფერფრაკიანს ჩემი უკანასკნელი სათქმელი ვუთხარი:

— შეჩვენებულიმც იყავ სახელითა ღვთისა, სულო ბოროტო! განეედ სატანავ და აღარასოდეს მომევლინო თვალთა წინაშე!

ნაცრისფერფრაკიანი პირმოქუშული ადგა და მაშინვე კლდეებს მიღმა გაუჩინარდა, ველურ ბუჩქნარს რომ ერტყა გარშემო.

IX

ახლა აღარც ჩრდილი მქონდა, აღარც ფული, მაგრამ ეს კია, ჩემს გულს მძიმე ლოდი ჩამოეცალა და მეც შვებით ამოვისუნთქე. ჩემი სიყვარულიც რომ არ დამკარგვოდა, ალბათ ბედნიერი ვიქნებოდი. არ ვიცოდი, რა საქმისათვის მომეკიდა ხელი. ჯიბეები მოვიქექე და რამდენიმე ჩარჩენილი ოქრო აღმოვაჩინე. ფული დავთვალე და გამეცინა. ცხენი ქვემოთ, სასტუმროსთან მყავდა დატოვებული. მომერიდა იქ დაბრუნება, ყოველ შემთხვევაში სასტუმროში მზის ჩასვლამდე ვერ გამოვჩნდებოდი. ჯერ კი შუადღე იყო. იქვე ხის ჩრდილში წამოვწექი და მშვიდად დავიძინე.

ნეტარ სიზმარში ხილვები უდარდელ ფერხულში ჩაებნენ. ერთი სურათი მეორეს ენაცვლებოდა. ყვავილების გვირგვინით თავშემკულმა მინამ გვერდით ჩამიჭროლა და მეგობრულად გამიღიმა. აგერ ბენდელმაც ჩამიარა მხიარული სალმით. თავზე მასაც ყვავილების გვირგვინი ედგა. სხვა ხალხიც ბევრი მესიზმრა და, ამ შორეულ თავყრილობაში, მგონი, შენც გნახე, ჩემო შამისო. ირგვლივ ყველაფერს ჩახჩახა შუქი ეფინა, მაგრამ ჩრდილი არაფერს ჰქონდა. საოცარი ის იყო, რომ ყოველივე თვალსა და გულს ახარებდა — ყვავილებიც, სიმღერებიც; პალმების ჭალაში სიხარული და სიყვარული დამკვიდრებულიყო. ვერა და ვერ გამოველაპარაკე ნარნარ ცეკვაში გართულ საყვარელ ადამიანებს, ასე ლაღად რომ მიველიდნენ ირგვლივ, მაგრამ იმავე დროს ვგრძნობდი, ყოველივეს სიხარში ვხედავ-მეთქი და გაღვიძებისა მეშინოდა. სინამდვილეში ალბათ მეღვიძა, მაგრამ თვალები მაინც დახუჭული მქონდა, — მინდოდა მეტხანს დავმტკბარიყავი მოფარფატე მოჩვენებებით.

ბოლოს თვალები გავახილე. მზე ისევ მაღლა იყო, მაგრამ

ამჯერად ცის აღმოსავლეთ კიდეზე. თურმე მთელი ღამე მძინებია. ეს იმის ნიშნად მივიჩნიე, რომ სასტუმროში აღარ უნდა დავბრუნებულიყავი. ყველაფერს, რაც შემომრჩა და სასტუმროში მქონდა დატოვებული, თავი მივანებე, ბედს მივენდე და გადავწყვიტე ფეხით დავდგომოდი იმ გზას, რომელიც ტყით დაფარული მთისკენ მიემართებოდა. უკან აღარ მიმიხედავს და არც იმაზე მიფიქრია, ჩემი წყალობით გამდიდრებული ბენდელისათვის მიმემართა, რაც, რასაკვირველია, შემეძლო. წარმოვიდგინე ჩემი თავი და ცხოვრების ის ახალი გზა, დღეის ამას იქით რომ უნდა დავდგომოდი: ძალზე უბრალოდ ვიყავი გამოწყობილი. ტანზე ძველი შავი ქურთუკი მეცვა, რომელსაც ჯერ კიდევ ბერლინში ყოფნის დროს ვატარებდი. ახლაც არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ძველი ქურთუკი. თავზე სამგზავრო ქუდი მეხურა, ფეხზე ძველი ჩექმები მეცვა. ზეზე წამოვდექი, სამახსოვროდ ერთი ნუკრიანი ტოტი მოვუერი და მაშინვე გზას გავუდექი.

ტყეში მოხუცი გლეხი შემხვდა, მხიარულად მომესალმა და მეგობრული საუბარი გავაბით. როგორც ცნობის მოყვარე მოგზაურს შეჰფერის, ჯერ გზა ვკითხე, შემდეგ ამ მიდამოთი და მისი მოსახლეობით დავინტერესდი, ბოლოს მთების სიმდიდრე და მსგავსი რაღაცეები გამოვკითხე. გლეხი აზრიანად და სიტყვახალისიანად მპასუხობდა. მივადექით მთის ნაკადულს, რომელსაც საკმაოდ დიდ გაყოლებაზე მოეტიტვლებინა ნაპირები. მზით განათებულ ადგილს რომ მოვკარი თვალი, ძრწოლამ ამიტანა. გლეხკაცი წინ გავუშვი. მაგრამ ზედ მზის გულზე იგი უცებ შედგა და ჩემკენ შემობრუნდა, რათა ამ ხეობის ამბავი მოეთხრო. შემობრუნდა და მაშინვე შეამჩნია, რომ ჩრდილი არ მქონდა. სიტყვა პირზე შეაშრა.

— ამას რას ვხედავ, ჩრდილი არა გაქვთ?

— სამწუხაროდ ასეა, — ამოვიოხრე მე. — საშინელი, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად დავკარგე თმა, ფრჩხილები და ჩრდილი. აბა შეხედეთ, მამილო! თმა, რომელიც კვლავ ამომივიდა, ჩემს ასაკში მთლად გამითეთრდა, ფრჩხილები ძალზე მოკლე მაქვს, ხოლო ჩრდილი ჯერ არ გამომზრდია.

— ეი, ეი! — თავი გადააქნია მოხუცმა, — ჩრდილის დაკარგვა ცუდის მაუწყებელია! ეტყობა, საშინელი ავადმყოფობა გადაგიტანიათ.

ამის შემდეგ მოხუცს ხმა აღარ ამოუღია, იქვე შემაქცია ზურგი და მოსახვევში თვალს მიეფარა. ლოყებზე ცრემლები ჩამომიგორდა და ხალისი უკვალოდ გამიქრა.

გულდამძიმებულმა განვაგრძე გზა. ძეხორციელთან შეხვედრას გავურბოდი. ტყიან ბნელ ადგილებს ვეტანებოდი და მზით განათებულ ადგილზე რომ გამეცლო, ზოგჯერ საათობით მიხდებოდა ცდა, ვინმემ არ დამინახოს-მეთქი. საღამოობით თავშესაფარს სოფლებში ვეძებდი. გეზი მთისკენ მეჭირა. მაღაროში ვფიქრობდი მუშაობას; ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობის გამო ხომ ჩემს საჭმელზე თავად უნდა მეზრუნა, ამასთანავე ისიც კარგად შევიგნე, რომ მხოლოდ დაძაბული შრომა თუ გადამარჩენდა გულისმომწყვლელი ფიქრებისაგან.

რამდენიმე წვიმიანმა დღემ ხელი შეუწყო ჩემს მოგზაურობას, მაგრამ ამასობაში ჩექმებს ლანჩები გასძერა: ისინი ხომ გრაფ პეტერისთვის იყო შეკერილი და არა ფეხით მოსიარულე ყმისთვის. ახლა ფეხშიშველი მივუყვებოდი გზას. ახალი ჩექმების შეძენა აუცილებელი გახდა. მეორე დილით, ერთ-ერთი დაბის ბაზარზე ჩექმების ყიდვა გადავწყვიტე. აქვე, პატარა ფარდულში ძველ და ახალ ჩექმებს ჰყიდდნენ. დიდხანს ვარჩევდი საქონელს, გამყიდველს ვევაჭრებოდი. იძულებული გავხდი ახალ ჩექმებზე უარი მეთქვა, რადგან ფასმა შემაშინა. სხვა გზა არ მქონდა, ნახმარ, მაგრამ კარგად შენახულ ჩექმებს დავყაბულდი. ფარდულის პატრონმა, მშვენიერმა ქერათმიანმა ჭაბუკმა ჩექმები გადმომცა, მერე კი ბედნიერება და კეთილი მგზავრობა მისურვა. ჩექმები იქვე ჩავიცვი და ჩრდილოეთის კარიდან იქაურობას გავეცალე.

ფიქრებში ღრმად ვიყავი ჩაძირული და ვერ ვამჩნევდი, საით მივდიოდი. იმედი მქონდა, რომ მაღაროებს ამ საღამოსვე მივაღწევდი, ოღონდ ეგ არ ვიცოდი, მაღაროში როგორ გამესაღებინა თავი. ალბათ ორასიოდე ნაბიჯიც არ მექნებოდა გავლილი, როცა შევნიშნე — გზა ამრეოდა. მიმოვიხედე. ვიდექი ხელუხლებელ უღრან ნაძვნარში, რომელსაც ცული ჯერაც არ მიჰკარებოდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და თოვლსა და ყინვარებში მოქცეულ მიყრუებულ ფრიალოთა შორის აღმოვჩნდი, რომელიც ხავსითა და ქვატეხია მცენარეებით იყო დაფარული. ძალიან ციოდა, მიმოვიხედე, ტყე

აღარსად ჩანდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. თვალუწვდენელი სივრცე ყინულს დაეფარა. მეც ვიდექი ყინულზე, რომელსაც სქელი ნისლი დასწოლოდა. ჰორიზონტზე წითელი მზე ეკიდა. აუტანელი სიცივე იყო. არ ვიცოდი, რა მემართებოდა. ყინვა ძვალ-რბილში გამიჯდა და იძულებული გავხდი ფეხი ამეჩქარებინა. ფეხი გადავდგი თუ არა, მაშინვე შორეული ჩანჩქერების შხუილი შემომესმა. კიდევ ერთი ნაბიჯი და — უკვე ყინულოვანი ოკეანის ნაპირზე ვიდექი. სელაპების გუნდი ზღვაში ტყლაშუნით გადაეშვა. ნაპირს გაეუყევი — კვლავ შიშველი კლდეები, მიწა, არყისა და ნაძვის ტყეები. ორიოდე წუთს პირდაპირ ვირბინე. უცბად სიცხემ შემიკრა სუნთქვა. გარემოს თვალი მოვავლე: ბრინჯის გულდაგულ დამუშავებულ ნათესებსა და თუთის ხის პლანტაციებს შორის აღმოვჩნდი. თუთის ხის ჩრდილს შევაფარე თავი და საათს დავხედე. აღმოჩნდა, რომ ჯულ თხუთმეტი წუთი გასულიყო, რაც ბაზრიდან წამოვედი. თავი სიზმარში მეგონა და ენა მოვიკვნიტე — გამოვფხიზლდე-მეთქი. მაგრამ ნამდვილად ცხადში ხდებოდა ყველაფერი. მერე თვალები დავხუჭე, იქნება მეშველოს-მეთქი. ცხვირში გამოთქმული უცნაური ბგერები შემომესმა. თვალი გავახილე: ორი ჩინელი, რომელთაც ტანისამოსით თუ არა, სახის აზიური იერით მაინც იცნობდით, ადგილობრივ ენაზე მესალმებოდნენ ამ ქვეყანაში მიღებული ჩვეულების მიხედვით. ფეხზე წამოვდექი და ორი ნაბიჯით უკან დავიხიე. ჩინელები აღარსად ჩანდნენ. გარემოც სრულიად შეიცვალა: ბრინჯის ყანების მაგივრად ხეები, ტყეები გაჩნდა. ჩემს ირგვლივ ხეებსა და აყვავებულ ყვავილებს დავაკვირდი, რომელთა ცნობაც შევძელი, — აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მცენარეულობა უნდა ყოფილიყო. მოვიწადინე ხესთან მივსულიყავი, მაგრამ როგორც კი ნაბიჯი გადავდგი, კვლავ ყველაფერი შეიცვალა. ახალწვეულივით, რომელსაც სამწყობრო ნაბიჯს ასწავლიან, ნელ-ენლა, გამოზომილად დავიწყე ნაბიჯების გადადგმა. ჩემს გაოცებულ თვალთა წინაშე საკვირველი სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ქვეყნები, სათიბები, მთები, ველები და ქვიშიანი უდაბნოები; ეშვი არ იყო, ფეხზე შვიდმილიანი ჩექმები მეცვა.

მუხლებზე დავეცი და უხმო ლოცვაში თვალთაგან მადლიერების ცრემლები გადმოვღვარე, რადგან ჩემი მომავალი ერთბაშად ნათლად წარმომიდგა. ძველი ცოდვების გამო საზოგადოებისაგან მოკვეთილი ისევ ჩემმა საყვარელმა დედაბუნებამ შემიკედლა; დედამიწა მდიდარ ბაღნარად დამიხვდა, ამიერიდან სწავლა და მეცადინეობა ჩემი ცხოვრების დედააზრი უნდა გამხდარიყო, ჩემი მიზანი — მეცნიერებისადმი სამსახური.

არა, ასეთი გადაწყვეტილება მე როდი მიმიღია. თითქოს თავისთავად მოხდა, რომ ამის შემდეგ ვცდილობდი მშვიდი, მტკიცე და შეუნელებელი სიბეჯითით მეკეთებინა ის, რაც გონებაში ნათელ და სრულყოფილ პირველსახედ წარმომიდგებოდა ხოლმე და საკუთარი თავით მხოლოდ მაშინ ვიყავი კმაყოფილი, როცა აღსრულებული საქმე წარმოსახულ პირველსახეს დაემთხვეოდა.

ფეხზე წამოვხტი და უყოყმანოდ მოვავლე თვალი იმ მიდამოს, სადაც მომავალში მოსავლის აღებას ვაპირებდი. ტიბეტონის ზეგანზე ვიდექი. მზე, რომლის ამოსვლას რამდენიმე საათის წინ შევესწარი, აქ უკვე შუბის ტარზე იყო. გადავხედე აზია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, დავეწიე მზეს და აფრიკაში გადავედი. აქაურობა მოწადინებით დავათვალიერე და რამდენჯერმე გავზომე ყველა მიმართულებით. ეგვიპტის ძველი პირამიდებისა და ტაძრების დათვალიერებისას, უდაბნოში, ას კარიან თებეს* მიდამოებში გამოქვაბულები შევამჩნიე, სადაც ერთ დროს ქრისტიანი მეუდაბნოენი აფარებდნენ თავს. ერთბაშად ჩემთვის აშკარა გახდა, — ბინა აქ უნდა დამედო. საცხოვრებლად ყველაზე ფართო, მყუდრო, მოხერხებული და ამავე დროს ტურებისთვის მიუდგომელი ოთახი შევარჩიე და გზა განვაგრძე.

ჰერკულესის სვეტებთან* ევროპაში გადავედი, სადაც ჩრდილოეთ და სამხრეთ პროვინციები დავათვალიერე, აზიის ჩრდილოეთ კიდურიდან პოლარულ მყინვარებზე გაელით გრენლანდიასა და ამერიკაზე გადავიარე და კონტინენტის ორივე ნაწილი დავათვალიერე. სამხრეთში დამდგარი ზამთრის გამო ჰორნის კონცხიდან სწრაფად გავწიე ჩრდილოეთისკენ.

აღმოსავლეთ აზიაში გათენებას დაველოდე, ცოტა შევის-

ვენე, შემდეგ კი კვლავ განვაგრძე მოგზაურობა. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში მთაგრეხილს გაეუყევი, სადაც ჩვენს პლანეტაზე ცნობილი ყველაზე მაღალი ზეგანია გაშლილი. ფრთხილად და რაც შეიძლება დინჯად გადავდიოდი მთიდან მთაზე, ხან მოქმედ ვულკანს გადავევლებოდი თავზე, ხან დათოვლილ მწვერვალებს. ზოგჯერ სუნთქვაც მეკვროდა ხოლმე; წმიდა ილიას მთას რომ მივაღწიე, ბერინგის სრუტეს გადავახტი და აზიაში აღმოვჩნდი. მოვიარე აზიის დაკბილული აღმოსავლეთ სანაპირო, განსაკუთრებული ყურადღებით გამოვიკვლიე იქაური კუნძულებიდან რომელი იყო ჩემთვის გამოსადეგი. მალაკის ნახევარკუნძულიდან ჩემმა ჩექმებმა ჯერ სუმატრა, მერე იავა, ბალი* და ლომბოკი მომატარა. პატარა კუნძულებისა და კლდეების მეშვეობით, რომლებითაც აქ სავსეა ზღვა, ბევრჯერ ვცადე გადასასვლელი გამეკაფა ჩრდილოეთით ბორნეოსა და ამ არქიპელაგის სხვა კუნძულებისაკენ, ხშირად თავი ხიფათშიც ჩავიგდე, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა. განზრახვაზე ხელი უნდა ამეღო. ბოლოს ლომბოკის უშორეს კიდეზე ჩამოვჯექი, თვალი სამხრეთსა და აღმოსავლეთს მიმოვავლე, საკანში გამომწყვდეულივით ვიგრძენი თავი და, რაკი ასე მალე მივადექი გადაულახავ ზღუდეებს, ტირილი დავიწყე. დედამიწისა და მზით მოქსოვილი მისი საფარველის მცენარეული და ცხოველთა სამყაროს შესაცნობად მეტად მნიშვნელოვანი ახალი ჰოლანდია და ინდოეთის ოკეანე თავისი მარჯნის კუნძულებით მოგზაურობის დასაწყისშივე ჩემთვის ხელმიუწვდომელი რჩებოდა და ყველაფერი, რასაც მე შევაგროვებდი ან მოვიწევდი, რასაც გავიგებდი და ვისწავლიდი, იმთავითვე ზერელე ცოდნად თუ ჩაითვლებოდა. ო, ჩემო ადალბერტ, რა ამაოდ შერება ადამიანი!

სამხრეთ ნახევარსფეროს უმკაცრეს ზამთარში, პოლარულ მყინვარებზე გავლით ხშირად მიცდია გადამელახა ჰორნის კონცხის დასავლეთით ის მანძილი, ვან დიმენსა და ახალ ჰოლანდიას რომ მაშორებდა, ხშირად გადამიდგამს საჭირო ორასიოდე ნაბიჯი ისე, უკან დაბრუნებაზე არც მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაბეზრებელი ქვეყანა შეიძლებოდა კუბოს სახურავადაც გადამქცეოდა. მცურავ ყინულზე განწირული ნაბიჯები დამიდგამს, ჩემი სიცოცხლე სასწორზე შემიგდია და არ შემშინებია არც ზღვისა, არც ყინვისა.

ყველაფერი ამაო აღმოჩნდა: ახალ ჰოლანდიაზე ფეხის შედგმა ჯერაც ვერ მოვახერხე. ყოველი ცდის შემდეგ კვლავ ლომბოკზე ვბრუნდებოდი, დავჯდებოდი მის უშორეს კიდეზე, თვალს მოვავლებდი სამხრეთსა და აღმოსავლეთს და ტირილს ვიწყებდი, რადგან საკანში გამომწყვდეულივით ვგრძნობდი თავს.

ბოლოს აქაურობას თავი დავაღწიე და გულდამძიმებული აზიისაკენ გავეშურე. შემდეგ განთიადს დასავლეთისკენ გავყევი და ჯერ ისევ წნელოდა, როცა შინ, ზემო ეგვიპტეში მივედი, საიდანაც გუშინ შუადღისას ჩემი მოგზაურობა დავიწყე.

ცოტაოდენი შევისვენე და, როცა ევროპაშიც გათენდა, საჭირო საქმეების მოგვარებას შევუდექი. პირველ რიგში სამუხრუჭო ფეხსაცმელები უნდა მეშოვნა, რადგან მივხვდი, ძალზე გამიჭირდებოდა საგნების ახლოდან დათვალიერება: ნაბიჯს მაინც ვერ შევამოკლებდი, წარამარა ჩექმების გახდამ კი გამაწვალა. ჩექმებზე წამოცმულმა ქოშებმა გაამართლა ჩემი იმედი. ამ დღიდან მოკიდებული მუდამ თან დამქონდა ორი წყვილი ქოში, რადგან მათი ფეხიდან წაძრობა ხშირად მიწევდა ხოლმე: მცენარეულობის შეგროვებისას ხან ლომი შემაშინებდა, ხან აფთარი, ხან ადამიანები დამაფრთხობდნენ, გახდილი ფეხსაცმლის აღებას კი ვეღარ ვასწრებდი. მოგზაურობის დროს ჩემი ძალზე კარგი საათი ერთხანს ქრონომეტრის მაგივრობას მიწევდა. ამას გარდა, დამჭირდა სექსტანტი*, ფიზიკის რამდენიმე ხელსაწყო და წიგნები.

ყოველივე ეს რომ მეშოვნა, ხელსაყრელ დროს დაველოდე, როცა ქალაქები ნისლში იყო გახვეული, და რამდენიმეჯერ ლონდონსა და პარიზს ვეწვიე. ის ეშმაკეული ოქრო რომ გამომელია, ნაყიდი ნივთების საფასურს ჩემთვის იოლად მოსაძებნი აფრიკული სპილოს ძვლით ვიხდიდი. რა თქმა უნდა, საგანგებოდ ვირჩევდი ისეთ ეშვებს, რომლის ტარება არ გამიჭირდებოდა. მალე ყველაფერი მოვიმარაგე, შევიარაღდი და დამოუკიდებელი მეცნიერის ცხოვრებას შევუდექი.

დაეხეტებოდი დედამიწაზე. ხან მწვერვალებს ვზომავდი, ხან წყაროებისა და ჰაერის ტემპერატურას; ხან მცენარეულ საფარველს ვიკვლევდი, ხან — ცხოველთა სამყაროს. ეკვატორიდან პოლუსისაკენ მივეშურებოდი, ერთი კონტინენტიდან მეორე კონტინენტისაკენ და შთაბეჭდილებებს ერთმანეთს ვა-

დარებდი. საკვებად ხილეული და აფრიკული სირაქლემას ან ჩრდილოეთის ზღვის ფრინველთა კვერცხები მჭონდა, განსაკუთრებით ტროპიკული პალმების ნაყოფი — ბანანი შემიყვარდა. იმ ბედნიერების მაგივრობას, რაც მაკლდა, ნიკოტიანა მიწევდა, ადამიანურ თანაგრძნობასა და ურთიერთობას კი ჩემი ერთგული პუდელის სიყვარული მინაზღაურებდა. სწორედ ეს პუდელი გუშაგობდა ჩემს გამოქვაბულს თებეში. როგორც კი ახალი განძეულით დაბრუნებულს დამინახავდა, მაშინვე გახარებული მომახტებოდა, რითაც მაგრძნობინებდა, რომ ადამიანი ვიყავი და არცთუ ყველასაგან მიტოვებული, მაგრამ, თურმე ისევ მეწერა ადამიანებთან დაბრუნება.

XI

ერთხელ, როცა ჩექმები დავამუხრუჭე და არქტიკის ნაპირებზე ხავსურისა და წყალმცენარეების შეგროვება დავიწყე, უცბად კლდიდან თეთრი დათვი გამოძვრა და ჩემსკენ გამოემართა. სამუხრუჭო ქოში გავიძრე და მეორე მხარეს მდებარე კუნძულზე დავაპირე გადასვლა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ზღვიდან ამოშვერილ შიშველ კლდეზე დამებიჯებინა. ერთი ფეხი კი მოვიკიდე ამ კლდეზე, მაგრამ მეორე ფეხი კუნძულის ნაპირზე ვეღარ დავდგი და წყალში გავადინე ტყაპანი. ამ ფეხზე თურმე სამუხრუჭო ქოში შემრჩენოდა.

საშინელი ყინვა ძვალ-რბილში გამიჯდა, რის ვაი-ვაგლახით დავაღწიე თავი ამ საშინელებას. როგორც კი ფეხქვეშ მიწა ვიგრძენი, მაშინვე მთელი სისწრაფით ლიბიის უდაბნოსკენ გავიქეცი, რომ მზეზე გავმშრალიყავი. მაგრამ უდაბნოში მზემ ისე დამაჭირა თავზე, შეუძლოდ შევიქენი და ისევ ჩრდილოეთისკენ გამოვქანდი. ვიფიქრე, იქნებ სირბილმა მიშველოს-მეთქი და მართალია სწრაფად, მაგრამ ბარბაც-ბარბაცით გავიქეცი. ხან აღმოსავლეთისკენ გავრბოდი, ხან დასავლეთისკენ. ჯერ რომ დღის სინათლეში მოვხვდებოდი, მერე ღამის უკუნში ამოვყოფდი თავს, ხან ზაფხულის პაპანაქება შემიხუთავდა სულს, ხან ზამთრის ყინვა გამთოშავდა.

აღარ მახსოვს რამდენ ხანს ვიბორიალე ასე. მთელი ტანი მიხურდა. ვგრძნობდი, თანდათან გონებას ვკარგავდი და საზარელმა შიშმა შემიპყრო. ამას გარდა, ბედი არ გინდა, ამ უთავბოლო სირბილის დროს ვიღაცას დავაბიჯე. ეტყობა ძა-

ლიან ვატკინე ფეხი; უცბად ძლიერი დარტყმა ვიგრძენი და მიწაზე გავიშხლართე.

როცა გონს მოვეგე, მშვენიერ რბილ ლოგინში ვიწექი, ჩემი საწოლი სხვა საწოლებთან ერთად ფართო, ნათელ ოთახში იდგა. სასთუმალთან ვიღაც მეჯდა. ოთახში ხალხი დავლანდე. ხან ერთ საწოლთან მივიდოდნენ, ხან მეორესთან. მერე მე მომიახლოვდნენ და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. „მეთორმეტე ნომერს“ მიწოდებდნენ. მოპირდაპირე კედელზე კი მარმარილოს შავი დაფა ეკიდა და — არ მომჩვენებია, აშკარად და გარკვევით დავინახე, — დაფაზე სრულიად სწორად, დიდი ოქროს ასოებით ეწერა ჩემი სახელი და გვარი.

პეტერ შლემილი

დაფაზე ჩემი სახელის ქვემოთ კიდევ ორი ხაზი ეწერა, მაგრამ მეტისმეტად სუსტად ვგრძნობდი თავს, მათი გარჩევა ვეღარ შევიძელი და თვალები ისევ დავხუჭე.

მესმოდა, ვიღაც მკაფიოდ და ხმამაღლა კითხულობდა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევდი. დროდადრო პეტერ შლემილს ახსენებდნენ ხოლმე. ჩემს საწოლს სათნო სახის მამაკაცი და შავებში ჩაცმული ძალზე მოხდენილი გარეგნობის ქალი მოუახლოვდა. ნანახი უნდა მყოლოდა ორთავე, მაგრამ ვერ ვიცანი.

გამოხდა ხანი. ამასობაში მოვმჯობინდი. კვლავინდებურად „მეთორმეტე ნომერს“ მიწოდებდნენ. გრძელი წვერის გამო ებრაელად მიმიჩნიეს, მაგრამ სხვებზე ნაკლებად როდი მივლიდნენ. „მეთორმეტე ნომერს“ რომ ჩრდილი არ ჰქონდა, ეტყობა, ვერავის შეემჩნია. როგორც გადმომცეს, ჩექმები და ჩემი ტანსაცმელი საიმედოდ იყო შენახული და გამოჯანსაღებისთანავე დამიბრუნებდნენ. იმ ადგილს, სადაც მე ვიწექი, შლემილიუმი ეწოდებოდა, ხოლო რასაც ყოველდღიურად პეტერ შლემილის შესახებ კითხულობდნენ, იყო შეხსენება და თხოვნა, რომ ელოცათ მისთვის, როგორც ამ დაწესებულების დამფუძნებლისა და ქველმოქმედისათვის. ის სათნო კაცი, ჩემს საწოლთან რომ დავინახე, ბენდელი გახლდათ, მშვენიერი ქალი კი — მინა.

შლემილიუმში თანდათან ვიკურნებოდი. ჩემი ვინაობა ისევ ამოუცნობი იყო. მოგვიანებით აქ სხვა ამბებიც გავიგე. თურმე ბენდელის მშობლიურ ქალაქში ვყოფილვარ, სადაც ბენდელს იმ დაწყევლილი ოქროს დარჩენილი ნაწილით ჩემს

სახელზე ეს ჰოსპიტალი დაუარსებია. აქაური ავადმყოფები ლოცვა-კურთხევას მითვლიდნენ. საავადმყოფოს ბენდელი ხელმძღვანელობდა. მინა დაქვრივებულიყო. მისი ქმარი სისხლის სამართალში მიეცათ, რაც ბატონ რასკალს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, თვითონ მინას კი ქონების უმეტესი ნაწილი დაჰკარგვოდა. აღარც მინას მშობლები ეწერნენ ცოცხლებში. თვითონ მინა ახლა აქ ცხოვრობდა და, როგორც ღვთისმოშიშ ქვრივს შეეფერება, საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა.

ერთხელ მინამ და ბენდელმა „ნომერ მეთორმეტე“ ავადმყოფის საწოლთან ასეთი საუბარი გააბეს:

— რატომ იგდებთ თავს საფრთხეში, პატივცემულო ქალბატონო, თქვენ ხომ ხშირად სუნთქავთ ამ ცუდი ჰაერით? განა თქვენს მიმართ ბედისწერა ისე უნდობელია, რომ სიკვდილს ეძებთ?

— არა, ბატონო ბენდელ, მას შემდეგ, რაც ბოლომდე ვნახე ჩემი გრძელი სიზმარი და გამოვფხიზლდი, თავს კარგად ვგრძნობ. იმ დროიდან მოკიდებული აღარავითარი სურვილი არ გამაჩნია და აღარც სიკვდილისა მეშინია. მას შემდეგ ფხიზლად შევყურებ წარსულსაც და მომავალსაც. ასეთ ღვთისნიერ საქმეს რომ ეწევით, თქვენც ხომ დამშვიდებული ბრძანდებით და გულითადი სიხარულითაც ემსახურებით თქვენს ბატონსა და მეგობარს.

— მადლობა უფალს, რომ ასეა, პატივცემულო ქალბატონო. მართლაც უცნაური ამბები შეგვემთხვა. ბედ-იღბლის სავსე ფიალა განუსჯელად ვსვით, ბევრი ბედნიერებაც შეგვხვდა, მრავალი მწარე ტკივილიც ვიწვნიეთ. ახლა ეს ფიალა დაიცალა და კაცს ისე გგონია, თითქოს აქამდე ყველაფერი გამოცდა იყო, ახლა კი ჭკუა-გონებას უნდა მოვუხმოთ, ვიყოთ წინდახედულნი და ჭეშმარიტ დასაწყისს დაველოდოთ. ეს ჭეშმარიტი დასაწყისი სხვაგვარი უნდა იყოს, წარსული აღარ უნდა განმეორდეს. თუმცა, ერთის მხრივ, მაინც ძალზე მიხარია, ბევრი რამ უკვე გამოვლილი გვაქვს. ამასთანავე, გუმანი მკარნახობს, რომ ჩვენი ძველი მეგობარი ამჟამად უკეთესად გრძნობს თავს.

— მეც ასე ვფიქრობ, — უპასუხა მშვენიერმა ქვრივმა და გვერდით ჩამიარა.

ამ საუბარმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

დიდხანს ვეჭოჭმანობდი, არ ვიცოდი, — გამემხილა ჩემი ვინ-ობა თუ არა, ბოლოს გადავწყვიტე. მოვატანინე ფანქარი, წე-ღალდი და დავწერე:

„თქვენი ძველი მეგობარი ამჟამად უკეთესად გრძნობს თავს. მართალია, მან თავისი დანაშაული უნდა გამოისყიდოს, მაგრამ ასეთ განსაწმენდელს მისთვის სულიერი სიმშვიდე მო-აქვს“.

შემდეგ ტანისამოსი მოვითხოვე, რადგან თავს უკვე კარ-გად ვგრძნობდი. მომიტანეს ჩემს საწოლთან მიდგმული ჰა-ტარა კარადის გასაღები. მთელი ჩემი ავლა-დიდება კარადაში იყო შენახული. ჩავიცვი, შავ ქურთუკზე ბოტანიკური ჩანთა გადავიკიდე, სადაც ჩემდა სასიხარულოდ ხელუხლებლად იყო ჩრდილოეთის ხავსურა. ჩავიცვი ჩექმები, წელან დაწერილი ბარათი ლოგინზე დავდე და გარეთ გამოვედი თუ არა, თებეს-კენ მიმავალ გზაზე აღმოვჩნდი.

როცა სირიის სანაპიროზე მივაბიჯებდი, იმ გზაზე, სადაც უკანასკნელად სახლიდან წამოსვლისას გამოვიარე, ჩემი სა-წყალი ფიგარო დავინახე. ჩემკენ გამორბოდა. ეს მშვენიერი პუდელი, რომელმაც შინ დიდხანს იცადა, ახლა ეტყობა, პატ-რონის საძებრად წამოსულიყო. შევჩერდი და ძაღლს დავუ-ძახე. ფიგარო უანგარო, გულის ამაჩუყებელი სიხარულით აყეფდა და ჩემკენ გამოექანა. რაკი სიარულში ვერ დამეწე-ოდა, ძაღლი ხელში ავიყვანე და ისე გავეშურეთ შინისაკენ.

ყველაფერი წესრიგში დამხვდა. გამოჯანმრთელების პირო-ბაზე თანდათან ძველ ცხოვრებასა და საქმიანობას ვუბრუნდე-ბოდი. მაგრამ ჩემთვის სრულიად აუტანელ პოლარულ სიცი-ვეს მთელი წლის მანძილზე ახლოსაც არ გავკარებივარ.

ამგვარად, ჩემო საყვარელო შამისო, ახლაც ვცოცხლობ, ჩემი ჩექმები არ ცვდება, თუმცა დიდად განსწავლული ტი-კუსის ცნობილი თხზულების „de rebus gestis Pollicilli-ს* გაცნობის შემდეგ ვშიშობდი, გამიცვდება-მეთქი. ჩემი ჩექმე-ბი არ გაცვეთილა, მე კი თანდათან მელევა ძალ-ღონე. მაგრამ ის მანუგეშებს, რომ ჩემი უნარი ტყუილუბრალოდ არ გამი-ფლანგავს და ჩემი ცხოვრება განსაზღვრულ მიზანს მოვახმა-რე. სადამდეც ჩემი ჩექმები გამიწვდა, ყველაფერი ვნახე: ჩემს წინაპრებზე უფრო საფუძვლიანად შევისწავლე დედამიწა, მი-სი მოხაზულობა, ტემპერატურა, ატმოსფეროს ცვალებადობა,

მაგნეტიზმის მოვლენები, ცოცხალი სამყაროს, განსაკუთრებით მცენარეული სამყაროს ცხოვრება. თხზულებებში მაქსიმალური სიზუსტით აღვნუსხე და ნათელი მოვფინე ფაქტებს, დასკვნები და ვარაუდები სტატიებში ჩამოვაყალიბე. მე გამოვიკვლიე ცენტრალური აფრიკისა და ჩრდილოეთის პოლარული ქვეყნების, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთის სანაპიროების გეოგრაფია. ჩემი Historia stirpium plantarum untiusque obris წარმოადგენს Flora universalis terrae-ს ძნიშვნელოვან ნაწილს და ჩემი Sustema naturae-ს* ერთ თავს. ვფიქრობ, ამ ჩემი გამოკვლევებით არა მარტო ერთი მესამედით გავადიდე ცნობილი სახეობებისა და ჯიშების რიცხვი, არამედ ჩემი წვლილიც შევიტანე ფლორის ბუნებრივი ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის საქმეში. ახლა გულმოდგინედ ვმუშაობ ფაუნაზე. შევეცდები ჩემი ხელნაწერები სიკვდილამდე გადაეცეს ბერლინის უნივერსიტეტს.

საყვარელო შამისო, გიტოვებ ამ ჩემს უცნაურ თავგადასავალს, რომელიც ჩემი ამა ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ზოგს, ალბათ, რაღაც სარგებლობას მოუტანს. შენ კი, ძვირფასო მკითხველო, თუ ხალხთან ცხოვრება გსურს, უპირველესად ჩრდილის დაფასება ისწავლე, შემდეგ — ფულისა. ხოლო, თუ გსურს საკუთარ მეობასა და კაცურკაცობას მიუძღვნა სიცოცხლე, მაშინ არავითარი რჩევა არ დაგჭირდება.

1814.

ყმაწვილი ინგლისელი

...გერმანიის სამხრეთში პატარა ქალაქ გრიუნვიზელში დავიბადე და აღვიზარდე. ეს ქალაქი არაფრით არ გამოირჩევა სხვა ქალაქებისაგან. შუა გრიუნვიზელში ერთი ციცქნა ბაზრის მოედანია, შადრევნით დამშვენებული, იქვეა რატუშის ძველი, პატარა შენობა და მომრიგებელი მოსამართლისა თუ წარჩინებულ ვაჭართა სახლები. მოედნის შორიახლო კი, ვიწრო ქუჩებზე, დანარჩენი მოსახლეობაა დაბინავებული. გრიუნვიზელელები ერთმანეთს საკუთარი ხუთი თითივით იცნობენ, იციან ვინ რითი ცხოვრობს, ხოლო თუ ობერპასტორს, ბურგომისტრს ან ექიმს სუფრაზე თუნდაც ერთ განსხვავებულ კერძს გამოუტანენ, ეს ამბავი მთელი ქალაქის სალაპარაკო ხდება; ნასადილევს გრიუნვიზელელი ქალები, რომორც იტყვიან, ერთმანეთს დააფასებენ ხოლმე, შეექცევიან შავ ყავასა და ტკბილ ნამცხვარს, თან ამ ახალი ამბის თაობაზე მსჯელობენ, შემდეგ კი ასკვნიან, — ობერპასტორი ალბათ ლატარიაში ჩავიდა ფულს და უღმერთოდ ბევრი მოიგო, ბურგომისტრმა ქრთამი თუ აიღო, ექიმმა კი, ეტყობა, აფთიაქარის ოქროები ჩაიჯიბა, რომ რაც შეიძლება ძვირი წამლების რეცეპტები გამოუწეროს ავადმყოფებსო.

ახლა წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო, რა უსიამოვნო იქნებოდა გრიუნვიზელისნაირი კეთილმოწყობილი ქალაქისათვის ვიღაც კაცის სტუმრობა, რომლის შესახებ არაფერი იცოდნენ, არ იცოდნენ, თუ ვინ იყო ეს უცხო კაცი, საიდან მოდიოდა ან რა უნდოდა მათ ქალაქში. ბურგომისტრმა უცხო სტუმარს პასპორტი გაუსინჯა. ხოლო როცა იგი ექიმის სახლში ექიმთან ერთად ყავას მიირთმევდა, ბურგომისტრი გამოტყდა: ამ კაცის პასპორტი ბერლინიდან გრიუნვიზელამდე მთელი წესების დაცვით არის შეესებული, მაგრამ აქ მაინც რაღაც იმალება, რადგან მგზავრი მეტისმეტად საეჭვოდ გამოიყურებაო. ბურგომისტრი ქალაქში ღირსეულ და საპატიო კაცად ითვლებოდა და გასაკვირი არაა, რომ ამ ლაპარაკის შემდეგ ჩამოსუ-

ლი კაცი საეჭვო პიროვნებად მიეჩნიათ. უცხოელი თავისი საქციელით არავის ეჩხირებოდა თვალში, მაგრამ ჩემს თანამემამულეებს მაინც ვერ შეაცვლევინა აზრი.

უცხოელმა რამდენიმე ოქროდ სახლი დაიქირავა, უპატრონოდ რომ იყო მიტოვებული, მოატანინა ერთი ფორანი უჩვეულო ხელსაწყოები, ღუმლები, მეტისმეტად უცნაური ქურა ალქიმიური ცდების ჩასატარებლად, დიდი ტიგელი, სხვა ხარახურა და იმ ნაქირავებ სახლში განმარტოვდა. საჭმელს თვითონ იმზადებდა, მის სახლში სულიერს ვერ შეხვდებოდით, გარდა ერთი გრიუნვიზელელი მოხუცისა, რომელიც მისთვის პურს, ხორცს და მწვანილს ყიდულობდა, მაგრამ ამ მოხუცებულსაც მხოლოდ სახლის წინკარში შეეძლო შესვლა, სადაც უცხოელი ნავაჭრს გამოართმევდა ხოლმე.

ათი წლისა ვიყავი, როცა ეს კაცი ჩემს მშობლიურ ქალაქს ეწვია. ახლაც გუშინდელივით მახსოვს ის აღელვება, ქალაქში მისმა ჩამოსვლამ რომ გამოიწვია. ნასადილევს სხვა მამაკაცებივით კეგლის სათამაშოდ როდი მიდიოდა, არც სასტუმროსკენ უქნია პირი, რათა საღამო ხანს სხვებთან ერთად გაებოლებინა ჩიბუხი და გაზეთში დაბეჭდილ ცნობებზე ესაუბრა. ამაოდ ეპატიჟებოდნენ სადილად ან ყავაზე. ხან ბურგომისტრი დაპატიჟებდა, ხან მომრიგებელი მოსამართლე, დაუპატიჟებია ექიმსაც, ობერპასტორსაც, მაგრამ უცხოელი რაღაცას მოიმიზეზებდა და მიპატიჟებაზე უარს ამბობდა ხოლმე. ამიტომ იყო, ზოგი ფიქრობდა — შეშლილიაო, ზოგი ამბობდა, ებრაელი იქნებაო, სხვები კი ხელაღებით ამტკიცებდნენ, — უთუოდ ჯადოქარი ან გრძნეული არისო.

თვრამეტი-ოცი წლის რომ გავხდი, იმ კაცს მაშინაც „უცხოელ ბატონად“ იხსენიებდნენ ქალაქში!

ერთ დღეს მოხეტიალე დასმა უჩვეულო ცხოველები ჩამოიყვანა ქალაქში. იმ ვიგინდარებს აქლემიც ჰყავდათ, რომელიც მაყურებელს თავს უკრავდა ხოლმე, მოცეკვავე დათვიც, ადამიანის ტანისამოსში სასაცილოდ გამოწყობილი ძაღლებიცა და მაიმუნებიც, ყოველგვარ ოინბაზობას რომ სჩადიოდნენ. ასეთი დასები ქალაქ-ქალაქ დაეხეტებოდნენ ხოლმე, გზა-ჯვარედინებსა და მოედნებზე წარმოდგენებს მართავდნენ, — ყურისწამღებად ახმიანებდნენ პატარა დოლსა და სალამურს,

ცეკვავდნენ, ხტუნაობდნენ, შემდეგ კი კარდაკარ დადიოდნენ და ფულს აგროვებდნენ.

დასი, რომელიც ამჟამად გრიუნვიზელს ესტუმრა, სხვა დასებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ მას უზარმაზარი ორანგუტანგიც ჰყავდა თან. ეს ორანგუტანგი თითქმის ადამიანის სიმაღლე იყო, ორ ფეხზე დადიოდა და საკმაოდ გაწვრთნილი ჩანდა. კომენდიანტებმა თავიანთი ძაღლებითა და მაიმუნებით უცხოელი ბატონის სახლთანაც ჩამოიარეს. უცხოელი სწორედ იმ დროს გამოჩნდა, როცა დოლი და ზურნა ახმიანდა. იგი ჯერ უხალისოდ ამოეფარა ბნელ, ჟამთასვლისაგან ფერგადასულ ფანჯარას, მაგრამ მალე გამოცოცხლდა, ყველას გასაოცრად ფანჯარაშიც გამოიხედა და ორანგუტანგის ოინბაზობაზე გულიანად იცინა. ამ გართობისათვის დასი იმდენი ვერცხლით დააჯილდოვა, — მთელი ქალაქი ალაპარაკდა.

მეორე დილით ბრბომ გზა განაგრძო. აქლემს კალათები აჰკიდეს, რომლებშიც მოხერხებულად ისხდნენ ძაღლები და მაიმუნები, ხოლო მეხრეები და ორანგუტანგი აქლემს ფეხდაფეხ მისდევდნენ. რამდენიმე საათიც არ იქნებოდა გასული — კომედიანტები ამასობაში ქალაქის კარიბჭეს გასცდნენ, — უცხოელმა ბატონმა ფოსტაში კაცი გაგზავნა, ფოსტის უფროსის გასაოცრად ეტლი და სწრაფი ცხენები მოითხოვა და იმავე გზას დაადგა, რომელსაც კომედიანტები გაუყვნენ. მთელი ქალაქი აღელდა, ვერაფრით გაეგოთ, საით გაემგზავრა უცხოელი.

ღამე იყო, როცა უცხოელი ბატონი ქალაქში დაბრუნდა. ეტლში მასთან ერთად ახლა კიდევ ერთი კაცი იჯდა, ამ კაცს შუბლზე შლაპა ჩამოეფხატა, პირსა და ყურებს კი აბრეშუმის თავშალი უფარავდა. გუშაგმა თავის მოვალეობად ჩათვალა გამოლაპარაკებოდა მეორე უცხოელს და პასპორტი მოეთხოვა. უცხოელი ძალზე უხეშად გაეხმიანა და უცნობ ენაზე რაღაც დაიბურდღუნა.

— ჩემი ძმისწულია, — თავაზიანად უთხრა უცხოელმა ბატონმა გუშაგს და რამდენიმე ვერცხლი ხელში ჩაუდო. — ჯერჯერობით გერმანული ცუდად იცის, რაკი აქ გაგვაჩერეთ, ამანაც თავის ენაზე შეიგინა.

— ო, თუკი თქვენი ძმისწულია, შეუძლია უპასპორტო-

დაც შემოეიდეს ქალაქში. თქვენთან იცხოვრებს, არა? — ჰკითხა გუშაგმა.

— რასაკვირველია, და კარგა ხანსაც დარჩება აქ, — უთხრა უცხოელმა.

გუშაგს სადაო აღარაფერი ჰქონდა და უცხოელი ბატონი და მისი ძმისწული ქალაქში შემოუშვა. მაგრამ ეს ამბავი არც ბურგომისტრს მოეწონა, არც ქალაქის მოსახლეობას: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუშაგზე თუნდაც იმიტომ განაწყენდნენ, რომ უცხოელის ძმისწულის ნალაპარაკევიდან ბევრი არაფერი ახსოვდა. ერთი-ორი სიტყვაც რომ დამახსოვრებოდა, ხომ გაარკვევდნენ, სადაურები იყვნენ ყმაწვილი და ბიძამისი.

გუშაგი ამტკიცებდა, მე რაც გავიგონე, არც ფრანგული იყო და არც იტალიურიო. ინგლისურს უფრო ჰგავდა, და თუ არ ვცდები, ახალგაზრდა ბატონმა „გოდდემ" წარმოთქვაო. ასე დაიხსნა გუშაგმა თავი გაჭირვებიდან და ახალგაზრდა ბატონსაც სადაურობა დაუდგინა. ეს დღე იყო და მას მერე ქალაქში ახალგაზრდა ინგლისელზე ალაპარაკდნენ.

კეგელბანსა* და ლუდხანაში არც ახალგაზრდა ინგლისელი დაიარებოდა, მაგრამ ქალაქში მისმა ჩამოსვლამ ხალხი ძალზე ააფორიაქა. საქმე ის იყო, რომ უცხოელის მყუდრო სახლიდან ახლა ისეთი ყვირილი მოისმოდა ხოლმე, რომ სახლის წინ ხალხი იყრიდა თავს და ფანჯრებისაკენ იცქირებოდა. ყველა ხედავდა წითელ ფრაკსა და მწვანე შარვალში გამოწყობილ, თმაგაჩეჩილსა და სახედაღმეჭილ ახალგაზრდა ინგლისელს. ახალგაზრდა კაცი კისრისტეხით დარბოდა ოთახიდან ოთახში. იგი ხან ერთ ფანჯარაში გამოჩნდებოდა, ხან მეორეში, წითელ საშინაო ხალათში გადაცმული ხნიერი უცხოელი კი შოლტით ხელში უკან დასდევდა თავის ძმისწულს. უცხოელი წარამარა იქნევდა შოლტს, ხშირად ვერ ახვედრებდა, მაგრამ ქუჩაში თავშეყრილ ბრბოს ზოგჯერ ეჩვენებოდა, შოლტი მაინც მოხვდაო მიზანს, რადგან შოლტის ტლაშუნს შიშნარევი ყვირილი მოჰყვებოდა ხოლმე.

რაკი ასე საშინლად ჩაგრავდა ძმისწულს, გრიუნვიზელელი ქალები ახალგაზრდა უცხოელის მიმართ მგზნებარე თანაგრძნობით განიმსჭვალნენ და ბოლოს ბურგომისტრიც შეაგულიანეს, ამ საქმის მოსაგვარებლად რაიმე ნაბიჯი გადადგითო.

ბურგომისტრმა უცხოელ ბატონს ბარათი მისწერა, საყვედურებით აავსო — ძმისწულს უდიერად ეპყრობითო, თან დაემუქრა, თუკი ასეთი ამბავი კვლავაც განმეორდა, ახალგაზრდა კაცს მე გავუწევ მფარველობასო.

წარმოიდგინეთ ბურგომისტრის გაოცება, როცა უცხოელი, პირველად ამ ოცი წლის განმავლობაში, თვითონ გამოცხადდა მასთან. მოხუცმა ბატონმა თავისი საქციელი ძმისწულის მშობლების განსაკუთრებული დავალებით ახსნა, რომლებმაც ეს ახალგაზრდა კაცი მას ჩააბარეს აღსაზრდელად. ჩვეულებრივად ჭკვიანი და საზრიანი ყმაწვილია, მაგრამ ენებს ძალზე ძნელად სწავლობსო. ერთი სული მაქვს, — ამბობდა მოხუცი ბიძა, — ჩემს ძმისწულს გერმანული შევასწავლო, რომ შემდგომში თავი შებოჭილად აღარ ვიგრძნო, როცა მას გრიუნვიზელის საზოგადოებას წარვუდგენო, მაგრამ სწორედ ამ ენას ითვისებს ისე ცუდად, ზოგჯერ ლაზათიან გამათრახებაზე უკეთესს ვერაფერს მოიგონებ კაციო.

ბურგომისტრი ამ განმარტებამ სავსებით დააკმაყოფილა, უცხოელს ურჩია, თავი მაინც შეიკავეთო, საღამო ხანს კი, როცა ლუდის სარდაფს მიაკითხა, ასე თქვა — იშვიათად მინახავს ამ უცხოელივით განათლებული და ზრდილი ადამიანიო.

— დასანანი ისაა, — დაუმატა ბურგომისტრმა, — რომ იგი ასე იშვიათად გამოჩნდება ხოლმე ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ მჯერა, როგორც კი უცხოელი თავის ძმისწულს ცოტაოდენ გერმანულს შეასწავლის, ჩემს დარბაზობებსაც აღარ გამოაკლდებაო.

ამ ერთადერთი შემთხვევის წყალობით ქალაქმა თავისი აზრი მთლიანად შეიცვალა. უცხოელი ახლა თავაზიან ადამიანად მიიჩნიეს, ნატრობდნენ მის ახლო გაცნობას და სულაც აღარ უკვირდათ, როცა ქალაქს დროდადრო შემზარავი ღრიალი შესძრავდა ხოლმე.

— ძმისწულს გერმანული ენის გაკვეთილს უტარებს, — ამბობდნენ გრიუნვიზელელები და სახლის წინ აღარ ჩერდებოდნენ.

დაახლოებით სამი თვის თავზე გერმანულის შესწავლას ეტყობა მორჩნენ, რადგან მოხუცმა ძმისწულისათვის ახლა სხვა საქმე გამონახა.

ქალაქში ერთი ბებერი, დაჩაჩანაკებული ფრანგი ცხოვრობ-

და, რომელიც ახალგაზრდებს ცეკვებს ასწავლიდა. უცხოელმა იგი შინ მოიპატიჟა და უთხრა, ჩემს ძმისშვილს ცეკვა უნდა ასწავლოთო. საუბრისას აგრძნობინა, ჩემი ახალგაზრდა ძმისწული, მართალია, ძალზე განსწავლულია, მაგრამ რაც შეეხება ცეკვებს, ცოტა არ იყოს თავნებააო. ცეკვას წინათ სხვა მასწავლებელთან სწავლობდა, რომელმაც ყმაწვილს ისეთი უცნაური ილეთები შეასწავლა, საზოგადოებაში თავი არ გამოეყოფაო. მაგრამ რაკი სწორედ ასეთი ცეკვა იცის, საკუთარი თავი დიდ მოცეკვავედ მოაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მისეულ ცეკვას ძალიანაც რომ მოინდომო, ვერც ვალსს მიამსგავსებ, ვერც გალოპს, მისი ცეკვა არც ეკოსეზს* ჰგავს და არც ფრანგულ კადრილსო. თითოეულ ჩატარებულ გაკვეთილში უცხოელმა ერთი ტალერი აღუთქვა ცეკვის მასწავლებელს და ისიც სიამოვნებით დათანხმდა, ჯიუტ ყმაწვილს მე ვასწავლი ცეკვასო.

მოგვიანებით ფრანგმა ხმა დააგდო, ჩემს ცხოვრებაში ასეთი უცნაური ცეკვა არსად მინახავს და არც ასეთი უცნაური გაკვეთილი ჩამიტარებიაო.

უცხოელის ძმისწული, საკმაოდ მაღალი, სხარტი ტანის ყმაწვილი, რომელსაც ცოტა არ იყოს, მოკლე ფეხები ჰქონდა, გაკვეთილზე პირგაპარსული, გაქათქათებული ხელთათმანებით გამოცხადდებოდა წითელ ფრაკსა და ფართო შარვალში გამოწყობილი. ლაპარაკით ცოტას ლაპარაკობდა, ხოლო რასაც ამბობდა, იმასაც უცხოურ კილოზე უქცევდა ხოლმე. თავდაპირველად საკმაოდ მოკრძალებული და საზრიანი ყმაწვილის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ სულ მალე უმსგავს ხტუნვას იწყებდა, გახელებული დაუვლიდა წრეს, თან ისეთ ანტრაშებს აკეთებდა, ცეკვის მასწავლებელი გაოცებისაგან პირდაღებული შესცქეროდა ხოლმე, ხოლო თუკი მასწავლებელი საყვედურს შებედავდა, ყმაწვილი თავის კოპწია საცეკვაო ფეხსაცმელს წაიძრობდა, ფრანგს თავში ესროდა, მერე კი ოთხზე დამდგარი ოთახის გარშემო დაიწყებდა სირბილს. ამ ხმაურზე ფართო, წითელ საშინაო ხალათში გამოწყობილი უცხოელი შემოვარდებოდა და ძმისწულს უმოწყალოდ კვადაუჭერდა ზურგზე მათრახს. მაშინ ძმისწული საზარელ ღრიალს იწყებდა, აახტებოდა მაგიდებსა და მაღალ კომოდს, იქიდან ფანჯრის რაფებზე ისკუპებდა, თან უცნაურ, უცხო ენაზე

ჯუჯღუნებდა. მაგრამ წითელხალათიანი მოხუცი არ იბნეოდა, ჯერ ფეხში წაავლებდა ხელს, ძირს ჩამოათრევდა, მერე გვარიანად დაალურჯებდა და ყელსახვევს ბალთით კიდევ უფრო მაგრად შემოუჭერდა. ამის შემდეგ ძმისწული კვლავ თავაზიანი, მოკრძალებული ხდებოდა და ცეკვის გაკვეთილიც შეუფერხებლად გრძელდებოდა.

როგორც კი მასწავლებელმა თავისი აღსაზრდელი ისე გაწაფა, რომ გაკვეთილზე მუსიკაც დასჭირდათ, ძმისწული სრულიად გარდაიქმნა.

უცხოელმა ბატონმა ქალაქის მუსიკოსიც მოიპატიჟა და გაკვეთილებს დაასწრო. ცეკვის მასწავლებელი, მოხუცი ბატონის დავალებით ქალივით გამოეწყობოდა, ჩაიცვამდა აბრეშუმის კაბას, მხრებზე აღმოსავლეთ ინდოეთის შალს მოისხამდა და ცეკვის დროს ქალის მაგივრობას უწევდა ყმაწვილს. ახალგაზრდა ინგლისელი მასწავლებელს საცეკვაოდ გამოიწვევდა და მასთან ერთად იწყებდა ცეკვასა და ტრიალს. დაუღალავი და ცხარე მოცეკვავე კი იყო ეს ჯეელი. მასწავლებელს რამდენიც უნდა ეშინა და ეყვირა, თავის გრძელ მკლავებს მარწუხებივით შემოუჭერდა ხოლმე და იმდენ ხანს აცეკვებდა, ვიდრე ძალამილეული მასწავლებელი იატაკზე არ დაეცემოდა, ანდა ვიდრე ქალაქის მეეიოლინეს ხელი არ ჩამოუვარდებოდა. ასეთმა გაკვეთილებმა ცეკვის მასწავლებელი კინაღამ საიქიოს გაისტუმრა, მაგრამ კარგი ღვინისა და ტალერის სიყვარულით,— ერთიცა და მეორეც მასწავლებელს დღემუდამ ჰქონდა, — ისევ მოდიოდა ხოლმე, გინდა წინა დღით ჰქონოდა დაფიცებული, იმ უკაცრიელ სახლში ფეხს აღარ დავდგამო.

გრიუნვიზელელები კი საქმეს სრულიად სხვაგვარად უყურებდნენ, ვიდრე ის ფრანგი. მათი აზრით, ყმაწვილკაცი თავისი მონაცემებით ზედგამოჭრილი უნდა ყოფილიყო მაღალი საზოგადოებისთვის. ქალაქელ ქალებს უხაროდათ, მომავალ ზამთარს საოცრად მკვირცხლი მოცეკვავე შემოგვემატებაო. უხაროდათ მით უფრო, რომ მამაკაცები არცთუ ბევრი ჰყავდათ ქალაქში.

ერთ დილას ბაზრიდან დაბრუნებულმა შინამოსამსახურეებმა თავიანთ ქალბატონებს უცნაური ამბავი შეატყობინეს: უცხოელის სახლის წინ მინის მშვენიერი კარეტა ვნახეთ, კარეტაში კი მშვენიერი ცხენები იყო შებმულიო. მდიდრულ

ლივრეაში გამოწყობილმა მსახურმა კარეტის კარი გამოაღო, გაიღო სახლის კარიც და ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი ორი ბატონი გამოჩნდაო. მოხუცი უცხოელი უნდა ყოფილიყო, მეორე — ალბათ ის ახალგაზრდა, რომელიც ასე ძნელად ითვისებს გერმანულს და ასე გაშმაგებით ცეკვავსო, ბატონები კარეტაში ჩასხდნენ, მსახური უკან რომ ფიცარია გადებული, იმაზე შეხტა და კარეტა, თქვენ წარმოიდგინეთ, პირდაპირ ბურგომისტრის სახლისკენ გაემართაო.

როგორც კი ქალებმა მსახურთაგან ეს მოისმინეს, სასწრაფოდ შემოიხსნეს სამზარეულოს წინსაფრები, შემოიძრეს ჭუჭყიანი ხილაბანდები და სამკაულებით მოირთეს თავი.

— ეჰვი არაა, — ეუბნებოდნენ შინაურებს და ჯარასავით ტრიალებდნენ, რომ სასტუმრო ოთახი, რომელსაც ამავე დროს სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, სასწრაფოდ მიელაგ-მოელაგებინათ, — ეჰვი არაა, რომ უცხოელი ახლა თავის ძმისწულს გამოიყვანს საზოგადოებაში. ბებერი სულელი ათი წლის მანძილზე არასოდეს ყოფილა ისე თავაზიანი, რომ ჩვენს ოჯახებში ფეხი შემოედგა, მაგრამ ეს ამბავი კაცმა კიდევ შეიძლება ძმისწულის ხათრით აპატიოს. ეტყობა, სანაქებო ვაჟკაცი უნდა იყოს.

ასე ჭაჭანებდნენ და თავიანთ ვაჟებსა და ქალიშვილებს აფრთხილებდნენ, უცხოელები თუ მოვლენ, რაც შეიძლება ზრდილობიანად მოიქცეთ, თავი ღირსეულად დაიჭირეთ და რიგიანი სიტყვა-პასუხი მოასმენინეთო.

მართლაცდა, ჭკვიანმა ქალაქელმა ქალებმა თადარიგი ტყუილად როდი დაიჭირეს: მოხუცმა ბატონმა თავისი ძმისშვილის თანხლებით ქალაქი შემოიარა და ოჯახები რიგრიგობით გაიცნო.

ყველგან ამ ორ უცხოელზე ლაპარაკობდნენ და იმასღა ნანობდნენ, რომ ეს სასიამოვნო ნაცნობობა ადრე არ დამყარდა. მოხუცი ბატონი ძალზე გონებაგახსნილი, ღირსეული კაცი აღმოჩნდა. ეს კია, ლაპარაკისას ეღიმებოდა ხოლმე და მსმენელიც უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, ვეღარ იგებდა, სერიოზულად ლაპარაკობდა მოხუცი უცხოელი თუ ხუმრობდა. მაგრამ რაზეც უნდა ელაპარაკა უცხოელს, ამინდზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ქალაქის შემოგარენზე იტყოდა რამეს თუ მთაში გატარებულ სასიამოვნო ზაფხულს გაიხსენებ-

და, ისე გონივრულად და დაკვირვებით ლაპარაკობდა, ყველა ერთიანად მოხიბლა. მისმა ძმისშვილმა ხომ ყველა მოაჯადოვა, ყველას გული დაიპყრო. ახალგაზრდა ინგლისელის გარეგნობაზე კაცი კარგს ვერაფერს იტყოდა. პირისახე საკმაოდ ულამაზო ჰქონდა, განსაკუთრებით ქვედა ყბა შეგეჩხირებოდა თვალში: კაი დიდზე წამოსწეოდა წინ, სახეზე კი ყავისფერი მისძალებოდა. ყმაწვილი დროდადრო სახეს დამანჭავდა ხოლმე, მოჰუტავდა თვალებს, კბილებს გააკრაჭუნებდა, მაგრამ მისი სახის ნაკვთები მაინც მიმზიდველი მოეჩვენათ, აი ტანი კი, ახალგაზრდა ინგლისელს მეტისმეტად სხარტი და მოქნილი ჰქონდა. მართალია, ვერ იტყოდი, ტანისამოსი მოხდენილად ადგასო ტანზე, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ინგლისელი მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. სტუმრად მისვლისთანავე ოთახს შემოირბენდა, მერე ხან დივანზე წამოეგდებოდა, ხან სავარძელში ჩახტებოდა და ტლოყებს წამოიშვერდა. მაგრამ რაც სხვებისგან უკადრის საქციელად მიაჩნდათ, ინგლისელისაგან პირიქით, მოსწონდათ კიდეც.

— ინგლისელია, ასეთები არიან. ინგლისელს შეუძლია ტახტზე დაწვეს და დაიძინოს, გინდაც ათი ქალი იდგეს ფეხზე. ინგლისელისგან ასეთი რამ არ უნდა გეწყინოს, — ამბობდნენ მასპინძლები.

ყმაწვილს თავისი ბიძის, მოხუცი ბატონის დიდი რიდი ჰქონდა. როგორც კი ოთახში ხტუნვას დაიწყებდა, ანდა ფეხებს წამოპლაკავდა, — სხვათა შორის, ძალზე უყვარდა ტლოყების წამოშვერა, — ერთი მკაცრი შეხედვაც საკმარისი იყო, რომ კვლავ კალაპოტში ჩამდგარიყო. ყმაწვილისაგან არაფერი არ უნდა გწყენოდა, მით უმეტეს, რომ ბიძამისი წინდაწინ აფრთხილებდა დიასახლისებს: ჩემი ძმისწული ჯერჯერობით ცოტა უხეში და უკულტურო ახალგაზრდაა, მაგრამ საზოგადოებისაგან, თქვენის ნებართვით, ბევრს მოველი. ვიმედოვნებ, საზოგადოება სათანადოდ ჩამოჰქნის და გაანათლებსო.

ასე გაეცნო უცხოელის ძმისშვილი საზოგადოებას და ეს ახალი ამბავიც მთელ გრიუნვიზელს კარგა ხანს პირზე ეკერა. მაგრამ მოხუცი ბატონი ამას აღარ დასჯერდა. ბოლო ხანს უცხოელს, ეტყობა სრულიად შეეცვალა აზრები და ამისდა მიხედვით ცხოვრების ყაიდაც გადაუხალისდა. ნასადილევს, თავის ძმისწულთან ერთად ახლა გარეთაც გამოდიოდა ხოლმე

და მთაზე წამოჯიმულ სამორინეს მიადგებოდნენ, სადაც გრიუნვიზელის წარჩინებული ბატონები ლუდს სვამდნენ და კეგლის თამაშით ერთობოდნენ. ძმისშვილი კეგლის კარგი მოთამაშე აღმოჩნდა: ყოველ სროლაზე ხუთ-ექვს კეგლის მაინც წააქცევდა ხოლმე.

მაგრამ დროდადრო, თითქოს ეშმაკი შეუჩნდაო, დასტაცებდა უცებ კეგლებს ხელს, შეშლილივით გავარდებოდა გარეთ და ალიაქოთს ასტეხდა. ხანდახან, შუა თამაშში, თუკი გვირგვინს ან მეფეს წააქცევდა სროლით, მშვენივრად გადავარცხნილ თავზე დადგებოდა და ფეხებს ჰაერში ააფართხალებდა. თუ შორიახლო კარეტა ჩამოიელდა, უმაწვილი თკალის დახამხამებაში კარეტის კოფოზე მოექცეოდა და მანქვაგრეხას იწყებდა. ცოტას რომ გაისეირნებდა, ჩამოხტებოდა კარეტიდან და კვლავ მოთამაშეებს შეუერთდებოდა ხოლმე.

ძმისწულის ასეთი საქციელის შემდეგ მოხუცი ბატონი ბოდიშს მოუხდიდა ხოლმე ბურგომისტრსა და სხვა მამაკაცებს, ესენი კი იცინოდნენ, ახალგაზრდობის ბრალიაო, ამბობდნენ, ამ ასაკში ჩვენც ასეთი ფეხმარდები ვიყავითო, თან ირწმუნებოდნენ, ეს ახალგაზრდა ქარიფანტია, — ასე უწოდებდნენ ისინი ყმაწვილს, — არაჩვეულებრივად გვიყვარსო. ზოგჯერ უკმაყოფილებას ველარ მალავდნენ, თუმცა ვერაფრის თქმას ვერ ბედავდნენ, რადგან ახალგაზრდა ინგლისელი აღზრდისა და გონიერების საყოველთაო ნიმუშად ითვლებოდა.

საღამოობით მოხუცი ბატონი თავის ძმისწულთან ერთად ქალაქის სამიკიტნოს — „ოქროს ირემსაც“ ესტუმრებოდა ხოლმე. მისი ძმისწული, მართალია ჯერ სულ მთლად ყმაწვილი იყო, მაგრამ მოხუციეით კი იქცეოდა: მიუჯდებოდა მაგიდას, გაიესებდა ჭიქას, ცხვირზე უშველებელ სათვალეს დაიკოსებდა, ამოიღებდა უზარმაზარ ყალიონს, მოუკიდებდა და ყველაზე მეტს ახრჩოლებდა. როცა საუბარი გაზეთებზე, ომსა და მშვიდობაზე ჩამოვარდებოდა, — ექიმი თავის აზრს იტყოდა, ბურგომისტრი — თავისას და გაოცებული დამსწრენიც ერთმანეთს წასჩურჩულებდნენ — რა კარგად ესმითო პოლიტიკა, მოულოდნელად უცხოელის ძმისწული ჩაერეოდა საუბარში და სრულიად საწინააღმდეგო აზრს წამოროშავდა. შემდეგ ხელთათმანიან მარჯვენას მაგიდაზე დაჰკრავდა, — ხელებზე ყოველთვის თათმანები ჰქონდა წამოცმული, — და ბურ-

გომისტრსა და ექიმს როყიოდ მიახლიდა, ამ საკითხებისა არაფერი გაგეგებათ, ეს საკითხები მე სრულიად სხვაგვარად გამიგია და თქვენზე უკეთაც მესმისო. შემდეგ უცნაურად დამტვრეული გერმანულით გამოთქვამდა თავის აზრს, რომელსაც, ბურგომისტრის საწყენად ყველა იწონებდა, რადგან ინგლისელს, ბუნებრივია, ყველაფერი უკეთ უნდა სცოდნოდა.

გაჯავრებული ბურგომისტრი და ექიმი, რაკიღა თავიანთ გაბრაზებას ვერ ამჟღავნებდნენ, ჰადრაკის დაფას მიუსხდებოდნენ. მაგრამ უცხოელის ძმისწული ჰადრაკის თამაშშიც უშლიდა ხელს: დადგებოდა ბურგომისტრის ზურგს უკან და თავისი უზარმაზარი სათვალედან აცქერდებოდა თამაშს, თან ბურგომისტრის ამა თუ იმ სვლას მასხრად აიგდებდა ხოლმე, ექიმს კი რომელიმე სვლის გაკეთებას ურჩევდა. ორივე ჰამაკაცი ბრაზისაგან ლამის გულზე გამსკდარიყო. შემდეგ ბურგომისტრი შესთავაზებდა, ახლა მე მეთამაშეთო, — ფიქრობდა, უნდა ვაწრუწუნოო, რადგან მოხუცი ბატონის ძმისწულს თავისი თავი მეორე ფილიდორად* მიაჩნდა. ყმაწვილიც მიუჯდებოდა ჰადრაკის დაფას. მოხუცი ბატონი ძმისშვილს კიდევ უფრო მაგრად შემოუტერდა ყელსახვევს, ძმისწული უმალ თავაზიანი და ზრდილი გახდებოდა და ბურგომისტრსაც დააშამათებდა.

აქამდე გრიუნვიზელში თითქმის ყოველღამე ბანქოს თამაშობდნენ, თითო ხელს ნახევარ კროიცერად. ძმისშვილმა ეს მათხოვრობად მიიჩნია, კრონენტალერებსა და დუკატებს* ჩადიოდა და ამტკიცებდა — ვერავინ ჩემებრ მოხდენილად ვერ თამაშობსო, მაგრამ შეურაცხყოფილ ბატონებს კვლავ იმით შემოირიგებდა ხოლმე, რომ უზარმაზარ თანხას აგებდა. ამდენი ფულის გამორთმევისას სინდისი სულაც არ ქენჯნიდათ. ის ხომ ინგლისელია, მაშასადამე მდიდარი ოჯახის შვილი, — ამბობდნენ გრიუნვიზელელები და დუკატებს იჯიბავდნენ.

ასე მოიპოვა მოკლე დროში უცხოელი ბატონის ძმისწულმა ქალაქსა და მის მიდამოებში უჩვეულო პატივისცემა. ადამის ჟამიდან მოკიდებული არც ერთ გრიუნვიზელელს არ ენახა ასეთი ყმაწვილკაცი თავიანთ ქალაქში და ეს ამბავი უსაკვირველეს მოვლენად მიაჩნდათ; ვერავინ იტყოდა, ამასა და ამაში ცოდნა გამოამჟღავნაო — ცეკვის გარდა უცხოელის ძმისწულმა არაფერი იცოდა. ლათინური და ბერძნული, როგორც

იტყვიან, უცხო ხილი იყო მისთვის. ერთხელ ბურგომისტრის ოჯახში რაღაც თამაში წამოიწყეს: ყველა მონაწილეს თავთავისი სახელი და გვარი უნდა დაეწერა, და უცებ აღმოჩნდა, რომ მოხუცი ბატონის ძმისშვილს საკუთარი გვარის დაწერაც კი არ შეეძლო. გეოგრაფიაში ხომ საოცრად უვიცობას ამჟღავნებდა. რომელიმე გერმანულ ქალაქს საფრანგეთის ქალაქად გაასაღებდა, დანიის ქალაქს — პოლონეთის ქალაქად. წაკითხულიც არაფერი ჰქონდა. ყმაწვილკაცის საშინელი უვიცობით აღშფოთებული ობერპასტორი ხშირად გაიქნევდა ხოლმე თავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაც უნდა გაეკეთებინა ყმაწვილს, რაც უნდა ეთქვა, მაინც აღფრთოვანებული რჩებოდა ყველა. სირცხვილი რა იყო, არ იცოდა, თავისი თავი ყველაფერში მართალი მიაჩნდა და ყოველ საუბარს ასე ამთავრებდა: „თქვენ რა იცით, ეს ამბავი მე მკითხეთო“.

ამასობაში ზამთარი დადგა და ძმისწულმაც გრიუნვიზელებს კიდევ უფრო მოაწონა თავი. თავშეყრილი საზოგადოება ყოველთვის მოწყენილი იყო ხოლმე, თუკი ახალგაზრდა ინგლისელი თვალში დააკლდებოდათ. გონიერ კაცსაც რომ ეთქვა ჭკვიანური სიტყვა, მაინც წაუყრუებდნენ, მაგრამ საკმარისი იყო ამ ყმაწვილს წამოეროშა რამე, ყველა სმენად იქცეოდა. მერე აღმოჩნდა, ეს ჩინებული ყმაწვილი კაცი, თურმე პოეტიც ყოფილა. საღამო იშვიათად თუ დასრულდებოდა ისე, ჯიბიდან ქაღალდი არ ამოეღო და საზოგადოებისათვის სონეტი არ წაეკითხა. მართალია, ადამიანთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, მისი ნაწერების ნაწილი ცუდი და აზრს მოკლებულიაო, მეორე ჯგუფი ამბობდა — სადღაც დაბეჭდილი წაგვიკითხავსო მისი ლექსები, მაგრამ უცხოელის ძმისწული აინუნში არ აგდებდა არავის აზრს, მაინც კითხულობდა, დამსწრეთა ყურადღებას თავისი ლექსის სიმშვენიერეზე ამახვილებდა და ჯილდოდ მქუხარე ტაშსაც იმკიდა ხოლმე.

გრიუნვიზელის მეჯლისებზე ხომ დიდების გვირგვინიც დაიდგა თავზე. არავის შეეძლო მისებრ ხანგრძლივად და სწრაფად ცეკვა, ვერავინ აკეთებდა მისებრ გაბედულ და უჩვეულოდ ფაქიზ ანტრაშებს. ამასთანავე ბიძამისი მშვენივრად აცმევდა, თანამედროვე მოდის მიხედვით და, თუმცა ვერ იტყოდი, ტანსაცმელი მოხდენილად ადგასო ტანზე, მაინც ასე მიაჩნდათ, სანიმუშოდ იცვამსო. მამაკაცები მის გამოჩენაზე

თაეს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ. წინათ თავად ბურგომისტრი ხსნიდა ხოლმე მეჯლისს, შემდგომი ცეკვების განრიგება კი წარჩინებული ყმაწვილკაცების უფლება-მოვალეობა იყო, მაგრამ რაც ეს ახალგაზრდა ბატონი მოევლინა აქაურობას, ყველაფერი შეიცვალა. მოურიდებლად მოჰკიდებდა ხელს ყველაზე საუკეთესო ქალს, მოცეკვავეთა მწკრივს თავში ჩაუდგებოდა და რაც მოეპრიანებოდა, იმას აკეთებდა. ისე ირჯებოდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო ყველაფრის ბატონ-პატრონი და მეჯლისის მეფეც. მაგრამ რაკი ქალებს მაინც მოსწონდათ და თვალში მოსდიოდათ ასეთი საქციელი, აღარც მამაკაცები ამბობდნენ საძრახისს და უცხოელის ძმისწულიც იფერებდა ამ პატივს.

მოხუც ბატონს, როგორც ჩანდა, მეჯლისები დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა. ძმისწულს თვალს არ აცილებდა, გამუდმებით იღიმებოდა, და როცა მთელი საზოგადოება მისკენ გასწევდა, რომ ყმაწვილის ასეთი კარგი აღზრდისათვის ქათინაურები ეთქვათ, მოხუცი მოზღვაებულ სიხარულს ვერ მალავდა, ხარხარებდა და უჩვეულოდ ცქმუტავდა ხოლმე. გრიუნვიზელელები ამ ამბავს ძმისწულისადმი დიდი სიყვარულით ხსნიდნენ და მაინცდამაინც არაფერი უკვირდათ. მაგრამ მოხუცი დროდადრო მაინც იძულებული ხდებოდა მეურვის უფლებით ესარგებლა, რადგან შუა ცეკვაში მის ძმისწულს უცებ წამოუვლიდა რაღაც, — თითქოს თავი აიწყვიტაო, ერთი ნახტომით მოექცეოდა ესტრადაზე, სადაც ქალაქის მუსიკოსები ისხდნენ, კონტრაბასისტს საკრავს წაართმევდა და ყურისწამღებად ააწივლებდა. მერე ყირაზე დადგომა მოეპრიანებოდა და ტლოყებს აქეთ-იქით აჰყრიდა. ასეთ დროს ბიძა გვერდით გაიყვანდა, გაკიცხავდა, კიდევ უფრო მაგრად შემოუჭერდა ყელსახვევს და ყმაწვილიც ხელად მოთვინიერდებოდა ხოლმე.

ასე ერთობოდა უცხოელის ძმისწული საზოგადოებაში და მეჯლისებზე.

როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ცუდი მაგალითი ამჯერადაც გადამდები აღმოჩნდა. მყვირალა მოდა, ძალიანაც სასაცილო რომ იყოს, ბოლოს მაინც მონახავს წამხედურა ახალგაზრდებს, რომლებიც ჯერ არც თავიანთ ცხოვრებაზე ჩაფიქრებულან და არც სოფლის ავ-კარგზე. ასე მოხდა გრიუნვიზელშიც. როცა ახალგაზრდებმა ნახეს, ამ გაუთლელი ყმა-

წვილის მანჭვა-გრეხას, ყბედობასა და უზრდელ სიტყვა-პასუხს სულაც არ კიცხავენ უფროსები, პირიქით, ტაშსაც უკრავენ და ახალგაზრდას უწონებენ ასეთ საქციელს, ნიჭიერ ყმაწვილად ნათლავენო, იფიქრეს: ინგლისელის საქციელი ჩვენც უნდა გავიმაგალითოთ და თავის გამოჩენა არ გაგვიჭირდებაო. უწინ ბეჯითმა, უნარიანმა ყმაწვილებმა სწავლაზე ხელი აიღეს, — ცოდნა რას გვარგებს, თუკი უვიცობით უკეთ გავალთ ფონსო. წიგნები გვერდზე გადადეს და ქუჩებსა და მოედნებზე იწყეს ყიალი. თუკი უწინ ზრდილნი, თავაზიანნი იყვნენ ყველას მიმართ, არ ეჩრებოდნენ უფროსებს საუბარში, ხოლო თუ რამეს ჰკითხავდნენ, რიდითა და მოწიწებით პასუხობდნენ, ახლა გრიუნვიზელელი ახალგაზრდები მოზრდილთა რიგებს გაერივნენ, უფროსების საუბარშიც ეჩრებოდნენ, სიბრძნესაც აფრქვევდნენ, ბურგომისტრსაც პირში დასცინოდნენ და ერთთავად ასე გაიძახოდნენ: ჩვენს გარდა სხვებს არაფერი ესმითო. უწინ ახალგაზრდა გრიუნვიზელელებისაგან ვერ გაიგონებდით უხეშსა და უწმაწურ სიტყვას, ახლა კი ისინი ქუჩის სიმღერებს გაჰკიოდნენ, უშველებელ ჩიბუხებს ახრჩოლებდნენ და დუქან-დუქან დაიხეტებოდნენ. თუმცა თვალი კარგად უჭრიდათ, მაინც შეიძინეს სათვალეები, ცხვირზე წამოიკოსეს და ირწმუნეს, — ახლა კი ნამდვილად დაგვაფასებენო, რადგან გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსნენ ყველასათვის ცნობილ უცხოელის ძმისწულს. სახლში ან სტუმრად ყოფნისას დეზებიან ჩექმებს ტახტზე შეაწყობდნენ, გაუთავებლად ირწეოდნენ სკამზე, ხელისგულებს ნიკაპის ქვეშ მოიქცევდნენ, იდაყვებს კი მაგიდაზე შემოალაგებდნენ, — ეტყობა ფიქრობდნენ, ასეთი საქციელი განსაკუთრებით მოეწონებათო. დედები და მეგობრები ამაოდ არწმუნებდნენ: ცუდად იქცევით, არ შეგეფერებათ ასეთი საქციელიო, მაგრამ გრიუნვიზელელი ახალგაზრდები არავის ნათქვამს არ იღებდნენ ყურად და ინგლისელის მისაბაძ მაგალითს იმოწმებდნენ ხოლმე. ამაოდ უმტკიცებდნენ, უცხოელის ძმისწულს, როგორც ინგლისელს, უნდა ეპატიოსო ეროვნული უხეშობა. ახალგაზრდა გრიუნვიზელელები პასუხობდნენ: ჩვენც გვაქვს უფლება ისეთივე უზრდელები ვიყოთ, ის საუკეთესო ინგლისელი რომ არისო. მოკლედ რომ ვთქვათ, ნამდვილი უბედურება იყო იმის ცქერა, თუ როგორ ეცემოდა გრიუნვიზელელი ახალგაზრდობის

ზნეობა ახალგაზრდა ინგლისელის საშინელი მაგალითის წამხედურობით.

მაგრამ ყმაწვილთა სიხარული, რაც მათი აღვირაშვებული დროსტარებით იყო გამოწვეული, დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ ამბავს უეცრად მოეღო ბოლო.

ზამთრის გართობა-თამაშობებს გრიუნვიზელში დიდი კონცერტით აგვირგვინებდნენ, რომელსაც ქალაქის მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა ძალებით აწყობდნენ ხოლმე. ექიმი საუცხოოდ უკრავდა ფაგოტზე, ბურგომისტრი — ვიოლონჩელზე. აფთიაქარს კი, მიუხედავად იმისა, რომ მის საკრავს რიგიანი სატუჩე არ ჰქონდა, ფლეიტაზე დაკვრა შეეძლო. რამდენიმე ყმაწვილმა ქალმა არიები დაისწავლა და ყველაფერი ჩინებულად მომზადდა, მაგრამ მოხუცმა უცხოელმა განაცხადა, მართალია, კონცერტი დიდებულად არის მომზადებული, თუმცაღა დუეტი აკლია, დუეტი კი ყოველ რიგიან კონცერტზე უნდა შესრულდესო. ამის გაგონებაზე ცოტა არ იყოს შეჩქვიფდნენ: ბურგომისტრის ქალიშვილი ბულბულივით მღეროდა, მაგრამ სად უნდა ეპოვნათ მისი შესაფერისი პარტნიორი, რომელიც მასთან ერთად იმღერებდა? ბოლოს ერთი მოხუცი კაცი გაახსენდათ, ორღანოს დამკვრელი, რომელსაც თავის დროზე ჩინებული ბანი ჰქონდა, მაგრამ, უცხოელმა განაცხადა, არავისი ძებნა არაა საჭირო, ჩემი ძმისშვილი მშვენივრად მღერისო. როცა შეიტყვეს, ახალგაზრდა ინგლისელს სიმღერის ნიჭიც ჰქონიაო, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ კიდეც. სასინჯად მას რაღაც ამღერეს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უჩვეულო მანერებს, რასაც მის ინგლისელობას მიაწერდნენ — ყმაწვილმა ანგელოზის საკადრისად იმღერა. სახელდახელოდ დაისწავლეს ხმები და ბოლოს დადგა ის საღამოც, როცა კონცერტს გრიუნვიზელელთა სმენა უნდა დაეტკბო.

სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო, მოხუცმა უცხოელმა ვერ შესძლო თავისი ძმისშვილის ტრიუმფს დასწრებოდა და ბურგომისტრს, რომელმაც იგი კონცერტამდე ერთი საათით ადრე მოინახულა, ძმისწულის შესახებ ზოგი რამ გაუზიარა.

— ჩემი ძმისწული კეთილი ხასიათის ადამიანია, მაგრამ ხანდახან უცნაური ხუშტურები წამოუვლის და გადაირევა

ხოლმე. სწორედ ამიტომ ვწუხვარ, რომ კონცერტს ვერ ვეს-წრები; როცა გვერდით ვყავარ, მუდამ თავშეკავებულია ხოლმე. სხვათა შორის, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის სიანცეს სულიერი კი არა, უფრო ფიზიკური საწყისი აქვს. ასეთი ბუნებისაა. როგორც კი ანცობას დაიწყებს, პიუპიტრზე ჩამოჯდება, კონტრაბასს დაუკრავს ან სხვა რამ ოინს მოიგონებს, თქვენ, ბატონო ბურგომისტრო, ოდნავ შეუხსენით მაღალი ყელსახვევი, ხოლო თუ მაინც არ დამშვიდდა, მაშინ სულ მოაძრეთ და ნახავთ რა თავაზიანი და ზრდილი გახდება.

ბურგომისტრმა ავადმყოფ უცხოელს ნდობისათვის მადლობა გადაუხადა და შეჰპირდა, საჭიროების დროს ისე მოვიქცევი, როგორც მირჩიეთო.

საკონცერტო დარბაზი გაჭედილი იყო. მთელი გრიუნვიზელი და შემოგარენის ხალხი უკლებლივ აქ იყო, ვინღა არ მოვიდა კონცერტზე: მონადირეებიც, მღვდლებიც, მოსამსახურეებიც, ფერმერებიც, ერთი სიტყვით, ვინც კი ქალაქიდან სამი საათის სავალზე ცხოვრობდა, ყველამ აქ მოიყარა თავი თავიანთი მრავალრიცხოვანი ოჯახებით, რათა გრიუნვიზელელებთან ერთად დამტკბარიყვნენ ამ იშვიათი სანახაობით.

ქალაქის მუსიკოსებმა ჩინებულად გაართვეს თავი ამ საპასუხისმგებლო საქმეს. შემდეგ ბურგომისტრმა ვიოლონჩელზე დაუკრა, მას მხარს უმშვენებდა აფთიაქარი თავისი ფლეიტით. მერე ორღანისტმა იმღერა ბანის პარტია და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ექიმსაც დიდი ტაში ხვდა წილად — დასტაქარმა ფაგოტზე დაუკრა.

კონცერტის პირველი განყოფილება დასრულდა და მსმენელები ახლა მოუთმენლად ელოდნენ მეორე განყოფილების დაწყებას. უმაწვილ უცხოელსა და ბურგომისტრის ქალიშვილს სწორედ მეორე განყოფილებაში უნდა ემღერათ. ძმისწული ბრწყინვალედ გამოწყობილი გამოცხადდა კონცერტზე და იმთავითვე მიიქცია დამსწრეთა ყურადღება. მოვიდა თუ არა, დაუკითხავად ჩაჯდა ძვირფას სავარძელში, რომელიც მეზობელ ქალაქში მცხოვრები გრაფის მეუღლისათვის მოატანინეს, მერე ფეხები გაიჩაჩხა. მაყურებლებს უზარმაზარი ჰოგრიტით ათვალიერებდა, რომელსაც მაინც თან დაატარებდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ცხვირზე საკმაოდ დიდი

სათვალე ჰქონდა დაკოსებული. მართალია აუკრძალეს, მაგრამ ახალგაზრდა ინგლისელმა მაინც მოიყვანა ძაღლი საზოგადოების თავშეყრის ადგილას. გრაფის მეუღლე, ვისთვისაც საგანგებოდ მოატანინეს სავარძელი, ბოლოს თვითონაც მობრძანდა, მაგრამ უცხოელის ძმისწულს აზრადაც არ მოსვლია ადგილი დაეთმო მისთვის, პირიქით, ყმაწვილი კიდევ უფრო მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში და უბატონოდ ხმაც ვერავინ გასცა.

სიბრაზისაგან წარჩინებულ ქალბატონს სახე აელეწა, მაგრამ რა უნდა ექნა, იძულებული გახდა ჩვეულებრივ ჩალის სკამზე დამჯდარიყო ქალაქის სხვა ქალებთან ერთად. მთელი პირველი განყოფილების განმავლობაში, ვიდრე ქალაქის თავკაცები გამოდიოდნენ, ყველა სულგანაბული იჯდა, გულისყურით უსმენდნენ მუსიკას. უცხოელის ძმისწული კი ამ დროს ძაღლს ეთამაშებოდა: გადაუგდებდა ცხვირსახოცს და ძაღლსაც ეს ცხვირსახოცი უკანვე მოჰქონდა ხოლმე. დროდადრო მის ახლოს მჯდომთ ეტარტარებოდა ხმამაღლა, ისე რომ, ვინც ახალგაზრდა ინგლისელს პირადად არ იცნობდა, ყველა გაოცებას იყო მისი უცნაური საქციელის გამო.

ამის შემდეგ სულაც აღარ იყო გასაკვირი, რომ ყველანი მოუთმენლად ელოდნენ, თუ როგორ შეასრულებდა იგი თავის პარტიას.

დაიწყო მეორე განყოფილება. ქალაქის მუსიკოსებმა კიდევ დაუკრეს ცოტა ხანს. ბურგომისტრი და მისი ქალიშვილი ყმაწვილ კაცთან მივიდნენ, ნოტები გადასცეს და უთხრეს:

— მუსიო, ინებებთ დუეტის შესრულებას?

ყმაწვილმა კაცმა გაიცინა, კბილები გააღრჭიალა, მერე ზეზე წამოხტა და ნოტების პულტისაკენ გაემართა. მამა-შვილი უკან გაყვა. მთელი საზოგადოება მოლოდინში გაინაბა. ორღანისტი საქმეს შეუდგა და ინგლისელს ანიშნა, — დაიწყეო. უცხოელის ძმისწულმა თავისი დიდი სათვალეებიდან ნოტებში ჩაიჭყიტა და საზარელი, ყურთასმენის წამღები ბგერები ამოუშვა. ორღანისტმა შეჰყვირა:

— ორი ნოტით დაბლა, ძვირფასო, სი უნდა იმღეროთ, სი!

მაგრამ იმის მაგივრად, რომ სი ემღერა, ძმისშვილმა ფეხსაცმელი გაიძრო, ორღანისტს თავში ესროლა და მუსიკოსის პარიკსაც ბდღვირი აუვიდა. ბურგომისტრმა რომ ეს დაინახა,

გაიფიქრა: ოჰო, ახლა კი წამოუარა ფიზიკურმა სიანცემო, ისკუპა მისკენ, კისერში წაავლო ხელი და ყელსახვევი ოდნავ შეუხსნა. მაგრამ ამის მერე კიდევ უფრო გადაირია ყმაწვილი. გერმანულად კი აღარ ლაპარაკობდა, ყველასათვის გაუგებარ ენაზე დაიწყო ბურდღუნი, თან ხტუნვას მოჰყვა. ამ არასასიამოვნო მდგომარეობამ ბურგომისტრი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. გადაწყვიტა, ყელსახვევს საერთოდ შევუხსნი, იქნებ ჰკუაზე მოვიყვანოო, მაგრამ მოაძრო თუ არა ყელსახვევი, ბურგომისტრი ადგილზევე გაქვავდა: ინგლისელს — მთელი კისერი მუქი ყავისფერი ბალნით ჰქონდა დაფარული. ახალგაზრდამ სულ აიწყვიტა თავი, უცნაური ნახტომებით იწყო სირბილი, გაქათქათებულ ხელთათმანიანი ხელი თმაზე გადაისვა და, ჰოი საოცრებავ! თავზე თურმე პარიკი ჰქონია. ეს პარიკი მან ბურგომისტრს ესროლა სახეში. ყმაწვილს თავიც ყავისფერი ბალნით ჰქონდა დაფარული. შეშლილივით გადაურბინა მაგიდებსა და მერხებს, გადააბრუნა პიუპიტრები, გადათელა ვიოლინოები და კლარნეტები.

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ! — გაჰკიოდა გააფთრებული ბურგომისტრი. — გაგიყდა, დაიჭირეთ!

მაგრამ მისი დაჭერა ძნელი საქმე იყო, რადგან ამ საოცარმა არსებამ ამასობაში ხელთათმანები გაიძრო და თითებზე წამოზრდილი ბრჭყალებით ხალხს სახეებს უკაწრავდა. ბოლოს ერთმა გაბედულმა მონადირემ მოახერხა მისი შეპყრობა, — ორივე გრძელი ხელი გაუკავა. ახლა იგი ფეხებსღა აფართხალებდა, თან ხრინწიანი ხმით იცინოდა, ყვიროდა. უცხოელის ძმისწულს ხალხი შემოეჯარა, ყურადღებით ათვალიერებდა უცნაურ ყმაწვილ ბატონს, რომელიც ახლა ადამიანს სრულებით აღარ ჰგავდა. ამ არსებას კონცერტზე მოსული სწავლული ნატურალისტიც მიუახლოვდა, რომელსაც თავის კაბინეტში ბევრი ჰქონდა სხვადასხვა ცხოველის ფიტული. როცა სულ ახლოს მივიდა და დააკვირდა, გაოცებულმა წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო, როგორ დაუშვით ეს მხეცი თქვენს კეთილშობილ საზოგადოებაში? ეს ხომ მაიმუნია, Homo Troglodita Linnäi, — ახლავე მოგართმევთ ექვს ტალერს, ოღონდაც დამით-

მეთ. ჩემი კაბინეტისათვის სწორედ მისი ფიტული მჭირდება.

ეს რომ გაიგონეს, გრიუნვიზელელები სახტად დარჩნენ.

— რაო? მაიმუნი? ორანგუტანგი ჩვენს საზოგადოებაში? — იძახდნენ ისინი და გაოგნებულნი ერთმანეთს შესცქეროდნენ. თვალსა და ყურს არ უჯერებდნენ. მამაკაცები გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ამ არსებას, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მაიმუნი მაიმუნადვე რჩებოდა.

— კი მაგრამ, როგორ მოხდა ეს? — წამოიძახა ბურგომისტრის ცოლმა. — განა ეგ არსება არ მიკითხავდა თავის ლექსებს, განა სხვა ადამიანებივით ისიც არ სადილობდა ჩვენთან ერთად?

— აბა! — მხარს უბამდა ექიმის ცოლი, — განა ეგ არ მირთმევდა ხოლმე ჩემს ოჯახში ყავას, განა ეგ არ ესაუბრებოდა ჭკვიანი კაცივით ჩემს მეუღლეს და თან თამბაქოს აბოლებდა?

— სად გაგონილა ასეთი ამბავი? განა ეს შესაძლებელია? — იძახდნენ მამაკაცები. — ნუთუ ეგ არ თამაშობდა ჩვენთან ერთად კეგლის და ტოლ-ამხანაგივით პოლიტიკაზე არ გვეკამათებოდა?

— რა სათქმელია! — გაიძახოდა ყველა ერთად. — ხომ ეგ იყო, ჩვენს მეჯლისებზე რომ ცეკვავდა?.. მაიმუნიო? მაიმუნიო! ეს ჯადოქრობაა!

— სწორედ რომ ჯადოქრობაა და სატანას ცდუნება, — თქვა ბურგომისტრმა, მერე კი უცხოელის ძმისწულის, ანუ იგივე მაიმუნის ყელსახვევი მოიტანა, — შეხედეთ! აი, ამ ყელსახვევშია მთელი ჯადოქრობა, რომელიც ჩვენს თვალში მას თავაზიანს ხდიდა. ამ ყელსახვევში ელასტიკური პერგამენტია ჩაკერილი, რომელზეც სხვადასხვა უცნაური ნიშნებია დაწერილი, მე მგონი, ლათინური უნდა იყოს. ვის შეუძლია ლათინურად წაკითხვა?

ობერპასტორი, ეს განსწავლული კაცი, რომელსაც ხშირად წაუგია ჰადრაკი ამ მაიმუნთან, პერგამენტს დააკვირდა და თქვა:

— ეს ლათინური წარწერა ასე უნდა ვთარგმნოთ:

„სასაცილოა მაიმუნი ჩვენი, — ვაშლის ჩაკბეჩა ძალიან შვენის“.

დიახ, დიახ, ეს ნამდვილად მისნური წარწერაა და ამის მომგონი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, — დაასრულა ობერპასტორმა.

ბურგომისტრიც ამავე აზრისა იყო და მაშინვე უცხოელის სახლისაკენ გაეშურა. ყველა იმ აზრს ადგა, უცხოელი ჯადოქარი უნდა იყოსო. ქალაქის ექვს ჯარისკაცს მაიმუნიც მიჰყავდა, რადგან უცხოელი ახლავე უნდა დაეკითხათ.

სეირის საყურებლად უამრავი ხალხი მოაწყდა უკაცრიელ სახლს. დააკაკუნეს კარზე, ზარსაც ჩამოკრეს, მაგრამ ამაოდ, პასუხი არავინ გასცა. მაშინ გაცოფებულმა ბურგომისტრმა ბრძანა, სახლის კარი შეამტვრიეთო; არც იქ დაუხვდათ ვინმე, ხარახურის გარდა ოთახში ვერაფერი ნახეს. უცხოელი მიწამ ჩაყლაპა თითქოს. მის საწერ მაგიდაზე კი ბურგომისტრის სახელზე ერთი დიდი დალუქული წერილი იდო. ბურგომისტრმა წერილი მაშინვე გახსნა და წაიკითხა:

„ჩემო კეთილო გრიუნვიზელელებო!

მე უკვე თქვენს ქალაქში აღარა ვარ. ალბათ მიხვდებოდით, რა ჯიშის და მოდგმისაა ჩემი საყვარელი ძმისწული. დაე, ეს ხუმრობა, რომლის ჩადენის უფლება ჩემს თავს მივეცი, ჰკუის სასწავლებელ მაგალითად გამოგადგეთ. უცხოელს, რომელსაც თავის ნებაზე სურს ცხოვრება, ნუ აიძულებთ თქვენს საზოგადოებაში შემოსვლას. თვითონ მე თქვენს გაუთავებელ ჭორიკნობას, სასაცილო წეს-ჩვეულებებსა და უბადრუკ ყოფაში მონაწილეობის მიუღებლადაც კარგად ვგრძნობდი თავს. ამიტომაც აღვზარდე ახალგაზრდა ორანგუტანგი, რომელიც თქვენ ჩემი შემცვლელივით შეიყვარეთ. კარგად ბრძანდებოდეთ და შეძლებისამებრ გამოიყენეთ ეს მაგალითი“.

გრიუნვიზელელები საქვეყნოდ შერცხვნენ. თავს იმითლა ინუგეშებდნენ, ყოველივე რაც მოხდა, არაბუნებრივი ძალების ბრალიაო. მაგრამ ყველაზე უფრო გრიუნვიზელის ახალგაზრდებს რცხვენოდათ. რცხვენოდათ, რაკი თურმე მაიმუნს ბაძავდნენ. ამიერიდან მოკიდებული სტუმრად თუ სახლში ისინი წესიერად იქცეოდნენ, სდუმდნენ, ვიდრე რაიმეს არ ჰკითხავდნენ, გადააგდეს სათვალეებიც და ძველებურად ზრდილნი და მოკრძალებულნი გახდნენ. თუკი რომელიმე მათგანი კვლავ ჩაი-

დენდა სასაცილო, უზრდელურ საქციელს, გრიუნვიზელელები ამბობდნენ, — ნამდვილი მაიმუნიაო. ის მაიმუნი კი, რომელმაც ესოდენ დიდხანს ითამაშა ახალგაზრდა ბატონის როლი, სწავლულ ნატურალისტს გადასცეს. მაიმუნი მეცნიერს ეზოში ჰყავს გაშვებული, აჭმევს, ასმევს და როგორც განსაკუთრებულ იშვიათობას, ყველა უცხოელს უჩვენებს. ამ ეზოში მისი ნახვა დღესაც შეიძლება.

თეთრცხენიანი მხედარი

ის ამბავი, რომლის თხრობასაც ახლა ვაპირებ, თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ შევიტყვე დიდედაჩემის დედის, ფრაუ სენატორ ფედერსენის სახლში, როცა მის სავარძელთან მიმჯდარი ლურჯი მუყაოს ყდაში ჩასმულ ჟურნალებს ვკითხულობდი. ამჟამად უკვე აღარ მახსოვს, რა ჟურნალი იყო — „ლაიფციგი" თუ „პოპეს ჰამბურგული ქრესტომათია".* გული ახლაც შემითრთოლდება ხოლმე იმის გახსენებაზე, რა ალერსიანად გადამისვამდა თავზე თონთლო ხელს ეს ოთხმოცი წლის მოხუცი ქალი, მე — თავის ბადიშის შვილს. კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა მოხუციცა და ძველი დროც. მას შემდეგ იმ ჟურნალების ძებნითაც მრავალჯერ ამაოდ დავშვრი, ამიტომ, თუ ვინმე ამ ამბის უტყუარობას საეჭვოდ გახდის, ვეღარც შევედავები, ის კი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თუმცა ეს ყოველივე ცხოვრებას ჩემთვის აღარ გაუხსენებია, იმ ხანად წაკითხული მაინც არასოდეს დამვიწყებია.

— . —

— ეს მოხდა ჩრდილოეთ ფრიზეთში, ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში, — ასე იწყებდა მთხრობელი ამბავს. — უკვე საათზე მეტი გასულიყო, რაც ძლიერ ქარიშხალში, ჯებირზე მივაჭენებდი ცხენს. მარცხნივ მიყრუებული, პირუტყვისაგან მიტოვებული მარშები* მოჩანდა, მარჯვნივ — ჩრდილოეთის ზღვის მოქცევით გაჩენილი მეჩეჩი, რაიც გულს უსიამოვნო გრძნობით მივსებდა. სხვა დროს, ჯებირიდან კარგად ჩანდა პატარ-პატარა მეჩეჩები, მაგრამ ამჯერად მონაცრისფრო-მოყვითალო ტალღების მეტს ვერაფერს დაინახავდი, გააფთრებული ღმუილით რომ უტევდა ჯებირს და დროდადრო მე და ჩემს ცხენს ჰუჰყიან ქაფში ამოგვსვრიდა ხოლმე. უფრო შორს თვალშეუდგამი წყვდიადი მიწისა და ცის ერთმანეთისაგან გარჩევას შეუძლებელს ხდიდა, მით უფრო, რომ გალეული ახალი მთვარე, რომელიც იმჟამად უკვე საკმაოდ შემაღლე-

ბულიყო, მალიმალ ამოეფარებოდა ღრუბლებს. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ჩემი გაფიჩხული თითები რის ვაი-ვაგლახით იმორჩილებდნენ აღვირს და მშურდა ჰილუვავებისა და თოლიების, ლაღად რომ გრძნობდნენ თავს და ჭარიშხალს ჟივილ-ხივილით მიაცილებდნენ ხმელეთისაკენ. თანდათან ისე მოიქუფრა, ცხენის ფლოქვებსაც ვეღარ ვარჩევდი. ძეხორციელი არსად ჩანდა. დროდადრო ფრინველთა ჩხავილს თუ გავიგონებდი, როცა გვერდით ჩაგვიქროლებდნენ მე ან ჩემს ერთგულ ფაშატს და ლამის ფრთებით შეგვეხებოდნენ. ჭარისა და წყლის გახელებული ღმუილი ყურთასმენას მიხშობდა. ტყუილს არ ვიტყვი — სადმე საიმედო თავშესაფარში მერჩია ყოფნა.

უკვე მესამე დღე იყო, რაც ჭარიშხალი მძვინვარებდა. ჩრდილოეთით მდებარე ჰარდენში,* ჩემი ყველაზე ახლობელი ნათესავის კარ-მიდამოში იმაზე მეტ ხანს დავრჩი, ვიდრე მეცალა. მაგრამ მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. იმ ჭალაქში, რომელიც სამხრეთისკენ ორიოდე საათის სავალზეა, გადაუდებელი საქმე მქონდა. ამიტომ იყო, ჩემი ბიძაშვილისა და მისი თავაზიანი ცოლის თხოვნის მიუხედავად, ნაშუადღევს ცხენზე შევჯექი და გამოვემგზავრე. ეს კია, ოღონდაც გამგზავრებაზე ხელი ამეღო და, შემომთავაზეს — საკუთარ ბაღში გამოყვანილ პერინეტისა და გრანდრიშარის ვაშლის მშვენიერ ჯიშებს გაგასინჯებთო.

— რაკი შენსას არ იშლი, წადი, მაგრამ, ვიცი, ზღვის პირას რომ გახვალ, მაინც უკანვე მობრუნდები. შენს ოთახში ლოგინი დაგებული დაგხვდება, — კარიდან მომაძახა ბიძაშვილმა.

მართლაც, როცა ჩაშავებულმა ღრუბლებმა მთვარე დაფარა და ირგვლივ კუნაპეტი სიბნელე გამეფდა, ხოლო აღმუვლებულმა ქარაშოტმა მე და ჩემი ცხენი კინაღამ ჯებირიდან გადაგვისროლა, თავში გამიელვა: „ნუ სჩადიხარ სისულელეს, დაბრუნდი უკან და მეგობრებთან ერთად თბილ კერიას მიუჯექი“. მაგრამ სულ მალე იმასაც მივხვდი, რომ უკან დასაბრუნებლად უფრო დიდი გზის გავლა დამჭირდებოდა, ვიდრე წინ მედო. პალტოს საყელო წამოვიწიე და ცხენს შევუწყერი.

უეცრად ჯებირზე რაღაც მოძრავი წერტილი შევამჩნიე.

ხმა არაფრისა ისმოდა, მაგრამ, როცა ნახევარმთვარემ გამოანათა, მკრთალ შუქზე ძლივს გავარჩიე რაღაც შავი ფიგურა. ერთმანეთს რომ მივუახლოვდით, მაღალწვივებიან, გამხდარ თეთრ ცხენზე ამხედრებული უცნობი დავლანდე, რომელსაც მხრებზე შავი წამოსასხამი შემოეხვია. გვერდით რომ ჩამიარა, მხედრის სანთლისფერ სახეზე ნაკვერჩხლებივით ანთებული თვალები შევამჩნიე.

ნეტა ვინ იყო? ან აქ რა უნდოდა?

ახლაღა გამახსენდა, რომ არც ფლოქვების ხმა გამიგონია, არც ცხენის ქშენა, თუმცა კი ცხენმა და მხედარმა გვერდით ჩამიქროლეს.

ამ ფიქრით განვაგრძე გზა, მაგრამ ფიქრი დიდხანს აღარ დამცალდა, მხედარი ახლა უკნიდან წამომეწია და კვლავ გვერდით ჩამიქროლა. ასე მომეჩვენა, თითქოს აფრიალებული მისი მოსასხამი სახეზეც კი მომხვდა. ხმაური ვერც ახლა გავიგონე. მალე მხედარი ჩემს წინ მიაჩენებდა ცხენს. შემდეგ უცბად თვალი მოვკარი, თითქოს მისმა ჩრდილმა ჯებირის დაქანებულ ფერდობზე ჩაიქროლა.

ცოტა არ იყოს, ყოყმანით გავედევნე უკან. იმ ადგილს რომ მივაღწიე, სადაც მხედარი თვალს მიეფარა, კოოგეზე,* ზედ ჯებირთან, მთვარის შუქზე მოლაპლაპე დაგუბებული ტბორი დავინახე. ეს ადგილები წყლის მოვარდნის შედეგად ხშირად იტბორება ხოლმე.

თვალში მეცა ის ამბავი, რომ წყლის ზედაპირი მოუსვენრად ტორტმანებდა. როგორც ჩანდა, მხედარს აქ არ გაუცლია, იგი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. სამაგიეროდ სხვა რამ დავინახე, რამაც გული სიხარულით ამივსო.

ჩემს წინ, დაბალ გაჭიმულ კოოგეს ციცინათელებივით მოსდებოდნენ სინათლის წერტილები. ერთმანეთის შორიახლო მოციმციმე ეს სინათლეები ეტყობა ვერფებს* შეფენილი ფრიზიული სახლებიდან გამოდიოდა. სულ ახლოს კი ასეთივე ყაიდის დიდი სახლი დავინახე. კარიდან ხელმარჯვნივ განლაგებული, სამხრეთისკენ მიქცეული ყველა ფანჯარა განათებული იყო. ფანჯრებს იქით ხალხიც შევამჩნიე და ასე მეგონა, ქარის ღმუილის მიუხედავად, მათი ლაპარაკიც მესმის-მეთქი. ჩემი ცხენი თვითონვე ჩაუყვა იმ გზას, რომელმაც ამ სახლის კართან მიგვიყვანა. მალე მივხვდი, რომ სახლი სასტუმრო იყო,

რადგან ფანჯრების წინ პალოებზე დამაგრებული დიდი რკინისრგოლებიანი ლატანი შევამჩნიე, რომელზეც ფუნდუკში ჩამომხტარნი პირუტყვსა და ცხენებს აბამდნენ.

ჩემი ცხენი ერთ-ერთ რგოლზე მივაბი. წინკარში შემოგებებულ მსახურს პირუტყვი მივაბარე და ამბავი მოვიკითხე: ეს რა ხდება, რა თავყრილობაა-მეთქი, რადგან ოთახიდან უკვე მკაფიოდ შემომესმა ხმაური და ჭიქების წკარა-წკური.

— დიახ, რაღაც ამგვარია, ზედამხედველი და ნდობით აღჭურვილი ადგილობრივი პირები გვესტუმრნენ. ზღვის დონემ ისევ მაღლა აიწია, — მომიგო მსახურმა ქვემოგერმანულ კილოკავზე. მოგვიანებით გავიგე, რომ ამ კილოკავზე, ფრიზიულთან ერთად, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ ამ მიდამოებში.

. ოთახში შესვლისას დავინახე, რომ ფანჯრების გასწვრივ გაშლილ მაგიდას თორმეტიოდე კაცი შემოსხდომოდა, მაგიდაზე პუნშის თასი იდგა. სუფრას წარმოსადეგი, მხარბეჭიანი მამაკაცი უძღვებოდა.

დამხვდურთ მივესალმე და მაგიდასთან დაჯდომის ნება ვითხოვე. სიამოვნებით მიმიპატიჟეს.

— გეტყობათ, აქ გუშაგობთ, არა? — მივმართე მხარბეჭიანს. — გარეთ ყიამეთია, შეიძლება ჯებირიც დაინგრეს. ვაითუ, თავში საცემად გაგვიხდეს საქმე.

— არც ეგაა გამორიცხული, — მიპასუხა მან. — მაგრამ ჩვენი აზრით, აქეთ, აღმოსავლეთით, ეს საშიშროება აღარ გვემუქრება, სხვაგან კი ისევ საშიში მდგომარეობაა. იქით უმეტესად ძველი ჯებირებია, ჩვენი მთავარი ჯებირი წინა საუკუნეში ხელმეორედ გადააწყვეს. წეღან გარეთ ვიყავით და კინაღამ გავიყინეთ, — განაგრძო მან. — ნაკლები დღე არც თქვენ დაგადგებოდათ. ერთ-ორ საათს კიდევ უნდა ვიყოთ აქ. გარეთ საიმედო ხალხი დავაყენეთ და თუ რამე მოხდა, შეგვატყობინებენ.

ვერც კი მოვასწარი მეფუნდუკისთვის რამე შემეკვეთა, რომ წინ ჭიქა დამიდგეს, ჭიქას ოხშივარი ასდიოდა.

მალე შევიტყვე, რომ ჩემს გვერდით მჯდომი თავაზიანი მამაკაცი თურმე აქაური ჯებირების ზედამხედველი ყოფილა. საუბარი გავაბით. მე ჯებირზე იმ უცნაურ პიროვნებასთან შეხვედრის ამბავი მოვუყევი. მეზობელი ყურადღებით მისმენ-

და. მალე შევამჩნიე, რომ ჩვენს ირგელივ ყველა გაჩუმებულიყო.

— თეთრცხენიანი მხედარი! — წამოიძახა ვიღაცამ და ყველას შიშმა დაუარა.

ჯებირების ზედამხედველი ზეზე წამოდგა.

— ნუ შეშინდებით, — მიმართა თანამეინახეებს. — ეს ამბავი მარტო ჩვენ არ გვეხება. ჩვიდმეტ წელში არც ჩვენი მეზობლები გამდგარან გზაზე. სიფრთხილე ახლა იმათაც მართებთ.

ამჯერად მეც შემეშინდა.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ გთხოვთ გამარკვიოთ, ვინ არის ეს თეთრცხენიანი მხედარი?

ოდნავ მოშორებით, ღუმელთან, მხრებამოყრილი პატარა ტანის მამაკაცი იჯდა, რომელსაც შავი, გახეხილი სერთუკი ეცვა. ცალი მხარი ზომაზე მეტად ამოზრდოდა. საუბარში არ ერეოდა, თმა თეთრი და საკმაოდ შეთხელებული ჰქონდა, წამწამები კი შავი. თვალებზე აშკარად ეტყობოდა, ძილისთვის არ მოსულიყო.

ზედამხედველმა მისკენ ხელი გაიშვირა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ამ ამბავს აქ მყოფთა შორის ყველაზე უკეთ ჩვენი ძველი მასწავლებელი მოყვება. თუმცა, ცოტა არ იყოს, თავისებურად ჰყვება და არც სიმართლეს მისდევს. ერთი სიტყვით, ისევე აზვიადებს, ჩემმა მნე ქალმა, ანტიე ფოლმერსმა რომ იცის ხოლმე.

— ეტყობა ხუმრობთ, ბატონო ზედამხედველო, — მოისმა ღუმელს შეფარებული მასწავლებლის ავადმყოფური ხმა,— მე რა შესადარებელი ვარ იმ თქვენს გამოთაყვანებულ ჯადოქართან.

— მერედა, ასეთ ამბებს ჯადოქარზე უკეთ ვინ მოკრებს და დაიხსომებს, მასწავლებელო? — გაეპასუხა ზედამხედველი.

— ჰო, ალბათ ეგრეა, თუმცა ჩვენ მთლად მაგ აზრისა არა ვართ, — მიუგო გალეულმა ბატონმა ნიშნის მოგებით და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— ხედავთ, რა უკუდო ამპარტავანია? — ჩამჩურჩულა ზედამხედველმა. — ახალგაზრდობაში თეოლოგიას სწავლობდა, მერე დაოჯახდა, მაგრამ მისი ქორწინება უიღბლო გამოდგა და ისიც აქ დარჩა მასწავლებლად, თავის სამშობლოში.

ამასობაში ჩია კაცი ღუმელს მოსცილდა და მაგიდასთან ჩემს გვერდით დაჯდა.

— მოგვიყევით, ნუღარ გვალოდინებთ! — გაისმა რამდენიმე ახალგაზრდის ხმა.

— თქვენი ნებაა, მოყოლით კი მოგიყვებით, — დაიწყო მოხუცმა და ჩემკენ შემობრუნდა, — მაგრამ ამ ამბავს თანდათანობით იმდენი მონაჭორი მიემატა, რომ ახლა დიდი დაკვირვებაა საჭირო ტყუილისა და მართლის ერთმანეთისავან გასარჩევად.

— გთხოვთ, არაფერი გამოტოვოთ, — მივუგე მე, — ხოლო ბზისაგან ხორბლის გამორჩევა მე მომანდეთ.

მოხუცმა ისე გამიღიმა, თითქოს მეუბნებოდა, თქვენი ნათქვამი გავიგეო და თხრობა დაიწყო:

— გასული საუკუნის შუა წლებში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულსა და მეორე ნახევრის დასაწყისში აქ ერთი ზედამხედველი ცხოვრობდა. ამ კაცმა ჯებირებისა და რაბების საქმეში გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე გლეხებმა და მიწის მუშებმა იციან ხოლმე, მაგრამ ეს ცოდნა მაინც არ ჰყოფნიდა, რადგან ამ დარგში არსებული ლიტერატურიდან თითქმის არაფერი ჰქონდა წაკითხული. თუკი რამ იცოდა, ბავშვობიდანვე თავისი დაკვირვებული თვალის წყალობით ისწავლა. ალბათ მოკრავდით ყურს, ფრიზები კარგი მოანგარიშეები არიანო, ალბათ ჩვენი ჰანს მომზენ ფონ ფარეტოფტის* სახელსაც გაიგონებდით, რომელიც, მართალია, გლეხი კი იყო, მაგრამ ბუსოლისა და წყლის საათების, ტელესკოპებისა და ორღანოების ოსტატი გახლდათ. ჰოდა, იმ ჯებირების ზედამხედველის მამაც თითქმის ასეთივე კაცი იყო. ორიოდე პატარა ჭანჭრობიან ნაკვეთზე მოჰყავდა რაფსი* და ლობიო. ძროხაც ჰყავდა. შემოდგომაა და გაზაფხულზე სამუშაოდ გავიდოდა ხოლმე, — მიწები უნდა გაეზომა, ხოლო ზამთრობით, როცა ჩრდილო-დასავლეთის ქარი დაუბერავდა და დარაბებს დაუკიდებოდა, შინიდან ფეხს არ გაადგამდა. მისი ვაჟი ანბანსა თუ ბიბლიას ზედაც არ უყურებდა, ხელს ქერა თმაზე გადაისვამდა ხოლმე და მამას შესცქეროდა, რომელიც სულ რაღაცას ზომავდა და ანგარიშობდა. ერთ საღამოს ბიჭმა ჰკითხა მამას, რაც ახლა დაწერე, რატომ მაინცადამაინც ასე უნდა იყოს და არა სხვაგვარადო

და საკუთარი აზრიც გამოთქვა. მამამ პასუხი ვერ გასცა, თავი გააქნია მხოლოდ და უთხრა:

— ვერ გიპასუხებ, მაგრამ ის იკმარე, რომ ეს ასეა, შენ კი ცდები. თუ მეტი გინდა იცოდე, ხვალ დილას სხვენში რომ სკივრი დგას, იქიდან ევკლიდეს* წიგნი ამოიღე და პასუხსაც ის გაგცემს.

მეორე დღეს ბიჭი სხვენზე ავიდა და წიგნიც ხელად იპოვა, — რა ბევრი წიგნი იმათა ჰქონდათ. როცა ბიჭმა წიგნი ჩამოიტანა და მაგიდაზე დადო, მამას გაეცინა — ევკლიდეს ეს წიგნი ჰოლანდიურ ენაზე იყო დაბეჭდილი, ჰოლანდიური კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი სანახევროდ გერმანულია, არც ერთმა არ იცოდა.

— ჰო, ჰო, — წამოიწყო მოხუცმა, — ეს წიგნი მამაჩემისეულია, ჰოლანდიური იმან იცოდა კარგად. კი მაგრამ, სხვენში ევკლიდე გერმანულად არ იყო?

ბიჭმა, რომელიც საერთოდ ცოტას ლაპარაკობდა, მამას მშვიდად შეხედა და ჰკითხა:

— შეიძლება, ეს წიგნი მე მჭონდეს? გერმანული იქ არ არის.

როცა მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ბიჭმა მეორე წიგნიც უჩვენა და ისევ ჰკითხა:

— ესეც რომ დავიტოვო?

— ორივე შენი იყოს, — მიუგო ტედე ჰაიენმა.—თუმცა მაინცდამაინც არაფერში გამოგადგება.

მეორე წიგნი ჰოლანდიური ენის პატარა მოცულობის გრამატიკა გახლდათ. ზამთარი ჯერ ახალი დამდგარი იყო და გაზაფხულამდე, როცა ბოლოს და ბოლოს მათ ბაღში კვლავ აყვავდა ხურტკმელი, ბიჭმა იმდენი იმუყაითა, რომ გრამატიკის დახმარებით ამ მოდური მწერლის ნაწარმოები თითქმის მთლიანად შეისწავლა.

— ჩემთვის, ბატონო ჩემო, რასაკვირველია, ცნობილია, — შეწყვიტა თხრობა მოხუცმა მასწავლებელმა, — რომ ასეთ ამბებს ჰანს მომზენზეც ჰყვებიან, მაგრამ მომზენის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე ამ ამბებს ჰაუკე ჰაიენს მიაწერდნენ, — ასე უწოდებდნენ ტედე ჰაიენის ვაჟს. თქვენ, რასაკვირველია, კარგად მოგეხსენებათ, საკმარისია ვინმემ სახელი გაითქვას, რომ შემდეგ ყველაფერი მას მიაწერონ, რაც ჯერ კიდევ მის-

მა წინაპრებმა ჩაიდინეს თუ გააკეთეს ხალხის სასიკეთოდ ან თავიანთ სალანძღავად.

როცა მოხუცმა ტედე ჰაიენმა დაინახა, რომ მის ვაჟიშვილს არც ძროხები აინტერესებდა, არც ცხვრები, და ამასთანავე ლობიოს აყვავებასაც არაფრად აგდებდა, რაიც მარშის ყოველი მცხოვრებისათვის დიდად სასიხარულო მოვლენაა, იფიქრა: მიწის პატარა ნაგლეჯი ერთ გლეხს და მის ვაჟიშვილს როგორმე გაატანინებს თავს, მაგრამ თუნდაც ცრუსწავლულსა და მის ერთ მსახურს კი არ ეყოფათო. ამას გარდა, ისიც იფიქრა, ახლა დიდი დღე აღარ მიწერიაო და ვაჟიშვილი ჯებირზე გაგზავნა. მის შვილს სხვა მუშებთან ერთად აღდგომიდან მოკიდებული წმინდა მარტინის* დღესასწაულებამდე ფორანზე უნდა ემუშავა. „ეს თუ განკურნავს ევკლიდეს სიყვარულისაგან“, დაიიმედა თავი მოხუცმა.

ბიჭი ფორანზე მუშაობდა, მაგრამ ევკლიდეს წიგნს ერთთავად ჯიბით დაატარებდა და როცა სხვები საუზმობდნენ ან ვახშმობდნენ, თვითონ გადაბრუნებულ ოთხთვალაზე შემომჯდარი წიგნს კითხულობდა. შემოდგომაზე წყლის დონემ ისე აიწია, მუშაობა აღარ შეიძლებოდა. ყველამ თავ-თავის სახლს მიაშურა, ბიჭი კი მაინც არ დაბრუნებულა შინ, იქვე დარჩა. ჩამოჯდებოდა ზღვისკენ დაქანებულ ჯებირზე, შემოიხვევდა მუხლებზე ხელებს და საათობით უმზერდა, როგორ ეხეთქებოდა ჩრდილოეთის მღვრიე ტალღები ჯებირს, უყურებდა იქვე ჯებირის გაყოლებაზე მობიბინე ბალახს და თანდათან ზევით-ზევით მიიწოწავდა. როცა ფეხები დაუსველდებოდა და ქაფიც სახეზე შეესხურებოდა, მაშინ თუ გადაინაცვლებდა სხვაგან. ამოჩოჩდებოდა ჯებირზე და ისევ ჩამოჯდებოდა. არც ტალღების ტყლაშუნი ესმოდა, არც თოლიებისა და ზღვის სხვა ფრინველთა ჩხავილი, რომლებიც ხან გარს შემოუფრენდნენ, ხან თავზე გადაეკლებოდნენ. ფრინველები ლამის ფრთებით შეხებოდნენ და შავ თვალებს აელვარებდნენ. იგი არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ თანდათანობით უკუნი თავის შავ კალთას აფარებდა გაშმაგებული წყლის ერცელ უდაბნოს. ერთადერთი, რასაც ამჩნევდა, წყლის ყალყზე შემდგარი ქეჩო გახლდათ, რომელიც მოვარდნილ ტალღასთან ერთად გაშმაგებული შემოუტევდა ხოლმე ერთსა და იმავე ადგილს და დაქანებულ ჯებირთან ბალახს გადალოკავდა. როცა

ამის ცქერით გულს იჯერებდა, ბიჭი თავს ნელა გააქნევდა, ანდა ხელით რაღაც ფაზიჭ ხაზებს გაავლებდა ჰაერში, თით-ქოს ახალ, უფრო ნაკლებად დაქანებულ ჯებირს ხაზავსო, თვითონ კი მაღლაც არ აიხედავდა. როცა ისე დაღამდებოდა, რომ თვალთა წინ აღარაფერი ჩანდა, ირგვლივ კი მხოლოდ ზღვის ღმუილიღა ისმოდა, ბიჭი წამოდგებოდა და, სანახევ-როდ დასველებული, შინისაკენ გარბოდა.

ერთხელ, საღამოს, შინ დაბრუნებულს საზომ ხელსაწყოთა წმენდაში გართულმა მამამ ჰკითხა:

— რას აკეთებ ამ დრომდე გარეთ? ხომ შეიძლება დაიხრ-ჩო? ვერ ხედავ, როგორ ეხეთქება ტალღები ჯებირს?

ჰაუკემ ჯიუტად გახედა მამას, მაგრამ არაფერი უპასუხა:

— შენ, რა, არ გესმის? მე გითხარი, შეიძლება დაიხრჩო-მეთქი!

— ჰო, შეიძლება, მაგრამ ხომ არ დავმხრჩვალვარ!

— არა, — მცირე დუმილის შემდეგ გაეპასუხა მამა და შვილის სახეს დაბნეული შეაცქერდა. — ამჯერად არ დამხრ-ჩვალხარ.

— ეს ჩვენი ჯებირები კი გროშიც არ ღირს, — თქვა ჰა-უკემ.

— რას ამბობ, ჯეელო?

— ჯებირები-მეთქი.

— რაო, ჯებირები?

— გროშიც არ ღირს-მეთქი! — გაიმეორა ჰაუკემ.

მოხუცმა შვილს შესცინა.

— მერე და რა ვქნათ? შენ რა, ხომ არ გგონია, რომ ლი-უბეკელი ვუნდერკინდი* ხარ?

მაგრამ ბიჭი არ დაბნეულა.

— ზღვისკენ ძალზე ციცაბოდ არის დაქანებული, — და-იწყო მან. — ერთხელ კიდევ რომ მოვარდეს წყალი, ერთიანად ამოგვახრჩობს ყველას.

მოხუცმა ჯიბიდან საღეჭი თამბაქო ამოიღო, მოკვნიტა და მონაკვნეტი კბილებში მოიგდო.

— რამდენი ფორანი მიიტანე დღეს? — გაჯავრებით ჰკი-თხა ვაჟს, რადგან მიხვდა, რომ ჯებირზე მუშაობას ყმაწვილი გულს ვერ უდებდა.

— არ ვიცი, მამა, — მიუგო მან. — ალბათ იმდენი, რამ-

დენიც სხვებმა, იქნებ ათიოდე გზით მეტიც. ეს ჯებირები კი სხვაგვარად უნდა გაკეთდეს.

— შენ იცი, — გაეცინა მოხუცს. — ალბათ, ჯებირების ზედამხედველად დაგაყენებენ და გადააკეთე, როგორც გინდა.

— ეგრეც ვიზამ! — მიუგო ჰაბუკმა.

მოხუცმა ვაჟს შეხედა, ნერწყვი გადაყლაპა და ოთახიდან გავიდა. არ იცოდა ბიჭისთვის რა ეპასუხნა.

როცა ოქტომბრის ბოლოს ჯებირებზე მუშაობა დამთავრდა, ჰაუკე ჰაიენისთვის ზღვის პირას გავლა ყველაზე საამო გართობა გახდა. ყოველად წმიდის დღესასწაულის* მოახლოებას, როცა ბუნიობისას ჩვენთან ქარიშხალი ამოვარდება ხოლმე და ფრიზლანდიელებიც სამართლიანად იწყებენ ბუზღუნს, ჰაიენი გახარებული ხვდებოდა და ამ დღეს ისევე ელოდა, როგორც ბავშვები შობას. როგორც კი ქარიშხალი ატყდებოდა და ზღვა წამოიწევდა, უამინდობის მიუხედავად ბიჭი ჯებირზე გარბოდა და მარტოდმარტო დაეხეტებოდა. თოლიები ჩხაოდნენ, ზვირთები ჯებირს აწყდებოდნენ, ტალღები მიწის უზარმაზარ ბელტებს აგლეჯდნენ სანაპიროს და ზღვაში მიათრევდნენ, ხოლო ჰაუკე, ამ მეორედ მოსვლის შემყურე, ნიშნის მოგებით ხარხარებდა და ზღვას მისძახოდა ხოლმე:

— ვერც შენ და ვერც ადამიანები წესიერად ვერაფერს აკეთებთო!

ბოლოს, როცა მთლად დაბნელდებოდა, ჯებირ-ჯებირ გაუყვებოდა გზას შინისაკენ, ტანაწოწილი ჰაიენი ისლით გადახურულ მამისეულ სახლს შეაფარებდა თავს და თავის სენაკში შეძვრებოდა.

ხანდახან ერთ მუჭა თიხას წამოიღებდა შინ, დაჯდებოდა მამის გვერდით, რომელიც მას ახლა თითქოს ველარც კი ამჩნევდა, და ქონის სანთლის მკრთალ სინათლეზე ათასგვარი ჯებირის მოდელს თითხნიდა, შემდეგ წყლიან ტაშტში ჩადებდა და ხელით წყალს მიასხამდა. ანდა შავი ფიქალის დაფას აიღებდა და ზედ ისეთ ჯებირებს ხატავდა, როგორსაც ჭკუაგონება კარნახობდა.

თანაკლასელებთან ამხანაგობა ფიქრადაც არ მოსდიოდა. არც ისინი იკლავდნენ თავს ამ მეოცნებესთან სამეგობროდ. როცა დაზამთრდა და ყინვები დაიჭირა, ჰაუკე ყველაზე შორეული ჯებირის სანახავად წავიდა, სადაც მანამდე არ ყო-

ფილა. აქ მის წინ თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულ თავთხელ ადგილებს ყინულის ზეწარი გადაჰფარებოდა.

თებერვალში, როცა ყინვები ჯერაც არ მოტეხილიყო, ტალღებმა რამდენიმე დაბზრჩვალი გამორიყა. მათი გვამები გაყინულ თავთხელში ცისქვეშ ეგდო. ამ გვამების სოფელში გადატანას ერთი ენაჭარტალა ყმაწვილი ქალი შეესწრო და მოხუც ჰაიენს უყვებოდა:

— ხომ არ გგონია, ადამიანებს ჰგავდნენ? არა, ზღვის ქაჯებს უფრო მოგაგონებდნენ! თავები დასიებოდათ. — ნანაბი რომ უკეთ აღეწერა, ქალმა თითები გაფარჩხა და ხელები გაშალა. — ერთიანად იყვნენ გაშავებული და ისე ლაპლაპებდნენ, გეგონებოდა, ახალგამომცხვარი პურიაო! თანაც ზედ კიბორჩხალები დაჰკვროდათ. მათ დანახვაზე ბიჭებმა უსაშველო ყვირილი მორთეს.

მოხუც ჰაიენს არ გაჰკვირვებია:

— ნოემბრის მერე წყალში იყვნენ და აბა რა მოუვიდოდათ! — გულგრილად შენიშნა მან.

ჰაუკე იქვე იდგა და ხმას არ იღებდა, მაგრამ როგორც კი შემთხვევა მიეცა, მაშინვე ჯებირებისაკენ გაიპარა. კაციშვილი ვერ იტყოდა, რისთვის გაიქცა, შეიძლება, დამხრჩვლებს ეძებდა, იქნებ სწორედ ის შიში იზიდავდა, იქაურობას რომ თავს დასტრიალებდა. ჰაუკე სულ უფრო და უფრო შორდებოდა სახლს და ბოლოს უდაბნოში აღმოჩნდა, სადაც მხოლოდ ქარის ღმუილი და მის თავზემოთ გადაფრენილ ფრინველთა საწყალობელი ჩხავილი ისმოდა. მარცხნივ ვრცელი გაუდაბურებული მარშები ჩანდა, მარჯვნივ — ზღვის თავთხელი, რომელსაც თვალუწვდენელ მანძილზე ალაპლაპებული ყინული გადაჰკვროდა; კაცს ეგონებოდა, მთელ სამყაროზე თეთრი სიკვდილი გამეფებულაო.

ჰაუკე ჯებირზე შედგა და სივრცეს გამჭრიახი თვალი მოავლო. მაგრამ დამხრჩვალი ვეღარსად შენიშნა. მხოლოდ იმ ადგილას, სადაც წყალქვეშა დინება უნდა ყოფილიყო, ყინულის საფარველი შეუჩერებლად ადიოდ-ჩადიოდა.

შემდეგ ბიჭი შინ გაიქცა, მაგრამ მეორე საღამოს ისევ ზღვის პირს ეწვია. ახლა იმ ადგილას შეჩერდა, სადაც ყინული გახეთქილიყო. ნაბზარიდან სქელი კვამლივით ამოდიოდა ნისლი თუ ორთქლი და უცნაურად ერეოდა საღამოს ბინდს.

ჰაუკე ამ სანახაობას გაშტერებული შეჰყურებდა: ნისლში რაღაც მუქი, ცხვირწაწვეტებული და გრძელკისერა აჩრდილები ჩანდა, რომლებიც თამამად დატორტმანებდნენ ნაპრალებში და შემზარავად იმანჭებოდნენ, შეშლილებივით ხტუნაობდნენ. დიდები პატარებს ახტებოდნენ თავზე, პატარები დიდებს. მერე აჩრდილები გაიზარდნენ თითქოს, გაიბერნენ და ფორმა და სახე დაკარგეს.

— ნეტა აქ რა უნდათ? იმ დამხრჩვალთა სულები ხომ არ არიან? — ფიქრობდა ჰაუკე.

— ოჰო-ჰოოო! — ხმამაღლა გასძახა ჰაუკემ, მაგრამ აჩრდილები მისკენ არც შემობრუნებულან, უცნაური როკვა განაგრძეს.

ჰაუკეს ნორვეგიული ზღვის სულების საშინელი ამბავი გაახსენდა, ერთმა ბებერმა კაპიტანმა რომ უამბო. ამ ავსულებს თავის ნაცვლად ზღვის ბალახის ბულული ჰქონდათ. გახსენებით კი გაახსენდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ გაქცეულიყო, ჯებირს ორივე ფეხით დაეყრდნო და ჩამოწოლილ სიბნელეში ყურადღებით შეაცქერდა სასაცილო არსებებს, რომლებიც მანჭვა-გრეხას განაგრძობდნენ.

— ო, ჩვენთანაც მობრძანებულხართ? — მკაცრად შესძახა მათ ჰაუკემ, — მობრძანდით, მაგრამ აქედან მაინც ვერ გამაგდებთ!

და ბოლოდ მაშინ, როცა სულ დაღამდა, დინჯი ჰაუკე მტკიცე ნაბიჯით გაუყვა შინისაკენ. მიდიოდა, თან ფრთების ტყლაშუნი და საშინელი ყვირილი მიჰყვებოდა ფეხდაფეხ. მაგრამ უკან მაინც არ მოუხედავს, ერთხელაც არ აუჩქარებია ნაბიჯი. შინ საკმაოდ გვიან დაბრუნდა. ეს ამბავი ჰაუკეს არავისთვის უამბნია. არც მამისთვის უთქვამს რამე. მხოლოდ რამდენიმე წლის თავზე, იმავე თვის იმავე რიცხვში, ჰაუკე ჰაიენმა კვლავ იმ ადგილას წაიყვანა თავისი გონებასუსტი გოგონა, მაღალმა ღმერთმა რომ მიაგო მას. ესენიო, ასე აუხსნა ვან შვილს, ყანჩები და ყორნები არიან, ყინულის ბზარებიდან ვათ თევზები ამოჰყავთ და მხოლოდ ნისლის გამო ჩანან ასე დიდრონნი და საშინელნი, სინამდვილეში კი შესაშინებელი არაფერი არ არისო.

— ღმერთმა უწყის, ბატონო ჩემო, — შეწყვიტა მასწავლებელმა ამბის თხრობა, — ამ დედამიწაზე რამდენი რამაა ისე-

თი, რაც პატიოსან ქრისტიანს თავგზას უბნევს, მაგრამ ჰაუკე არც სულელი იყო, არც თავცარიელი.

ამაზე მე არაფერი მიპასუხნია და მასწავლებელსაც ის იყო, თხრობა უნდა განეგრძო, რომ იქ მყოფთა შორის, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ამბავს უსმენდნენ და დაბალჭერიან ოთახს თამბაქოს ბოლით ავსებდნენ, უცბად რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ჯერ რამდენიმე კაცმა, მერე კი თითქმის ყველამ ფანჯრებისკენ ქნა პირი. ფარდაჩამოუფარებელი ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა, როგორ მიერეკებოდა ქარიშხალი ღრუბლებს. მიდამო ხან ჩამობნელდებოდა, ხან ისევ განათდებოდა და მეც მომეჩვენა, თითქოს ფანჯრებს მიღმა ჩამომხმარმა მხედარმა გაიქროლა თეთრი ცხენით.

— ერთ წუთს მოითმინეთ, მასწავლებელო! — ხმადაბლა წარმოთქვა ზედამხედველმა.

— ნურაფრის გეშინიათ, ზედამხედველო, — მიუგო ტანმორჩილმა მასწავლებელმა, — იგი მე ავად არ მომიხსენებია, საამისო მიზეზი არცა მაქვს — და ზედამხედველს პატარა, გონიერი თვალები მიაპყრო.

— ჰო, რასაკვირველია, — დაეთანხმა იგი. — მოდი, ერთი, ამ ჰიქას შეგივსებთ ისევ.

მას შემდეგ, რაც ჰიქა შეუვსეს და ჯერაც ისევ შემკრთალი მსმენელები მის ირგვლივ შეიკრიბნენ, მთხრობელმა ამბავი განაგრძო:

— ასე იზრდებოდა ჰაუკე ქარსა და წვიმაში, ადამიანთაგან განდგომილად, მარტოობაში; მაღალი, გამხდარი ბიჭი დადგა; ერთი წელი იყო, რაც საეკლესიო მრევლში მიიღეს და უცბად რაღაც შეიცვალა მის არსებაში. ამის მიზეზი ბებერი, თეთრი ანგორული კატა გახდა, რომელიც მოხუც ტრინიანსს ესპანეთიდან ჩამოუყვანა ვაჟიშვილმა. ვაჟიშვილი ამ ამბის მერე მალე გარდაცვლილა. ტრინი ჯებირთან მიდგმულ ქოხში ცხოვრობდა და როცა ზაფხულობით მოხუცი შინ საქმიანობდა ხოლმე, ეს საზიზღარი სახის კატა კარიბჭეზე იწვა და პრანწიების გადაფრენას მოელვარე თვალებით შეჰყურებდა. თუ ჰაუკე გვერდით ჩაუვლიდა, მაშინვე კნავილს იწყებდა და ჰაუკეც თავს დაუქნევდა. ეტყობა, კარგად უგებდნენ ერთმანეთს.

ერთხელ, გაზაფხულზე, ჰაუკე ჩვეულებისამებრ წყლის მი-

ხაკებსა და სურნელოვან ავშანებს შორის ჯებირზე იწვა და საკმაოდ მოღონიერებულ მზეზე თბებოდა. წინა დღეს შემაღლებულ ნაპირზე ავიდა, ჯიბეები კენჭებით დაიტენა და ახლა, როცა პატარა რუხი მერცხლები მოქცევის გამო ზღვის მოტივტივებულ ფსკერზე დაჟივჟივებდნენ, ჯიბიდან სათითაოდ იღებდა კენჭებს და ფრთოსნებს ესროდა. ამ საქმეში მან ბავშვობიდან გაიწაფა ხელი და თითქმის ყოველი სროლის შემდეგ წებოვან ფსკერზე თითო ჩიტი რჩებოდა ხოლმე. მაგრამ ჰაუკე ნანადირევის გამოტანას ყოველთვის ვერ ახერხებდა და ასე ფიქრობდა, კარგი იქნება ის ხვადი კატა თან წამოვიყვანო და მონადირე ძაღლივით გავწვრთნაო. ალაგ-ალაგ მყარი ნიადაგიც შემოხვდებოდა ადამიანს, რიყიანი ადგილებიც. თუკი მერცხალი ასეთ ადგილას ჩამოვარდებოდა, ჰაუკე ხტუნვა-ხტუნვით მივიდოდა და ნანადირევიც გამოჰქონდა, ხოლო თუ შინისაკენ გაბრუნებულს კატა კარის ზღურბლზე ჩამოსკუპებული დახვდებოდა, ღორმუცელობით გახელებული იმდენხანს იჩხავლებდა, სანამ ჰაუკე ერთ მოკლულ მერცხალს მაინც არ გადაუგდებდა.

ჰაუკემ დღესაც ქურთუკი მოიგდო ზურგზე და შინისაკენ გზას გაუდგა. ხელში რომელიღაც უცნობი ფრთოსანი ეჭირა, რომლის ბუმბული ჭრელი აბრეშუმისა და მოლაპლაპე ლითონისდარად ბრწყინავდა. კატამ იგი უმალ შეამჩნია და, ჩვეულებისამებრ, კნავილს მოჰყვა. მაგრამ ამჯერად ჰაუკეს არ უნდოდა თავისი ნადავლი — შეიძლება სულაც ალკუნი ჰქონდა ხელთ — კატისთვის მიეცა და მის ხარბ კნავილს ყურადღება არ მიაქცია.

— რიგრიგობით! — დაუყვირა მან კატას. — დღეს ჩემი რიგი იყოს, ხვალ შენი. ეს კი საშენო არ არის! — მაგრამ კატა მისკენ ფრთხილად მიიპარებოდა. ჰაუკე შედგა და კატას შეაცქერდა, ფრთოსანი კი ისევ ხელში ეჭირა. კატაც შეჩერდა და თათი ასწია. მაგრამ, როგორც ჩანდა, ყმაწვილი მთლად კარგად ვერ იცნობდა თავის მეგობარს, რადგან, როგორც კი მას ზურგი შეაქცია და წასვლა დააპირა, კატამ ერთი ნახტომით წაჰგლიჯა ნანადირევი და თან ბასრი ბრჭყალებით დაუკაწრა ხელი. მხეცურმა გაბოროტებამ მოიცვა ჰაუკე, გაცოფებული შებრუნდა უკან და მტაცებელს ყელში წასწვდა; ჰაერში ასწია და ისეთი ძალით წაუჭირა, რომ ბუდიდან თვა-

ლები გადმოაყრევინა. კატა ღონიერი უკანა თათებით მკლავს უკაწრავდა, მაგრამ ჰაუკე ამას ყურადღებას არ აქცევდა.

— ეგეც შენ! — შესძახა მან და უფრო მძლავრად წაუჭირა ყელში. — ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ერთბაშად კატას უკანა ფეხები მოწყვეტით ჩამოუცვივდა, ჰაუკემ რამდენიმე ნაბიჯი უკან გადასდგა და კატა მოხუცს მიუგდო. კატა აღარ განძრეულა, ჰაუკე გამობრუნდა და შინისაკენ გაემართა.

მაგრამ ანგორული კატა მისი პატრონისთვის ერთადერთი მეგობარი და განძი იყო, მეზღვაური ვაჟიშვილის ნაჩუქარი, რომელიც უეცრად დაიღუპა ზღვის ნაპირზე, როცა კრევეტის* ჭერაში შველოდა დედას.

სისხლისდენა რომ შეწყვეტოდა, ჰაუკემ დანაკაწრზე ცხვირსახოცი შემოიხვია და გზა განაგრძო. მაგრამ ასიოდე ნაბიჯი არ ექნებოდა გადადგმული, რომ ზურგსუკან მოთქმა და საშინელი ყვირილი მოესმა. ჰაუკე შემობრუნდა და მიწაზე გაშხლართულ მოხუც ქალს მოჰკრა თვალი. ქალს თავშალი გადასძრობოდა და თეთრი თმა გასწეწოდა.

— მომიკლეს, მომიკლეს! — გაჰყვიროდა იგი და დაკრუნჩხულ ხელს მისკენ მუქარით იქნევდა. — ღმერთმა შეგაჩვენოს, შენ მომიკალი ჩემი კატა, შე უმაქნისო მაწანწალავ! შენ მისი კუდის ღირსიც არ იყავ! — მოხუცი მომხრჩვალი კატისკენ დაიხარა და წინსაფრით ფაქიზად მოსწმინდა სისხლი, ცხვირ-პირიდან რომ გადმოსდიოდა. შემდეგ კვლავ ლანძღვას მოჰყვა.

— მალე მორჩები? — გასძახა მას ჰაუკემ. — იცი, რას გეტყვი: მე შენ ისეთ კატას გიყიდი, რომელიც თაგვსა და ვირთხებს დასჯერდება! — მერე ყურადღება აღარაფერს მიაქცია და გზა განაგრძო. მაგრამ ეტყობა მოკლული კატა მოსვენებას არ აძლევდა, რადგან დასახლებას რომ მიაღწია, მაშის სახლსაც გვერდი აუარა, სხვა სახლებსაც, მერე კი ჯებირზე შედგა ფეხი და ქალაქის მიმართულებით, სამხრეთისაკენ გაუყვა ღ'ასას.

ამ დროს ტრინ იანსიც იმავე მიმართულებით მიეშურებოდა. ძველისძველი, ლურჯი ბალიშის პირში გახვეული რაღაც ფუთა ისე ჰქონდა მკერდზე მიხუტებული, თითქოს თოთო ბავშვი მოჰყავდაო. ჭალარა თმას ადრეული გაზაფხულის სიო უწეწავდა.

— ეგ რა მიგაქვს, ტრინ? — ჰკითხა მას გზად შემომბვდურმა გლეხმა.

— ისეთი რამ, რაც შენს სახლ-კარზე უფრო ძვირფასია, — მიუგო მოხუცმა ქალმა და გზა აჩქარებით განაგრძო. როცა მოხუცმა ჰაიენის სახლს მოაღწია, აქტს ჩაუყვა. აქტს ჩვენში პირუტყვისა და კაცის სავალ გზას უწოდებენ, რომელიც ჯებირის გასწვრივე დამრეცად მიიმართება.

მოხუცი ტედე ჰაიენი ამ დროს სწორედ კარის ზღურბლზე იდგა და ზღვას გასცქეროდა, ავდარი ხომ არ გველისო.

— ო, ტრინ! — წარმოთქვა მან, როცა აქლოშინებული ქალი მის წინ შედგა და ხელჯოხი მიწაში ჩაარჭო, — რა გაქვს მაგ ტომარაში?

— ჯერ სახლში შემიშვი, ტედე ჰაიენ, მერე კი ნახავ! — და ქალმა უცნაურად აელვარებული თვალები ტედე ჰაიენს მიაპყრო.

— შემოდი! — მიუგო მოხუცმა. რა ყურადღების მისაქცევი იყო გამოსულელებული ქალის თვალები.

როცა ოთახში შევიდნენ, ქალმა ტედე ჰაიენს მიმართა:

— მოაშორე მაგიდიდან ეგ ძველი სათუთუნე და ნაჯღაბნები!.. რას წერ ასე გამუდმებით?.. ასე, ახლა კარგად გადაწმინდე!

მოხუცი ცნობისმოყვარეობამ აიტანა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ქალმა უთხრა. შემდეგ მოხუცმა ტრინმა ბალიშის პირს წკვერტებზე წაავლო ხელი და მაგიდაზე მკვდარი კატა გადმოაგდო.

— აჰა, მიიღე, — შესძახა მან. — შენმა ჰაუკემ მომიკლა, — და ქალმა შესაბრალისი გოდება მორთო, მკვდარ კატას ბეწვზე ხელს უსვამდა, მერე თათები ერთად დაულაგა, თავისი გრძელი ცხვირი თავზე მიადო ცხოველს და გაუგებარი საალერსო სიტყვების ბუტბუტს მოჰყვა.

ტედე ჰაიენი თვალს ვერ აშორებდა ქალს.

— ესე იგი, ჰაუკემ მოკლა? — ჰკითხა ტედე ჰაიენმა; ქალის დასამშვიდებლად სხვა ვერაფერი მოიფიქრა.

— ჰო, ჰაუკემ, ღმერთია მოწმე! — გაჯავრებით დაუქნია თავი ქალმა და ნიკრისის ჭარებისაგან დაკრუნჩხული ხელებით თვალთაგან ცრემლი მოიწმინდა. — ცოცხალი აღარაფერი შემრჩა, აღარც შვილი, აღარც ეს, — მოთქვამდა მოხუცი, —

შენ თავადაც კარგად იცი, ყოვლადწმიდის დღესასწაულის შემდეგ ჩვენ, მოხუცებს, საღამოობით ლოგინში ფეხები გვეყინება და იმის მაგივრად რომ გვეძინოს, ფანჯრის დარაბებზე ნორდვესტის გახელებულ შემოტევას ვუსმენთ. ჩემთვის კი, ტედე ჰაიენ, სასიამოვნო როდია ნორდვესტის ღმუილი, ის ხომ იმ მხრიდან მოდის, სადაც ჩემი ვაჟი კოწიწვით ლამში ჩაეფლო.

ტედე ჰაიენმა ამაზე თავი დაუქნია და მოხუცმა ქალმა ისევ მკვდარ კატას დაუწყო ფერება.

— როცა ზამთარში სართავ დაზგას მივუჯდებოდი, — განაგრძო მან, — ესეც იქვე მომიჯდებოდა, სულ ჩემთან იყო და თავისი მწვანე თვალებით შემომცქეროდა ხოლმე. როცა შემცივდებოდა და ლოგინში ჩავწვებოდი, ხელად საწოლზე ამოხტებოდა და გაყინულ ფეხებთან მომიწვებოდა. ჩავიძინებდი ასე ჩათბუნებული, მეგონა, ისევ ახალგაზრდა ვარ და ლოგინში ჩემი ბიჭუნა მიწვეს-მეთქი. — ამ სიტყვებზე მოხუცმა ქალმა, თითქოს ახალგაზრდულ მოგონებებზე დასტური უნდაო, იქვე მაგიდასთან მიმდგარ ტედე ჰაიენს ანთებული თვალები შეანათა.

ტედე ჰაიენმა დაფიქრებით უპასუხა: — ვიცი, რაც გერგება ტრინ იანს, — იგი ზარდახშასთან მივიდა და ვერცხლის ფული ამოიღო. — შენ ამბობ, რომ ჰაუკემ მოკლა შენი კატა? მჯერა, ტყუილს არ იტყვი. აი ქრისტიან მეოთხის* დროს მოჭრილი ტალერი, იყიდე გამოყვანილი ბატკნის ბეწვი და იმით გაითბე გათოშილი ფეხები. ხოლო, როცა ჩვენი კატა კნუტებს დაყრის, უველაზე დიდი ამოირჩიე. ჰოდა, ის კნუტი და ბატკნის ტყავი როგორმე გაგიწევს ბებერი ანგორული კატის შაგივრობას. ახლა კი ეგ კატა წაიღე და ქალაქში გამტყავებელს მიუტანე, ოღონდ, იცოდე, არ დაგცდეს, რომ იგი ამ მაგიდაზე გედო, სადაც ჩვენ დაუყვედრებელ ლუკმას ვჭამთ.

ტედე ჰაიენს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ქალი ტალერს წაეტანა და ქვედატანზე მიკერებულ პატარა ჯიბეში ჩაიგდო. შემდეგ კატა ისევ ბალიშის პირში შეახვია, მაგიდაზე სისხლის ლაქები წინსაფრით გადაწმინდა და პირი კარისკენ ქნა.

— იცოდე, კნუტი არ დაგავიწყდეს! — შემოსძახა შინდარჩენილ ტედე ჰაიენს.

...რამდენიმე ხნის შემდეგ — მოხუცი ჰაიენი ამ დროს თა-

ვის პატარა ოთახში ბოლთას სცემდა — ჰაუკე შემოვიდა და მაგიდაზე ჭრელი ფრთოსანი დააგდო. თეთრად გახეხილ ფიცრებზე რომ სისხლის ლაქები შენიშნა, მამას ჰკითხა:

— ეს რა არის?

მამამისი შეჩერდა.

— ის სისხლია, შენ რომ დაღვარე.

ჰაბუკს ალმურმა გადაჰკრა სახეზე.

— ტრინ იანსი ხომ არ იყო აქ თავისი კატით?

მოხუცმა თავი დაუქნია:

— რატომ მოუკალი?

ჰაუკემ დასისხლიანებული მკლავი შეიხსნა.

— აი ამიტომ, — მიუგო მამას. — ხელიდან ფრინველი გამომგლიჯა.

მოხუცს აღარაფერი უთქვამს. რამდენიმე ხანს კიდევ იარა წინ და უკან. მერე ვაჟიშვილის წინ შედგა და დაფიქრებით შეაცქერდა.

— კატის ამბავი კი ჩავფარცხე, — დაიწყო მან ხანმოკლე დუმილის შემდეგ, — მაგრამ ამ ჩვენ ქოხს რა ვუყოთ, ორი კაცისთვის ძალიან ვიწროა. დროა, რაღაც საქმეს მოჰკიდო ხელი.

— ჰო, მამა, — მიუგო ჰაუკემ, — ამაზე მეც ვფიქრობ.

— რატომ? — ჩაჰკითხა მოხუცმა.

— იმიტომ, რომ თუ კაცმა გვარიანად არ იმუშავა, თანდათან ხასიათი წაუხდება და გაბოროტდება.

— ჰოო? ესე იგი ამის ბრალია, რომ ის ანგორული კატა მოკალი, არა? — ჰკითხა მამამ. — მომავალში აბა, შეიძლება უარესიც ჩაიდინო.

— იქნება მართალსაც ამბობ, მამაჩემო. მაგრამ ახლა სხვა რამე მინდა გითხრა. ჯებირის ზედამხედველმა თავისი უმცროსი მოჯამაგირე გააგდო, ხოდა, მეც მისი საქმე მინდა ჩავიბარო.

მოხუცი ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა, თან წარამარა თამბაქოს შავ წვენს აპურჭყებდა.

— ჯებირის ზედამხედველი ბატივით სულელია და მხოლოდ იმის გამოა ზედამხედველი, რომ მამამისიცა და პაპამისიც ზედამხედველები იყვნენ. ამასთანავე, ოცდაცხრა ფენი* აქვს. როცა მარტინის დღესასწაული მოახლოვდება, მას კი ანგარიშების დაწერა მოუწევს, დაიბარებს ხოლმე მასწავლე-

ბელს, გაუმასპინძლდება შემწვარი ბატით, თაფლუჭით, ხორბლის ფრენდელით და, როცა მასწავლებელი ციფრებს ჩაუჯდება, ზედამხედველიც იქვე მიუსკუპდება. თავს უქნევს ხოლმე და ეუბნება: „სწორია, მასწავლებელო, ღმერთიც გიშველის!“ თვითონ კი, აბა, სადა აქვს ანგარიშის თავი? როცა მასწავლებელს არ სცალია, ანდა არ სურს დაეხმაროს, საქმეს თვითონ მიუჯდება, დაწერს და ისევ გადაშლის, დაწერს და გადაშლის, გაუხურდება გამოცარიელებული გოგრა, სახე აელეწება და თვალები შუშის ბურთულებივით გაუხდება, მერე გადმოქაჩავს ამ თავის თვალებს და ის მცირეოდენი გონებაც ეკარგება, რაც აქამდე ჰქონდა შემორჩენილი.

ვაჟი მამის წინ იდგა და მისი ლაპარაკი აოცებდა. ასეთი ამბები მისგან ჯერ არასოდეს გაეგონა.

— მართალია, იგი საკმაოდ გამოჩერჩეტებულია, მაგრამ ღმერთი კაცს უნუგეშოდ არ მიატოვებს. მის ქალიშვილს, ელკეს, ანგარიში კარგად შეუძლია.

მოხუცმა ყურადღებით შეავლო თვალი ვაჟიშვილს.

— ოჰო, ჰაუკე! — წამოიძახა მან. — შენ საიდან იცნობ ელკე ფოლკერტსს?

— მასწავლებელმა მითხრა.

მოხუცს აღარაფერი უთქვამს, დაფიქრდა, საღეჭი თამბაქო ყბიდან ყბაში მოინაცვლა და შემდეგ განაგრძო:

— ჰოდა, შენ ფიქრობ, ქალიშვილს შეეშველებიო?

— რა თქმა უნდა, შეეშველები, — სერიოზულად მიუგო ვაჟმა.

მოხუცმა თავი გაიქნია.

— როგორც გენებოს. სცადე ბედი.

— მადლობელი ვარ, მამა, — მიუგო ჰაუკემ და თავის საძინებელ სენაკში ავიდა სხვენზე. მერე ლოგინზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა: რატომ მკითხაო მამამ ელკე ფოლკერტსის შესახებ?! თვითონ, რასაკვირველია, იცნობდა თვრამეტი წლის ამ ტანკენარ გოგონას, მაგრამ ჯერ ერთი სიტყვაც არსად დასცდენია მასზე. ელკეს ხორბლისფერ ვიწრო პირისახეზე მკვეთრად გამოირჩეოდა ჯიუტი თვალები, რომლებსაც ზემოდან შავი გადაბმული წარბები გადმოფარებოდა. ჰოდა, თუ ახლა იგი მოხუცი ტედე ფოლკერტსის უმცროსი მოჯამაგირე გახდება, მის ქალიშვილსაც უკეთ გაიცნობს. იქ კი ახლავე უნდა

წავიდეს, რომ ეერავინ შეეცილოს. ჯერ ისევ საღამო იყო.

ჰაუკემ საგარეო ქურთუკი და ჩექმები ჩაიცვა და გზას ხალისით გაუყვა.

იმის გამო, რომ ჯებირის ზედამხედველის გრძელი სახლი მაღალ მიწაყრილზე იდგა და თან სოფლის ყველაზე დიდი იფანიც იქვე შრიალებდა, ზედამხედველის კარმიდამო შორიდანვე კარგად მოჩანდა. ეს ხე ახლანდელი ზედამხედველის პაპას დაურგავს სიყმაწვილეში, სწორედ იმ კაცს, ვისაც გვარში პირველს მოუპოვებია ზედამხედველის თანამდებობა. მანამდე დარგულმა ორმა ხემ არ გაიხარა, ამიტომ თავისი ჭორწინების დღეს ეს მესამე ხე დაურგავს; იზრდებოდა და იზრდებოდა ამდენი წლის წინათ დარგული ხე. აქაური გამუდმებული ქარი იფნის ტოტებს მძლავრად აშრიალებდა და ისიც თითქოს ძველი დროების ამბებს ჰყვებოდა ხოლმე.

როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ჭარხლისა და კომბოსტოს კვლებიანი მაღალი მიწაყრილი აიარა და დაბალ სახლს მიუახლოვდა, კარის წინ ოჯახის უფროსის ქალიშვილი დაინახა. ცოტა არ იყოს გაკნაჭულ ქალიშვილს ცალი ხელი დაბლა დაეშვა, მეორე ხელი კი კარის გვერდით კედელში დატანებული რკინის ერთ-ერთი რგოლისთვის წაეკლო. ასეთ რგოლს კედელში იმიტომ ამაგრებდნენ, რომ ცხენოსან სტუმარს ზედ ცხენის მიბმა შესძლებოდა. როგორც ჩანდა, გოგონა ჯებირის მხარეს, ზღვისკენ იმზირებოდა. იმ მშვიდ საღამოს მზე თანდათან იძირებოდა ზღვაში და უკანასკნელი სხივებით ოქროსფრად ავარაყებდა ქალიშვილის ხორბლისფერ სახეს.

ჰაუკემ ნაბიჯი შეანელა და თავისთვის გაიფიქრა: „სულაც არ ყოფილა პირქუში“.

აი, უკვე ამოათავა ფერდობი და გოგონასთან მივიდა.

— საღამო მშვიდობისა, ელკე. რას გასცქერი მაგ შენი დიდრონი თვალებით?

— იმას, რაც აქ ყოველ საღამოსაა, მაგრამ მაინც იშვიათად გამოჩნდება ხოლმე. — მიუგო ქალიშვილმა და რგოლს ხელი გაუშვა. რგოლი ჟღრიალით მიეხეთქა კედელს.

— შენ რისთვის მოსულხარ, ჰაუკე ჰაიენ? — ჰკითხა მან ვაჟს.

— ალბათ, არ მიწყენ, — დაიწყო ჰაუკემ. — მამაშენს უმცროსი მოჯამაგირე გაუგდია, ჰოდა, მის ადგილზე მინდოდა ვემუშავა.

ელკემ იგი თავით ფეხამდე შეათვალიერა და უთხრა:

— რაღაც უღონო ჩანხარ, ჰაუკე, მაგრამ ჩვენ ორი ერთგული თვალი უფრო გვჭირდება, ვიდრე ორი ძლიერი ხელი. — ამ სიტყვებზე ქალიშვილმა, ცოტა არ იყოს, პირქუშად შეხედა და დაუმატა: — მამაჩემი ოთახშია, შინ შევიდეთ.

მეორე დღეს ტედე ჰაიენი და მისი ვაჟიშვილი ჯებირის ზედამხედველის ფართო ოთახში შევიდნენ. ოთახის კედლები მოჭიქული შორენკეცებით იყო მოპირკეთებული. ოთახში შესულს თვალს დაგიტკბობდა შორენკეცებზე მოხატული აფრებდაბერილი გემი და ნაპირზე ჩამომჯდარი მეთევზე. ზოგან გლეხის კარ-მიდამო ეხატა, სახლის წინ კი ძროხა იწვა და ზანტად იცოხნებოდა. შორენკეცების ეს შპალერი ამჟამად კარმიხურულ წალოსა და კედლის კარადასთან თავდებოდა, რომლის შემინული კარიდან ფაიფურისა და ვერცხლის უამრავი ჭურჭელი მოჩანდა. გვერდით ოთახში გამავალ კართან, კედელში დატანებულ შემინულ ფოსოში ჰოლანდიური საათი ეკიდა.

სახლის ზორბა და მოჩოლფოთებული პატრონი გაკრიალებული მაგიდის ბოლოში მატყლის ჭრელ ბალიშზე იჯდა. ხელები მუცელზე შემოეწყო და ჩამრგვალებული თვალებით შესციცინებდა იხვისაგან დარჩენილ ძვლებს. იქვე თეფშზე დანა-ჩანგალი ელაგა.

— დილა მშვიდობისა, ზედამხედველო! — წარმოთქვა ჰაიენმა.

ოჯახის უფროსმა თავი ნელა შეაბრუნა და მოსულს შეხედა.

— ეს შენ ხარ, ტედე? — გაეპასუხა იგი. მისი ხმა მსუქანი იხვის ხმას ჰგავდა, რომელიც ახლახან მიირთვა.

— დაჯექი, შენი სახლიდან ჩვენამდე კარგა გრძელი გზაა.

— ზედამხედველო, — უთხრა ტედე ჰაიენმა და ზედამხედველის წინ, მთელი კედლის სიგრძე მერხზე ჩამოჯდა. — თქვენი უწინდელი უმცროსი მოჯამაგირით უკმაყოფილო ყოფილხართ და ჩემს ბიჭისათვის თანხმობა გითქვამთ, მის მაგიერ შენ აგიყვანო.

ზედამხედველმა თავი დაუქნია.

— ჰო, ჰო, ტედე, უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ შენ რა

იგულისხმე? ჩვენ, მარშის მცხოვრებლებს, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე, გვაქვს ისეთი რამ, რაც დაგვამშვიდებს! — ზედამხედველმა ეს რომ წარმოთქვა, მაგიდიდან დანა აიღო და თითქოს საწყალი იხვის ძვლებს ეფერებაო, ზედ რამდენჯერმე დააკაკუნა.

— ჩემი საყვარელი იხვი იყო, — კმაყოფილი ღიმილით დაუმატა მან. — საკენკს პირდაპირ ხელიდან მაცლიდა!

— მე მეგონა, — ისე თქვა მოხუცმა ჰაიენმა, თითქოს ზედამხედველის ბოლო ნათქვამი არც გაეგონოს, — იმ ბენტერამ ბოსელში რაღაც წაახდინა-მეთქი.

— წაახდინაო? წაახდინა და ეგრე! იმ მაიმუნმა ხბორებს წყალი არ დაალევინა, გამობრუჟული თივაზე ედგო, საქონელი კი მთელ ღამეს ბღაოდა, თვალი არ მომიხუჭავს. ასე ხომ სულ განიავდა ოჯახის სარჩო-საბადებელი.

— რასაკვირველია. ჩემი ვაჟიშვილი ასეთ რამეს როგორ ჩაიდენს.

ჰაუკე კარის წირთხლს მიყრდნობოდა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თავი უკან გადაეწია და გულმოდგინედ ათვალიერებდა ფანჯრის ჩარჩოს.

ჯებირის ზედამხედველმა ყმაწვილს შეხედა და თავი დაუქნია.

— არა, არა, ტედე, — ახლა მას დაუქნია თავი ზედამხედველმა. — შენი ჰაუკე არ გამათევინებს ღამეს. ამას წინათაც მეუბნებოდა მასწავლებელი, ჰაუკე გამრავლების ტაბულას უფრო სიამოვნებით მიუჯდებაო, ვიდრე არყის ბოთლსო.

ქების სიტყვები ჰაუკეს არ გაუგონია, რადგან ამ დროს ოთახში ელკე შემოვიდა, ქალიშვილმა სახელდახელოდ წამოკრიფა სუფრიდან საჭმლის ნარჩენები და ვაჟს შავი თვალები შეავლო. ჰაუკემაც შეხედა ელკეს და თავისთვის გაიფიქრა: „ღმერთმანი, პირქუში სულაც არ არის“.

გოგონა გარეთ გავიდა.

— შენ იცი, ტედე, — დაიწყო ისევ ზედამხედველმა, — ვაჟიშვილი ღმერთმა არ მომცა.

— ვიცი, მაგრამ ამის გამო გული ნუ დაგწყდება, — მიუგო ტედემ, — მესამე თაობას იშვიათად თუ ეყოლება ხოლმე ძე, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მამათქვენმა დაიცვა ჩვენი მამული.

ზედამხედველი მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდნილმა შეხედა სტუმარს:

— როგორ თქვი, ჰაიენ? — ჰკითხა მოხუცს და სავარძელში ჩაჯდა. — მესამე თაობა ხომ მე ვარ!

— ჰო, მაგრამ საწყენად არ მითქვამს. ხალხი ასე ლაპარაკობს, — მიუგო გამხდარმა ტედე ჰაიენმა და ამ პატივცემულ ადამიანს განაწყენებული მზერა შეავლო.

— მოხუც დედაკაცებს ასეთი სისულელეების ლაქლაქის ნებას არ უნდა აძლევდე, ტედე ჰაიენ, — უდარდელად განაგრძო ზედამხედველმა. — შენ ხომ ჩემს ქალიშვილს არ იცნობ, ჩემზე ხუთჯერ უკეთ ანგარიშობს. შენ კი, აი რას გეტყვი: შენმა ჰაუკემ მარტო მინდორში კი არ უნდა იმუშაოს, აქაც უნდა შემეშველოს კალმითა და გრიფელით. მაინცდამაინც არც ეს აწყენს.

— კი, კი, ზედამხედველო, აუცილებლად შეგეშველება. ნამდვილად სწორი ბრძანებაა, — მიუგო მოხუცმა ჰაიენმა და შეეცადა ხელშეკრულებაში ზოგიერთი ისეთი ხელსაყრელი პირობა შეეტანა, რაც გუშინ საღამოს მის ვაჟს დავიწყებოდა. მაგალითად, მოითხოვა, რომ შემოდგომობით ბიჭისთვის ტილოს ხალათის გარდა გასამრჯელოდ რვა წყვილი ღაზლის წინდაც დაემატებინათ; გაზაფხულზე ერთი კვირით გაეთავისუფლებინათ, რომ ვაჟს საკუთარ მეურნეობაში ემუშავა და ა. შ. ზედამხედველი ყველა პირობაზე დათანხმდა. ეტყობა, ჰაუკე ჰაიენი უმცროსი მოჯამაგირის პირობაზე ყველაზე შესაფერ კაცად მიაჩნდა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, — უთხრა მოხუცმა ტედემ ვაჟს, როცა სახლიდან გამოვიდნენ. — მაგან უნდა გასწავლოს ამ ცხოვრების ავ-კარგი?!

— არა უშავს რა, მამა, — წყნარად მიუგო ვაჟმა. — ყველაფერი მოგვარდება..

ჰაუკე მართალი აღმოჩნდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, უმაწვილი მით უფრო უკეთ სწავლობდა ცხოვრებასა და გარემოს. ყოველივეს მით უფრო კარგად ეუფლებოდა, რაც უფრო ნაკლებად ეხმარებოდნენ სხვები და რაც უფრო მეტად ხდებოდა იძულებული საკუთარ ძალ-ღონეს დაჰყრდნობოდა. იგი ხომ თავიდანვე ასე ცხოვრობდა, საკუთარი თავის იმედით. მაგრამ ამ სახლში ერთი პიროვნება მუდამ უკმაყოფილო

იყო მისი მუშაობით. ეს გახლდათ უფროსი მოჯამაგირე ოლე პეტერსი — მარჯვე მუშა და ყბედი ყმაწვილი. პეტერსს ის ძველი მოჯამაგირე — ზარმაცი, მოსულელო, მაგრამ ჯანიანი ბიჭი, ახალს ერჩივნა, რადგან როცა კი მოესურვებოდა, ძველ მოჯამაგირეს მაშინ აჰკიდებდა ტვირთს, რასაც მოინდომებდა, იმას გააკეთებინებდა, ხოლო სიტყვაძუნწ, მაგრამ გონიერ ჰაუკესთან ეს ამბავი უკვე აღარ გაუვიდოდა. უფროს მოჯამაგირეს ჰაუკე არაფერში უდებდა ტოლს, მაგრამ ოლე პეტერსი მაინც შეურჩევდა ხოლმე ისეთ სამუშაოს, ჰაუკეს შეიძლება წელიც მოეწყვიტა. როგორც კი უფროსი მოჯამაგირე შეაგულიანებდა: შენ აბა ერთი ის სქელო ნილსი გენახა, რა მარჯვედ აკეთებდაო ეგეთ საქმეს — ჰაუკე ძალ-ღონეს აღარ იშურებდა, ოღონდ კი ბოლომდე მიეტანა საქმე. კიდევ მისი ბედი, რომ ელკე ამ საქმეში მამამისს ჩარევდა და უფროსი მოჯამაგირის გაცემულ ბრძანებას შეაცვლევინებდა ხოლმე.

შეიძლება ვიკითხოთ, რა მიზეზით ხდებაო, რომ ორი სრულიად უცხო ადამიანი ზოგჯერ ერთმანეთს დაუახლოვდება? ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ასეთი მიზეზი ორივე მათგანის მათემატიკისადმი თანდაყოლილი ლტოლვა იყო და გოგონას არ უნდოდა, რომ მისი ამხანაგი შეუფერებელ, მძიმე და უხეშ სამუშაოს შეკვდომოდა.

უფროს და უმცროს მოჯამაგირეს შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებას, რასაკვირველია, არც ზამთარში მოღებია ბოლო, როცა წმინდა მარტინის დღესასწაულის შემდეგ სხვადასხვაგვარი ანგარიშები მოსდიოდათ შესამოწმებლად.

ერთხელ — მაისის დღე იწურებოდა, თუმცა კი ამინდი ნოემბრისა გეგონებოდათ და ჯებირის მხრიდანაც ზღვის გუგუნი მოისმოდა, — ოჯახის უფროსმა ჰაუკეს უხმო:

— აქ მო, აბა ერთი მიჩვენე, ანგარიში როგორი იცი!

— ბატონო ზედამხედველო, ნაბრძანები მაქვს მოზარდ საქონელს საჭმელი დავუყარო! — მიუგო ჰაუკემ.

— ელკე! — გასძახა ზედამხედველმა ქალიშვილს, — სადა ხარ, ელკე! წადი ოლესთან და უთხარი, დაე მოზარდეულს საჭმელი თვითონვე დაუყაროს. ჰაუკეს აქ საანგარიშო აქვს.

ელკე თავლისკენ გაეშურა. უფროს მოჯამაგირეს ის-ის იყო უნაგირი უნდა ჩამოეხსნა ცხენისთვის. ელკემ მამის განკარგულება გადასცა.

ოლე პეტერსმა ხელში შერჩენილი აღვირი ისე შემოჰკრა ბოძს, თითქოს მისი დაწყეტა უნდოდა:

— ეშმაკსაც წაუღია მაგ წყეული მწერლუკას თავი.

ელკემ ამ სიტყვებს ყური მოჰკრა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა მოხუცმა ელკეს, როცა იგი შინ შევიდა.

— თვითონვე აპირებდა მოზარდეულის დაპურებას, — ტუჩების კვნეტით მიუგო ქალიშვილმა და ჰაუკეს პირდაპირ გამოჩორკნილ სკამზე ჩამოჯდა; ასეთ სკამებს ჩვენში დღესაც აკეთებენ ხოლმე; შემდეგ უჯრიდან თეთრი წინდა ამოიღო, რომელზეც წითელი ფრინველები იყო ამოქარგული და ქსოვა განაგრძო. გრძელფეხა ფრთოსნები, ალბათ, ყანჩები ან ყარყატები თუ იქნებოდა. ჰაუკე თავის საქმეს უკირკიტებდა, ზედამხედველი კი სავარძელში ისვენებდა და რულმორეული შესცქეროდა ჰაუკეს კალამს. მაგიდაზე, ჩვეულებისამებრ, ახლაც ენთო ქონის ორი სანთელი. ტყვიის ჩარჩოებში ჩასმულ ფანჯრებზე გარედან აფარებული დარაბები შიგნიდან გაეშაგრებინათ; რამდენიც უნდა, იმდენი იღმუვლოს ქარმა. დროდადრო ჰაუკე თავს წამოსწევდა, ხან ფრინველამოქარგულ წინდას დააცქერდებოდა, ხანაც გოგონას მშვიდ, ვიწრო პირისახეს.

უცებ სავარძლიდან ხმამაღალი ხვრინვა მოისმა, ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს და ორთავეს გაეღიმა.

ხვრინვას მშვიდი სუნთქვა მოჰყვა. ახლა საუბრის გაბმაც შეიძლებოდა. მაგრამ ჰაუკემ არ იცოდა, რაზე დაეწყო ლაპარაკი.

აი, ელკემ ნაქსოვი წუთით მაღლა ასწია და წინდაზე ამოქარგული ფრთოსნებიც მთლიანად გამოჩნდა. ჰაუკემ იდროვა და გადაუჩურჩულა:

— ვინ გასწავლა, ელკე, მაგის ქსოვა?

— რის ქსოვა? — კითხვა შეუბრუნა ქალიშვილმა.

— აი მაგ ფრინველების.

— ამისი? ტრინ იანსმა, ჯებირთან რომ ცხოვრობს. იმან ბევრი რამ იცის. ადრე ჩვენთან იყო, პაპაჩემს ემსახურებოდა.

— იმ დროს, ალბათ, დაბადებულიც არ იყავი, არა? — ჰკითხა ჰაუკემ.

— მგონი, არ ვიყავი, მაგრამ მერეც ხშირად მოგვინახულებდა ხოლმე.

— ნუთუ იმას ფრინველები უყვარს? — იკითხა ჰაუკემ. — მე მეგონა კატები ერჩივნა.

უარის ნიშნად ელკემ თავი გაიქნია.

— არა, ის ხომ იხვებს ზრდის და მერე ყიდის. მაგრამ შარშან, შენ რომ ანგორული კატა მოუკალი, საქათმეში ვირთხები შეეჩვივნენ. ჰოდა, ახლა სახლის წინ იშენებს საქათმეს.

— ჰოო! — წარმოთქვა ჰაუკემ და ხმადაბლა დაუსტვინა. — მაშ ამიტომ ეზიდება ბორცვიდან თიხასა და ქვებს? მაგრამ მაშინ ხომ გზის გაყვანაც დასჭირდება? მისცემენ კი ამის ნებას?

— მე რა ვიცი, — მიუგო ელკემ.

ის იყო ჰაუკემ ბოლო წინადადება დაამთავრა, რომ ზედამხედველს გაეღვიძა.

— რის ნებას? — იკითხა მან და გაშტერებული ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. — რის ნებასო, რას ამბობდით?

როცა ჰაუკემ გადასცა, რაზეც იყო საუბარი, ზედამხედველმა სიცილით დაჰკრა მხარზე ხელი.

— რას ამბობ, გზა საკმაოდ განიერია. ღმერთმა ბევრი საქმე შემაძლებინოს, მაგრამ ეგღა მაკლია, ახლა საქათმეებზე ფიქრით შევიწუხო თავი.

ჰაუკეს გულზე აწვა, იმ მოხუცის იხვის ჭუჭულების ცოდვა ჩემს კისერზე ყოფილაო და ახლა ზედამხედველის ნათქვამმა შვება მოჰგვარა.

— კი ბატონო, მაგრამ, — კიდევ წამოუწყო ჰაუკემ, — ზოგ-ზოგებს არ აწყენდა შეხურება, ხოლო თუ თავად არ გსურთ მათი დატუქსვა, მაშინ ნდობით აღჭურვილს დაუცაცხანეთ, რომ ჯებირს უკეთესად უპატრონონ.

— რაო, რას ამბობ, ყმაწვილო? — ზედამხედველი წელში გასწორდა. ელკემაც ლამაზად ნაქსოვ წინდას თავი მიანება და მათ შეაცქერდა.

— ასეა, ბატონო, — განაგრძო ჰაუკემ. — თქვენ ხომ უკვე ჩაატარეთ საგაზაფხულო დათვალიერება. ხოლო პეტერ იანსენს თავის ნაკვეთზე დღემდე არ მოუთიბავს სარეველა ბალახი. ზაფხულში იმ ნარშავებს ისევ მოედებიან ჩიტბატონები. იქვე ახლოს კი — ეგ აღარ ვიცი, ვისი ნაკვეთია, — ჯებირის გარეთა მხარეს მთელი გამოქვაბულია გამოთხრილი. კარგ

ამინდში იქ ბავშვები თამაშობენ ხოლმე, მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს და, წყალმა რომ აიწიოს?!

ზედამხედველს თვალები თანდათან უფართოვდებოდა.

— ამას გარდა... — განაგრძო ჰაუკემ.

— ამას გარდა, რა? — ჩაეძია ზედამხედველი. — ჯერ არ გითქვამს შენი სათქმელი? — მის ხმაში თითქოს უმცროსი მოჯამაგირის ლაპარაკით გამოწვეული უსიამოვნება იგრძნობოდა.

— ამას გარდა ის, რომ, — განაგრძო ისევ ჰაუკემ, — თქვენ კარგად იცნობთ ფაშფაშა ვოლინას, ნდობით აღჭურვილი ჰარდერსის ქალიშვილს, მამამისის ცხენი საბალახოდან თვითონ რომ მოჰყავს ხოლმე. ჰოდა, მოახტება ფაშფაშა ვოლინა იმ ბებერ ყვითელ ლაფშას, აქეთ-იქიდან მსუქან კანჭებს მოსდებს და ჯებირის ფერდობებზე აღმა-დაღმა დააჭენებს.

ჰაუკემ ახლაღა შეამჩნია, რომ ელკე გონიერი თვალებით შეჰყურებდა და თავს ოდნავ აქნევდა.

ჰაუკე გაჩუმდა. უცბად მოხუცმა მაგიდას მუშტი ისეთი ძალით დაარტყა, რომ ბიჭს ყურებში მეხივით მოხვდა.

— ეშმაკმა დალახვროს მაგისი თავი! — ისე დაიღრიალა ზედამხედველმა, რომ ჰაუკე შეხტა. — დააჯარიმე! სწორედ ასე ჩაწერე: ფაშფაშა ვოლინა დაჯარიმდეს-თქო! მაგ გომბიომ შარშან ზაფხულში სამი ჭუჭული წამგვარა! ჰო, ჰო, ჩაწერე, — გაუმეორა მან, რაკიღა შეატყო, რომ ჰაუკე მერყეობდა. — მგონი, სამი კი არა, ოთხი ჭუჭული იყო!

— ო, მამაჩემო, — ჩაერია ელკე, — ჩვენი ჭუჭულები განა წავებმა არ წაიყვანეს?

— დიდმა წავმა! — ქოშინით წამოიძახა მოხუცმა. — მე რა, ფაშფაშა ვოლინასა და წავს ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევ? არა, არა, ოთხი ჭუჭული. მაგრამ, ჰაუკე, სხვა დანარჩენი, რაც შენ ილაქლაქე, სისულელეა. ამ გაზაფხულზე ბატონი უფროსი ზედამხედველი და მე, მას შემდეგ, რაც ჩვენსა, აი, აქ ერთად წავისაუზმეთ, ჯებირის დასათვალიერებლად გავემგზავრეთ. მაგრამ იქ არც შენი სარეველები დაგვინახავს და არც გამოქვაბული. თქვენ კი, — მოხუცმა ჰაუკესა და თავის ქალიშვილს შეხედა, — ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ზედამხედველად არ დაგნიშნეს! კაცს ორი თვალი კი აქვს, მაგრამ ასი თვალი უნდა გამოიბას. ჰაუკე, შენ ერთი ამ ანგარიშებს

მიხედე და ყურადღებით შეამოწმე. ეს ყმაწვილები მუდამ დაუდევრად ანგარიშობენ.

მოხუცმა ისევ მოიკალათა სავარძელში, მძიმე სხეული ერთი-ორჯერ შეარხია და მალე კვლავ უდარდელ ძილს მისცა თავი.

ასეთი ამბები სხვა დროსაც მეორდებოდა. ჰაუკეს მახვილი თვალი ჰქონდა და როცა ისინი საღამოობით ერთად დასხდებოდნენ, შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ ჯებირის დასაცავად შემოღებული საყოველთაო წესების დამრღვევი ზედამხედველთან ემხილებინა, სააშკარაოზე არ გამოეტანა სულ უმნიშვნელო დაუდევრობაც კი, რადგან თვითონ ზედამხედველს ხეირიანად ვერ ეჭირა თვალი. მოულოდნელად საქმეებს გამოცოცხლება დაეტყო და ის ადამიანები, ზედამხედველის ადრინდელი უყურადღებობით გათამამებულნი რომ სჩადიოდნენ უკანონობას, ახლა დანაშაულისა და დაუდევრობის გამო საკადრისად ისჯებოდნენ. ამ ხალხს ხასიათი წაუხდა, გაოგნებულები იყვნენ — ასეთი დარტყმები ვინ მოგვაყენაო. უფროსმა მოჯამაგირემაც დიდხანს არ დააყოვნა, მიუთითა, ვინც იყო ამ საქმის მოთავე და ამით ჰაუკესა და მამამისის წინააღმდეგ შუღლი გააღვივა, რადგან, ნაწილობრივ, მამასაც დასდეს ბრალი. სხვები კი, ვისაც რისხვა ასცდა, ანდა ვისაც თავისი საქმე მაინც უნდა გაეკეთებინა, გახარებული იცინოდნენ: ახალგაზრდამ მოხუცი ცოტა გამოაფხიზლაო.

„საწყენი ის არის, — ამბობდნენ ისინი, — რომ მაგ ყმაწვილს საკუთარი მიწა არ უმაგრებს წელს, თორემ მაგისგან სანიმუშო ზედამხედველი დადგებოდა, მოხუცი მამის ორიოდე დემატი* მიწა კი ამ საქმეს ვერ უშველის“.

როცა მეორე შემოდგომით ჯებირის დასათვალიერებლად ოლქის უფროსი და უფროსი ზედამხედველი ჩამოვიდნენ, ამ უკანასკნელმა საუზმობისას მოხუცი ტედე ფოლკერტსი თაიდან ფეხებამდე შეათვალიერა და უთხრა:

— მართლაც რომ გვარიანად გაახალგაზრდავებულხართ, ზედამხედველო, თქვენი წინადადებებით ამჯერად ოფლი მაწურვინეთ. ნეტა კი დღეს ყველაფრის შემოწმებას მოვასწრებდეთ!

— მოვასწრებთ, მოვასწრებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, —

ღიმილით მიუგო მოხუცმა. — ეს შემწვარი ბატი ძალ-ღონეს შეგმატებთ. თქვენი თქმისა არ იყოს, ღვთის წყალობით, ჯერ-ჯერობით მხნედ და ახალგაზრდულად ვგრძნობ თავს, — მერე მიმოიხედა, სადმე ახლოს ჰაუკე ხომ არ არისო და, როცა ვერსად დაინახა, ამაყად განაცხადა: „ღვთის შემწეობით, ვფიქრობ, ჩემი მოვალეობის შესრულებას კიდევ ორიოდე წელიწადს შევძლებ“.

— მოდი, სწორედ ამის სადღეგრძელო შევსვათ, — წარმოთქვა უფროსმა და ზეზე წამოდგა.

ამის დანახვაზე ელკე, რომელიც მათ სუფრას ემსახურებოდა, გარეთ გამოვიდა, თან სიცილს ძლივს იკავებდა. შემდეგ სამზარეულოდან საჭმლის ნარჩენებით გავსებული ჯამი გამოიტანა და ეზოდან გავიდა, რომ ფრინველი დაეპურებინა. ჰაუკე ჰაიენი ბოსელში მუშაობდა, ბაგაში ფიწლით თივას უყრიდა ძროხებს, რომლებსაც ცუდი ამინდის გამო საძოვარზე აღარ ერეკებოდნენ. დაინახა თუ არა ქალიშვილი, ჰაუკემ ფიწალი მიწაში ჩაარჭო.

— ელკე, როგორ არის საქმე?

ელკე შედგა და თავი დაუქნია:

— არა უშავს, მაგრამ ნეტა კი წეღან შენც ყოფილიყავი ოთახში.

— რა მოხდა ასეთი?

— ბატონმა უფროსმა ზედამხედველმა მასპინძელი შეაქო!

— მასპინძელი? მერედა რა?

— უფრო სწორედ, მასპინძელი კი არა, ჯებირის ზედამხედველი შეაქო!

ახალგაზრდა ვაჟს სახეზე ალმურმა გადაჰკრა.

— ვიცი, რისი თქმაც გინდა.

— შენ რას წითლდები, ჰაუკე, ეს ქება სინამდვილეში ხომ შენ გეკუთვნის!

ჰაუკემ ქალიშვილს ღიმილით შეხედა.

— შენც გეკუთვნის! — მიუგო მან.

ელკე არ დაეთანხმა.

— არა, ჰაუკე, როცა მამაჩემს მარტო მე ვეხმარებოდი, ჩვენ არავინ გვაქებდა. მე მხოლოდ ანგარიში მეხერხება. შენ კი ყველაფერს ამჩნევ, რასაც ჯებირის ზედამხედველი უნდა ხედავდეს. ამ საქმეში შენ მაჯობე.

— ეგ სულაც არ მინდოდა, ყოველ შემთხვევაში, არ მიცდია შენთვის მეჯობნა, — დარცხვენით მიუგო ჰაუკემ და ძროხას, მისკენ რომ იწევდა, თავი გვერდზე გაუწია. — მოიცა, ჭრელავ, ამ ფიწალს ნუ შემიჭამ და შენ წილ თივას დაგიყრი!

— ოღონდ არ იფიქრო, მწყინდეს, — მცირე დუმილის შემდეგ უთხრა ელკემ. — ეს ხომ კაცის საქმეა.

— თუ ასე ფიქრობ, ხელი მომეცი! — ჰაუკემ გოგონას ხელი გაუწოდა.

ქალიშვილს სახეზე ალმური მოედო.

— რატომ, მე არ ვცრუობ! — წამოიძახა მან.

ჰაუკემ პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ ელკე უკვე გარეთ გაიჭრა. ჰაუკე კი იდგა ასე ფიწლით ხელში და ყურს უგდებდა, როგორ ვახვახებდნენ და კრიახებდნენ ელკეს გარშემო იხვები და ქათმები.

სამი წელი გავიდა, რაც ჰაუკე ზედამხედველთან მსახურობდა და ეს ამბავიც მაშინ მოხდა. ზამთრის დღესასწაულის მოწყობას აპირებდნენ. ამ დღესასწაულს აქაურებმა „კეგლი ყინულზე“ დაარქვეს. უქარო ამინდები იდგა და გამუდმებულმა ყინვამ ტორფიან ჭაობებშუა გაყვანილი არხები ისე ამოავსო, რომ აქამდე დასერილი მიწის ნაკვეთები ახლა ტყვიით გამოვსებული ხის ბურთულების სასროლად მოხერხებული გახდა. ამ ბურთულებს მიზნის მოსახვედრად ხმარობდნენ. ყოველდღე ჰქროდა მსუბუქი ნორდოსტი. დღესასწაულის დასაწყებად ყველაფერი მზად იყო. შეჯიბრებაში გამოიწვიეს მარშების აღმოსავლეთით მაღლობზე მდებარე სოფელი, რომელმაც წინა წელს გაიმარჯვა. სოფელმა გამოწვევა მიიღო. ორივე მხარემ ცხრა-ცხრა მოთამაშე გამოიყვანა, ამოირჩიეს მამასახლისი და მსაჯები. მსაჯებად, რომლებსაც სადავო საკითხები უნდა გაერჩიათ, ყოველთვის ისეთ ხალხს ასახელებდნენ, ვისაც განსაკუთრებით უჭრიდა ჭკუა-გონება. მსაჯობას უმეტესად, იმ ახალგაზრდებს მიანდობდნენ ხოლმე, რომლებიც საზრიანობითაც გამოირჩეოდნენ, ენამოსწრებულებიც იყვნენ. ასეთი კაცი კი, პირველ რიგში, ოლე პეტერსი იყო, — ზედამხედველის უფროსი მოჯამაგირე.

— თქვენ ქაჯებივით იმუშავეთ, ქაქანი კი ჩემზე იყოს, — დააიმედა ოლემ მოთამაშენი.

დადგა დღესასწაულის წინა საღამო. მაღლობზე, ეკლესი-

ასთან წამომდგარი ფუნდუკის უკანა ოთახში რამდენიმე კაცი შეიკრიბა, დაგვიანებით მოსული მონაწილეები მოთამაშეთა სიაში უნდა შეეტანათ. ჰაუკე ჰაიენიც მათ შორის იყო. მართალია, ნავარჯიშევი მკლავების იმედი კი ჰქონდა, მაგრამ ერთი ხანობა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ უნდოდა. ფიქრობდა, ვაითუ ოლე პეტერსმა, რომელსაც მსაჯის საპატიო მოვალეობა დააკისრეს, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი მითხრას და თავი არ დავიმცირო. მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აზრი ელკემ შეაცვლევინა:

— ამას პეტერსი ვერ გაბედავს, ჰაუკე, — მიმართა გოგონამ. — ოლე დღიური მუშის შვილია, მამაშენს კი ძროხაცა ჰყავს და ცხენიც, ამას გარდა, სოფელში უჭკვიანეს კაცად მიაჩნიათ.

— კი მაგრამ, მაინც რომ მითხრას უარი?

ელკემ თავისი შავი თვალები ღიმილით შეავლო ვაჟს.

— მაშინ რას ვიზამ, იცი? ცეკვები რომ გაიმართება საღამო ხანს და ოლეც თავისი უფროსის ქალიშვილთან მოინდომებს ცეკვას, დაე შორიდან ყლაპოს ნერწყვი.

გულგამხნევებულმა ჰაუკემ თავი დაუქნია ელკეს.

ჰოდა, ყმაწვილები, რომლებმაც დაგვიანებით მოინდომეს შეჯიბრებაში მონაწილეობა, ახლა მობუზულები იდგნენ ფუნდუკთან, იყინებოდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ და ნათელი ქვით აშენებული ეკლესიის სამრეკლოს შეჰყურებდნენ. პასტორის მტრედები, ზაფხულში რომ სოფლის მინდვრებზე იკვებებოდნენ, ის-ის იყო მობრუნდნენ გლეხების ეზო-ბეღლებიდან, — ფრინველები ახლა იქ შოულობდნენ საკენკს, — და სამრეკლოს სახურავს შეეფარნენ; სახურავის ქვეშ მტრედებს ბუდეები ჰქონდათ. დასავლეთით, ზღვისა და ცის დასალიერი დაისს გაებრწყინებინა.

— ხვალ უღრუბლო დღე იქნება, სიცივე კი მოუჭერს, — თქვა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ და გაცხარებით წინ და უკან სიარულს შეუდგა.

მეორე ახალგაზრდა, რაკი მოფარფატე მტრედებს ვერ ხედავდა, ადგილზე აღარ გაჩერდა, ფუნდუკში შევიდა და ყური ოთახის კარს მიადო, რომლის მიღმაც გაცხარებით კამათობდნენ. ამ ყმაწვილს ჯებირის ზედამხედველის უმცროსი მოჯამაგირე მიუახლოვდა.

— გესმის, ჰაუკე? შენს გამო დავობენ, — უთხრა ახალგაზრდამ ჰაუკეს.

ოთახიდან მკაფიოდ მოისმა ოლე პეტერსის გაბზარული ხმა:

— ამ შეჯიბრებაში უმცროსი მოჯამაგირეები და ბიჭბუჭები არ უნდა გავრიოთ!

— აჭ მო, ჰაუკე, — გადაუჩურჩულა ყმაწვილმა და ჰაუკეს ქურთუკის სახელოზე მოქაჩა, — ნახე, რა ფასს გადებენ!

ჰაუკემ ხელი გამოგლიჯა, ფუნდუკს გაშორდა და ყმაწვილს შემოსძახა:

— მაგიტომ ჩაგვიკეტეს კარი, რომ გარედან ვუსმინოთ?! მესამე მოთამაშე სახლის წინ იცდიდა.

— ეშიშობ, ჩემი საკითხი გაჯანჯლდება, — უთხრა მან ჰაუკეს, — ჯერ თვრამეტისაც არ ვარ. ნეტავი ნათლობის მოწმობა მაინც არ მომთხოვონ! შენ კი ეგ უფროსი მოჯამაგირე მოგიხერხებს რაღაცას!

— ჰო, მომიხერხებს, მაგრამ სახეიროს არაფერს, — ჩაიბუზღუნა ჰაუკემ და კენჭს ფეხი გაჰკრა.

ფუნდუკში კამათი თანდათან გაცხარდა, მერე ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ მყოფ ბიჭებს ახლა ნორდოსტის ნელი ზუზუნი შემოესმათ, სამრეკლოს თავზე რომ დანავარდობდა.

— ნეტავ რას კამათობენ? — იკითხა იმ ჭაბუკმა, თვრამეტი წლისაც რომ არ იყო ჯერ.

— აი, ამის გამო აქვთ დავა, — თქვა მეორე ყმაწვილმა და ჰაუკეზე უჩვენა. — ოლე პეტერსმა თქვა ბიჭუკელაო, მაგრამ ყველა აუყვირდა. იეს ჰენსენმა უთხრა, მამამისს საქონელიც ჰყავს და მიწაც აქვსო. ოლემ კი ასე უპასუხა: რა მიწა, რის მიწა, მთელი მაგის მიწა რომ გაზიდო, ათი ურემიც არ დაგჭირდებაო! მერე ოლე ჰენსენმაც წამოიძახა: სიჩუმე იყოს, აბა ახლა მეც მომისმინეთ. თქვით, ვინ არის ჩვენს სოფელში პირველი კაციო? ყველა გაჩუმდა, გეგონებოდა, რაღაცას იხსენებენო. მერე ვილაცამ წამოიძახა: ვინ არის და ჯებირების ზედამხედველიო. ამას სხვებიც აჰყვნენ: „მართალია, მართალია, ჯებირების ზედამხედველია პირველი კაცი“. — მერედა, ნამდვილი ზედამხედველი ვინ არისო, — კვლავ წამოიძახა ოლე ჰენსენმა, — ოღონდ, იცოდეთ, დაფიქრდით და ისე თქვითო.

მაშინ, ერთ-ერთმა დამსწრემ თავისთვის ჩაიცინა, იმას მეორე აჰყვა, ბოლოს ყველამ ხარხარი დაიწყო. ჰოდა, ადექით და იმას დაუძახეთ! — თქვა ოლე ჰენსენმა, — თქვენ, რა, მართლა გინდოდათ მისი გარეთ გაგდება? კაი ბლომად იხარხარეს, მგონი, ახლაც იცინიან. ოლე პეტერსს კი ხმა აღარ ამოუღია, — დაასრულა ჰაბუკმა სათქმელი.

თითქმის იმავე წუთას ოთახის კარი სასწრაფოდ გამოაღეს და ცივ ღამეში მხიარული ძახილი დაირხა:

— ჰაუკე! ჰაუკე ჰაიენ!

ჰაუკე ოთახში შევარდა და დამხვდურთა ლაპარაკს თავი და ბოლო ვერ გაუგო, ვეღარ გაერკვია ვინ იყო ჯებირების ნამდვილი ზედამხედველი. არც სხვებს გაუგიათ, თუ რა ფიქრი აწვალებდა მაშინ ჰაუკეს.

...როცა რამდენიმე ხნის შემდეგ იგი თავისი უფროსის სახლს მიუახლოვდა, ქვემოთ, ალაყაფის კართან ელკეს მოჰკრა თვალი. მთვარის სხივებს თეთრად გაებრწყინებინა რთვილდადებული თვალშეუდგამი ველები.

— შენა ხარ? — მიმართა მას ჰაუკემ.

გოგონამ თავი დაუქნია და მოუთმენლად ჰკითხა:

— როგორაა საქმე? პეტერსი ხომ არ გაჯიუტდა?

— გაჯიუტდა რომელია!

— მერე, გამოუვიდა რამე?

— არაფერიც არ გამოუვიდა. თამაშის უფლება მაინც მომცეს.

— ღამე ნებისა, ჰაუკე! — მიაძახა ელკემ, ფერდობი ცქვიტად აირბინა და სახლში შევიდა.

ვაჟი ნელი ნაბიჯით უკან გაჰყვა ქალიშვილს.

ნაშუადღევს აღმოსავლეთის მხარეს, ჯებირის გაყოლებით, ვრცელ ველზე თავი მოეყარა ხალხს, ისინი ერთხანს უძრავად იდგნენ, მერე კი, როცა ხალხის მასიდან ხის ბურთულა ორჯერ ზედიზედ ამოვარდა და მზისგან ჭირხლშემოცლილ მიწას გადაუფრინა, ნელ-ნელა მოშორდა ზურგსუკან მოქცეულ გრძელ, დაბალ სახლებს. შეჯიბრების მონაწილეებს გარს შემოხვეოდა მოხუცი და ახალგაზრდა. გრძელ ხიფთანებში გამოწყობილი ხანდაზმული მამაკაცები დაფიქრებულნი აბოლებდნენ მოკლე ჩიბუხებს, ქალებს თავშლები მოეხვიათ, ქურთუკები ჩაე-

ცვათ და ხელში აყვანილი ბავშვები მოჰყავდათ. საღამოს მზის უღონო სხივებს რუებში ჩაყინული შალაფას წვერები გაებრწყინებინა. მოთამაშეებს ახლა ხშირ-ხშირად უხდებოდათ ამ გაყინული რუების გადალახვა. გვარიანად ყინავდა, მაგრამ შეჯიბრება მაინც გრძელდებოდა და მაყურებელიც დაძაბული აყოლებდა თვალს დამზრალ მიწაზე მოსრიალე ბურთულებს: სწორედ დღეს უნდა გარკვეულიყო, რომელ სოფელს დარჩებოდა დიდება და პატივი. ადგილობრივი გუნდის მსაჯს — თეთრი, მაღლობზე მცხოვრებთა გუნდის მსაჯს კი შავი ჯოხი ეჭირა. ჯოხებს რკინის წვეტები ჰქონდათ წამოცმული და სადაც გასროლილი ბურთი შეჩერდებოდა, გაყინულ მიწაში ამ ჯოხს ჩაასობდნენ. ვისი ბურთიც მიზანს პირველი მიაღწევდა, მოგებულიც ის გუნდი იყო. მოწინააღმდეგენი ბურთულის თითოეულ სროლას ხან ჩუმი მოწიწებით ხვდებოდნენ, ხანაც დამცინავი ხარხარით.

მაყურებელი ცოტას ლაპარაკობდა. მხოლოდ მაშინ, როცა ნასროლი განსაკუთრებით მოხდენილი გამოვიდოდა, ყმაწვილკაცები და ქალები აღტაცების შეძახილს ვეღარ მალავდნენ, რომელიღაც მოხუცი პირიდან გამოიღებდა ჩიბუხს, მსროლელს მხარზე დაარტყავდა ჩიბუხიან ხელს და ორიოდ სიტყვით წააქეზებდა: „აი სროლაც ამას ჰქვია“, ანდა „მიდი, მიდი, ცხონებული მამაშენიც ასე ისროდა!“

პირველი ტყორცნა ჰაუკეს არ გამოუვიდა: ის იყო ბურთის სასროლად ხელი უკან წაიღო, რომ მზემ ღრუბელი გადაიყარა და ჩახჩახა სხივებმა ჰაუკეს თვალი მოჭრა. ნასროლი მოკლე გამოვიდა, ბურთი თხრილში ჩავარდა და ყინულში ჩარჩა.

— ეგ არ ითვლება, არ ითვლება! კიდევ სინჯე, ჰაუკე! — აყვირდნენ თანაგუნდელები.

მაგრამ ზემოურების მსაჯი გაჯიუტდა:

— როგორ არ ითვლება! ნასროლი ნასროლია!

— ოლე! ოლე პეტერს! — აგნიასდა გარშემო ახალგაზრდობა.

— სად არის ოლე? სად დაიკარგა ეგ ეშმაკის კერძი? მაგრამ ოლე უკვე იქ იყო.

— რა გაღრიალებთ! ახალ ხელებს მე ხომ არ გამოვაბამ ჰაუკეს? აკი ვამბობდი, ასე იქნება-მეთქი.

— რას ამბობ! ერთხელაც უნდა ისროლოს! შენ გიჯობს, ის გვიჩვენო, როგორი ლაყბობა შეგიძლია.

— ლაყბობა როგორ არ შემიძლია! — შესძახა ოლემ, ზემოურების მსაჯს მიეჭრა და ენად გაიკრიფა.

მაგრამ ამჯერად ერთი ენამოსწრებული სიტყვაც ვერ თქვა. იქვე მდგომი გაბარჯღულწარბებიანი ქალიშვილი ოლეს გაბრაზებით შეჰყურებდა. თვითონ ხმა ვერ ამოელო, რადგან შეჯიბრების განსჯაში ქალებს სიტყვის უფლება არ ეძლეოდათ.

— სისულელეს როშავ! — შეუტია ოლეს მეორე მსაჯმა. — თავში ტვინი აღარ შეგრჩა. მზე, მთვარე და ვარსკვლავები სულ მუდამ ცაშია და ყველასათვის თანაბრად ანათებს. ნასროლი იყო ცუდი, სათვალავს ეს სროლაც უნდა მიემატოს.

ასე კინკლაობდნენ მსაჯები. ბოლოს მთავარი მსაჯი ჩაერია ლაპარაკში და ბურთის განმეორებით ტყორცნის უფლება ჰაუკეს არ მისცა.

— წინ! — შესძახეს ზემოურებმა, მათმა მსაჯმა მიწიდან შავი ჯოხი ამოაძრო და ამ ადგილზე მომდევნო მოთამაშეს მოუხმო, რომელმაც ბურთი წინ გაისროლა. ჯებირის ზედამხედველის უფროსმა მოჯამაგირემ იფიქრა, გასროლილ ბურთს თვალს გავაყოლებო და ელკე ფოლკერტსს წინ გაუარა.

— ეგ ტვინი ვისი ხათრით დაგრჩა შინ? — წასჩურჩულა ელკემ ოლე პეტერსს.

ოლემ გაბრაზებით შეავლო გოგონას თვალი და ფართო სახეზე კვიმატი იერი ჩამოერეცხა.

— შენი ხათრით! — მიახალა მან, — რადგან იგი აღარც შენ შეგრჩენია.

— წადი, წადი, ვიცი, რა შვილიც ხარ, ოლე პეტერს! — ვალში არ დარჩა გოგონა და მხრებში ამაყად გასწორდა. ოლემ კი ისეთი სახე მიიღო, ვითომც არაფერი მომხდარაო.

შეჯიბრება გაგრძელდა და შავსა და თეთრ ჯოხებს ხან სად დაარჭობდნენ და ხან სად. როცა ისევ ჰაუკეს ჯერი მოვიდა, მან ბურთი მარჯვედ გაისროლა და მიზანიც — კირით შეთეთრებული კასრი — ყველამ მკაფიოდ დაინახა. ამ დროისათვის იგი უკვე კუნთმაგარი ჭაბუკი იყო, ხოლო ბურთის ტყორცნაში, ისევე როგორც მათემატიკაში, ბავშვობიდანვე ვარჯიშობდა.

— ოჰო, ჰაუკე! — გაისმა ხალხის შეძახილი. — აი, ნასრო-

ლიც ამას ჰქვია, თითქოს თვით მთავარანგელოზ მიხეილს ეტყორცნოს!

ერთი მოხუცი ქალი კალათში ჩალაგებული ნამცხვრითა და არყის ბოთლით ხალხში გაძვრა, ჰაუკეს ჰიქა პირამდე აუვსო, მიაწოდა და უთხრა:

— მოდი შევრიგდეთ. კატების ხოცვას ესა სჯობს.

ჰაუკემ ქალს შეხედა და ტრინ იანსი იცნო.

— მადლობელი ვარ, დეიდა, მაგრამ ვერ დავლევ, — მიუგო მან, მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და მოხუცს ახალმოჭრილი მარკა გაუწოდა.

— აჰა, აიღე, ეგ ჰიქაც შენ დალიე, შერიგებით კი შევრიგდეთ.

— სწორი ხარ, ჰაუკე, — მიუგო მოხუცმა და ბიჭის რჩევა დაიჯერა. — სწორი ხარ. ეს ჰიქა ჩემისთანა ბებრისათვის უფრო კარგია.

— იხვები როგორა გყავს? — მიაძახა ჰაუკემ მოხუცს.

მოხუცს უკან არ მოუხედავს, მხოლოდ თავი გაიქნია და მაყურებელთა ყურადღება რომ მიექცია, ტაში შემოჰკრა.

— ცუდად, ცუდად, ჰაუკე! ნამეტანი ბევრი ვირთხაა მაგ თქვენ რუებში. ღმერთი შემეწევა, სხვა რამ საშუალებით გავიტან თავს.

მოხუცი ხალხში მიიკვლევდა გზას და მათ არაყსა და თაფლის კვერებს სთავაზობდა.

მალე მზე ჯებირს იქით მიიმალა და ზეცას ახლა ლურჯწითელი ათინათი მოეფინა. ხანდახან ცაში შავი ყორნები გადაიფრენდნენ და მათი ბუმბულიც წამით ოქროსფრად იელვებდა. მოსაღამოვდა. ველზე კი ხალხის ჯგუფი ჩაბნელებულა, უკვე შორსდარჩენილი სახლებიდან ისევ კასრისკენ მიიწევდა. ერთი მარჯვე ნასროლით ახლა შეიძლებოდა ბურთის კასრამდე მიწვდენა. ქვემოურთა რიგი იყო. ჰაუკეს უნდა ესროლა.

კირით შეთეთრებული კასრი კარგად მოჩანდა საღამოს ბინდში, ჯებირის მხრიდან რომ ვოიწევდა და თანდათან მთელ ველს ეფინებოდა.

— ახლაც ჩვენი გაიმარჯვებს! — წამოიძახა ვიღაცამ ქვემოურთაგან. მარშის მცხოვრებთა გუნდს ზემოურებისათვის სულ ცოტა ათი ფუტით მაინც გაესწრო წინ.

და აი, ხალხს ჰაუკეს გამხდარი ფიგურა გამოეყო. ფრიზი-

ელისათვის დამახასიათებელ მის გრძელ სახეზე აკიაფებული ნაცრისფერი თვალები თეთრ კასრს მიშტერებოდა. დაბლა დაშვებულ ხელში ბურთი ეჭირა.

— ეგ ფრინველი ნამეტანი დიდი მოგივა! — ზედ მის ყურთან გაისმა ამ დროს ოლე პეტერსის ჩახრინწული ხმა, — იქნებ ბეღურას დასჯერებოდი?

ჰაუკე მისკენ შებრუნდა, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— მე ჩვენი მარშისათვის ვტყორცნი, შენ კი ვის მხარეზე ხარ?

— სწორედ მარშელების მხარეზე, შენ კი ელკე ფოლკერტსისათვის ტყორცნი!

— აბა, განი! — შესძახა ჰაუკემ და სასროლად მოემზადა.

მაგრამ ოლემ თავი კიდევ უფრო ახლოს მიუტანა. უცებ, ჰაუკემ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ვიღაცის ხელმა აბეზარი ისე მოისროლა უკან, რომ ოლე თავის ახარხარებულ ამხანაგებს მიეხალა. ეს მძლავრ ხელს არ უქნია: როცა ჰაუკემ ერთი წამით თავი მოატრიალა, დაინახა, რომ გვერდით მდგომ ელკე ფოლკერტსს აწითლებულ სახეზე შავი წარბები კუშტად შეეყარა. ქალიშვილი სახელოებს ისწორებდა.

მკლავებში თითქოს ფოლადი ჩაეღვარა ჰაუკეს, ოდნავ დაიხარა, რამდენიმეჯერ ბურთი ხელში შეათამაშა და გასტყორცნა. ორივე მხარე გაისუსა. მაყურებლებმა მზერა ბურთს გააყოლეს, რომელიც ჰაერს წუილით მიაპობდა.

ბურთმა კარგა დიდი მანძილი იფრინა, მერე ჯებირის მხრიდან ჩხავილით წამოსულმა თოლიამ წამით ვერცხლისფერი ფრთები ჩამოაფარა და უცებ ყველამ გაიგონა ბურთის კასრზე დაცემის ხმა.

— ვაშა ჰაუკეს! — შესძახეს მარშელებმა და მთელი ხალხი ახმაურდა. — ჰაუკეს გაუმარჯოს! ჰაუკე ჰაიენმა შეჯიბრება მოიგო!

ჰაუკეს კი, რომელსაც ხალხი შემოხვეოდა ირგვლივ, იქვე მდგომი გოგონას ხელი ჩაეჭირა. მაგრამ რაკიღა ხალხი ისევ ყვიროდა: „რას დაგახარ, ჰაუკე? ბურთი ხომ შიგ კასრში ჩავარდა!“, ჰაუკემ მხოლოდ თავი დაიქნია და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა, ხოლო როცა პატარა ხელის საპასუხო მოჭერა იგრძნო, თქვა:

— მგონი, მართლები ხართ, ალბათ მართლა მე მოვიგე!

მერე ხალხმა უკან დაიხია, ელკე და ჰაუკე ერთმანეთს დაეშორეს და იმ გზაზე გაიტაცეს, ჯებირის ზედამხედველის სახლთან რომ გადიოდა და ზეგანზე აშენებული ფუნდუკისაკენ მიიმართებოდა. აქ კი, როგორც იქნა, ხალხში ჯგლეთას თავი დააღწიეს. ელკე თავის სენაკში შევიდა, ხოლო ჰაუკე ბოსლის კართან აიტუზა და თვალი ხალხს გააყოლა. ყველანი ეკლესიასთან მდებარე ფუნდუკისაკენ მიდიოდნენ. იქ დარბაზი უკვე საცეკვაოდ დაეცალათ.

სიბნელე თანდათან მთელ მიდამოს მოეფინა. ჰაუკეს ირგვლივ მდუმარებამ დაისადგურა, მხოლოდ ბოსლიდანღა ისმოდა ქშენა და ფეხების ბრაგა-ბრუგი. დროდადრო ფუნდუკის მხრიდანაც მოაღწევდა ხოლმე კლარნეტის ხმა. უცბად, სახლის კუთხიდან, კაბის შრიალი შემოესმა ჰაუკეს. ვიღაც ქალიშვილი მოკლე და მტკიცე ნაბიჯით ბექობისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. სიბნელეში ჰაუკემ ფუნდუკისკენ მიმავალი ელკე დაინახა, ეტყობა, ისიც საცეკვაოდ მიდიოდა. გული უელში მოებჯინა ჰაუკეს. ხომ არ დაეწიოს, თან ხომ არ წაჰყვეს? მაგრამ არა, ჰაუკემ არ იცის, ქალებს თავი რით მოაწონოს. ჩაფიქრებული ადგილზე დარჩა, თვალი ვერ მოაცილა, ვიდრე ელკე სიბნელეს არ შეერია. მერე კი, როცა ქალიშვილი ძალზე შორს იყო და უკვე ჰაუკეც ვეღარ დაეწეოდა, თვითონაც იმავე გზას დაადგა და მალე ფუნდუკს მიაღწია. შენობიდან ყვირილი და ყაყანი ისმოდა, წრიპინებდნენ ვიოლინოები, ჰყიოდნენ კლარნეტები. ხმაურმა გააყრუა ჰაუკე. უჩუმრად შეიპარა ამჭართა დარბაზში. პატარა დარბაზი ისე გაჭედილიყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. ჰაიენი მდუმარედ აეყუდა კარის წირთხლს და მოფუსფუსე ხალხს თვალი მოავლო. ყველანი ისეთი გატაცებით ცეკვავდნენ, ჰაუკემ შეშლილებს მიამსგავსა ისინი. ყმაწვილი შიშობდა, ყურადღება არ მივიქციო, როგორც შეჯიბრებაზე გამარჯვებულმაო, მაგრამ ამის შიში არ უნდა ჰქონოდა, — თვითეული თავის გოგონას შეჰყურებდა და დარბაზს მასთან ერთად უვლიდა გარშემო. ჰაუკეს მზერა ერთს ეძებდა და აჰა, მიაგნო კიდეც. ქალიშვილი თავის ახალგაზრდა ბიძაშვილს ეცეკვებოდა, ჯებირის საბჭოში ნდობით რომ იყო აღჭურვილი. მერე უკვე მარშელებისა და ზემოურთა გოგონებმა ჩამოიარეს. მათთან ჰაუკეს არაფერი ესაქმებოდა. უცებ

ვიოლინოები და კლარნეტები დადუმდნენ, ცეკვა დამთავრდა. მაგრამ სულ მალე სხვა ცეკვა წამოიწყეს. ჰაუკეს ფიქრმა გაუელვა — შეასრულებს თუ არა ელკე სიტყვას და მართლა თუ იტყვის უარს ოლე პეტერსთან ცეკვაზეო. მე რომ მეცეკვოს? მაშინ... რა, მაშინ? ამის გაფიქრებაზე კინაღამ წამოიყვირა. მაგრამ ამ ცეკვაში მას მონაწილეობა სულაც არ მიუღია; მალე ეს ცეკვაც დასრულდა და დაიწყეს ახალი, ორტაქტიანი ვალსი, რომელიც ამჟამად მეტად მოდური გამხდარიყო. საკრავები გახელებით ააჭყივლეს, ბიჭები შმაგად მივარდნენ გოგონებს, კედლებზე დამაგრებულმა სანთლებმა ტორტმანი იწყეს. ჰაუკემ ლამის კისრის ძარღვები დაიწყვიტა, რომ მოცეკვავენი დაენახა. აი ოლე პეტერსიც, მესამე წყვილში ცეკვავს. მაგრამ ვისთან ცეკვავს? ჰაუკე ვერ ხედავდა გოგონას — ვიღაც მხარბეჭიანი ყმაწვილის ზურგი ეფარებოდა. მაგრამ ცეკვამ ხელახალი ძალით იფეთქა და ოლე და მისი მეწყვილე ჰაუკესკენ შემობრუნდნენ. „ვოლინა, ვოლინა ჰარდერსი!“ ლამის ხმამაღლა წამოიყვირა ჰაუკემ და შვებით ამოისუნთქა. ელკე სადღაა? ნუთუ მეწყვილე არ ჰყავს? ან იქნებ ყველას უარი უთხრა იმიტომ, რომ ოლესთან ცეკვა არ უნდოდა?.. მუსიკოსებმა წუთით შეისვენეს, მერე ისევ ახალი საცეკვაო დაუკრეს. ელკე არსად ჩანდა. ისევ გამოჩნდა ოლე, ისევ ვოლინასთან ერთად. „მალე დაემშვიდობება იენს ჰარდერსი თავის ოცდახუთ დემატ მიწას და მოხუცის წილს დასჯერდება. მაგრამ ელკე სადღაა?“ ფიქრობდა ჰაუკე.

იგი კარის წირთხლს მოსცილდა, ხალხით გაჭედილი დარბაზი გაიარა და უცბად უფროს მეგობარ გოგონასთან ერთად კუთხეში მიმჯდარ ელკეს წამოადგა თავზე.

— ჰაუკე, შენც აქა ხარ? — შესძახა ელკემ და თხელი პირისახე მისკენ მიაბრუნა. — მე კი შენი ცეკვა არ მინახავს.

— არც მიცეკვია, — მიუგო ჰაუკემ.

— რატომ, ჰაუკე? — ელკე ოდნავ წამოიწია და ისე დაუმატა: — ჩემთან ხომ არ იცეკვებდი? ოლე პეტერსთან არ მინდოდა. ის აღარც მთხოვს.

ჰაუკეს ბევრი არ უფიქრია, ისე დაიწყო:

— გმადლობ, ელკე. მაინცდამაინც არ მეხერხება, ვაითუ დაგეცინონ და მერე... — უცებ შუაზე გაწყვიტა სიტყვა და ელკეს ისე გულწრფელად შეანათა ნაცრისფერი თვალები, თითქოს დანარჩენ სათქმელს ისინი ეტყოდნენო.

— რისი თქმა გინდოდა, ჰაუკე? — ხმადაბლა ჰკითხა ელკემ.

— ასე მგონია, ასეთი მშვენიერი დღე ჩემს სიცოცხლეში არ გამთენებია-მეთქი.

— რასაკვირველია, — მიუგო გოგონამ. — დღეს ხომ შეჯიბრება შენ მოიგე.

— ელკე! — ძლივს გასაგონად წარმოთქვა ვაჟმა.

გოგონას ალმური მოედო სახეზე.

— წადი! რა გინდა? — მიუგო ვაჟს და თვალები ძირს დახარა.

უცბად ვიღაც ვაჟმა ჩამოიქროლა და ელკეს მეგობარი გოგონა საცეკვაოდ გაიტაცა. ჰაუკემ იდროვა და ხმამაღლა თქვა:

— მე კი მეგონა, ელკე, უკეთესი რამ მოვიგე-მეთქი.

ელკე ჯერაც იატაკს ჩასჩერებოდა, გეგონებოდა, რაღაც დაეკარგაო. მერე ნელა-ნელა ამოსწია თავი და ნაზად შეხედა ვაჟს. ჰაუკეს თითქოს ზაფხულის თბილი სუნთქვა მიელამუნა.

— ისე მოიქეცი, როგორც გულმა გიკარნახოს, — წარმოთქვა ელკემ. — დროა, ერთმანეთი უკეთ გავიცნოთ.

ამ საღამოს ელკეს აღარ უცეკვია და სახლისაკენ მიმავალ გზას ხელიხელჩაკიდებულები დაუყვნენ. მარშის დადუმებულ მიწებს ვარსკვლავები დასცემციმებდნენ, აღმოსავლეთიდან მსუბუქი ქარი ქროდა და გამჭოლი სუსხი მოჰქონდა თან; ჰაუკე და ელკე კი, თითქოს გაზაფხული დამდგარაო, გულგაღეღილნი მიაბიჯებდნენ.

ჰაუკემ ერთი ამბავი ჩაიფიქრა, მართალია, ჯერჯერობით არ იცოდა, როდის ასრულდებოდა ეს ჩანაფიქრი, მაგრამ სამზადისს მაინც ჩუმი სიხარულით შეუდგა. სწორედ ამიტომ წავიდა მეორე კვირას ქალაქში, მოინახულა ძველი ოქრომჭედელი ანდერსენი და მსხვილი ბეჭედი შეუკვეთა.

— მომეცი ხელი, ზომა აგიღო! — მიმართა ოსტატმა და არჩ ითზე მოავლო ხელი, — არც ისეთი მსხვილი თითი გქონია, ვენებურ ბიჭებს უფრო მსხვილი თითები აქვთ ხოლმე. — ჰაუკემ ოსტატს ნეკი გაუშვირა და უთხრა:

— ჯობს ამ თითზე აიღო ზომა.

ოქრომჭედელმა გაოცებით შეხედა ჰაუკეს. მაგრამ ვისი რა საქმე იყო, რას ფიქრობდა გლეხის ბიჭი?

— ასეთი ზომისა ქალიშვილებისათვის დამზადებულ ბეჭ-

დებში მექნება! — თქვა ოსტატმა. ეს სიტყვები რომ გაიგონა, ჰაუკეს ალმური მოედო ღაწვებზე.

სარგო ბეჭედი მალე აღმოაჩინეს, ჰაუკემ იგი ნაჩქარევად გამოართვა ოქრომჭედელს. საფასური ვერცხლის ფულით გაისტუმრა და, როცა ბეჭედი სერთუკის ჯიბეში ჩაიდო, ისე მძლავრად აუძგერდა გული, თითქოს რაღაც საზეიმო წესი შეასრულაო. ამ დღის შემდეგ ჰაუკე ბეჭედს ისეთი მღელვარებით, ისეთი სიამაყის გრძნობით დაატარებდა, გეგონებოდა, ჯიბე მხოლოდ იმისთვის ჰქონდა, რომ შიგ ბეჭედი ჩაედო.

დიდხანს ედო ჯიბეში ბეჭედი. დადგა დრო, როცა ჰაუკეს ახალი სერთუკი უნდა ჩაეცვა და ბეჭედმაც ამ სერთუკის ჯიბეში გადაინაცვლა, კვლავ ტყვეობაში აღმოჩნდა. რამდენჯერმე ჰაუკეს აზრად მოუვიდა, მივალ და ჩემს ბატონს ყველაფერს პირდაპირ ვეტყვიო — ელკეს მამაც ხომ აქაური კაცი იყო! მაგრამ, როცა მშვიდად აწონ-დაწონილა ყოველივეს, ხვდებოდა, ბატონი სასაცილოდ ამიგდებსო. ასე ცხოვრობდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით — ზედამხედველის ქალიშვილი და ჰაუკე. ელკესაც ქალიშვილური მოკრძალება ნებას არ აძლევდა, რამე ეთქვა, მაგრამ ორივეს მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთმანეთს ეკუთვნოდნენ და ცხოვრების გზაზე ფეხშეწყობილნი მიდიოდნენ.

ზამთრის დღესასწაულიდან ერთი წლის თავზე ოლე პეტერსმა ზედამხედველთან მოჯამაგირეობას თავი დაანება და ვოლინა ჰარდერსზე იქორწინა. მართალი გამოდგა ჰაუკე: მოხუც ჰარდერსს მართლაც მოხუცებული კაცის ხვედრი ერგო და მარშის მიწებზე მის ყვითელ ფაშატს ახლა მხიარული სიჭაბუკაცი დააგელეებდა. ხალხში ისეთი ხმებიც დადიოდა, ოლე პეტერსს ჯებირისკენ პირი აღარ უქნიაო.

ჰაუკე უფროსი მოჯამაგირე გახდა, მის ადგილზე კი სხვა აიყვანეს. ზედამხედველს ერთი ხანობა არ უნდოდა ჰაუკეს დაწინაურება.

— სჯობს, უმცროს მოჯამაგირედ დარჩეს, — ბუზღუნებდა ზედამხედველი. — ისევ დავთრები აწარმოოს, ამ საქმეს კარგად ართმევს თავს.

მაგრამ ელკემ უსაყვედურა.

— მაშინ ეგეც გაგვექცევა, მამა.

მოხუცს ენიშნა ქალიშვილის ნათქვამი და ჰაუკე უფროსი

მოჯამაგირე გახდა, თუმცაღა ზედამხედველს წინანდებურად ყველაფერში შეელოდა.

კიდევ ერთი წელი რომ გავიდა, ჰაუკემ ელკესთან რამდენჯერმე დაიჩივლა, მამაჩემი მეტად დანაღვლიანებულია, ის ორიოდე დღე, უფროსმა შინ რომ გამიშვა, ჩვენი მეურნეობის მოწესრიგებას არ ეყო. მოხუცი იტანჯება და ამის ატანა აღარ შეუძლიაო.

ზაფხულის საღამო იყო. ორივენი სახლის წინ დიდი კოპიტის ქვეშ იდგნენ. გოგონამ რამდენიმე ხანს ჩუმად ათვალიერა ხის ტოტები, შემდეგ თქვა:

— მე არ მინდოდა, ჰაუკე, ამის თქმა. მეგონა, თვითონ მიხვდებოდი, რა იქნებოდა უკეთესი.

— აქედან უნდა წავიდე, — ჩაფიქრებით თქვა ჰაუკემ, — და ვეღარც დაგბრუნდები.

ერთხანს ორივემ იყუჩა, დაისს შესცქეროდნენ, ჯებირის მიღმა ზღვაში რომ იძირებოდა თანდათან.

— იცი, რის თქმა მინდა, — ისევ წამოიწყო ელკემ. — დღეს დილას მამაშენთან შევიარე. სავარძელში ჩასძინებოდა. ხელში ხაზკალამი შერჩენოდა, წინ კი, მაგიდაზე, სახაზავი დაფა და დაუმთავრებელი ნახაზი ედო. მერე გაიღვიძა და თხუთმეტიოდე წუთს გაჰყურებით მესაუბრა. წამოსვლა რომ დავაპირე, ისე შეშინებულმა ჩამჭიდა ხელი, თითქოს უკანასკნელად მხედავსო. მაგრამ...

— მაგრამ რა, ელკე? — ჩაეკითხა ჰაუკე, რადგან გოგონა ჭოჭმანობდა, თხრობა განვაგრძო თუ არაო.

ელკეს ღაწვებზე ცრემლები ჩამოუგორდა, მაგრამ სათქმელი მაინც განაგრძო:

— მამაჩემის მდგომარეობა მაფიქრებს. დამერწმუნე, უშენოდ ძალიან გაუჭირდება. — მერე კი, თითქოს საკუთარი თავის გამხნევება უნდაო, დაუმატა: — ასე მგონია, მამა მალე წავა ჩვენგან.

ჰაუკეს ხმა არ ამოუღია. უცბად მოეჩვენა, თითქოს ჯიბეში ჩადებული ბეჭედი თავისით შეირხა. მაგრამ ვიდრე ჰაუკე თავის უნებურ აღელვებას დათრგუნავდა, ელკემ ისევ განაგრძო.

— ნუ გამიჯავრდები, ჰაუკე! მჯერა, რომ არც მაშინ მიგვატოვებ!

ვაჟმა ნაჩქარევად მოჰკიდა ხელი ქალიშვილის ხელს, ელკეც არ გასძალიანებია; ჩამომდგარ სიბნელეში კიდევ რამდენიმე ხანს იდგნენ ასე, მერე ერთმანეთს ხელი გაუშვეს და თავთავიანთი გზით წავიდნენ. ერთბაშად ქარმა დაუბერა და კოპიტის ფოთლები ააშრიალა, აახმიანა ფანჯრებზე მიმაგრებული დარაბები, ჩაბოდგა ღამე და თვალუწვდენელ ველზე სიჩუმემ დაისადგურა.

— · —

მართალია, მოხუცი ზედამხედველი ჰაუკეს დროზე არ გაუფრთხილებია, მაგრამ ელკემ თავისი სიტყვა შეაწია და ვაჟი სამუშაოდან მაინც გაათავისუფლეს. ახლა სახლში ორი ახალი მოჯამაგირე იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ ტედე ჰაიენი გარდაიცვალა. ვიდრე სულს განუტევებდა, ბერიკაცმა ვაჟიშვილი მოიხმო:

— აქ მო, ჩემო ბიჭო, — სუსტი ხმით მიმართა მან, — ახლოს დამიჯექ! ნუ შეგეშინდება შავი ანგელოზისა, რომელიც მამაზეციერმა ჩემს წასაყვანად გამოაგზავნა.

გულშეძრული ვაჟი კედელთან მიდგმულ მამის საწოლზე ჩამოჯდა.

— მითხარი, მამა, რაც დაგრჩა სათქმელი.

— ჰო, კიდევ დამრჩა სათქმელი, — მიუგო მან და ხელები საბანზე დააწყო. — როცა ჯერ კიდევ უმწიფარი ჭაბუკი ზედამხედველს დაუდექი მოჯამაგირედ, ის განზრახვა გქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შენც ზედამხედველი გამხდარიყავი. ეს განზრახვა მეც მომეწონა და თანდათან იმ აზრამდე მივედი, რომ ამ საქმისათვის ზედგამოჭრილი კაცი ხარ. მაგრამ შენი ქონება ამ თანამდებობის მისაღებად ძალზე მცირე იყო. ამიტომ, ვიდრე შენ მოჯამაგირეობდი, მე გროშს გროშზე ვადებდი და სულ იმას ვფიქრობდი, როგორ მეშოვნა ფული.

ჰაუკეს გული აუჩუყდა და მამის ხელს დასწვდა, მოხუცმაც წამოწევა სცადა, რომ ვაჟიშვილისათვის უკეთ შეეხედა.

— ჰო, ჰო, ჩემო ბიჭო, — ისევ განაგრძო მოხუცმა. — აი იქ, კომოდის ზემო უჯრაშია ქაღალდი. გეცოდინება ალბათ, რომ მოხუც ანტიეპოლერს ხუთ-ნახევარი დემატი მიწა ჰქონდა. მაგრამ დაავარდნილი მოხუცი იყო და მარტო ღალათ აღარ შეეძლო თავის გატანა. ამიტომ, ყოველწლიურად წმინდა მარტინის დღეს, საბრალო მოხუცს განსაზღვრულ თანხას ვაძ-

ლევდი ხოლმე, თუ საშუალება მქონდა, სხვა დროსაც ვუმართავდი ხელს; ამ ფულში კი მან თავისი მიწა გადმომცა. ეს ყველაფერი სასამართლოს წესით გაფორმებულია. ახლა ისიც სიკვდილის სარეცელზეა მიკრული, ჩვენს მარშებში დაბუდებულმა სენმა — კიბომ იმსხვერპლა. ასე ამრიგად, გადასახდელი ახლა აღარაფერი გაქვს.

მოხუცმა მცირე ხნით თვალები მილულა. მერე ისევ გაანაგრძო ლაპარაკი.

— მართალია, დიდი ქონება ვერ ეთქმის, მაგრამ აქ რომ დარჩენილიყავი, ესეც არ გეექნებოდა. ღმერთმა სიხარულში მოგახმაროს!

შვილის მადლობას რომ ისმენდა, მოხუცმა მიიძინა. სადარღებელი აღარაფერი დარჩენოდა. რამდენიმე დღის შემდეგ შავმა ანგელოზმა სამუდამოდ დაახუჭვინა თვალი და ჰაუკეც მაისის მეოკვიდრეობას დაეპატრონა.

...დასაფლავებიდან მეორე დღეს ჰაუკე ელკემ მოინახულა.

— მადლობელი ვარ, რომ შემოიარე! — სალმის ნაცვლად მიაგება ვაჟმა.

მაგრამ ქალიშვილმა მიუგო:

— კი არ შემოვიარე, იმისათვის მოვედი, რომ აქაურობა ცოტა მოვაწესრიგო, საკუთარ ჭერქვეშ ხომ უნდა გიხაროდეს ყოფნა! მამაშენი თავის გარშემო მხოლოდ ნახაზებსა და ციფრებს თუ ამჩნევდა, ამასთანავე, სიკვდილი თავდაყირა დააყენებს ხოლმე ოჯახს. ოთახს მაინც დაგილაგებ.

— დაალაგე. წესრიგი არც მე მეჯავრება — მიუგო ჰაუკემ და თავისი სანდომიანი, ნაცრისფერი თვალები ელკეს მიაპყრო.

ქალიშვილი საქმეს შეუდგა. ჯერ სახაზავი დაფა გაწმინდა და სხვენზე აიტანა, მერე ხაზკალამი, ფანქრები და ცარცი ფრთხილად ჩაალაგა უჯრაში და ჩაკეტა. ბოლოს ახალგაზრდა გოგოს დაუძახა, მოსამსახურედ რომ ედგა მოხუცებულს და მისი დახმარებით თითოეულ ნივთს ისეთი ადგილი მიუჩინა, იფიქრებდი, ოთახს შუქი და ფართობი შეემატაო.

— ასეთი ამბები მარტო ჩვენ შეგვიძლია, ქალებს, — ღიმილით ამბობდა ელკე. მართალია, მამის სიკვდილის გამო ჰაუკე დამწუხრებული იყო, მაგრამ მაინც სიხარულით გასხივოსნებული შეჰყურებდა ელკეს და თუ საჭირო იყო, ხელსაც ახმარდა ხოლმე.

საღამო ხანს, — იმ დროს სექტემბრის დასაწყისი იყო, — ელკე საქმეს მორჩა. მერე ვაჟს ხელი მოჰკიდა, შავი თვალები შეანათა და უთხრა:

— ახლა ჩვენთან წავიდეთ, იქ ვივახშმოთ, მამაჩემმა პირობა ჩამომართვა, ჰაუკე მომიყვანეო. გულს გადააყოლებ ჩვენთან და სახლშიც დამშვიდებული დაბრუნდები.

როცა ახალგაზრდები ჯებირის ზედამხედველის ფართო ოთახში შევიდნენ, დარაბები უკვე მოეხურათ, მაგიდაზე სანთლები აენთოთ. ზედამხედველმა მოინდომა, ჩემს ყოფილ მოჯამაგირეს შეეგებებინა, მაგრამ მძიმე სხეული ვეღარ დაიმორჩილა, — ისევ სავარძელში ჩაეშვა და ჰაუკეს შეძახილით მიესალმა:

— ბარაქალა, ბარაქალა, ჰაუკე, რაკიღა ძველ მეგობარს არ ივიწყებ. აბა ახლოს მოდექი, უფრო ახლოს! — და როცა ჰაუკე მიუახლოვდა, ზედამხედველმა ფუნჩულა ხელები ჩასჭიდა და ანუგეშა: — არა უშავს რა, შვილო, ყველანი დავიხოცებით, მამაშენი კი ^ალანძღავი კაცი არასოდეს ყოფილა... შენ რაღას დგახარ, ელკე, აბა ერთი სუფრა გაგვიწყვე. ცოტა მოვმაგრდეთ! ^ევრი სამუშაო მოგველის, ჰაუკე. შემოდგომაა, ჯებირების დათვალიერების დრო დაგვიდგა. ახალი ანგარიშები გვექნება დასაწერი. ვესტერის უბანზე ჯებირის ამასწინანდელმა დაზიანებამ სულ ამიბნია თავგზა. შენ კი, მადლობა უფალს, ჩემზე ბევრად ახალგაზრდა ხარ და ჭკუა-გონებაც ჩემზე უკეთ გიჭრის. ყოჩაღი ყმაწვილი ხარ, ჰაუკე!

ამ გრძელი სიტყვით გამოხატა მოხუცმა გულში ჩაბუდებული სათქმელი, სავარძელში გადაწვა და თვალებაციმციმებული შეაცქერდა კარში შემოსულ ელკეს, რომელსაც საჭმელი მოჰქონდა. ჰაუკე იქვე იდგა და იღიმებოდა.

— დაჯექი, — მიმართა მას ზედამხედველმა. — დროს ნუღარ დავკარგავთ. გაცივდება საჭმელი და გემო წაუვა.

ჰაუკე დაჯდა. თვითონაც იმ აზრს ადგა, რომ ელკეს მამას საქმეში უნდა დახმარებოდა.

ხოლო როცა შემოდგომაზე ჯებირების დათვალიერება დაიწყეს და მოგვიანებითაც, ვიდრე მთვარე რამდენჯერმე შეიცვლებოდა, საჩქარო საქმის უმეტესი ნაწილი უკვე მომთავრებული ჰქონდა.

მთხრობელი გაჩუმდა და მიიხედ-მოიხედა, ფანჯრიდან თვა-

ლიას ჩხავილი მოისმა, წინკარიდან კი ფეხების ბრაგა-ბრუგი,— გეგონებოდა, ვიღაც ახალმოსული ჩექმებიდან ტალახს იშორებსო.

ზედამხედველმა და ნდობით აჭღურვილმა პირმა თავი კარისკენ მიაბრუნეს.

— ვინ არის? — შესძახა ზედამხედველმა.

ოთახში ბრგე ვაჟკაცი შემოვიდა, რომელსაც თავზე ზიუდვესტერი* მოეგდო.

— ბატონო ზედამხედველო, — დაიწყო შემოსულმა, — მე და ჰანს ნიკელსმა ორივემ დავინახეთ, როგორ გადაეშვა თეთრცხენიანი მხედარი იმ ადგილას, სადაც ჯებირია გადარეცხილი.

— სად დაინახეთ? — ჰკითხა ზედამხედველმა.

— აი იქ, სადაც წყალია დაგუბებული. იანსენის ნაკვეთთან, ჰაუკე ჰაიენის ჯებირი რომ იწყება.

— მხოლოდ ერთხელ დაინახეთ?

— მხოლოდ ერთხელ. მაშინაც ჩრდილივით გაიჭროლა, მაგრამ, ეტყობა, პირველი არ იყო მისი იქ გამოჩენა.

ზედამხედველი ფეხზე წამოიჭრა.

— გთხოვთ, მომიტევოთ, — მომმართა მან. — ჯებირს უნდა მივხედოთ. იქნებ გავიგოთ, საიდან მოგველის უბედურება.

ზედამხედველი და ამბის მომტანი გავიდნენ. მერე სხვებიც წამოიშალნენ და იმათ გაჰყვნენ.

დიდ დაცარიელებულ ოთახში მე და მასწავლებელიღა დავრჩით. უფარდებო ფანჯრებიდან, რომლებსაც ახლა სტუმრები აღარ ეფარებოდნენ, კარგად მოჩანდა, როგორ მიერეკებოდა ქარიშხალი ღრუბლებს.

მოხუცი მასწავლებელი ისევ თავის ადგილზე იჯდა; ბაგეებზე საკუთარი ღირსებისა და თანაგრძნობის გამომხატველი ღიმილი დასთამაშებდა.

— აქაურობა უსიამოდ დაცარიელდა, — მითხრა მან. — ჩემს ოთახში ხომ არ წამოხვიდოდით? აქვე ვცხოვრობ, ამავე სახლში, დამერწმუნეთ, აქაური ამინდის ამბავიც კარგად ვიცი, არავითარი საფრთხე არ გვემუქრება.

სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან, ცოტა არ იყოს, შემცივდა. სანთელი ავიღეთ და სხვენის კიბეებს ავუყევით. ოთახის ფანჯრებზე ქარის შესაკავებლად შავი ქეჩა ჩამოეფარებინათ. ერთ-ერთ თაროზე რამდენიმე წიგნი შევამჩნიე, გვერ-

დით კი ორი მოხუცი პროფესორის პორტრეტი. მაგიდის წინ მაღალზურგიანი სკამი იდგა.

— მოხერხებულად დაბრძანდით, — თავაზიანად მომმართა მასპინძელმა და პატარა ღუმელში ტორფის ნაჭერი შეაგდო — ცეცხლი ძლივსღა ბეუტავდა. ღუმელზე თუნუქის პატარა ქვაბი იდგა.

— ცოტა ხანს მოითმინეთ, მალე ესეც აშიშინდება და თითო ჭიქა გროგი მოვიდუღოთ, გამოგვაფხიზლებს.

— ნუ შეწუხდებით. ვიდრე თქვენი ჰაუკეს ამბავს ვისმენ, ძილი არ მომეკიდება, — მივუგე და სკამზე მოხერხებულად დავჯექი.

— ასე გგონიათ? — მასპინძელმა ჭკვიანი თვალები მომაპყრო. — ჰო, სად შევჩერდით? ჰო, ჰო, გამახსენდა. მაშ ასე: — მამისეულ ქონებას ჰაუკე დაეპატრონა და რადგან მოხუცმა ანტიე ვოლერსმაც თქვენი ჰირი წაიღო, მისი ნაკვეთიც ჰაუკეს დარჩა.

მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ, უფრო სწორად, მამასთან უკანასკნელი საუბრის შემდეგ ჰაუკე კიდევ უფრო მეტად შეიპყრო იმ წადილმა, ბავშვობიდანვე რომ გულში დაატარებდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე საკუთარ თავს, საზედამხედველო კაცი სწორედ შენ ხარო. განა ასე არ უთხრა მამამისმაც? მამამისი კი სოფელში უჭკვიანესი კაცი იყო. მისი ნათქვამი თითქოს მემკვიდრეობაზე დამატებული უკანასკნელი საართი იყო ჰაუკესათვის. ვოლერსისეული მიწის ნაკვეთი, რომელიც აგრეთვე მამის წყალობით მიიღო, ამ სიმაღლეზე ასასვლელი კიბის პირველი საფეხური იყო. მაგრამ, ჯებირის ზედამხედველი რომ გახდე, რასაკვირველია, მარტო ეს არ კმარა და სხვა ქონებაც ბევრი უნდა გქონდეს... უკანასკნელი წლების განმავლობაში მამამისი მეტისმეტად ხელმომჭირნე ცხოვრებას ეწეოდა და ამის შედეგს ჰაუკე იმკიდა. თვითონაც ასე უნდა ჰქნას, თვითონ ხომ უფრო მეტის მოხვეჭა შეუძლია, რადგან მამამისი, უკვე დაჩაჩანაკებული იყო, როცა დოვლათის დაგროვებას მიჰყო ხელი, თავად ჰაუკეს კი ჯანი მოსდევს და კიდევ მრავალ წელს შესძლებს დაუღალავად შრომას... მართალია, ამ მხრივ უკვე წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ იმის გამო, რომ თავისი ძველი ბატონის საქმეებს ახლა თვითონ განაგებდა საკმაოდ მკაც-

რად და არავის ინდობდა, სოფელში მეგობარი ვერ შეიძინა. ამას გარდა, ჰაუკეს ძველმა მეტოქემ ოლე პეტერსმა ცოტა ხნის წინათ მემკვიდრეობა მიიღო და თანდათან მდიდარი კაცის მდგომარეობა მოიპოვა. ჰაუკეს კი ხან ვისი სახე დაუდგებოდა თვალწინ, ხან ვისი, გული ეუბნებოდა — თანასოფლელები კარგი თვალით არ გიყურებენო. ბრაზი მოსდიოდა თანასოფლელებზე, ხანდახან ეგონა, დასახრჩობადაც გაეიმეტებო მათ, რადგან ხელს უშლიდნენ ის ადგილი დაეჭირა, რომელიც მისთვის უფრო უპრიანი იყო... ასეთი აზრები არ ასვენებდა ჰაუკეს, და მის გულში სიკეთესა და პატიოსნებასთან ერთად პატივმოყვარეობა და სიძულვილიც თანდათან ფეხს იკიდებდა. ამ ორ უკანასკნელ გრძნობას ჰაუკე ღრმად ინახავდა გულში, ისე, რომ ამის თაობაზე თვით ელკემაც არაფერი იცოდა.

ახალი წელი რომ დადგა, სოფელში ერთი ქორწილიც გადაიხადეს. საპატარძლო ჰაიენების ნათესავი იყო და ჰაუკეცა და ელკეც სტუმრად დაპატიჟეს. ოჯახის ერთ-ერთი ახლო ნათესავი ქორწილს ვერ დაესწრო და ისე მოხდა, რომ ჰაუკე და ელკე სუფრასთან ერთმანეთის გვერდით დასვეს. ორთავეს გაუხარდა ეს ამბავი, მაგრამ მათ სიხარულს ღიმილი თუ გამოამჟღავნებდა, დროდადრო რომ გადაუელიდათ ხოლმე ტუჩებზე. მიუხედავად ამისა, ელკე აქ გამეფებულ მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა, თუმცა ყოველი მხრიდან ლაპარაკი და ჭიქების ჭახუნი ისმოდა.

— რამე ხომ არ გაწუხებს? — ჰკითხა ჰაუკემ.

— არაფერი, მაგრამ ასეთ თავყრილობებს ვერ ვიტან.

— დანაღვლიანებული ჩანხარ!

ელკემ მხოლოდ თავი გააქნია და ისევ გაჩუმდა.

ქალიშვილის სიჩუმემ ჰაუკეს ეჭვი აღუძრა. ვინმეს რომ არ დაენახა, ხელი მაგიდის ქვეშ წაიღო და ელკეს ხელს ჩასჭიდა. ქალიშვილს თავისი ხელი არ გამოურთმევია. ვინ იცის, შეიძლება ფიქრობდა, მარტოდმარტო და ყველასაგან მიტოვებული ვარო, რადგან თავისი დაუძლურებული მამის გარდა სხვას ვერავის ხედავდა ხოლმე. მაგრამ ჰაუკე ამაზე არ ფიქრობდა, როცა ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო.

— ხომ არ წაიძრობ? — სუნთქვაშეკრულმა, აკანკალებული

ხმით ჰკითხა ელკეს, როგორც კი პატარა ხელის არათითზე ბეჭედი წამოაცვა.

სუფრასთან მათ პირისპირ პასტორის ცოლი იჯდა.

უცბად ქალბატონმა ჩანგალი გვერდზე გადასდო და მეზობელს მიუბრუნდა:

— ღმერთო ჩემო, რა დაემართა ამ გოგონას! — წამოიძახა შეშფოთებულმა, — მკვდარივით არ გაფითრდა!

მაგრამ ელკეს ღაწვებს ფერი მალე დაუბრუნდა.

— შეგიძლია დაიცადო, ჰაუკე? — ჩუმად ჰკითხა ელკემ.

ვიდრე პასუხს გასცემდა, ჭკვიანი ფრიზლანდელი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— რას დავუცადო? — ჰკითხა ბოლოს.

— თავადაც კარგად იცი, ჩემი თქმა რა საჭიროა.

— მართალი ხარ, — მიუგო ჰაუკემ. — ჰო, ელკე, შემიძლია, დავიცადო, თუკი მალე დამთავრდება.

— ო, ღმერთო, ვშიშობ, რომ საკმაოდ მალეც! ასე რად ამბობ, ჰაუკე, შენ ხომ მამაჩემის სიკვდილზე ლაპარაკობ. — ელკემ მეორე ხელი მკერდზე მიიდო. — მანამდე ამ ბეჭედს აქ შევინახავ. იმის შიში კი ნუ გექნება, რომ ჩემს სიცოცხლეში როდესმე უკან დაგიბრუნებ ბეჭედს.

ორივეს გაეღიმა და ერთმანეთს ხელი ისე მაგრად მოუჭირეს, უხერხული რომ არ ყოფილიყო, გოგონა, ალბათ, ხმამაღლა შეჰყვირებდა.

პასტორის მეუღლე ამ ხნის მანძილზე ელკეს თვალებს შეჰყურებდა, რომლებიც ოქროსფერი ატლასისაგან შეკერილი მაქმანიანი თავსაბურის ქვეშ ცეცხლივით ელვარებდნენ, მაგრამ სუფრაზე ატეხილი ხმაურის გამო ყურადღება გაეფანტა და აღარც მეზობლისთვის უკითხავს რამე, რადგან ახალი ოჯახის შექმნაში ხელის შეშლა არ უნდოდა. — აქ კი, ეტყობა, სწორედ რომ ოჯახს უნდა ჩაყროდა საფუძველი. ამათთვის რომ შეეშალა ხელი, თავის ქმარსაც დააკარგვინებდა გასამრჯელოს, რომელსაც პასტორი ახალგაზრდებისაგან მიიღებდა, თუკი ჯვარს დასწერდა მათ.

— . —

გამართლდა ელკეს გუმანი: ერთ დილას — ნააღდგომევს — ჯებირის ზედამხედველი ტედე ფოლკერტსი თავის ლოგინში მკვდარი ნახეს. სახეზე ეტყობოდა, მშვიდი სიკვდილით მომ-

ქვდარიყო. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ტედე ფოლკერტსს რამდენჯერმე გამოუთქვამს ცხოვრების სამდურავი. საყვარელი კერძიც კი — შემწვარი იხვი — ბოლო ხანს აღარ სიამოვნებდა ბერიკაცს.

სოფელი მიცვალებულის დასაფლავებისათვის ემზადებოდა. ზემოთ, გორაკზე, ეკლესიის შორიახლო მდებარე სასაფლაოს დასავლეთით, რკინის ცხაურით შემოღობილი აკლდამა იყო. ფართო საფლავის მოლურჯო ქვა ამჯერად აეხადათ და მტირალ ტირიფზე მიეყუდებინათ. ქვაზე სიკვდილის სურათი იყო აღბეჭდილი — კბილებდაკრეჭილი თავისქალა. იქვე დიდი ასოებით ამოეტვიფრათ:

ეს არს სიკვდილი, რაც ყველაფერს მუსრავს, ერევა,
თან მიაქვს ხოლმე ხელოვნება, მეცნიერება.
წავიდა კაცი, გაქრა კაცი, — ჰკვიანი ერთობ,
იმისი სული შენ აცხონე, მაღალო ღმერთო!.

ეს გახლდათ ადრინდელი ზედამხედველის ფოლკერტ ტედსენის აკლდამა. იქვე ახალგათხრილი სამარე ჩანდა, სადაც ფოლკერტ ტედსენის ვაჟიშვილი, ახალგარდაცვალებული ზედამხედველი ტედე ფოლკერტსი უნდა დაესაფლავებინათ. ქვემოდან, მარშის მხრიდან უკვე მოემართებოდა სამგლოვიარო პროცესია — სამრევლოს ფორნები. წინა ფორანზე მძიმე კუბო იდგა. სილიან გზაზე ფორანს ზედამხედველის თავლიდან გამოყვანილი ორი დაბასმული, შავრა ცხენი ეწეოდა. გაზაფხულის სუსხიანი ქარი ცხენებს ძუა-ფაფარს უწეწავდა. ეკლესიის ირგვლივ მთელი სასაფლაო მიწაყრილამდე ხალხით ავსებულიყო. გარსშემოვლებულ გალავანზე ამძვრალ ბიჭებს ხელში უმცროსი და-ძმანი აეყვანათ, ყველას სურდა დასაფლავება ენახა.

ქვემოთ კი, მარშზე, მიცვალებულის სახლში, ელკე საქელეხო სუფრას შლიდა. ხალხისათვის ძველი ღვინო მოატანინა, პასტორისა და უფროსი ზედამხედველისათვის — დასაფლავებას არც ის დაკლებია — თითო ბოთლი შუშხუნა ღვინო. ყველაფერი რომ გაამზადა, ბოსელი გაიარა და ჭიშკრის წინ შეჩერდა. არსად კაცის ჭაჭანება არ იყო. მოჯამაგირეები ორი ფორნით დასაფლავებაზე წასულიყვნენ. დიდხანს იდგა ელკე ჭიშკართან, — გაზაფხულის ქარი სამგლოვიარო კაბას უფრიალებდა, — იდგა და შეჰყურებდა, როგორ მიიწევდა სამგლო-

ვიარო პროცესია ეკლესიისკენ. ცოტა ხნის შემდეგ იქ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, მალე ამ ჩოჩქოლს სამარისებური სიჩუმე მოჰყვა. ელკემ გულხელი დაიკრიფა. როგორც ჩანდა, კუბოს სამარეში უშვებდნენ. „მიწა იყავ და მიწად იქეც!“ — თავისდაუნებურად ხმამაღლა წარმოთქვა მან, თითქოს იქ, სამარესთან წარმოთქმულს იმეორებსო. თვალები ცრემლით აევსო. გულზე დაკრეფილი ხელები ძირს ჩამოუცვივდა. „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!“ გულმხურვალედ ლოცულობდა იგი. ლოცვას რომ მორჩა, კიდევ დიდხანს იდგა ერთ ადგილზე ელკე — დიდი მეურნეობის ამჟამინდელი გამგებელი. მის გულში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები ეჭიშპებოდა ერთმანეთს.

შორიდან ბორბლების რახრახი მოისმა და ელკე გამოფხიზლდა. თვალი რომ გაახილა, ფორნები დაინახა, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით მისი ეზოსკენ მოეშურებოდნენ. ელკე გასწორდა, ერთხელ კიდევ გაიხედა სასაფლაოსაკენ და სახლში შევიდა. ოთახში არავინ იყო, მაგრამ სამზარეულოდან შინამოსამსახურეების ლაპარაკი მოისმოდა. მდიდრულად გაშლილ სუფრაზე მდუმარება და მოწყენილობა სუფევდა. ფანჯრებშუა ჩადგმულ სარკესა და შორენკეცებიანი ღუმელის თითბრის ბუნიკებზე თეთრი ტილოები ჩამოეფარებინათ. ოთახში ახლა აღარაფერი ბრწყინავდა. ელკემ ოთახის ნიშაში შედგმულ საწოლს მოჰკრა თვალი, სადაც მამამისმა სული განუტევა. ელკე საწოლთან მივიდა და ნიშის დარაბები მიხურა. ანგარიშმიუცემლად წაიკითხა კარზე მიხატულ ვარდებსა და მიხაკებს შუა ოქროსფერი ასოებით წარწერილი სიტყვები:

თუ მოიხადე კაცურად ვალი,
მწუხრის ჟამს მშვიდად მოხუცე თვალი.

ეს სიტყვები ჯერ კიდევ ელკეს პაპამ დააწერინა! ქალიშვილმა თვალი შეავლო კედელში შედგმულ განჯინას, რომელიც ამჟამად თითქმის დაეცარიელებინათ. შემინული კარიდან ელკემ გაკრიალებული თასი დაინახა, რომელიც მამამისს ახალგაზრდობისას დოღში გამარჯვებით მოეპოვებინა. ამ ამბავს მამა სიამოვნებით უამბობდა ხოლმე. ელკემ თასი გადმოიღო და უფროსი ზედამხედველისათვის განკუთვნილ თეფშთან დადგა. შემდეგ ფორნების მოახლოებული რახრახი გაიგონა და ფანჯარასთან მივიდა. ფორნები ერთიმეორის მიყო-

ლებით გაჩერდნენ სახლის წინ. სტუმრები მკვირცხლად ჩამოხტნენ ძირს, ხმამაღლა ლაპარაკითა და ხელების ფშვნეტა-ფშვნეტით შემოლაგდნენ სახლში. დიდ ხანს არ გაუვლია, უფროსი ზედამხედველი და პასტორი სასტუმრო ოთახში დასხდნენ, დანარჩენები სხვა ოთახებში. მაგიდაზე გამოტანილ ნაირ-ნაირ საჭმელს მადის აღმძვრელი ოხშივარი ასდიოდა. მალე მაგიდებს ზომიერი ხმაურის ტალღამ გადაუარა, გეგონებოდა, სიკვდილის საშინელ მდუმარებას აქაურობა არასოდეს მოუცვიაო. მსახურ გოგონებთან ერთად ელკე მდუმარედ უვლიდა მაგიდებს და სუფრას ათვალიერებდა, სამგლოვიარო სუფრას არაფერი მოაკლდესო. ჰაუკე ჰაიენი ოლე პეტერსთან და სხვა წვრილ მფლობელებთან ერთად იჯდა ერთ-ერთ სუფთა ოთახში.

შემდეგ, როცა პურისჭამა დამთავრდა და სტუმრებმა თეთრი თიხის ყალიონები გააბოლეს, ელკემ ამ დღისთვის საგანგებოდ მოდუღებული ყავა ჩამოარიგა. გარდაცვლილის მერხთან უფროსი ზედამხედველი იდგა და პასტორსა და ჰაღარა-მოსილ ნდობით აღჭურვილ იევე მანერსს ელაპარაკებოდა.

— კეთილი და პატიოსანი, ბატონო, — ამბობდა იგი, — დიდი პატივით დავასაფლავეთ გარდაცვლილი ზედამხედველი, მაგრამ ახალი ვინ გამოვძებნოთ? მანერს, ვფიქრობ, იმ საპატიო თანამდებობაზე ახლა თქვენ უნდა დადგეთ!

მოხუცმა მანერსმა ღიმილით მოიძრო ჰაღარა თავიდან შავი ხაერდის ქუდი.

— ბატონო უფროსო ზედამხედველო, — მიუგო მან, — ამ ქვეყანაზე ორიოდე პარასკევი დამრჩენია და არ ღირს ეს ამბავი. როცა განსვენებული ტედე ფოლკერტსი ზედამხედველი გახდა, მე ნდობით აღმჭურვეს, მას შემდეგ უკვე ორმოცი წელი გავიდა.

— მით უკეთესი, მანერს. მაშასადამე, კარგად გეცოდინებათ ყველაფერი და მუშაობაში სიძნელე არ შეგხვდებათ.

— არა, არა, თქვენო ბრწყინვალებავ. — თავი გაიქნია მოხუცმა. — სჯობს, ძველ ადგილზე დამტოვოთ, ორიოდე წელს კიდევ ვიმუშავებ.

პასტორმა მხარი დაუჭირა.

— რატომ არ შეიძლება, ამ თანამდებობაზე ის კაცი დანიშნოთ, ვინც სინამდვილეში ხელმძღვანელობდა ამ საქმეს ბოლო ხანს?

უფროსმა ზედამხედველმა პასტორს შეხედა:

— თქვენი ნათქვამი ვერ გავიგე, ბატონო პასტორო!

პასტორმა ხელი იმ ოთახისკენ გაიშვირა, სადაც ჰაუკე იდგა და ორ ხანშიშესულ კაცს დინჯად უხსნიდა რაღაცას.

— აი, მაგაზე მოგახსენებდით, მაგ მაღალ ფრიზლანდიელზე, თხელი ცხვირი, გონიერი ნაკრისფერი თვალები და ამობურცული შუბლი რომ აქვს. იგი აწ განსვენებულის მოჯამაგირე იყო, ახლა თავისი საკუთარი პატარა მეურნეობა აქვს. ერთი კი არის, ცოტა ახალგაზრდაა.

— ოცდაათს მიღწეული კი უნდა იყოს, — წარმოთქვა უფროსმა ზედამხედველმა და ახალგაზრდა კაცი შეათვალიერა.

— ჯერ ოცდაოთხისაც არ არის, — შენიშნა ნდობით აღჭურვილმა მანერსმა, — მაგრამ პასტორი მართალს ამბობს; რაც ბოლო წლებში ჯებირებსა და კაშხალებზე რიგიანი რამ გაკეთდა, სულ მაგის წამოწყებული საქმეა. ბოლო ხანს ხომ მოხუცს აღარაფრის თავი არ ჰქონდა!

— მართლა? — გაოცდა უფროსი ზედამხედველი. — მაშ, თქვენი აზრით, მაგას შეუძლია ეგ საქმე იკისროს?

— რასაკვირველია, შეუძლია, — მიუგო იევე მანერსმა, — ოღონდ ეს კია, როგორც ჩვენში იტყვიან, — ფეხქვეშ ნიადაგი არა აქვს, — მამამისს თხუთმეტი დემატი მიწა ჰქონდა, თვითონ კი უკვე, ალბათ, ოციც ექნება. მაგრამ ასეთი ქონების პატრონი აქამდე ზედამხედველი არავინ გამხდარა.

ის იყო პასტორმა პირი დააღო, — შედავება. უნდოდა, რომ მოსაუბრეებს უცბად ელკე ფოლკერტსი მიუახლოვდა, რომელიც კარგა ხანია მათ შორიახლოს ტრიალებდა.

— ნებას მომცემს თქვენი ბრწყინვალება, ერთი სიტყვა მოგახსენოთ? — მიმართა მან მთავარ ზედამხედველს. — ვშიშობ, შეცდომით რაიმე უსამართლობა არ მოხდეს.

— თქვი, ელკე! — მიუგო მთავარმა ზედამხედველმა, — სასიამოვნოა წარმტაცი ქალისაგან სიბრძნის მოსმენა.

— ეს სიბრძნე არ არის, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ სიმართლე კი მინდოდა მეთქვა.

— ელკე, ადამიანს სიმართლის მოსმენაც უნდა შეეძლოს. — ქალიშვილმა შავი თვალები ერთხელ კიდევ შეავლო იქაურობას, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, უცხო ყური ხომ არ ისმენსო.

— თქვენო მოწყალებავ, — დაიწყო მან და ძლიერი მღელვარებისაგან გული აუჩქროლდა. — ნათლიაჩემმა იევე მანერსმა უკვე მოგახსენათ, რომ ჰაუკე ჰაიენს ოცამდე დემატი მიწა აქვსო. ამ წუთში ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ თუ საჭირო იქნება, ჰაუკე მამაჩემისეული ეზო-მიდამოს პატრონიც გახდება. ეს მიწა ხომ ჩემია ახლა. ზედამხედველობისათვის კი ეს ფართობი სრულიად საკმარისია.

მოხუცმა მანერსმა მხცით მოსილი თავი გოგონასკენ გადასწია, თითქოს სურდა კარგად დაენახა, ამ სიტყვებს ვინ ამბობსო.

— რას ამბობ, ბავშვო, ეგ რაღას ნიშნავს? — იკითხა მანერსმა.

ელკემ კორსეტიდან შავზონარგაყრილი ოქროს ბეჭედი ამოიღო და იევე მანერსს მიუბრუნდა:

— ჩვენ დანიშნულები ვართ, ნათლიაჩემო. აი ბეჭედი, ჰაუკე ჰაიენი ჩემი საქმროა.

— მერედა როდის მოხდა ეგ ამბავი? მე უფლება მაქვს გკითხო, რადგან ემბაზიდან მე ამოგიყვანე.

— კარგა ხანია, თუმცაღა, უკვე მაშინაც სრულწლოვანი ვიყავი ნათლიაჩემო, — მიუგო ელკემ. — მამაჩემი ამ დროს საკმაოდ დაუძლურებული იყო. და რაკიღა მისი ხასიათი კარგად ვიცოდი, აღარაფერი ვუთხარი, არ მინდოდა მისი. შეწუხება. ახლა კი, მამაჩემი ღვთის საუფლოდან დაინახავს, რომ მისი ქალიშვილი თავის ქმართან ერთად ბედნიერად იგრძნობს თავს. მწუხარების გამო ჯერ არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ ახლა, ჩვენდა საკეთილდღეოდ, იძულებული გავხდი ყველაფერი მეთქვა. — მერე ელკე მთავარ ზედამხედველს მიუბრუნდა და დაუმატა: — მაპატიოს თქვენმა მოწყალებამ.

სამივე მამაკაცმა ერთმანეთს გადახედა. პასტორმა ჩაიცინა, ნდობით აღჭურვილმა მოხუცმა ჩაიჭირქილა, ხოლო მთავარმა ზედამხედველმა შუბლი მოისრისა, თითქოს რაღაც ძნელი გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო.

— ჰო, საყვარელო ქალიშვილო, — დაიწყო მან ბოლოს. — რა მდგომარეობაა თქვენს მხარეში მეჭორწინეთა ქონებრივ უფლებათა მხრივ? უნდა გამოგიტყდეთ, ამ საქმეებისა არაფერი გამეგება.

— ამის გასარკვევად თქვენი მოწყალება თავს ნუ შეიწუ-

ხებს, ყოველივეს მე მოგახსენებთ. — მიუგო ზედამხედველის ქალიშვილმა. — ქორწინებამდე მთელ ჩემს ქონებას საქმროს სახელზე დავამტკიცებ. იცით, მეც მეამაყება, — ღიმილით დაუმატა მან, — მინდა სოფელში ყველაზე მდიდარი კაცის ცოლი გავხდე.

— აბა, რას იტყვით, მანერს, — მიმართა მას პასტორმა, — ვფიქრობ, თქვენც არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, თუ ახალგაზრდა ჯებირის ზედამხედველს ძველი ზედამხედველის ქალიშვილზე დავწერ ჯვარს?

მოხუცმა დინჯად გააქნია თავი და სასოებით წარმოთქვა:

— ღმერთმა აკურთხოთ.

მთავარმა ზედამხედველმა გოგონას ხელი გაუწოდა და უთხრა:

— სწორი და ბრძნული იყო შენი ლაპარაკი, ელკე ფოლკერტს. მადლობელი ვარ შენი, რომ საქმეში გამარკვიე. მომავალში კი, ღმერთმა ქნას, კარგ საქმეზე მოვსულიყავი. მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ზედამხედველი ესოდენ ახალგაზრდა ლამაზმანმა დაგვინიშნა.

— თქვენო მოწყალებავ, — მიუგო ელკემ და მთავარ ზედამხედველს კიდევ ერთხელ მიაპყრო საზრიანი თვალები, — თადარიგიან მამაკაცს ცოლიც მხარში უნდა ედგეს! — მერე გვერდით ოთახში გავიდა და ჰაუკე ჰაიენს სიტყვის უთქმელად ხელი ხელში ჩაუდო.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ტედე ჰაიენის პატარა სახლში ახლა ერთი გამრჯე მოჯამაგირე ცხოვრობდა ცოლ-შვილით. ახალგაზრდა ჯებირის ზედამხედველმა ჰაუკე ჰაიენმა კი თავისი ცოლის — ელკე ფოლკერტსის სახლ-კარში დაიდო ბინა. ზაფხულობით, სახლის წინ, ძველებურად შრიალებდა ბუმბერაზი კოპიტი, რომლის ქვეშ, მერხზე, საღამოობით განმარტოებით იჯდა ხოლმე საოჯახო ხელსაქმით გართული ახალგაზრდა ზედამხედველის მეუღლე. ცოლ-ქმარს ბავშვი ჯერაც არ ჰყავდა. ჰაუკე ჰაიენს ბევრი საქმე ჰქონდა და საღამოობითაც არ ეცალა ცოლთან ერთად მერხზე ჩამოსაჯდომად. მართალია, ჰაუკე მოხუცი ზედამხედველის დროსაც ბევრს მუშაობდა, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მეტი საქმე გაუჩნდა. ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოება, ყოველივე წესრიგში უნდა მოეყვა-

ნა და ჰაიენიც თავს არ იზოგავდა. ამასთანავე, ჰაუკეს თავისი მეურნეობისთვისაც უნდა მიეხედა და ისიც მეორე მოჯამაგირის დაუხმარებლად, რომელსაც ფულის დაზოგვის მიზნით არ ჭირაობდა. ამრიგად, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, კვირა დღის გარდა, როცა ეკლესიაში დადიოდა, ერთმანეთს განთიადისას, მწუხრისას და სადილობისას ხვდებოდა, თუმცა, ჰაუკე მაშინაც სახელდახელოდ ისადილებდა ხოლმე. კვირიდან კვირამდე დაუსრულებელ, მაგრამ სიხარულის მომტან შრომაში ატარებდნენ დღეებს.

მაგრამ მალე ხალხში ავი მითქმა-მოთქმა დაიწყო.

ერთ კვირა დღეს, წირვის შემდეგ, მარშისა და ზემოურთა რამდენიმე ახალგაზრდა მიწის მფლობელს ფუნდუკში მოეყარა თავი. რამდენიმე ჭიქა რომ გადაჰკრეს, ლაპარაკი წამოიწყეს, მეფესა და მთავრობაზე კი არ საუბრობდნენ — არა, ასეთ ხალხზე იმ დროს კრინტსაც არ სძრავდნენ ხოლმე, ლაპარაკობდნენ ადგილობრივ და ოლქის მოხელეებზე, უპირველეს ყოვლისა კი სათემო ხარკებსა და გადასახადებზე, ხოლო რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ცხარობდნენ, იქვნეულად ახსენებდნენ ჯებირების შესანახად გაწერილ ახალ ხარჯებს. უწინ აშენებული ყველა არხი და რაბი აქამდე მტკიცე იყო, ახლა კი, ნეტავ რა ღმერთი გაუწყრა, რომ შეკეთება სჭირდებაო. ამასთანავე, ბევრი ისეთი ადგილიც აღმოჩნდა, სადაც ასობით ფორანი მიწა უნდა ჩაიყაროსო. აი, ეშმაკმა დალახვროსო.

— ეს ყველაფერი იმ თქვენი ჭკვიანი ზედამხედველის საქმეა, — წამოიძახა ზემოურთაგან ერთ-ერთმა, — დღედაღამ კოპებშეკრული დადის წინ და უკან და ყველგან ცხვირსა ჰყოფს.

— მართალი ხარ, მარტენ, — მიუგო ოლე პეტერსმა. — მართალი ხარ. დიდი გაიძვერა ვინმეა. სულ იმას ცდილობს, მთავარ ზედამხედველს როგორ შეუძვრეს. ჩვენ კი წურბელასავით დაგვაჯდა კისერზე.

— მერე და რატომ დაისვით? — იკითხა ზემოურმა. — დაისვით და ნაღდიც თქვენ იხადეთ.

ოლე პეტერსს გაეცინა.

— ასეა, მარტენ ფედერს, ასეა ჩვენთან მიღებული და რას გახდები: ძველი ზედამხედველი თავის მამის მეთხებით დანიშნეს ამ ადგილზე, ახალი კი — ცოლის წყალობით.

რაკი ამ სიტყვებს სიცილი მოჰყვა, მსმენელიც მიხვდებოდა, რომ ამ სიტყვებს თანამეინახენი მოწონებით შეხვდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ ლაპარაკი ფუნდუკში, ხალხის თავშეყრის ადგილზე მოხდა, ეს ამბავი მალე მარშელებმაც გაიგეს და ამ ხმამ ბოლოს ჰაუკეს ყურამდეც მიაღწია. ჰაუკემ თავის მიმართ ბოროტად განწყობილი სახეები წარმოიდგინა. მკაფიოდ დაინახა, თუ როგორ დამცინავად ხარხარებდნენ ისინი ფუნდუკში.

— ძაღლები! — წამოიძახა ჰაუკემ და თვალებში ისეთი ბოროტი ნაპერწკლები გაუკრთა, თითქოს მათი გამათრახება უნდოდაო.

ელკემ მხარზე ხელი დაადო.

— მოეშვი. თითოეული მათგანი სიამოვნებით დაჯდებოდა შენს ადგილზე.

— მეც სწორედ ასე ვფიქრობ! — მიუგო გაბრაზებულმა.

— მერედა, თვითონ ოლე პეტერსმაც მდიდარი ქალი არ შეირთო? — განაგრძო ელკემ.

— კი შეირთო, ელკე, მაგრამ ვოლინას ქონება საზედამხედველოდ რომ არ გამოადგა!

— შენ ისა თქვი, თვითონ რომ ვერ გამოდგა საზედამხედველო კაცი, — მიუგო ელკემ, და ქმარი ისე შემოაბრუნა, რომ ჰაუკეს თავისი თავი სარკეში დაენახა, — ისინი ოთახში სწორედ ორ ფანჯარას შორის იდგნენ, სადაც სარკე იყო ჩადგმული — აი, ვინ არის ზედამხედველი! — დაუმატა ელკემ. — აბა შეხედე! ზედამხედველის ადგილი იმას ეკუთვნის, ვისაც შეუძლია ამ საქმეს გაუძღვეს...

— არ უნდა ამბობდე ტყუილს, — დაფიქრებით მიუგო ჰაუკემ, — მაგრამ... ახლა, ელკე, აღდგომის რაბისკენ უნდა წავიდე, კარი ისევ არ იკეტება.

ქალმა ქმარს ხელი მოჰკიდა.

— არა, მანამდე მე შემომხედე! რა დაგემართა, სადღაც შორს, სივრცეში იმზირები?

— არაფერია, ელკე, მართალი ხარ.

ჰაუკე წავიდა, იარა ერთ ხანს, მაგრამ სულ მალე რაბის შეკეთება გადაავიწყდა. მის გონებას ხელახლა და ადრინდელზე უფრო ძალუმად დაეუფლა სხვა ფიქრი, რომელიც მართალია, ვერ იყო მთლად ცხადი და ნათელი, მაგრამ ეს სწორედ

ის ფიქრი იყო, წლების განმავლობაში რომ ვერ ამოეგდო თავიდან. ჰაუკე მუდამდღე დაკავებული იყო, მოცლა არ ჰქონდა ხოლმე, ახლა კი ამ ფიქრმა ისე გაიტაცა, ლამის ფრთები გამოესხა.

ფიქრებიდან რომ გამოერკვა, უკვე ჯებირზე იდგა, ქალაქიდან კარგა ხნის სავალზე, მის სამხრეთით რომ იყო ამოყვანილი. სოფელი, რომელიც აქედან მარცხნივ მდებარეობდა, დიდი ხანია თვალს მიეფარა. ჰაუკე კვლავ მიაბიჯებდა და თვალმოუშორებლად გასცქეროდა ზღვაში შეჭრილი მიწის ფართო ზოლს. ახლა ვინც არ უნდა ჰყოლოდა გვერდით, მის თვალებს ყველა დაატყობდა — ჰაუკეს გონება დაძაბული მუშაობსო. ბოლოს იგი შედგა. ჯებირს მიბჯენილი მიწის ზოლი აქ მეტისმეტად ვიწროვდებოდა.

— აუცილებლად გამოვა! — თავისთვის ჩაილაპარაკა მან. — აგერ უკვე შვიდი წელია ვზედამხედველობ და მაგათ არ ვათქმევინებ, ზედამხედველის ადგილს ცოლის მეოხებით დაეპატრონაო.

ჰაუკე ჯერაც ჯებირზე იდგა და ყურადღებით ათვალიერებდა ხმელეთის ამწვანებულ ნაწილს. შემდეგ უკან გამობრუნდა და იმ ადგილამდე მივიდა, სადაც მიწის ფართო ნაკვეთი ვიწრო, მწვანე ზოლად იქცეოდა. მაგრამ ზედ ჯებირთან, წყალში შეჭრილი ეს ყელი ძლიერ დინებას ხმელეთისაგან მოეწყვიტა და კუნძულად ექცია. საჭირო იყო ხმელეთიდან ამ კუნძულამდე უხეშად გათლილი მორების ბოგირი გაედოთ, რომ ზედ საქონელი გადაეტარებინათ, ანდა თივითა და მოწეული სარჩოთი დატვირთული ფორნები გადმოეყვანათ. ამჯერად ზღვის მიქცევის დრო იდგა და სექტემბრის მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა ასიოდ ნაბიჯის სიგანე ლამიანი ყელი, მის შუა წელზე კი ღრმა არხი გაჭრილიყო, სადაც ახლა ზღვის წყალი ტორტმანებდა.

ჰაუკემ ერთხანს წყლის თამაშს უცქირა, შემდეგ კი თავისთვის ჩაილაპარაკა, ეს ადგილი შეიძლება ჯებირით გადავღობოთო. მერე მაღლა აიხედა და ჯებირიდან, რომელზეც ახლა იდგა, წარმოსახული ხაზი გაავლო არხამდე, შემდეგ ეს ხაზი სამხრეთისაკენ, კუნძულის ნაპირის გაყოლებით გააგრძელა, აქედან კი ხაზი ისევ აღმოსავლეთისაკენ წარმართა, არხზე გადმოატარა და ჯებირამდე მოიყვანა. ეს წარმოსახული ხაზი გახლ-

დათ ახალი ჯებირი, რომელსაც განივკეეთიც განსხვავებული ექნებოდა. ეს ის ახალი ჯებირი იყო, ჯერჯერობით მხოლოდ მის გონებაში რომ არსებობდა.

„ახალი ჯებირი ათასამდე დემატის მიწას ჩაგვაგდებინებდა ხელთ, — ჩაილაპარაკა გაღიმებულმა ჰაუკემ, — მართალია, ბევრი არ არის, მაგრამ“...

ჰაუკე ახლაც გაანგარიშებაში ჩაეფლო: ეს ზოლი თემს ეკუთვნოდა და მის ცალკეულ წევრებს შორის უნდა დანაწილებულიყო, იმისდა მიხედვით, თუ რა ფართობის მამული ეკავა თითოეულ მათგანს სათემო საკუთრებაში, ან სხვა რა უფლებები ჰქონდა. ჰაუკე იმის გამოანგარიშებას შეუდგა, რამდენი დემატი მოვაო ჩემს წილად, რამდენი მომიწევსო ელკეს მამისაგან დარჩენილი მიწების წყალობით და რამდენი დაემატებაო იმ მიწებს, ქორწინების შემდეგ რომ იყიდა ნაწილობრივ მოგების მისაღებად, ნაწილობრივ კი თავისი ცხვრის ფარის გასამრავლებლად. გვარიანი ფართობი გამოუვიდა, რადგან ჰაუკემ ოლე პეტერსისგანაც შეიძინა ნაკვეთი. ეს ნაკვეთი პეტერსმა მას მერე მოიცილა თავიდან, რაც პატარა წყალდიდობის დროს აქ გამორჩეული ყოჩი დაეხრჩო. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა ხოლმე. ყველაზე დიდი წყალდიდობის დროსაც კი ნაპირი თუ დაიტბორებოდა მხოლოდ. ყოველ შემთხვევაში ასე ახსოვდა ჰაუკეს. რა დიდებული საძოვარი, რა სახნავ-სათესი ექნებოდათ, ჯებირი რომ გაეკეთებინათ ამ ადგილზე! ეს რომ გაიფიქრა, ჰაუკეს თითქოს თავბრუ დაესხა, მაგრამ ხელისგულს ფრჩხილები ჩაუჭირა, და საკუთარი თავი აიძულა საქმისათვის საღი და გამჭრიახი თვალით შეეხედა; წინ გადაშლილ ბარს ჯებირი არ იცავდა და, ვინ იცის, უახლოეს წლებში რამდენი ქარიშხალი და წყალდიდობა დაატყდებოდა თავს ამ ადგილს, რომლის ბოლოში ახლა ტალახში ამოთხვრილი ცხვარი ბალახობდა. მერედა, რამდენი შრომა, ბრძოლა და გაკერპება დასჭირდებოდათ ჯებირის ამოსაყვანად! მაგრამ როცა ჯებირიდან დაეშვა და ბილიკ-ბილიკ სახლისკენ გაუყვა, მაინც ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაც დიდი განძი მიჰქონდაო თან.

წინკარში ელკე შეეგება.

— რაბი როგორ არის? — ჰკითხა ქალმა.

ჰაუკემ იდუმალი ღიმილი შეაგება ქალს.

— მალე ახალი რაბი დაევჭირდება, ახალი არხები, ახალი ჯებირი.

— ვერ გავიგე, რას მეუბნები, — უთხრა ელკემ და ქმარს ოთახში შეჰყვა. — რას აპირებ, ჰაუკე?

— ვაპირებ... — ნელა წამოიწყო ჰაუკემ და ისევ შეჩერდა, — ვაპირებ, რომ მიწის ის დიდი ზოლი, რომელიც ჩვენი ნაკვეთის პირდაპირ იწყება და სამხრეთით გრძელდება, მტკიცე ჯებირით შემოვზღუდო. აგერ რამდენი წელია, წყალი არ მოვარდნილა, მაგრამ ასეთი უბედურება რომ დაგვატყდეს თავს, ყველაფერი განადგურდება და ეს ამბავი მხოლოდ ჩვენი მცონარეობის გამო მოხდება.

ელკემ გაოცებით შეხედა ქმარს.

— საკუთარ თავს თვითონვე ლანძღავ?

— ჰო, ელკე, მაგრამ აქამდე სხვაც ბევრი იყო გასაკეთებელი.

— სწორია, ჰაუკე, შენ მართლაც ბევრი რამ გააკეთე.

ჰაუკე ყოფილი ზედამხედველის სავარძელში ჩაეშვა და საიდაყვეს ხელი ჩასჭიდა.

— მერედა, გეყოფა გამბედაობა? — ჰკითხა ცოლმა.

— მეყოფა, ელკე! — ფიცხლად მიუგო ჰაუკემ.

— ასე ნუ ჩქარობ, ჰაუკე. ეგ საქმე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. თითქმის ყველა განზე გაგიდგება, არავინ იქნება შენი მადლობელი.

— ვიცი, — დაეთანხმა ჰაუკე.

— ეგ საქმე რომ არ გამოგივიდეს? — განაგრძო ელკემ. — ბავშვობიდან მესმის, იმ არხის ამოვსება არ შეიძლებაო. ამიტომ იყო, ხელსაც არ ახლებდნენ.

— ეგ მიზეზი ზარმაცების მოგონილია, — მიუგო ჰაუკემ. — ვითომ რატომ არ შეიძლებაო არხის ამოვსება?

— მაგდენი აღარ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ ჭრილი აქვს პირდაპირი, თან დინებაც მძლავრია. — უცბად ელკეს რაღაც გაახსენდა და სერიოზული გამომეტყველება კვიმატმა ღიმილმა შეუცვალა: — ერთხელ, ბავშვობისას, — განაგრძო მან, — მოჯამაგირეების საუბარს მოვკარი ყური, ასე თქვეს, საიმედო ჯებირი იქ მაშინ გაკეთდება, თუკი შიგ ვინმეს ცოცხლად ჩაატანენო. მერე მოაყოლეს, ამ ასიოდე წლის წინათ, მეორე ნაპირზე ჯებირს რომ აკეთებდნენ, ბოშა ქალისათვის თურმე

დიდი ფული მიუციათ, მისი ბავშვი უყიდიათ და ცოცხლად ჩაუმარხავთო საძირკველში. ახლა კი შვილს ვინღა გაყიდის.

ჰაუკემ თავი გაიქნია:

— კიდევ კარგი, ჩვენ შვილი არ გვყავს, თორემ, ალბათ, იმასაც მოგვთხოვდნენ.

— ვერც ვერასოდეს ელირსებოდნენ ამას ჩვენგან! — წამოიყვირა ელკემ და თითქოს შეშინდა, მუცელზე ხელები დაიფარა.

ჰაუკეს გაეღიმა. ქალმა ისევ ჰკითხა:

— იმაზე თუ გიფიქრია, რამდენი დაჯდება ამ ჯებირის აგება?

— ვიფიქრე, ელკე, როგორ არა. რასაც აშენებაზე დავხარჯავთ, უხვად ავინაზღაურებთ. იმდენს მოვიგებთ, რომ ძველი ჯებირის შესანახადაც გვეყოფა. მშენებლობაზე ჩვენვე ვიმუშავებთ, თემში ოთხმოცზე მეტი ფორანი გვაქვს, არც ახალგაზრდა მუშახელი გვაკლია. ელკე, განა რისთვის გამხადე ზედამხედველი?—მინდა ხალხს დავუმტკიცო, რომ ზედამხედველობა შემიძლია კიდეც.

ელკემ ქმრის წინ ჩაიჩოქა და მზრუნველი თვალი მიაპყრო. მერე ღრმად ამოიოხრა.

— დროა, ჩემს საქმეს მივხედო, — თქვა ქალმა და ქმარს ნაზად გადაუსვა ხელი — შენც მიხედე შენს საქმეს.

— ამინ, ელკე, — დინჯი ღიმილით დაეთანხმა ქმარი, — სამუშაო, იცოცხლე, ორივეს გვაქვს.

...მართლაც, ბევრი რამ ჰქონდა ორთავეს გასაკეთებელი, განსაკუთრებით ჰაუკეს — ყველაზე მძიმე ტვირთი მას ერგო წილად. კვირადღეობით, ნასამხრევს, უფრო ხშირად კი სადაგ დღეებში, ჰაუკე და ერთი მარჯვე მიწათმომწყობი საღამო ხანს ერთად დასხდებოდნენ ხოლმე, ანგარიშობდნენ, ხაზავდნენ, ესკიზებს აკეთებდნენ, ხოლო როცა მიწათმომწყობი წავიდოდა, ჰაუკე მაშინაც ვერ ელეოდა საქმეს, შუაღამემდე ჩაჰკირკიტებდა ნახაზებს. მერე ფეხაკრეფით შეიპარებოდა საწოლ ოთახში, — ელკე უკვე იწვა ხოლმე ამ დროს. ადრე იმიტომ წვებოდა, ქმარი არ შეეწუხებინა. იწვა და გულის ფანცქალით ელოდა ქმარს, ვერ იძინებდა. ჰაუკე შუბლზე აკოცებდა ცოლს, ერთი-ორ საალერსო სიტყვას ეტყოდა და დაწვებოდა, მაგრამ მის თვალს დიდხანს არ ეკარებოდა რული,

მამლის პირველ ყივილზე თუ ჩათვლემდა მხოლოდ. ზამთარში, როცა ქარიშხალი ატყდებოდა, ჰაუკე ფანქარსა და ქაღალდს დაავლებდა ხელს, გავარდებოდა ჯებირისაკენ, მერე კი რაღაცას იწერდა, იხატავდა. ხშირად ქარი ქუდსაც წაჰგლეჯდა, ფერდაკარგულ გრძელ თმას გაუწეწავდა და გახურებულ სახეზე ჩამოუყრიდა. თუ ყინვა არ შეუშლიდა ხელს, ჰაიენი რომელიმე მოჯამაგირესაც გაიყოლებდა, ნავით გავიდოდა თავთხელში და ლოტითა და ლატნით ზომავდა სიღრმეს.

ელკეს შიში ჰქონდა ხოლმე, მაგრამ როცა ქმარი მობრუნდებოდა, აღარაფერს ეუბნებოდა, თუმცა ცოლის მღელვარებას ჰაუკე მისი ხელის მოჭერასა და მუდამ მშვიდ თვალებში აკიაფებული ნაპერწკლებით მაინც ხვდებოდა.

— ცოტა კიდევ მოითმინე, ელკე, — უთხრა ერთხელ ჰაუკემ, როცა იგრძნო, რომ ცოლს ამ საქმეზე მისი გაშვება აღარ უნდოდა. — ვიდრე რაიმე წინადადებას წამოვაყენებ, მანამდე თვითონ უნდა გავარკვიო ყველაფერი.

ელკემაც თავი დაუქნია და ჰაუკე წავიდა.

ჰაიენს ხშირად უხდებოდა ქალაქში მთავარ ზედამხედველთან გამგზავრება. შინ დაბრუნებული ოჯახსა და მეურნეობაში შრომობდა ხოლმე, ღამ-ღამობით კი ისევ და ისევ ნახაზებს უკირკიტებდა. ხალხთან მხოლოდ სამსახურებრივი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ცოლსაც სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს უთმობდა. მძიმე დღეები დადგა ჩემთვის და, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებაო ასე, — თვითონვე იმშვიდებდა თავს ელკე და სამუშაოს ეძალებოდა.

ბოლოს, როცა მომძლავრებულმა მზემ და გაზაფხულის ქარებმა ყინული გაალხვეს, ჰაუკე წინასწარ სამუშაოებს მორჩა. ჰაუკეს მიერ შედგენილი თხოვნა ზემოხსენებული მიწის ზოლის ჯებირით გამაგრების თაობაზე, სადაც დასაბუთებული იყო, რომ ამ ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობდა ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას, გაადიდებდა სათემო მიწის ფონდს და ამასთანავე საჰერცოგოს სალაროს გაუზრდიდა შემოსავალს, — ორიოდე წლის შემდეგ ხომ დაახლოებით ათასამდე დემატის მიწიდან აღებული გადასახადი შევიდოდა სალაროში, — სუფთად გადაწერეს, დაურთეს ჯებირისა და არხების ნახაზები, ძველი მიწებისა და ახალი მიწების რუკები, სხვა საჭირო მასალებთან ერთად ერთ პაკეტად

შეკრეს და ზედამხედველის ბეჭდით დალუქეს. ეს პაკეტი მთავარი ზედამხედველისათვის უნდა გადაეცათ, რომელიც მას შუამდგომლობას დაურთავდა და სათანადო ინსტანციას გადაუგზავნიდა.

— როგორც იქნა, ამასაც მოვრჩი, ელკე, ღმერთს მადლობა ვუთხრათ, — მიმართა ცოლს ჰაუკემ.

ელკემ მას ხელი ხელში ჩასჭიდა და წარმოთქვა:

— მხარში ამოუდგეთ ერთმანეთს.

— ასე იყოს.

ჰაუკეს გეგმა ცხენოსანმა შიკრიკმა წაიღო ქალაქში.

— თქვენ, ალბათ, შეამჩნიეთ, ბატონო ჩემო, — თხრობა შეწყვიტა მასწავლებელმა და გონიერი თვალები ალერსით მოშაპყრო, — რომ ყველაფერი, რაც აქამდე მოგიყევით, ჩემს მიერ შეკრებილია ამ ადგილებში ჩემი თითქმის ორმოცწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში. ეს ამბები ხანდაზმულ და გამოცდილ ადამიანთა ან მათ შვილთა და შვილიშვილთა ნაამბობიდან გავიგე. ეს კი, რაც ახლა მინდა მოგითხროთ, რათა აქამდე მონაყოლის გარდა გვიანდელი ამბებიც გასაგები გახდეს, არცთუ ძველი ამბავია და ამაზე მთელი სოფელი ლაპარაკობს ხოლმე, როგორც კი ყოვლადწმინდის დღესასწაულის შემდეგ ოჯახებში საქსოვი დაზგები აზუზუნდება.

იმ დროს, თუ ჯებირზე შედგებოდით და ჩრდილოეთისკენ გაიხედავდით, ზედამხედველის ეზოდან, ასე ხუთას-ექვსას ნაბიჯზე, თავთხელში, მარშის ნაპირიდან ორასიოდე ნაბიჯით დაცილებულ ერთ პატარა კუნძულს შეამჩნევდით, რომელსაც მოსახლეობა „იევერსის ქვიშას“ ანდა „იევერსის კუნძულს“ უწოდებდა. უწინ ჩვენი პაპები ამ კუნძულს ცხვრის საძოვრად იყენებდნენ. მაშინ იქ ბალახი იზრდებოდა, მომდევნო წლებში კი ბალახი გაქრა, რადგან დაბალი კუნძული რამდენჯერმე დაიტბორა წყლით, და აქაურობაც აღარ გამოდგა საძოვრად. ამის შემდეგ კუნძულზე მხოლოდ თოლიები ან ჩვენი მხარის სხვა ფრინველები თუ გამოჩნდებოდნენ, ათასში ერთხელ აქ წყლის არწივსაც მოვკრავდით ხოლმე თვალს. მთვარიანი ღამით ჯებირიდან ისიც მოჩანდა, რომ კუნძულს ხან გამჭვირვალე ნისლის ლეჩაქი დაეფინებოდა, ხანაც თვალშეუვალი შავი ღრუბელი. როცა მთვარე კუნძულის აღმოსავლეთით გამოანათებდა, ამბობენ, დამხრჩვალი ცხვრების თეთრ

ძვლებსა და ცხენის ჩონჩხსაც შეამჩნევდითო. კაცმა არ იცის, საიდან გაჩნდა კუნძულზე ეს ძვლები.

მარტის თვე ილეოდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯებირზე ერთმანეთის გვერდი-გვერდ გაუნძრევლად იდგნენ ტედე ჰაიენის სახლში მომუშავე დღიური მუშა და ახალგაზრდა ზედამხედველის მოჯამაგირე ივენ იონსი. ორთავენი მთავარის მჭრქალ შუქზე ძნელად გასარჩევ კუნძულისაკენ იმზირებოდნენ. ეტყობა კუნძულზე რაღაც საოცარი რამ შეამჩნიეს.

— წამო, წავიდეთ, ივენს, — თქვა ბოლოს მუშამ, ჯიბეებში ხელები ჩაიყო და გააკანკალა. — სასიკეთო არაფერია, 'მინ წავიდეთ.

მეორეც შიშს აეტანა, მაგრამ ამან მაინც სიცილ-სიცილით თქვა:

— რაღაც მოზრდილი სულიერია! ეშმაკმა დალახვროს, ნეტავი ვინ შეაგდო მაგ კუნძულზე? ერთი შეხე, აი კისერს იწვდის ჩვენკენ! არა, თავი ჩაჰკიდა, რაღაცას ჭამს. მე კი მეგონა, კუნძულზე საშველი აღარ არის-მეთქი. ნეტა რა უნდა იყოს?

— შენც ერთი, მოგცლია! — მიაძახა მუშამ. — თუ არ წამოხვალ, მარტოკა წავალ, ღამე მშვიდობისა!

— რატომაც არ წახვალ, რა! შინ ცოლის ჩათბუნებული ლოგინი გელოდება, აბა მე მკითხე! ჩემს ოთახში ისევე უბერავს ქარი, როგორც აქ.

— მაშ, ღამე მშვიდობისა, — მიაძახა მუშამ და ჯებირიდან შინისაკენ მოჰკურცხლა.

ივენმა რამდენჯერმე გახედა გაქცეულს, მაგრამ საიდუმლოების ამოცნობის სურვილმა ადგილს მიაჯაჭვა. ამ დროს ჯებირზე გამოჩნდა მისკენ მომავალი ტანმორჩილი ფიგურა. მოსამსახურე ბიჭი იყო, ზედამხედველთან რომ იდგა.

— აქ რას აკეთებ, კარსტენ? — შეუყვირა მოჯამაგირემ.

— მე არაფერს, — მიუგო ბიჭმა, — გამომაგზავნეს, ჩვენს ბატონს შენთან ლაპარაკი სურს.

მოჯამაგირე ისევ კუნძულისკენ იყურებოდა.

— ახლავე მოვალ, — მიაძახა ბიჭს.

— მაგრამ რას უყურებ? — ჰკითხა ბიჭმა.

მოჯამაგირემ ხმის ამოუღებლად ასწია ხელი და კუნძულისკენ გაიშვირა.

— ოჰ, აღმოხდა ყმაწვილს. — ეგ ხომ ცხენია, თეთრი ტა-

იჭი, ალბათ, ეშმაკი თუ ზის ზედ, ნეტა, როგორ მოხვდა იევერსის კუნძულზე?

— არ ვიცი, კარსტენ. იქნებ, ცხენი არ არის?

— როგორ არა, ივან. აბა შეხედე, ზუსტად ისე ბალახობს, ცხენმა რომ იცის. ვინ გადაიყვანდა იქ? სოფელში ისეთი დიდი ნავი არავისა აქვს, რომ შიგ ცხენი ჩაეტიოს. იქნებ ცხვარია? ძია პეტერი ამბობდა, მთვარის შუქზე ტორფის ათი ბელტი ერთი სოფლისხელა მოგეჩვენებაო. არა, არა, შეხე! ე, როგორ ხტის, ნამდვილად ცხენი უნდა იყოს!

ერთხანს ორივენი ჩუმად იდგნენ და თვალმოუშორებლად შესცქეროდნენ კუნძულზე მოძრავ სულიერს. მაღალი მთვარე ზემოდან დაჰნათოდა ვრცელ თავთხელს, ზღვის მოქცევა აქეთ მოაგორებდა ალაპლაპებულ ტალღებს. წყალი ოდნავ ტლაშუნებდა, არსაიდან ისმოდა ფრინველის ჩხავილი. ჯებირის უკან გაფენილი მარშის ველებიც სიჩუმეში გარინდებულიყო. პირუტყვი ბოსლებს შეფარებოდა. ყოველივე სიჩუმეში ჩაიძირა, ჩაკვდა. მხოლოდ იევერსის კუნძულზე მოძრაობდა თეთრი ცხენი თუ ცხენის მაგვარი რამ, ყოველ შემთხვევაში, ასე მოჩანდა ჯებირიდან.

— მგონი, ინათა, — სიჩუმე დაარღვია მოჯამაგირემ. — მკაფიოდ ვხედავ ცხენის თეთრ ძვლებს.

— მეცა ვხედავ, — წამოიძახა ბიჭმა და კისერი კუნძულისკენ წაიგრძელა, მერე კი, თითქოს უცბად გამოერკვაო, მოჯამაგირეს მკლავზე წაავლო ხელი: — ივენ, — წასჩურჩულა მოსამსახურე ბიჭმა, — ახლა სადღაა ის ცხენის ჩონჩხი, წელან რომ ეგდო იქ? ეელარ დამინახავს!

— ეელარც მე ვხედავ! საოცარია! — დაუდასტურა მოჯამაგირემ.

— იცი, ივენ, მართალია, მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, ღამღამობით ზოგჯერ ჩონჩხი წამოდგება და დაიარებაო!

— ჰოო? — ჩაეკითხა მოჯამაგირე. — ეს ხომ დედაბრების ზღაპარია. — რა ვიცი, შეიძლება ასეც იყოს, — დაეთანხმა კარსტენი.

— შენ ხომ ჩემს წასაყვანად მოხველ? შინ წავიდეთ, დროა, მაინც აღარაფერი ჩანს.

ბიჭი ფეხს ითრევდა, ბოლოს მოჯამაგირემ იგი ძალით მიაბრუნა უკან და გზაზე გამოიყვანა.

როცა მოჩვენებათა კუნძული კარგა დიდ მანძილზე ჩამოიტოვეს, მოჯამაგირემ ასე უთხრა ბიჭს:

— ყური მიგდე, კარსტენ, შენ ხომ ყველაზე უშიშარი ხარ. მე მგონია, ამის დამტკიცება არ გაგიჭირდება.

— რასაკვირველია, — მიუგო კარსტენმა, რომელიც გადატანილი შიშისაგან ჯერაც თრთოდა. — შემიძლია, ივენ.

— მართლა ამბობ? — ჩაჰკითხა მოჯამაგირემ, რადგან კარსტენმა ამის დასამტკიცებლად ხელი გაუწოდა. — თუ ასეა, ხვალ საღამოს ჩვენი ნავი ავხსნათ. ამ ნავით შენ „იეევრსის ქვიშისკენ“ გასცურე, მე კი ჯებირიდან გიყურებ.

— კარგი, — მიუგო ბიჭმა. — თანახმა ვარ. ოღონდ მათრახს წავიღებ თან.

— წაიღე.

მერე აუჩქარებლად აიარეს ზედამხედველის ეზოსკენ მიმავალი ფერდობი და სახლს მიადგნენ.

მეორე საღამოთი, დათქმულ დროს, მოჯამაგირე ბოსლის წინ დიდ ქვაზე იჯდა, როცა მასთან მათრახის ტკაცატკუცით კარსტენი მივიდა.

— ყოჩაღ, კარგად ატკაცუნებ, — შეაქო ივენმა.

— აბა, რა გეგონა! მოეცალე! — მიუგო ბიჭმა. — თასმებში შიგადაშიგ ლურსმნებიც ჩავამაგრე.

— მაშ წავიდეთ! — მიმართა ივენმა.

მთვარე ახლაც აღმოსავლეთით იდგა და იქაურობას კარგად ანათებდა. ჯებირს მალე მიაღწიეს და იეევრსის კუნძულისკენ გაიხედეს, რომელსაც ნისლი მოეყუნებინა თავზე.

— აი, ისევ დადის, — წარმოთქვა მოჯამაგირემ. — ნაშუადღევს ვიყავი აქ, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია, ეგ იყო, მიწაზე გაბარჯღული ცხენის თეთრი ჩონჩხი ჩემი ორი თვალით დავინახე.

ბიჭმა კისერი წაიგრძელა და თავისთვის ჩაიჩურჩულა:

— ჩონჩხი ახლა ძველ ადგილზე აღარ გდია.

— რას ფიქრობ, კარსტენ, სიტყვაზე როგორა ხარ? — ჰკითხა ივენმა. — აპირებ გადასვლას?

კარსტენი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე მათრახი ჰაერში გაატკაცუნა და ივენს შესძახა:

— აუშვი ნავი!

ამ დროს კუნძულზე ცხენმა თითქოს თავი ასწია და კისერი

ხმელეთისკენ წაიგრძელა. მაგრამ ბიჭმა და ივენმა ეს უკვე ვეღარ დაინახეს, ჯებირი ჩაიარეს და იმ ადგილას მივიდნენ, სადაც ნავი იყო დაბმული.

— აბა, ჩაჯექი! — შესძახა ივენმა და ნავი ახსნა. — შენს დაბრუნებამდე აქ დავრჩები. კუნძულს აღმოსავლეთიდან შემოუარე, იმ მხრიდან უფრო მიუდგები ნაპირს.

ბიჭმა თავი დაუქნია და თავის მათრახიანად გზას გაუდგა. მოჯამაგირე უკან გამობრუნდა და ჯებირზე იმავე ადგილას ავიდა, წეღან რომ იდგნენ. სულ მალე ნავი ჩაშავებულ ფლატეს მიადგა, სადაც წყალი ნაპირს ლოკავდა, და პატარა ფიგურაც ნაპირზე გადახტა. ეს რა ხმები ისმის, ბიჭმა ხომ არ გაატკაცუნა მათრახი? იქნება ზღვის მოქცევისას იცის ასეთი ხმაური? რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე, ჩრდილოეთით, ისევ გამოჩანდა თეთრი ცხენი. ახლა ბიჭმა იქით აიღო გეზი. ცხენმა თავი ასწია, თითქოს შეკრთაო, ბიჭმა კი, — ეს ხმა უკვე მკაფიოდ გაისმა, — მათრახი გაატკაცუნა, მაგრამ... რა დაემართა? ბიჭი შემობრუნდა და უკანვე წამოვიდა იმავე გზით, წეღან რომ გაიარა. ცხენმა ისევ განაგრძო ძოვა, მაგრამ ერთხელაც არ დაუჭიხვინია. მოჩვენებას ხანდახან თითქოს წყლის თეთრი ქაფი გადაეკვროდა. მოჯამაგირე მოჯადოებულივით შეჰყურებდა კუნძულს.

უცბად მოახლოვებული ნავის ხმაური გაიგონა. მალე ბნელში ჯებირისკენ ამომავალი ბიჭიც დაინახა.

— რა ჰქენი, კარსტენ, რა ნახე? — ჰკითხა ივენმა.

ბიჭმა თავი გაიქნია:

— არც არაფერი, ნავიდან ერთხელ კიდევ შევამჩნიე, მაგრამ მერე, კუნძულზე რომ გადავედი, ეშმაკმა უწყის, სად დაიკარგა, მთვარე ხომ ასე კარგად ანათებდა, იმ ადგილზე რომ მივედი, ხუთიოდე ცხვრის თეთრი ძვლები და ცოტა მოშორებით ცხენის ჩონჩხის მეტი არაფერი იყო. მთვარის შუქი თვალის ცარიელ ფოსოებში ეღვრებოდა ცხენის თეთრ, წაგრძელებულ თავის ქალას.

— ჰმ! ვითომ კარგად მოათვალიერე იქაურობა?

— როგორ არა, ივენ, იქ არ ვიყავი! ჩონჩხში ჩაბუდებული წლიკიონა ისეთი ჩხავილით ამოფრინდა, შემაშინა კიდეც და მათრახი რამდენჯერმე გავატკაცუნე.

— სულ ეგ იყო?

— ჰო, ივენ. მეტი არაფერი მინახავს.

— ეგეც საკმარისია, — მიუგო მოჯამაგირემ, ბიჭს მაჯაში ხელი წაავლო და კუნძულისკენ გაახედა. — რამეს თუ ხედავ, კარსტენ?

— ჰო, აგერ ისევ დიდის!

— ისევ დიდის? — გაიმეორა ივენმა. — მთელი ამ ხნის განმავლობაში ვუმზერდი და არსადაც არ წასულა. შენც ხომ სწორედ მისკენ მიდიოდი. უსხეულო სულია რაღაც!

ბიჭი დაჟინებით უყურებდა. გულად პირისახეზე უცებ შიში აღებეჭდა. ეს ამბავი ივენს მხედველობიდან არ გამორჩენია.

— წამო, — მიმართა მან ბიჭს, — შინ წავიდეთ. აქედან ისე ჩანს, თითქოს რაღაც სულიერი დადიოდეს, არადა, თურმე ძვლები ყრია. ამ ამბავს შე და შენ ვერაფერს გავუგებთ. მაგრამ რაც ვნახეთ, იმაზეც არ ამოიღო ხმა, სიტყვა არსად დაგცდეს!

ივენი შინ გამობრუნდა და ბიჭიც აედევნა. ჩუმად მოდიოდნენ, მარშების დუმილს არაფერი არღვევდა.

...მას შემდეგ კი, რაც მთვარემ დაივახშმა და ბნელი ღამეები დაიწყო, კიდევ ერთი ამბავი მოხდა.

ცხენების ბაზრობის დრო იყო და ჰაუკე ჰაიენი ცხენით ქალაქისკენ გაემართა. მართალია, ცხენის ყიდვა არც უფიქრია, მაგრამ, როცა შინ მობრუნდა, ერთი ჯაგლაგი ცხენიც მოიყვანა, მეტისმეტად ბალნიანი და ისეთი გამხდარი, ნეკნებს დაუთვლიდით. უსიცოცხლო, ჩაცვენილი თვალები ჰქონდა. ელკე გარეთ გავიდა, რომ საყვარელ მეუღლეს შეგებებოდა.

— ღმერთო, შენ გვიშველე! — წამოიძახა ქალმა. — რად გინდოდა ეს ჯაგლაგი?

სანამ ჰაუკე ეზოში შევიდოდა და კოპიტის ქვეშ შეჩერდებოდა, ელკემ ისიც შენიშნა, რომ ცხენი კოჭლობდა კიდეც.

ახალგაზრდა ზედამხედველი სიცილით ჩამოხტა თავის წაბლა იაბოდან და ელკეს უთხრა:

— არა უშავს რა, იაფად ვიყიდე.

ჰკვიანმა ქალმა კი ასე უპასუხა:

— იაფფასიანი ხორცით კარგი წვნიანი არ კეთდება.

— ყოველთვის ეგრე არ არის, ელკე. ეს ცხენი, ბევრი-ბევრი, ოთხი წლისა იყოს. აბა კარგად შეხედე! დამშეულია და მოუვლელი. ჭერზე დავაყენოთ, ნახე, როგორ გამოკეთდეს.

თვალყურს თვითონვე მივადევნებ, თორემ ვაითუ მეტისმეტად დახარბდეს.

ცხენი თავჩაღუნული იდგა, კისერზე ფაფარი ჩამოგრძელებოდა.

ჰაუკემ მოჯამაგირეს მოუხმო, ამასობაში ფრაუ ელკე ცხენთან მივიდა და შეათვალიერა, მერე თავი გადაიქნია და თქვა:

— ასეთი ცხენი ჩვენს თავლაში ჯერ არ გვყოლია.

ამ დროს სახლის კუთხიდან კარსტენი გამოვიდა, მსახური ბიჭი. როგორც კი ცხენს თვალი მოჰკრა, შეშინებული შედგა.

— რა დაგემართა, კარსტენ? — შესძახა ზედამხედველმა, — წელკავი ხომ არ გაგიდგა! არ მოგწონს ჩემი თეთრონი?

— კი... კი, ბატონო, როგორ არა.

— მაშ თავლაში წაიყვანე, ოღონდ საჭმელს ნუ დაუყრი. მეც ახლავე მოვალ.

ბიჭმა თეთრონის ავშარას ფრთხილად მოჰკიდა ხელი, მერე კი, თითქოს თავის დაცვას ცდილობსო, უცბად წაბლას აღვირს წაეტანა.

ჰაუკე და მისი მეუღლე ოთახში შევიდნენ, ელკეს მაგიდა გაეწყო, გამოეტანა თბილი ლუდი, პური და კარაქი.

ჰაუკე ჭამას მალე მორჩა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ჩამავალი მზის სხივები შორენკეცებით მოპირკეთებულ კედლებს დასთამაშებდა.

— გინდა გიამბო, ელკე, როგორ ვიყიდე ეს ცხენი? — წამოიწყო ჰაუკემ. — მთავარ ზედამხედველთან თითქმის ერთ საათს ვიყავი. კარგი ამბავი დამახვედრა. შეიძლება, ჩემს ნახაზებში ზოგიერთი რამ შეიცვალოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩემი გეგმა მოიწონეს და ორ-სამ დღეში ახალი ჯებირის მშენებლობის დაწყების ბრძანებას მივიღებთ.

— მაშასადამე, მაინც მივიღებთ? — დარდიანად ამოიოხრა ელკემ.

— ჰო, ელკე, — მიუგო ჰაუკემ. — მართალია, გაგვიჭირდება, მაგრამ მამაზეციერმაც ხომ სწორედ იმიტომ შეგვაერთა, რომ გასაჭირში ურთიერთს მხარი მივცეთ. დღესდღეობით საქმე ისე გვაქვს აწყობილი, რომ მარტოკაც გაუძღვები ყველაფერს. ათი წლის მერე კი, — აბა, წარმოიდგინე, — რა მიწები გვექნება ათიოდე წლის მერე!

ქმრის პირველსავე სიტყვებზე ელკემ მისი ხელი საკუთარ-

ში მოიქცია და მაგრად მოუჭირა, თითქოს ამით თავისი თანხმობა აგრძნობინაო, მაგრამ ბოლო სიტყვებმა თითქოს მოლოდინი გაუმტყუნა.

— ვისთვის გინდა, მერე, ეგ მიწები? — იკითხა ქალმა. — ალბათ, სხვა ქალი უნდა გეთხოვა. ეტყობა, შვილებს მე ვერ გაგიჩენ.

ქალს თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა. ქმარმა მაგრად მოხვია ხელი.

— ეგ საქმე მამაზეციერს მივანდოთ, — მიუგო ჰაუკემ. — ჯერ ხომ ახალგაზრდები ვართ, თვითონვე გავიხარებთ ჩვენი შრომის ნაყოფს რომ ვნახავთ.

დიდხანს შესცქეროდა ელკე ქმარს.

— მაპატიე, ჰაუკე, — წარმოთქვა ბოლოს. — ზოგჯერ გული ამიცრუვდება ხოლმე ყველაფერზე.

კაცი მისკენ დაიხარა და აკოცა:

— შენ ჩემი ცოლი ხარ, მე შენი ქმარი. ასეა ეს, და სამუდამოდ ასე იქნება.

ქალმა ქმარს კისერზე შემოაჭდო მკლავები.

— მართალი ხარ, ჰაუკე. ხოლო, თუ რამ ავი საქმე დაგვემართა, დაე, ორივე ერთად შევეწიროთ. — ქმარს ხელი გაუშვა და წყნარად უთხრა:

— ჰო, მომიყევი იმ თეთრონის ამბავი.

— მოგიყვები. აკი გითხარი, მთავარმა ზედამხედველმა კარგი ამბავი მითხრა და გამახარა-მეთქი. ის იყო ქალაქიდან წამოველ და ცხენს ჯებირზე მოვაჭენებდი, რომ ნავმისადგომის უკან, ვიღაც დაფლეთილსამოსიან ბიჭს გადავეყარე. არ ვიცი, ვინ იყო — მაწანწალა, მკალავი... ბიჭს ავშარით ეგ ჯაგლაგი მოჰყავდა. ცხენმა თავი აიღო და უაზრო თვალები მომაპყრო, თითქოს რაღაცას მეხვეწებაო. ფული ხომ თან მქონდა, ავდექი და ბიჭს შევუძახე:

— ჰეი, ჩვენებურო, საით მიგყავს ეგ ლაფშა?

ბიჭიცა და ჯაგლაგიც, ორივე გაჩერდა.

— გასაყიდად, — მომიგო მან და თვალი ეშმაკურად ჩამიკრა.

— გაყიდე, ოღონდ მე ნუ მომყიდი, — გავეპასუხე მხიარულად.

— მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ თქვენ უნდა მოგყი-

დოთ! — მიპასუხა მან. — დასაწუნი არაფერი აქვს, ას ტალერზე ნაკლები არ ღირს.

გამეცინა.

— ჰო, რად გეცინებათ? მე ხომ ამდენს არ ვითხოვ. ცხენი არ მჭირდება, ჩემს ხელში სულ წახდება. თქვენთან კი მალე მოიკეთებს.

ჩემი წაბლადან ჩამოვხტი და თეთრონს კბილები გავუსინჯე. აღმოჩნდა, რომ ცხენი ჯერაც ახალგაზრდა იყო.

— რამდენი გინდა? — შევეკითხე ბიჭს, რაკიღა შევამჩნიე, რომ ცხენმა თითქოს კვლავ მუდარით შემომხედა.

— ოცდაათ ტალერად წაიყვანე, ბატონო, ავშარასაც თან გამოვატან.

ასე შევთანხმდით და მორიგების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, — სვილისფერი მარჯვენა მარწუხივით მომიჭირა. ვფიქრობ, ცხენი იაფად ვიშოვე. ოღონდ უცნაური ის იყო, ცხენი რომ წამოვიყვანე, ზურგს უკან სიცილი შემომესმა, მივიხედე და რას ვხედავ: ბიჭს ფეხები გაუჩაჩხია, ხელები ზურგს უკან შემოუწყვია და ავსულივით ხითხითებს.

— ფუი, ეშმაკს! — წამოიძახა ელკემ. — ნეტა კი უწინდელი პატრონისგან ავი არაფერი გამოიყოლოს. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!

— ყოველ შემთხვევაში, ცხენს არაფერს მოვაკლებ, — მიუგო ზედამხედველმა და თავლისაკენ გასწია.

...იმ საღამოს ჰაუკემ თავისი ხელით დააპურა ცხენი და მას მერე თეთრონისათვის მართლაც არ მოუკლია მოვლა-პატრონობა. ჰაუკეს იმის დამტკიცება სურდა, რომ ცხენი ძალზე იაფად იყიდა და ახლა დღემუდამ თავს დასტრიალებდა ხოლმე. ორიოდ კვირაში ცხენმა შესამჩნევად იცვალა იერი: უხეში ბალანი თანდათან გასცვივდა, ლურჯი, ვაშლის კანივით კრიალა გაუხდა ბეწვი და, როცა ერთ დღეს ჰაუკემ იგი გარეთ გაიყვანა, კუნთმაგარ, მოქნილ ფეხებზე შემდგარმა ცხენმა ეზოში გაინავარდა. ჰაუკეს გაახსენდა, რა უცნაურ ვითარებაში იყიდა ცხენი და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ის ბიჭი ან გიჟი იყო, ან ავაზაკი და ცხენიც მოპარული ეყოლებოდაო.

ამ ამბის შემდეგ დიდი დრო არ გასულა. როგორც კი ცხენი პატრონის ფეხის ხმას გაიგონებდა, თავს შეაბრუნებდა და ჭიხვინით შეეგებებოდა ხოლმე. ჰაუკე ახლა იმასაც ამჩნევდა,

რომ მის თეთრონს არაბული ცხენის მსგავსი, გამხდარი თავი ჰქონდა და ყავისფერი თვალები ცეცხლივით უგიზგიზებდა.

ერთხელ ჰაუკემ თეთრონი თავლიდან გამოიყვანა და მსუბუქი უნაგირი დაადგა. შეჯდომა ძლივს მოასწრო, რომ ცხენმა მხიარულად შეიჭიხვინა, ადგილს მოსწყდა, მიწაყრილზე გაქანდა და ჯებირისკენ გაფრინდა. მხედარი მტკიცედ იჯდა უნაგირზე, ხოლო როცა ისინი ზემოთ ავიდნენ, ცხენმა სვლა შეანელა, თითქოს ცეკვავსო, — მსუბუქი ნაბიჯით გააგრძელა გზა, თან თავს ზღვისკენ გაიქნევდა ხოლმე. ჰაუკე ალაპლაპებულ კისერზე უთათუნებდა ხელს, მაგრამ ცხენის ასე დამშვიდება საჭირო აღარ იყო, თეთრონი ისედაც იგებდა მხედრის ნება-სურვილს. ჰაუკემ ცხენი ჯებირზე გაიყვანა, ერთ ხანს ჩრდილოეთისაკენ მიაჭენებდა თეთრონს, შემდეგ აღვირს ოდნავ მოზიდა, ძალზე იოლად შეაჩერა, მოაბრუნა და ისევ თავლისკენ წაიყვანა.

მსახურები ფერდობის ძირში იდგნენ და ბატონის მობრუნებას ელოდებოდნენ.

— ასე, ივენ, — დაიძახა ჰაუკემ და ცხენიდან ჩამოხტა. ახლა შენ შეჯექი და საბალახოზე წაიყვანე. ისე გარონინებს, აკვანში გეგონება თავი.

ვიდრე მოჯამაგირე უნაგირის ჩამოხსნას ცდილობდა, ტაიჭმა თავი შეარხია და ისეთი დაიხვიხვინა, მისი ხმა მზით გაბრწყინებულ მარშის ველებს მოეფინა. ივენმა აღკაზმულობა სათავსოში წაიღო. ცხენმა თავი პატრონს დაადო მხარზე და ჰაუკეს მოალერსებით ნაამები გაიტრუნა. მაგრამ, როგორც კი მოჯამაგირემ თეთრონზე შეჯდომა დააპირა, ცხენი მოულოდნელად გვერდით გახტა, შემდეგ კი უძრავად დადგა და მშვენიერი თვალები პატრონს მიაპყრო.

— ჰეი, ივენ! — შესძახა ჰაუკემ და ასაყენებლად მოჯამაგირისაკენ გაქანდა. — ხომ არაფერი გეტკინა?

ივენი მონდომებით იზელდა თეძოს.

— არაფერი, ბატონო, მაგრამ ამ ცხენზე ეშმა თუ გაჩერდება!

— ეშმა და მე! — ღიმილით დაუმატა ჰაუკემ. — ზურგზე თუ არ გსვამს, მაშინ აღვირში მოჰკიდე ხელი და საბალახოზე ისე წაიყვანე.

დარცხვენილმა მოჯამაგირემ ცხენს აღვირში წააელო ხელი და თეთრონიც მორჩილად გაჰყვა.

...რამდენიმე დღის შემდეგ მოჯამაგირე და მსახური ბიჭი თავლის კართან იდგნენ. ჯებირის მიღმა სულ უფრო და უფრო ქუფრდებოდა დაისი, მარშის ველი კი უკვე სიბნელეს მოეცვა. დროდადრო, სადღაც შორს, დამფრთხალი პირუტყვი დაიბღავლებდა, გაიგონებდი ტოროლას ჭივჭივს, თრითინა ან წყლის ვირთხა რომ მოიგდებდა ბრჭყალებში. ივენი კარის წირთხლს მიეყრდნო და მოკლე ჩიბუხი გააბოლა. ივენი და ბიჭი ხმას არ იღებდნენ. კარსტენი შეწუხებული ჩანდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა, რითი დაეწყო ივენთან ლაპარაკი.

— ხომ გახსოვს, — ამოღერღა ბოლოს, — იეევრსის კუნძულზე ცხენის ჩონჩხი რომ ეგდო?

— კი, ეგდო. მერედა, სად გაქრა? — იკითხა მოჯამაგირემ.

— ჰო, მეც ამას ვამბობ. სად გაქრა, ძველ ადგილზე აღარ გდია! აღარც დღისით ჩანს, აღარც მთვარის შუქზე. ბარე ოცჯერ მაინც ავედი ჯებირზე.

— ეჰ, ვინ იცის რამდენი ხნის ჩონჩხი იყო, ალბათ გაიხრწნა, მიწამ შეჭამა, — მიუგო ივენმა და ჩიბუხის წევა მშვიდად განაგრძო.

— მთვარიანი ღამე იყო, იქ რომ გავედი, მაგრამ იეევრსის კუნძულზე ვერაფერი დავინახე.

— მიწამ თუ შეჭამა, რაღას დაინახავდი?

— მოეშვი ხუმრობას, ივენ! ვიცი, სადაც არის. გინდა გითხრა, სადაც არის?

მოჯამაგირე ერთბაშად მისკენ შებრუნდა:

— ჰო, მითხარი!

— სადაა და... — გაიმეორა ბიჭმა მრავალმნიშვნელოვნად,— ჩვენს თავლაში. ჰო, ჩვენს თავლაშია მას შემდეგ, რაც იმ კუნძულზე აღარ გდია. ტყუილად კი არ კვებავს ჩვენი ბატონი საკუთარი ხელით. ვიცი, რაშიცაა საქმე.

მოჯამაგირე ერთ ხანს გაცხარებით ქაჩავდა ჩიბუხს და თამბაქოს ბოლიც კუნაპეტ ღამეში ითქვიფებოდა.

— ვერ ყოფილხარ ბრძენი კაცი, კარსტენ! — წარმოსთქვა მან ბოლოს. — ჩვენს თეთრონზე ამბობ? თუკი ვინმეს ცხენს მუხლადი და ფრთიანი ჰქვია, სწორედ ეგ ცხენი უნდა იყოს.

შენისთანა გონიერი ბიჭი დედაბრების ზღაპრებს როგორ აჰყევი?

...მაგრამ ამ საუბარმა კარსტენს მაინც ვერ შეაცვლევინა აზრი. განა არ შეიძლება, ჩონჩხში ეშმაკის სული ჩასახლებულიყო და ცოცხალ ცხენად გადაექცია? დიახაც რომ შეიძლება! — ბიჭს ურუანტელი დაუვლიდა, როცა საღამოობით თავლაში შევიდოდა, — ცხენი ხანდახან ზაფხულშიაც იქ იდგა ხოლმე, — თეთრონი თავს მისკენ შეაბრუნებდა და აბრიალებულ თვალებს მიანათებდა.

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — ბუზღუნით მიახლიდა ბიჭი, — ერთად მაინც აღარ დაგვედგომება.

ბიჭმა ბატონს არაფერი უთხრა, ისე დაიწყო სხვა სამსახურის ძებნა, მერე ჰაუკესაც აცნობა თავისი გადაწყვეტილება და ყოველდღიდის ღვესასწაულზე ოლე პეტერსის ოჯახში დადგა მოსამსახურედ. აქ მას ყურმოკრული ამბების ბევრი ტრფიალი დაუხვდა, ვინაც გულისყურით უსმენდა მის მონაჩმახს ზედამხედველის ავსულჩასახლებულ ცხენზე. ფაშფაშა ფრაუ ვოლინა დ მისი გონებადაჩლუნგებული მამა, ჰარდერსი, — ყოფილი ნდობით აღჭურვილი პირი, ისმენდნენ შემზარავ ამბავს და როცა რაიმეს გაიგებდნენ, პირს მოიხევდნენ, ვიღას არ ეტყოდნენ ახალ ამბებს — ზედამხედველზე გულაყრილ ხალხსაც, ჭორების მოყვარულთაც.

მარტის ბოლო იდგა, როცა მთავარი ზედამხედველის ბრძანება მიიღეს, ახალი ჯებირის მშენებლობა დაიწყეთო. ჰაუკემ პირველ რიგში ნდობით აღჭურვილი პირები მოიწვია. დანიშნულ დღეს ეკლესიის შორიახლო მდებარე ფუნდუკში მოიყარეს თავი და ჰაუკემ მათ ბრძანების ძირითადი პუნქტები წაუკითხა: თავისი წინადადებანი, მთავარი ზედამხედველის დასკვნა და საბოლოო გადაწყვეტილება. ჰაუკეს წინადადება მიეღოთ. მისი გეგმის მიხედვით ახალი ჯებირი ციცაბოდ კი არ უნდა დაშვებულიყო ზღვისკენ, პირიქით, ოდნავ დამრეცი უნდა ყოფილიყო. მაგრამ დამსწრეთა სახეებზე ზედამხედველმა ვერც სიხარული შენიშნა, ვერც კმაყოფილება.

— ჰო, ჰო, — წამოიწყო ნდობით აღჭურვილმა ერთმა მოხუცმა, — კარგი საჩუქარი კი მივიღეთ. ახლა რამდენიც გინდა იდავე, აღარაფერი გვიშველის, მთავარი ზედამხედველი ჩვენი ზედამხედველის ჭკუაზე დადის.

— მართალი ხარ, დეტლევ ვინს, — დაუმატა მეორემ. — კარზე საგაზაფხულო სამუშაოები მოგვდგომია და ახლა კიდევ ეს ვაი-უშველებელი ჯებირი ააშენეთო. სხვა საქმეს ვინღა გააკეთებს?

— მინდვრის სამუშაოებს რომ მოვრჩებით, ამ საქმეს მერე შევუდგებით, — დაიწყო ჰაუკემ. — ნელ-ნელა ვიმუშავებთ, თავ-პირის მტვრევა რა საჭიროა.

მაგრამ უმრავლესობა მაინც უარზე იდგა.

— ჩვენ სწორედ შენი ახალი გეგმა არ მოგვწონს! — ჩაურთო შესამემ და თავისი სიტყვებით ნავთი გადაასხა ცეცხლს.— ჯებირი ხომ ზღვის მხარეზე მოედანივით განიერი უნდა იყოს. სად ვიშოვით სამშენებლო მასალას, ან როდის მოვრჩებით სამუშაოს?

— თუ წლეულს არა, გაისად მაინც. ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული, — მიუგო ჰაუკემ.

შეკრებილთა შორის უხამსი სიცილი გაისმა.

— მერედა, ვის რაში სჭირდება ეს უსარგებლო შრომა? ახალი ჯებირი ხომ ძველზე მაღალი არ იქნება! — წამოიძახა ვიღაცამ, — აი, ძველი ჯებირი კი, რამდენადაც ვიცი, უკვე ოცდაათ წელზე მეტია დგას და გვემსახურება!

— სწორია, — დაეთანხმა ჰაუკე, — ძველი ჯებირი უკანასკნელად ოცდაათი წლის წინათ შეანგრია ზღვამ, მანამდე რომ ჯებირი იდგა, იგი ოცდათხუთმეტ წელიწადს გვემსახურა, კიდევ უფრო ადრე აგებული — ორმოცდახუთ წელიწადს. ახლანდელი ჯებირი გამძლეობით ვერ დაიკვეხნის: მართალია, ოცდაათი წელია დგას, მაგრამ მეტისმეტად ციცაბოდ ეშვება ზღვაში და ჩვენი ბედი, რომ ამ ხნის განმავლობაში ძლიერი შტორმები არ ყოფილა ზღვაზე. აი, ახალი ჯებირი კი, დიდი ქარიშხალიც რომ იყოს, ორ-სამ საუკუნეს მაინც გაძლებს, რადგან ზღვის მხარეს ირიბი დაქანება ექნება, და ტალღებსაც უფრო იოლად დაამდორებს. ასე ამრიგად, ამ ჯებირის წყალობით კარგა დიდ გაყოლება მიწას წავართმევთ ზღვას და ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ მოვიხმართ. ეს აზრი თქვენც უნდა მოგეწონოთ. სწორედ ამიტომაა, რომ მთავარი ზედამხედველი და სხვა ბატონებიც ჩემს ჰკუაზე დაღიან.

შეკრებილთაგან ერთხანს ხმა არავის ამოუღია, შემდეგ სკა-

მიდან გაჭირვებით წამოდგა ერთი მხცითმოსილი მოხუცი. ეს კაცი გახლდათ ფრაუ ელკეს ნათლია, იევე მანერსი, რომელიც თავის თანამდებობაზე ჰაუკეს თხოვნით დარჩა.

— ზედამხედველო ჰაუკე ჰაიენ, — დაიწყო მან, — ბევრი საფიქრალი გაგვიჩინე. ამ საქმეს ხარჯიც დიდი მოჰყვება. კარგი კი იქნებოდა ჯერ უფალს მიებარებინა ჩემი სული და ეს ამბავი მერე წამოგეწყო, მაგრამ რაც ილაპარაკე, ყველაფერში მართალი ხარ, უგნური უნდა იყო კაცი, ეს რომ ვერ გაიგო. დღემუდამ მადლობას უნდა ეწირავდეთ ღმერთს, რომ ჩვენი წელანგარობის მიუხედავად, აბობოქრებულმა ზღვამ ძვირფასი მიწა ხელიდან არ გამოგვაცალა. ახლა კი, ბარე ტერთმეტი საათია იმაზე ვდავობთ, მოვიშველიოთ თუ არა ჩვენი ცოდნა, რათა საკუთარი თავი თვითონვე დავიცვათ და ბოროტად არ გამოვიყენოთ ღვთის დიდსულოვნება. მე, ჩემო მეგობარო, მოხუცი ვარ, ჯებირების შენებასაც შევსწრებივარ და ნგრევასაც. მაგრამ იმ ჯებირის დანგრევას, ჰაუკე ჰაიენმა ღვთის ნებითა და სურვილით რომ დააპროექტა და უფროსებთან გაიტანა, ვერც ერთი თქვენგანი ვერ მოესწრება. თქვენგან თუ არ ელირსა ამ კაცს მადლობის სიტყვა, დრო მოვა, თქვენი შვილიშვილები მაინც შეამკობენ დიდების გვირგვინით.

იევე მანერსი ისევ დაჯდა, ჯიბიდან ლურჯი ხელსახოცი ამოიღო და გაოფლილი შუბლი მოიწმინდა. ამ კაცს გონიერისა და სამართლიანი ადამიანის სახელი ჰქონდა დაგდებული და, მიუხედავად იმისა, რომ იქ შეკრებილნი არ აპირებდნენ მხარი დაეჭირათ მისთვის, ამჯერად აღარაფერი თქვეს.

ახლა ისევ ჰაუკე ჰაიენმა ითხოვა სიტყვა. შეკრებილთაგან ყველამ შეამჩნია, რომ ზედამხედველს პირისახე გაფითრებოდა.

— მადლობელი ვარ თქვენი, იევე მანერს, — უთხრა მან მოხუცს, — მადლობელი ვარ იმის გამოც, რომ ასეთი სიტყვა წარმოთქვით. თქვენ კი, ბატონებო, უნდა გითხრათ, რომ ახალი ჯებირის მშენებლობის საქმე ისევ მე დამაწვება კისერსე. ამასთანავე ბრძანებას ველარ შევცვლით და ახლა უკეთესია ის მოვითათბიროთ, რა გაკეთდეს და როგორ.

— დაიწყეთ! — წარმოთქვა ერთ-ერთმა ნდობით აღჭურვილმა და ჰაუკემაც მაგიდაზე ახალი ჯებირის ნახაზი გაშალა.

— წელან იკითხეს, — დაიწყო ჰაუკემ, — ამდენი მიწა სა-

დან შოვიტანოთო? მოგეხსენებათ, რომ ჯებირიდან ზღვის პირამდე მიწის ზოლია დარჩენილი. მშენებლობისათვის სწორედ ამ მიწას გამოვიყენებთ. მოაჯირის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ნაკვეთებიდანაც მოვზიდავთ მიწას, კარგი თიხა თუ დაგვჭირდა, არც იმის შოვნა გაგვიჭირდება, ქვიშასაც გამოვიყენებთ. ახლა პირველ რიგში მიწისმზომელი უნდა გამოვნახოთ — ახალი ჯებირის ხაზს მონიშნავს ნაპირზე. ამ საქმეში, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ ის გამოდგება, ვინც პროექტის შედგენაში მომეხმარა. ამას გარდა, თიხისა და სხვა მასალის ჩამოსაზიდად რამდენიმე ხელნიანი თვითმცლელი ურემი უნდა გავაკეთებინოთ ოსტატებს. სადინარის გადასაღობად და შიდა ჯებირის ამოსაყვანად სილასთან ერთად ნამჯაც დაგვჭირდება. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, მშენებლობისათვის რამდენი ურემი იქნება საჭირო; შესაძლოა, იმაზე მეტი დაგვჭირდეს, რასაც მარშებზე მოვუყრით თავს. ჰოდა, მოდით, ახლა პირველ რიგში ის მოვიფიქროთ, სად ვიშოვოთ ეს ყველაფერი და როგორ მოვზიდოთ. ამას გარდა, დასავლეთით რაბის გაკეთება ვინმე კარგ ხელოსანს უნდა მივანდოთ.

შეკრებილები მაგიდასთან მივიდნენ, ცალი თვალით გაშლილ რუკას დახედეს და როგორც იქნა ალაპარაკდნენ. თუმცა, ეტყობა, მხოლოდ იმიტომ ამოიდგეს ენა, რომ უხერხული იყო გაჩუმება, — რამე ხომ უნდა ეთქვათ. როცა საქმე მიწისმზომელის მოწვევაზე მიდგა, ერთმა ახალგაზრდა ნდობით აღჭურვილმა შენიშნა:

— ეს ყველაფერი თქვენი წამოწყებულია, ზედამხედველო, თქვენ ისიც უკეთ გეცოდინებათ, თუ ვის უნდა მივანდოთ ეს საქმე.

ჰაუკე არ დაეთანხმა:

— იაკობ მაიენ, რაკილა ფიცი გაქვთ დადებული, ამიტომ თქვენი საკუთარი აზრი უნდა გამოთქვათ და არა ჩემი გაიმეოროთ, ხოლო თუკი თქვენი მოსაზრება უპრიანი იქნება, მე ჩემსას ხელად შევცვლი.

— რასაკვირველია, ასე ჯობს, — მიუგო ახლა იაკობ მაიენმა.

მაგრამ ერთ მოხუც რწმუნებულს ასეთი წინადადება ჰკუაში არ დაუჯდა. ჩემი ძმისწულისნაირი მიწისმზომელი მარშებზე ჯერ არ გვყოლია, — თქვა მან. — ჩვენი ზედამხედველის

მამაზე, აწ განსვენებულ ტედე ჰაიენზე უკეთ იცის თავისი საქმე. მერე სხვა მიწისმზომელი დაასახელეს და კამათიც დაიწყო. ვერაფრით შეთანხმდნენ ორი მიწისმზომელიდან რომელი შეერჩიათ. ბოლოს გადაწყვიტეს ორივესათვის მიენდოთ საქმე.

ასეთივე საკამათო გახდა ურმების საქმეც, ნამჯის შოვნაც და დაქანცული ჰაუკე გვიან ღამით დაბრუნდა შინ. ჯერჯერობით ისევ თავის წაბლაზე იჯდა ხოლმე, თეთრონი კი თავლაში ჰყავდა. როგორც კი ჰაუკე ძველ სავარძელში ჩაეშვა, ღირსეული, მაგრამ უდარდელი წინამორბედისაგან რომ დარჩა ოჯახში, ცოლი გვერდით ამოუდგა.

— ძალზე დაღლილი ჩანხარ, ჰაუკე, — მიმართა მეუღლეს და თავისი თხელი ხელით შუბლზე ჩამოყრილი თმა გადაუწია.

— ჰო, ცოტა დავიღალე, — მიუგო ჰაუკემ.

— როგორ მიდის საქმე?

— პირი აეწყო, — მწარე ღიმილით შენიშნა მან. — მაგრამ ჯარა მე უნდა ვაბრუნო და იმაზეც მადლობელი უნდა დავრჩე, რომ ხელი არ შემიშალეს.

— კი მაგრამ, ყველა ხომ არ შეგიშლის ხელს!

— არა, ელკე, ნათლიაშენი იევე მანერსი კარგი კაცია. ნეტა ოცდაათი წლით ახალგაზრდა იყოს.

— · —

როცა რამდენიმე კვირის შემდეგ ჯებირის ადგილი მონიშნეს და ურმებიც გამოიძებნა, ჯებირის ზედამხედველმა ფუნდუკში შეკრიბა მიწების მომავალი მფლობელებიც და ძველი მიწის მეპატრონენიც. სამუშაოსა და ხარჯების განაწილების გეგმა უნდა განეხილათ, ყოველივე აეწონ-დაეწონათ და თავთავისი სათქმელი ეთქვათ. ახალი ჯებირის მშენებლობაში იმ ხალხსაც უნდა შეეტანა წვლილი, ვისაც ახლანდელი ჯებირის პირას ნაკვეთები ჰქონდა, რადგან ახალი ჯებირი და არხები უკვე არსებული ნაგებობების შესანახ ხარჯებსაც ამცირებდნენ. ეს გეგმა ჰაუკეს დიდი შრომის ფასად დაუჯდა, და მთავარ ზედამხედველს მისთვის შიკრიკის გარდა მწერალიც რომ არ დაეხმარებინა, გეგმას ასე მალე მაინც ვერ გაართმევდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეზე იყო გადამკვდარი. ახლა, როცა დაღლილ-დაქანცული ჰაუკე თავის სავანეს მიაღ-

წევდა, მეუღლეს უწინდებურად თავის მომძინარება აღარ სჭირდებოდა: მუშაობა იმდენ ძალ-ღონეს ართმევდა, ღამე მკვდარივით ეძინა ხოლმე.

ჰაუკემ შეკრებილ თავისი გეგმა გააცნო და მაგიდაზე გა-შალა ნახაზები, რომლებიც მანამდე სამი დღის განმავლობაში ყველას დასანახად ფუნდუკში იყო გაკრული. აქ დამსწრეთაგან ზოგიერთი პატივისცემით უყურებდა ამ კეთილსინდისიერად შესრულებულ სამუშაოს და გეგმის გულდადინჯებული გან-ხილვის შემდეგ ემორჩილებოდნენ საკითხის ასე სამართლი-ანად გადაწყვეტას, მაგრამ სხვები, რომლებსაც თავიანთი წილი ახლადშემოსამიჯნ მიწაზე ან თვითონ გაეყიდათ, ან მათ ბიძა-პაპას, უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ, — გვაიძულებენ იმ მარშისთვის გავწიოთ ხარჯი, რომელიც ჩვენ არ გვჭირდებაო. ამ ხალხს ისიც არ ესმოდა, რომ ახალი სამუშაოების წყალო-ბით მათი ძველი ნაკვეთები თანდათანობით გათავისუფლდე-ბოდა გადასახადებისაგან. ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებსაც, მართალია, წილიც ერგოთ, მაგრამ მაინც ყვიროდნენ — უარს ვიბობთ ჩვენს ნაკვეთებზე, ახალ ბეგარას ვერ ავუვალთ და მზად ვართ ჩალის ფასად გავყიდოთო, ოლე პეტერსმა კი, რომელიც გაბოროტებული სახით კარის წირთხლს მიყრდნო-ბოდა, კბილებში გამოსცრა:

— ჯერ გონს მოეგეთ და ჩვენს ზედამხედველს ნდობა ისე გამოუცხადეთ! მაგას ანგარიში არ ეშლება. ჰაუკემ უკვე ჩა-იგდო ხელში ნაკვეთების მეტი ნაწილი, ჩემიც წამართვა და ახლა ამ ნაკვეთების ჯებირით დაცვა გადაწყვიტა.

ამ სიტყვების შემდეგ სამარისებური დუმილი ჩამოვარდა, ზედამხედველი იმ მაგიდასთან იდგა, სადაც წეღან ქაღალდები ჰქონდა გაშლილი. მერე თავი აიღო და ოლე პეტერსს თვალი თვალში გაუყარა.

— ოლე პეტერს! კარგად იცი, ცილსა მწამებ, მაგრამ შენსას მაინც არ იშლი. დარწმუნებული ხარ, იმ ლაფის ნაწილი მაინც შემრჩება, რასაც მასხამ. სიმართლე ის არის, რომ შენ თავად არ გინდოდა შენი ნაკვეთი, მე კი ამ დროს ჩემი ცხვრის-თვის საძოვარს ვეძებდი. ესეც იცოდე: ერთხელ, ფუნდუკში, ბილწი სიტყვები წამოროშე, ზედამხედველად ცოლის წყა-ლობით დააყენესო. აი, ახლა მინდა დაგიმტკიცო, რომ ნამდვი-ლად ვარ ამ ადგილის ღირსი. რასაც ახლა ვაკეთებ, ჩემამდე

უნდა გაეკეთებინათ, შენ კი იმის გამო ხარ დაბოღმილი, რომ შენი მიწის ნაკვეთები მე ვიყიდე. ტყუილად ბრაზობ, თავადაც ხომ გაიგონე, რამდენს უნდა თავისი ნაკვეთის გაყიდვა, ოღონდაც სამუშაოს აარიდოს თავი.

შეკრებილთა ერთი ნაწილი მოწონების ნიშნად შეძახილებით შეხვდა ჰაუკეს პასუხს, იქვე მდგომმა იეეე მანერსმა კი ხმამაღლა წამოიძახა:

— ყოჩაღ, ჰაუკე ჰაიენ! ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

მაგრამ ბჭობა ამით არ დამთავრებულა. ეს კია, ოლე ჰეტერსს მუცელში ჩაუვარდა ენა. ხალხი ვახშმობისას დაიშალა.

მეორედ რომ შეიკრიბნენ, ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ისიც მას შემდეგ, რაც ჰაუკემ სამის ნაცვლად ოთხი ფორნის გამოყვანა ივალდებულა.

ბოლოს, როცა სამების დღესასწაულზე ზარებს ჩამოჰკრეს, ჯებირის მშენებლობაც დაიწყო. სანაპირო ზოლიდან უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ფორნები იმ ადგილისაკენ, სადაც ჯებირი უნდა აგებულიყო, ყრიდნენ მიტანილ თიხას და ისევ დაწალიკებით ბრუნდებოდნენ უკან. მოტანილ თიხას მუშები ბარებითა და ნიჩბებით მიადგებოდნენ, ამოავსებდნენ თხრილებს, გაავაკებდნენ. მოჰქონდათ ნამჯისა და ჭილის უზარმაზარი ბულულებიც. ნამჯა-ჭილს მსუბუქი საშენი მასალისათვის იყენებდნენ — ქვიშასა და ფხვიერ მიწაში ატანებდნენ; ასეთი მასალით უნდა ამოეყოთ ჯებირის შუაგული. ნელ-ნელა დამთავრდა ჯებირის ცალკეული მონაკვეთები, რომელთა თავზე მოლაგებულ ბელტებს მეტი გამძლეობისთვის ალაგ-ალაგ ჭილოფებში გამოახვევდნენ ხოლმე. საგანგებოდ გამოყოფილი ზედამხედველები წინ და უკან დარბოდნენ და როცა ამოვარდნილი ქარიშხალი ყურთასმენას დაახშობდა, ბრძანებებს ყვირილით გადასცემდნენ. დროდადრო თეთრონზე ამხედრებულ ზედამხედველსაც შეამჩნევდით, ახლა იგი თეთრონზე იჯდა ხოლმე. როცა პატრონი მოკლე-მოკლე ბრძანებებს გასცემდა, შეაქებდა მუშებს ან ზარმაცსა და უგერგილოს შეუბრალებლად გააძევებდა სამუშაოდან, — არც ეს ხდებოდა იშვიათად, — ცხენი ფრთაშესხმულივით დაჰქროდა აქეთ-იქით.

— აქ აღარ დაგინახო! — შესძახებდა ხოლმე ასეთ დროს. — შენი გულისთვის ჯებირს არ გავაფუჭებთ!

როგორც კი შორიდან თეთრონის ფრთხვინვა შემოესმოდათ, მუშები საქმეს ეცემოდნენ:

— აბა, რას უდგეხართ, გაინძერით, თეთრცხენიანი მხედარი მოდის!

როცა დილით წასახემსებლად მუშები მიწაზე ჯგუფ-ჯგუფად მისხდებოდნენ, ჰაუკე ცხენით მოივლიდა სამუშაო უბნებს და მისი მახვილი თვალი უმალ შეამჩნევდა ხოლმე უხეირო ნახელავს. მერე უკან მიბრუნდებოდა მუშებთან და კიდევ ერთხელ ეტყოდა ყველას, ასე და ასე უნდა იმუშაოთო. მუშები უსმენდნენ და მოთმინებით ღეჭავდნენ ლუკმას, მაგრამ ზედამხედველის თანდასწრებით თავიანთ აზრს არ გამოთქვამდნენ.

ერთხელ, ასეთი შემოვლის დროს, კარგა მოდღევებული იყო უკვე, ჰაუკე ისეთ ნამუშევარს წააწყდა, წუნს ვერ უპოვიდი. ზედამხედველი მუშებისაკენ გაემართა. თეთრონიდან ჩამოხტა და კმაყოფილმა იკითხა, ასე კეთილსინდისიერად ვინ იმუშავაო. მუშები ჩუმად საუბრობდნენ, კოპები შეეკრათ და ზედამხედველს დამფრთხალი თვალებით უყურებდნენ. მერე ძლივს ამოღერღეს რამდენიმე კაცის სახელი. ერთ-ერთი მუშა თეთრონის აღვირს ორივ ხელით ჩასჭიდებოდა და შეშფოთებით შესცქეროდა პირუტყვის მშვენიერ თვალებს. თეთრონი ბატკანივით მშვიდად იდგა და ჩვეულებისამებრ თვალს არ აცილებდა პატრონს.

— რა დაგემართა, მარტენ! რამ გაგაშეშა? — ჰკითხა ჰაუკემ.

— შეხედეთ, ბატონო, თქვენს ცხენს, ისეა გატრუნული, გეგონება ავი ზრახვა აქვსო გულში!

ჰაუკეს გაეცინა და მუშას აღვირი ჩამოართვა. ცხენი მაშინვე გახალისდა და ჰაუკეს მხარზე გაუსვა თავი. ზოგი მუშა შემკრთალი შესცქეროდა ცხენსა და მის პატრონს, ზოგი კი, თითქოს არაფერი ენაღვლებაო, ჩუმად ილუკმებოდა და დროდადრო ნამცეცებს უყრიდა თოლიებს, რომლებსაც საკენკი შეემჩნიათ და ისე ახლოს ჩამოიფრენდნენ, ლამის ფრთებით შეხებოდნენ მუშებს. ზედამხედველმა ერთხანს ანგარიშმიუცემლად უყურა სამათხოვროდ მოფრენილ თოლიებს, ჰაერშივე რომ იჭერდნენ საჭმლის ნარჩენებს, შემდეგ ცხენს მოახტა და იქაურობას ისე გაეცალა, უკან არ მოუხედავს.

მაგრამ მუშების ხმამაღლა ნათქვამი მაინც გაიგონა. მათი სიტყვები დაცინვად ენიშნა.

„რას ნიშნავს ეს? — ეკითხებოდა ჰაუკე თავის თავს. — ნუთუ მართალი იყო ელკე, როცა მეუბნებოდა, ყველანი გადაგიდგებიანო! ნუთუ მაინც შემაქციეს ზურგი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალი ჯებირის წყალობით ხელსაც მოითბობენ?“

ზედამხედველმა ცხენს დეზები ამოჰკრა და თეთრონიც გახელებით დაეშვა ველზე. ჰაუკემ არაფერი იცოდა იმ ავყია ჭორებზე, მოსამსახურე ბიჭმა რომ დაუყარა. ისე კი, ხალხს სწორედ ახლა უნდა დაენახა, როგორ უბრწყინავდა გამხდარ სახეზე ანთებული თვალები, როგორ დაუზოგავად მიაჭენებდა თავის თეთრონს, როგორ უფრიალებდა ქარი მოსასხამს.

...ასე გაიარა ზაფხულმა და შემოდგომამ. ნოემბრის ბოლომდე იმუშავეს, შემდეგ ყინვები დაიჭირა, თოვლი მოვიდა და მუშაობა ვეღარ გააგრძელეს. რვა ფუტის სიმაღლეზე ამოყვანილი ჯებირი ვერ დაასრულეს და გადაწყვიტეს დროებით ხელი აეღოთ ყველაფერზე. დასავლეთით, სადაც შემდგომში რაბი უნდა გაეკეთებინათ, თავისუფალი ადგილი დატოვეს. არც იმ სადინარისათვის უხლიათ ხელი, ძველი ჯებირის წინ რომ იყო გაჭრილი. ამრიგად ზღვის ტალღებს, ისევე როგორც ამ ოცდაათი წლის მანძილზე, კვლავ შეეძლო ახალი ჯებირის გადმოლახვა, მაგრამ დიდ ზარალს ვეღარავის ვერ მიაყენებდა. ასე ღვთის ანაბარად მიატოვა ადამიანმა ჯებირი, მიატოვა თავისი ნამუშევარი იმ იმედით, რომ გაზაფხულზე ისევ გააგრძელებდა საქმეს და ჯებირსაც დაამთავრებდა.

...ამასობაში ზედამხედველის ოჯახში სასიხარულო ამბავი მოხდა: ჭორწინების მეცხრე წლისთავზე ელკეს შვილი შეეძინა. ბავშვი წითელი და სახედანაოჭებული დაიბადა, შვიდ გირვანქას იწონიდა. ასეა ხოლმე, როცა ახალდაბადებული მდედრობითი სქესისაა. ეგ კი იყო, ჩვილი ყრუდ ჩხაოდა და ბებიაჭალს ეს ამბავი არ მოეწონა. მაგრამ ყველაზე ცუდი მაინც ის გახლდათ, რომ მშობიარობიდან მესამე დღეზე ელკეს ციებცხელება დაეწყო, ვეღარც ქმარს სცნობდა, ვეღარც მოხუც ბებიაჭალს. ბავშვის გაჩენით გამოწვეული უსაზღვრო სიხარული ჰაუკეს მწუხარებად შეეცვალა. ქალაქიდან მოყვანილი ექიმი ავადმყოფს საწოლთან უჯდა, მაჯას უსინჯავდა, წამლებს აძლევდა და თვალებს უმწეოდ აცეცებდა. ჰაუკემ თავი გადააქნია და თავისთვის გაიფიქრა: „ღმერთმა თუ არ მოინდომა,

არაფერი ეშველებაო". ღრმად სწამდა ეს, მაგრამ რაღაც აჩერებდა თითქოს, ვერა და ვერ გაებედა ლოცვა. როცა მოხუცი ექიმი ქალაქში გაბრუნდა, ჰაუკე ფანჯარასთან მიდგა, ზამთრის სურათებს გასცქეროდა, თან ავადმყოფის ბოდვას უგდებდა ყურს. უცებ გულხელი დაიკრიფა, მაგრამ თვითონაც ვერ გაეგო, ლოცვას აპირებდა თუ ასე უძალიანდებოდა საშინელ სასოწარკვეთილებას.

— წყალი! წყალი! — წამოიკვნესა ავადმყოფმა და უცბად აყვირდა: — დამიჭირე, დამიჭირე, ჰაუკე! — მერე ხმას დაუწია, აქვითინდაო თითქოს — ზღვაში, ზღვაში, ღმერთო ჩემო, ვერასოდეს ველარ ვიხილავ!

ჰაუკე ავადმყოფთან მივიდა და მომველელი ქალი იქაურობას გაარიდა. მერე საწოლის წინ მუხლებზე დაეცა და ცოლი გულზე მიიხუტა:

— ელკე! ელკე! გამომხედე, შენი ჰირიმე. ეს ხომ მე ვარ!

ქალმა სიცხიანი თვალები გაახილა და განწირული მზერა შეავლო ოთახს.

ჰაუკემ კვლავ ბალიშზე მიასვენა მეუღლე.

— ღმერთო! ნუ წამართმევ მის თავს, — ხელების მტერევით წამოიძახა მან, — ხომ იცი, რომ ვერ გავძლებ უიმისოდ. — მერე, თითქოს გონს მოეგოო, ისევ განაგრძო: — კარგად ვიცი, ყოველთვის არც შენ შეგიძლია შენი ნება-სურვილის მიხედვით იმოქმედო, ჰო, არც შენ შეგიძლია, მაგრამ ბრძენთა-ბრძენი შენა ხარ და სიბრძნეც შენ მოგეკითხება. ...ო, ზეციერო, შეისმინე ჩემი, მანიშნე რამე!

უეცრად თითქოს სამარისებური მდუმარება გამეფდაო. ჰაუკეს სმენას მშვიდი სუნთქვის ხმა მოსწვდა. ლოგინისკენ რომ შებრუნდა, დაინახა, ცოლს მშვიდად ეძინა, მომველელი ქალი კი შეძრწუნებული შესცქეროდა ჰაუკეს. მერე კარი გაჭრიალდა და ჰაუკემ იკითხა:

— ვინ იყო?

— მსახური იყო, ანა გრეტე, სათბურა შემოიტანა.

— რა დაბნეულ შემომყურებთ, ფრაუ ლევკე?

— მე? თქვენმა ლოცვამ შემაკრთო. ასეთი ლოცვით სიკვდილისგან ვერავის დაიხსნით!

ჰაუკემ თვალი თვალში გაუყარა ქალს.

— იმ ჩვენი ანა გრეტეს მსგავსად თქვენც ჰოლანდიელ

მკერავ ანტიესთან ხომ არ დადიხართ საიდუმლო შეკრებებზე?

— დიახ, ბატონო. ჩვენ ორივენი ცოცხალი რწმენის მიმდევრები ვართ. — ჰაუკემ არაფერი უპასუხა. იმ ხანობას მეტად გავრცელებულმა სეპარატისტულმა მოძრაობამ* ფრიზლანდიაშიც გაიდგა ფესვები. ამ მოძრაობის გავრცელებას გაღატაკებულმა ხელოსნებმა და ლოთობის გამო გადაყენებულმა მასწავლებელმა შეუწყვეს ხელი. მსახური გოგოები, მოხუცი თუ ახალგაზრდა ქალები, წელანგარა თუ მარტოხელა კაცები სიამოვნებით გარბოდნენ იმ საიდუმლო შეკრებაზე, სადაც თითოეულ მათგანს შეეძლო სულიერი მამისათვის წაებაძა. ზედამხედველი ფიქრობდა, რწმენის საკითხში ჩარევა არ შეიძლება, რწმენას არავისთვის არ მოაქვს ზიანი და სამიკიტნოში ჯდომას ისევ იქ ყოფნა სჯობიაო.

ეს ამბავი მაშინ ამით დასრულდა. ჰაუკეს ამჯერადაც არაფერი უთქვამს, მაგრამ თვითონ მასზე გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. ყველამ გაიგო, ჰაუკე ასე და ასე ლოცულობს, ღვთის ყოვლისშემძლეობაში ეჭვი შეიტანაო. ასე ამბობდნენ, რაღაა ღმერთი, თუ ყოვლისშემძლე და ყოვლისშემქმნელი არ იქნებაო? ხოლო, რაკი ზედამხედველს მის სიძლიერეში ეჭვი ეპარება, ესე იგი არა სწამს და ღვთისმგმობელიც ეგ არისო. აკი თქვეს კიდეც, ჰაუკეს ცხენი ავი სულის ნაშიერიაო.

ჰაუკეს არც ეს მითქმა-მოთქმა გაუგია. იმ დღებში ცოლის გარდა არაფერი ადარდებდა, ბავშვიც კი გადაავიწყდა.

მოხუცი ექიმი თითქმის ყოველდღე მოდიოდა, ზოგჯერ დღეში ორჯერაც მოინახულებდა ავადმყოფს. ერთხელ მთელი ღამე ავადმყოფთან გაატარა, წამალი გამოუწერა და მოჯამაგირე ივენ იონსი წამლის მოსატანად აფთიაქში აფრინა. მოგვიანებით ექიმს სახე გაუნათდა და ზედამხედველს ხალისიანად დაუქნია თავი:

— ღვთის მადლით, მგონი, ეშველა, ავადმყოფს ახლა აღარაფერი უშავს.

ვინ იცის, ექიმის ხელოვნებამ გაიმარჯვა, თუ ჰაუკეს ლოცვამ ჰქნა, ღმერთმა საქაოსკენ მოაბრუნა ელკე. ეს კია, ავადმყოფთან მარტოდდარჩენილმა ექიმმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღიმა და ელკეს უთხრა:

— ახლა დამშვიდებით შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ექიმის დღეობაა. ძალზე ცუდად იყავით, მაგრამ ამჟამად ისევ ჩვენთან, ცოცხლებთან ხართ!

დაბინდულ თვალებში ქალს სინათლის სხივი ჩაუდგა:

— ჰაუკე, ჰაუკე, სად ხარ? — დაიძახა ელკემ და როცა ოთახში ჰაუკე შემოვარდა, მერე კი ცოლის ლოგინთან ჩაიჩოქა, ელკე კისერზე შემოეხვია მეუღლეს.

— გადავრჩი, ჩემო ჰაუკე! კვლავ შენს გვერდით ვიქნები!

მოხუცმა ექიმმა ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლი და ლოყები შეიწმინდა, ორივეს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

...მესამე დღეს, საღამოთი, ჰოლანდიელ მკერავთან ერთი ღვთისმოსავი ქადაგებდა. ეს კაცი ზედამხედველის მიერ სამუშაოდან გაძევებული ხარაზი გახლდათ. იგი ღვთის არსს განუმარტავდა შეკრებილთ:

— განა ვის ეპარება ეჭვი ღვთის ძლევამოსილებაში, განა ვინ ამბობს: „ყოველთვის არც შენ შეგიძლია შენი ნება-სურვილის მიხედვით იმოქმედო“, ყველამ ვიცით, ვინცაა ეს უბედური. ეს კაცი მთელ თემს არცხვენს, ღმერთს განდგომია და ღვთის მტერთან ეძებს სასოებას, ცოდვაში უდგას ფეხი, გულსაც თავისი ცოდვებით იოხებს, რამეთუ ხორციელ ძეს სჭირდება მეოხე. თქვენ კი, უნდა განერიდოთ ისეთ კაცს, ვინც ასე ლოცულობს, რამეთუ ასეთი ლოცვა გმობაა ღვთისა.

...ღვთისმოსავის ქადაგებამ ყველა ოჯახი მოიარა — რა დაიმალება პატარა თემში. ამ ამბავმა ჰაუკეს ყურამდეც მოაღწია, მაგრამ ცოლისთვის არაფერი უთქვამს, არც ერთი სიტყვა. ეგ იყო, დროდადრო გულში ჩაიკრავდა ხოლმე მეუღლეს და ეტყოდა:

— ჩემი ერთგული იყავ, ელკე! არ მიღალატო!

ქალი გაოცებით შეაცქერდებოდა:

— შენი ერთგული? მაშ ვისი ერთგული ვიქნები?

მაგრამ დიდხანს არ გაუვლია და ერთ დღესაც ქალი მიხვდა, რას გულისხმობდა ქმარი.

— ჰო, ჰაუკე, ერთმანეთის ერთგულნი უნდა ვიყოთ, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთი გვჭირდება, — ეტყოდა ხოლმე ქალი. შემდეგ ორივენი ისევ სამუშაოს ეძალებოდნენ.

ამას რა უშავდა, მთავარი სხვა იყო. მიუხედავად იმისა, რომ დღედაღამ მუშაობდნენ და ჰაუკეც მთელ დღეს ხალხთან ერთად ატარებდა, მაინც მარტოდ გრძნობდა თავს. ამიტომ

იყო, რომ თანდათან გაკერპდა და ბოლოს სულ განუდგა ადამიანებს. ცოლს ძველებურად ეპყრობოდა, დილა-საღამოობით ბავშვის აკვანთან მოიყრიდა მუხლს და ისე ეფერებოდა, თითქოს ის იყო მისი მარადიული სასოება. აი, მუშებს კი უკვე უმოწყალოდ ექცეოდა, ზარმაცსა და მოუხეშავს, ვისაც უწინ საყვედურს თუ ეტყოდა მხოლოდ და საქმის უკეთ გაკეთებას ასწავლიდა, ახლა უყვიროდა კიდეც. ამასობაში ელკე მთლად გამოჯანმრთელდა.

— · —

გაზაფხული რომ მოახლოვდა, ჯებირის მშენებლობა განახლდა. დასავლეთით, იქ სადაც ახალი რაბი უნდა გაეკეთებინათ, ცარიელი ადგილი ნახევარმთვარის ფორმის დამხმარე ჯებირით შემოზღუდეს. რაბის მსგავსად მთავარი ჯებირიც სწრაფად ამოყავდათ. ზედამხედველს საქმეში მაინც არ უგრძვნია შეღავათი, რადგან ზამთარში გარდაცვლილი იევე მანერსის ადგილზე ახლა ოლე პეტერსი აირჩიეს. ჰაუკეს არც უცდია ამ საქმის ჩაშლა, მაგრამ თუკი უწინ ელკეს მოხუცებული ნათლია გაამხნევებდა ხოლმე და მხარზე მეგობრულად მოუთათუნებდა ხელს, ახლა ოლე პეტერსთან უნდა დაეჭირა საქმე. ჰაუკე ხშირად გრძნობდა იევე მანერსის შემცვლელის ურჩობას, დროდადრო სულ უმნიშვნელო წვრილმანის გამოც ეკამათებოდნენ ერთმანეთს. პეტერსი ყველაფერში ედავებოდა, რადგან ჯებირის მშენებლობისა ოლეს არაფერი გაეგებოდა, თანაც, „მწერლუკა“ ჰაუკეს მიმართ თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი.

მარშის ველ-მინდვრებსა და ზღვას კვლავ კაშკაშა ზეცა დაჰფენოდა. საძოვრებზე ჯიშიანი საქონელი გამოიშალა და აქ გამეფებულ მდუმარებას დროდადრო მათი ბღავილი თუ დაარღვევდა ხოლმე. ცაში შეუსვენებლად გალობდნენ ტოროლები, მაგრამ მათი სტვენა ადამიანებს მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდათ, როცა მგალობლები წამით დადუმდებოდნენ. კარგი ამინდი ხელს უწყობდა ჯებირის მშენებლობას და სულ მალე ჯერ შეუღებავი რაბის ნაგებობაც წამოიჭიმა. დამხმარე ჯებირი ერთი ღამითაც არ დასჭირვებიათ, ეტყობა, ახალ ჯებირს მოწყალე თვალით უცქერდა მაღალი ღმერთი. ელკესაც თვალები უციმციმებდა, როცა თეთრონზე შემომჯდარი ქმარი შინ დაბრუნდებოდა ხოლმე.

— ო, მართლაც სანაქებო მერანი დამდგარხარ, — ეტყოდა ხოლმე ელკე ცხენს და მბზინავ კისერზე ხელს მოუთათუნებდა.

ჰაუკე ცხენიდან ჩამოხტებოდა და ნამცეცა ბავშვს ხელში აათამაშებდა. ხოლო როცა თეოდორონი თავის ყავისფერ თვალებს პატარას მიაპყრობდა, ჰაუკე ცხენს მიუბრუნდებოდა ხოლმე: „მოდი, შენც გერგოს პატივი!“ პატარა ვინკეს — ასე მონათლეს ბავშვი — უნაგირზე შესვამდა და თეოდორონს ბორცვის ირგვლივ შემოატარებდა. ზოგჯერ „პატივი“ ბებერ კოპიტსაც მიხვდებოდა: ჰაუკე ტოტზე შესვამდა ბავშვს და დაარწევდა ხოლმე. დედა კარის სიოში ჩადგებოდა და სახეგაბრწყინებული შესცქეროდა თეოდორონზე შემოსკუპებულ ვინკეს, მაგრამ კოპებშეკრული ბავშვი ერთხელაც არ გაიღიმებდა. თავის ჩლუნგ თვალებს, რომელთა შუა პაწაწინა ცხვირი ამოზრდოდა, უაზროდ მიაპყრობდა სივრცეს და მამას ჯოხიც რომ გაეწოდებინა მისთვის, ვინკე ხელსაც არ გაანძრევდა. ჰაუკე ამ ამბავს ყურადღებას არ აქცევდა, შეიძლება პატარა ბავშვისა არაფერი გაეგებოდა, აი, ელკე კი, როცა შინამოსამსახურე ქალი ვინკეს კბილა თვალებჟუჟუნა გოგონას აიყვანდა ხელში, გულისტკივილით იტყოდა ხოლმე:

— ჩემი გოგონა ეგრე ვერ იზრდება, შტინა, როგორც შენი.

შინამოსამსახურე თავის მეორე ბავშვს, კალთაზე ხელჩაჭიდებულ ბუთხუზა ბიჭს სიყვარულით შეანჯღრევდა და ელკეს ეტყოდა:

— ჰო, ქალბატონო, ბავშვები სხვადასხვა ბუნებისა იბადებიან. აი, ეს ორი წლისაც არ იყო, როცა საკუჭნაოდან ვაშლი მოიპარა!

ელკე ხუჭუჭთმიან ბიჭს თავზე ხელს გადაუსვამდა და თავის ენაამოუდგმელ ბავშვს გულში ჩაიკრავდა.

...ოქტომბრის დამდეგს დასავლეთით რაბს უკვე ორივე მხრიდან მტკიცედ ამოსდგომოდა თხუთმეტი ფუტის სიმაღლის მთავარი ჯებირი, რომელიც მთელ სიგრძეზე ზღვისკენ იყო დაფერდებული. ჩრდილო-დასავლეთით ზღვის თავთხელი და იენვერსის კუნძული მოჩანდა. ეს კია, ამ ადგილებში ისეთი ქარი იცოდა, თმას ყალყზე დაგიყენებდა. როცა კი ვინმე აქეთ გამოუხვევდა, ქუდი ყურებამდე უნდა ჩამოეფხატა, რომ ქარს არ წაეღო.

ნოემბრის დამლევს, როცა წვიმები დაიწყო და შტორმი ამოვარდა, ის უშენი ადგილიდა უნდა ამოევსოთ მიწით, ძველსა და ახალ ჯებირს შორის რომ იყო დარჩენილი. ზღვა სწორედ აქედან თუ გაიჭრებოდა ახალ მიწებზე. მართალია, ამ ადგილის ამოვსება ზაფხულის მშრალ ამინდში უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ ახლა დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ეს ადგილი მაინც უნდა ამოევსოთ, რადგან ღელეის დროს წყალს შეიძლება ყველაფერი წაელეკა. ჰაუკე ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა. კოკისპირულად წვიმდა, ღმუოდა ქარი. მაგრამ შმაგ თეთრონზე ამხედრებული გამხდარი კაცი ხან აქ გამოჩნდებოდა, ხან იქ. გამოჩნდებოდა თუ არა, თეთრ ცხენსა და მის პატრონს ხელად გამოარჩევდით მუშებში, ღრუბლის შავი ქულებივით რომ შემოჯაროდნენ ჯებირის ჩრდილოეთ მხარეს. ახლა მხედარი ჯებირის ფუძესთან მიმდგარიყო, სადაც ფორნებით შორიდან მოტანილ თიხას ჰყრიდნენ. წვიმის შხუილსა და ქარის ზუზუნში დროდადრო ზედამხედველის შეძახილებიც ისმოდა ხოლმე. დღეს ბრძანებებს თავად გასცემდა. ერთიმეორის მიყოლებით იძახებდა ფორნებს და უდროოდ წინ გამოსულებს ადგილზე აჩერებდა.

— შეჩერდი! — შესძახებდა ზედამხედველი და მუშაობაც უმალ წყდებოდა. — ნამჯა, ერთი ურემი ნამჯა აქეთ! — დაიძახებდა ისევ, ხოლო როცა სველ თიხას ზემოდან ნამჯას დაყრიდნენ, მუშები თხრილს შეესეოდნენ და ნამჯას თანაბრად გაანაწილებდნენ ხოლმე. მერე თხრილიდან ზევით ასძახებდნენ: ფრთხილად ჩამოყარეთო — ეშინოდათ, ცოცხლად არ დაგვმარხონო აქ. მერე კვლავ მოადგებოდა ფორნები ჯებირს, ჰაუკე უკვე ზემოთ იყო და თეთრონზე შემომჯდარი ქვევით იყურებოდა, სადაც თიხას ყრიდნენ და ზედაპირს ასწორებდნენ.

აი ჰაუკე ისევ ჯებირის თავზე დგას და ზღვის სივრცეს გაჰყურებს. სუსხიანი ქარი უბერავს. ზედამხედველი ამჩნევს, რომ წყლის დონე თანდათან მაღლა იწევს. ამჩნევს, რომ მუშებს წურწურით ჩამოსდით წყალი და მძიმე შრომით დაქანცულებს ქარი სუნთქვას უკრავს.

— გაუძელით, ხალხო, გაუძელით! — უყვირის იგი ზემოდან. — ერთი ფუტიც რომ ამოვიყვანოთ, წყალი ვეღარაფერს დაგვაკლებს.

ყმუის ქარი, ისმის შეძახილები, ტყაპაწი გაუდის მაღლიდან ჩაყრილ თიხას, ჭრიალებენ ფორნები, შრიალებს ნამჯა. ამ ხმაურს დროდადრო პატარა ყვითელი ძაღლის წკმუილიც ერთვის. გაწუწულსა და სიცივისაგან აცახცახებულ პირუტყვს ხან სად გააგდებენ, ხან სად. უცბად თხრილიდან ძაღლის ხმამაღალი წკმუტუნი გაისმა. ჰაუკემ დაბლა ჩაიხედა და ძირს ჩაგდებული ძაღლი დაინახა. გაცოფებულს ერთბაშად სახე აელეწა:

— შეჩერდი! — შესძახა მეფორნეს, რომელიც სველ თიხას თხრილში ყრიდა.

— რატომ! — შეეპასუხა ვიღაცის უხეში ხმა. — ამ წუნკალი ძაღლის გულისთვის უნდა შევჩერდეთ?

— შეჩერდი-მეთქი! — კვლავ შეუყვირა ჰაუკემ. — ძაღლი აქ მომიყვანე! აუგი საქმით ჯებირს არავის შევალანძღვინებ!

ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია. ორიოდ ბარი მიწა კიდევ მიაყარეს აწკმუტუნებულ პირუტყვს. ჰაუკემ თეთრონს დეზები ისე ამოჰკრა, რომ გამწარებულმა ცხენმა ამოიფრთხვინა და ჯებირზე გაშმაგებით დაეშვა.

ყველა უკან მიაწყდა.

— ძაღლი-მეთქი! — შეჰყვირა მხედარმა. — ძაღლი ამომიყვანეთ!

მის მხარს ვიღაცის ფაქიზი ხელი შეეხო. მოხუცმა იევე მანერსმა იცოდა ხოლმე ასე. ჰაუკემ მოიხედა და იევეს მეგობარი შეიცნო.

— გაფრთხილდით ზედამხედველო, — ჩუმად უთხრა მან.— აქ მეგობრები არა გყავთ. მოეშვით მაგ ძაღლს!

ქარი ღმუოდა, გახელებული თქეში არ წყდებოდა. მუშებმა ბარები მიწაში დასვეს, ზოგმა სულაც ხელიდან გააგდო.

— ვერ დაიჭერთ ჩემს თეთრონს, ჰარკე იენს? — ჰაუკე მოხუცისკენ გადაიხარა.

მოხუცს აღვირზე ხელი ჯერ არც კი მოეკიდა, რომ ჰაუკე თხრილში ჩახტა და აწკმუვლებული ძაღლი ამოიყვანა. მერე ფიცხლად მოახტა ცხენს და ჯებირი თვალისდახამხამებაში აიქროლა. ჰაუკემ თვალი შეავლო ფორნებთან ატუზულ მუშებს და მკაცრად შესძახა:

— ვინ ჩაიდინა ეს? ვინ ჩააგდო საბრალო სულიერი თხრილში?

ერთ წამს ყველამ იყუჩა, რადგან ზედამხედველს ცოფიანივით დაღრეჯოდა გამხდარი პირისახე. ამასთანავე ცრუმორწმუნეობრივი შიში აფრთხობდა ყველას. მერე მუშებს ერთი ხარისქედიანი ახალგაზრდა გამოეყო და ჰაუკეს მიუახლოვდა:

— მე არ მიქნია, ზედამხედველო, — წარმოთქვა მან, საღეჭ თამბაქოს ერთი ბოლო მოაკბიჩა და ყბებში მშვიდად მოიქცია, — მაგრამ ვინცა ქნა, სწორი იყო. თუ გინდა, რომ შენი ჯებირი მტკიცე იყოს, შინ ცოცხალი არსება უნდა ჩაატანო!

— ცოცხალი არსება ჩავატანო? რომელ კატეხიზმოში წაიკითხე ეგ ამბავი?

— არსადაც არ წამიკითხავს! — მიუგო ახალგაზრდამ და ურცხვად გაიღიმჭა. — ჩვენი პაპებისაგან ვიცით, რომლებიც ღვთისმოსაობაში ტოლს არავის უდებდნენ. ბავშვის ჩაგდება აჯობებდა, მაგრამ რაკიღა ბავშვი არ არის, ძაღლიც შეიძლება!

— შეწყვიტე, წარმართო, ყბედობა! — შეუყვირა მას ჰაუკემ. — უკეთესი იყო, შენ თვითონ ჩაგვეტანებინე.

— ოჰო! — მოისმა უცბად რამდენიმე კაცის შეძახილი და ზედამხედველმა დაინახა ირგვლივ მდგომთა გაბრაზებული სახეები და დამუშტული ხელები. იგრძნო, რომ აქ მეგობრები არ ჰყავდა და ჯებირის შემდგომმა ბედმა დააფიქრა: რა მოხდებოდა, ამათ რომ მუშაობისათვის თავი დაენებებინათ?

ქვემოთ რომ გადაიხედა, ისევ იმ მოხუცს მოჰკრა თვალი — იევე მანერსის მეგობარს. იგი ხან ერთ მუშასთან მივიდოდა, ხან მეორესთან. ერთს გაუცინებდა, მეორეს მეგობრულად მოუცაცუნებდა მხარზე ხელს. ამასობაში მუშებმა ისევ მოჰკიდეს ნიჩბებს ხელი. კიდევ ერთი წამიც და მუშაობა გააგრძელეს. ჰაუკესაც მეტი რა უნდოდა? ბოლოს და ბოლოს ამთავრებდნენ სადინარს. აღარც ძაღლს ემუქრებოდა საფრთხე — წამოსასხამის ქვეშ შეაფარებინა თავი.

საკითხი უცბად გადაწყვიტა და თეთრონი ერთ ფორანს მიაგდო.

— ნამჯა თიხაზე! — შესძახა და მეფორნეც უნებლიეთ დაემორჩილა. ნამჯა შრიალით ჩაეშვა თხრილში. ხალხი ისევ გაცხარებით ამუშავდა.

კიდევ ერთ საათს იმუშავეს. ექვსი საათისათვის ჩამობნელდა. წვიმა შეწყდა და ჰაუკემ ზედამხედველებს მოუხმო.

— ხვალ, დილის ოთხზე ყველანი აქ ვიქნებით, მთვარე

ისევ მაღლა იქნება, ღვთის წყალობით დავამთავრებთ. ჰო, კიდევ რა უნდა მეკითხა, — წასასვლელად გამზადებული ერთ წამს შეჩერდა. — ვისია ეს ძაღლი? — ჰაუკემ აკანკალებული ძაღლი მოსასხამქვეშიდან ამოიყვანა.

ვერავინ უთხრა, ვისი იყო. ერთმა გუშაგმა თქვა:

— რამდენიმე დღეა სოფელში დაწანწალებს, ალბათ, უპატრონოა.

— მაშ, ჩემი იქნება, — წარმოთქვა ზედამხედველმა. — არ დაგავიწყდეთ, ხვალ ოთხ საათზე! — შეახსენა ჰაუკემ და ცხენი ადგილიდან მოწყვიტა.

სახლს რომ მიუახლოვდა, ანა გრეტეს მოჰკრა თვალი. ქალს საგარეო ტანისამოსი ეცვა და ჰაუკემ გაიფიქრა, ალბათ, მკურავის სახლში მიდის პროტესტანტთა თავყრილობაზეო.

— წინსაფარი მომიშვირე! — შესძახა ჰაუკემ. ქალი უნებლიეთ მაშინვე წინსაფარს წასწვდა და ზედამხედველმა შიგ თიხით მოსვრილი ლეკვი ჩაუგდო. — პატარა ვინცეს წაუყვანე. ერთად ითამაშებენ. მანამდე კი დაბანე და გაათბე. მადლს იზამ, საბრალო არსება მთლად გაითოშა.

ანა გრეტე იძულებული გახდა ბატონს დამორჩილებოდა, ამიტომ იყო, იმ საღამოს შეკრებაზე ვეღარ წავიდა.

მეორე დღეს ახალ ჯებირზე უკანასკნელი ბარისპირი მიწა დააყარეს. ქარი ჩადგა. ხმელეთსა და ზღვაზე ლამაზად დალივლივებდნენ თოლიები და ნისკარტსადგისები. იევერსის კუნძულიდან გარეული იხვების გამაყრუებელი ვახვახი ისმოდა. ისინი ჯერაც არ გასცილებოდნენ ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებს. თვალუწვდენელმა მარშებმა თანდათან გადაიყარეს დილის რძისფერი ნისლი და შემოდგომის მზემ კაცის ნამუშევარს ოქროსფერი სხივები დააფინა.

რამდენიმე კვირა გავიდა და ახალი ჯებირის დასათვალიერებლად მთავარ ზედამხედველთან ერთად ჰერცოგის კომისრებიც ჩამოვიდნენ. ზედამხედველის სახლში ტედე ფოლკერტსის გარდაცვალების შემდეგ პირველად გაიშალა დიდი სადღესასწაულო სუფრა. მოიწვიეს ყველა ნდობით აღჭურვილი პირი და ახლად ათვისებული მიწების მსხვილი მფლობელები. პურ-მარილის შემდეგ სტუმრებისა და მასპინძლის ყველა ეტლი შეკაზმეს. მთავარმა ზედამხედველმა ფრაუ ელკე თავის

ეტლში მიიპატიჟა. ეტლში შებმული წაბლა ულაყი ფლოქვებს ურტყამდა მიწას. მთავარი ზედამხედველი კოფოზე ახტა და აღვირს ხელი ჩაავლო. ეტყობა, უნდოდა თავისი ხელქვეითის საზრიანი ცოლის სასეირნოდ წაყვანა. ეტლების მწკრივი მიწაყრილზე მხიარული ყიჟინით დაეშვა, გავიდა გზაზე, მინდვრები გადაჭრა და ახლად აგებულ ჯებირზე ავიდა. შემდეგ ჯებირ-ჯებირ შემოუარა ახალ მიწებს. ამასობაში მსუბუქი ნორდვესტი ამოვარდა და ახალ ჯებირს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ტალღები მოაწყდა. მაგრამ რაკი დამრეცად ეშვებოდა, ტალღები ვერაფერს აკლებდნენ ჯებირს. ჰერცოგის კომისრები ქება-დიდებას ასხამდნენ ზედამხედველს და ზოგიერთი ნდობით აღჭურვილი პირის ურწმუნო ლაპარაკს ახლა ბოლო მოეღო.

...ეს ამბავიც ჩათავდა. ერთ დღეს კი, როცა ჰაუკემ ჯებირზე გაიყვანა ცხენი და სიამაყით აღსილმა მშვიდ ფიქრებს მისცა თავი, უნებლიეთ ერთი სასიხარულო ამბის მომსწრე შეიქნა. მანამდე კი ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან იმაზე ფიქრი, თუ რატომ უნდა დაერქმიათ ჯებირისათვის ჰერცოგის ერთ-ერთი ქალიშვილის პატივსაცემად „ახალი კაროლინას“ სახელი. ეს ჯებირი ხომ ჰაუკეს გარეშე ვერ აშენდებოდა, ვერ აშენდებოდა, ოფლი რომ არ დაეღვარა, ღამეები რომ არ გაეთენებინა ჰაუკეს. საბუთებზე კი ამ პრინცესას სახელი ეწერა, ზოგიერთ მათგანზე წითელი გოთური ასოებიც იყო ამოყვანილი. როცა ჰაუკემ თავი ასწია, მისკენ მომავალ ვიღაც ორ გლეხს მოჰკრა თვალი. მხარზე ბარები ჰქონდათ გადებული. ერთ-ერთი მათგანი ოციოდ ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა მეორეს და ეძახდა:

— მოიცა, რაღაც უნდა გითხრა!

— სხვა დროს იყოს, იენს! მეჩქარება. თიხა უნდა მოეთხარო! — გაეპასუხა დაწინაურებული, რომელიც ახლად ამომშრალი მიწისკენ ჩამავალ ბილიკზე იდგა.

— სადა?

— აქვე, ჰაუკე ჰაიენის ჯებირთან!

გლეხმა ეს სიტყვები ისე ხმამაღლა დაიყვირა, გეგონებოდა, ქვეყნის გასაგონად ამბობსო და ბილიკს ჩაუყვა. ჰაუკეს მოეჩვენა, ჩემი სადიდებელი თქვესო. უნაგირზე წამოიმართა, თეთრონს დეზები ჰკრა და მხარმარცხნივ გაშლილ ვრცელ ვე-

ლებს არწივისებური მზერა მოავლო. „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი!“ გაიმეორა თავისთვის; ეს სიტყვები ისე ყღერდა, თითქოს ოდითგანვე ასე უნდა ყოფილიყო. და, რაც უნდათ, ისა ჰქნან, მის სახელს ხომ მაინც ვერ დაივიწყებენ. აი პრინცესას სახელი კი... ალბათ, ძველ ნაწერებთან ერთად დაობდება.

...მხედარი ამაყად მიაგელვებდა თეთრონს. ყურებში კვლავინდებურად უხმიანებდა: „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი!“, „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი!“ ახალი ჯებირი ლამის მსოფლიოს მერვე საოცრებად წარმოედგინა. მთელს ფრიზლანდიაში ხომ მსგავსიც არაფერი მოიძევებოდა და მხედარმა ცხენი აათამაშა. წამით მოეჩვენა, ყველა ფრიზლანდიელი აქ არისო შეკრებილი, თვითონ ჰაუკე კი ერთი თავით მაღალია ყველა მათგანზე და ჰაუკემაც მათ მკაცრი, მაგრამ ამავე დროს თანაგრძნობით გამსჭვალული მზერა მოავლო.

ჯებირის აშენებიდან სამი წელი გავიდა. ჯებირი შეურყეველად იდგა და მის მოსავლელად მხოლოდ მცირეოდენი თანხა იხარჯებოდა, ახალ მიწებზე კი თითქმის ყველგან ჰყვაოდა თეთრი სამყურა და თუკი მინდორზე გაივლიდით, ზაფხულის სიო მათი ნაზი სურნელებით გაგაბრუებდათ. ამასობაში დრო დადგა, ქაღალდზე აღნიშნული ნაკვეთები გაენაწილებინათ და მიწები მათი მფლობელებისათვის სამუდამო სარგებლობაში გადაეცათ. ჰაუკემ ამ მიწებიდან რამდენიმე ნაკვეთი კიდევ შეიძინა. ოლე პეტერსი გამწარებული იყო, — ახალ მიწებზე არც ერთი ნაკვეთი არ ჰქონდა. ჩხუბისა და უსიამოვნების გარეშე, რასაკვირველია, არც ნაკვეთების განაწილება ჩატარებულა, მაგრამ ბოლოს ეს საქმეც მოგვარდა.

ამ დღიდან მოყოლებული, ჰაუკე წყნარად და განკერძოებით ცხოვრობდა თავის ახლობლებთან ერთად, სანიმუშოდ ასრულებდა ოჯახის მეთაურისა და ზედამხედველის მოვალეობას. ძველი მეგობრები აღარ იყვნენ ცოცხალთა შორის, ახალი მეგობრების შეძენას კი ჰაუკე ვერ ახერხებდა. ოჯახში სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა, რომელსაც ბავშვის ცელქობაც კი არ არღვევდა. გოგონა ცოტას ლაპარაკობდა. არ იძლეოდა გაუთავებელ შეკითხვებს, რაც საერთოდ, მისი ასაკის საზრიან ბავშვებს ახასიათებთ, ხოლო თუ რამეს იკითხავდა, პასუხის გაცემა უჭირდათ ხოლმე. მის სათნო, მაგრამ მოსუ-

ლელო სახეს თითქმის არასოდეს არ შორდებოდა კმაყოფილების იერი. ვინკეს ორად ორი ამხანაგი ჰყავდა, მთელ დღეს იმათთან ერთად თამაშობდა და სხვა არაფერი უნდოდა. როცა მიწაყრილზე გავიდოდა, ფეხდაფეხ აედევნებოდა ის ყვითელი ძაღლი, ჰაუკემ რომ გადაარჩინა. ხოლო სადაც ძაღლს მოჰკრავდით თვალს, პატარა ვინკეც აუცილებლად იქვე უნდა ყოფილიყო. გოგონას მეორე ამხანაგი თოლია იყო. ძაღლს „მარგალიტა“ ერქვა, თოლიას — „კლაუსი“.

კლაუსი ოთხმოცი წლის ტრინ იანსმა მოიყვანა. მოხუცს უკვე აღარ შეეძლო მარტოდმარტო ცხოვრება თავის ჭოხში, ჯებირის შორიახლო რომ იდგა და ფრაუ ელკემაც იფიქრა, პაპაჩემთან ნამსახურევ ადამიანს, დაუძლურებულ და დაჩაჩანაკებულ მოხუცს იმას როგორ დავაყვედრი, რომ ჩვენთან მშვიდ სიკვდილს დაელოდოსო. ელკემ და ჰაუკემ დედაბერი თითქმის ძალისძალად გადმოიყვანეს თავიანთ სახლში და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მიდგმულ ხუხულაში ერთი ოთახი მიუჩინეს. ეს ხუხულა ზედამხედველმა ძველი შენობის შორიახლო ამ რამდენიმე წლის წინათ ააშენა, რადგან მეურნეობა უკვე დიდი ჰქონდა, სახლეულნიც მეტი ჰყავდა. ტრინ იენსის მეზობლად, სხვა ოთახებში რამდენიმე მოსამსახურე გოგო დაასახლეს, რომლებიც თუ საჭირო იქნებოდა, მოხუცებულს ღამღამობითაც მიხედავდნენ. ტრინმა კედლებთან მიაწყო თავისი ნივთები: შაქრის ყუთზე, ზარდახშად რომ ხმარობდა ახლა, დაღუპული შვილისაგან დარჩენილი ორი ფერწერული სურათი დადო, მეორე კედელს კარგა ხნის უხმარი ჯარა და ქათქათა, ფარდიანი საწოლი მიადგა, იქვე დადგა ერთი უხეიროდ გათლილი ტაბურეტი, რომელზედაც ოდესღაც მოკლული ანგორული კატის თეთრბეწვიანი ტყავი იყო გადაკრული. მაგრამ ტრინ იანსმა სულიერი არსებაც წამოიყვანა თან. — ეს გახლდათ თოლია კლაუსი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მასთან ერთად ცხოვრობდა. ზამთრობით ეს თოლია სხვა თოლიებთან ერთად მიფრინავდა სამხრეთისკენ და უკან მაშინღა ბრუნდებოდა, როცა ზღვის პირას ავშანი აყვავდებოდა ხოლმე.

ხუხულა სახლთან შედარებით რამდენადმე დაბლა იდგა, მიწაყრილზე, და მოხუცებული ქალიც თავის ფანჯრიდან ზღვას ვერ ხედავდა, — ჯებირი ეფარებოდა.

— ზედამხედველო, ამ ოთახში პატიმარივით გყავარ გამომწყვდეული, — ბუზღუნით უთხრა ერთხელ მის სანახავად მოსულ ჰაუკეს და თავისი დაგრეხილი თითები ქვემოთ გაშლილი მარშებისკენ გაიშვირა. — აბა იევერსის კუნძული სად არის, წითელი თუ შავი ხარის იქით?

— იევერსის კუნძული რად გინდა? — ჩაეკითხა ჰაუკე.

— როგორ თუ რად მინდა! მინდა ვუყურო იმ ადგილს, საიდანაც ჩემი ბიჭი ღმერთმა წაიყვანა.

— თუ ეგ გწადია, მაშინ ზემოთ უნდა ახვიდე და კოპიტის ძირას დაჯდე. იქიდან მთელი ზღვა ჩანს, — მიუგო ჰაუკემ.

— ავიდოდი, შენსავით ახალგაზრდა რომ ვიყო, მაგრამ მუხლი აღარ მივარგა.

ასე იხდიდა მადლობას მოხუცი იმ პატივისცემისათვის, რასაც იგი ზედამხედველის ოჯახში იღებდა. ასე იყო დიდხანს, მაგრამ უცბად ყველაფერი შეიცვალა. ერთხელ, დილით, მოხუცის ოთახში პატარა ვინკემ შეიხედა.

— ოჰო, რას გვიბრძანებ? — მიაძახა მას მოხუცმა, რომელიც გულხელდაკრეფილი იჯდა ტაბურეტზე.

ბავშვი მოხუცთან მივიდა და გულგრილი თვალებით დიდხანს უყურა.

— ზედამხედველისა ხარ? — ჰკითხა ტრინ იანსმა და, როგორც კი ბავშვმა თანხმობის ნიშნად თითქოს თავი დაუქნია, ისევ განაგრძო: — მოდი, ჩემს ტაბურეტზე ჩამოჯექ. ეს ტყავი ერთ დროს ანგორული კატა იყო, აი ამხელა, მაგრამ მამაშენმა მოკლა. ცოცხალი რომ იყოს, ზურგზე შეგისვამდა.

ვინკე ხმას არ იღებდა და თეთრ ბეწვს შეჰყურებდა, მერე მუხლებზე ჩაიჩოქა და ბეწვს პაწაწა ხელით ისე მოეფერა, ვეგონებოდა, ცოცხალ არსებას ეფერებაო.

— საწყალი კატა, — წარმოთქვა ვინკემ, თან ბეწვს უსვამდა ხელს.

— ჰო, კარგი, გეყოფა რაც მოეფერე, ზურგზე ახლაც შეგიძლია შეაჯდე, იქნებ სწორედ ამიტომ მოკლა იგი მამაშენმა? — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ მოხუცმა, მერე ორივე ხელით აიყვანა ბავშვი და უხეშად დასვა ტაბურეტზე. ვინკე არც განძრეულა, ჩუმად შესცქეროდა მოხუცს. ტრინმა თავი გააქნია და წაილუღლუღა:

— შენგან არიან ისინი დასჯილნი, ღმერთო, ჰო, შენგან,

მაგრამ, ეტყობა, ბოლოს მაინც შეებრალა ბავშვი. მოხუცმა გაძვალტყავებული ხელი გოგონას თხელ თმაზე გადაუსვა. პატარა ადამიანის თვალებში სიამოვნების ნაპერწკალმა იფეთქა.

იმ დღიდან მოკიდებული ვინკემ მოხუცთან სიარულს მოუხშირა. მოგვიანებით უკვე თავისით აფოფხდებოდა ხოლმე ტყავგადაკრულ ტაბურეტზე. ტრინ იანსი ბავშვს პურისა და ხორცის ნაჭრებს მისცემდა — ერთიცა და მეორეც გამოულეველად ჰქონდა — თან ასე ეტყოდა, აბა იატაკზე დაყარეო. ბავშვიც დაყრიდა საჭმელს, მერე კი საიდანღაც ჩხავილით გამოვარდებოდა ფრთებგაფარჩხული თოლია და საჭმელს მოულხენდა. თავდაპირველად ვინკეს დიდი აფართხალებული ფრინველისა შეეშინდა, მაგრამ მოგვიანებით შეეჩვია თოლიას და მასთან თამაში ეხალისებოდა კიდეც. როგორც კი ბავშვი ღია კარში თავს შემოჰყოფდა, ფრინველი მისკენ გაექანებოდა; ხან თავზე დააჯდებოდა, ხან მხარზე, ამასობაში მოხუციც მათთან გაჩნდებოდა და ფრინველს საჭმელს მისცემდა. ტრინ იანსი უწინ ახლოსაც არავის გააკარებდა ფრინველს, ახლა კი დამშვიდებული უცქერდა იმ ამბავს, რომ თოლია ყველაზე მეტად ბავშვს გაუშინაურდა. ვინკე ყველგან თან დაათრევდა ფრინველს, ზოგჯერ წინსაფარში გაახვევდა და ისე მიჰყავდა სათამაშოდ. როცა ყვითელი ძაღლი ვინკეს შორიახლო დაინახავდა კლაუსს, შურით თვალები დაებრიცებოდა. ისკუპებდა კლაუსისკენ, მაგრამ გოგონა შეუყვირებდა: „არ შეიძლება, დაეხსენ, ქედანა!“ მერე მაღლა ასწევდა თოლიას, ხელიღან გაუშვებდა და ფრინველიც ჩხავილით გადაუფრენდა მიწაყრილს. გოგონას ახლა ძაღლი დაუწყებდა გლასუნს, მუხლებზე ახტებოდა, წკმუტუნებდა, ფეხქვეშ ეგებოდა — ოღონდაც თოლიას მაგივრად იგი აეყვანათ ხელში.

როგორც კი ჰაუკე ან ელკე ამ უცნაურ ყლორტს დაინახავდნენ, რომელიც მათსავე ფესვზე იდგა, თვალები ალერსით აევსებოდათ, მაგრამ შებრუნდებოდნენ თუ არა, თეითეული მათგანის სახეზე ამოიკითხავდით გულისტკივილს, რასაც ცოლქმარი ერთმანეთს უმალავდა.

ზაფხულის ერთ დღეს ვინკე მოხუც ტრინთან და თავის ორივე მეგობართან ერთად სახლის წინ დიდ ქვაზე იჯდა. ამ დროს ჩამოიარეს მისმა მშობლებმა. ჰაუკეს აღვირით მოჰყავ-

და ცხენი. ჯებირზე აპირებდა წასვლას და საძოვრიდან თეთრონი თავად ამოიყვანა. ახლა მიწაყრილზე უნდა ასულიყვნენ და ელკე თავის ქმარს მკლავზე ჩამოეყრდნო. მზე უხვად აფრქვევდა სითბოს, ცხელოდა, დროდადრო სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი წამოუბერავდა ხოლმე.

ეტყობა, გოგონას ერთ ადგილას ჯდომა მოსწყინდა.

— ვინკეც წაიყვანეთ! — წამოიძახა პატარამ, თოლიას ფეხი აუქნია და მამის ხელს წაეპოტინა.

— წამო, წავიდეთ, — მიუგო მამამ.

— ქარი რომ არის? ბავშვს ხელიდან გამოგტაცებს! — შეეშინდა ფრაუ ელკეს.

— არ გამომტაცებს. დღეს გვარიანი სითბოა, წყალიც საამოდ ლივლივებს. რა სჯობს ასეთ ამინდში ზღვის ცეკვა-თამაშის ცქერას.

ელკემ შინ შეირბინა, პატარა ქუდი და შალი გამოუტანა ბავშვს.

— ამინდი შეიცვლება, — თქვა მან, — დროზე დაბრუნდით!

— შეიცვლება და შეიცვალოს, ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს, — გაეცინა ჰაუკეს და გოგონა აიტაცა.

ელკემ ხელი მოიჩრდილა და თვალი გააყოლა ქმარ-შვილს, რომლებსაც ცხენი ჯებირისკენ მიაქანებდა. ტრინ იანსი ისევ ქვაზე იჯდა და რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის.

ბავშვი გატრუნული იწვა მამის მკლავებში, გეგონებოდა, მოსალოდნელი ჰექა-ქუხილი აშინებს და ჰაერი არ ჰყოფნისო. ჰაუკე ბავშვისკენ დაიხარა და ჰკითხა:

— როგორა ხარ, ვინკე?

ბავშვმა ერთხანს უმზირა მამას, მერე ჰკითხა:

— მამი, შენ ხომ შეგიძლია ეს, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია?

— რა შემიძლია, ვინკე?

მაგრამ ვინკე ხმას არ იღებდა, თითქოს თვითონაც არ იცოდა, რას ეკითხებოდა მამას.

ზღვის მოქცევის ჟამი იყო. ჯებირზე რომ ავიდნენ, ტალღებიდან არეკლილმა მზის ათინათმა მამა-შვილს თვალი მოსჭრა. ქარაშოტი მაღლა ამოზიდავდა ხოლმე ტალღებს და ისინიც თანმიყოლებით გამორბოდნენ, ნაპირს ეხეთქებოდნენ.

ჰაუკეს ორივე ხელი აღვირისთვის წაეკლო. ბავშვი შეშინდა და მამის ხელს ისე ღონივრად ჩააფრინდა, სადავე დაიჭიმა და თეთრონიც გვერდზე გახტა. ღია ცისფერ თვალებში გოგონას შიში ჩასდგომოდა. ვინკემ მამას ახედა და წამოიყვირა:

— წყალი, მამა, წყალი!

ჰაუკემ ბავშვის ხელები მოიცილა და მშვიდად უთხრა:

— დაწყნარდი, შვილო, მამაშენთან ხარ, წყალი ვერაფერს გაგნებს.

გოგონამ შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაიწია და ზღვას თვალი გაუსწორა.

— ვერაფერს მავნებს? — გაიმეორა აკანკალებულმა ბავშვმა. — არა, მამა, უთხარი, არაფერი გვავნოს. შენ შეგიძლია ეს, და ზღვაც ვერაფერს დაგვაკლებს.

— არა, მე არ შემიძლია, — სერიოზულად მიუგო მამამ. — აი ამ ჯებირს კი, სადაც ახლა ვდგავართ, შეუძლია ჩვენი დაცვა. ზღვისაგან ის დაგვიცავს. ეს ჯებირი მამაშენმა მოიგონა და ააშენა.

გოგონამ მამას თვალები მიაპყრო, ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო. მერე უჩვეულოდ პაწაწა თავი მამის წამოსასხამქვეშ შემალა.

— რა მოგივიდა, ვინკე? — ჩურჩულით ჰკითხა მამამ,—მაინც გეშინია?

— ვინკეს არ უნდა წყლის დანახვა. შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია მამა? — მოისმა კალთას ამოფარებული ვინკეს წვრილი ხმა.

ქარის ხმა შორეულმა ქუხილმა დაფარა.

— ოჰო! — შესძახა ჰაუკემ. — ჰექა-ქუხილი იწყება! — და ცხენი უკან შეაბრუნა. — ახლა კი შინ წავიდეთ, დედასთან.

გოგონამ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მამის მკერდს მაშინღა მოსცილდა, როცა მიწაყრილი აიარეს და სახლს მიადგნენ. დედამ შალი შეხსნა და ქუდი მოხადა, მაგრამ ბავშვი მაინც არ იღებდა ხმას, გატრუნული იდგა დედის წინ.

— აბა, რას იტყვი, ვინკე? — შეეკითხა დედა. — მოგეწონა დიდი წყალი?

ბავშვმა თვალები დაჭყიტა და ჩუმად თქვა:

— ის ლაპარაკობს. ვინკეს ეშინია ზღვის.

— კი არ ლაპარაკობს, ხმაურობს და ღმუის.

ბავშვი სადღაც შორს იმზირებოდა.

— ფეხები აქვს? შეუძლია ჯებირზე გადმოვიდეს? —იკითხა მან.

— არა, ვინკე, მამაშენი დარაჯობს, რომ არ გადმოვიდეს. მამაშენი ჯებირის ზედამხედველია.

— ხო! ხო! — შესძახა ბავშვმა უაზროდ, გაიცინა და პაწაწინა ხელებით ტაში შემოჰკრა.— მამას ყველაფერი შეუძლია, ყველაფერი! — მერე უცბად დედისკენ იბრუნა პირი და დაიძახა: — ვინკე გაუშვი ტრინთან, ტრინს წითელი ვაშლები აქვს!

ელკემ ოთახის კარი გააღო და ბავშვი ტრინთან გაუშვა. როცა ისევ მიხურა კარი, დამწუხრებული თვალები ელკემ ქმარს მიაპყრო. ამ თვალებში ჰაუკე მუდამ სულის სიმხნევესა და მხარდაჭერას პოულობდა ხოლმე.

ჰაუკემ ცოლს ხელზე მოუჭირა ხელი, თითქოს ეუბნებოდა, სიტყვები საჭირო არ არისო. მაგრამ ქალმა მაინც ვერ შეიმაგრა თავი და წყნარად უთხრა:

— არა, ჰაუკე, მათქმევინე. ეს ბავშვი, ძლივს რომ გამიჩნდა ამდენი წლის შემდეგ, თავის სიცოცხლეში ბავშვადვე დარჩება. ღმერთო ჩემო! გონებასუსტი შვილი გვყავს... როდისმე ხომ უნდა მეთქვა ეს ამბავი!

— კარგა ხანია, მეც ვიცი, — მიუგო ჰაუკემ და კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა ხელი. ქალი ხელის გათავისუფლებას ცდილობდა.

— მაშ ჩვენ ისევ მარტონი ვიქნებით, — შენიშნა ქალმა.

ჰაუკემ თავი დააქნია.

— რომ იცოდე, როგორ მიყვარს ვინკე, მაგრად შემომხვევს ხოლმე პაწაწინა ხელებს და გულში მეხუტება. არავითარ საგანძურში არ გავცვლი.

დადარდიანებული ქალი ერთ ადგილს ჩაშტერებოდა.

— მაგრამ რატომ უნდა მომხდარიყო ეს? რა დავაშავე მე, მისმა საბრალო დედამ?

— ჰო, ელკე, მეც ხშირად მიკითხავს ეს მისთვის, ვისაც ეგების ამისი ცოდნა. მაგრამ შენც კარგად იცი, მაღალი ღმერთი ადამიანებს პასუხს არ აძლევს. იქნებ სულაც იმიტომ არ ამბობს არაფერს, რაკი იცის, ადამიანები მაინც ვერ მიგებენო.

ჰაუკემ ცოლს მეორე ხელიც დაუჭირა და ნაზად მიიზიდა თავისკენ.

— გულს ნუ აიყრი, შვილი ისევე გიყვარდეს, როგორც აქამდე გიყვარდა. გულს ნუ შეიცვლი და დამერწმუნე, ისიც შეგიწყნარებს.

ახლა კი მიეკრა ელკე ქმრის მკერდს და ტირილით გული იჯერა. ელკე მიხვდა, რომ მძიმე ხვედრი მარტო არ უნდა ეზიდა. მერე უნებლიეთ გაელიმა, ხელზე მაგრად მოუჭირა ხელი და ტრინ იანსთან გაიქცა, შვილი მოიყვანა, პატარა ვინკე კალთაში ჩაისვა და იმდენ ხანს კოცნა და ეფერა, ვიდრე ბავშვმა არ ჩაიტიტინა:

— დედიკო, ჩემო კარგო დედიკო!

ასე მშვიდად და უშფოთველად ცხოვრობდნენ ადამიანები ზედამხედველის კარმიდამოზე. მათ შორის ბავშვი რომ არ ყოფილიყო, იქაურობას ბევრი რამ დააკლდებოდა...

ამასობაში ზაფხულიც მიწურა. სამხრეთში მოზამთრე ფრინველები გაფრინდნენ, აღარსად ისმოდა ტოროლების გალობა. თითო-ოროლა ფრთოსანის წივილს ბეღლებთან თუ გაიგონებდით, სადაც ამ დროს ხორბალს ლეწავდნენ. ყველაფერი დაზაფრულიყო უკვე.

ერთხელ, ნაშუადღევს მოხუცი ტრინ იანსი ზედამხედველის სახლის სამზარეულოში, ქურის შორიახლო, სხვენზე ასასვლელ ხის კიბეზე ჩამომჯდარიყო. ბოლო კვირეების განმავლობაში მოხუცი გამოცოცხლდაო თითქოს: სიამოვნებით მიდიოდა სამზარეულოში და მუშაობაში გართულ ფრაუ ელკეს თვალს ადევნებდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც პატარა ვინკემ წინსაფარში წაავლო ხელი და აქ მოიყვანა, დედაბერი აღარ წუწუნებდა — ფეხები არ მემორჩილებაო. გოგონა ახლა მის გვერდით ჩაჩოქილიყო და მშვიდად შეჰყურებდა ქურიდან ავარდნილ ალს. ერთი ხელი მოხუცის მკლავზე ჩამოედო, მეორე თავის ღია ჩალისფერ თმაზე ჰქონდა მიდებული. ტრინ იანსი რაღაცას უყვებოდა ბავშვს:

— უწინ პაპაშენთან მოსამსახურედ ვიდექი. ღორებს ვუვლიდი. პაპაშენი ყველას გჯობდათ ჭკუით. ახლა, რასაც გეტყვი, ძალიან დიდი ხნის ამბავია. ერთხელ, საღამოთი, როცა მიდამოს მთვარის შუქი ასხივებდა, რაბი გადაკეტეს. ჰოდა, ისიც ზღვაში ვეღარ გაბრუნდა, ო, რა წივილ-კივილი ატეხა!

ფარფლებს ხელებივით აფართხალებდა, გაწეწილ ხეშეშ თმას იგლეჯდა. მაშა, ბავშვო, საკუთარი თვალით ვნახე, ჩემი ყურით გავიგონე ყველაფერი. მიჯნებად გავლებული წყლით სავსე არხები მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ბზინავდა. ერთი არხიდან მეორეში შეუცურდებოდა, ფარფლებს შემართავდა და ერთმანეთს შემოკრავდა, გეგონებოდა ლოცვას აპირებსო, ტაშის ცემა კი გამოსდიოდა. მაგრამ ამ არსებებს ხომ ლოცვა არ შეუძლიათ. თავად მე კარის წინ ვიჯექი კოჭზე და დაბლა გადაშლილ ველს გავყურებდი. ალი ისევ თხრილებში დაფართქალებდა, როცა თავის ფარფლისებრ ხელებს ამოსწევდა, გეგონებოდა, ვერცხლი და ალმასი ელვარებსო. ბოლოს ველარსად დავინახე, სამაგიეროდ საიდანღაც გარეული იხვები და თოლიები მოფრინდნენ. ჰაერი ყურისწამღები გნიასით აავსეს, ისმოდა ფრთების ტლაშატლუში.

მოხუცი გაჩუმდა. ბავშვი ერთ წინადადებას ჩაეჭიდა.

— რა თქვი, ლოცვა არ შეუძლიაო? ვინ იყო ის?

— ალი იყო, ბავშვო, წყლის ქალი. მათ სიკვდილი არ შეუძლიათ.

— სიკვდილი არ შეუძლიათ! — გაიმეორა ბავშვმა და ისე ღრმად ამოიოხრა, გეგონებოდა, ყველაფერს მიხვდაო.

— ტრინ იანს! — მოისმა სამზარეულოს კარიდან დაბალი ხმა და მოხუცი შეკრთა. ჰაუკე ჰაიენი იყო, თურმე აქვე იდგა, სვეტს მიჰყრდნობოდა და დედაბერს უსმენდა. — რას უყვები ბავშვს? რამდენჯერ გითხარი, ეგ ზღაპარი შენთვის შეინახე, ანდა ბატებსა და ქათმებს უამბე-მეთქი?

მოხუცებულმა ჰაუკეს გაჯავრებით შეავლო თვალი და ბავშვი თავიდან მოიცილა.

— არაფერი ზღაპარი არ არის! — ჩაიბუზღუნა თავისთვის. — ეს ამბავი პაპაჩემის ძმამ მიამბო.

— პაპაჩემის ძმამ მიამბოო? აკი შენი თვალით ნახე?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, — მიუგო მოხუცმა, — მაინც ვერაფერს დაგაჯერებთ ადამიანი. ახლა ჩემი დიდი ბიძაც მატყუარად გინდათ მონათლოთ! — მოხუცი კიდევ უფრო ახლოს მიუჯდა ქურას და ხელები ცეცხლს მიუშვირა.

ზედამხედველმა ფანჯარაში გაიხედა. ნელ-ნელა ეშვებოდა ბინდი.

— წამო, ვინკე! — ჰაუკემ გონებაჩლუნგ ბავშვს ხელი

მოჰკიდა. — წამო ჩემთან, ჯებირზე წავიდეთ, რაღაცას გაჩვენებ. ოღონდ ფეხით უნდა წავიდეთ, თეთრონი დასაშვებად არის წაყვანილი.

ჰაუკემ შვილი ოთახში შეიყვანა. ელკემ ბავშვს კისერსა და მხრებზე სქელი შალი შემოახვია. სულ მალე მამა-შვილი ძველ ჯებირზე ავიდნენ და ჩრდილო-დასავლეთით გასწიეს. ივერსის კუნძული გვერდით მოიტოვეს და იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც თავთხელი თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულიყო.

ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ, დროდადრო ჰაუკე ხელში აიყვანდა ვინკეს. თანდათან ბნელდებოდა, ჰორიზონტი კი უკვე ჩამალულიყო ნისლსა და ბურუსში. იმ ადგილას, სადაც თვალი ზღვის უხილავ დინებას სწვდებოდა, გაპობილი ჩანდა ყინულის ქერქი და როგორც ეს ჰაუკემ ახალგაზრდობაში ნახა, ნაპრალებიდან ახლაც ნისლი ამოდიოდა, ახლაც წინ და უკან დახტოდნენ საშინელი და უცნაური არსებანი, ერთმანეთს თავს უკრავდნენ, შემზარავად იწლაწებოდნენ.

შეშინებული ბავშვი მამას ჩაეჭიდა და მისი ხელი სახეზე აიფარა.

— ზღვის ქაჯები! — ჩაიჩურჩულა ბავშვმა. — ზღვის ქაჯები!

ჰაუკემ თავი გააქნია:

— არა, ვინკე, არც ალებია და არც ქაჯები. ასეთი რამ არ არსებობს. ვინ გითხრა ეს?

ბავშვმა უაზროდ ახედა მამას, მაგრამ არაფერი უპასუხა. მამამ ნაზად მოუთათუნა ლოყაზე ხელი.

— აბა, კიდევ შეხედე, ეგენი ხომ საწყალი, მშიერი ფრინველები არიან? შეხე, შეხე, აი როგორ გაშალა ერთმა ფრთები! ნაპრალებიდან მათ თევზები ამოჰყავთ.

— თევზები?

— ჰო, თევზები. ისინიც ჩვენსავით ცოცხალი არსებანი არიან. სხვა არაფერი არ არსებობს, ღმერთის მეტი. ღმერთი კი ყველგანაა.

პატარა ვინკეს სუნთქვა შეეკრა და თვალები ძირს დახარა, თითქოს სადღაც უფსკრულში იყურებაო. იქნებ მხოლოდ მამას მოეჩვენა ასე. ჰაუკე დიდხანს დაჰყურებდა გოგონას, მერე დაიხარა და სახეში ჩახედა, მაგრამ სულიერი ჭმუნვის კვალიც

ვერ დაატყო. ბავშვი ხელში აიყვანა და გაყინული თითები თავისი სქელი ღაზლის ხელჯაგში წააყოფინა.

— აი, ასე, ჩემო ვინკე. გაითბე ცაცები! ჩვენი შვილი ხარ, ერთადერთი. შენც ხომ გიყვარვართ...? — მამას ხმა გაუწყდა და მეტი ვერაფერი თქვა.

ბავშვმა ვერ გაიგო მამის გულშიჩამწვდომი, ალერსით ნათქვამი სიტყვები, მაგრამ მაინც ჩაეხუტა მამას და მის უხეშ წვერს მიეკრა.

ჰაუკე გულდამშვიდებული გაემართა შინისაკენ.

— · —

ნაახალწლევს ოჯახში ახალი სადარდებელი გაჩნდა. ზედამხედველი ჭაობის ციებამ შეიპყრო. ავადმყოფობამ იგი სიკვდილის პირას მიიყვანა, მაგრამ ფრაუ ელკეს თავდადებამ, მოვლა-პატრონობამ ჰაუკე სააქაოსკენ გამოაბრუნა. მართალია, მორჩა, მაგრამ უწინდელივით ჯანსაღი მაინც ვეღარ იყო. ფიზიკური დაუძლურება სულსაც დააჩნდა და ელკე გულისტკივილით ამჩნევდა, რომ მისი ქმარი ახლა ყველაფრით კმაყოფილი იყო. მარტის ბოლო იდგა, როცა ჰაუკეს თეთრონზე ამხედრება და თავის ჯებირზე გასეირნება მოუნდა. სამხრობის დრო იყო. მზე, აქამდე რომ ბრდღვიალებდა ცაზე, ახლა შავ ღრუბლებს ამოჰფარებოდა.

ზამთარში წყლის დონემ რამდენჯერმე აიწია, მაგრამ მაინცდამაინც დიდი ზარალი არ მოუტანია, ეგ იყო, კუნძულზე ცხვრის ფარა დაახრჩო და სანაპირო ზოლი მოშალა. აქ კი, სადაც ახალი ჯებირი იყო ამოყვანილი, არაფერი წამხდარა. ბოლო ღამეს ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებდა. საჭირო გახდა ზედამხედველი თავად წასულიყო ჯებირზე და ყველაფერი საკუთარი თვალით ენახა. ჰაუკე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიადგა ჯებირს და ყველაფერი ყურადღებით დაათვალიერა. იქაურობა წესრიგში დაუხვდა. მაგრამ ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეს რომ მიადგა, — ძველი და ახალი ჯებირები აქ ებმებოდნენ ერთმანეთს, — ჰაუკემ დიდ სიგანეზე ჩამოგლეჯილი ბელტის საფარი შეამჩნია. ახალი ჯებირი უზიანო ჩანდა, საფარი ძველ ჯებირთან ჩამორღვეულიყო იმ ადგილას, სადაც არხი გასდევდა სიგრძეზე. ამასთანავე, ჯებირში წყალს ქვაბული გამოეთხარა. ქვაბული თაგვის სოროებით იყო სავსე. ჰაუკე ცხენიდან ჩამოხტა და დაზიანებული ადგილი ახლოდან

დაათვალიერა. ხვრელები კარგა დიდ სიღრმეზე იყო შეთხრილი.

ზედამხედველი შეშინდა, ეს ყველაფერი ახალი ჯებირის მშენებლობისას უნდა გაეთვალისწინებინათ. მაგრამ რაკიღა მაშინ გამორჩათ მხედველობიდან, ახლა მაინც უნდა გამოესწორებინათ... საქონელი საძოვარზე ჯერაც არ გაეყვანათ, არც ბალახი იყო ამოსული, — ამ დროისათვის აბიბინებულიც უნდა ყოფილიყო ველი და ჰაუკეს გაუკვირდა: საითაც არ გაიხედა, მოტიტვლებული დაუხვდა მიწა. ისევ ცხენს მოახტა და ნაპირზე ხან აღმოსავლეთით გაუყვა, ხან დასავლეთით. ზღვის მიქცევა იყო და ჰაუკემ თიხიან ფსკერზე ახალი კალაპოტი შეამჩნია, ძველ ჯებირს ჩრდილო-დასავლეთიდან რომ მიბჯენოდა. ახალი ჯებირი კი, რაკი დამრეცად ეშვებოდა ზღვისკენ, ურყევად იდგა.

ზედამხედველს თვალწინ დაუდგა, რა საწვალებელი და თავშისაცემი გასჩენოდა ისევ, საჭირო იყო არა მარტო ძველი ჯებირის გამაგრება, არამედ მისი გადაკეთებაც: ძველსა და ახალ ჯებირებს ერთნაირი დაქანება უნდა ჰქონოდა ზღვისკენ. მანამდე კი ეს ახალი, საშიში არხი სხვა მხარეს უნდა გადაეგდოთ. ჰაუკე ერთხელ კიდევ გაუყვა ახალ ჯებირს ჩრდილო-დასავლეთ კიდემდე და ისევ უკან შემობრუნდა, თან თვალს არ აშორებდა არხის ახალ კალაპოტს, რომელიც თიხნარ ფსკერზე საკმაოდ მკაფიოდ მოჩანდა. თეთრონი წინ იწევდა, ფრთხვინავდა და ფლოქვებს მიწას ურტყამდა, მაგრამ მხედარი აღვირს უჭერდა, ნელა მიჰყავდა ცხენი, — აქაურობა კარგად უნდა დაეთვალიერებინა, დაწუნარებული გონებით უნდა აეწონ-დაეწონა ყოველივე, მაგრამ ვერა და ვერ დამშვიდდა.

ოჰ, რა ცოდვა დატრიალდება, ისევე რომ აზავთდეს ზღვა, როგორც 1655-ში; იმ წელს ხომ უამრავი ხალხი დაიხრჩო; ვინ მოთვლის რამდენი რამ განადგურდა? მერედა, რამდენჯერ მოხდა ასეთი ამბავი!.. მხედარს ძარღვებში სისხლი გაეყინა... ძველი ჯებირი ვერ გაუძლებს ასეთ დაწოლას. ვერ გაუძლებს და... ეს რომ განმეორდეს... ალბათ, მხოლოდ ერთადერთი გზაღა დარჩება, რომ გადაარჩინოს ჯებირი, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება და მოსახლეობა... ჰაუკეს გული გაუჩერდა თითქოს, ამ კლდე-კაცს ახლა თავბრუც დაესხა. აღარ უთქვამს, რა იყო ის ერთადერთი გზა, მაგრამ მთელი მი[illegible]

არსება გაჰკიოდა: „მაშინ ღვთის ანაბარად უნდა მიატოვო ახალი მიწები და შენი ჯებირიც გაარღვიო“.

ჰაუკეს თვალწინ დაუდგა ეს სურათი: აზვირთებული ზღვა ნაპირისკენ მორბის, ქაფადქცეული და აშიშინებული მლაშე წყალი მთლიანად ტბორავს აბიბინებულ ველ-მინდორს. ჰაუკემ თეთრონს დეზები ამოჰკრა, ცხენმა დაიჭიხვინა და ჯებირზე გაიჭროლა, შემდეგ ქვემოთ დაეშვა და ზედამხედველის სახლისაკენ აიღო გეზი.

შიშატანილი და ათასგვარი ფიქრით თავგზააბნეული ჰაუკე შინ შევიდა და სავარძელში ჩაეშვა. ოთახში ბავშვი და ელკე შემოვიდნენ, ჰაუკე ისევ წამოდგა, ბავშვი ხელში აიტაცა, დაკოცნა, ყვითელ ძაღლს კი მსუბუქად წაუბიძგა და თავიდან მოიშორა.

— ზემოთ უნდა ავიდე, ფუნდუკში! — თქვა ჰაუკემ და კაკვზე ახლახან ჩამოკიდებული ქუდი ისევ აიღო.

შეურვებულმა ქალმა ქმარს შეხედა.

— რაღა დროის ფუნდუკში ასვლაა, გვიანია!

— ჯებირის თაობაზე უნდა ველაპარაკო ნდობით აღჭურვილებს, — ჩაიდუდუნა ჰაუკემ.

ქალი უკან გაჰყვა და ხელზე ხელი მოუჭირა. ჰაუკე ჰაიენი, რომელიც სხვა დროს ყველაფერს თვითონ წყვეტდა, ახლა ფუნდუკისკენ მიიჩქაროდა, რათა ერთი სიტყვა მაინც გაეგო იმათგან, ვის ლაპარაკს უწინ ყურსაც არ ათხოვებდა ხოლმე. სასტუმრო ოთახში ოლე პეტერსის გარდა კიდევ სამი კაცი უჯდა მაგიდას. ორი მათგანი ნდობით აღჭურვილი პირი იყო, ბესამე — მარშის მცხოვრები. ბანქოს თამაშობდნენ.

— ჯებირიდან მოდიხარ? — ჰკითხა ოლე პეტერსმა, სანახევროდ დარიგებული ქაღალდი აკრიფა და ისევ ჩამოარიგა.

— ჰო, ოლე, — მიუგო ჰაუკემ. — იქ ვიყავი. საქმე ცუდად არის.

— ცუდად? ჰო, რამდენიმე ასეული ტორფის აგური და ცოტა ნამჯაც დაგვჭირდება. ნაშუადღევს მეც იქ ვიყავი.

— არა, ოლე, ასე იოლად ვერ გადავრჩებით, — არ დაეთანხმა ზედამხედველი. — წყალმა ისევ გაჰრა სავალი გზა და ახლა თუ ჩრდილოეთიდან ვეღარ მიუდგა, ჩრდილო-დასავლეთიდან მაინც მიაწვება ჯებირს.

— თავი უნდა დაგენებებინა, ედინა თავისთვის, — მკვახედ მიუგო ოლემ.

— ესე იგი, რაკიღა ახლად ათვისებულ მიწებზე ნაკვეთი არა გაქვს, წყალსაც წაუღია იქაურობა, არა? ნაკვეთი რომ არა გაქვს, საკუთარ თავს დააბრალე. მე სხვას ვამბობ. ძველი ჯებირის დასაცავად ზვირთმჭრელებია საჭირო. ამ ხარჯებს ახალი ჯებირის უკან რომ სამყურას ნათესი გვაქვს, ის აგვინაზღაურებს.

— რას ამბობ მაგას, ზედამხედველო? — შესძახეს ნდობით აღჭურვილებმა. — ზვირთმჭრელებიო? მერე და რამდენი დაგვიჯდება მშენებლობა? ძალიან კი გიყვართ ყველაფრის გართულება.

მაგიდაზე ხელუხლებლად ელაგა ბანქო.

— აი, რა მინდა გითხრა, ზედამხედველო, — დაიწყო ოლე პეტერსმა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო, — ხარჯების მხრივ ძალიან გაუმაძღარია ეგ შენი ახალი მიწები. ხალხი იმ შენმა ფართო ჯებირმა წელში გაწყვიტა, ჯერაც ვერ მოითქვეს სული, ახლა კი, თურმე, ახალი ჯებირის გამო ძველიც დანგრევის პირზეა და ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ მშენებლობა? საბედნიეროდ, შენ რომ ამბობ, არც ეგრეა საქმე. ჯებირმა ღელვას გაუძლო, და მომავალშიც გაუძლებს! შეჯექი ხვალ შენს თეთრონზე და ერთხელ კიდევ დაათვალიერე იქაურობა!

საკუთარ ოჯახში სიმშვიდესა და მყუდროებას დაჩვეულმა ჰაუკემ ახლა ნათლად იგრძნო, — დიახაც, არ ტყუვდებოდა — იგრძნო, რომ პეტერსი ეურჩებოდა, თვითონ კი თითქოს ადრინდელი ძლიერება აკლდა და ძველებური თავდაჯერებით ველარ ლაპარაკობდა.

— ჰო, ეგრე ვიზამ, ოლე, როგორც მირჩიე,—მიუგო მან, — ოღონდ ვშიშობ, რომ ყველაფერი ისევ ისე დამიხვდება, როგორც დღეს ვნახე.

...ამ დღეს მოუსვენარი ღამე მოჰყვა. ძილგატეხილი ჰაუკე ლოგინში შამფურივით ტრიალებდა.

— რა დაგემართა? — ეკითხებოდა ელკე. ქმრის ჯავრით აღარც მას ეძინებოდა. — თუ რამე გაწუხებს, მითხარი. განა გაჭირვების ჟამს მხარში არ უნდა ამოუდგეთ ერთმანეთს?

— ისეთი არაფერია, ელკე! — უპასუხებდა ჰაუკე.—ჯებირ-

სა და რაბებს პატარა შეკეთება დასჭირდება. ხომ იცი, ასეთ რამეებზე ღამღამობით ვფიქრობ ხოლმე.

მეტი არაფერი უთქვამს, სურდა თვითონვე მიეღო გადაწყვეტილება და ელკესათვის არაფერი ეკითხა. ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ ახლა, როცა თვითონ იყო სალმობიერი, ცოლის ნათელ გონებასა და მის ძლიერ ნებისყოფას შეიძლება ხელი შეეშალა დ ნება-უნებლიეთ მოერიდა მეუღლესთან ლაპარაკს.

...მეორე დღეს ჰაუკე ისევ წავიდა ჯებირის სანახავად. იქაურობა თითქოს შეცვლილი დაუხვდა. ზღვის მიქცევა იყო და გაზაფხულის ჩახჩახა მზე თითქმის შვეულად აფენდა სხივებს ზღვის უწყლოდ დარჩენილ ვრცელ ნაპირს. მაღლა ცაში თეთრი თოლიები დანავარდობდნენ. კიდევ უფრო ზემოთ კი, ლურჯი კამარის ქვეშ, ტოროლები მღეროდნენ თავიანთ მარადიულ საგალობელს. ჰაუკე, რომელმაც არ იცოდა, რაოდენ ცბიერია ზოგჯერ ბუნების სილამაზე, ჯებირის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე იდგა და იმ ახალ კალაპოტს ეძებდა, რომლის ნახვამ წინა დღით ლამის გულიც გაუხეთქა, მაგრამ იმის გამო, რომ მზე ზენიტზე იდგა, ერთ ხანს ვერსად შეამჩნია. მერე თვალები ხელით მოიჩრდილა და როგორც იქნა დაინახა. ეტყობა, გუშინდელი საღამოს ბინდმა შეაცდინა ჰაუკე: კალაპოტი ლანდივით თუ ეტყობოდა მიწას. თაგვებს უფრო მეტი ზიანი მიეყენებინათ ჯებირისათვის, ვიდრე ზღვის ღელვას. რასაკვირველია, აუცილებელი იყო ხარვეზის გამოსწორება, მაგრამ ამისათვის ოლე პეტერსის თქმისა არ იყოს, ალბათ საკმარისი იქნებოდა ჯებირის ფერდობის გულმოდგინე მოსწორება და ნამჯის გამოყენება.

— არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, — გაიმხნევა თავი ჰაუკემ, — ნეტა რამ დამაფეთა გუშინ!

ზედამხედველმა ნდობით აღჭურვილი პირები მოიხმო და მუშაობასაც ერთბაშად შეუდგნენ. ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა. რამდენიმე კვირის შემდეგ ყველაფერი შეაკეთეს და ზედამხედველიც გახალისდა, გული მიეცა. გამხნევება კი წამალივით სჭირდებოდა მის ჯერაც დასუსტებულ ორგანიზმს.

დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვირას, და რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, მით უფრო მეტად იმოსებოდა ბალახით ახლადდალაგებული ბელტები. მაგრამ ჰაუკეც სულ უფრო და უფრო

მეტად უფრთხოდა ამ ადგილს, იქით გახედვასაც ერიღებოდა, ხოლო თუკი მაინც მოუხდებოდა აქეთ გამოვლა, ცხენს ჯებირის შიდა მხარეზე გაატარებდა ხოლმე. რამდენჯერმე შეაკაზმვინა თეთრონი — დავათვალიერებო იმ ადგილს, მაგრამ ბოლოს ისევ თავლაში აბრუნებდა ცხენს. ერთი-ორჯერ, თუმცა არაფერი საქმე არ ჰქონდა, ფეხით გაემართა ჯებირისკენ. ცდილობდა ეზოდან სწრაფად და შეუმჩნეველად გასულიყო. ზოგჯერ ეზოდანვე ბრუნდებოდა უკან; არ შეეძლო ამ საბედისწერო ადგილის დათვალიერება. ბოლოს ისე მოუვიდა, მზად იყო ყველაფერი ნაცარტუტად ექცია, რადგან გაახსენდებოდა თუ არა ჯებირის ეს მონაკვეთი, წამითაც აღარ მოასვენებდა სინდისის ქენჯნა. მიუხედავად ამისა, არ შეეძლო ჯებირისთვის ხელი ეხლო და ვერც ერთ სულიერს, საკუთარ ცოლსაც კი ვერ უმხელდა ამ ამბავს.

დადგა სექტემბერი. ღამით ზღვა აღელდა, მერე შტორმმა ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაინაცვლა. დილა მოქუშული გათენდა. ზღვის მიქცევისას ჰაუკე ჯებირზე წავიდა. ნაპირი რომ დაათვალიერა, ზედამხედველი შეკრთა:

სადინარის ეს საბედისწერო კალაპოტი ჩრდილო-დასავლეთით უფრო გაღრმავებულიყო. დიდხანს უყურა, მაგრამ ამჯერად არ ატყუებდა თვალი — კალაპოტი საკმაოდ გაღრმავებულიყო.

როცა დაჯავრიანებული ჰაუკე შინ მიბრუნდა, ცოლმა ხელი მოჰკიდა და ჰკითხა:

— რა დაგემართა, ჰაუკე? რამე უბედურება ხომ არ მოგველის? ძალზე ბედნიერები ვართ, და მგონია, ამჟამად ჩვენი მხარის არც ერთი კაცი შენ აღარა გმტრობს.

— არა, ელკე, არავინაც არ მტრობს, — მიუგო ქმარმა. — მაგრამ საპასუხისმგებლო საქმე მაქვს ღვთისგან მობარებული, ზღვის ტალღებისაგან უნდა დავიცვა თემი.

საყვარელი ცოლის კითხვებისათვის რომ თავი დაეღწია, ჰაუკემ ხელი გაითავისუფლა, ეზოში გავიდა, თავლასა და ბეღელს დავათვალიერებო, მაგრამ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. ცდილობდა სინდისის ქენჯნა ჩაეხშო და საკუთარი თავი დაერწმუნებინა — საშიშროებას მეტისმეტად ვაზვიადებო...

— ის დრო, რომლის შესახებაც ახლა გიყვებით, — მცირე დუმილის შემდეგ მითხრა ჩემმა მასპინძელმა, მოხუცმა მას-

წავლებელმა, — გახლდათ 1756 წელი, რომელსაც ამ მხარის ხალხი არასოდეს დაივიწყებს. ამ წელმა ჰაუკე ჰაიენის სახლიდან ერთი სიცოცხლე შეიწირა. სექტემბრის დამლევს, თავის სენაკში, სიკვდილის სარეცელზე იწვა ოთხმოცდაათ წელს მიტანებული ტრინ იანსი. მოხუცმა ითხოვა, ლოგინში წამომსვითო, და ბალიშებს მიყრდნობილი ტრინი ახლა ტყვიის ჩარჩოში ჩასმული სარკმლიდან გაჰყურებდა ზეცას. ამ წუთას, ალბათ, ჰაერის მჭიდრო ფენების თავზე გაიშვიათებული ფენები იყო მოქცეული; მირაჟიაო თითქოს — ცაზე ვერცხლისფრად აკიაფებული ზღვის ზოლი გამოჩნდა, გამოჩნდა ჯებირი და იევერსის კუნძულის სამხრეთი კიდე. ცის ათინათმა თვალისმომჭრელად გაანათა ტრინის სენაკი.

ავადმყოფის ფერხთით პატარა ვინკე ჩაცუცქულიყო და იქვე მდგომი მამისთვის ხელი მაგრად ჩაეკიდა. სიკვდილს უკვე გადაეფარებინა თავისი შავი კალთა მოხუცის სახეზე და ბავშვი სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა მომაკვდავის ულამაზო, მაგრამ მისთვის ესოდენ ახლობელ სახეს, ასე საშინლად რომ შეცვლილიყო უცებ.

— რას შვრება, მამა? — ჩურჩულით შეეკითხა ვინკე და ფრჩხილებით ჩააფრინდა მამის ხელს.

— კვდება! — მიუგო ზედამხედველმა.

— კვდება! — გაიმეორა გაოგნებულმა ვინკემ.

მოხუცმა უცბად ბაგეები შეარხია:

— იენს, იენს! — წამოიძახა გამწარებით და გაძვალტყავებული ხელები ზღვის მოლივლივე ანარეკლისაკენ გაიშვირა: — მიშველე! მიშველე! შენ ხომ წყალზე ძლიერი ხარ... ღმერთო, შენ იხსენ დანარჩენები!

მერე ხელები ჩამოუცვივდა, მოისმა საწოლის ოდნავი ჭრიალი და ტრინმა სული განუტევა.

ბავშვმა ღრმად ამოიხვნეშა, თავისი ღია ფერის თვალები მამას მიაპყრო და ჰკითხა:

— ისევ კვდება?

— უკვე მოკვდა, — მიუგო ზედამხედველმა და ბავშვი ხელში აიყვანა. — ჩვენ გაგვცილდა და ღვთის საბრძანებელში გადავიდა.

— ღვთის საბრძანებელში! — გაიმეორა ბავშვმა და ისევ გაჩუმდა, თითქოს ამ სიტყვის მნიშვნელობას ჩაუფიქრდაო.

— კარგია იქ, ღვთის საბრძანებელში?

— ჰო, იქა ჯობია, — მიუგო ჰაუკემ, მის სულში კი მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები ხმიანობდა. „ღმერთო, შენ იხსენ დანარჩენები!“ — ხმადაბლა წარმოთქვა ჰაუკემ.—ნეტავი რისი ჭქმა უნდოდა ამ ბებერ კუდიანს? ნუთუ მართლა წინასწარმეტყველებენ მომაკვდავები?..

...მას შემდეგ, რაც ტრინ იანსი ბექობზე ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს, ხალხში ხმა დაირხა, უბედურება მოგველის, ჰალე ცოდვის დღე დაგვიდგებაო. ზეციდან სიბინძურე წამოვა და მთელს ჩრდილოეთ ფრიზლანდიას შიშის ზარს დასცემსო. მართლაც, დიდმარხვის მეოთხე კვირადღეს ქარბორბალამ ოქროს მამალი ჩამოგლიჯა სამრეკლოდან. ამას გარდა, შუა ზაფხულში ციდან თოვლივით წამოვიდა სკორეს მსგავსი ნალექი და ველ-მინდორი დაფარა. ერთი წყრთა მაინც ექნებოდა სისქე. ასეთი რამ არასოდეს არავის ენახა. სექტემბრის დამლევს ზედამხედველის უფროსმა მოჯამაგირემ ქალაქში ხორბალი წაიღო გასაყიდად, მოსამსახურე ანა გრეტემ კი — კარაქი. უკან რომ მობრუნდნენ, შიშისაგან ფერი აღარ ჰქონდათ სახეზე.

— რა მოხდა, რა დაგემართათ? — შეიცხადეს მოსამსახურეებმა, რომლებიც ფორნების რახრახზე გარეთ გამოცვივდნენ.

ანა გრეტეს სამგზავრო წამოსასხამიც არ გაუხდია, — კრიჭაშეკრული შევიდა დიდ სამზარეულოში.

— ხმა ამოიღე, — შეუტიეს მსახურებმა. — რა უბედურება დატრიალდა?

— ღმერთო ჩვენო იესო, შენ გვიშველე! — აღმოხდა ანა გრეტეს. — ხომ იცნობთ მოხუც მარიკენს, აი, გაღმა რომ ცხოვრობს, აგურის სახლში. მე და მარიკენი ყოველთვის აფთიაქის კუთხეში ვყიდდით ხოლმე კარაქს. იმან მითხრა: — ანა გრეტე, იცოდე მთელ ჩრდილოეთ ფრიზლანდიას უბედურება ელის. ივენ იონსმაც დაადასტურა, უბედურება არ აგვცდებაო! — მერე ხმას დაუწია და თქვა: — არც ზედამხედველის თეთრი ცხენის ამბავი უნდა იყოს სასიკეთო!

— ჩუმად, ჩუ! — შეუძახეს ყველა მხრიდან...

— ჰო, ჰო. მე რა მენაღვლება, მაგრამ გაღმა მხარეს უარესი ამბავია მოსალოდნელი. ციდან იქ მარტო ბუზი და სკორე

კი არ ჩამოცვენილა, სისხლსაც უწვიმია. წინა კვირას პასტორს თავის პირსაბან ტაშტში ხუთი ცალი მუხუდოსოდენა თავის ქალა უპოვნია. მთელ სოფელს უნახავს. აგვისტოს თვეში კი საშინელი წითელთავიანი მუხლუხა მატლი მოსდებია სოფელს და რაც პური იყო, ფქვილი ან მარცვლეული, ყველაფერი გადაუჭამია, ყველაფრისთვის მუსრი გაუვლია. რა არ სცადეს, მაგრამ ვერაფრით ვერ ამოუჟუჟავთ მატლი, თურმე, ცეცხლითაც ვერ ამოუბუგავთ.

ამბის მომტანი უცებ დადუმდა; ვერავინ შეამჩნია, როგორ შემოსულიყო დიასახლისი.

— რას ლაპარაკობთ? — იკითხა ელკემ. — ბატონს ნუ გააგონებთ ეგეთ ლაპარაკს. — მერე, რაკიღა შეატყო, ამ ამბების მოყოლას მისთვისაც აპირებდნენ, ელკემ ყველანი გააჩუმა: — საჭირო არ არის, ისედაც საკმაოდ მოვისმინე. უკეთესია, საქმეს მიხედოთ, ლაქლაქზე მეტად ეგ უფრო გიშველით და დაგაწყნარებთ.

ელკემ ანა გრეტე თავისთან მიიხმო და ბაზარში ნავაჭრი ჩაიბარა.

ამრიგად, ცრუმორწმუნეობრივმა მითქმა-მოთქმამ ამ სახლის უფროსების მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, მაგრამ სხვა ოჯახებში ასეთი ჭორები მით უფრო მალე ვრცელდებოდა, რაც უფრო იკლებდა დღე. ეს მითქმა-მოთქმა აფორიაქებდა მარშელებს და მთელ თემში ყველა იმას გაიძახოდა, ჩრდილოეთ ფრიზლანდიას საშინელი უბედურება მოელისო.

— · —

ეს ამბავი ოქტომბერში მოხდა, ყოვლადწმინდის დღესასწაულის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე. მთელი დღე სამხრეთ-დასავლეთის ქარი ქროდა. საღამოს ცაზე ნახევარმთვარე ეკიდა, რომელსაც წამდაუწუმ ჩამოეფარებოდნენ შავლეგა ღრუბლები და დედამიწასაც ამისდა მიხედვით ხან მქრქალი სინათლე მოეფინებოდა, ხანაც მრუმე ჩრდილი. ქარი თანდათან ძალას იკრებდა. ზედამხედველის ოთახში ვახშმის შემდეგ სუფრა ჯერაც არ აელაგებინათ. მოჯამაგირეები ბოსელში გაგზავნეს — საქონელს ყური უგდეთო, მოსამსახურე გოგოებს კი ოთახებსა და სხვენზე კარ-ფანჯრის შემოწმება დაავალეს, — ქარაშოტმა არ შემოგლიჯოსო.

ჰაუკეს სახელდახელოდ ევახშმა და მეუღლესთან ერთად

ახლა ფანჯარასთან იდგა. სულ თხუთმეტიოდე წუთის მოსული იქნებოდა შინ, მანამდე ჯებირზე იყო. ფეხით წავიდა და შუადღის შემდეგ იქ იმყოფებოდა. ყველგან, სადაც კი ჯებირი ცოტა შესუსტებული მოეჩვენა, დაკუთხული ხიმინჯები და მიწა-თიხით დატენილი ტომრები ჩააყრევინა. ყველგან ხალხი დააყენა და უბრძანა, ვიდრე თქვენს სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება, ფეხი არ მოიცვალოთო. ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, თვითონ კი თავით ფეხებამდე სველი და თმაგაწეწილი შინ დაბრუნდა. იდგა ახლა ტყვიის ჩარჩოში ჩასმულ ფანჯარასთან, რომელსაც ქარისაგან ზრიალ-ზრიალი გაჰქონდა და უაზროდ გაჰყურებდა საშინელ საღამოს. კედლის საათმა რვაჯერ ჩამოჰკრა. დედასთან ატუზული გოგონა შეკრთა და მის კალთას ამოეფარა.

— კლაუსი! — წამოიძახა ტირილნარევი ხმით, — სად არის ჩემი კლაუსი?

თოლია გამოსაზამთრებლად არც წელს გაფრენილა სამხრეთში. მამამ ვერ გაიგონა ბავშვის შეკითხვა. დედამ გოგონა ხელში აიყვანა.

— შენი კლაუსი ბეღელშია, — თქვა დედამ. — იქ თბილად არის.

— რატომ? კარგია ეს?

— კარგია, მაშ.

ჰაუკე ისევ ფანჯარასთან იდგა.

— არა, ელკე, ასე არ ივარგებს! — დაიძახა მან. — მოუხმე რომელიმე მსახურს. საჭიროა დარაბები ჩარჩოებს მიახრახნოს, თორემ ქარი სულ ჩალეწავს ყველაფერს.

დიასახლისის ბრძანებაზე ერთი მსახური გოგო გარეთ გავარდა. ოთახიდან თვალი მოჰკრეს, როგორ აუფრიალა კაბა ქარმა. როცა მსახურმა გოგომ დარაბა ანჯამებიდან ჩამოხსნა, ქარმა ისეთი ძალით დაუბერა, რომ დარაბა ხელიდან გამოგლიჯა და ფანჯარას მიახეთქა, რამდენიმე მინა ჩაილეწა, ნამსხვრევები ოთახის მხარეს გადაცვივდა, ერთი სანთელი ჩაქრა. ეს რომ დაინახა, ჰაუკე მისახმარებლად გაიქცა. ბოლოს, როგორც იქნა, დარაბები ჩარჩოებზე მიახრახნეს. როცა მოსამსახურე გოგო ოთახში შემობრუნდა, ღია კარში ისეთი გრიგალი შემოვარდა, განჯინაში მინისა და ვერცხლის ჭურჭელი ახრიალდა. ზემოთ, სხვენზე გამართულ კოჭებს ისეთი ჭრიალი

და ძაგძაგი გაუდიოდა, გეგონებოდა, ცოტაც და ქარტეხილი სახურავს ახდისო სახლს, ჰაუკე ოთახში აღარ შემობრუნებულა, კალო გადაიარა და თავლაში შევიდა.

— თეთრონი, თეთრონი მომგვარე, იონ, სწრაფად! — შემოესმა ელკეს ქმრის ძახილი. მერე ჰაუკე ისევ ოთახში შებრუნდა, თმა ასწეწოდა, ნაცრისფერი თვალები უელვარებდა.

— ქარმა გეზი იცვალა, — დაიყვირა მან, — ახლა ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავს. დიდი ღელვა ატყდება! ქარს რა უშავს, ასეთ შტორმს ჯერ არავინ შესწრებია!

ელკეს მიცვალებულის სახე დაედო.

— ისევ მიდიხარ?

ჰაუკემ ქალს ხელზე წაავლო ხელი და გამწარებით მოუჭირა.

— უნდა წავიდე, ელკე!

ქალმა ჩაღამებული თვალები მიაპყრო და ორიოდ წამს ერთმანეთს უმზირეს, მაგრამ ეს მცირე ხანიც კი მთელი საუკუნე იყო.

— ჰო, ჰაუკე, ვიცი, რომ უნდა წახვიდე.

გარეთ ფლოქვების ბრაგუნი გაისმა.

ქალი კისერზე შემოეჭდო ჰაუკეს და წამით იფიქრა, ვერსად ვერ გავუშვებო, მაგრამ მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა ასე.

— დღეს ბრძოლაა ჩვენი! — წარმოთქვა ჰაუკემ. — თქვენ აქ უშიშრად ხართ: ამ სახლამდე ჯერ არასოდეს ამოუღწევია აბობოქრებულ ზღვას. ახლა კი ღმერთს ჩემი თავიც შეავედრე.

ჰაუკემ წამოსასხამი მხრებზე მოისხა. ელკემ მზრუნველი ხელით შემოახვია ყელსახვევი. მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა ვერ გაიღო — ბაგეები აუცახცახდა.

გარეთ თეთრონმა დაიხვიხვინა. ქარის ღმუილში მისი ჭიხვინი საყვირივით გაისმა. ელკე გარეთ გაჰყვა ქმარს. ბებერი კოპიტი ისე ჭრიალებდა, გეგონებოდა, ახლა იქნება და შუაზე გაიხლიჩებაო.

— შეჯექი, ბატონო! — შესძახა მოჯამაგირემ ჰაუკეს. — თეთრონი ისეა გახელებული, საცაა აღვირს გაწყვეტს!

ჰაუკე ცოლს გადაეხვია.

— მზე რომ ამოვა, აქ ვიქნები!

ჰაუკე თეთრონს მოახტა. ცხენმა წინა ტორები მაღლა შეჰ-

ყარა და თითქოს გახელებულ ბრძოლაში გადაეშვაო, მხედარი მიწაყრილიდან ქვემოთ გაიტაცა და წკვარამში აღმუვლებულ გრიგალს ეკვეთა.

— მამა, ჩემო კარგო მამიკო! — მოისმა ბავშვის ფშრუკუნი.

ვინკე გარეთ გამოსულიყო და ცხენზე ამხედრებულ მამას გამოკიდებოდა, მაგრამ კოლბოხს ფეხი წამოჰკრა და წაიქცა.

მოჯამაგირე ივენ იონსმა ატირებული ბავშვი დედას მიჰგვარა. ქალი კოპიტს მიყრდნობოდა; ზემოთ ხის ტოტები მათრახივით აპობდა ჰაერს. ქალი უკუნეთ ღამეს გაჰყურებდა, რომელმაც ეს-ეს იყო მისი ქმარი შთანთქა. როცა გრიგალის ღმუილი და ზღვის ღრიალი წამით შეწყდებოდა, ელკეს უეცრად შიში შეიპყრობდა, ასე ეგონა, ყოველი ავი და ბოროტი ჩემს ქმარს ეძებს და როგორც კი ხელთ იგდებს, მხოლოდ მაშინ თუ გაჩუმდებაო. ბავშვი ცახცახებდა, ქარი თმას უწეწავდა.

— ფრაუ ელკე, თქვენი გოგონა! მაგრად მოხვიეთ ხელები! — გასძახა იონმა.

— ბავშვი?.. ოჰ, სულ დამავიწყდი, ვინკე! ღმერთო შემინდე! — შეჰკივლა ქალმა და ბავშვი ისე ჩაიკრა მკერდში, დედას რომ შეუძლია მხოლოდ. მერე ბავშვიანად მუხლებზე დაეცა: — ოი, ზეციერო და შენ, ჩემო იესო, შენ დაგვიცავი ქვრივ-ობრობისა და დაობლებისაგან! შენ ჰფარავდე ჩემს ჰაუკეს! მხოლოდ ჩვენ ორნი — შენ და მე ვიცნობთ მის ბუნებას!..

ქარიშხალი წუთითაც არ ცხრებოდა. ღმუილისა და ღრიალისაგან ყურთასმენა აღარ იყო, გეგონებოდა, მთელს ქვეყანას წარღვნა ემუქრებაო.

— შინ შევიდეთ, ფრაუ ელკე, — უთხრა იონმა. ქალი წამოაყენა და დედა-შვილი სახლში შეიყვანა.

...ზედამხედველი ჰაუკე ჰაიენი თავის თეთრონს ჯებირისკენ მიაგელვებდა. წინა დღეებში თავსხმას გზები სულერთიანად გადაერეცხა. ცხენი ფეხს ვეღარ იკიდებდა სველ, შლამიან თიხაზე. ცაზე გახელებული ჯირითი გაეჩაღებინათ ღრუბლებს. ქვემოთ კიდევ დაუდეგარი ჩრდილები დათარეშობდნენ და მარშის ვრცელი მიწებიც იდუმალ უდაბნოს დამსგავსებოდა. ჯებირს გადაღმიდან ყრუ ღმუილი მოისმოდა. სულ უფრო და უფრო მძლავრობდა ეს ღმუილი და ყველას და ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა.

— წინ, ჩემო თეთრონო! — აგულიანებდა ჰაუკე ცხენს, — ამჯერად მეტად ძნელი გზა გვიდევს წინ!

უეცრად ცხენის ფლოქვებქვეშიდან განწირული კივილი მოისმა. ჰაუკემ ცხენს აღვირი მოზიდა და უკან მიიხედა: იქვე, ზედ მიწის პირად, თეთრი თოლიების გუნდი მოფრინავდა. თოლიები ხან ფრთებით მიაპობდნენ ჰაერს, ხან ქარიშხალს მინებდებოდნენ, თან თითქოს დამცინავად გნიასებდნენ. ფრინველები მიწაზე ეძებდნენ თავშესაფარს. უცბად ღრუბლებიდან მთვარემ გამოიხედა და ჰაუკემ გზაზე მიჭყლეტილი თოლია დაინახა. მხედარს მოეჩვენა, თოლიას წითელი ბაბთა უფრიალებსო კისერზე.

— კლაუს! — შესძახა მან. — საბრალო კლაუს!

ნუთუ ეს მისი გოგონას თოლია იყო? ნუთუ კლაუსმა ცხენი და მხედარი იცნო და მათ აედევნა? ჰაუკეს ვერაფერი გაეგო.

— გასწი! — შესძახა ჰაუკემ თეთრონს და ცხენმაც ტორები შეჰყარა.

უეცრად გრიგალი ჩადგა და მიდამო სამარისებურმა მდუმარებამ მოიცვა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. ქარაშოტმა ისევ დაიღმუვლა, ამჯერად მეტის გახელებით. ამასობაში მხედრის ყურს ხალხის ხმა და ძაღლის მოუსვენარი ყეფა ჩაესმა. ჰაუკემ სოფლისკენ გაიხედა და ღრუბლებიდან გამოღწეული მთვარის შუქზე ხალხი დაინახა. მარშელები სახლების წინ იდგნენ, მიწაყრილზე და პირამდე დატვირთულ ფორნებთან ფუსფუსებდნენ. მის თვალწინ გორაკისაკენ სწრაფად აიქროლა რამდენიმე ფორანმა; ბღაოდა საქონელი. თბილი ბოსლებიდან ხალხი პირუტყვსაც ზევითკენ მიერეკებოდა. „მადლობა ღმერთს, ხალხმა პირუტყვსა და საკუთარ თავს თვითონ მიხედა!“ ჩაესმა ჰაუკეს შინაგანი ხმა, მერე კი შიშით შეძრულმა წამოიძახა:

— ჩემი ცოლი, ჩემი შვილი?.. არა, არა, ჩვენს მიწაყრილამდე წყალი ვერ ააღწევს!

საშინელი ხილვა მხოლოდ ერთ წამს ეზმანა ჰაუკეს, მოჩვენებასავით გაუელვა თვალწინ და უცბადვე გაიცრიცა.

ზღვიდან უჩვეულო ძალით დაუბერა გრიგალმა, ცხენი და მხედარი გრიგალს ეკვეთნენ და ვიწრო ბილიკით ჯებირზე აიშურნენ. ჯებირის თავზე მხედარმა ძლივს შეაჩერა ცხენი.

მაგრამ სად იყო ზღვა? სად გაქრა იეველისის კუნძული? სად გაუჩინარდა უბის იქითა ნაპირი?.. ახლა მხოლოდღა აბობოქრებული წყლის მთები მოჩანდა, რომლებიც ჩაბნელებული ცისკენ ისწრაფოდნენ, ერთმანეთს თავზე ექცეოდნენ და ურთიერთის მიყოლებით ხმელეთს ეხეთქებოდნენ. ქეჩოაქაფებული ტალღები ისეთი ღმუილით მოექანებოდნენ, გეგონებოდა, მთელი ქვეყნის მტაცებლები ერთად აყმუვლდნენო. თეთრონი ფრთხვინავდა და წინა ფლოქვებს მიწას ურტყამდა. მხედარს ახლა ისიც ეგონა, დასრულდა ქვეყნად ძეხორციელის სუფევა და ამიერიდან ღამე, სიკვდილი და არარაობა გაბატონდებაო.

მაგრამ სულ მალე ისევ მოეგო გონს. ეს ხომ მხოლოდ გრიგალი იყო. ოღონდაც ისეთი ძალისა, არასოდეს რომ არ ენახა აქამდე. მეუღლესა და შვილს საიმედო თავშესაფარი აქვთ, ხოლო მისი ჯებირი — ო, რა სიამაყით შეუთრთოლდა გული — ჰაუკე ჰაიენის ჯებირი, სწორედ ახლა დაამტკიცებს, თუ როგორ უნდა შენდებოდეს იგი.

მაგრამ ეს რა ხდება? ჰაუკე იმ კუთხესთან შედგა, სადაც ძველი და ახალი ჯებირი ერთმანეთთან იყო გადაბმული. სად წავიდა ის ხალხი, გუშაგად რომ დააყენა აქ? ჰაუკემ ახლა ჩრდილოეთით გაიხედა, ძველი ჯებირისაკენ. აქაც რამდენიმე კაცს მიუჩინა ადგილი. კაცის ჟაჟანება არ იყო არსად. ცხენი ცოტა წინ წააგდო, მაგრამ ვერც იქ დალანდა ვერავინ. თვალუწვდენელ სივრცეზე გრიგალის ღმუილი და ზღვის ღრიალი სმენას ახშობდა. ცხენი უკანვე შემოაბრუნა და უგუშაგოდ მიტოვებულ კუთხეში დიდხანს აკვირდებოდა ახალი ჯებირის ხაზს. თვალნათლივ შეამჩნია, რომ ზღვა აქ შედარებით სუსტად ურტყამდა ჯებირს, გეგონებოდა, ძალღონე გამოეცალაო.

— ეს კი გაუძლებს! — ჩაილუღლუღა ჰაუკემ და გული სიამით აევსო.

მაგრამ როგორც კი თვალი ახალ ჯებირს გააყოლა, სიხარული სახეზე შეეყინა. ეს რა ხდება ჩრდილო-დასავლეთის კიდესთან? შავი, მოფუსფუსე ჯგრო რაღაცას შესეოდა. ეჭვი არ არის, ხალხია, მაგრამ რას აკეთებენ ისინი ჯებირთან? მხედარმა ცხენს დეზი ჰკრა და თეთრონი იქით გაფრინდა. გრიგალი გვერდიდან ისეთი ძალით ქროდა, ლამის ჯებირიდან გადაეგდო მხედარიცა და ცხენიც. მაგრამ ორთავე ფრთხილობდა. ჰაუკემ მალე გაარჩია, რომ რამდენიმე ათეული კაცი გა-

ცხარებით შრომობდა და ახალ ჯებირში თხრილსა ჭრიდა.

ჰაუკემ მთელი ძალით მოზიდა აღვირი და დაიყვირა:

— შესდექ! რას სჩადიხართ, თქვე ეშმაკის კერძნო?

ხალხმა ზედამხედველი იცნო. ყველანი ადგილზევე გაშეშდნენ, გაიგონეს მისი ყვირილი და რამდენიმე კაცმა პასუხიც დააპირა, მაგრამ ჰაუკემ ვერაფერი გაიგონა; აღელვებულ სახეებს ხედავდა, მათი ხმა კი არ ესმოდა: მუშები მისგან ხელმარცხნივ იდგნენ, და გრიგალიც პირიდან აცლიდა სიტყვებს, შორის იტაცებდა. ქარაშოტი ფეხზე გაჩერების საშუალებასაც არ აძლევდა და ხალხი ერთად შეკუჭულიყო. ჰაუკემ გავეშებით მოავლო თვალი ახალნათხარს და წყლის დონეს, ახალი ჯებირის პირამდე რომ ამოსულიყო. წყალი დროდადრო ცხენსა და მხედარს ზემოდან ესხმებოდა. საკმარისი იყო კიდევ ათიოდე წუთის მუშაობა — ზედამხედველმა ეს ხელად გამოთვალა — და აქოჩრილი ზღვა თხრილში შევარდებოდა, ჰაუკე ჰაიენის ჯებირით მოღობილ ახალ მიწებს ზღვა წალეკავდა!

ზედამხედველმა იქვე მდგომი მუშა იხმო და ყვირილით ჰკითხა:

— მითხარი, რაშია საქმე, ამას რადა თხრით?

— ახალ ჯებირს ვჭრით იმიტომ, რომ ძველი გადავარჩინოთ, — ყვირილით გაეპასუხა მუშა.

— რაო?

— ახალ ჯებირს ვჭრით.

— გინდათ ახალი მიწები წყალმა წალეკოს? ვინ ეშმაკმა ჩაგაგონათ ეგ?

— არა, ბატონო, ეშმაკმა კი არა, ნდობით აღჭურვილი ოლე პეტერსი იყო აქ და იმან გვიბრძანა!

სისხლი თავში აუვარდა ჰაუკეს.

— მე აღარა მცნობთ? — დაიყვირა ისევ ჰაუკემ. — სადაც მე ვარ, იქ ოლე პეტერსის ბრძანებას ძალა არა აქვს. ახლავე მოშორდით აქაურობას და იქ წადით, სადაც მე დაგაყენეთ!

მაგრამ რადგან ხალხი ისევ მერყეობდა, ჰაუკემ ცხენი მათ შუა შეაგდო და დაუღრიალა:

— მოშორდით-მეთქი აქაურობას!

— ფრთხილად იყავით, ზედამხედველო! — შესძახა ერთერთმა მუშამ და აცქმუტებულ ცხენს ბარი აძგერა. ცხენმა

წინა ტორებით მუშას ბარი გააგდებინა, მეორე კაცი კი ძირს დასცა. უცბად მთელ ბრბოს ისეთი გმინვა აღმოხდა, მხოლოდ სიკვდილის მოახლოებისას რომ აღმოხდება ძეხორციელს. ერთ წამს ყველანი შედრკნენ, მხედარიცა და მისი ცხენიც დამბლადაცემულებივით იდგნენ. ერთ-ერთმა მუშამ ხელი ჩრდილოდასავლეთისკენ გაიშვირა, სადაც ძველი და ახალი ჯებირი ერთდებოდა. კვლავინდებურად ღრიალებდა ზღვა, გმინავდა გრიგალი. ჰაუკე უნაგირზე შემობრუნდა, რა მოხდაო — გაიფიქრა.

ანაზდად თვალები გაუფართოვდა.

— მამაზეციერო! გაგლიჯა! ძველი ჯებირი გაგლიჯა!

— თქვენი ბრალია, ზედამხედველო! — დაიყვირა ვიღაცამ. — თქვენი ბრალია და ღვთის წინაშეც თქვენ უნდა აგოთ პასუხი!

სიბრაზისაგან აქარხლებული სახე ახლა გაუფითრდა ჰაუკეს, მკვდრისფერი დაედო, ღრუბლებიდან თავდაღწეულმა მთვარემაც ვერ მოჰფინა ნათელი. ხელები ჩვარივით ჩამოეკიდა, აღვირსაც ვეღარ გრძნობდა ხელში. ესეც ერთ წამს გაგრძელდა. უცბად უნაგირზე წამოიწია და მკერდიდან გმინვა აღმოხდა, მერე სიტყვის უთქმელად მოაბრუნა ცხენი და თეთრონიც ჯებირს ფრთხვინვა-ფრთხვინვით გაუყვა აღმოსავლეთისკენ. მხედარი ქორივით ათვალიერებდა მიდამოს. გონებას უბურღავდა კითხვა: რატომ უნდა ეგო ღვთის წინაშე პასუხი? ალბათ, იმიტომ, რომ ახალი ჯებირის განგრევის უფლება არ მისცა ხალხს! ეს ბრბო, ჰაუკეს რომ არ აეკრძალა, ალბათ, აისრულებდა კიდეც საწადელს. მაგრამ იყო კიდევ ერთი რამ და სწორედ ეს უწყალებდა გულს: კარგად იცოდა, რომ წარსულ ზაფხულს ოლე პეტერსის ბოროტი ლაპარაკისათვის ყური არ უნდა ეგდო! აი ეს იყო მისი ცოდვა, თვითონ ხომ იცოდა, რომ ძველი ჯებირი მორყეული იყო. არაფრისათვის ყურადღება არ უნდა მიექცია და თავისი საქმე ეკეთებინა.

— მამაზეციერო, ვაღიარებ ჩემს დანაშაულს! — ხმამაღლა შეჰყვირა და უცებ მისი ხმა გაშმაგებულ გრიგალს შეუერთდა, — ცუდად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას!

მარცხნივ, ზედ ცხენის ფლოქვებთან ზღვა ბობოქრობდა. მის წინ კიდევ უკუნეთ ღამეში ჩანთქმულიყო ძველი მიწები და ბორცვებზე წამოჭიმული მშობლიური სახლები. შავი ღრუბლები მთვარეს ჩამოეფარნენ. მხოლოდ ერთადერთ ადგილზე

მოჩანდა მკრთალი სინათლე და ამ სინათლემ ჰაუკეს სიამე მოჰგვარა: შუქი მისი სახლიდან გამოდიოდა, თითქოს ცოლ-შვილი ამ მკრთალი სხივით სალამს უთვლიდა მას. მადლობა უფალს, მაღალ მიწაყრილზე მათ არაფერი ემუქრებოდათ! სხვები ალბათ, უკვე ზემოურებს შეეფარნენ. იქ ახლა ბევრგან ბუტაავდა სინათლე. ამდენი სინათლე ერთად არასოდეს შეუმჩნევია უწინ. კიდევ უფრო ზემოთაც ენთო სანათი — ეკლესიის სამრეკლოდან თუ მოჩანდა.

— ეტყობა, ყველამ მოასწრო გახიზვნა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ჰაუკემ. — ზოგან, ალბათ, სახლებიც დაინგრა. მძიმე წლები დაგვიდგება. საჭირო გახდება არხებისა და რაბების შეკეთება. ყველაფერი უნდა აღვადგინოთ. ყველას მხარში ამოვუდგები, იმათაც კი, ვინც მხოლოდ წყენა და ტკივილი მომაყენა. ოღონდაც ღმერთო, შენ შეგვიწყალე, ნუ გაგვწირავ ადამიანებს!

ჰაუკემ ახალათვისებული მიწებისკენ გაიხედა. იქვე, სულ ახლოს, ქაფადქცეული ზღვა ბობოქრობდა, ნაკვეთები კი თითქოს მშვიდობიანი ღამის ბურანში გახვეულიყო. უნებლიეთ სიხარულის კიჟინა აღმოხდა მხედარს: „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი ამ ქარტეხილსაც გაუძლებს, ას წელიწადსაც ნირშეუცვლელად იდგება!“

უცბად მის ფეხქვეშ თითქოს რაღაცამ დაიქუხა და ჰაუკე გამოერკვა. თეთრონმა ნაბიჯი აღარ გადადგა წინ. რა ამბავია? ცხენმა უკან დაიხია და მხედარმა იგრძნო, როგორ ჩაიშალა მის წინ აღმართული ჯებირის ნაწილი. ჰაუკემ აზრი მოიკრიბა, თვალები ფართოდ გაახილა და ნახა, რომ ცხენს წინა ტორები ჯერაც ძველ ჯებირზე ედგა. ანგარიშმიუცემლად მთელი ძალით მოზიდა აღვირი. ამ დროს მთვარემაც მოიცილა ღრუბლის უკანასკნელი ქუდა და მნათობის ნაზ შუქზე საშინელი სურათი გადაიშალა — აქაფებული წყალი ღმუილით შემორბოდა ნაპრალში.

ჰაუკე უაზრო თვალებით შეჰყურებდა ღვარს. ახლა კი დადგა განკითხვის ჟამი, როცა განგება შეუბრალებლად წარღვნიდა ხალხსაც და საქონელსაც. ჰაუკემ კვლავ მოჰკრა თვალი შუქს. ისევ ის შუქი იყო, წელან რომ ბუტაავდა — მისი საპლიდან გამოსჭვიოდა სინათლის ეს პატარა სხივი. გამხნევებულმა ჰაუკემ ახლა ნაპრალში შემოვარდნილ აქაფებულ

წყალს დახედა და შეამჩნია, რომ წყალს მხოლოდ ასიოდე მეტრის სიგანე ფართობი დაეტბორა. მოშორებით კი მკაფიოდ გაარჩია გზა. უცბად გზაზე ფორანს მოჰკრა თვალი. არა, — ორთვალას უფრო ჰგავდა, — გამალებით მოეშურებოდა ჯებირისკენ. ორთვალაში ბავშვიანი ქალი იჯდა. ჰო, აი, ქარიშხლის გრიალში ახლა ძაღლის წკმუტუნიც გაიგონა, ყეფაც მოესმა. ღმერთო დიდებულო! ეს ხომ მისი ცოლ-შვილია! აი უკვე მოუახლოვდნენ კიდეც, აქაფებული წყლის ღვარი კი მათკენ მიემართება. მხედარს მკერდიდან განწირულის ყვირილი აღმოხდა:

— ელკე! ელკე! უკან დაბრუნდი! უკან!

მაგრამ ულმობელია ზღვა და ქარაშოტი. ამ სოდომ-გომორაში გაიფანტა ჰაუკეს სიტყვები, შემდეგ ქარი მხედრის წამოსასხამს ეცა და ჰაუკეც კინაღამ ძირს დასცა. ორთვალა კი შეუჩერებლად მოექანებოდა ნიაღვრისკენ. ჰაუკე ხედავს, რომ ელკე ხელებს იწვდის, ნუთუ ცოლმა იცნო იგი? ნუთუ ქმრის სიყვარულმა და იმის შიშმა, ქმარს არაფერი დაემართოსო, თავშესაფარი მიატოვებინა და ახლა უკანასკნელად ეძახის?.. ამ ფიქრებმა ტვინი დაუბნელა ჰაუკეს, მაგრამ ფიქრები ფიქრებად დარჩა, ქმარი ცოლს ვერ აგებინებდა ვერაფერს, ცოლი — ქმარს, სიტყვებს ქარაშოტი იტაცებდა და სმენას მხოლოდ წარღვნის გრიალი ჩაესმოდა.

— ჩემო შვილო! ელკე, ო, ჩემო ერთგულო ელკე! — გაჰკიოდა ქარიშხალში ჰაუკე.

აი ზღვამ ჯებირის კიდევ ერთი დიდი ნაწილი მოარღვია და ისიც გრუხუნით ჩაეშვა ზღვის უფსკრულში. ჰაუკემ კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ცხენის თავს. მერე ადუღებულ მორევში ამობრუნებული ორთვალას ბორბლები დაინახა და ყველაფერი ისევ უფსკრულმა შთანთქა.

ეული მხედრის გაყინული თვალები ვეღარაფერს ხედავდა.

— გასრულდა ყოველივე! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მან და ცხენი უფსკრულისაკენ წაიყვანა, საიდანაც საშინელი შიშინით შემოჭრილი წყალი ახლა ჰაუკეს მშობლიური სოფლის წასალეკად მოიწევდა. ისევ მოჩანდა მისი სახლიდან ათრთოლებული სინათლის სხივი, მაგრამ ჰაუკესთვის ამ სხივს აღარ მოჰქონდა აღარც სითბო, აღარც სიცოცხლე. მხედარი ცხენზე წამოიმართა და თეთრონს ფერდებში დეზები აძგერა. პი-

რუტყვი ყალყზე შედგა და კინაღამ უკან გადავარდა, მაგრამ მხედარმა იმარჯვა.

— წინ! — შეაგულიანა ჰაუკემ თეთრონი. — ღმერთო ძლიერო, მე მიმიღე შენს უბეში, ოღონდ სხვები გადაარჩინე!

ჰაუკემ ცხენს დეზები ამოჰკრა. თეთრონმა ისე ხმამაღლა დაიჭიხვინა, ქარის ღმუილი და ზღვის ღრიალი დაჰფარა. შემდეგ, ყრუ დგაფუნი გაისმა, ხანმოკლე გაბრძოლება და...

მაღლიდან მთვარემ გამოანათა, მაგრამ ჯებირზე სიცოცხლის ნასახი აღარ ჩანდა, გახელებულ წყალს ძველი ჯებირის უკან მთელი მიწები დაეფარა. ამ წარღვნაში მაინც მოჩანდა ჰაუკე ჰაიენის სახლი და ყურე, მაინც ბუტაკდა სინათლე, მაღლობზე წამომდგარ სახლებში კი ერთი მეორის მიყოლებით ქრებოდა შუქი და აქაფებულ ტალღებზე ბოლოს სამრეკლოზე შემორჩენილი ერთადერთი მაშუქის სხივიღა ირეკლებოდა.

მთხრობელი დადუმდა. მე სავსე ჭიქას წავატანე ხელი, რომელიც კარგა ხანი ცხვირწინ შედგა, მაგრამ პირთან აღარ მიმიტანია, ხელი მაგიდაზე შემრჩა.

— აი, ასეთია ჰაუკე ჰაიენის თავგადასავალი, — კვლავ წამოიწყო ჩემმა მასპინძელმა. — რაც ვიცოდი, ყველაფერი გიამბეთ. ჩვენი დღევანდელი ზედამხედველის მეკუპნავე ქალი ამ ამბავს, ალბათ, სხვაგვარად მოგიყვებოდათ.

იმასაც ამბობენ, წარღვნის შემდეგ იევერსის კუნძულზე კვლავ უნახავთო ცხენის ისეთივე თეთრი ჩონჩხი, წარღვნამდე რომ მოჩანდა ხოლმე იქ. ერთი რამ კი ცხადია: ჰაუკე ჰაიენი და მისი ცოლ-შვილი ზღვის ზვირთებმა შთანთქეს. სასაფლაოზე მათ სამარეებს ვერსად წავაწყდი, ეტყობა, გავლეჯილ ნაპრალში უკან დაბრუნებულმა ზღვის წყალმა გაიტაცა მათი გვამები და ბოლოს დაფლითა. ასე დააღწიეს თავი გაბოროტებულ ადამიანებს და ღვთის სავანეში ჰპოვეს სიმშვიდე. ჰაუკე ჰაიენის ჯებირი კი კვლავინდებურად დგას, თუმცა იმ ამბის შემდეგ ბარე ასი წელი გავიდა. როცა ხვალ ქალაქისკენ დაადგებით გზას, ნუ დაგენანებათ ნახევარი საათის დაკარგვა, ცოტა გვერდზე გადაუხვიეთ და ამ ჯებირსაც საკუთარი თვალით იხილავთ. როგორც თვითონ დარწმუნდით, ქება-დიდებითა და ხოტბით, რაც ერთ დროს იევე მანერსმა

აღუთქვა ჯებირის აღმშენებელს, ჰაუკე ჰაიენი ჯერაც არავის მოუხსენებია. ასეა ხოლმე, ჩემო ბატონო: სოკრატეს საწამლავი შესთავაზეს, ხოლო იესო ქრისტე ჯვარს აცვეს! მართალია, ჩვენს დროში ბევრი ვეღარ გაბედავს ამას, სამაგიეროდ ვინმე მოძალადისა ან ბოროტი და თავკერძა ხუცესის წმინდანად შერაცხვა დღესაც ჩვეულებრივი ამბავია. არც ისაა გასაკვირი, რომ ვინმე უნარიანი ყმაწვილი მოჩვენებად ან სულაც ღამღამობით მოარულ ავსულად გამოაცხადონ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ყმაწვილი ჩვენზე ერთი თავით მაღლა დგას.

ეს რომ თქვა, ტანმორჩილი დინჯი მთხრობელი წამოდგა და გარეთ გაიხედა.

— მგონი, გამოიდარა ცოტა, — მითხრა და ფანჯარაზე ჩამოფარებული საბანი გადასწია. მიდამო მთვარეს გაენათებინა. — შეხედეთ, — კვლავ განაგრძო მან. —აი, ნდობით აღჭურვილებიც ბრუნდებიან, მაგრამ არა, წავიდ-წამოვიდნენ, — ეტყობა, სახლებში მიდიან. შეიძლება იქითა ნაპირზე სადმე ჯებირი გაარღვია ზღვამ და წყლის დონემ დაიწია.

მეც ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე. ფანჯარა ჯებირს ზემოდან დაჰყურებდა და ზღვაც კარგად მოჩანდა. ჩემი თანამოსაუბრე მართალი გამოდგა. წყლის დონე დაკლებულიყო. ისევ მაგიდასთან მივბრუნდი, ჭიქა ავიღე და გამოვცალე.

— მადლობელი გახლავართ ამ საღამოსთვის! მგონი, ახლა მშვიდად შეგვიძლია დავიძინოთ.

— ჰო, შეგვიძლია. ღამე ნებისა, — მიპასუხა ტანმორჩილმა მასწავლებელმა.

...ქვემოთ რომ ჩავდიოდი, წინკარში ზედამხედველს შევეჩეხე. ფუნდუკში დატოვებული ბანქოს წასაღებად მოსულიყო.

— მგონი გადავრჩით, — თქვა მან. — ჩვენი მასწავლებელი ამასობაში ალბათ დაგაბრძენებდათ კიდეც, უყვარს ჭკუის სწავლება.

— გონებაგახსნილი კაცი ჩანს! — მივუგე მე.

— დიახ, რასაკვირველია, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც საკუთარ თვალებს უნდა დაუჯეროთ. სხვათა შორის, რო-

გორცა ვთქვი, ყურეს იქითა ნაპირზე ქარიშხალმა ჯებირი გაგლიჯა!

მხრები ავიჩეჩე.

— ძილის დროა. ღამე მშვიდობისა, ბატონო ზედამხედველო!

— ღამე მშვიდობისა! —გაეცინა მას.

...დილით, როცა მზემ ოქროსფერი სხივები მოჰფინა გაპარტახებულ მიდამოს, მე ჰაუკე ჰაიენის ჯებირზე გახლდით და ცხენს ქალაქისაკენ მივაჭენებდი.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი

მიხაელ კოლჰაასი

გვ. 34. **კურფიურსტი** — მთავარი ფეოდალურ გერმანიაში, რომელსაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო იმპერატორის არჩევაში.

გვ. 36. **შვანკი** — გასართობი ამბავი, ხუმრობა.

გვ. 37. **მეფე არტური** — კელტური თქმულებების ცენტრალური ფიგურა, ლეგენდარული მეფე. მის მრგვალ მაგიდასთან თავს იყრიდნენ მეუღლე და 12 რაინდი.

გვ. 46. **რაიხსგულდენი** — ფულის ერთეული იყო გერმანიაში.

გვ. 51. **ამტმანი** — სახელმწიფო მოხელე: სამაზრო პოლიციის უფროსი, მაზრის უფროსი, მამასახლისი, მოურავი და სხვ.

გვ. 60. **მულდე** — მდინარეა გერმანიაში, მდ. ელბის მარცხენა შენაკადი.

გვ. 63. **ლანდფოგტი** — თემის უფროსი.

გვ. 66. **ლანდსკნეხტი** — დაქირავებული ჯარისკაცი 15—17 სს დასავლეთ ევროპაში.

გვ. 69. **მარტინ ლუთერი** (1483—1546) — გერმანული პროტესტანტიზმის მამამთავარი, ფილოსოფიისა და თეოლოგიის პროფესორი ქ. ვიტენბერგში.

გვ. 90. **რაიტერი** — ცხენოსანი ჯარისკაცი.

გვ. 105. **ვენაში მისი ბრწყინვალება იმპერატორისათვის...** — ვენის იმპერატორის ხელისუფლება მე-16 საუკუნეში მხოლოდ ავსტრიის სამემკვიდრო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, ე. წ. „გერმანელი ერის წმინდა რომის იმპერიის" სხვა ქვეყნები მას მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდნენ.

იქვე. ლანდრატი — ისტ. სასამართლოს წარმომადგენელი, თანამსაჯული.

გვ. 117. **რომაელი სიბილა** — წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთსა და რომში.

პატარა ცახესი ციწოგერად ნოდებული

გვ. 130. **თავადი პაფნუტიუსი, ფერია როზაბელვერდე და ა. შ.** — საკუთარ სახელებს პოეტი განსაკუთრებულ სტილურ შინაარსს აკისრებს. შინაარსის ზემოქმედება ორ საფუძველს ემყარება: ჯერ ერთი, უცხო და უჩვეულო სახელი მოულოდნელობის გამო ხშირად კომიკურ გაგებას იძენს; მეორეც, თავისი ჟღერადობის გამო ეს სახელები სიმბოლურ ხასიათს ატარებენ. შინაარსის შემცველი სახელებია, მაგალითად, კანდიდა (შდრ.

ფრანგული **candide** — გულკეთილი, გულღია), ბარონი პრეტექსტატუს ფონ მონდშაინი (შდრ. ლათინური **praetextatus** — თავის ამრიდებელი, თავის დაძვრენის მძებნელი) და სხვ. განმაცვიფრებელი და ამის გამო კომიკური ზემოქმედების მომხდენი სახელებია პროფესორი მოშ ტერპინი, უნივერსიტეტი კერეპესი. ჟღერადობით სიმბოლურად მოქმედებს თავადი ბარზანუფი, თავადი პაფნუტიუსი და სხვ. ზოგი მოქმედი პირის სახელი რთული სემანტიკური აგებულებისაა, მაგალითად პტოლომეუს ფილადელფუსი წარმომდგარია ბერძენი ასტრონომისა და მათემატიკოსის პტოლომეუსის სახელიდან (ფილოს — მოყვარული, მეგობრული და ადელფოს — ძმა, მაშასადამე ფილადელფუს — ძმის მოყვარული).

პიროვნებათა სახელების უმეტესობა ჰოფმანმა ამოიღო ი. გ. ციმერმანის წიგნიდან „სიმარტოვის თაობაზე" (1784 წ.).

გვ. 131. **ალრაუნი** — ძველად ხალხის რწმენით სახრჩობელას ქვეშ ამოსული მცენარე, მანდრაგორა, რომელსაც განსაკუთრებულ ჯადოსნურ ძალას მიაწერდნენ. შემდგომში ალრაუნს უწოდებდნენ ყოველგვარი მცენარის კაცისწანამგვან ფესვს.

ი ქ ვ ე. **კანონისა** — მოლოზანი.

136. **როზენშიონი** — ვარდისებრ მშვენიერი (გერმან.).

137. **„ტურნირთა წიგნი"** — რაინდული ბრძოლების (ტურნირების) წესებისა და აღწერილობათა კრებული ბავარიელი ჰეროლდის გეორგ რუქსნერისა (1532 წ.). წიგნში ჩამოთვლილია გერმანიის წარჩინებულ თავადაზნაურთა გვარებიც.

გვ. 138. **ჯადოქრისათვის დაწესებული გამოცდა** — შუა საუკუნეებში ინკვიზიტორთა მიერ დაწესებული ბარბაროსული დასჯა იმ ადამიანებისა, რომელთაც ჯადოქრობაში სდებდნენ ბრალს. წყალში გამოცდისას მსჯავრდადებულს მარცხენა ხელს მარჯვენა ფეხზე მიუბამდნენ, მარჯვენა ხელს კი მარცხენა ფეხზე და წყალში გადააგდებდნენ. თუ კი „ბრალდებული" არ ჩაიძირებოდა, მას დანაშაულს ააცილებდნენ.

გვ. 140. **ჯინისტანურად** — აქ: ზღაპრულად. ჯინი (არაბულად) — სული, დემონი ძველ არაბულ სპარსულ ზღაპრებში. აქედან სიტყვა ჯინისტანი — „სულელების ქვეყანა".

ი ქ ვ ე. **სირ** — თქვენო უდიდებულესობავ (მეფეებისადმი მიმართვის ფორმა. ფრ.).

გვ. 147. **ფილისტერი** — აქ სტუდენტთა მიერ ნახმარია როგორც შეურაცხმყოფელი სიტყვა გონებაშეზღუდული მეშჩანის მისანიშნებლად. პტოლომეუს ფილადელფუსმა კი იგი ძველ დროში პალესტინის სამხრეთ-დასავლეთით მობინადრე ტომის სახელად მიიჩნია.

გვ. 154. **Cratias** — მადლობას გიძღვნით (ლათ.).

გვ. 156. **mon cher** — ჩემო ძვირფასო (ფრ.).

გვ. 157. **Bon soir** — საღამო მშვიდობისა.

ი ქ ვ ე. **au revoir** — ნახვამდის, მშვიდობით (ფრ.).

ი ქ ვ ე. **adieu** — ნახვამდის.

გვ. 158. **აკადემიკოსი** — აქ: სტუდენტი.

გვ. 159. **მამზელი** — ქალიშვილი (ფამილარულად).

გვ. 162. **ჰიერონიმე** — ერთ-ერთი რელიგიური მამათაგანი, ჯერ სირია-

ში იყო განდეგილი, მერე ბეთლემის მამათა მონასტერს წინამძღოლობდა.

გვ. 163. **მარაშინო** — ალუბლის არაყი.

იქვე. **პუმპერნიკელი** — ვესტფალური შავი პური.

გვ. 164. **ლუკას კრანახი** — XV ს. ცნობილი გერმანელი ფერმწერი და გრავიორი.

გვ. 170. **კარტეზიული ალქაჯი** — შუშის პატარა, შიგნიდან გამოფუღრული თოჯინა, რომელიც წყლით ავსებულ ბუშტში დაცურავს. ბუშტს თუ თითს დააჭერ — ჩაყვინთავს, თუ აუშვებ — ამოყვინთავს.

გვ. 173. **ვიოტი ჯოვანი ბატისტა** (1755—1824) — ცნობილი იტალიელი ვიოლინისტი და კომპოზიტორი.

იქვე **anima** — სული, სიცოცხლე (ლათ.).

იქვე. **furore** — ფუროორი, საჯარო წარმატება, რომელიც საზოგადოებაში დიდ აღტაცებას იწვევს.

გრაფი ალექსანდრე კალიოსტრო — 18 ს. ცნობილი იტალიელი ავანტურისტი, რომელიც დიდ ჯადოსნად და მოგვად ითვლებოდა.

გვ. 186. **ეოლის (ეოლოსის) ქნარი** — ხის ჩარჩო, რომელზეც გაჭიმული ლარები ქარის ქროლისაგან ნარნარ ხმებს გამოსცემს.

გვ. 208. **ოქსჰორტი** — ქვემოგერმანული საწყაო, უდრის 206 ლიტრს.

გვ. 218. **სენსერი** — კალთებიანი მოკლე სერთუკი.

გვ. 229. **ბევრი რამ ხდება...** — იგულისხმება პრინც ჰამლეტის სიტყვები, როცა იგი მამის ჩრდილს ხვდება (შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის" I მოქმედების მე-5 სურათი. თარგმნ. ივ. მაჩაბლისა).

გვ. 241. **Nil admirari** — არაფერი გაგიკვირდეს (ლათ.).

გვ. 244. **მონგოლფიერი** — საჰაერო ბალონი, რომელიც გამთბარი გაიშვიათებული ჰაერით მაღლა ადიოდა. სახელწოდება გამომგონებლების — ძმები მონგოლფიერების გვარიდან მიიღო.

პეტერ შლემილის უცნაური თავგადასავალი

გვ. 245. **შლემილი** — ებრაულად: ღვთის საყვარელი, ღვთის რჩეული.

გვ. 247. **დოლონდი** — ერთგვარი ჰოგორიტი (სახელი წარმომდგარია მისი გამომგონებლის ჯონ დოლონდის გვარიდან).

გვ. 251. **შვრინგვურცელი** — ხალხური ცრურწმენით ჩამომხრჩვალის ნეშტიდან აღმოცენებული მცენარეა. შუა საუკუნეებში ამ მცენარეს ხალხი სასწაულმოქმედ ძალას ანიჭებდა, ვითომ მის მფლობელს შეეძლო დაგმანული კარი გაეღო, დაფლული განძისთვის მიეგნო, ბედნიერებას სწეოდა და ა. შ.

იქვე. **ვეჭსელფენიგი** — ძველ ზღაპრებში ოქროს ფული, რომელიც თავისთავად ბეერდებოდა.

იქვე. **რაუბტალერი** — ძველ ზღაპრებში ფული, რომელიც სხვა ფულს სულ თავისკენ იზიდავდა.

იქვე. **ალრაუნვურცელი ან ალრაუნი ან გალგენმენლაინი** (იხ. შვრინგვურცელი).

იქვე. **ფორტუნატის ნატვრის ჭისა** — „ფორტუნატუს" ლათინურად ბედნიერს ნიშნავს. მის შესახებ არსებული ხალხური გადმოცემები მოგვი-

თხრობს, რომ ფორტუნატს ჰქონდა „სურვილის ქუდი". ამ ქუდს გაანძრევდა თუ არა, მისი სურვილი სრულდებოდა. ფლობდა „ნატვრის ქისასაც", რომელიც მუდამ სავსე იყო ოქროთი.

გვ. 253. ჰალერი ალბრეხტ (1708—1777) — შვეიცარიელი ბუნების მკვლევარი და პოეტი.

იქვე. ჰუმბოლტი ალექსანდრე (1769—1859) — გერმანელი ბუნების მკვლევარი, მოგზაური.

იქვე. კარლ ლინე (1707—1778) — ცნობილი შვეციელი ექიმი და ბუნების მკვლევარი.

იქვე. („ჯადოქრული ბეჭედი") — ფრიდრიხ დე ლა Motte Fouque-ს (1777—1843) ფანტასტური რომანი შუა საუკუნეების რაინდულ ცხოვრებაზე.

გვ. 257. ფაფნირი — შუა საუკუნეების სკანდინავიური თქმულების გმირი. იგი კლავს მამას ჰრაიდმარს ოქროს განძის გამო, რომელსაც შემდეგ დრაკონის სახით იცავს, მაგრამ მოგვიანებით ფაფნირსაც კლავს ზიგურდი.

გვ. 261. რასკალი — ინგლისურად არამზადას, ნამუსგარეცხილს ნიშნავს.

გვ. 267. არგუსის თვალი — ბერძნული მითოლოგიით არგუსი მრავალთვალება გოლიათი იყო, ზოგი თვალით რომ ეძინა, ზოგით ელვიძა და ამიტომ ყოველთვის ფხიზლობდა. გადატანით — მუდამ ფხიზელი თვალი.

გვ. 274. არეტუზა — ბერძ. მითოლოგიაში ნიმფა, რომელიც მდინარის ღმერთს გაექცა, მიწაში დაიმალა და აქედან პატარა წყაროდ ამოჩქეფდა.

გვ. 277. კობოლდი — ძველგერმანული ხალხური თქმულებით ჯერ ოჯახის ჯუჯატანის სული იყო, შემდეგ კობოლდს საერთოდ სულს უწოდებდნენ.

გვ. 278. Apropos — სხვათაშორის (ფრ.).

გვ. 294. Iusto judicio. Dei judicatus sum; Iusto judicio Dei conolemnatus sum (ლათ.) — ღვთის სახელით გავსამართლდი, ღვთის სახელით დაგისაჯე.

გვ. 299. თებე — ასკარიანი თებე, ასე იხსენიებს ჰომეროსი ზემოეგვიპტის ყოფილ დედაქალაქს, რომელიც ნილოსის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. იგი ეგვიპტელთა მზის ღმერთის, ამონის მთავარი საკულტო ადგილი იყო. ამ ქალაქის პირდაპირ, ნილოსის მარცხენა ნაპირზე იყო დიდძალი სამარხები და ტაძრების ნანგრევები.

იქვე. ჰერკულესის სვეტები — ასე უწოდებდნენ ბერძნები ვითომდა ჰერკულესის მიერ აღმართულ კლდეებს გიბრალტარის სრუტის ორივე მხარეზე. იგივე გიბრალტარის სრუტე.

გვ. 300. იქვე. იავა, ბალი — ინდონეზიის კუნძულებია, ლომბოკი — კუნძულ სუმატრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

გვ. 301. სექსტანტი — ასტრონომიული კუთხსაზომი იარაღი.

გვ. 305. ტიკუსის ბერძნული თხზულება „De rebus gestis Pollicilli" — რომანტიკოსი პოეტის ლუდვიგ ტიკის (1773—1853) ნაწარმოები „ცხოვრება და საქმენი პატარა თომასისა, რომელსაც დოიმხენს უწოდებდნენ". აქ აღწერილია დოიმხენის საგმირო საქმენი. ამ ზღაპრის გოლიათი ლაიდგასტის შვიდმილიანი ჩექმები ჯუჯა თომასის საკუთრება ხდება. თომასი მას

ისე უღმერთოდ ხმარობს, რომ ლანჩები უცვდება, ყოველი შეკეთებისას ჩექმების ნაბიჯი ერთი მილით მოკლდება..

გვ. 306. **Historia stirpium plantarum untiusque obris** (ლათ.) — ორიეე ნახევარსფეროს მცენარეული ჯიშების ისტორია.

იქვე. **Flora universalis terrae** (ლათ.) დედამიწის მცენარეული სამყარო.

იქვე. **Systema Naturae** (ლათ.) — ბუნების სისტემა.

„უმანკვილი ინგლისელი"

გვ. 310. **კეგელბანი** — საგანგებოდ მოწყობილი კეგელის სათამაშო ადგილი.

გვ. 312. **ეკოსეზი** — ძველი შოტლანდიური ცეკვა.

იქვე. **ტალერი** — ძველი გერმანული ვერცხლის ფული.

გვ. 317. **ფილიდორი** (1726—1795) — ჰადრაკის გამოჩენილი თეორეტიკოსი და კომპოზიტორი.

იქვე. **კროიცერი, კრონენტალერი, დუკატი** — ფულის ერთეულები იყო ავსტრიასა, გერმანიასა და პოლონეთში.

„თეთრცხენიანი მხედარი"

გვ. 328. **„პოპეს ჰამბურგული ქრესტომათია"** — წიგნის ჰამბურგელმა გამომცემელმა პოპემ 1838 წელს გამოსცა ქრესტომათია ახალგაზრდობისათვის, სადაც მოთავსებული იყო თეთრცხენიანი მხედრის ლეგენდა.

იქვე. **მარშები** — ჰანკრობი, დაბლობი, ჭაობიანი ადგილი მდინარისპირებსა და ზღვისპირებში.

გვ. 329. **ჰარდენი, ჰარდე** — ადმინისტრაციული რაიონი, რომელიც რამდენიმე სოფელს ან ხუტორს აერთიანებს.

გვ. 330. **კოოგე** — ჯებირით შემოფარგლული, ზღვისაგან წართმეული მიწის ნაკვეთი.

იქვე. **ვერფი** — ზღვისგან გათავისუფლებულ მიწებზე წყალდიდობისაგან თავდასაღწევად მიწის ერთ ადგილზე დაზვინვასაც მიმართავდნენ, რომელზეც შემდეგ სახლებსა და მთელ სოფლებს აშენებდნენ.

გვ. 333. **მოშზენი ჰანსი** — ფრიზიელი თვითნასწავლი მექანიკოსი (გარდაც. 1811 წ.).

იქვე. **რაფსი** — ყვითელყვავილიანი ბალახოვანი მცენარე. მოჰყავთ ზეთით მდიდარი თესლის გამო. ამჟამად პირუტყვის საკვებადაც იყენებენ.

გვ. 334. **ევკლიდე** — ბერძენი მათემატიკოსი, რომელმაც ჩვენს ერამდე 300 წლის წინათ შეადგინა იოლად ასათვისებელი მათემატიკის სახელმძღვანელო.

გვ. 335. **წმინდა მარტინის დღესასწაული** — აღინიშნება 11 ნოემბერს.

გვ. 336. **ლიუბეკელი ვუნდერკინდი** — უჩვეულო ნიჭის ბავშვი, დაიბადა მე-18 საუკუნეში, ქ. ლიუბეკში. იგი ოთხი წლისა გარდაიცვალა.

გვ. 337. ყოვლადწმიდის დღესასწაული — კათოლიკეთა დღესასწაული, აღინიშნება პირველ ნოემბერს.

გვ. 342. კრევეტი — პატარა, წვრილი ზღვის კიბო (გავრცელებულია მტკნარ წყალშიც) ათფეხიანთა ოჯახიდან.

გვ. 344. ქრისტიან IV (1588—1648) — დანიის მეფე.

გვ. 345. ფენი — მარშებზე თხრილებით შემოფარგლული მიწის ნაკვეთი.

გვ. 366. დემატი — მიწის საზომი ერთეული.

გვ. 373. ზიუდვესტერი — წყალგაუმტარი ფართო კაპიუშონი, რომელსაც მეზღვაურები ხმარობენ.

გვ. 389. ლოტი — ზღვის სიღრმის საზომი მოწყობილობა.

გვ. 411. სეპარატისტული მოძრაობა — იგულისხმება გაბატონებული რელიგიისაგან განდგომის მომხრე სექტის საიდუმლო შეკრებები.

სარჩევი

XIX საუკუნის გერმანული ნოველა 5

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

მეზობლის უცნაური ბაეშვები 24

ჰაინრიხ ფონ კლაისტი

მიხაელ კოლჰაასი 34

ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი

პატარა ცახესი ცინობერად წოდებული 130

ადალბერტ ფონ შამისო

პეტერ შლემილის უცნაური თაეგადასაეალი 245

ვილჰელმ ჰაუფი

ყმაწვილი ინგლისელი 307

თეოდორ შტორმი

თეთრცხენიანი მხედარი 328

განმარტებები 451

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მსატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია გამოსაცემად ამზადებს გერმანულენოვანი ლიტერატურების შემდეგ ნაწარმოებებს:

1. ერიხ კესტნერი, ცხოველთა ვაზირობა.

ითარგმნა თენგიზ პატარაიამ

ცნობილი გერმანელი მწერლის, ერიხ კესტნერის წიგნები მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ცხოველთა ვაზირობა“ კესტნერის საუკეთესო საბავშვო წიგნების რიცხვს განეკუთვნება. მწერალი კარგად იცნობს ბავშვის სამყაროს, მის ფაქიზ სულს, მეტად ორიგინალური მხატვრული საშუალებებით გადმოგვცემს ბავშვის სათქმელს. წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ ემზადებიან ცხოველები კონფერენციის ჩასატარებლად, სადაც ისინი ზოგიერთი „მოზრდილის“ უყურადღებობითა და გულქვაობით განაწყენებული ბავშვების ინტერესებსა და უფლებებს იცავენ.

2. კოლხ მედეადან თანამედროვე საქართველომდე.

თარგმნა ვიქტორ კასნიაშვილმა

კრებულში თავმოყრილია გერმანულენოვან მწერალთა — გამოჩენილ გერმანელ ფილოსოფოსთა, ენათმეცნიერთა, ორიენტალისტთა და ქართველოლოგთა აზრები კავკასიასა და საქართველოზე.

3. ჰაინრიხ ბიოლი, უკაცო ოჯახი.

თარგმნა თენგიზ პატარაიამ

თანამედროვე დასავლეთგერმანელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჰ. ბიოლის შემოქმედების ძირითადი თემაა მეორე მსოფლიო ომის მიერ ფიზიკურად და ფსიქიკურად გათელილი თაობის

განწირული ცდა ცხოვრებაში ფეხის მოსაკიდებლად. ეს რომანი კარგა ხანია, მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა და მკითხველთა დიდ სიყვარულსაც იწვევს. ჰაინრიხ ბრილაბახისა და მარტინ ბახის ზნეობრივი და სულიერი ჩამოყალიბების პროცესს მწერალი ომის შემდგომი, დანგრეულ-გაპარტახებული გერმანიის ფონზე გვიხატავს. მოზარდი ბიჭების ურთიერთობანი, ჭეშმარატად ფასეული ზნეობრივი ღირებულებების ძიება, ტრამვირებული ახლო წარსული და უკეთესი მერმისის რწმენა — სწორედ ის სასიცოცხლო ძარღვია, რომელიც ასე ძალუმად ფეთქავს წიგნში და ჭეშმარიტი ადამიანობის იდეალებისაკენ მოგვიწოდებს.

4. ჰერმან ჰესე, ტრამალის მგელი; დამსვენებელი.
თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა.

ცნობილ რომანში „ტრამალის მგელი“ ჰ. ჰესე აღწერს პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანიაში გამეფებულ განწყობილებას და საყოველთაოდ მიღებულ სულიერ ფასეულობათა გადაფასების რთულ პროცესებს, გვიჩვენებს ტრაგედიას პიროვნებისა, რომელიც ვერც დამყაყებულ ბიურგერულ ყოფას შეჰგუებია და არც მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვისათვის საჭირო სასიცოცხლო ძალები შერჩენია. პიროვნების გაორებით გამოწვეული ეს ტრაგედია დასაბამს მწერლის იმდროინდელ გუნება-განწყობაში იღებს და, ამდენად, ნაწარმოებში უხვადაა გამოყენებული ავტობიოგრაფიული მომენტები. აი, რას წერს თვით ავტორი რომანის შეიცარიული გამოცემის ბოლოთქმაში: „ტრამალის მგლის ამბავი თუმც კი სნეულებასა და კრიზისს ასახავს, მაგრამ ეს ის სენია, რომელიც სიკვდილისკენ, დაღუპვისკენ კი არ მიემართება, არამედ მის საპირისპიროს — განკურნებას ელტვის“. ჩვენც სწორედ ამ თვალით ვკითხულობთ ჰესესეული გონიერებით გამორჩეულ ამ შესანიშნავ ქმნილებას.

„დამსვენებელში“ ჰ. ჰესე ბევრ ისეთ პრობლემას წამოჭრის, რომელთა გადაჭრასაც მოგვიანებით „ტრამალის მგელში“ შეეცადა. ესაა სულსა და ბუნებას, პიროვნებასა და კოლექტივს, იდეასა და მის გამოვლინებას შორის არსებული კონფლიქტი, რომელიც აგრერიგად მტანჯველი იყო მწერლისათვის სიცოცხლის არსზე დაფიქრების ჟამს. მაგრამ, მიუხედავად მწერლის ფარული სევდიანი გუნება-განწყობისა, სრულიად განსხვავებულია მოთხრობის სტილისტური ქარგა, მხატვრული საშუალებები, ნაწარმოები გამოირჩევა ცინცხალი გონებამახვილობითა და იუმორით, ვირტუოზული კომპოზიციით და, „ტრამალის მგლისგან“ განსხვავებით, მაჟორული განწყობილებითაა გამსჭვალული. საგულისხმოა, რომ ხანდაზმულ მწერალს „მეკურორტე“ თავის საუკეთესო წიგნად მიაჩნდა.

5. სიყვარულის ერთი წამი.

თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ.

ამ კრებულში ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე პირველად ვთავაზობთ XX საუკუნის თვალსაჩინო ავსტრიელი პროზაიკოსების (პეტერ ალტენბერგი, შტეფან ცვაიგი, რაინერ მარია რილკე, ფრანც კაფკა, არტურ შნიცლერი, ჰერბერტ აიზენრაიხი, თომას ბერნჰარდი, ინგებორგ ბახმანი, პეტერ ჰანდკე და სხვ.) თითო მოთხრობას. მრავალფეროვანია ამ ნაწარმოებების თემატიკა, განსხვავებულია სინამდვილის ამსახველი მხატვრული საშუალებები, სტილი, ხელწერა. ავსტრიელი პროზაიკოსების მოთხრობებში თვალნათლივ აისახა ჩვენი საუკუნის ავსტრიის ლიტერატურული პროცესები.

6. გიორგი მაურერი — ლექსები

თარგმნა ვაჟა ჟუჟუნაძემ

პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, ხელოვნების ისტორიკოსი და ფილოსოფოსი გ. მაურერი გდრ-ის ერთერთი საუკეთესო ლირიკოსია. თუ მისი ადრეული

ლექსები — „მარადიული ხმები“ (1936), „დროის სიმღერები“ (1948) და სხვ. ქრისტიანულ-მეტაფიზიკური სამყაროს იდეებით საზრდოობენ, გვიანდელი პერიოდის ლექსებში კი (რომლებსაც ეს კრებული მოიცავს) ავტორმა ახალი სოციალური პოზიცია შეიმუშავა და მხატვრული ფორმით დამაჯერებლად ასახა თავისი დამოკიდებულება ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემისადმი.

7. ზიგფრიდ ლენცი, ჟამი უცოდველთა.
თარგმნა თენგიზ პატარაიამ.

ცნობილი დასავლეთგერმანელი რომანისტისა და დრამატურგის ამ პიესაში სხვადასხვა სოციალური ფენის (ექიმი, გლეხი, ინჟინერი, მძღოლი და სხვ.) პირობითად „უდანაშაულონი“ ტერორისტთან ერთად ერთ საკანში აღმოჩნდებიან. მათი რთული ურთიერთობების კვალდაკვალ თანდათან იკვეთება დანაშაულის პრობლემა. დანაშაული და უდანაშაულობა პიესაში პირობითია ცნებებია და მათი ფაქტობრივი ხასიათი განპირობებულია რეალური ძალაუფლების მიმართებით ამ „დანაშაულ-უდანაშაულობისადმი“, დანაშაულის „პირობითობა“ კი, თავის მხრივ, განაპირობებს „პირობითი ზნეობის“ ჩამოყალიბებას, მაგრამ ძალაუფლების მიერ დაპროექტებული ამ პირობითი ზნეობის მიღმა ლენცი „კერძო ზნეობას“ ეძებს, რომელიც, მწერლის აზრით, ადამიანურობის, ჰუმანიზმისა და სიკეთის საწინდარია.

8. რეზო ყარალაშვილი, ჰერმან ჰესეს სამყარო.

მონოგრაფიაში განხილულია XX საუკუნის გამოჩენილი მწერლის შემოქმედების მნიშვნელოვანი პრობლემები. ავტორი შეეცადა გარმანელი მწერლის ნაწარმოებთა ცალკეული მხარეებისა და ეპიზოდების ახლებურ განმარტებასა და ინტერპრეტაციას, ჰესეს შემოქმედების არსსა და იდუმალ სამყაროში ჩაწვდომას.

9. ნოდარ კაკაბაძე, თომას მანის შემოქმედების ასპექტები (რუსულ ენაზე)

წიგნში განხილულია თომას მანის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის არსებითი, საკვანძო პრობლემები. ავტორი ცდილობს გააანალიზოს თ. მანის შემოქმედების არა მხოლოდ იდეური, მსოფლმხედველობრივი თემატურ-პრობლემური შინაარსი, არამედ აგრეთვე მისი რომანისა და „მცირე პროზის“ პოეტიკა, სტრუქტურა, მორფოლოგია, გამომსახველობითი საშუალებები და მხატვრული ხერხები.

ახლებურად, გავრცელებული თვალსაზრისიდან განსხვავებულადაა წიგნში დასმული და გადაწყვეტილი თ. მანის მიმართების პრობლემა ნიცშეს, გოეთესა და დოსტოევსკისადმი. წიგნის საგანგებო თავი ეძღვნება თ. მანის პირველ ლიტერატურულ ცდებს, რაც არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდ ნაკლებადაა შესწავლილი. ფართო მკითხველი საზოგადოებრიობისათვის გარკვეულ ინტერესს უნდა იწვევდეს თ. მანის ქალიშვილის, მისი ბიოგრაფისა და გამომცემლის ერიკა მანის წერილები წიგნის ავტორისადმი, რომლებშიც გამომზეურებულია მწერლის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის მრავალი ახალი ფაქტი.

ИБ 2307

კოლეგიის რედაქტორი თ. პატარაია
გამომცემლობის რედაქტორი დ. ჯიბლაძე
მხატვარი გ. რევაზიშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. კარბელაშვილი
ტექრედაქტორი გ. ბოკუჩავა
უფროსი კორექტორი ლ. გაგნიძე
კორექტორები: მ. გონაშვილი, ქ. ხაჟთასი,
ვ. ზაალიშვილი
გამომშვები ლ. დავითური

გადაეცა წარმოებას 14.02. 84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.04.84.
ქაღალდის ზომა 84×108. საბეჭდი ქაღალდი № 2. ნაბეჭდი თაბახი
29. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22,65.
ტირაჟი 100.000 შეკვ. № 432
ფასი 2 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.
1984

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.